

სოსო მარგიშვილი

**უზა საუკუნეების
სახადრო სანოვება
და სქაროვანოს
სახადრო-პონოოოკური ისოროია
IX-XV საუკუნეოი**

ნანილი I
შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება

თბილისი
2008

ნიგნი გამოცემულია ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

**სოსო მარგიშვილის ოჯახი მადლობას უხდის ყველას, ვინც
მონაწილეობა მიიღო ნიგნის გამოცემაში.**

რედაქტორისაგან

სოსო მარგიშვილს, ავტორს მონოგრაფიისა — „მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ“ (თბილისი, 2006), არ სჭირდება საგანგებო წარდგენა მკითხველის წინაშე. ჩემი მიზანია მხოლოდ, განემარტო, თუ რატომ გადავწყვიტეთ გამოგვექვეყნებინა დაუსრულებელი ნაშრომი, რომელზეც სოსო მარგიშვილი მუშაობდა თავისი უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლის ბოლო დღემდე.

ომი ცივილიზაციის თანამდევნი მოვლენაა. კიდევ მეტი: სამხედრო საქმის ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ცივილიზაცია მთელი მისი სისავსით სწორედ ომებში აისახება, რომ ომი ეხება ქვეყნის არა მარტო პოლიტიკურ ისტორიას, არამედ სოციალურ, ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურულ პროცესთა ისტორიასაც.

ამ დებულების ჭეშმარიტება არ არის თავისთავად ცხადი და მის დასაბუთებას სჭირდება ვრცელი მსჯელობა, რომელსაც მკითხველი იპოვის წინამდებარე პუბლიკაციაში, მაგრამ ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაზე თვალის ერთი გადავლებითაც კი ჩანს, რომ მისი ისტორიის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ტეხილი, როგორც წესი, ომით არის მარკირებული. საქართველოს შემთხვევაშიც ეს ასეა და, ალბათ, ამიტომ არის, რომ ძველი ქართული მატრიანები უპირატესად სწორედ ომების ისტორიას მოგვითხრობენ. მიუხედავად ამისა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ფაქტია, რომ დღეს სწორედ სამხედრო ხელოვნებისა და ომების ისტორიაა საქართველოს ისტორიის ყველაზე ნაკლებად შესწავლილი სფერო. ამას თავისი ახსნა და გამართლებაც აქვს და უპირველესი მიზეზები ასეთი ვითარებისა არის ის იდეოლოგიური წნეხი, რომელსაც განიცდიდნენ ქართველი ისტორიკოსები საბჭოთა რეჟიმის სამოცდაათი წლის განმავლობაში და რკინის ფარდით განპირობებული ჩვენი იძულებითი იზოლაცია დასავლეთისაგან. ამ და ზოგ სხვა მიზეზთა გამო შუა საუკუნეთა სამხედრო ხელოვნების შესწავლილობის დონე ჩვენში XX საუკუნის ბოლოს დიდად არ იყო გაცილებული დონეს, რომელიც მას ჰქონდა საუკუნის დასაწყისში, მიუხედავად საერთოდ ქართული ისტორიული მეცნიერების უდიდესი მიღწევებისა.

დასავლეთ ევროპაში საქმე სხვაგვარად ადგება. იქ 1900-1920 წლებში გამოქვეყნდა გერმანელი მეცნიერის ჰანს დელბრიუკის კაპიტალური ნაშრომის — „სამხედრო ხელოვნების ისტორია პოლიტიკური ისტორიის ფარგლებში“ ოთხი ტომი, რომლებმაც ჭეშმარიტად შეძრა ევროპის სამეცნიერო-საისტორიო საზოგადოება: დელბრიუკის გამოკვლევებმა გამოააშკარავა ბევრი ტრადიციული მსოფლიო-ისტორიული კონცეფციის უსუსურობა და ბოლო მოუღო იმდროინდელ საისტორიო მეცნიერებაში დამკვიდრებულ ნახევრად ლეგენდარულ წარმოდგენებს შუა საუკუნეების არმიათა რიცხოვნობისა და ომების წარმოების მეთოდების შესახებ.

უკრიტიკოდ არ გაუზიარებიათ ისტორიკოსებს დელბრიუკის დებულებები, მაგრამ მაინც სწორედ ისინი დაედო საფუძვლად სამხედრო ხელოვნების თანამედროვე დასავლურ ისტორიოგრაფიას, რომელმაც გასულ საუკუნეში ნამდვილად დიდ წარმატებებს მიაღწია.

დელბრიუკის მაგალითი აქ შემთხვევით არ მომიტანია. სოსო მარგიშვილის ზემოთ მოხსენიებული მონოგრაფიის გამოქვეყნებას ისეთივე მწვავე რეაქცია მოჰყვა საქართველოში, როგორც დელბრიუკის ნიგნს ევროპაში, რამაც გვამცნო, რომ საქართველოშიც გვეყოლია შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებისა და სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის უმაღლესი რანგის სპეციალისტი-მკვლევარი.

სოსო მარგიშვილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მუშაობდა, ერთ-ერთ არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა, ფრიად საყურადღებო ნაშრომების ავტორია ანტი-

კური ხანის საქართველოს არქეოლოგიაში, მაგრამ მონოდებით მაინც ისტორიკოსი იყო. იგი ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის საუკეთესო ტრადიციებზე აღიზარდა და ქართველ ისტორიკოსთა შორის პირველმა საფუძვლიანად შეისწავლა დასავლეთევროპული საისტორიო ლიტერატურა, გაიზარა და გაითავისა თანამედროვე დასავლური ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევები, განსაკუთრებით სამხედრო ისტორიის სფეროში. ესოდენ ღრმა ერუდიციამ, შერწყმულმა ძველი ქართული, აღმოსავლური და ევროპული პირველწყაროების საფუძვლიან ცოდნასთან და ანალიტიკური აზროვნების ღვთით მომადლებულ ნიჭთან, საშუალება მისცა სოსო მარგიშვილს სრულიად ახლებურად დაენახა და თვალნათლივ წარმოეჩინა საზოგადოებისათვის დავით აღმაშენებლის, როგორც გენიალური მხედართმთავრისა და უდიდესი პოლიტიკოსის ღვაწლი.

ქართული საზოგადოების რეაქცია სოსო მარგიშვილის მონოგრაფიაზე არ იყო ცალსახა და ერთგვაროვანი: საზოგადოების ერთმა, მოაზროვნე ნაწილმა გაიგო და მიიღო ავტორის ნააზრევი, როგორც ახალი სიტყვა ქართულ ისტორიოგრაფიაში (იხ. დავით მუსხელიშვილის რეცენზია „საინტერესო მონოგრაფია დიდგორის ბრძოლის შესახებ“, გაზეთი „რეზონანსი“, 51, 27.02.07), მეორე ნაწილმა კი... უკადრისი იკადრა. საბედნიეროდ, ასეთები უმცირესობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ უმცირესობა ხშირად მოძალადის როლში გამოდის ხოლმე.

ვერ ვიტყვი, რომ სოსო მარგიშვილი გულგრილად შეხვდა მათ შემოტევას, მაგრამ მას ერთი დღითაც კი არ შეუწყვეტია მუშაობა მის მიერ ჩაფიქრებულ ახალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან მონოგრაფიაზე შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებისა და IX-XV საუკუნეთა საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ, რომლის ანონსი მოათავსა კიდევ თავისი წიგნის გარეკანზე. სოსო მარგიშვილი წერდა, რომ მის ამ ახალ ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის მრავალ საკვანძო საკითხზე ხშირ შემთხვევაში განსხვავებული იქნება მიღებული და ჩვეული შეხედულებებისაგან, მაგრამ ეს გარემოება მისი „ღრმა რწმენით, მხოლოდ ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის შესახებ მეცნიერული დისკუსიის გაღრმავებას და, საბოლოო ჯამში, მის უკეთ შესწავლას“. გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე სოსო დიდხანს მელაპარაკა ტელეფონით თავის ამ ნაშრომზე და ისიც მითხრა, რომ აუცილებლად დაასრულებდა მას 2007 წლის ბოლომდე. მაგრამ ამ პირობას ასრულება არ ეწერა.

სოსო მარგიშვილის კომპიუტერში ზღვა მასალა აღმოჩნდა, რომელმაც რამდენიმე ასეული ნაბეჭდი გვერდი შეადგინა. გაირკვა, რომ ავტორი პარალელურად მუშაობდა ჩაფიქრებული მონოგრაფიის სამივე ნაწილზე და მეტ-ნაკლებად დასრულებული პასაჟები სამივე ნაწილშია წარმოდგენილი, თუმცა პირველი ნაწილი, რომელსაც ახლა ვაქვეყნებთ, მაინც ყველაზე უფრო სრულია. აქვე ქვეყნდება ავტორისეული „აუცილებელი წინასიტყვაობა“ და მონოგრაფიის სრული სარჩევი, რათა მკითხველმა იცოდეს ავტორის ჩანაფიქრი მთლიანობაში და ამით სათანადოდ შეიგრძნოს ჭეშმარიტი ღირებულება ამ მთელის ნაწილისა, რომელსაც წაიკითხავს.

ტიქსტს ვაქვეყნებთ უცვლელად, როგორც ის ავტორს დარჩა: დაუმთავრებელი მონოგრაფიის ეს პირველი, ასევე დაუმთავრებელი ნაწილი მაინც უზარმაზარ ინფორმაციას შეიცავს და სტუდენტ-ისტორიკოსებისთვის სახელმძღვანელოს როლს ნამდვილად გასწევს. იმედი მაქვს, რომ რომელიმე მათგანი ახლო მომავალში შესძლებს სოსო მარგიშვილის დანყებული შრომის ბოლომდე მიყვანას. ეს იქნება ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ისტორიკოსის ღვაწლის ყველაზე დიდი დაფასება.

იულიონ გაგოშიძე

შინაარსი

შესავალი

1. აუცილებელი წინასიტყვაობა ქართული ისტორიოგრაფიის მითების შესახებ.....	11
---	----

ნაწილი I

შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება

თავი 1

სამხედრო საქმის ორგანიზაცია და ომების ხასიათი შუა საუკუნეების ეპოქაში

ა) სამხედრო საქმის ორგანიზაციის ფეოდალური სისტემა.....	31
ბ) მომთაბარეები ფეოდალური სახელმწიფოების წინააღმდეგ.....	56

თავი 2

შუა საუკუნეების ომების ბუნება (მიზნები და კანონები)

ა) ომების მიზნები.....	58
ბ) სისასტიკე, შუა საუკუნეების ომების ძირითადი "კანონი".....	64
გ) ტყვეობა და მძევლობის ინსტიტუტი.....	69
დ) „რაინდული კოდექსი“.....	75
ე) რელიგიის ფაქტორი.....	78

თავი 3

არმია შუა საუკუნეების ეპოქაში

ა) საველე არმია	
მასშტაბები.....	83
სტრუქტურა.....	91
საბრძოლო საშუალებები.....	93
სამხედრო სწავლება.....	100
დისციპლინა.....	101
ბ) არმიის მართვა	
მხედართმთავრი და მისი მნიშვნელობა.....	103
დროშები და მათი ფუნქციები.....	111
სასიგნალო სისტემები.....	117
კომუნიკაცია.....	119
გ) არმია მოქმედებაში	
უზრუნველყოფა (ლოგისტიკა).....	124
მარში.....	132
დაზვერვა.....	139

სამხედრო დაზვერვა.....	141
სამხედრო ბანაკი	144

თავი 4

შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნების ძირითადი პრინციპები

ა) შეტევითი ომების სტრატეგია

სასაზღვრო რეგიონები - სათარეშო რეიდების ორგანიზების სისტემა.....	149
მასშტაბური კამპანია.	158

ბ) თავდაცვითი სტრატეგიის ძირითადი ელემენტები

სასაზღვრო რეგიონები - თავდაცვითი სტრატეგიის პირველი ელემენტი.....	163
საფორტიფიკაციო სისტემები - თავდაცვითი სტრატეგიის მეორე ელემენტი	165
საგარნიზონო სამსახური - საფორტიფიკაციო სისტემის თანმხლები ელემენტი	179
საველე არმია - თავდაცვითი სტრატეგიის უმთავრესი ელემენტი	182

გ) ტაქტიკა შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებაში

მოულოდნელობის ფაქტორი - მთავარი ტაქტიკური ელემენტი	197
მონინალმდგის დემორალიზება.	201
საველე ბრძოლების წარმოების ტაქტიკა	203
სიმაგრეთა აღებისა და მათი დაცვის ტაქტიკა	208

ნანილი II

საქართველოს გარემომცველ ქვეყანათა არმიები IX-XV საუკუნეებში

1. ბიზანტიური არმია
2. ისლამური არმიები
 - არაბული არმია
 - სელჯუკური არმია
 - მამლუქების არმია
 - ოსმალური არმია
3. მომთაბარული არმიები
 - ყივჩაღების არმია
 - მონღოლური არმია
 - თემურ-ლენგის არმია
4. ევროპული არმიები
 - რაინდული არმიები
 - ჯვაროსნული არმიები

ნანილი III

სამხედრო საქმის ორგანიზაცია და სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეების საქართველოში

1. საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და შუა საუკუნეების გეოპოლიტიკა - საქართველოს უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ფაქტორი
2. IX-X საუკუნეები
 - პოლიტიკური ვითარება და სამხედრო საფრთხეების ხასიათი
 - სამხედრო ორგანიზაცია IX-X სს-ში - მცირე ომების ეპოქა
 - ქართულ სამეფოებს შორის IX-X საუკუნეებში მიმდინარე ომების მიზნები და ხასიათი
 - ტაოს სამხედრო ორგანიზაციის ფენომენი - დავით კურაპალატი და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკა
 - IX-X საუკუნეების ომები და მხედართმთავრები
3. XI საუკუნე
 - პოლიტიკური ვითარება და სამხედრო საფრთხეების ხასიათი
 - სამხედრო ორგანიზაციის სტაბილური სისტემის ფორმირება და ბაგრატ III-ს სტრატეგია
 - სამხედრო შესაძლებლობათა გადაფასება - გიორგი I-ს ომი ბიზანტიასთან
 - სამხედრო საქმის ორგანიზაციის ფეოდალური სისტემის კრიზისი - ბაგრატ IV და ბაღვაშთა საგვარეულო
 - ეპოქის ახალი სამხედრო მოთხოვნები - სელჯუკთა ფენომენი
 - XI საუკუნის ომები და მხედართმთავრები
4. XII საუკუნე

სამხედრო დაზვერვა.....	141
სამხედრო ბანაკი	144

თავი 4

შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნების ძირითადი პრინციპები

ა) შეტევითი ომების სტრატეგია	
სასაზღვრო რეგიონები - სათარეშო რეიდების ორგანიზების სისტემა.....	149
მასშტაბური კამპანია.	158
ბ) თავდაცვითი სტრატეგიის ძირითადი ელემენტები	
სასაზღვრო რეგიონები - თავდაცვითი სტრატეგიის პირველი ელემენტი.....	163
საფორტიფიკაციო სისტემები - თავდაცვითი სტრატეგიის მეორე ელემენტი	165
საგარნიზონო სამსახური - საფორტიფიკაციო სისტემის თანმხლები ელემენტი	179
საველე არმია - თავდაცვითი სტრატეგიის უმთავრესი ელემენტი	182
გ) ტაქტიკა შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებაში	
მოულოდნელობის ფაქტორი - მთავარი ტაქტიკური ელემენტი	197
მონინალმდგეის დემორალიზება.	201
საველე ბრძოლების წარმოების ტაქტიკა	203
სიმაგრეთა ალებისა და მათი დაცვის ტაქტიკა	208

ნანილი II

საქართველოს გარემომცველ ქვეყანათა არმიები IX-XV საუკუნეებში

1. ბიზანტიური არმია
2. ისლამური არმიები
 - არაბული არმია
 - სელჯუკური არმია
 - მამლუქების არმია
 - ოსმალური არმია
3. მომთაბარული არმიები
 - ყივჩაღების არმია
 - მონღოლური არმია
 - თემურ-ლენგის არმია
4. ევროპული არმიები
 - რაინდული არმიები
 - ჯვაროსნული არმიები

ნანილი III

სამხედრო საქმის ორგანიზაცია და სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეების საქართველოში

1. საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და შუა საუკუნეების გეოპოლიტიკა - საქართველოს უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ფაქტორი

2. IX-X საუკუნეები

- პოლიტიკური ვითარება და სამხედრო საფრთხეების ხასიათი
- სამხედრო ორგანიზაცია IX-X სს-ში - მცირე ომების ეპოქა
- ქართულ სამეფოებს შორის IX-X საუკუნეებში მიმდინარე ომების მიზნები და ხასიათი
- ტაოს სამხედრო ორგანიზაციის ფენომენი - დავით კურაპალატი და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკა
- IX-X საუკუნეების ომები და მხედართმთავრები

3. XI საუკუნე

- პოლიტიკური ვითარება და სამხედრო საფრთხეების ხასიათი
- სამხედრო ორგანიზაციის სტაბილური სისტემის ფორმირება და ბაგრატ III-ს სტრატეგია
- სამხედრო შესაძლებლობათა გადაფასება - გიორგი I-ს ომი ბიზანტიასთან
- სამხედრო საქმის ორგანიზაციის ფეოდალური სისტემის კრიზისი - ბაგრატ IV და ბაღვაშთა საგვარეულო
- ეპოქის ახალი სამხედრო მოთხოვნები - სელჯუკთა ფენომენი
- XI საუკუნის ომები და მხედართმთავრები

4. XII საუკუნე

- პოლიტიკური ვითარება და სამხედრო საფრთხეების ხასიათი
- დავით აღმაშენებელი - სამხედრო სისტემის რეორგანიზაცია და სტრატეგიული ამოცანების ფორმირება
- სამხედრო ორგანიზაცია დავითის მემკვიდრეთა ხანაში: წარმატებები და წარუმატებლობანი
- შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის ზენიტი და კრიზისის პირველი ნიშნები თამარის ეპოქაში
- XII საუკუნის ომები და მხედართმთავრები

5. XIII საუკუნე

- პოლიტიკური ვითარება და სამხედრო საფრთხეების ხასიათი
- სამხედრო ორგანიზაციის კრიზისი, გეოპოლიტიკური დილემა და ლოგიკური კატასტროფა - ლაშა-გიორგი და რუსუდანი
- სამხედრო ორგანიზაცია მონღოლთა ხანაში
- XIII საუკუნის ომები და მხედართმთავრები

6. XIV საუკუნე

- პოლიტიკური ვითარება და სამხედრო საფრთხეების ხასიათი
- აღორძინების მცდელობა
- ომი თემურ-ლენგთან - სტრატეგიული აუცილებლობა თუ სტრატეგიული შეცდომების შედეგი
- XIV საუკუნის ომები და მხედართმთავრები

7. XV საუკუნე

- პოლიტიკური ვითარება და სამხედრო საფრთხეების ხასიათი
- ოსმალები, კონსტანტინოპოლის დაცემა და მისი მნიშვნელობა საქართველოს უსაფრთხოებისთვის
- სახელმწიფო სისტემისა და სამხედრო ორგანიზაციის კრიზისი
- კატასტროფა
- XV საუკუნის ომები და მხედართმთავრები

8. ეპილოგი

- შუა საუკუნეების "სამხედრო რევოლუცია" - ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის დასასრული
- სამხედრო საქმის ევოლუცია შუასაუკუნეებში და საქართველო

შენიშვნები და მითითებული ლიტერატურა	220
შემოკლებები და განმარტებები.....	269

შესავალი

აუცილებელი წინასიტყვაობა ქართული ისტორიოგრაფიის მითაბის შესახებ

XIX საუკუნის დასაწყისში, ერეკლე II-ს შვილიშვილმა თეიმურაზ ბაგრატიონმა თავის ისტორიულ ქრონიკაში „ახალი ისტორია,“ საქართველოში ლეკების თარეშის შესახებ შემდეგი სიტყვები ჩაწერა: „არა ოდეს მოიხსენების და ვერცა დაიტევს ისტორიად ესე, თუ ვითარი ოხრება იყო ლეკთაგან საქართველოსა შინა.“¹ მიუხედავად იმისა, რომ როგორც თეიმურაზ ბაგრატიონი, ასევე XVII-XVIII საუკუნეების სხვა ქართული წერილობითი წყაროები, მაინც ცდილობდნენ ლეკთა შემოსევების ასახვას,² ეს შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა, რადგან ლეკთა შემოსევები, რაც იმ პერიოდების აღმოსავლეთ საქართველოსთვის ნამდვილ სტიქიურ უბედურებად იყო ქცეული, თავდასხმების ინტენსივობისა და მიყენებული ზარალის მასშტაბების გამო, ქალაღზე აღწერას არ ექვემდებარებოდა. ლეკების მძარცველური თავდასხმები, რომლებიც საოცარი სისტემატურობით ხორციელდებოდა ქართლ-კახეთის ყველა რეგიონზე, აპარტახებდა მეურნეობას, არღვევდა ნორმალური ცხოვრების ბუნებრივ ციკლს, იწვევდა უდიდეს ადამიანურ დანაკარგებს, მოსახლეობაში წერგავდა შიშისა და პანიკის ატმოსფეროს,³ მათი აღკვეთის ყველა მცდელობა, მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, მარცხით მთავრდებოდა და ქართლ-კახეთის სამეფოს თანმიმდევრული განადგურება სტაბილურად მიმდინარეობდა. ამ საშინელ მოვლენას ქართველმა ხალხმა „ლეკიანობა“ უწოდა.

ლეკიანობა თავისი ხასიათით ძალიან წააგავდა შუა საუკუნეების მომთაბარეთა თავდასხმებს. მიუხედავად იმისა, რომ ლეკები არ იყვნენ მომთაბარეები, ისინი მათ მსგავსად მცირერიცხოვან თემებად ცხოვრობდნენ და თავს მესაქონლეობასთან ერთად, სათარეშო რეიდებით მოპოვებული ალაფით ირჩენდნენ.⁴ ლეკების კრებითი სახელით ცნობილი ჩრდილო-კავკასიის დაღესტნური ტომების სამხედრო რაზმები, მომთაბარეთა მსგავსად მცირერიცხოვან მეომართა გაერთიანებებს წარმოადგენდნენ. მათი რაოდენობა წერილობით წყაროებში ძალიან იშვიათ შემთხვევებშია მითითებული რამდენიმე ათასის ფარგლებში. ამ რაზმების სიდიდე, როგორც წესი, მხოლოდ რამდენიმე ასეულ და საკმაოდ ხშირად რამდენიმე ათეულ მეომარს შეადგენდა, რაც მათ წინაშე მასშტაბური სამხედრო ამოცანების არსებობას გამორიცხავდა. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ლეკების მიზანი არასოდეს არ ყოფილა ტერიტორიების სამხედრო ძალით დაპყრობა და შენარჩუნება, ისინი მთლიანად ნადავლის მოპოვებასა და ტყვეების ხელში ჩაგდებაზე იყვნენ კონცენტრირებულნი, რის გამოც მათ უმთავრეს სამხედრო თვისებას მობილურობა წარმოადგენდა. ლეკი მეომრები მაღალი ინდივიდუალური თვისებებითა და დიდი სიმამაცით გამოირჩეოდნენ, მაგრამ მათგან შემდგარი სამხედრო რაზმები, როგორც ერთიანი სამხედრო ერთეულები, მაღალი ბრძოლისუნარიანობით არ ხასიათდებოდნენ, რის გამოც ორგანიზებულ სამხედრო ძალასთან შეხვედრის პირობებში მათ წარმატების მოპოვების ნაკლები შანსი ჰქონდათ.⁵ ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ქართლ-კახეთის მეფეები, თუ მსხვილი თავადები, როდესაც ახერხებდნენ მეტ-ნაკლებად ორგანიზებული სამხედრო ძალით ლეკებთან შეხვედრას,

თითქმის ყველა შემთხვევაში გამარჯვებულები გამოდიოდნენ, მაგრამ ლეკიანობის პრობლემა ამით არ წყდებოდა და მათი თარეში ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიებზე გრძელდებოდა. ლეკთა სამხედრო რაზმების სისუსტეზე შესანიშნავად მიუთითებს ის გარემოება, რომ მათ პრიმიტიული საფორტიფიკაციო ნაგებობების ალბაც კი არ ძალუძდათ. ყოველი ცალკეული კოშკი, თუ საკმაოდ დაბალი სიმაღლის მქონე გალავანი, მათთვის გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენდა, რაც იყო იმის მიზეზი, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ქართლ-კახეთის ტერიტორიები ასეთი კოშკებითა და გალავნებით აღმოჩნდა დაფარული. თითქმის ყველა სოფელი მოსახლეობის თავშესაფარად კოშკებსა და გალავნებს აგებდა, რაც საკმაოდ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ რამდენადაც ეს მხოლოდ პასიური თავდაცვის საშუალება იყო, ამდენად ლეკიანობის პრობლემის გადაწყვეტა არც ამ გზით იყო შესაძლებელი.⁶

ლეკიანობის აღკვეთა, ისევე როგორც შუა საუკუნეების მომთაბარეთა შეტევების მოგერიება, მხოლოდ და მხოლოდ ისეთ განვითარებულ სახელმწიფო სისტემას შეეძლო, რომლის განკარგულებაშიც მონესრიგებული სამხედრო ორგანიზაცია, პირველ რიგში კი, მობილიზაციის სისტემა, ინფორმაციის მოპოვებისა და რეაგირების საშუალებები და ეფექტური საზღვრის დაცვის სამსახური იყო. ის ფაქტი, რომ ქართლ-კახეთის ტერიტორიებზე ლეკების მცირე ჯგუფების თარეში ასეული წლების განმავლობაში შეუწყვეტილად გრძელდებოდა, ნათლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს სამხედრო ორგანიზაციას არც ერთი ეს ელემენტი სრულყოფილი სახით არ გააჩნდა, რის გამოც სახელმწიფო უძღური იყო დაეცვა საკუთარი მოსახლეობა თვით ისეთი სუსტი მოწინააღმდეგისგან, როგორსაც ლეკები წარმოადგენდნენ.⁷ ამ პირობებში მოსახლეობის რეაქცია შექმნილ ვითარებაზე იყო სრულიად ბუნებრივი, ის თვითონ ცდილობდა საკუთარი თავის დაცვას, რასაც ორი ძირითადი საშუალებით, (როგორც უკვე აღვნიშნეთ) საფორტიფიკაციო ნაგებობების სიმრავლითა და საყოველთაო მობილიზაციის მეშვეობით (რაც ისტორიულ ლიტერატურაში „ქუდზე კაცის“ პრინციპის სახელითაა ცნობილი.⁸) ახორციელებდა. მობილიზაციის ჩატარება „ქუდზე კაცის“ პრინციპით (მიუხედავად დამკვიდრებული შეხედულებისა), არ ნიშნავდა სამეფოს მთელი მოსახლეობის მობილიზებას ლეკების, ან რომელიმე სხვა მოწინააღმდეგის წინააღმდეგ, ასეთი მობილიზაციის ჩატარება ქვეყნის მასშტაბით უბრალოდ შეუძლებელი იყო და მსგავსი რამ საქართველოს (ან რომელიმე სხვა ქვეყნის) ისტორიაში არც განხორციელებულა“⁹ „ქუდზე კაცის“ გამოსვლა ნიშნავდა რომელიმე პატარა რეგიონის (სოფლის, ქალაქის, რამდენიმე სოფლის და ა.შ.) მოსახლეობის მობილიზებას იმ დროს, როდესაც საფრთხე უშუალოდ ამ რეგიონს ემუქრებოდა. ამ პრინციპით წარმოქმნილი ლაშქარი, ბუნებრივია, იყო ცუდად და არაერთგვაროვნად შეიარაღებული, არაორგანიზებული, უდისციპლინო და დაბალი ბრძოლის უნარის მქონე, იგი ხანმოკლე დროის მანძილზე ფუნქციონირებად ნახევრად სამხედრო გაერთიანებას წარმოადგენდა და საფრთხის ჩავლის შემდეგ დაუყოვნებლივ იშლებოდა.

XVII-XVIII საუკუნეები მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოსთვის მუდმივი არმიებისა და არტილერიის განვითარების ეპოქას წარმოადგენდა. ის ფაქტი, რომ ამ პერიოდებში ქართლ-კახეთის სამეფო (ისევე როგორც დანარჩენი საქართველო) „ქუდზე კაცის“ პრინციპით, ანუ სამხედრო საქმის ორგანიზაციის ყველაზე მარტივი და პრიმიტიული ფორმით ცდილობდა ბრძოლების წარმოებასა და თავის დაცვას, თავისთავად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ იმ დროისთვის როგორც სამხ-

ედრო ორგანიზაცია, ასევე მთლიანად სახელმწიფოებრივი სისტემა მოპოვებული იყო და სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც ბუნებრივად აჩენს კითხვას, თუ როგორ მოხდა, რომ ქვეყანა, რომელმაც XI-XII საუკუნეებში გაუძლო მომთაბარე თურქმენების ექსპანსიას, დაამარცხა სელჯუკთა იმპერია და გახდა ამიერკავკასიისა და წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, რომელმაც XIII საუკუნეში გადაიტანა მონღოლთა დაპყრობები და XIV საუკუნეში თითქმის დაიბრუნა ძველი დიდება, ხოლო XV საუკუნის I ნახევარში მოახერხა თემურ-ლენგისგან დანგრეული სახელმწიფოს რესტავრაცია, XVII-XVIII საუკუნეებში მობილიზაციის პრიმიტიული სისტემის, „ქედზე კაცის“ იმედად დარჩა და სრულიად უძღური აღმოჩნდა ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ არაფერი ვთქვათ იმ დროის უფრო ძლიერ და სერიოზულ მონააღმდეგეებზე, ყიზილბაშებსა და ოსმალებზე. რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება უცებ წარმოქმნილიყო, იგი გარკვეული პროცესის შედეგს წარმოადგენდა, რომელიც დროის ხანგრძლივ მონაკვეთში ვითარდებოდა და თავის აპოგეას სწორედ XVII-XVIII საუკუნეებში მიაღწია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრებებით, რასაც მკვლევართა დიდი ნაწილი ეთანხმება, სახელმწიფოებრივი სისტემის განვითარების კრიზისი დაიწყო XIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც მსხვილმა ფეოდალებმა ფაქტიურად გაიმარჯვეს ცენტრალურ ხელისუფლებაზე და ამ გამარჯვებით განაპირობეს რეგრესული პროცესების განვითარება ქვეყანაში.¹⁰ მაგრამ უმთავრეს მიზეზად, რამაც საბოლოოდ სახელმწიფოებრიობის დეგრადაცია და ის მდგომარეობა გამოიწვია, რომელიც საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებისთვის დადგა, ისტორიოგრაფიამ საქართველოს გარშემო არსებული მტრული გარემოცვა და მრავალრიცხოვან მტერთა განუწყვეტელი თავდასხმები მიიჩნია, რომელთა გამოც, შემოსევათა მაღალი ინტენსიურობის პირობებში, ქვეყნის მოსახლეობა იძულებული იყო „ერთ ხელში გუთანი, ხოლო მეორე ხელში მახვილი სჭეროდა,“¹¹ რაც არ იძლეოდა ნორმალური ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი განვითარების შესაძლებლობას. აღნიშნული კონცეფცია, რომელიც უმნიშვნელო ვარიაციებით შუა საუკუნეების ისტორიის მრავალი მკვლევარის ნაშრომშია დეკლარირებული, შეჯამებული სახით, მაგალითად, პროფ. გ. აკოფაშვილის მონოგრაფიაში შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „XIII საუკუნიდან დაწყებული ისტორიულ მოვლენათა შემდგომი მსვლელობა უაღრესად არახელსაყრელი გამოდგა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლისათვის. მძიმე გარეპოლიტიკური სიტუაცია - ჯერ ხორეზმ-შაჰის, მას შემდეგ მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევები, რამდენადმე გვიან თემურლენგის თავდასხმებით მიყენებული აოხრება - ყოველივე ამან ძირფესვიანად დასცა სახელმწიფო ეკონომიკა. კიდევ უფრო საზარალო აღმოჩნდა მომდევნო გარეპოლიტიკური სიტუაცია. XV საუკუნიდან, კონსტანტინოპოლის თურქების მიერ აღების შემდეგ, საქართველო მაჰმადიანურ რკალში მოექცა, დაეხშო კულტურისა და ცივილიზაციის მონინავე სამყაროსთან უშუალოდ ურთიერთობის გზები, შეფერხდა მათთან ეკონომიკური ურთიერთობის შესაძლებლობანი, ყოველივე ამან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოუტანა სახელმწიფოს და ნორმალური განვითარებისა და წინსვლის გზა საგრძნობლად შეეზღუდა მომდევნო საუკუნეების მანძილზე.“¹²

როგორც ვხედავთ, მაჰმადიანური გარემოცვა და დასავლეთთან კომუნიკაციის შეუძლებლობა, საქართველოში განვითარებული რეგრესული პროცეს-

ების განვითარების იმ ძირითად მიზეზებადაა დასახელებული, რამაც საქართველო XVII-XVIII საუკუნეებში უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანა და რის შედეგადაც იგი საბოლოოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, მაგრამ ასეთი ხედვა მრავალ წინააღმდეგობას შეიცავს. მაგალითად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, თავის დროზე ბიზანტია იმ ერთ-ერთ აგრესორთაგანი იყო, რომელიც საქართველოს დაპყრობას ცდილობდა.¹³ ასეთ შემთხვევაში რატომ უნდა ყოფილიყო კონსტანტინოპოლის დაცემა ქართული სახელმწიფოსთვის კატასტროფული მოვლენა, ამით ხომ მისთვის მხოლოდ ერთი აგრესორი შეიცვლებოდა მეორეთი. ასევე გაუგებარია, რატომ ითვლება XV საუკუნე მაჰმადიანურ გარემოცვაში იზოლირების პერიოდად, როდესაც XI საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, მცირე აზიაში სელჯუკების დამკვიდრების შემდეგ, საქართველო უკვე იმყოფებოდა მუდმივ მაჰმადიანურ გარემოცვაში, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის მიეღწია გამორჩეული წარმატებებისთვის როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებშიც. ისიც საკითხავია, კონსტანტინოპოლის დაცემითა და მაჰმადიანური გარემოცვის წარმოქმნით რომელ „კულტურასა და ცივილიზაციასთან ურთიერთობის გზები დაეხშო“ საქართველოს.

საქართველოსთვის „კულტურისა და ცივილიზაციის“ იმ ცენტრს, რომელთანაც მას გარკვეული პერიოდის განმავლობაში აქტიური ურთიერთობები ჰქონდა, წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერია, რომლის მეტ-ნაკლები გავლენის ქვეშ ქართული სამეფო-სამთავროები ერთიანი საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბებამდე იმყოფებოდნენ, მაგრამ ეს იყო XV საუკუნემდე (კონსტანტინოპოლის თურქების მიერ აღებამდე) ბევრად ადრე. ბიზანტიის, როგორც „კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრის“ რეალური ზეგავლენა საქართველოზე დასრულდა XI საუკუნის ბოლო მეოთხედში, როდესაც სელჯუკთა დაპყრობების შედეგად, ბიზანტია მსოფლიო მასშტაბის იმპერიიდან შედარებით პატარა რეგიონალურ სახელმწიფოდ გადაიქცა, რასაც სრულიად ბუნებრივად საქართველოსთან მისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კავშირების შესუსტება მოჰყვა, რაც მაგალითად, შესანიშნავად აისახა იმ ფაქტში, რომ ამ პერიოდიდან ქართველმა მეფეებმა უარი თქვეს ბიზანტიურ ტიტულებზე.¹⁴ ამ მოვლენას ქვეყნისთვის მძიმე „სოციალურ-ეკონომიკური შედეგები არ მოუტანია და სახელმწიფოს ნორმალური განვითარებისა და წინსვლის გზა არ შეუზღუდია“. პირიქით, საქართველომ სწორედ ამის შემდეგ მიაღწია თავისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარების ზენიტს.

რაც შეეხება „კულტურისა და ცივილიზაციის“ მეორე ცენტრს, რომელშიც მკვლევარები, როგორც წესი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ დასავლეთ ევროპას გულისხმობენ,¹⁵ ის საქართველოსთვის „კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრი“ არასოდეს ყოფილა. საქართველოს სახელმწიფოებრივი, თუ კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების არც ერთ სფეროზე (სახელმწიფო ინსტიტუტებზე, მეფეთა ტიტულატურაზე, არქიტექტურაზე, მწერლობაზე და ა.შ.) დასავლეთ ევროპული კულტურის გავლენა არ ასახულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ცივილიზაცია ყოველთვის დასავლეთ ევროპულისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა მიუხედავად იმისა, მაჰმადიანური სახელმწიფოები იდგნენ მათ შორის, თუ ქრისტიანული ბიზანტია. საქართველო ახლო პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში დასავლეთ ევროპულ სამყაროსთან მაშინაც კი არ შესულა, როდესაც ჯვაროსნული ლაშქრობების დროს ამის ყველაზე რეალური შესაძლებლობა ჰქონდა,¹⁶

რაც ასევე მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპა ქართული პოლიტიკური აზრისთვის არასოდეს განიხილებოდა იმ სამყაროდ, რომელთანაც მჭიდრო კონტაქტში მას უნდა ეარსება. დაახლოების აქტიური მცდელობები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ძირითადად დაიწყო XIV-XV საუკუნეებიდან, როდესაც როგორც ევროპულ, ასევე რიგ აღმოსავლურ ქვეყნებს, ოსმალური საფრთხე დაემუქრათ, ხოლო შედარებით ინტენსიური სახე მიიღო XVI-XVII საუკუნეებში, როდესაც ამ საფრთხემ პიკს მიაღწია,¹⁷ მაგრამ ეს იყო არა „კულტურული დაახლოების“, არამედ სამხედრო დახმარების მიღების მცდელობა, რომელსაც საქართველო იმ პერიოდებში განსაკუთრებით საჭიროებდა. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ ევროპის სახელმწიფოებში არსებული, ანტიოსმალური კოალიციის შექმნის აუცილებლობიდან გამომდინარე, დასავლეთ ევროპასთან, პირველ რიგში კი, ესპანეთისა და საფრანგეთის სამეფოებთან, ვენეციის რესპუბლიკასა და რომის პაპებთან, არანაკლები ინტენსიურობით ცდილობდნენ დაახლოებას მუსლიმური სახელმწიფოებიც, მაგალითად, უზუნ-ჰასანის თეთრბატკნიანთა სახელმწიფო და შაჰ-აბასის სეფევიდური ირანი,¹⁸ რაც რასაკვირველია, არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი ევროპასთან ინტეგრაციისკენ ისწრაფვოდნენ. იმავე პერიოდებში სამხედრო დახმარების მიღებას საქართველო ასევე აქტიურად ცდილობდა რუსეთისაგანაც, რომელიც მისთვის ასევე არასოდეს არ ყოფილა „კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრი“, თუმცა დახმარების თხოვნით რუსეთშიც არანაკლები რაოდენობის ელჩობები იგზავნებოდა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში.¹⁹

მაჰმადიანური გარემოცვისა და დასავლეთთან კომუნიკაციური იზოლირების კონცეფციის გვერდით, ქართული ისტორიოგრაფიაში ასევე „პოპულარულია“ გარეშე „მტრების შემოსევათა ინტენსივობის“ თემა, რომლებიც გამუდმებით ცდილობდნენ საქართველოს დაპყრობას, რაც ასევე ხელს უშლიდა ქვეყნის განვითარებას. მაგალითად, აკად. მარიამ ლორთქიფანიძე წერდა, რომ „ყველა იმპერია, რომელიც მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებას ისახავდა მიზნად: ირანი (ყველა ეპოქაში), რომი, ბიზანტია, არაბები, სელჩუკები, მონღოლები, ოსმალთა იმპერია, რუსეთი... ყოველი მათგანისათვის მიზნის მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა საერთოდ კავკასიის, სამხრეთ კავკასიის, და საკუთრივ საქართველოს დაპყრობა, აქ თავისი გავლენის დამკვიდრება იყო,²⁰ რისი მიხედვითაც გამოდის, რომ 2 ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, იმდროინდელი მსოფლიოს დიდი ნაწილის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, საქართველოს დაპყრობა ყოფილა. ისტორიულ პროცესებზე დაკვირვების შედეგად, ამ კონცეფციის გაზიარება, რომელიც ძალიან მყარად ზის არამარტო ისტორიოგრაფიულ კვლევებში, არამედ ქართული საზოგადოებრივი აზრის ცნობიერებაშიც, ძალზედ ძნელია.

ქვეყნის დაპყრობა და მისი ოკუპაცია ომის წარმოებისა და სამხედრო გამარჯვების გარდა, ადგილობრივი მმართველობის სისტემის გაუქმებასა და ხელისუფლების საკუთარი სტრუქტურების შექმნასაც საჭიროებდა, ამის გარეშე ქვეყანა დაპყრობილად არ ითვლებოდა. იმ შემთხვევებში, როდესაც ომში გამარჯვებული სახელმწიფო დამარცხებულის ტერიტორიებზე არ ცდილობდა მმართველობის საკუთარი სტრუქტურების შექმნას და მისგან ხარკის გადახდით ან მოკავშირეობის პირობით (ან ორივეთი ერთად, ან რაიმე სხვა მდგომარეობით) კმაყოფილდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვებული ქვეყნის მიზანი მოცემულ მომენტში სხვა სახის ამოცანების შესრულება იყო და არა დამარცხებული ქვეყნის დაპყრობა და იქ არსებული პოლიტიკურ-ეთნიკური სისტემის განადგურება. ომი ორ ქვეყა-

ნას შორის ერთ-ერთის დაპყრობის ამოცანის გარეშე, მრავალი სხვადასხვა მოტივით (პოლიტიკურ-ეკონომიკური ჰეგემონობის დასამყარებლად, პოლიტიკური კურსის შესაცვლელად, სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეობის იძულებისთვის, რაიმე სადავო საკითხის გადასაწყვეტად, პოლიტიკურ-ეკონომიკური კონკურენციის გამო და ა.შ.) შეიძლებოდა წარმოქმნილიყო და ეს გარემოება ადრეული პერიოდებისთვის საკმაოდ ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენა იყო. ყველა ომი არ ნიშნავდა, რომ რომელიმე ქვეყანა აუცილებლად მეორეს დაპყრობას ცდილობდა, ომების მიზნები ძალიან მრავალფეროვანი იყო. მაგალითად, ნადავლის მოპოვება, რისი მიღწევაც სათარეშო რეიდებით ხდებოდა და არა ქვეყნის დაპყრობით, რაც იმას ნიშნავს, რომ მასშტაბის მიუხედავად ყველა ომი დაპყრობით ომი არ იყო და ყველა მტერი დამპყრობელს არ წარმოადგენდა, თუმცა, რასაკვირველია, საქართველოს წინაშე არც მათი ნაკლებობა ყოფილა.

დაპყრობითი ომების წარმოება ძალზედ რთულ პროცესს წარმოადგენდა და რიგი მეცნიერული კვლევების საწინააღმდეგოდ, რეალობაში მათ არც ისე ხშირად ჰქონდათ ადგილი. დაპყრობითი სამხედრო კამპანიების წარმოება, ეკონომიკური თვალსაზრით ძალზედ ძვირად ღირებული, ხოლო სამხედრო-სტრატეგიულით, უაღრესად რთული სამხედრო ოპერაცია იყო და მისი განხორციელება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის (მათ შორის იმპერიებისთვისაც) ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ამოცანათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. დაპყრობითი ომი სხვა ომებისგან განსხვავებით, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსებისა და ცოცხალი ძალის მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვდა, მაგრამ მის საწარმოებლად მთავარი ესეც არ იყო. იმისთვის რომ რომელიმე ქვეყნის დაპყრობა წარმატებით დასრულებულიყო, სამხედრო რესურსების საკმარის რაოდენობასთან ერთად, დამპყრობელს დასაპყრობი ქვეყნის მახლობლად უზრუნველყოფის ბაზები და მათთან მტკიცე კომუნიკაციური კავშირი უნდა ჰქონოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამპყრობელის საბაზისო ტერიტორიები დასაპყრობი ტერიტორიების სიახლოვეს უნდა არსებულიყო. ომების ისტორიაში ცნობილია უამრავი მაგალითი, როდესაც სრული სამხედრო წარმატების მიუხედავად, გამარჯვებული მხარე დამარცხებული ქვეყნის ტერიტორიების შენარჩუნებას ვერ ახერხებდა იმის გამო, რომ მის სიახლოვეს მყარი უზრუნველყოფის ბაზები და კომუნიკაციები არ გააჩნდა და ასეთ შემთხვევებში ქვეყნის ოკუპირებას არც ცდილობდა. აღნიშნული ვითარების შესანიშნავი მაგალითია ალფ-არსლანის 1068 წლის ლაშქრობა საქართველოში, რომელიც სელჯუკთა დიდი სამხედრო უპირატესობის პირობებშიც კი საქართველოს ოკუპაციით არ დასრულებულა და ამის მცდელობა არც ალფ-არსლანს არ ჰქონია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი უზრუნველყოფის ბაზები იმ მომენტისთვის საქართველოს საგრძნობლად იყო დაშორებული და დიდი ხნით აქ არმიის გაჩერება და საკუთარი ადმინისტრაციის შექმნა მას არ შეეძლო.²¹ როდესაც სელჯუკები საქართველოში შემოვიდნენ, საქართველოს მეფე ბაგრატ IV დასავლეთ საქართველოში გადავიდა და თავი მთებს შეაფარა, მიუხედავად იმისა, რომ სელჯუკები რამდენიმე თვე იმყოფებოდნენ სამეფოს ტერიტორიებზე და სასტიკად აოხრებდნენ მას, ბაგრატს აზრადაც არ მოსვლია მორჩილება გამოეცხდებინა მათთვის (როგორც ასეთ შემთხვევებში ხდებოდა), რადგან შესანიშნავად იცოდა, რომ სელჯუკები ადრე თუ გვიან დატოვებდნენ სამეფოს ტერიტორიებს იმ მიზეზით, რომ მოცემულ მომენტში მათ საქართველოს დაპყრობის რესურსი არ გააჩნდათ. სამაგიეროდ, განსხვავებული ვითარება დადგა მოგვიანებით,

გიორგი II-ს დროს, როდესაც სელჯუკები საქართველოს მეზობელ რეგიონებში (განძა-არანში) დამკვიდრდნენ და მათთვის ქვეყნის დაპყრობა ისეთი სირთულის ამოცანას აღარ წარმოადგენდა, როგორც ალფ-არსლანის დროს. ეს აისახა კიდევ გიორგის გადანყვეტილებაზე, როდესაც მან თავი სელჯუკთა ვასალად აღიარა, თუმცა ამ შემთხვევაში, საქართველოს დაპყრობა უკვე სელჯუკებისთვის აღარ იყო აქტუალური ამოცანა და მათ ამის განხორციელება არ უცდიათ.²² იგივე შეიძლება ითქვას, მაგალითად, თემურ-ლენგის შემთხვევაში, როდესაც თემურის ლაშქრობათა მასშტაბები ბევრად აჭარბებდა მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების მასშტაბებს. მიუხედავად ძლიერამოსილი ლაშქრობებისა და მონინალმდევე არმიების სასტიკი დამარცხებისა, თემურ-ლენგს არ მოუხდენია არც მცირე აზიის, არც სირიის, არც ვოლგისპირეთისა და არც ინდოეთის ოკუპაცია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მის ხელთ არსებული რესურსები მხოლოდ სამხედრო გამარჯვებების მოსაპოვებლად იყო საკმარისი და არა ამ ტერიტორიებზე დასამკვიდრებლად.²³ ამ და სხვა მრავალი მაგალითიდან გარკვევით უნდა ჩანდეს, რომ სამხედრო კონფლიქტი ძლიერ მონინალმდეგასთან (მათ შორის იმპერიებთან) ყოველთვის არ ნიშნავდა ქვეყნის დაპყრობის მცდელობას, დაპყრობის ამოცანა უნდა წარმოქმნილიყო გარკვეულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რაც საქართველოს მიმართ, მისი მონანილეობით წარმოებული ომების სიმრავლის მიუხედავად, ყოველთვის არ დგებოდა.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საქართველო სამხედრო საფრთხეთა მალალი ინტენსივობის რეგიონში მდებარეობდა, რაც განაპირობებდა დიდი რაოდენობით სამხედრო კონფლიქტების წარმოქმნას მის წინააღმდეგ, მაგრამ ეს კონფლიქტები ერთმანეთისგან როგორც მიზნებით, ასევე მიზნებითაც განსხვავდებოდა და მათ ამოცანას ყოველთვის საქართველოს დაპყრობა, როგორც აღვნიშნეთ, არ წარმოადგენდა. ის თავდაცვითი ომები, რომლებიც საქართველომ თავისი ისტორიის მანძილზე მრავალჯერ აწარმოა, მის წინაშე არსებული იმ სამხედრო საფრთხეების ხასიათიდან გამომდინარეობდა, რომელთა შორისაც სამი ძირითადი (პირობითი) ტიპის სამხედრო საფრთხის -- გლობალურის, რეგიონალურის და მომთაბარულის გამოყოფა შესაძლებელი. რამდენადაც საფრთხეთა ეს სახეობები მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, ამდენად მათგან გამომდინარე ომების ხასიათიც თავისი მასშტაბებით, მოტივებითა და მიზნებით, ასევე რადიკალურად განსხვავებული იყო.

ამიერკავკასიის რეგიონში გლობალურ სამხედრო საფრთხეთა წარმოქმნის მალალ ინტენსივობას, უმთავრესად აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი იმ მაგისტრალური სავაჭრო-საქარავენო გზების არსებობა განაპირობებდა, რომელიც ამიერკავკასიის სამხრეთი რეგიონების სიახლოვეს გადიოდა და ყველა იმ სახელმწიფოსა თუ მომთაბარე ტომების ინტენსიური ყურადღებისა და ინტერესის სფეროში ექცეოდა, როლებიც ან ამ გზებზე კონტროლის დამყარებას, ან მათი გამოყენებით დასავლეთის შორეულ რეგიონებამდე მიღწევას ცდილობდნენ. რამდენადაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამყაროებს შორის კომუნიკაციის ყველაზე ხელსაყრელი მონაკვეთები ირანისა და ანატოლიის რეგიონებს შორის, ანუ საქართველოს უშუალო სამხრეთით მდებარეობდნენ,²⁴ ამდენად საქართველოც მუდმივად ექცეოდა აქ წარმოქმნილი ინტენსიური სამხედრო საფრთხეების მოქმედების არეალში, თუმცა ის გარემოება, რომ აღნიშნული მაგისტრალები უშუალოდ არ კვეთდა საქართველოს ტერიტორიებს,

საქართველოს უსაფრთხოების ერთგვარ „გარანტიასაც“ წარმოადგენდა, რადგან ის იმპერიები (რომი,²⁵ ბიზანტია,²⁶ სელჯუკები,²⁷ ოსმალები²⁸), რომლებიც ამ მაგისტრალების კონტროლის მიზნით ამყარებდნენ მფლობელობას ირან-ანატოლიას შორის არსებულ ტერიტორიებზე, ჩრდილოეთით გაფართოებას უკვე ნაკლებად ცდილობდნენ და ირან-ანატოლიის შორის მდებარე რეგიონების დაკავებით თავის მიზნებს მიღწეულად თვლიდნენ. სწორედ ეს იყო ის მთავარი გარემოება, რაც საქართველოსგან განსხვავებით, მაგალითად, მუდმივად ინვევდა იმ სომხური თუ ქურთული სამეფო-სამთავროების დაპყრობის აუცილებლობას, რომლებიც უშუალოდ ამ მაგისტრალებზე იყვნენ განფენილები და რომელთა ოკუპაციაც მაგისტრალებზე გასაბატონებლად აუცილებლობას წარმოადგენდა. ასეთი გეოპოლიტიკური მდგომარეობა საკმოდ ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა საქართველოსთვის, რომლის მოკავშირეობა, ან სულ ცოტა ნეიტრალიტეტი, რაც ირან-ანატოლიის მაგისტრალების ჩრდილოეთიდან უსაფრთხოებას ნიშნავდა, სავსებით აკმაყოფილებდა დასახლებული იმპერიების სტრატეგიულ ინტერესებს, რის გამოც საქართველოს ოკუპაციის ამოცანა მათ წინაშე უკვე აღარ დგებოდა. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის გარემოება, რომ რომის იმპერიისთვის იბერიის სამეფო არა რომის პროვინციას, არამედ „რომაელი ხალხის მეგობარსა და მოკავშირეს“ წარმოადგენდა.²⁹ იგივე ვითარება განსაზღვრავდა ბიზანტიის დამოკიდებულების ხასიათს საქართველოს მიმართ, რომელთანაც ის მაშინ შედიოდა გლობალურ სამხედრო კონფლიქტში, როდესაც საქართველო საფრთხეს უქმნიდა მაგისტრალებზე ბიზანტიელთა მფლობელობას, როგორც ეს მოხდა გიორგი I-ს მეფობაში.³⁰ იგივე სურათია სელჯუკებთან, რომლებიც სავსებით დააკმაყოფილა გიორგი II-ს მიერ გამოცხადებულმა ვასალიტეტმა და ხარკის გადახდის ვალდებულებამ,³¹ ისევე როგორც ოსმალებისა, რომლებმაც მხოლოდ ორჯერ სცადეს აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა და ისიც როგორც ირანის მოკავშირე ქვეყნის, რომელიც მათ ხელთ არსებული მაგისტრალებისთვის საკმოდ მაღალ საშიშროებას ქმნიდა.³²

გლობალური სამხედრო საფრთხეების ხასიათი საქართველოსთვის რადიკალურად იცვლებოდა მაშინ, როდესაც ირან-ანატოლიის დამაკავშირებელ მაგისტრალებს საშიშროება ჩრდილო კავკასიიდან, დარიალის ხეობის მხრიდან ემუქრებოდა და რომლის კონტროლიც საქართველოს რომელიმე მოცემულ მომენტში ან არ შეეძლო, ან სტრატეგიული მოსაზრებებით არ სურდა. ასეთ შემთხვევებში იმ დამპყრობელის წინაშე, რომლისთვისაც დარიალიდან მომდინარე საფრთხე საშიშროებას წარმოადგენდა, გარდაუვლად ჩნდებოდა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის ამოცანა. ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე არაბების შემთხვევაში, რომლებიც საქართველოს ტერიტორიებზე გამოჩენის პირველ პერიოდში, აშკარად არ ცდილობდნენ აქ მმართველობის საკუთარი სისტემის დამკვიდრებას და სელჯუკების მსგავსად, ხარკის მიღებითა და ფორმალური ვასალიტეტით კმაყოფილდებოდნენ.³³ თუმცა ვითარება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც არაბებსა და მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ირან-ანატოლიის მაგისტრალებს საფრთხე ხაზართა მხრიდან შეექმნათ, რომლებიც დარიალის გზის გამოყენებით აღწევდნენ არაბების კონტროლირებად ტერიტორიებზე.³⁴ მოცემულ მომენტში საქართველო სრულიად უძლური იყო გაეკონტროლებინა დარიალის გადმოსასვლელი და შეეკავებინა ხაზართა შემოჭრა ამიერკავკასიაში, რის გამოც არაბების წინაშე აუცილებელ ამოცანად დადგა საქართველოს ტერიტორიებზე

მმართველობის სისტემის შექმნა, რის შემდეგაც თბილისში არაბული ადმინისტრაციის ცენტრი შეიქმნა (რომლისგანაც მოგვიანებით ჩამოყალიბდა თბილისის საემირო).³⁵ მეტ-ნაკლებად იგივე სურათია მონღოლთა პერიოდშიც, როდესაც ირან-ანატოლიის მაგისტრატებზე გაბატონებულ ილხანთა იმპერიას ჩრდილო კავკასიის მხრიდან საფრთხეს უქმნიდა ოქროს ურდო. ამ შემთხვევაში, საქართველოში მონღოლთა უშუალო ადმინისტრაციის შეუქმნელობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ამ ფუნქციას თავად საქართველოს სამეფო ხელისუფლება ასრულებდა დიდი მონდომებით და აქტიურად მონაწილეობდა ოქროს ურდოს სანინააღმდეგო ღონისძიებებში.³⁶ მსგავსი საფრთხე საქართველოს სამეფოს წინაშე განსაკუთრებით მწვავედ წარმოიქმნა თემურ-ლენგის შემოსევების პერიოდში, რომლის მსოფლიო იმპერიასაც ამიერკავკასიის სამხრეთ რეგიონებში, დიდ საფრთხეს უქმნიდა ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში, რომელიც დარიალისა და დარუბანდის გასასვლელების გამოყენებით ცდილობდა დარტმები მიეყენებინა მისთვის. მოცემულ მომენტში საქართველოს სამეფო (გიორგი VII) აქტიურად (თუმცა სრულიად არასწორად) ცდილობდა ამ გეოსტრატეგიული ფაქტორის გამოყენებას თემურ-ლენგის წინააღმდეგ, რითაც ფაქტიურად, „აიძულებდა“ მას მუდმივ ამოცანად ჰქონოდა საქართველოს ოკუპირება.³⁷ მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე მოგვიანებით რუსეთის შემთხვევაშიც, როდესაც რუსეთის იმპერია სწორედ დარიალის და კავკასიონის სხვა გადმოსასვლელების გამოყენებით ცდილობდა წინა აზიის რეგიონში გაბატონებას, რამაც მის წინაშე საქართველოს ოკუპაციის ამოცანა დააყენა.³⁸

გარდა გლობალური ხასიათის სამხედრო საფრთხეებისა, საქართველოს წინაშე ასევე ხშირად დგებოდა რეგიონალური ხასიათის სამხედრო საფრთხეები, რომელიც იქმნებოდა მაშინ, როდესაც ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთში არსებული რომელიმე პოლიტიკური ერთეული სხვებზე მეტად ძლიერდებოდა და ცდილობდა თავისი ჰეგემონობის დამყარებას მეზობლებზე (ამ ტიპის საფრთხეებს თავად საქართველოც საკმაოდ ხშირად უქმნიდა რეგიონის სხვა სახელმწიფოებს). რეგიონალური ჰეგემონიის მცდელობას შეიძლებოდა წარმოექმნა (თუმცა საკმაოდ იშვიათად) რომელიმე მეზობელი ქვეყნის სრული, ან ნაწილობრივი ოკუპაციის საფრთხე, უფრო ხშირად კი ასეთი ჰეგემონობის დამყარება ინტენსიური სასაზღვრო ომების მეშვეობით ხდებოდა. ფეოდალურ ეპოქაში საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები, დანიშმენდიდების საემირო, რუმის სასულთნო, განძისა და ხლათის საემიროები, ილდეგიზიანების აზერბაიჯანული საათაბაგო, ყარა-ყოინლუს სახელმწიფო და ა.შ.³⁹ ქვეყანას ოკუპაციის საფრთხეს პრაქტიკულად ვერ უქმნიდნენ, თუმცა ხშირი ინტენსივობით აწარმოებდნენ სასაზღვრო და სათარეშო ომებს. მეზობელი (რეგიონალური) სახელმწიფოებიდან მომდინარე ოკუპაციის საფრთხე საქართველოს წინაშე რამდენჯერმე დადგა უფრო გვიან, XVI-XVII საუკუნეებში ოსმალეთისა და ირანის მხრიდან, რომელთაგანაც ყველაზე დიდი საშიშროების შემცველი იყო ირანის ნიჭიერი და ენერგიული შაჰის აბას I-ს (1587-1629 წწ.) მცდელობები, მოეხდინა აღმოსავლეთ საქართველოს, პირველ რიგში კი კახეთის ოკუპაცია, მაგრამ წინააღმდეგობის მაღალი ხარისხის, შიდა სახელმწიფოებრივი პრობლემებისა და, საბოლოო ჯამში, რესურსების უკმარისობის პირობებში, მისი ბოლომდე განხორციელება მან ვერ შეძლო.⁴⁰ მართალია, რეგიონალური სამხედრო საფრთხეები პერიოდულად მოიცავდა ოკუპაციის ამოცანასაც (როგორც ეს იყო შაჰ-აბასის შემთხვევაში), მაგრამ ასეთი მიზ-

ნები რეგიონალურ სახელმწიფოთა წინაშე მაინც საკმაოდ იშვიათად დგებოდა, რომელთა ამოცანებიც, როგორც წესი, ნაკლებად მასშტაბური იყო და ძირითადად მიზნად ისახავდა მეზობელთა იძულებას რაიმე ფორმის ვასალიტეტზე, ან უბრალოდ ნადავლის მოპოვებას მათი ტერიტორიებიდან. ამ გავრცელებული სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე, რეგიონალური მასშტაბის სამხედრო მოქმედებები, რაც ომის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა, უმთავრესად ატარებდა სასაზღვრო-სათარეშო ბრძოლების ხასიათს, რომელიც შედარებით მცირე ძალებითა და რესურსებით წარმოებდა და რომელთა მეშვეობითაც ტერიტორიების ოკუპირება (იშვიათი გამონაკლისების გარდა) შეუძლებელი იყო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობისთვის, გლობალურ და რეგიონალურ საფრთხეებზე არანაკლებ და რიგი პარამეტრებით კიდევ უფრო მაღალი ხარისხის საფრთხეს წარმოადგენდა მომთაბარე თურქმენული ტომებისგან მომდინარე საშიშროება, რომლებიც XI საუკუნიდან მოყოლებული XVI-XVII საუკუნეების ჩათვლით, გამუდმებით ცდილობდნენ შუა აზიის რეგიონებიდან ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში მიგრირებასა და აქ დამკვიდრებას.⁴¹ რიგ შემთხვევებში, მომთაბარეები ქმნიდნენ რეგიონალურ სახელმწიფოებს (მაგალითად, სხვადასხვა დროს ასეთი სახელმწიფოები იყო დანიშმენდიდების საემირო, თეთრ და შავბატკნიანთა ირანული გაერთიანებები, სეფევიდების ყილიზაშური ირანი და სხვა), რა შემთხვევაშიც ისინი „რეგიონალური საფრთხეების (ანუ სახელმწიფოებრივი საფრთხეების) კატეგორიაში“ გადადიოდნენ. უფრო ხშირად ისინი მომთაბარეთა არასახელმწიფოებრივ გაერთიანებებად რჩებოდნენ (ასეთი იყო მაგალითად, ბოზ-ულუსის ტომთა გაერთიანება, რომელიც დიარბაქირისა და ყარსი-ერზრუმის რეგიონში მომთაბარეობდა, ან კიდევ იოვიტებისა, რომელთა სამომთაბარეო არეალიც განძა-არანისა და სამხრეთ აღმოსვლეთ საქართველოს რეგიონები წარმოადგენდა.⁴²) და მომთაბარეობის ბუნებიდან გამომდინარე ატერორებდნენ რეგიონის სახელმწიფოთა მოსახლეობას. ძალიან იშვიათი გამონაკლისების გარდა, მომთაბარულ გაერთიანებებს არ ძალუძდათ მასშტაბური დაპყრობითი სამხედრო კამპანიების წარმოება, ამისთვის არც მათი სამხედრო ძალა იყო საკმარისი და არც მათი ცხოვრების წესი აყენებდა მათ წინაშე ასეთ ამოცანებს, მაგრამ ახალი საძოვრების მოპოვების მუდმივი აუცილებლობა მომთაბარეებს გარკვეული პერიოდულობით აიძულებდა ეძებნათ ახალი სივრცეები სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე, რაც ბუნებრივია, დიდ ზიანს აყენებდა მოცემული სახელმწიფოს ეკონომიკასა და მეურნეობას, რომ არაფერი ვთქვათ მოსახლეობის დანაკარგებზე. XI-XVIII საუკუნეების განმავლობაში, საქართველო სამხრეთი მხრიდან გარშემორტყმული იყო ასეთი მომთაბარეებით, რომლებიც მას სრული დაპყრობით არა, მაგრამ ეკონომიკისა და მეურნეობისთვის დიდი ზიანის მიყენებითა და მის ცალკეულ ტერიტორიებზე დასახლების საფრთხით კი ემუქრებოდნენ.⁴³ რამდენადაც მომთაბარეთა ბრძოლის წარმოების ძირითად მეთოდს სათარეშო რეიდების განხორციელება წარმოადგენდა, ამდენად ამ ტიპის მოწინააღმდეგებთან ბრძოლა უაღრესად რთულ საქმეს წარმოადგენდა და განვითარებული სამხედრო ორგანიზაციის არსებობასა და სპეციფიკური სამხედრო ტაქტიკის გამოყენებას საჭიროებდა, რის შესაბამისადაც საქართველოს სამეფო (ისევე როგორც სხვა სახელმწიფოები) მომთაბარეთა წინააღმდეგ მაშინ აღწევდა წარმატებებს, როდესაც მას ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები

გააჩნდა (მაგალითად, დავით აღმაშენებლის პერიოდში),⁴⁴ ხოლო ეფექტური წინააღმდეგობის განევის უნარს კარგავდა მათი სასაზღვრო თავდასხმების თუ შიდა ტერიტორიული რეიდების (როგორც ეს იყო ლეკების შემთხვევაში) წინაშე, როდესაც მისი სამხედრო ორგანიზაცია მოშლილი იყო და სახელმწიფო ინსტიტუტები არაეფექტურად ფუნქციონირებდნენ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული კონცეფცია, რომ თავისი არსებობის მანძილზე ქვეყანა მუდმივად რომელიმე აგრესორის (ან აგრესორების) დაყრობისა და ოკუპაციის მცდელობის ობიექტი იყო, და მუდმივად მხოლოდ არსებობისთვის იბრძოდა, სწორი არ უნდა იყოს და ისტორიული პროცესების დინამიკას არცთუ რეალურად უნდა ასახავდეს. ამასთან, ასეთი კონცეფციის არსებობა სხვა არასწორი შეხედულებების წარმოქმნასაც უწყობს ხელს, რომლებიც რეალური ისტორიის შესწავლის პროცესს და მომხდარი მოვლენების გააზრებას, ჩვენი აზრით, მცდარი მიმართულებებით წარმართავენ. მაგალითად, ისტორიოგრაფიაში (ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში) მყარადაა დამკვიდრებული შეხედულება საქართველოს წინააღმდეგ მოქმედი მტრების სამხედრო ძალის მუდმივი მრავალრიცხოვნობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ის არმიები, რომლებთანაც საქართველოს უხდებოდა დაპირისპირება, იყო ყოველთვის ბევრად დიდი, ვიდრე ქართული არმია, რაც პერიოდული სამხედრო წარუმატებლობებისა და ქვეყნის აოხრების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა. მაგალითად, პროფ. ნ. ზაქარაია წერდა, რომ: „მტრის მრავალრიცხოვნობა ათასწლეულების განმავლობაში ქართველების უბედურება იყო: ერთი ერთზე ქართველს იშვიათად თუ უჩვენებია ზურგი.“⁴⁵

თუ არ შევეხებით იმ გარემოებას, რომ ცალკეული ბრძოლების ბედს უმთავრესად არა რიცხოვრივი შეფარდება, ან ინდივიდების (მით უმეტეს ეთნოსების) პირადი სიმამაცე, არამედ სამხედრო ორგანიზაციის დონე და ბრძოლის ტაქტიკური ხელმძღვანელობის, ხოლო ხანგრძლივი სამხედრო კამპანიებისას, სტრატეგიული ხელმძღვანელობისა და არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარი ნყვეტდა, წარმოდგენილი მოსაზრების გაზიარება მაინც გართულდება იმის გამო, რომ ადრეული პერიოდებისთვის „მტრის მრავალრიცხოვნობა“ საკმაოდ პირობითი და ერთგვარად ტრაფარეტული ცნება იყო. ისტორიის ყოველ ეტაპზე, სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული ქრონიკები ყოველთვის ცდილობდა მათ წინაშე მდგომი მტრის მრავალრიცხოვნობის დამტკიცებას, რაც უმრავლეს შემთხვევაში სინამდვილეს არ შეეფერებოდა.⁴⁶ მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელი მხარე ყოველთვის ცდილობდა რაოდენობრივი უპირატესობის შექმნას, ეს ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხერხდებოდა, რადგან დიდ დისტანციებზე მრავალრიცხოვანი არმიების გადაყვანა და უზრუნველყოფა, რესურსებისა და მომარაგების ბაზების სიმორის მიზეზით, ძალიან რთულ პროცესს წარმოადგენდა. ქვეყანას, რომელიც თავდასხმის ობიექტი ხდებოდა, იმის გამო, რომ რესურსების დიდი დისტანციებიდან მობილიზება არ სჭირდებოდა, სახელმწიფო და სამხედრო ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირების შემთხვევაში, რიცხოვრივი უპირატესობის მიღწევა თითქმის ყოველთვის შეეძლო. უამრავი ისტორიული მაგალითი ადასტურებს, რომ თავდამსხმელი მხარე, როგორც წესი, უფრო მცირერიცხოვანი იყო, ვიდრე დამცველი, და თუ ეს უკანასკნელი ვერ ახერხებდა რიცხოვრივი უპირატესობის შექმნას აგრესორის წინააღმდეგ, ეს უმრავლეს შემთხვევაში უფრო მისი სამხედრო ორგანიზაციის არასრულყოფილებაზე მიუთითებდა, ვიდრე არსებული

რესურსების ნაკლებობაზე, რომელიც ყველა ლოგიკით მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მის ტერიტორიებზე შემოსული მტრის არმიის შესაძლებლობები. აღნიშნულში დარწმუნება საკმაოდ ადვილია სხვადასხვა ისტორიული ფაქტებით. მაგალითად, არაბული არმიები რაოდენობრივად თითქმის ყოველთვის ჩამორჩებოდნენ იმ ქვეყნების არმიებს, რომლებიც მათ დაიპყრეს.⁴⁷ იშვიათი გამონაკლისების გარდა ანალოგიური სურათი იყო სხვა ცნობილი დაპყრობების, ან მასშტაბური თარეშების შემთხვევებშიც, მაგალითად, ბიზანტიელებისა და სელჯუკების დაპირისპირების დროს, როდესაც სელჯუკ მეომართა რაოდენობა აშკარად ჩამორჩებოდა ბიზანტიური არმიების სიდიდეს.⁴⁸ იგივე სურათია პაჭანიკების, რუსებისა თუ ყივჩაღების თარეშის დროს, რომლებიც 10-20 ათასიანი არმიებით ატერორებდნენ ბიზანტიის იმპერიას, რომლის სამხედრო პოტენციალიც განუზომლად მაღალი იყო მათ ძალებზე.⁴⁹ მონღოლ მეომართა რაოდენობა ბევრად ნაკლები იყო ჩინეთის ან ხორეზმის იმპერიების საბრძოლო შესაძლებლობებზე,⁵⁰ ისევე როგორც რუსული სამთავროების პოტენციალზე.⁵¹ XI საუკუნეში ახლო აღმოსავლეთსა და ანატოლიაში გამოჩენილი მომთაბარე თურქმენების რაოდენობა, რომლებმაც თითქმის მთლიანად დაიკავეს ეს ტერიტორიები, ამ რეგიონების მოსახლეობის რიცხვის ერთ მეათედსაც არ უახლოვდებოდა⁵² და ა.შ. სამხედრო დაპირისპირებათა შედეგებს „მომხდურსა და დამხვდურს“ შორის არა მარტივი რაოდენობრივი შეფარდება, არამედ სხვა გარემოებები განაპირობებდა, რომელთა შორისაც სამხედრო საქმის განვითარებისა და სამხედრო ორგანიზაციის არსებულ დონეს, აშკარად ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ანალოგიური სურათია საქართველოს შემთხვევაშიც, სადაც ისეთი გრანდიოზული სამხედრო ძალებით, რომელიც საქართველოს შესაძლებლობებს დიდად გადააჭარბებდა, მონინააღმდეგეები საკმაოდ იშვიათად ჩნდებოდნენ. მაგალითად, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მტერი ჯალალ ად-დინი, რომელმაც რამდენჯერმე დაამარცხა ქართული არმია და ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანას დაუსჯელად აოხრებდა, საქართველოს წინააღმდეგ როგორც დასავლეთ ირანისა და სამხრეთ აზერბაიჯანის სულთანი მოქმედებდა და დაახლოებით იმავე მასშტაბის ძალებსა და რესურსებს განაგებდა, რაც ამ რეგიონების იმ უწინდელ ხელისუფალთა (სელჯუკი სულთნების მუჰამედ ტაჰარისა და მაჰმუდის, აზერბაიჯანის ათაბაგების, ილდენიზისა და აბუ-ბაქრის და ა.შ.) განკარგულებაში იყო,⁵³ რომლებიც ჯალალ ად-დინამდე ებრძოდნენ საქართველოს და ქართული არმიის მიერ არაერთხელ (თრიალეთის, ეკლეცის, შამქორის თუ სხვა ბრძოლებში) იქნენ სასტიკად დამარცხებულნი. ე.ი. დასკვნა ძალიან მარტივი უნდა იყოს: ჯალალ ად-დინთან დამარცხების მიზეზები (რაც შემდგომი რეგრესული პროცესების ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად ითვლება), არა მტრის მრავალრიცხოვნობაში (როგორც ამის დამტკიცებას მკვლევართა უმრავლესობა ცდილობს),⁵⁴ არამედ იმ გარემოებებში უნდა ვეძებოთ, რომლებმაც საქართველოს სამეფოს არ მისცა მის ხელთ არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა.

თითქმის მსგავსი სურათია მონღოლთა შემთხვევაშიც, რომელთა განსაკუთრებული მრავალრიცხოვნობაც ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მითია. მაგალითად, საქართველოს არმია (ისევე როგორც ალანების, ყივჩაღების, კიევის რუსეთისა და სხვათა) ჯერ კიდევ მონღოლთა მასიურ გამოჩენამდე აღმოჩნდა დამარცხებული ჯებესა და სუბუდაის 20 ათასიანი კორპუსის მიერ და ამ შემთხვევაში, მტრის რიცხოვნება ნამდვილად არ იყო არც საქართველოს, და არც სხვა

ქვეყნების არმიათა მარცხის მიზეზი.⁵⁵ მრავალრიცხოვნებით, არც მონღოლთა დამპყრობელი არმიები გამოირჩეოდნენ. ამ ძალების საერთო რაოდენობა (დაპყრობების პერიოდში) სავარაუდოდ 40-60 ათასით განისაზღვრებოდა,⁵⁶ თუმცა მონღოლები ცალკეულ სტრატეგიულ მიმართულებებზე, როგორც ნესი, ორისამი ტუმენის (20-30 ათასი მეომარი) ძალებით მოქმედებდნენ.⁵⁷ საქართველო ისე აღმოჩნდა მათგან დაპყრობილი, რომ მონღოლებს ბრძოლების წარმოება, ფაქტობრივად, არც დასჭირვებიათ,⁵⁸ რაც თავისთავად აყენებს საკითხს არა იმის შესახებ, როგორ დამარცხდა ურიცხვ ურდობთან ბრძოლაში საქართველო, არამედ რატომ ვერ შეძლო მან წინააღმდეგობის ორგანიზება. რის ასახსნელადაც, მხოლოდ ჯალალ ად-დინთან განცდილი მარცხი (როგორც ეს მიჩნეულია ისტორიოგრაფიაში) საკმარისი საფუძველი არ უნდა იყოს.⁵⁹

სხვა მაგალითებს რომ აღარ შევხვით, აღნიშნულიც საკმარისი უნდა იყოს პროფ. პ. ზაქარაიას ზემოთ მოყვანილი მოსაზრებისა და მასთან ერთად, პროფ. დ. გოგოლაძის იმ დასკვნის უარსაყოფად, რომლის მიხედვითაც „როცა ქვეყანა შემდგომი წინსვლის გზაზე უნდა დამდგარიყო, ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ქუდბედად თანდაყოლილივით ყოველთვის გამოჩნდებოდნენ გადამთიელი ველური ბარბაროსები, რომელნიც საქართველოს მოსპობას უპირებდნენ“.⁶⁰ რეალობაში ვითარება სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, პოტენციური მონინააღმდეგეები საქართველოს, სხვა ქვეყნების მსგავსად (რაც ფეოდალური ეპოქის ტიპური მდგომარეობა იყო), არასოდეს არ აკლდა, მაგრამ ისინი შეტევების ინტენსიურობას აძლიერებდნენ მაშინ, როდესაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სისტემა დაქვეითებას იწყებდა და მას აღარ შეეძლო მასშტაბურ ბრძოლებში დაემარცხებინა ძლიერი მტერი, ან პრევენციით შეეკავებინა შესაძლო მონინააღმდეგე. „ველური ბარბაროსები“ მაშინ „მრავლდებოდნენ“, როდესაც ქვეყანა შიდა მიზეზებით (და არა მტრის მრავალრიცხოვნებით) იწყებდა სამხედრო პოტენციალის კარგვას და ადვილად დასამარცხებელი ხდებოდა. ეს კი თავის მხრივ, „ბარბაროსების გამრავლებას,“ ანუ ქვეყნის პოტენციური მტრების გააქტიურებასა და ქვეყნის შიგნით წარმოქმნილი რეგრესული პროცესების გაღრმავებას იწვევდა.

ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო წარმატებებსა თუ წარუმატებლობებს, როგორც თავდაცვით ბრძოლებში, ასევე ხანგრძლივ თუ მცირე მასშტაბის შეტევითი ხასიათის სამხედრო კამპანიებში, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ომების სანარმოებლად საჭირო რესურსების ოდენობა და სამხედრო საქმის ორგანიზაციის სისტემის ეფექტურობა განაპირობებდა. იმის გასაგებად, თუ როგორ აღწევდა შთამბეჭდავ გამარჯვებებს საქართველო და რა იყო მისი, ერთი შეხედვით, აუხსნელი დამარცხებების მიზეზები, ჩვენში არსებული სამხედრო საქმის ორგანიზაციის ცოდნაა საჭირო. იმისთვის, რომ სწორად გავერკვეთ სამხედრო ორგანიზაციის ნიუანსებში, მარტო საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის შესწავლა საკმარისი არ არის. სამხედრო საქმისა და ომების ურთულესი ბუნების სწორად გაგება შეუძლებელია მხოლოდ ერთი ქვეყნის მაგალითზე. ამისთვის აუცილებელია მთლიანად ეპოქის საერთო ტენდენციების ცოდნა, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სამხედრო ორგანიზაციის სხვადასხვა ასპექტის შესწავლა, ომების მიზნებისა და მათი მიღწევის შესაძლებლობების გაგება და ა.შ. რაც ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ომები ყოველთვის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მათ სწორ და ეფექტურ წარმოებაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის ნებისმიერი სფეროს: ეკონომიკის, კულტურის, იდეოლოგიის და ა.შ. ფორმირება და განვითარება, თავის მხრივ

კი, სახელმწიფოებრიობის განვითარების საერთო დონე, განაპირობებდა სამხედრო საქმის ორგანიზაციის დონესაც. არც ერთი სახელმწიფო არ არსებობდა სამხედრო ინსტიტუტების გარეშე, მაგრამ ყველა მათგანი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ორგანიზაციის ფორმებით და შესაბამისად, ეფექტურობით, რის გამოც სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესწავლა და სწორი გააზრება ნებისმიერი სახელმწიფოს ისტორიის შესწავლისთვის აუცილებელი პირობაა. სამხედრო საქმის ისტორია, ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება და სწორად აღქმის უმთავრესი საშუალებაა.

შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი დარგია. მიუხედავად იმისა, რომ რიგი ქართველი მეცნიერები საკმაოდ ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ამ მიმართულებით, ერთიანი კონცეპტუალური ხედვა შუა საუკუნეების ქართული სამხედრო ხელოვნების ფორმირების, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპების, ხასიათისა და თავისებურებების შესახებ ჯერ-ჯერობით არ ჩამოყალიბებულა.⁶¹ მაგალითად, ისეთ ფუნდამენტურ გამოცემაში, როგორიც „საქართველოს ისტორიის ნარკვევებია,“ სამხედრო ხელოვნების ისტორიას მხოლოდ ეპიზოდური ყურადღება აქვს დათმობილი. რაც შეეხება ნაშრომებს, რომლებიც სპეციალურად სამხედრო საკითხების შესახებ იწერებოდა, ან ნაშრომებს, სადაც სამხედრო ისტორიის ცალკეული საკითხების განხილვა პოლიტიკური ისტორიის სხვადასხვა კონტექსტში ხდებოდა,⁶² მათში სამხედრო ისტორიის პრობლემატიკას ან სოციალური სტრუქტურის კუთხით, ან მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების ფონზე განიხილავდნენ და როგორც წესი, თითქმის აპრიორულ ჭეშმარიტებად იღებდნენ წერილობითი წყაროების, ხშირ შემთხვევაში, სრულიად დაუჯერებელ და ფანტასტიკურ ცნობებს, რის გამოც ისტორიულ ნაშრომებში სამხედრო ისტორიის ცალკეული ეპიზოდები უფრო ჰეროიკული ლიტერატურის ნიმუშების სახეს იღებდა, ვიდრე კრიტიკული ისტორიული კვლევისა.⁶³

ჩემთვის ცნობილ ისტორიულ შრომებში, რომლებიც საქართველოს მიერ წარმოებულ ომებს შეეხება, საქართველოს არმია თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია როგორც ბევრად მცირერიცხოვანი სამხედრო ძალა მის მონინალმდეგებთან შედარებით. ფაქტობრივად, არც ერთ ნაშრომში დაშვებულიც კი არ არის იმის შესაძლებლობა, რომ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს შეიძლებოდა უფრო დიდი სამხედრო ძალა ჰყოლოდა, ვიდრე მის მონინალმდეგეს. ბუნებრივია, სამეცნიერო კვლევებში სამხედრო ისტორიის „შუა საუკუნეების ქრონიკათა“ სტილში რეკონსტრუქცია ისტორიული პროცესების მკვეთრ „ჰეროიზაციას“ იწვევდა, რაც ნებით თუ უნებლიედ, ისტორიულ რეალობებს შორდებოდა. იმ კონცეფციების არსებობის პირობებში, რომელთა მიხედვითაც თითქმის „მთელი მსოფლიო“ საქართველოს დაპყრობას ცდილობდა და მის ყოველ წინსვლას „ველური ბარბაროსების“ შეტევებით პასუხობდა, ყურადღების მიღმა და შესწავლის გარეშე რჩებოდა საქართველოში სხვადასხვა დროს არსებული სამხედრო საქმის ორგანიზაციის სტრუქტურა და აქედან გამომდინარე მასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. მაგალითად, თუ როგორ იყო ორგანიზებული სამხედრო საქმე ქართულ სამეფოებსა და საქართველოს ერთიან სამეფოში. რა მსგავსება-განსხვავებები არსებობდა მათ შორის, რა მასშტაბის სამხედრო რესურსები და სამხედრო შესაძლებლობები ჰქონდათ საქართველოს მეფეებს. იყო

თუ არა მათ მიერ მიღებული სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური გადაწყვეტილებები თავსებადი არსებულ სამხედრო შესაძლებლობებთან. როგორი იყო საბრძოლო ტაქტიკა, ომების წარმოების მეთოდები, სტრატეგიული გადაწყვეტილებების ხარისხი კონკრეტული ომებისას და ა.შ. აღნიშნულის შედეგად, უპასუხოდ რჩებოდა მნიშვნელოვანი კითხვები, რომლებიც საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პერიოდის ობიექტური გააზრებისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა. პოლიტიკური ისტორიის კონტექსტში, გაუგებრად გამოიყურება, როგორ მოახერხა ნაკლები რესურსების პირობებში დავით აღმაშენებელმა სელჯუკების უზარმაზარი პოტენციალის დამარცხება და რატომ ვერ შეძლო იგივე წარმატების მიღწევა რუსუდანის დროინდელმა საქართველომ ჯალალ ად-დინთან აღმატებული შესაძლებლობების პირობებში. ასეთი მოვლენების შესწავლისას, კონცეპტუალური შეხედულებების, სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების განხილვისა და ღრმა ისტორიული ანალიზის ნაცვლად, ხშირად წინ გამოდიოდა მოსაზრებები, რომლებიც მომხდარ მოვლენებს მარტივ ახსნას აძლევდნენ, რაც შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს: „იქ სადაც ქართული არმია იმარჯვებდა, ეს ძირითადად ქართველ მხედარმთავართა და მეომართა მაღალი საბრძოლო თვისებებითა და განსაკუთრებული სიმამაცით იყო განპირობებული, ხოლო სადაც მარცხდებოდა, იქ ღალატს ჰქონდა ადგილი.“⁶⁴ ერთიანი საქართველოს კატასტროფული დამარცხება ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ წარმოებულ ომში, ამ ომის ერთი ეპიზოდის, გარნისის ბრძოლის წაგებითაა ახსნილი, რაც ქართული ისტორიოგრაფიის თითქმის ერთსულოვანი დასკვნით, ივანე ათაბაგის ღალატის შედეგად მომხდარა.⁶⁵ რომც დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ გარნისის ბრძოლა საქართველოს სამეფოს არმიამ ჯალალ ად-დინთან მხოლოდ ივანე ათაბაგის გამო წააგო, შემდგომი დამარცხებების ახსნა და მთელი საომარი კამპანიის წაგება, ბუნებრივია, მხოლოდ ერთი მოღალატური საქციელით ვერ მოხდებოდა.

სამეცნიერო კვლევებში დამკვიდრებულმა სამხედრო ისტორიის „ჰეროიზაციის“ პროცესმა განაპირობა ის გარემოება, რომ რიგ ფსევდო აკადემიურ გამოცემებში გამოჩენა, და მათი მეშვეობით საზოგადოებრივ აზრში შეღწევა დაიწყო ზღაპრების სფეროს მიახლოებულმა „მეცნიერულმა“ დასკვნებმა, რომელთა მიხედვითაც, მაგალითად, „დავით აღმაშენებელმა I ჯვაროსნული ლაშქრობის პროვოცირება თავისი აგენტის, ბიზანტიის იმპერატორის ალექსი კომნენოსის მეშვეობით მოახდინა,“ რომ „დიდგორის ბრძოლამ XII ს-ის მსოფლიო ისტორიაში გადამწყვეტი როლი ითამაშა და საქართველოს მსოფლიო პეგემონობის აღიარებას წინ ველარაფერი დაუდგებოდა“ და ა.შ.⁶⁶ რაც უკვე არა ისტორიის ჰეროიზაცია, არამედ მისი გაყალბებაა და ისიც მხოლოდ საკუთარი ხალხისთვის. ამგვარი „დასკვნების“ წარმოქმნის საფუძველი „ჩადებული“ იყო (და არის) მთელ რიგ აკადემიურ სამეცნიერო კვლევებში, რომლებიც სხვადასხვა პერიოდის ქართული სახელმწიფოებისა, თუ ერთიანი საქართველოს სამეფოს წინაშე მდგომი პოლიტიკური ამოცანების განსაზღვრისას ხელმძღვანელობდნენ არა რეალურად არსებული სამხედრო ორგანიზაციის მასშტაბებითა და ეკონომიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობებით, რის გარეშეც ნებისმიერი პოლიტიკური ამოცანა მხოლოდ სიტყვიერ დეკლარაციად რჩება, არამედ წერილობით ნყარობის გაზვიადებული ცნობებითა და იმ იდეოლოგიური ტრაფარეტებით, რომლებითაც სავსეა შუა საუკუნეების ნებისმიერი ქვეყნის ქრონიკები.⁶⁷ კვლევის ასეთი მეთოდოლოგიის შედეგად, ისტორიულ შრომებში გამოჩნდა შეხედულებები (და

ხშირ შემთხვევებში დასკვნები), რომლებიც აყალიბებდნენ საქართველოს წინაშე არსებულ „მსოფლიო ამოცანებს“, რომელთა მიხედვითაც ჩვენი წინაპრები „თავის ბრძოლას იმ ბოროტ ძალებთან, რომელნიც ამ სამყაროს (იგულისხმება ზოგადად ცივილიზებული სამყარო-ს.მ.) საზღვრების გარეშე იმყოფებოდნენ, განიხილავდნენ როგორც ბრძოლას არა მარტო საკუთარი ეროვნული ინტერესებისთვის, არამედ იმავე დროს საერთო კულტურული კაცობრიობის ინტერესებისათვისაც. ეს იყო ის ამოცანა, რომლის განხორციელებისათვის მოღვაწეობა ჩვენს მონიხავე წინაპრებს სიმხნესა და სიამაყის გრძნობას ჰმატებდა.“⁶⁸

შეხედულებები საქართველოს წინაშე არსებული „მსოფლიო ამოცანების“ შესახებ საკმაოდ მყარად დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მათგან დღემდე ყველაზე „პოპულარულია“ ორი: პირველი ის, რომ გაერთიანებული ქართული სამეფო ცდილობდა დაეკავებინა ბიზანტიის იმპერიის ადგილი და მეორე, შეესრულებინა ქრისტიანული სამყაროს დამცველის „მსოფლიო ფუნქცია“ და დაეცვა იგი ისლამისა თუ სხვა მომხდურების შეტევებისგან.

ქრისტიანულ სამყაროში ბიზანტიის „ადგილის დაკავების“ იდეა თავის დროზე წამოაყენა აკად. ს. ჯანაშიამ, რომელიც წერდა, რომ: „დავით აღმაშენებლის შემდეგ ქართველ მეფეთა მისწრაფებები ბოლოს ყალიბდება როგორც ისტორიული სარბიელიდან ჩამომავალი ბიზანტიის იმპერატორების ადგილის პრეტენზია.“⁶⁹ აღნიშნული მოსაზრება ისტორიოგრაფიის მიერ ფართოდ იქნა გაზიარებული და „განვითარებული“, იგი სხვადასხვა ინტერპრეტაციითა და კიდევ უფრო შორს წასული „დასკვნებით“ დღემდე გვხვდება სამეცნიერო კვლევებში. მაგალითად, 1998 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ვ. კობალაძე წერდა, რომ: „გიორგი მერჩულეს თეორია (ბაგრატიონების ბიბლიური წარმოშობის შესახებ-ს.მ.) იმ ტენდენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელსაც ბიზანტიასთან თავის გატოლება და საბოლოო ჯამში, მსოფლიო პოლიტიკაში მისი ადგილის დაკავება ერქვა“ და მას „უკვე IX-X საუკუნეებში შორსმიმავალი მიზნები ჰქონდა“⁷⁰. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, ფაქტიურად, გამოდის, რომ ბიზანტიის როლზე არა მარტო დავით აღმაშენებლის შემდგომი, ერთიანი საქართველოს მეფეები ფიქრობდნენ, არამედ IX-X საუკუნეების პატარა სამეფოების მფლობელი ბაგრატიონები, რომელთა შესაძლებლობებიც (და ამის შესაბამისად ამბიციებიც) ბევრად ჩამორჩებოდა არა მარტო „მსოფლიო მასშტაბის“, არამედ ძლიერ რეგიონალურ სახელმწიფოებისასაც, რის გამოც ასეთი ამოცანების დასმა მათ უბრალოდ არ შეეძლოთ.

IX-X საუკუნეებში ბაგრატიონებს, ბიზანტიის იმპერატორებთან თავის გატოლება და „მსოფლიო პოლიტიკაში“ მონაწილეობა, ასეთი სურვილის კონცეპტუალური ფორმით არსებობის შემთხვევაშიც კი, არაფრით არ შეეძლოთ. ამ მასშტაბის იდეა მისი რეალიზებისთვის აუცილებელი რესურსების არსებობის გარეშე ვერ წარმოიქმნებოდა და ეს ყველაზე კარგად თავად ქართველმა მეფეებმა იცოდნენ. IX-X საუკუნეების ქართული სამეფოების სახელმწიფოებრივი მასშტაბები და არსებული გეოპოლიტიკური ვითარება, მსგავსი პოლიტიკური ამოცანების ფორმირებას უბრალოდ გამორიცხავდა, რის გამოც მათი რეალობად მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დავიჯერებთ, რომ ქართველი მეფეები „პოლიტიკური მეოცნებენი“ იყვნენ და არა რეალურად მოაზროვნე მოღვაწეები, ამ დასკვნის საშუალებას კი, მათი საქმიანობა არაფრით არ იძლევა. IX-X საუკუნეები ბიზანტიის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური

აღმავლობის ხანას წარმოადგენდა, მან თავისი ძლიერების ზენიტს (რომლის მსგავსიც იუსტინიანეს პერიოდის შემდეგ არ ჰქონია) X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის პირველ მეოთხედში მიაღწია და იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.⁷¹ ბიზანტიის ძლევამოსილებას სცნობდა მთელი ფეოდალური სამყარო და ამ ვითარებაში აფხაზეთის, ან ტაო-კლარჯეთის მეფეებისთვის (ან ზოგადად ქართული პოლიტიკური აზრისთვის), რომელთა განკარგულებაშიც „მსოფლიო პოლიტიკისთვის“ ძალზედ პატარა სახელმწიფოები და მცირერიცხოვანი არმიები იყო, „იმპერიის ჩანაცვლების გეგმების“ შედგენის არავითარი საფუძველი არ იარსებებდა. ქართველ მოღვაწეებს IX-X საუკუნეებში „რომც შესძლებოდათ“ თითქმის ორი საუკუნის შემდეგ მოსახდენი მოვლენების (ერთიანი სამეფოს ფორმირების, სელჯუკების გამოჩენის, მათ მიერ ბიზანტიის დამარცხების, სელჯუკთა იმპერიის კრიზისის, ჯვაროსნული ლაშქრობების და ა.შ.) ზუსტი პროგნოზირება, „მსოფლიო პოლიტიკის“ წარმოების ამბიციები მაინც ნაკლებად გაუჩნდებოდათ, რადგან თავისი სამხედრო რესურსებითა და ეკონომიკური უზრუნველყოფის მასშტაბებით საქართველო თავისი ძლიერების ხანაშიც კი, მართალია, ამიერკავკასიისა და წინა აზიის ერთ-ერთ უდიდეს და უძლიერეს, მაგრამ მაინც რეგიონალურ სახელმწიფოდ რჩებოდა. „მსოფლიო პოლიტიკის“ წარმოება იმპერიების, ან სახელმწიფოთა მსხვილი კოალიციების პრეროგატივა იყო, საქართველო არასოდეს არც იმპერიად ჩამოყალიბებულა და არც ასეთი კოალიციის წევრი ყოფილა, თუმცა თამარის მეფობის დროს ჰქონდა ამბიცია განეხორციელებინა „მსოფლიო მასშტაბის“ ამოცანები, ასეთი იყო, მაგალითად, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე კომნენოსთა რესტავრაციის მცდელობა, მაგრამ ეს ვერ შესრულდა ძირითადად იმის გამო, რომ თამარის ეპოქის ძლიერების ხანაშიც კი, საქართველოს სამეფოს რესურსები ამისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.⁷²

ასევე სრულიად დაცილებულია საქართველოს სამხედრო და ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქრისტიანული სამყაროს დაცვის ის ფუნქცია, რასაც ქართული ისტორიოგრაფია საქართველოს სამეფოს მიანერს. ასეთი ფუნქციის გლობალურ მასშტაბში თავის თავზე აღება საქართველოს ორი ძირითადი მიზეზის, ადგილმდებარეობისა და სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობების გამო არ შეეძლო. ქრისტიანული სამყაროს (ე.ი. ევროპის) დაცვა ნიშნავდა იმას, რომ უნდა ჩაგეკეტა ის მაგისტრალები, რომლითაც მუსლიმურ ძალებს დასავლურ სამყაროში შეღწევა შეეძლოთ, ეს მაგისტრალები კი აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებაზე, საქართველოს სამხრეთი რეგიონებიდან მოშორებით, ჩრდილო მესოპოტამიისა და სომხეთის ტერიტორიებზე გადიოდა და თავს იყრიდა მცირე აზიაში (ანატოლიაში), ანუ იქ, სადაც ბიზანტიის იმპერია მდებარეობდა.⁷³ ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ამ ფუნქციას ნამდვილად ასრულებდა ბიზანტიის იმპერია, მაგრამ საბოლოოდ თავად აღმოჩნდა იმ ისლამურ-მომთაბარული ძალებისგან განადგურებული, რომელთა წინსვლასაც საკმაო წარმატებით აფერხებდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.⁷⁴ სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველოს სამეფოს, რომელსაც არასოდეს არ მიუღწევია ბიზანტიური მასშტაბებისთვის და არც ის მაგისტრალები სჭერია, რომლითაც მომთაბარული თუ ისლამური არმიები მოძრაობდნენ დასავლეთისკენ, ასეთი ამოცანის შესრულება არ შეეძლო და მას ამის გაკეთება რომ ეცადა, ისევე აღმოჩნდებოდა ისლამურ-მომთაბარული ძალებისგან ნალექილი, როგორც აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერია. მიუხედავად იმისა, რომ

საქართველოს ზოგი მეფე უშვებდა სტრატეგიული ხასიათის შეცდომებს, რასაც ქვეყნისთვის მძიმე შედეგები მოჰქონდა,⁷⁵ უმთავრესი სტრატეგიული ხასიათის შეცდომა, რაც ისლამის სამყაროსთან გლობალურ დაპირისპირებას გამოიწვევდა, საქართველოს მეფეებს თითქმის არ დაუშვიათ,⁷⁶ რის შედეგადაც ისლამური სამყაროს წინაშე საქართველოს, როგორც ქრისტიანული ქვეყნის განადგურების ამოცანა, გლობალურ მასშტაბში, ფაქტიურად, არ დამდგარა. ქრისტიანობის შენარჩუნება და საუკუნეების განმავლობაში რწმენის ერთგულება, ხელს არ უშლიდა საქართველოს სამეფოს ეარსება მუსლიმურ გარემოცვაში, რაზედაც გარკვევით მიუთითებს, მაგალითად, სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეობის ის საკმაოდ ხშირი ფაქტები, რომელიც საქართველოს სამეფოს ჰქონდა მუსლიმურ სახელმწიფოებთან,⁷⁷ პოლიტიკური ქორწინებები მუსლიმურ დინასტიებთან,⁷⁸ ეკონომიკურ-კულტურული კავშირები⁷⁹ და (ბოლოს და ბოლოს) ვეფხისტყაოსანი, სადაც შესანიშნავადაა ფორმულირებული მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი აღმოსავლურ სამყაროსთან.⁸⁰

რასაკვირველია, რელიგიური ფაქტორი მძაფრ ფონს ანიჭებდა იმ ომებს, რომელსაც საქართველო მუსლიმური სახელმწიფოების წინააღმდეგ აწარმოებდა, მაგრამ ეს ომები, უმრავლეს შემთხვევებში, პოლიტიკური დაპირისპირების ხასიათს ატარებდა (რაც ფეოდალიზმის ბუნებრივი მოვლენა იყო) და არა რელიგიურის.⁸¹ ისლამური სახელმწიფოები, რომლებიც დასავლეთის ქრისტიანული სახელმწიფოების წინააღმდეგ ხშირად იყენებდნენ რელიგიურ მოტივაციას, საქართველოს ჯიჰადს საკმაოდ იშვიათად უცხადებდნენ,⁸² რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისლამური სამყარო მთლიანობაში ცნობდა საქართველოს კანონიერ უფლებას, ეარსება როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოს მუსლიმურ გარემოცვაში, რაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე საქართველოს მეფეთა იმ სწორი სტრატეგიის შედეგი იყო, რასაც მუსლიმურ სამყაროსთან თანაარსებობა ერქვა სახელად. აღნიშნული გარემოებების გამო, საქართველოსთვის ქრისტიანული სამყაროს დამცველი ფორპოსტის ფუნქციის მიწერა, ისტორიულ რეალობას ნაკლებად უნდა შეეფერებოდეს, საქართველო იყო აღმოსავლეთში მდებარე უკიდურესი ქრისტიანული სახელმწიფო და არა ქრისტიანული სამყაროს დამცველი ფორპოსტი, ამიტომ ცალკეულ მოღვაწეთა გამონათქვამებსა თუ სხვადასხვა ისტორიულ (ძირითადად რელიგიური ხასიათის) ნყაროებში მოცემულ იდეოლოგიურ განსაზღვრებებში, ნაკლებად უნდა ვეძებოთ ის „ფაქტი,“ რომ საქართველოში უკვე IX-X საუკუნეებში ყალიბდებოდა „მესამე რომის“ იდეა.

ისტორიის ჰეროიზაციისა და არარსებული „მსოფლიო ამოცანების“ თავიდან არიდების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესწავლაა. იმ ვითარებაში, როდესაც მეცნიერებას გააჩნია სწორი წარმოდგენები ამა თუ იმ ეპოქაში არსებული სამხედრო საქმის ორგანიზაციისა და კონკრეტული ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობების შესახებ, მაშინ „მსოფლიო ჰეგემონობის“ უსაფუძვლო პრეტენზიები დროის რომელიმე ისტორიულ მონაკვეთში ნაკლებად გაჩნდება. როდესაც ჩვენთვის ცნობილია თუ რა მასშტაბის არმია შეიქმნებოდა ჰყოლოდა ქვეყანას თავისი ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე, როგორი იყო ამ არმიის ბრძოლისუნარიანობა და ომების წარმოების რესურსები (რამდენ ხანს შეეძლო მას საბრძოლო პირობებში მოქმედება, როგორი დისტანციების გადალახვის უნარი გააჩნდა, რა პერიოდის განმავლობაში ახერხებდა მეომართა უზრუნველყოფას და ა.შ.), მაშინ ამ ქვეყნის საერთო შესაძლებლობებიცა და პოლიტიკური პრეტენ-

ზიების რეალობა თუ არარეალობაც გასაგები გახდება. მაგალითად, მონღოლთა ფანტასტიკური დაპყრობების არსში გასარკვევად, პირველ რიგში, მონღოლურ სამხედრო ორგანიზაციას უნდა იცნობდე, ხოლო იმისთვის რომ გააცნობიერო ჯვაროსანთა, ან სელჯუკთა თავდაპირველი წარმატებებისა და შემდგომი წარუმატებლობის მიზეზები, ასევე უნდა იცოდე თუ როგორი იყო მათი სამხედრო შესაძლებლობები, თუმცა ეს საკმარისი არ არის. იმისთვის, რომ მონღოლთა გრანდიოზული დაპყრობების „საიდუმლო გაირკვეს,“ მონღოლური სამხედრო ორგანიზაციის გვერდით, აუცილებელია იმ ქვეყნების სამხედრო ორგანიზაციის ცოდნაც, რომლებსაც მონღოლები იპყრობდნენ, ისევე როგორც ჯვაროსნების ან სელჯუკების მონინალმდეგეებისა. კომპლექსური მიდგომა ასეთ შემთხვევაში აუცილებელი და ყველაზე სწორი მეცნიერული მეთოდია.

ბუნებრივია, რომ ამ საერთო წესიდან საქართველო არ შეიძლება იყოს გამონაკლისი, ამიტომ შუა საუკუნეების საქართველოში არსებული სამხედრო საქმის ორგანიზაციის შესწავლა, მის გარემომცველ ქვეყნებში არსებულ სამხედრო ინსტიტუტების შესწავლის ფონზე უნდა მოხდეს, რადგან საქართველოს სამეფოს სამხედრო შესაძლებლობების შეფასება, მისი მონინალმდეგეებისა, თუ მოკავშირეების სამხედრო პოტენციალის შეფასების გარეშე შეუძლებელია. საქართველო არსებობდა და ვითარდებოდა თავის ბუნებრივ გეოპოლიტიკურ გარემოში, სადაც მას უწევდა როგორც შეტევითი, ასევე თავდაცვითი ომების წარმოება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სამხედრო ხელოვნებაზე ისახებოდა ყველა ის ასპექტი, რომლებსაც ამ გეოპოლიტიკურ გარემოში არსებული ქვეყნები იყენებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობის სამხედრო გზით გარკვევისას. შესაბამისად, ამ ომების ბუნების გარკვევის გარეშე, ზოგადი ისტორიული პროცესებისა და კონკრეტულად საქართველოს ისტორიის ობიექტური დანახვაც შეუძლებელია, რაც მეცნიერების წინაშე გარდაუვლად აყენებს ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესწავლის ამოცანას, მისი თანადროული ისტორიული კონტექსტის ფონზე, რისი ერთი მცდელობაც წინამდებარე ნაშრომია.

ნაშრომისა და საკვლევი თემის ქრონოლოგია მარტივად ისაზღვრება, საწყის პერიოდად აღებულია IX საუკუნე, როდესაც დაიწყო შუა საუკუნეების ქართული სამეფოების წარმოქმნისა და ერთიან სამეფოდ ფორმირების პროცესი, დასასრულად კი, XV საუკუნის მიწურული, როდესაც საქართველოს სამეფო დაშლილი აღმოჩნდა. ნაშრომი დაყოფილია (წინამდებარე) წინასიტყვაობად, სამ ძირითად ნაწილად და ეპილოგად. პირველ ნაწილში წარმოდგენილია შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნების ზოგადი პრინციპები, რომლებიც მეტ-ნაკლებად საერთო იყო ფეოდალური სამყაროსთვის, კერძოდ, მოცემულია სამხედრო ორგანიზაციის სისტემა და მისი სპეციფიკური თავისებურებები, ომების მიზნები, ხასიათი და კანონები, არმიის სტრუქტურა, საბრძოლო შესაძლებლობები, სტრატეგიული ხედვები, შეტევითი და თავდაცვითი ომების წარმოების მეთოდები და ა.შ. მეორე ნაწილში წარმოდგენილია იმ ქვეყნების არმიები მათი სპეციფიკითა და თავისებურებებით, რომლებთანაც მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები ჰქონდა საქართველოს, ხოლო მესამე ნაწილში გადმოცემულია შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპები, რომელთა ფონზეც განხილულია სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის საკვანძო მომენტები, ნაჩვენებია თუ როგორ იყენებდნენ არსებულ სამხედრო შესაძლებლობებს ქართველი მეფეები თუ სხვა მხედარმთავრები, როგორ რეაგირებდნენ

სხვადასხვა გეოპოლიტიკურ ვითარებაში წარმოქმნილ საფრთხეებზე და როგორ წარმართავდნენ იმ შეტევითი თუ თავდაცვითი ხასიათის ომებს, რომელთა წარმოებაც ეპოქის გამოწვევების შესაბამისად ხშირად უწევდათ. ნაშრომის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, არსებული ისტორიული მონაცემებისა და შუასაუკუნეებში დამკვიდრებული სამხედრო ხელოვნების სტანდარტების ურთიერთშეჯერების გზით, შეძლებისდაგვარად მოახდინოს ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარების ევოლუციური ხაზის დინამიური რეკონსტრუქცია, საბოლოო მიზანს კი იმის გარკვევა წარმოადგენს, თუ რა ძირითადმა მიზეზებმა განაპირობა ის სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის წარმატებები, რასაც საქართველოს სამეფომ მიაღწია XII საუკუნეში და ის კატასტროფული მარცხი, რაც მან საბოლოოდ განიცადა XV საუკუნის მიწურულს, რის შესახებაც მოსაზრებები დასკვნის სახით, ეპილოგშია გადმოცემული.

გარდა აღნიშნულისა, ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, აჩვენოს რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან შუასაუკუნეებში არსებული სამხედრო ორგანიზაციის ორი ფორმა, ფეოდალური და მომთაბარული. რაზე იყო დარყდნობილი მომთაბარეთა სამხედრო ძლიერება და რით იყვნენ ისინი საშიშნი ფეოდალური სახელმწიფოებისთვის, რათა დავინახოთ ის გეოპოლიტიკური თუ სამხედრო ხასიათის სირთულეები, რომელთა გადალახვაც უწევდა საქართველოს სხვადასხვა სამხედრო ძალის მქონე მონინაალმდეგებთან ომებში.

თავი 1

სამხედრო საქმის ორგანიზაცია და ომების ხასიათი შუა საუკუნეების ეპოქაში

შუა საუკუნეების ეპოქაში არსებობდა სამხედრო საქმის ორგანიზაციისა და არმიის დაკომპლექტების ორი ძირითადი სისტემა, ფეოდალური და მომთაბარული.

ა) სამხედრო საქმის ორგანიზაციის ფეოდალური სისტემა

სამხედრო საქმის ორგანიზაციის ფეოდალური სისტემა სამი ძირითადი (პირობითი) სახეობით: დასავლეთ ევროპული, ბიზანტიური და აღმოსავლურით (მუსლიმურით) იყო წარმოდგენილი, რომლებიც მიუხედავად მრავალი განსხვავებისა, ხასიათდებოდნენ ერთი საერთო ნიშნით, დაფუძნებული იყვნენ მინისმფლობელობასა და მისგან გამომდინარე ვალდებულებებზე. დასავლეთ-ევროპულ ქვეყნებში გავრცელებული იყო მინის საკუთრების სენიორალურ-ვასალური სისტემა, რომლის დროსაც წარმოქმნილი, ე.წ. ფეოდალური კიბის წარმომადგენლები, იერარქიული თანმიმდევრობით ვალდებულნი იყვნენ მიღებული მინის ნაკვეთის სანაცვლოდ სამხედრო სამსახური გაენიათ მის ზემოთ მდგომი უფრო მსხვილი მინისმფლობელის, სენიორისთვის.¹ განსხვავებული იყო მინისმფლობელობის ხასიათი ბიზანტიაში, სადაც მინის ფონდების სენიორალური მფლობელობის ნაცვლად, ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო (საიმპერატორო) საკუთრებაში იყო მოქცეული და იმპერიის ადმინისტრაციულ-ჩინოვნიკური აპარატის მიერ პირდაპირ მფლობელობაში გადაეცემოდა წვრილ მინისმფლობელებს, სტრატეგებს (XI საუკუნემდე), ხოლო მოგვიანებით, დროებითი რენტის უფლებით, პრონიატებს, რომლებიც პრონიას (მინის ნაკვეთით დროებითი სარგებლობის ფორმა) სანაცვლოდ, სტრატეგების მსგავსად, ვალდებულნი იყვნენ გაენიათ სამხედრო სამსახური იმპერიისთვის.² მუსლიმურ სახელმწიფოებში მინის ფონდები (ფორმალურად) მთლიანად სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და მათი განმკარგავი ცენტრალური ხელისუფლება იყო (სულთნების, დამოუკიდებელი ემირების და ა.შ. სახით), რომელთაგანაც მინის ნაკვეთი (არაბულ-სელჯუკური იქტა, ოსმალური ტიმარია) დროებით მფლობელობაში გადაეცემოდათ სხვადასხვა რანგის დიდებულებს (ემირებს, ათაბაგებს და ა.შ.), რის სანაცვლოდაც მათ სამხედრო სამსახურის გაწევა ევალებოდათ. მიღებული მინის ნაკვეთების შემდგომი დიფერენცირება სამხედრო ვალდებულების პირობით უფრო წვრილ სამფლობელოებად (დასავლეთ ევროპული სისტემის მსგავსად), უკვე იქტას, ან ტიმარიას შიგნით ხდებოდა.³

ფეოდალური ურთიერთობების ბუნება განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ ნებისმიერი მსხვილი მიწათმფლობელის (მეფის, სულთნის, ჰერცოგის, ემირის და ა.შ.) უპირველესი ამოცანა, მის ხელთ არსებული მინის ფონდის დანაწილება იყო საპასუხო ვალდებულებების მიღების სანაცვლოდ, რომელთა შორისაც უმთავრესს სამხედრო სამსახური წარმოადგენდა. 1066 წელს, როდესაც ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰელმმა დაიპყრო ინგლისი, მისი პირველი

საზრუნავი ნორმანდიელი არისტოკრატებისთვის არსებული მიწის ფონდის დანაწილება გახდა, რათა სასწრაფოდ შექმნილიყო მიწის მფლობელობაზე დამყარებული ფეოდალური განვების სისტემა, რომელსაც დაპყრობილი ქვეყნის შენარჩუნება და ათვისება უნდა უზრუნველყო.⁴ ანალოგიური იყო სელჯუკი სულთნების ქმედება მათ მიერ განხორციელებული მამულები დაპყრობების პერიოდში, როდესაც მათი უპირველესი ამოცანა იმ უზარმაზარი მიწის მასივების დანაწილება გახდა, რომელიც ამ დაპყრობების შედეგად მათ ხელთ აღმოჩნდა.⁵ იმ გარემოებით, რომ დასავლეთ ევროპელთათვის ასეთ მიწის ნაკვეთს „ლენი“ ერქვა, ბიზანტიელებისთვის „პრონია“, ხოლო მუსლიმებისთვის „იქტა“ ან „ტიმარია“, რომლებიც მიწის მფლობელობის რადიკალურად განსხვავებულ ფორმებს წარმოადგენდნენ, ამით ურთიერთობებისა და ვალდებულებების მთავარი არსი არ იცვლებოდა. სამხედრო საქმის ორგანიზაციის თვალსაზრისით ლენს, პრონიას, იქტასა და ტიმარიას, ჰქონდათ ერთი დანიშნულება, დაეკისრებინათ სამხედრო სამსახურის მოვალეობა ადამიანთა გარკვეული რაოდენობისთვის და გაეხადათ ისინი სამხედრო ვალდებულნი მიწისმფლობელი სახელმწიფოს წინაშე.

როგორც დასავლეთ-ევროპელი, ასევე ბიზანტიელი და მუსლიმი მიწისმფლობელებისთვის, სამხედრო სამსახურის მოტივაციას ორი ძირითადი გარემოება განაპირობებდა: შენარჩუნებინათ მიწაზე საკუთრება, რომელიც რაიმე იურიდიული მოტივაციის (მაგ. სამხედრო სამსახურში განვების იგნორირების) გამოჩენის გამო ნებისმიერ დროს შეეძლოთ დაეკარგათ, და დაეცვათ მსხვილი მიწისმფლობელის ინტერესები (რაც უმრავლეს შემთხვევებში სახელმწიფო ინტერესებს უტოლდებოდა), როგორც საკუთარი მიწისმფლობელობის გარანტირების სისტემა.

შუასაუკუნეებში სამხედრო სამსახურის უმთავრესი მოტივი, მიწაზე საკუთრების მიღების უფლება, მიუხედავად სხვადასხვა ფეოდალურ საზოგადოებებსა თუ კონკრეტულ ქვეყნებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებებისა და სპეციფიკური თავისებურებებისა, თავისი ბუნებითა და დანიშნულებით ფეოდალური სამყაროს უმთავრეს პრინციპად რჩებოდა, რის გამოც წვრილი ბიზანტიელი მიწისმფლობელი სტრატეგოტი, რომლის სენიორიც, არა უფრო მსხვილი მიწისმფლობელი ფეოდალი, არამედ სახელმწიფო იყო თემების სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემის სახით, ისევე იყო სამხედრო ვალდებული მიღებული მიწის გამო, როგორც წვრილი რაინდი დასავლეთ ევროპულ ქვეყნებიდან, რომლის სენიორიც არა სახელმწიფო, არამედ უფრო მსხვილი მიწისმფლობელი (გრაფი, ჰერცოგი და ა.შ.) იყო. რიგი სპეციფიკური განსხვავებების მიუხედავად, იგივე პრინციპი მოქმედებდა ისლამის სამყაროშიც.

მიწისმფლობელობა იმდენად მაღალი მოტივაცია იყო შუა საუკუნეების ადამიანებისთვის, რომ ისინი მის მისაღებად მზად იყვნენ ნებისმიერი სამსახურის გასაწევად. მაგალითად, ნიკიტა ხონიატის მოწმობით, მანუელ კომნენოსის მმართველობის ხანაში (1143-1180 წწ.) მრავალი ბიზანტიელი ქრთამს უხდიდა სახელმწიფო მოხელეებს, რათა მეომრებად ჩაწერილიყვნენ და იმპერიისგან მიწის ნაკვეთი მიეღოთ.⁶ სამხედრო საქმის ორგანიზაციისთვის მიწის ფონდების ასეთი მაღალი მნიშვნელობის გამო, მსხვილი მიწისმფლობელები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ მათ მფლობელობაში არსებული მიწები მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცათ ვასალებისთვის, რათა მიეღწიათ სამხედრო სამსახურის შესრულების მაქსიმალური ეფექტურობისთვის და გაეზარდათ მათი

მოტივაცია ერთგული სამსახურისთვის. ამ მიზანს ემსახურებოდა ის მრავალი საკანონმდებლო აქტი, რომელთა შორის შუა საუკუნეების მანძილზე გამუდმებით იქმნებოდა სხვადასხვა სახელმწიფოებში და მინის მფლობელობის სანაცვლოდ სამხედრო სამსახურის ვალდებულებას აკანონებდა. მაგალითად, შუასაუკუნეების ერთ-ერთ პირველ ასეთ იურიდიულ აქტს წარმოადგენდა ფრანკი იმპერატორის ლოთარის 825 წლის ბრძანება, ფეოდის (ლენის) ჩამორთმევის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მინის მესაკუთრე ლაშქრობაში მონაწილეობას არ მიიღებდა, ხოლო ერთ-ერთ უკანასკნელს, ოსმალეთში XV-XVI საუკუნეებამდე მოქმედი კანონი სიპახისთვის ტიმარიას ჩამორთმევის თაობაზე, თუ ის სამხედრო სამსახურს თავს აარიდებდა.⁸ მსგავსი ტიპის ბრძანებები თუ სხვა სახის საკანონმდებლო აქტები მრავლადაა ცნობილი შუა საუკუნეების სხვადასხვა ქვეყნებიდან,⁹ მათ შორის საქართველოდან.¹⁰

საქართველოში სამხედრო საქმის ორგანიზაცია, მსგავსად დასავლეთ-ევროპული, ბიზანტიური თუ აღმოსავლური ფეოდალური სისტემებისა, ასევე მინისმფლობელობაზე იყო დაფუძნებული. ქართული წერილობითი წყაროები ადასტურებენ, რომ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში მინისმფლობელთა ურთიერთობები თითქმის ისეთივე იერარქიული სახის და ისეთივე ერთგვარი პირადი „თანამშრომლობის“ ფორმას წარმოადგენდა, როგორც ეს იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში,¹¹ რისი საფუძველიც სენიორის მხრიდან გაცემული მინის ნაკვეთი, ხოლო ვასალის მხრიდან ერთგულებისა და სამხედრო სამსახურის ფიცი იყო.¹² სწორედ ასეთი ერთგულებისა და სამხედრო სამსახურის „ფიცი“ მისცა თრიალეთში დამკვიდრებულმა ლიპარიტ ბაღვაშმა ტაოს მეფე დავით I კურაპლატს IX საუკუნის 80-იან წლებში („შეიპყრნა ლიპარიტ ქუყყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“¹³), რითაც იურიდიულად დაიკანონა მფლობელობის უფლება თრიალეთზე. ბუნებრივია, რომ ლიპარიტი, რომლის „პატრონსაც“ (სენიორს) დავით კურაპლატმა წარმოადგენდა, თავადაც იყო სხვა მინისმფლობელების „პატრონი“ თრიალეთში, რომლებიც ისევე იყვნენ სამხედრო ვალდებულნი ლიპარიტის წინაშე, როგორც ლიპარიტი დავით კურაპლატის მიმართ.¹⁴ იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე XI საუკუნის 50-იან წლებში, ბაგრატ IV-ს დროს, როდესაც ლიპარიტ ბაღვაშის დამარცხების შემდეგ მეფემ ლიპარიტის ვაჟს, ივანეს: „უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა, და ჰმონებდა (ივანე) ერთგულებით.“¹⁵

მსგავსს ურთიერთობებს სისტემატიურად ვხედავთ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მთელ სივრცეზე. მაგალითად, მეფის ერთგული „ვასალები“ არიან: სულა კალმახელი ბაგრატ IV-ის და ზაქარია ფანასკერტელი, რომლებიც თამარ მეფის დროს,¹⁶ ერთგული სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ დიდ ტერიტორიებს იღებენ დროებით მფლობელობაში. ასევე მსხვილ ტერიტორიებს იღებს გამგებლობაში გიორგი რუსის აჯანყების მონაწილე ზაქარია ვარამის ძე, რომელიც მეფემ შეინწყალა და მისგან ხელახლა მიიღო ერთგულების ფიცი, ხოლო ზაქარია მხარგრძელს ამირსპასალარობასთან ერთად საგამგებლოდ ქალაქი რუსთავიც ერგო,¹⁷ რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოში, ისევე როგორც შუა საუკუნეების თითქმის მთელ დანარჩენ ფეოდალურ სამყაროში, სამხედრო საქმის ორგანიზაციის ძირითად საფუძვლს უპირატესად მინის მფლობელობის დროებითი ფორმა „საკარგავი“ წარმოადგენდა, რომელიც იმ მთავარი ნიშნით, რომლის მიხედვითაც მანამ ეკუთვნოდა მის მფლობელს, სანამ

ის სამხედრო სამსახურს ასრულებდა, ახლო მსგავსებას პოულობდა როგორც დასავლეთ ევროპულ ლენთან, ასევე ბიზანტიურ პრონიასთან, სელჯუკურ იქტასა და ოსმალურ ტიმარიასთან.¹⁸ მაგალითად, საქართველოს რეალობებიდან, სამხედრო და სხვა სახის სახელმწიფო სამსახურის ნაცვლად ტერიტორიის მფლობელობაში მიღების კარგი მაგალითია თმოგვის ციხის (და მასთან ერთად თმოგვის „ქვეყნის“) სხვადასხვა მეპატრონეთა ხელში გადასვლის დინამიკა XI-XIII საუკუნეებში. 1044-1065 წლებში თმოგვი ერისთავ ფარსმან თმოგველის ხელში იყო, რომელიც ალფ-არსლანის შემოსევისას დაიღუპა. 1073 წელს იგი მიიღო ნიანია ქუაბულის ძემ, რომლის შვილიც, კახაბერ ერისთავი 1089 წელს მომხდარი მინისძვრის მსხვერპლი გახდა. 1177 წელს თმოგვის ახალი პატრონია მსახურთუხუცესი აფრიდონი, რომლის „დამცრობის“ შემდეგაც ამირსპასალარ გამრეკელის ხელში გადადის. 1191 წელს, გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ, თმოგვს მფლობელობაში იღებს სარგის ვარამის ძე მხარგრძელი და თმოგვი დიდი ხნით ამ საგვარეულოს ხელშია.¹⁹ თმოგვის ყველა მფლობელის უმთავრესი ვალდებულება სახელმწიფოსა და სამეფო ხელისუფლების წინაშე ერთგულება და სამხედრო სამსახური იყო, ყველა დასახელებული ისტორიული პერსონა, პირველ რიგში, სამხედრო მოღვაწეს წარმოადგენდა და აქტიურად მონაწილეობდა იმ დროის საომარ მოქმედებებში.

მინის დროებითი მფლობელობის სანაცვლოდ სამხედრო სამსახურის განევა, ფეოდალური საზოგადოების უმთავრეს ვალდებულებასა და სამხედრო საქმის ორგანიზაციის ძირითადი ელემენტის, ფეოდალური არმიის მობილიზების (განვევის) სისტემის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა. იმ ქვეყნებში, სადაც მინაზე საკუთრების ეს ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული და დიდი ხნის მანძილზე არსებობდა, სამხედრო საქმის ორგანიზაცია უფრო განვითარებული, ხოლო მის საფუძველზე ფორმირებული ფეოდალური არმია, უფრო ძლიერი და ბრძოლისუნარიანი იყო, თუმცა იმის გამო, რომ მინაზე დროებითი მფლობელობის გვერდით არსებობდა მინის მუდმივი საკუთრების ფორმაც, სამხედრო საქმის ორგანიზაციის მაღალი ეფექტურობის მიღწევა ყოველთვის არ ხერხდებოდა. მინის მუდმივად მესაკუთრე ფეოდალი, ისევე როგორც მოსაკარგავე, სამხედრო ვალდებული იყო, მაგრამ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების შემთხვევაში ცენტრალურ ხელისუფლებას მისი იძულების ნაკლები შესაძლებლობები გააჩნდა (იგი მუდმივ მესაკუთრეს მინას ვერ ჩამოართმევდა), ამიტომ მინისმფლობელთა ამ ფენაში ყოველთვის ძლიერი იყო დეცენტრალიზაციისა და სეპარატიზმის ტენდენციები, ხოლო ის გარემოება, რომ მინის დროებითი მფლობელები ყოველთვის ცდილობდნენ მუდმივ მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლას, რაც სრულიად ბუნებრივად ცენტრალური ხელისუფლების სანინააღმდეგო რეაქციას იწვევდა, ფეოდალურ სახელმწიფოებში მუდმივად ქმნიდა მოტივაციას მინის საკუთრების ამ ორ ფორმას შორის ბრძოლისთვის, რაც ამის პარალელურად, სამხედრო საქმის ორგანიზაციის სისტემის გაუმჯობესებას, ან პირიქით, დეგრადაციას იწვევდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც ახერხებდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ფეოდალურ საზოგადოებაში მინისმფლობელობის დროებითი ფორმის ფართოდ დამკვიდრებას, ძლიერარმიას ქმნიდა, იქიქისადაც მინისმფლობელობის მუდმივი ფორმა იმარჯვებდა, სამხედრო საქმის ორგანიზაციის რეგრესი და შესაბამისად სამხედრო (და მასთან ერთად პოლიტიკური) ძლიერების დასუსტება იწყებოდა.

შუა საუკუნეების მინისმფლობელობის ხასიათიდან (მინაზე საკუთრების უფლების მიღება სამხედრო სამსახურის ნაცვლად) გამომდინარეობდა სამხედრო საქმის ორგანიზაციის მეორე ძირითადი თვისება, მისი სოციალურობა. სამხედრო ვალდებულთათვის გადაცემული მინის ნაკვეთი დამუშავებასა და მოვლას მოითხოვდა, იგი წარმოადგენდა მისი მფლობელის შემოსავლის წყაროს როგორც არსებობისა და სოციალური სტატუსის შესანარჩუნებლად, ასევე სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად, რომელიც იმ დროისთვის საკმაოდ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ჰ. დელბრიუკს აღნიშნული აქვს, რომ VIII-IX საუკუნის ფრანკი ცხენოსანი მეომრის შეიარაღების ღირებულება, 45 ძროხის ფასს უტოლდებოდა,²⁰ X საუკუნის საფრანგეთში, მარტო ჯაჭვის პერანგი 60 ცხვარი ან 6 ხარი ღირდა,²¹ რის გამოც, დამცავი საჭურვლის შეძენა მხოლოდ იმ მინისმფლობელებს შეეძლოთ, რომელთა საკუთრებაშიც არანაკლებ 300-450 აკრი მინა იყო. მაგალითად, XIII საუკუნის ინგლისელი რაინდის (წვრილი მინისმფლობელის) შეიარაღება მისი წლიური შემოსავალი, 20 ფუნტი სტერლინგი ღირდა.²²

საბრძოლო აღჭურვილობა განსაკუთრებით ძვირადღირებული გახდა IX საუკუნის შუახანებიდან, როდესაც სამხედრო საქმეში ფართოდ დაიწყეს უზანგის გამოყენება,²³ რამაც მკვეთრად გაზარდა ცხენოსანი მეომრის მნიშვნელობა, რომელსაც უზანგის მეშვეობით უკვე მძიმე აღჭურვილობის ტარება შეეძლო, აღჭურვილობის სიმძიმე კი, მის მკვეთრ გაძვირებას ნიშნავდა. აღჭურვილობასთან ერთად ძალზედ ძვირი გახდა ცხენების, განსაკუთრებით კი, სპეციალური საბრძოლო ჯიშების ფასი, რომელთა გამოყვანა და გაზრდა რთული და მრავალსაფეხურიანი პროცესი იყო.²⁴ მაგალითად, იერუსალიმის სამეფოში საბრძოლო ცხენი 40 ბეზანტი ღირდა, ხოლო პერიოდულად მისი ფასი 100 ბეზანტამდისაც აღიოდა,²⁵ ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც საბრძოლო ცხენის ფასი 100-დან 300 ფუნტამდე აღწევდა,²⁶ რაც იმდროისთვის უზარმაზარ თანხას წარმოადგენდა და მისი გადახდა ძალიან ცოტას შეეძლო. არსებობდნენ კიდევ უფრო ძვირად ღირებული საბრძოლო ცხენებიც, მაგალითად, თამარის პირველი ისტორიკოსის მითითებით, დავით სოსლანს ზერდაგში (შავი ფერის ცხენი) ციხე და სოფელი ჰქონდა მიცემული.²⁷

აღჭურვილობის ასეთი სიძვირის გამო, ფეოდალური საზოგადოების რიგით წევრებს მისი შეძენა და შესაბამისად, სამხედრო სამსახურის განწევა არ შეეძლოთ. ცუდად შეიარაღებული მეომარი კი, იმ დროს, როდესაც ბრძოლების ბედს ხშირად ინდივიდუალური თვისებები და აღჭურვილობის ხარისხი წყვეტდა, არავის სჭირდებოდა. მაგალითად, ამ ვითარებას შესანიშნავად ასახავს კარლ დიდის ბრძანება, რომელიც არმიაში კეტებით შეიარაღებული გლეხობის განწევას კრძალავდა.²⁸ საბოლოო ჯამში, საბრძოლო აღჭურვილობის სიძვირე განაპირობებდა იმ მდგომარეობას, რომ ფეოდალური საზოგადოების რიგითი წევრები (მინაზე მომუშავე გლეხები) აღჭურვილობისთვის საჭირო თანხების (ან პროდუქციის) გამოსამუშავებლად თავისუფლდებოდნენ სამხედრო სამსახურიდან, ხოლო მეომრული საქმიანობა მხოლოდ მინისმფლობელთა პრეროგატივად რჩებოდა.²⁹ თუ როგორი რთული იყო მეომრის უზრუნველყოფა სამხედრო აღჭურვილობით, ეს კარგად ჩანს, მაგალითად, ჰ. დელბრიუკის მიერ მოყვანილი იოანე სკილიცას იმ ცნობიდან, რომლის მიხედვითაც X საუკუნის ბოლოს ანტიოქიის მოსახლეობამ, რომელსაც მუსლიმების რეიდები დიდ ზიანს

აყენებდა, დიდი სურვილის მიუხედავად ვერ შეძლო შეიარაღების შექმნა, ბრძოლებში მონაწილეობის მიღება და საკუთარი ქონების დაცვა.³⁰

მინის მუდმივი, სტაბილური დამუშავების საჭიროება, განაპირობებდა მინაზე მომუშავეთა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხარჯზე შეიარაღებულ მომართა ფენებს შორის, სოციალური ბალანსის დაცვის აუცილებლობას, რაც ფეოდალური საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი იყო და მის შენარჩუნებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მაგალითად, ფრიდრიხ ბარბაროსამ 1187 წელს გამოსცა ბრძანება, რომელიც სასულიერო პირებსა და გლეხებს სამხედრო საქმიანობას უკრძალავდა,³¹ ხოლო ტამპლიერთა ორდენის წესდება მკაცრი სასჯელით ემუქრებოდა მას, ვინც გაყალბებული საბუთებით მოახერხებდა ორდენში განევრიანებას როგორც რაინდი.³² ამ საერთო წესიდან, რომელიც ყველაზე მკვეთრად დასავლეთ ევროპაში იყო გამოხატული, გამონაკლისები არც აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებობდა. თვით ბიზანტიის იმპერიაშიც კი, სამხედრო ვალდებულების მატარებელმა თავისუფალმა გლეხობამ (სტრატოტიტებმა, რომლებიც პრინციპში, არც იყვნენ კლასიკური მნიშვნელობის გლეხები და თავისუფალ მეთემეებს წარმოადგენდნენ)³³ ფეოდალური ურთიერთობების განვითარების პარალელურად, ეს ვალდებულება საკმაოდ სწრაფად დაკარგა და თუ XI საუკუნის დასაწყისში, ბიზანტიურ არმიაში ჯერ კიდევ იწვევდნენ ამ ფენის წარმომადგენლებს, იმავე საუკუნის ბოლოსთვის ასეთი მოვლენა უკვე ანომალიას წარმოადგენდა.³⁴ მაგალითად, ანა კომნენოსი, XI საუკუნის 90-იან წლებში, პაჭანიკებთან განცდილი რამდენიმე დამარცხების შემდეგ, იმპერატორის უკიდურესად მძიმე მდგომარეობის დასახასიათებლად აღნიშნავდა, რომ ალექსი იძულებული გახდა არმიაში გლეხებიც კი წაეყვანაო.³⁵ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ფეოდალურ საზოგადოებებში მოქმედებდა სოციალური დიფერენციაციის ერთგვარი „ფორმულა“, რომლის მიხედვითაც რიგით ფენებს უნდა ემუშავათ, რაინდებს ეომათ, ხოლო სასულიერო პირებს ელოცათ, რომლის ერთ-ერთი პირველი კონსტატაციაც (როგორც ამას ჰ. დელბრიუკი მიუთითებდა) მოცემულია რობერტ კაპეტინგისადმი (996-1031 წწ.) მიძღვნილ პოემაში, რომლის ავტორიც წერდა: „ღმერთის სახლი, რომელსაც ერთგვარად მიიჩნევენ, სინამდვილეში სამ სახიანია, ერთნი ლოცულობენ, მეორენი ომობენ, მესამენი კი შრომობენ.“³⁶ აქ ალბათ შეუძლებელია არ დავინახოთ პარალელი შოთა რუსთაველთან, რომლის მიხედვითაც: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მინყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს,“ რის მიხედვითაც შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი სოციალური დიფერენციაციის ეს „ფორმულა“ არა მარტო დასავლეთ ევროპის, არამედ მთლიანად ფეოდალური სამყაროს ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

ფეოდალიზმის ეს ორი უმთავრესი ნიშანი, მინისმფლობელობის ფორმებზე დამყარებულ სამხედრო საქმის ორგანიზაციის სისტემაში დროებითი მინისმფლობელობის წამყვანი ხასიათი და სამხედრო ვალდებულთა მაღალი სოციალური სტატუსი, შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებაში მისთვის დამახასიათებელ მთელ რიგ სპეციფიკურ თავისებურებებს ქმნიდა, რომელთა გათვალისწინების გარეშეც, შუასაუკუნეებში არსებული სამხედრო საქმის ძირითადი პრინციპებისა და ომების ბუნების გაგება საკმაოდ ძნელია, სამხედრო საქმის ნიუანსების ცოდნის გარეშე კი, ისტორიული პროცესების სწორი

რეკონსტრუქცია და წერილობით წყაროებში ძალიან მოკლედ, ამასთან ხშირად ტენდენციურად გადმოცემული მომხდარი მოვლენების რეალობაში გააზრება, საერთოდ შეუძლებელია. მაგალითად, თუ ჩვენ რეალობად მივიჩნევთ დავით აღმაშენებლის მემკვიდრის ცნობას საქართველოში „უგრძნეულად“ შემოსული სელჯუკთა 100 ათასიანი არმიის შესახებ, რომლის გამოჩენაც საქართველოს მეფემ თითქოსდა მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც ეს არმია სახელმწიფოს საზღვრებიდანსაკმაოსიღრმეში(თრიალეთში)იმყოფებოდადაიძულებული გახდა ამ უზარმაზარ მასას 1500 მეომრით შებრძოლებოდა,³⁷ მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ დავითის დროინდელ საქართველოში სამხედრო საქმის მონესრიგებული ორგანიზაცია, ფაქტობრივად, არ არსებობდა და ქვეყნის ბედი მხოლოდ შემთხვევითობაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ სრულიად სანინალმდეგო დასკვნის შესაძლებლობას იძლევა ბრძოლის შედეგი, რომლის მიხედვითაც სელჯუკთა არმია განადგურებული აღმოჩნდა, რაც სრულიად გამორიცხული იქნებოდა საქართველოში სამხედრო ორგანიზაციის განვითარებული სისტემის არსებობის გარეშე. გარდა ამისა, თუ ჩვენ გვეცოდინება მუსლიმურ ქვეყნებში (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სელჯუკთა იმპერიაში) არსებული სამხედრო საქმის ორგანიზაციის თავისებურებები, არც იმ დასკვნის მიღება გაგვიჭირდება, რომ ეს ორგანიზაცია არ იძლეოდა არც 100 ათასი მეომრის ერთ საველე არმიად ფორმირებისა და არც მსხვილი არმიების დიდ დისტანციებზე ფარულად გადაადგილების შესაძლებლობას, განსაკუთრებით მტრულ ტერიტორიებზე.³⁸

მიწისმფლობელობაზე დამყარებული შუა საუკუნეების სამხედრო ორგანიზაციის თავისებურებები განსაზღვრავდა ფეოდალური არმიების მცირერიცხოვნობას, არმიის შეკრების სისტემის არამობილურობას (განვევის პროცესის ხანგრძლივობას), სამხედრო ვალდებულ ფეოდალთა სეპარატისტულ ტენდენციებს, უზრუნველყოფისა და მომარაგების პრობლემებს, ლაშქრობის ვადის შეზღუდულ ხანგრძლივობას და რიგ სხვა ფაქტორებს, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებდნენ კიდევ შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნების ძირითად პრინციპებს. ბუნებრივია, როდესაც კონკრეტულ ქვეყნებთან მიმართებაში ეს პრინციპები ცნობილი და შესწავლილია, მათი გათვალისწინებით ისტორიული პროცესების რეკონსტრუქცია და იმ სახით წარმოდგენა, როგორც მათ რეალობაში უნდა ჰქონოდათ ადგილი, შედარებით ადვილი ამოცანა ხდება. გარდა ამისა, ეს შესანიშნავი საშუალებაა წერილობით წყაროთა ცნობების ობიექტურობის შესაფასებლად, რაც თავის მხრივ სრულიად აუცილებელი პირობაა ისტორიული პროცესების სწორად აღსადგენად.

ფეოდალური არმიების მცირერიცხოვნობა

მიწისმფლობელობის ხასიათიდან გამომდინარე შუა საუკუნეების სამხედრო ორგანიზაციის პირველი თავისებურება იყო ფეოდალურ არმიაში გასანვევი რესურსის შეზღუდულობა. როგორც იყო აღნიშნული, სამხედრო სამსახური სოციალურად დანიშნაურებული(მიწისმფლობელი)ფენების უფლება-მოვალეობას წარმოადგენდა, რაც გასანვევი კონტიგენტის სიმცირეს განაპირობებდა, რადგან ამ შემთხვევაში სამხედრო ვალდებულთა რაოდენობა განისაზღვრებოდა არა მოსახლეობის საერთო რიცხვით, არამედ იმ ტერიტორიალური ერთეულების რაოდენობით, რომელთა მფლობელებიც ვალდებულნი იყვნენ გაეწიათ სამხედრო

სამსახური. ეს გარემოება პირდაპირ პროპორციულად განაპირობებდა იმ ვითარებას, რომ ქვეყნები, რომელთაც მიწების დიდი ფონდი გააჩნდათ და მეტი მიწის ნაკვეთების გაცემა შეეძლოთ, უფრო დიდი არმიების ფორმირებას ახერხებდნენ, ვიდრე ქვეყნები, რომელთაც შეიძლებოდა ჰყოლოდათ მეტი მოსახლეობა, მაგრამ ჰქონოდათ ნაკლები სიდიდის ტერიტორიები. სამხედრო ვალდებულთა რაოდენობაზე ზეგავლენას ახდენდა ის გარემოებაც, თუ ტერიტორიების რა ნაწილი ხვდებოდა სახელმწიფოს ხელში და რა მსხვილი მაგნატების კერძო მფლობელობაში, რაც სახელმწიფო მიწის ფონდის წვრილ სამფლობელოებად დაქუცმაცებასა და შესაბამისად, სამხედრო ვალდებულთა რაოდენობის გაზრდას ართულებდა. შუა საუკუნეებისთვის ასეთი ვითარება უფრო მეტად დასავლეთ-ევროპული ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი, სადაც რიგ შემთხვევებში (მაგალითად, XI-XII საუკუნეების საფრანგეთში), ვასალებს უფრო მეტი ტერიტორიები გააჩნდათ კერძო მფლობელობაში, ვიდრე სამეფო ხელისუფლებას (სახელმწიფოს),³⁹ რაც ასეთი ქვეყნების სამობილიზაციო შესაძლებლობებს საგრძნობლად ამცირებდა. შედეგი იყო ის, რომ დასავლეთ-ევროპული არმიები იყვნენ უფრო მცირერიცხოვანნი, ვიდრე აღმოსავლური, სადაც სახელმწიფოების განკარგულებაში უფრო დიდი მიწის ფონდები ხვდებოდა, ვიდრე კერძო მაგნატებთან. მაგალითად, ოსმალეთის იმპერიაში XV საუკუნის მიწურულისთვის, მიწების ფონდის 87% სახელმწიფოს ხელში იყო კონცენტრირებული,⁴⁰ რაც განაპირობებდა იმ ვითარებას, რომ ოსმალეთის სულთნები უფრო დიდი არმიების მობილიზებას ახერხებდნენ, ვიდრე რიგი სხვა სახელმწიფოები, თუმცა განსაკუთრებული მრავალრიცხოვნობით, არც აღმოსავლური არმიები გამოირჩეოდნენ. მაგალითად, ბიზანტიის იმპერიაში არსებული უზარმაზარი ტერიტორიული ფონდების მიუხედავად, რომელიც ძირითადად იმპერატორების განკარგულებაში იმყოფებოდა და სადაც მიწაზე საკუთრებასარასოდეს მიუღია ისეთი იერარქიული სახე, როგორც ის იყო დასავლეთ ევროპაში,⁴¹ ერთი სავლეთ არმიის სიდიდე ძალიან იშვიათად აჭარბებდა 20 ათას მეომარს,⁴² ხოლო შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა (საგარნიზონო, სასაზღვრო, დაცვითი და ა.შ. ჩათვლით) მხოლოდ იმპერიის განსაკუთრებული ძლიერების ხანაში (X ს. ბოლო XI ს. I მეოთხედი) უახლოვდებოდა 120-150 ათასს.⁴³

მიწისმფლობელობის ხასიათი, როდესაც წვრილი მფლობელი სამხედრო ვალდებულების პირობით იღებდა მიწას უფრო მსხვილი მფლობელისგან, შესაძლებლობას იძლეოდა მეტ-ნაკლები სიზუსტით მომხდარიყო ქვეყნის სამობილიზაციო რესურსის ფიქსირება, მაგრამ ამ რესურსის თუნდაც სანახევრო რეალიზება, პრაქტიკულად, არსადარ ხდებოდა. მაგალითად, 1085 წელს, ინგლისის მეფე ვილჰელმ დამპრობელის ბრძანებით განხორციელდა მოსახლეობისა და მიწის ფონდების აღწერა, რომლის მონაცემებიც შეტანილ იქნა „განკითხვის დღის წიგნის“ სახელით ცნობილ აღწერის წიგნში.⁴⁴ 1166 და 1210-20 წლებში, მსგავსი აღწერები ჩატარდა (განმეორებით) ინგლისში და საფრანგეთშიც, სადაც მიღებული შედეგები ასევე შეტანილ იქნა აღწერის წიგნებში (ინგლისურ „ბარონების წიგნსა“ და ფრანგულ „წიგნში ფეოდეების შესახებ“).⁴⁵ როგორც ინგლისში, ასევე საფრანგეთში ჩატარებულმა აღწერებმა, თითოეულ ქვეყანაში დაახლოებით 5-6 ათასი ფეოდი გამოავლინა, რაც ამდენივე ბრძოლისუნარიან რაინდს ნიშნავდა, ეს კი ამ ქვეყნების სამობილიზაციო შესაძლებლობებს, დაახლოებით 25-36 ათასი მეომრის ფარგლებში საზღვრავდა (5-ნათას რაინდს დამატებული საშუალოდ 20-30

ათასი სხვა კატეგორიის მეომარი⁴⁶). მიუხედავად, თავისი დროისთვის ამ საკმაოდ მაღალი ციფრისა, ასეთი სიდიდის საველე არმიები, არც ვილჰელმ დამპყრობელს (1066-1087 წწ.), არც ჰენრიხ II-სა (1154-1189 წწ.) და არც საფრანგეთის მეფე ფილიპე-ავგუსტს (1180-1223 წწ.), რომელთაც ეს აღწერები ჩაატარეს, არასოდეს ჰყოლიათ.⁴⁷ შუასაუკუნეებში იგივე ვითარებაა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც, მაგალითად, უკვე აღნიშნული ბიზანტიის გარდა, მალიქ-შაჰის (1072-1092 წწ.) დროინდელ სელჯუკთა და მუჰამედის (1200-1220 წწ.) დროინდელ ხორეზმის იმპერიებში, რომელთა მიწების ფონდი და იქტების რაოდენობა, იყო უბრალოდ უზარმაზარი. ორივე იმპერიის სამობილიზაციო შესაძლებლობები, როგორც ამას წერილობითი წყაროები (აშკარად გადაჭარბებით) მიუთითებენ, 400 ათასს უახლოვდებოდა,⁴⁸ მაგრამ ამ სამობილიზაციორესურსის ერთდროული შეგროვება ამ ქვეყნებში არასოდეს მომხდარა. როგორც სელჯუკთა, ასევე ხორეზმელთა არმიები, ყოველთვის ამ ციფრთან შედარებით ბევრად მცირერიცხოვანი იყო.⁴⁹

შუა საუკუნეების დროინდელი აღწერები, წერილობითი წყაროები, თუ სხვა სახის ისტორიული მონაცემები, ისევე როგორც თანამედროვე სამეცნიერო გამოკვლევები, აჩვენებენ რომ როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებში, სამხედრო ვალდებულის მქონე, მხოლოდ მინიმუმფლობელთა ფენა, ანუ მოსახლეობის 1,0-2,0%, შეიძლებოდა ყოფილიყო,⁵⁰ რაც ბუნებრივია, ფეოდალური არმიების სიდიდეს გარკვეულ ფარგლებში აქცევდა, მაგრამ როგორც იყო აღნიშნული, სრულად არც არსებული სამობილიზაციო რესურსების გამოყენება იყო შესაძლებელი, რის გამოც შუა საუკუნეების ფეოდალური არმიები სხვა ეპოქების არმიებთან შედარებით, ყოველთვის ბევრად მცირერიცხოვანი იყვნენ.

არმიის შეკრების (განწევის) სისტემის არამობილურობა

შუა საუკუნეების ისედაც შეზღუდული სამობილიზაციო რესურსის სრულად გამოყენებას, ხელს არმიის შეკრების საკმაოდ ნელი და მოუქნელი სისტემაც უშლიდა, რაც ლაშქრობის მომზადებისა და ტრანსპორტირების სირთულეებით იყო განპირობებული. არმიის შეკრება, როგორც წესი, წერილობითი ბრძანებებით ხდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამეფო (ან სხვა ხელისუფლების) კანცელარიას უნდადაემზადებინა გასაწვევი მსხვილი ტერიტორიული ერთეულების რაოდენობის შესაბამისი ბრძანებები და მალემსრობების მეშვეობით (ე.ი. ცხენის სისწრაფით) დაეგზავნა ამ ტერიტორიების მმართველებთან, რომელთაც თავის მხრივ ეს ბრძანება მის ერთეულში შემავალ უფრო წვრილ მინიმუმფლობელებისთვის უნდა ეცნობებინათ. მაგალითად, შამქორის ბრძოლის წინ, თამარ მეფემ ასეთი ბრძანების მომზადება ანტონ ჭყონდიდელს დაავალა: „ისწრაფედ დანერად და მიმოდადევით (ე.ი. გაავრცელეთ-ს.მ.) ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრებეს მხედრობა.“⁵¹ განწვევის ბრძანების მიღების შემდეგ, მეომრებს სჭირდებოდათ გარკვეული დრო სურსათ-სანოვავის მოსამარაგებლად და აღჭურვილობისა და სხვა აუცილებელი ინვენტარის მოსამზადებლად, რის შემდეგაც იწყებოდა განწვეული მეომრების თავმოყრის პროცესი, ჯერ კონკრეტული ტერიტორიების ფარგლებში ცალკეულ რაზმებად, ხოლო შემდეგ საერთო შეკრების დანიშნულ ადგილზე. თუ მალემსრობებს ბრძანების ადგილზე მიტანა ცხენის მაქსიმალური სისწრაფით (და შეუჩერებლად, ისინი ცხენებს გზაში იცვლიდნენ) შეეძლოთ, მეომრები თავმოყრისთვის ასეთ სისწრაფეს ვერ გამოიყენებდნენ ალაღის თან

ტარების აუცილებლობის გამო, რაც არმიის შეკრების პროცესისთვის იმდენ დროს მოითხოვდა, რა დროშიც შეგროვილი რაზმები, დღეში დაახლოებით 20-40 კმ-ს სისწრაფით, მოახერხებდნენ შეკრების ადგილამდე მისვლას. საკმაოდ ხშირად ისეც ხდებოდა, რომ საბრძოლო მოქმედებების სწრაფად დაწყების აუცილებლობის გამო მეომართა სრულ თავმოყრას ვერ ელოდებოდნენ და მცირე ძალებით იწყებდნენ ლაშქრობას. ასეთი რამ მოხდა, მაგალითად, გიორგი III-ს დროს, როდესაც საქართველოს მეფე ვერ დაელოდა სამეფოს ძირითადი ძალების თავმოყრას და მხოლოდ ახლო პროვინციებიდან (ქართლიდან) მისული 3 ათასი მეომრის თანხლებით დაიძრა ალყა შემორტყმული ანისის დასახმარებლად.⁵² განვევის სისტემის მოუქნელობამ X საუკუნის დასაწყისში ძალიან ცუდი სამსახური ანისის მეფე სუმბატსაც გაუწია, რომელმაც მაშინ გაიგო აზერბაიჯანის არაბი გამგებლის, იუსუფის (ქართული წყაროების აბულ-კასიმი) ლაშქრობის შესახებ, როცა ის უკვე ნახიჩევანში იმყოფებოდა. სუმბატმა სცადა სასწრაფოდ შეეკრიბა არმია, მაგრამ სანამ იუსუფი ნახიჩევანიდან დვინამდე მივიდა, ვერ მოასწრო და არმიის გარეშე დარჩენილმა თავი ჩრდილოეთ სომხეთს შეაფარა. ნახიჩევანიდან დვინამდე 150-170 კილომეტრია, რის გავლასაც შუა საუკუნეების არაბული არმია მინიმუმ 6-8 დღეს მოანდომებდა, რაც ანისის არცთუ ძალიან დიდ სამეფოში საკმარისი დრო არ აღმოჩნდა არმიის შესაკრებად.⁵³

ბუნებრივია, რომ არმიის შეკრების პროცესი ხანგრძლივდებოდა იმის მიხედვით, თუ რა სიდიდის ტერიტორიებზე ტარდებოდა მობილიზაცია და რა რაოდენობის მეომრების თავმოყრა იყო დაგეგმილი. მაგალითად, ლევ დიაკონის მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორმა ნიკიფორ ფოკამ (963-969 წწ.), რომელიც ამზადებდა ლაშქრობას სირიაში, სადღაც შუა გაზაფხულზე ყველა მხარეს (ე.ი. ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქებში, ფემებში) დააგზავნა წერილები და გამოაცხადა არმიის შეკრება კაბადოკიაში, რომელიც ივლისის დასაწყისისთვის, ანუ 2,5 თვეში დასრულდა,⁵⁴ რაც ბიზანტიის ტერიტორიების სიდიდისა და მათი დაფარვისთვის საჭირო დროს გათვალისწინებით, არცთუ დიდი პერიოდი იყო. იგივე სურათია 1116 წლისთვისაც, როდესაც ალექსი კომნენოსმა დაიწყო არმიის თავმოყრა რუმელი სელჯუკების წინააღმდეგ. ანა კომნენოსის სიტყვით, მან მოიწვია მეომრები მეზობელი ქვეყნებიდან, დაიქირავა მოქირავნეები და დაიწყო მეომრების შეგროვება ყველა ოლქიდან. მეომრები მოდიოდნენ ცალ-ცალკე, „წვეთ-წვეთობით.“ არმიის შეკრებას სამი თვე დასჭირდა.⁵⁵ რობერ დე კლარის მიხედვით, ასევე დაახლოებით სამი თვე (აპრილიდან ივლისის განმავლობაში) მოანდომა საფრანგეთის სხვადასხვა ოლქებიდან ვენეციაში თავმოყრას, IV ჯვაროსნული ლაშქრობის არმიამ.⁵⁶

დასახელებული მაგალითები დიდი არმიების (15-20 ათასი და მეტი) მობილიზაციის პროცესს ასახავენ დიდი ტერიტორიებზე. ბუნებრივია, რომ მეომრები, რომლებსაც უფრო მცირე დისტანციის გავლა დასჭირდებოდათ, თავმოყრასაც ნაკლებ დროს მოანდომებდნენ. მაგალითად, ჯვაროსანთა იერუსალიმის სამეფოში, სადაც საზღვრიდან საზღვრამდე რამდენიმე დღეში იყო შესაძლებელი მისვლა, არმიის შეკრების ვადა დაახლოებით ორ კვირას უდრიდა.⁵⁷ ამ ვადას დიდი სიზუსტით ემთხვევა ქამალ ად-დინის ცნობა, რომლის მიხედვითაც, ანტიოქიის სამთავროში მდებარე ზარდანის ციხე-სიმაგრის მფლობელი, რომელსაც 1122 წელს მუსლიმების (მარდინის ემირ ილ-ლაზის) თავდასხმა ემუქრებოდა, დახმარების სათხოვნელად წავიდა სხვა ჯვაროსან ხელისუფლებთან და ციხის

გარნიზონს უბრძანა 15 დღე დალოდებოდნენ მის დაბრუნებას,⁵⁸ რაც სწორედ ის ვადა იყო, რომლის განმავლობაშიც მას დახმარების მიღება და უკან დაბრუნება უნდა მოესწრო.

მიუხედავად ამისა, რომ არმიის შეკრების ორკვირიანი ვადა (რომლის მსგავსაც საქართველოშიც უნდა ეარსება⁵⁹) ფეოდალური სამყაროსთვის მინიმალურ დრო იყო და სამ თვესთან შედარებით ბევრად მცირე პერიოდს წარმოადგენდა, ის მაინც არ იყო არმიის მოქმედებაში მოყვანის სწრაფი და ეფექტური მექანიზმი, ფეოდალიზმის პირობებში, როდესაც საბრძოლო მოქმედებების ყველაზე გავრცელებულ ფორმას მარბიელი რეიდები წარმოადგენდა (განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც მომთაბარეთა კონცენტრირება ხდებოდა), ფეოდალური არმიის შეკრების აღნიშნული სისტემა მობილური ხასიათის საფრთხეებთან დასაპირისპირებლად, საკმაოდ არაეფექტური იყო და თუ ის არ ფუნქციონირებდა სხვა სამხედრო კომპონენტებთან ერთიან კომპლექსში (პირველ რიგში, სადაზვერვო და სასაზღვრო სამსახურებთან), თავდაცვითი საბრძოლო მოქმედებების წარმოებას უაღრესად ართულებდა.

სამხედრო ვალდებულ ფეოდალთა სეპარატისტული ტენდენციები

მინის დროებით მფლობელობაში მიღების შემდეგ, ნებისმიერი მინისმფლობელის მიზანი ხდებოდა მის მუდმივ მფლობელობაში შენარჩუნება, რაც განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ მინისმფლობელთა ნაწილი (როგორც წესი მსხვილი მაგნატები) ამის გაკეთებას ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონფრონტაციის, ხოლო ნაწილი (წვრილი მინისმფლობელები) პირიქით, მასთან დაახლოებისა და ერთგულების გზით ცდილობდა.⁶⁰ ასეთი ვითარების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება იქნეს მიჩნეული ქართლის დიდ აზნაურთა (ტბელების, ფავნელების და სხვა) დაპირისპირება ბაგრატ III-თან X საუკუნის ბოლოს, როდესაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ბაგრატის ქართლში გამეფებას, რაც პირველ რიგში, მათი მიზანზე მფლობელობის შეზღუდვას ნიშნავდა. როგორც ცნობილია ეს დაპირისპირება 988 წლის მოღრისის ბრძოლაში ბაგრატის გამარჯვებით დამთავრდა, რამაც უზრუნველყო ბაგრატის, როგორც უმსხვილესი მინისმფლობელის უფლებების ქართლში გამტკიცება.⁶¹ ასევე კლასიკურ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ, ლიპარიტ ბაღვაშისა და სულა კალმახელის დაპირისპირება ბაგრატ IV-ს მეფობის დროს, როდესაც მსხვილი მინისმფლობელი ლიპარიტი, მეფის საშიში კონკურენტი, ხოლო სულა კალმახელი, რომელიც (ლიპარიტთან შედარებით) წვრილი მინისმფლობელი იყო, მეფის ერთგულებას ინარჩუნებდა.⁶²

ფეოდალური სეპარატიზმი, რომლის მამოძრავებელი ძალაც (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული) მინის მუდმივი მფლობელობის სურვილი იყო, მთლიანად ფეოდალური სამყაროს დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა, რაც ფეოდალური არმიების რაოდენობაზე მკვეთრად უარყოფით ზეგავლენას ახდენდა. შუა საუკუნეების ნებისმიერ სახელმწიფოს მესვეურთათვის, სადაც ფეოდალური სეპარატიზმი ვითარდებოდა, არსებული სამოპოლიზაციო პოტენციალის გამოყენება უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა, მაგალითად, XII საუკუნის სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიის სულთნები, რომელთა განკარგულებაშიც

(თეორიულად) უზარმაზარი სამხედრო შესაძლებლობები იყო, დიდი არმიების ფორმირებასაკმაოდ იშვიათად ახერხებდნენ, რადგან არმიის განვითარება იმპერიის მიწისმფლობელები საკმაოდ უხალისოდ აგზავნიდნენ (ან საერთოდ არ აგზავნიდნენ) მეომრებს სულთნის არმიაში, როგორც ეს იყო, მაგალითად, მარდინის ემირის ილ-ლაზის შემთხვევაში 1115 წელს, რომელიც იმპერიის საკმაოდ მსხვილი ერთეულის მფლობელი იყო, მაგრამ სულთნის არმიაში მხოლოდ 300 მეომარი გააგზავნა, მაშინ როდესაც ცოტა მოგვიანებით, იგივე სულთნის არმიის წინააღმდეგ, მან რამდენიმე ათასი მეომარი გამოიყვანა.⁶³

ფეოდალური არმიის უზრუნველყოფისა და მომარაგების პრობლემები

შუასაუკუნეებში არმიის უზრუნველყოფისა და მომარაგების ფუნქცია სამხედრო ვალდებულ მინიმუმობებს ეკისრებოდა, რაც სამხედრო ორგანიზაციის ამ მაღალი მნიშვნელობის სტრატეგიულ სფეროში საკმაოდ რთულ პრობლემებს ქმნიდა. ფეოდალური ეკონომიკის ნატურალიზაციის პირობებში სიმდიდრის უმთავრეს წყაროს მინა წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა როგორც საბრძოლო იარაღის შექმნა, ასევე ლაშქრობის უზრუნველყოფა ყოველივე აუცილებელით, რაც კოლოსალურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და რისი განვითარებაც მინიმუმობები, ბუნებრივია, დაინტერესებულნი არ იყვნენ. არმიის უზრუნველყოფა დიდი რაოდენობით სურსათის მარაგს, სხვადასხვა სახის სასაპალნე ცხოველების დიდ რაოდენობას, საბრძოლო თუ დამხმარე ხასიათის ინვენტარის მარაგსა და სხვა მრავალ რამეს საჭიროებდა. წერილობით წყაროებში გაფანტული ცნობები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევიან თუ რა ხარჯებთან იყო დაკავშირებული ნებისმიერი სამხედრო ღონისძიების უზრუნველყოფა. მაგალითად, დავით ნარინმა მონღოლი სარდალი თეგუდარის არმია, რომელის სიდიდეც სადღაც 5-6 ათას მეომარს უახლოვდებოდა,⁶⁴ მოამარაგა 600 ცხენით, 1500 ძროხით, 1000 ცხვარით, 2000 ღორით და მრავალი ურემზე დატვირთული ღვინის ჭურებით, ხოლო სანამ მონღოლები ქუთაისში იმყოფებოდნენ, 500 ძროხა და მრავალი ცხვარი და ღორი დაუკლა.⁶⁵ ბიზანტიის იმპერატორმა მანუილ კომნენოსმარუმელს ელჯუკებზე სალაშქროდ (მირიოკეფალის ბრძოლის წინ, 1176 წელს) მობილიზება გაუკეთა 3000 საზიდარს, რითაც არმიისთვის საჭირო მარაგები უნდა გადაეტანათ.⁶⁶ საზიდრით ცხენს შეეძლო ეტარებინა 900 კგ. ტვირთი,⁶⁷ რაც იმას ნიშნავს, რომ 3000 საზიდარი სულ ცოტა 2700 ტონა ტვირთის სატარებლად იყო გათვლილი. ინგლისისა და საფრანგეთის მეფეებმა, ჰენრი II-მ და ფილიპე-ავგუსტმა ჯვაროსნული ლაშქრობის მოსამზადებლად სპეციალური გადასახადი, „სალადინის მეთაუდი“ დაანესეს, რაც მძიმე ტვირთად დაანვა მოსახლეობას, ხოლო საფრანგეთის მეფემ ლუდოვიკ IX-მ, პალესტინაში ლაშქრობისთვის საფრანგეთის 4 წლის შემოსავალი, მილიონ ფუნტზე მეტი დახარჯა.⁶⁸ არმიის უზრუნველყოფა, სურსათისა და საბრძოლო აღჭურვილობის გარდა, სხვა მრავალი ნივთის თან ტარებას ნიშნავდა. რიჩარდ ლომგულმა ჯვაროსნული ლაშქრობისთვის 50 000 წალი დაამზადებინა,⁶⁹ 1066 წელს ინგლისში გადასულმა ვილჰელმ დამყრობელის არმიამ, მარტო წაღების დასამზადებელ მარაგად 8 ტონა რკინა წაიღო თან,⁷⁰ უან ლე ბელი მიუთითებს, რომ შოტლანდიაში ლაშქრობის წინ მათ შეიძინეს კარვები, სამზარეულო ნივთები, ნაჯახები და სხვა მრავალი ნივთი⁷¹ და ა.შ.

ლაშქრობის უზრუნველყოფა საკუთარ ხარჯზე, კიდევ ერთი დამატებითი გარემოება იყო, რაც მინისმფლობელებს მოტივაციას უქმნიდა თავი აერიდებინათ ხანგრძლივი სამხედრო ლაშქრობებისთვის, რაც ფეოდალური არმიის სრულფასოვანი ორგანიზების შესაძლებლობას საგრძნობლად ამცირებდა.

ლაშქრობის ვადის შეზღუდული ხანგრძლივობა

ფეოდალური არმია, რომელიც უპირატესად მინისმფლობელთა მასით იყო დაკომპლექტებული, არ იყო დაინტერესებული მუდმივად სამხედრო სამსახურში ყოფნით და ხანგრძლივი ლაშქრობებით, რაც მათ დიდი ხნით მოწყვეტას იწვევდა საკუთარი მეურნეობიდან. ფეოდალიზმი აგრარულ ფორმაციას, ხოლო ფეოდალური არმიის წევრები, იმ მინისმფლობელებს წარმოადგენდნენ, რომელთა კეთილდღეობაც მთლიანად სასოფლო-სამეურნო პროდუქციის წარმოებაზე იყო დამოკიდებული, რაც ქმნიდა მინისმფლობელთა მოტივაციას სასოფლო სამუშაოების სეზონის განმავლობაში, ანუ ძირითადად გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ყოფილიყვნენ საკუთარ სამფლობელოებში, ვიდრე ელაშქრათ შორეულ ადგილებში, გაზაფხული-შემოდგომის პერიოდი კი, სასოფლო სამუშაოების გარდა, საომარ სეზონსაც წარმოადგენდა.

წლის ერთადერთი პერიოდი, როდესაც სამხედრო საქმის ორგანიზაცია მინისმფლობელობასთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა იყო ზამთარი, რომელიც არასაომარ პერიოდს წარმოადგენდა, რაც გარდა გადაადგილების ბუნებრივი სირთულეებისა, იმიტაც იყო განპირობებული, რომ თოვლის საფარველის ქვეშ ცხენის საკვების მოპოვება თითქმის შეუძლებელი იყო, რის გამოც შუასაუკუნეების (უპირატესად) ცხენოსან არმიებს გამოკლება და მარშირება არ შეეძლოთ, რთული იყო ალაღის ტრანსპორტირებაც. ისტორიულ ქრონიკებში ძალიან იშვიათად გვხვდება ცნობები ზამთარში ჩატარებული სამხედრო კამპანიების შესახებ, რაც როგორც წესი, მხოლოდ ძალიან დიდი აუცილებლობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მაგალითად, ასეთი აუცილებლობა გააჩნდა დავით აღმაშენებელს მომთაბარე თურქმენების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, როდესაც მათთან შეხვედრა სხვა პერიოდებში ძალიან რთული ხდებოდა, ამიტომ საქართველოს მეფემ რამდენჯერმე მოაწყო სამხედრო კამპანია ზამთრის უაღრესად რთულ პირობებში, რომლის დროსაც მას ლიხის ქედზე თოვლში „გზების გაყვანაც“ კი დასჭირდა.⁷² მიქაელ ფსელოსიბასილი II-ს, როგორც გამორჩეული მხედარმთავრის დასახასიათებლად აღნიშნავდა, რომ ბასილი ლაშქრობდა არა ისე, როგორც სხვა იმპერატორები, რომლებიც ლაშქრობებს იწყებდნენ შუა გაზაფხულიდან და ზაფხულის ბოლოს ამთავრებდნენ, არამედ ნებისმიერ დროს, რადგან იგი თანაბრად იტანდა ზამთრის სიცივესაც და ზაფხულის სიცხესაც,⁷³ თუმცა ბასილის ასეთი დახასიათება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას იმის არგუმენტად, რომ ბიზანტიურ არმიას (ისევე როგორც ქართულს და ნებისმიერ სხვა ფეოდალურ არმიას) ზამთარში მოქმედება ადვილად შეეძლო. როგორც დავით აღმაშენებლის, ასევე ბასილი II-ს მიერ ზამთარში განხორციელებული ლაშქრობები, მხოლოდ მათ პიროვნულ თვისებებს და არა საქართველოს, ან ბიზანტიის სამხედრო ორგანიზაციის შესაძლებლობებს ასახავენ, რაც იქიდანაც კარგად ჩანს, რომ იგივე ბასილი II-მ, მაგალითად, გიორგი I-თან ომის დროს, შეწყვიტა წარმატებული ლაშქრობა და არმია გამოსაზამთრებლად ტრაპიზონში წაიყვანა,⁷⁴ რაც იმას

ნიშნავს, რომ ბასილი II-თვის (ისევე როგორც დავით აღმაშენებლისთვის) ზამთარში ლაშქრობის განხორციელება სისტემური მეთოდი კი არ იყო, არამედ გარკვეული აუცილებლობით გამოწვეული გამოწვევა.⁷⁵ ამ კონტექსტში ძალიან საინტერესოა ჩინგის-ხანის მიერ გაკეთებული შეფასება მონღოლი მეომრის ესუნბაის შესახებ, რომელზედაც ჩინგის-ხანს ჰკითხეს, თუ რატომ არ ნიშნავდა იგი ასეთ გამოჩენილ მეომარს ნოინად (სარდლად), რაზედაც მან უპასუხა, რომ ესუნბაიზე უმამაცესი და ამტანი მეომარი, რომელსაც უფრო დიდი დისტანციების გადალახვა და სირთულეების ატანა შეეძლებოდა, მის არმიაში სხვა არ იყო, მაგრამ ის რომ სარდალი გამხდარიყო, იგი თავის მეომრებსაც იგივეს მოსთხოვდა, რისი უნარიც თავად მას ჰქონდა, ეს კი მეომართა ბრძოლის უნარიანობაზე უარყოფითად იმოქმედებდა, რადგან სარდლის ღირსება ის კი არ არის თავად გამოავლინოს ამტანობა, არამედ დაინახოს მეომართა შესაძლებლობები და ამის მიხედვით უხელმძღვანელოს არმიას.⁷⁶ ჩინგის-ხანის, შუა საუკუნეების ამ გენიალური მხედარმთავრის სიტყვები ნიშნავდა იმას, რომ არმია კი არ უნდა „მორგებულყო“ მხედარმთავრის პირად თვისებებს, არამედ პირიქით, მხედარმთავარს უნდა ემართა არმია სამხედრო ორგანიზაციის არსებული შესაძლებლობების მიხედვით, იმდროინდელი სამხედრო შესაძლებლობები კი, ლაშქრობის განხორციელების საშუალებას გაზაფხულ-შემოდგომაზე იძლეოდა.

რამდენადაც სასოფლო სამუშაოებისა და საომარი სეზონების თანხვედრა წინააღმდეგობაში მოდიოდა სამხედრო ვალდებულ მინიმუმობელთა მესაკუთრულ ინტერესებთან, ამდენად ეს გარემოება განვევის ეფექტურობასა და ლაშქრობის ვადის ხანგრძლივობაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა. ზაფხულში სალაშქროდ მყოფი მინიმუმობელი შემოდგომისთვის უკვე საკუთარ სამფლობელოებში ცდილობდა დაბრუნებას და ბრძოლის ველზე მათი დიდი ხნით დაკავება საკმაოდ რთული ამოცანა იყო. მაგალითად, როდესაც იერუსალიმის სამეფოს არმია მიემართებოდა ჰატინისკენ, სადაც მას სალადინის არმია ელოდებოდა, ჯვაროსანთა ერთ-ერთმა მეთაურმა ურჩია იერუსალიმის მეფეს, რომ თავი აერიდებინათ მუსლიმებთან გადამწყვეტი ბრძოლისთვის, რადგან სალადინი ვერ შესძლებდა მისი არმიის რიგებში მყოფი ემირების დიდხანს დაკავებას, რადგან მალე მოსავლის აღების პერიოდი დაიწყებოდა და სალადინის არმია განახევრდებოდა. მეფემ ეს რჩევა არ მიიღო, რაც ჰატინის ცნობილი კატასტროფით დამთავრდა.⁷⁷ ლაშქრობათა ორგანიზებისთვის სასოფლო სამუშაოების სეზონი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა და სხვადასხვა ქვეყნები ამ პრობლემის გადაჭრას სხვადასხვა გზით ცდილობდნენ, მაგალითად, დასავლეთ ევროპულ სამყაროში არსებული სენიორულ-ვასალური სისტემა ფეოდალებს (ვასალებს) მშვიდობიანობის დროს 40 დღით, ხოლო ომის პერიოდში ორი თვით ავალდებულებდა სავალდებულო სამსახურის განევას სენიორებისთვის, რაც რასაკვირველია, ძალიან მცირე დრო იყო და სამხედრო საქმეში ბევრ პრობლემებს ქმნიდა.⁷⁸ ბევრად დიდი სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა, მთელი წლის განმავლობაში ნებისმიერი ხანგრძლივობით, მოქმედებდა სირია-პალესტინის ჯვაროსნულ სახელმწიფოებში,⁷⁹ რაც ამ სახელმწიფოების მდებარეობითა და არსებული მტრული გარემოცვით იყო განპირობებული, მაგრამ ჯვაროსნული სახელმწიფოები გამოწვევის იყვნენ და ლაშქრობის შეზღუდული ვადა, შუა საუკუნეების როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ სახელმწიფოებს, ისეთ დიდ სირთულეების უქმნიდა, როგორც შეუქმნა, მაგალითად, კასტილიის მეფე

ფერდინანდ III-ს 1233 წელს, ქალაქ უბედას ალყის დროს, როდესაც მისი არმია რამდენიმე სამხედრო რაზმმა იმ მოტივით, რომ სავალდებულო ვადა გასული იყო, შუა ბრძოლის დროს მიატოვა.⁸⁰

შუა საუკუნეების ფეოდალურ საზოგადოებაში მიწისმფლობელობაზე დამყარებული სამხედრო საქმის ორგანიზაციის აღნიშნული თავისებურებებით განპირობებული სირთულეების (ფეოდალური არმიების მცირერიცხოვნობის, მობილიზაციის არამობილურობის, ფეოდალთა სეპარატისტული ტენდენციების, უზრუნველყოფისა და მომარაგების პრობლემების) დაძლევის საუკეთესო საშუალება ხელისუფლების ცენტრალიზაცია იყო. ძლიერი ცენტრალური მმართველობის არსებობის პირობებში, ესა თუ ის ფეოდალური სახელმწიფო შედარებით ეფექტურად ახერხებდა სამხედრო საქმის ორგანიზებას და აიძულებდა მსხვილ მიწისმფლობელებს შეესრულებინათ მასზე დაკისრებული სამხედრო ვალდებულებები და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გაენიათ სამხედრო სამსახური, რაც ყველა იმ ფეოდალურ სახელმწიფოში, სადაც ძლიერი ცენტრალური მმართველობის ჩამოყალიბება ხერხდებოდა, როგორც წესი, ორი კომპონენტის ერთობლიობით, ხელისუფლების სათავეში მაღალი პირადი ღირსებების მქონე მონარქის გამოჩენითა და სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული აუცილებელი რესურსების მობილიზებით მიიღწეოდა. მონარქის ძლიერი პიროვნული თვისებები განაპირობებდა ფეოდალური სეპარატიზმის მატარებელი მსხვილი მიწისმფლობელების დაქვემდებარებას ცენტრალური ხელისუფლების მმართველობის ქვეშ, ხოლო არსებული რესურსების (სამობილიზაციო რეზერვების, მიწის ფონდების, ფინანსების და ა.შ.) სწორი გამოყენება, უზრუნველყოფდა საშუალო და წვრილი მიწისმფლობელების ერთგულებას და ხელისუფლების გარშემო დარაზმვას, რაც სამხედრო საქმის სწორ ორგანიზებას ნიშნავდა. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების სათავეში ძლიერი მონარქები მოდიოდნენ, აუცილებლად ჩნდებოდა ძლიერი არმიაც. აღნიშნული ფორმულა, „ძლიერი მონარქი-ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება-ძლიერი არმია,“ შუა საუკუნეების ყველა სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. მაგალითად, შუა საუკუნეების გერმანიის (წმინდა რომის) იმპერია, რომელიც სხვადასხვა ფეოდალური ერთეულების საკმაოდ ხელოვნურ გაერთიანებას წარმოადგენდა, XI საუკუნის I ნახევარში, სანამ მის სათავეში ძლიერი იმპერატორები, კონრად II (1024-1039 წწ.) და ჰენრიხ III (1039-1056 წწ.) იდგნენ, ევროპის უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, მაგრამ XI საუკუნის II ნახევარში, როდესაც ისინი სუსტი მონარქებით შეიცვალნენ, იმპერია უძლიერესი ქვეყნიდან სწრაფად გადაიქცა ფეოდალური შინა ომებით დაქუცმაცებულ სახელმწიფოდ.⁸¹ იგივე ციკლი განმეორდა XII საუკუნეშიც, როდესაც იმპერიის სათავეში ძლიერი იმპერატორების, ფრიდრიხ ბარბაროსასა (1152-1190 წწ.) და ჰენრიხ VI (1190-1197 წწ.) გამოჩენის შემდეგ, გერმანიამ სწრაფად დაიბრუნა ევროპის უძლიერესი ქვეყნის „სტატუსი,“ რომელიც ასევე სწრაფად დაკარგა სახელმწიფოს სათავეში უნიჭო მმართველების დაბრუნების შემდეგ.⁸² იგივე სურათია ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შემთხვევაშიც, მაგალითად, ბიზანტიის იმპერია, რომელიც ბასილი II-ს (969-1025 წწ.) მმართველობის პერიოდში ძალიან ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა საზღვრების გაფართოვების სტაბილური ტენდენციით, ბასილის შემდეგ ტახტზე ასული უნიჭო მმართველების ხელში გამუდმებით კარგავდა ტერიტორიებს და აგებდა ომებს მანამდის, სანამ 1081

წელს, ხელისუფლების სათავეში კვლავ ძლიერი მონარქი, ალექსი კომნენოსი არ მოვიდა, რის შემდეგაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი იმპერია კვლავ გადაიქცა რეგიონის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ.⁸³ ანალოგიურია ფატიმიდების ეგვიპტური სახელმწიფოს მაგალითიც, რომელიც XII საუკუნის 60-იან წლებში დღე-დღეზე იერუსალიმის (არცთუ ძლიერი) სამეფოს მსხერპლი უნდა გამხდარიყო, მაგრამ მის სათავეში სალადინის მოსვლის შემდეგ, რეგიონის უძლიერესი სახელმწიფო გახდა და იქით გაანადგურა თავისი მონინაალმდევე (იერუსალიმის სამეფო).⁸⁴ საქართველოს ისტორიაში აღნიშნულის კლასიკური მაგალითია გიორგი II-სა და დავით აღმაშენებლის ეპოქა, როდესაც გიორგის უნიჭო მმართველობის პერიოდში ქვეყანა კატასტროფის პირზე იყო მისული, ხოლო დავითის ხელში ამიერკავკასიის უძლიერეს სამეფოდ გადაიქცა.⁸⁵

აღნიშნული მაგალითები მოწმობენ, რომ მონარქის პირად თვისებებს განუზომლად მაღალი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო და სახელმწიფოებრივი ძლიერებისთვის, მაგრამ როგორი გამორჩეული პიროვნებაც არ უნდა ყოფილიყო რომელიმე მონარქი, სამხედრო ორგანიზაციაში არსებული სირთულეების მხოლოდ პირადი ღირსებების ხარჯზე გადალახვა მას მაინც არ შეეძლო, რადგან ფეოდალებზე უმკაცრესი კონტროლის პირობებშიც კი, მიწისმფლობელობის საფუძველზე წარმოქმნილი თუნდაც ყველაზე ეფექტური ფეოდალური არმია, მაინც თავდაცვითი ხასიათის სამხედრო ძალას წარმოადგენდა და შეტევითი სტრატეგიის წარმოება მისი მეშვეობით, რაც სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების აუცილებელი პირობა იყო, შეუძლებელს არა, მაგრამ უაღრესად რთულ საქმეს კი წარმოადგენდა. მობილიზაციისთვის საჭირო დროის ხანგრძლივი პერიოდი, მიწისმფლობელი მეომრების საკუთარი მამულებიდან დიდი ხნით მოწყვეტის სირთულე, უზრუნველყოფის პრობლემები და ყოველივე აქედან გამომდინარე, სავსე პირობებში არმიის დიდი ხნით გაჩერების შეუძლებლობა, მასშტაბური სამხედრო კამპანიების წარმოებას უკიდურესად ართულებდა, რაც ფეოდალურ სახელმწიფოებში აჩენდა მოთხოვნილებას ისეთ სამხედრო ძალაზე, რომელიც ნაკლებად იქნებოდა დამოკიდებული მიწისმფლობელობის ინტერესებსა და ფეოდალური მეურნეობის ნატურალურ ხასიათზე და წელიწადის ნებისმიერ დროს მხოლოდ სამხედრო საქმიანობით იქნებოდა დაკავებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი ფეოდალურ სახელმწიფოს წინაშე იდგა მუდმივი არმიის შექმნის ამოცანა, რომლის ინსტიტუციონალური ფორმირებაც (ანუ რეგულარული არმიის შექმნა) არც ერთ მათგანს შეეძლო (რეგულარულმა არმიებმა გამოჩენა მხოლოდ XV საუკუნიდან დაიწყეს⁸⁶), ამიტომ არსებული პრობლემის გადაჭრას სამხედრო საქმის ორგანიზაციაში ახალი კომპონენტების დანერგვის გზით ცდილობდნენ. იმ კომპონენტებს, რომლებიც მუდმივ სამხედრო ძალაზე არსებული მაღალი მოთხოვნილების ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლეოდნენ, წარმოადგენდნენ ფეოდალური სახლების სამხედრო რაზმები, გვარდიული ნაწილები და მოქირავნეთა კონტიგენტები.

მუდმივი სამხედრო რაზმები

ამტიპის სამხედრო რაზმების ფორმირება ხდებოდა მსხვილი მიწისმფლობელის სახლის (გვარის, კლანის წარმომადგენლების), მიწის საკუთრების გარეშე დარჩენილი წევრებისგან, რომელთათვისაც შემოსავლის მიღების ერთადერთი

შესაძლებლობა სამხედრო სამსახურის განევა იყო. ისინი ითვლებოდნენ მსხვილი მინისმფლობელის სახლის წევრებად, ცხოვრობდნენ მის რეზიდენციაში (ან მის კუთვნილ სხვა ციხე-სიმაგრეებში) და ეწოდნენ მუდმივ სამხედრო სამსახურს, რომლის დროსაც მათი უზრუნველყოფა ყოველივე აუცილებელით და საბრძოლო საჭურველით, მინისმფლობელის მოვალეობა იყო. ბუნებრივია, რომ ამ ტიპის სამხედრო რაზმების სიძლიერე და რიცხოვნობა მთლიანად მინისმფლობელის შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული. შესაბამისად რაც უფრო დიდი სამფლობელოები ჰქონდა მას, მით უფრო დიდი რაზმის ფორმირება ხდებოდა შესაძლებელი. ეს კარგად ჩანს თუნდაც საქართველოში, სადაც მეომართა ეს კატეგორია ტაძრეულების სახელით იწოდებოდა.⁸⁷ მაგალითად, სტეფანოზ ორბელიანი 1049 წლის ბასიანის ბრძოლის დროს, ლიპარიტ ბაღვაშის განკარგულებაში 700 დიდი აზნაურისგან შედგენილი სამხედრო რაზმის არსებობას მიუთითებდა, ეს აზნაურები „იყვნენ მკვიდრნი მისნი“ (ლიპარიტის)⁸⁸ და არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ეჭვი იმის თაობაზე, რომ ისინი ბაღვაშთა სახლის მუდმივმოქმედი სამხედრო რაზმის წევრებს წარმოადგენდნენ, ისევე როგორც დავით აღმაშენებლის ტაძრეულები, რომელთა რაოდენობაც დავითის მემკვიდრის მიხედვით 1500 მეომარი იყო.⁸⁹ ამ ტიპის რაზმებს ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ქვეყნების მონარქებისა თუ მსხვილი ფეოდალების განკარგულებაში, მაგალითად, ასეთი რაზმები (Household knights) ჰყავთ ინგლისის მეფეებს რიჩარდ ლომგულს, იოანე უმინაწყალოს, ედუარდ I-ს და ინგლისისა და დასავლეთ ევროპის სხვა მონარქებს.⁹⁰

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის სამხედრო რაზმების მოვალეობა მხოლოდ სამხედრო სამსახური იყო და მუდმივად იმ მინისმფლობელის განკარგულებაში იმყოფებოდნენ, რომლის სახლსაც ისინი მიეკუთვნებოდნენ, რამდენიმე მიზეზის გამო სერიოზულ სამხედრო ძალას ისინი მაინც არ წარმოადგენდნენ. ჯერ ერთი მათი რაოდენობა იყო საკმაოდ მცირე, რადგან ერთ სახლს (ერთ გვარს, ერთ კლანს და ა.შ.) ამ ტიპის სამხედრო რაზმების ადამიანთა დიდი რესურსებით უზრუნველყოფა არ შეეძლო. გარდა ამისა, ფეოდალური სახლის წევრები „ჩვეულებრივი“ მინისმფლობელური ფსიქოლოგიის მატარებელი ხალხი იყო და ისინი იმ მიზნით ეწოდნენ სამხედრო სამსახურს, რომ ადრე თუ გვიან მინის ნაკვეთი მიეღოთ და მინისმფლობელთა კატეგორიაში გადასულიყვნენ. და ბოლოს, მათი სამხედრო პოტენციალი არაფრით არ აღემატებოდა დანარჩენი ფეოდალური არმიის მეომრებისას, რადგან როგორც ისინი, ასევე სამხედრო ვალდებული მინისმფლობელებიც, ერთი საზოგადოების წევრები იყვნენ და მათი სამხედრო მომზადების ხარისხი ერთგვარ პირობებში ყალიბდებოდა. აღნიშნული მიზეზების გამო, დროთა განმავლობაში ფეოდალურ სახელმწიფოებში (პირველ რიგში, აღმოსავლეთის ქვეყნებში) ფეოდალური სახლების სამხედრო რაზმების გვერდით წარმოქმნა დაიწყო გვარდიულმა სამხედრო ნაწილებმა, თუმცა ბოლომდის ფუნქციონირება არც ფეოდალური სახლების სამხედრო რაზმებს შეუწყვეტიათ და ისინი გვარდიასთან ერთად თანაარსებობდნენ დროის საკმაოდ ხანგრძლივ მონაკვეთში.

გვარდიული სამხედრო ნაწილები რადიკალურად განსხვავდებოდნენ ფეოდალური სახლის სამხედრო რაზმებისგან როგორც სამხედრო სამსახურის მოტივაციით, ასევე სამხედრო მომზადების ხარისხითაც, ისინი იმ პროფესიონალი მეომრებისგან კომპლექტდებოდნენ, რომელთათვისაც სამხედრო სამსახური არა

სოციალურ ვალდებულებას, არამედ ცხოვრების ბუნებრივ წესს წარმოადგენდა. აღმოსავლეთის ქვეყნებში ასეთი სამხედრო ნაწილები უმრავლეს შემთხვევებში მომთაბარე ტომებისგან გამოსული მეომრებისგან კომპლექტებოდა, რომელთაც ან ქირაობდნენ, ან ტყვედ აპყავდათ, და ან ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკში ყიდულობდნენ მონათა ბაზარზე და შემდეგ სპეციალურად ამზადებდნენ ასეთი სამსახურისთვის.⁹¹ ამ ტიპის პირველი გვარდიული ნაწილი, ე. წ. „არაბი ხალიფების თურქული გვარდია," ფორმირებული იქნა IX საუკუნის I ნახევარში და სახალიფოს სამხედრო ორგანიზაციაში ნამყვანია დგილი ძალიან სწრაფად დაიკავა.⁹² თურქული გვარდია, შუა აზიის თურქულ-თურქმენული მომთაბარე ტომების მეომრებისგან კომპლექტდებოდა. IX საუკუნის შუახანებისთვის იგი არაბი ხალიფების ელიტარულ სამხედრო ნაწილად გადაიქცა და არაბული არმიის ძირითადი ბირთვის ფუნქცია შეიძინა, აგრეთვე არმიის სამეთაურო შემადგენლობის დაკომპლექტების წყაროდაც იქცა⁹³ (მაგალითად, სწორედ ასეთი თურქი გვარდიელი იყო, 853 წელს საქართველოში განხორციელებული სადამსჯელო ექსპედიციის მეთაური ბულა თურქი). თურქი გულიამების გვარდია (გულიამი ნიშნავს ნაყიდ მონას) იმდენად მაღალი ბრძოლისუნარიანობის სამხედრო ნაწილს წარმოადგენდა, რომ მათი ფორმირება სახალიფოს გარდა, აღმოსავლეთის თითქმის ყველა მუსლიმურ ქვეყანაში დაიწყო. მათი არსებობა სამხედრო ორგანიზაციის სრულყოფის ინტერესის გარდა, დამოუკიდებელ მუსლიმ მმართველთა პრესტიჟულობისა და მაღალი სოციალური სტატუსის მაჩვენებელსაც წარმოადგენდა.⁹⁴

გვარდიული ნაწილის სიდიდე პირდაპირპროპორციულად იყო დამოკიდებული მისი მფლობელის ეკონომიკურ სიძლიერეზე, რადგან გვარდიელები, ისევე როგორც ფეოდალურ სახლთა რაზმების წევრები, მთლიანად მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ, თუმცა ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, იმდროისათვის კოლოსალურად მაღალ ანზლაურებას იღებდნენ.⁹⁵ გვარდიელები მკვეთრად აღემატებოდნენ ბრძოლისუნარიანობით როგორც ფეოდალური სახლების სამხედრო რაზმებს, ასევე ფეოდალური არმიის დანარჩენ მეომრებსაც, მაგრამ მათ შორის განსხვავება მარტო ამით არ ამოიწურებოდა, გვარდიელები არ იყვნენ მოცემული ქვეყნის ფეოდალური საზოგადოების წევრები (თუმცა დროთა განმავლობაში ასეთი ხდებოდნენ), რაც მათთვის ქმნიდა ინტერესებისა და მოტივაციის სრულიად განსხვავებულ გარემოს. გულიამები (როგორც მომთაბარეები) თავისი ცხოვრების წესით პროფესიონალი მეომრები იყვნენ და თუ ფეოდალური სახლის რაზმის წევრები, რომლებიც გარდა მატერიალური უზრუნველყოფისა, იმითაც იყვნენ მიზმულნი მიწისმფლობელის ინტერესებზე, რომ მისი სახლის (გვარის, კლანის) წარმომადგენლები იყვნენ, რაც მათი მხრიდან მთელ რიგ ვალდებულებებს განაპირობებდა, გულიამებს არაფერი ამის მაგვარი ვალდებულებები არ გააჩნდათ. მათი მთავარი ვალდებულება იყო პირადი ერთგულება პატრონისადმი და სამხედრო სამსახური ფულადი ანაზლაურების ნაცვლად, და თუ ეს ანაზლაურება შეწყდებოდა, გვარდიელებს უზარმაზარი პრობლემები შეექმნათ მათი მეპატრონეებისთვის. მეორეს მხრივ კი, გვარდიელები რაც უფრო ეფექტურად შეასრულებდნენ სამხედრო სამსახურს, მით მეტ შესაძლებლობას იღებდნენ შემდგომი კარიერის გასაკეთებლად.

გულიამები მონა-მეომრები იყვნენ, რადგან როგორც იყო აღნიშნული, მათი შექმნის ძირითადი წყარო ტყვეობა ან მონათა ბაზარზე ყიდვა იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი კლასიკური მნიშვნელობის მონებს წარმოადგენდნენ.

მათი „მონობა,“ რაც მხოლოდ მათი პატრონის მიმართ არსებულ მოვალეობაბსა და ერთგულებაში გამოიხატებოდა, ამ შემთხვევაში აღნიშნავდა არსებული ფეოდალური საზოგადოების ნევროზისგან განსხვავებულ სტატუსს, რაც ამ საზოგადოების წინაშე სოციალური ვალდებულებების არქონასა და მხოლოდ მათი მეპატრონე მინისმფლობელისთვის სამხედრო სამსახურის მოვალეობაში მდგომარეობდა. სამხედრო სამსახური გულიამებს კარიერის გაკეთების უზარმაზარ შესაძლებლობებს აძლევდა. მათი მეპატრონე დამოუკიდებელი მმართველები, იმყოფებოდნენ რა მუდმივ დაპირისპირებაში მსხვილი მინისმფლობელების ინტერესებთან, შიდა სახელმწიფოებრივ ომებში ძირითადად გულიამებს ეყრდნობოდნენ, რაც განაპირობებდა მათ დანიანურებას არა მარტო არმიის სამეთაურო თანამდებობებზე (ბულა-თურქის მსგავსად), არამედ მაღალ ადმინისტრაციულ პოსტებზეც (მაგალითად, სელჯუკთა იმპერიაში ათაბაგების უმრავლესობას ყოფილი მონა-მეომრები წარმოადგენდნენ). ისინი ძალიან ხშირად ხდებოდნენ ტერიტორიული ერთეულების მმართველები და ხშირად მათი ინტერესები წინააღმდეგობაში მოდიოდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ისინი უკვე ისევე უპირისპირდებოდნენ მათ, როგორც სხვა მინისმფლობელები. ამ პროცესის შედეგად მუსლიმურ სამყაროში არცთუ იშვიათად ჩნდებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომელთა სათავეშიც ყოფილი მონა-მეომრები, გულიამები იდგნენ. მაგალითად, გიორგი III-ს მმართველობის პერიოდში, საქართველოს მეზობელ ასეთ სახელმწიფოსა და მის ძირითად მონინააღმდეგეს აზერბაიჯანის საათაბაგო წარმოადგენდა, რომლის სათავეშიც სელჯუკი სულთნების ყოფილი ყივჩაღი მონა-მეომარი (გულიამი) ილდიგიზი (1136-1172 წწ.) იდგა.⁹⁶

არაბულ სამხედრო ორგანიზაციაში წარმოქმნილი გვარდიული ნაწილების ინსტიტუტი განსაკუთრებით განვითარდა დიდი სელჯუკების იმპერიაში, მალიქ-შაჰის (1072-1092 წწ.) მმართველობის დროს, როდესაც სელჯუკთა იმპერიის დიდი ვეზირის, ნიზამ ალ-მულკის განხორციელებული რეფორმების შედეგად, მან ბოლომდის ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ამ პერიოდში გულიამების რიგებში მიღება რეგლამენტირებული, ხოლო სამხედრო-სასწავლო პროცესი მეთოდოლოგიურად ჩამოყალიბებულ ციკლად გადაიქცა, რომლის შესაბამისადაც გულიამს უნდა გაეცლო სამხედრო მომზადების მრავალსაფეხურიანი კურსი, აეთვისებინასხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღი, გაეცნობიერებინა მოვალეობანი, გარკვეულიყო სამსახურებრივ იერარქიაში, შეეთვისებინა დისციპლინის ნორმები და ა.შ. რის შემდეგაც მას შეეძლო სამხედრო კარიერაზე ეფიქრა. გულიამების სამხედრო იერარქია, მათი სწავლის პროცესის მსგავსად, ასევე საგულდაგულოდ მოფიქრებულ და აწყობილ სისტემას წარმოადგენდა, მაგალითად, მონა-მეომარს მხოლოდ რამდენიმე წლის სამსახურის შემდეგ შეიძლებოდა მიეღო ოფიცრის სანყისი ჩინი, ხოლო ემირის მაღალ წოდებას ის მანამ ვერ მიაღწევდა, სანამ 37 წლის არ გახდებოდა და კარიერის ყველა საფეხურს შესაბამისი თანმიმდევრობით არ გაივლიდა.⁹⁷ ბუნებრივია რომ ასეთი სისტემა გულიამების გვარდიის მაღალ ბრძოლისუნარიანობას განაპირობებდა, რის გამოც ასეთი ნაწილები სავსებით დამსახურებულად ფეოდალური არმიის ელიტად ითვლებოდნენ.

აღმოსავლურმა გვარდიულმა ნაწილებმა თავისი განვითარების პიკს ეგვიპტეში, მამლუქთა გვარდიის სახით მიაღწიეს. მამლუქთა გვარდიას, რომელიც გულიამებისგან მხოლოდ სახელწოდებით განსხვავდებოდა (გულიამი

ნიშნავს მონას, ბიჭს, მამლუქი კი საკუთრებას⁹⁸), წამყვანი ადგილი ეკავა ეგვიპტის სახალიფოს სამხედრო ორგანიზაციაში. მისი რიგები, ისევე როგორც სხვა ქვეყნების გვარდიებისა, ძირითადად კომპლექტდებოდა მომთაბარე ტომების მონა-მეომრებისგან, რომელთა შორისაც XII-XIII საუკუნეებში ძალიან მაღალი იყო ყივჩალების ხვედრითი წილი. XIII საუკუნის შუახანებში, მამლუქების ყივჩაღურმა გვარდიამ ეგვიპტეში მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება, დაამხო აიუბიდების დინასტიის მმართველობა და ტახტზე მამლუქი (ყივჩაღი) სულთნები აიყვანა.⁹⁹ მამლუქთა მმართველობა უალრესად წარმატებული პერიოდი აღმოჩნდა ეგვიპტისთვის, მამლუქებმა გაანადგურეს ჯვაროსანთა სახელმწიფოები, სირია-პალესტინიდან განდევნეს მონღოლები, გაანადგურეს კილიკიის სომხეთის სამეფო და საკუთარი მმართველობა სირია-პალესტინასთან ერთად, ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებზეც გაავრცელეს.¹⁰⁰

აღმოსავლური გვარდიების განვითარების უკანასკნელ ეტაპს, ოსმალ იანიჩართა რაზმები წარმოადგენდნენ, რომელთაგანაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების ერთ-ერთი პირველი რეგულარული საარმიო კონტიგენტები.¹⁰¹

VIII საუკუნის შუახანებიდან, კონსტანტინე V-ს იმპერატორობის პერიოდში (741-775 წწ.), გვარდიული ნაწილების ფორმირება ბიზანტიის იმპერიაშიც დაიწყო, სადაც მუდმივმომქმედ სამხედრო რაზმებზე ისეთივე მაღალი მოთხოვნილება არსებობდა, როგორც ისლამის სამყაროში. ბიზანტიური გვარდია, ე.წ. „ტაგმა“, თავისი ორგანიზაციული სტრუქტურით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ისლამური (გულიამებისა და მამლუქების) გვარდიებისგან და IX-X საუკუნეებში უფრო იმპერატორისა და დედაქალაქის დამცველ სამხედრო რაზმს წარმოადგენდა, ვიდრე არმიის ბირთვსა, და მთელ იმპერიის ტერიტორიებზე მოქმედ მუდმივ სამხედრო კონტიგენტს. ტაგმა მხოლოდ იმპერიის მცხოვრებლებისგან კომპლექტდებოდა, რამდენიმე სხვადასხვა სამხედრო ნაწილისგან („სქოლა“, „არიფმა“, „ნუმერა“, „ვიგლა“ და ა.შ.) შედგებოდა და ბაზირებული იყო მხოლოდ კონსტანტინოპოლში.¹⁰² ტაგმა კლასიკურ გვარდიულ კონტიგენტად გადაიქცა მას შემდეგ, რაც X საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მის სტრუქტურაში ჩაერთო სლავი და სკანდინავიელი მოქირავენი მეომრებისგან დაკომპლექტებული ელიტარული სამხედრო რაზმი „ეტერია“, რომელიც უფრო ვარანგების გვარდიის სახელითაა ცნობილი.¹⁰³ იმპერატორ ბასილი II-ს მიერ შექმნილმა ამ კონტიგენტმა ძალიან მალე დაიკავა წამყვანი ადგილი ბიზანტიის იმპერიის სამხედრო ორგანიზაციაში, იგი იქცა როგორც იმპერატორების პირად გვარდიად,¹⁰⁴ ასევე ბიზანტიური არმიის ბირთვად და თავისი მაღალი ბრძოლისუნარიანობის გამო, წამყვანი მნიშვნელობა ბიზანტიის სამხედრო სტრუქტურებში თითქმის იმპერიის არსებობის ბოლომდის შეინარჩუნა.¹⁰⁵

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების სამხედრო ორგანიზაციაში აღმოსავლური ტიპის გვარდიული ნაწილების ფორმირება არ მომხდარა. მუდმივი სამხედრო რაზმების პრობლემის დასავლეთ ევროპული გადანყვეტა საკმაოდ ორიგინალური ფორმის იყო, მათ გვარდიული ნაწილების ნაცვლად რაინდთა რელიგიური ორდენები შექმნეს, რომლებიც მუდმივად სამხედრო სამსახურში მყოფნი, სამხედრო ორგანიზაციაში, ჯვაროსნული და რიგი ევროპული არმიების ბირთვის თითქმის ისეთივე ფუნქციებს ასრულებდნენ, როგორსაც გულიამები და მამლუქები აღმოსავლეთში, ხოლო ვარანგები ბიზანტიაში.¹⁰⁶

საქართველოში, ისევე როგორც შუა საუკუნეების დანარჩენ ფეოდალურ სამყაროში, მუდმივ სამხედრო ძალაზე არსებულმა მოთხოვნილებამ გვარდიული

ნაწილების ჩამოყალიბება საკმაოდ ადრე განაპირობა, როდესაც დავით აღმაშენებლის პერიოდის ქართული არმიის შემადგენლობაში ყივჩაღებით დაკომპლექტებული გვარდიული ნაწილი, მონასპა გამოჩნდა.¹⁰⁷ მიუხედავად იმისა, რომ ქართული გვარდიის სახელწოდება, „მონასპა,“ (რაც პირდაპირი მნიშვნელობით მონათა-ჯარს ნიშნავს) ფაქტიურად, აღმოსავლური გვარდიის სახელს (გულიამი-მონა მეომარი) იმეორებდა, ეს მხოლოდ მათი ფუნქციური, და არა სტრუქტურულ-ორგანიზაციული მსგავსების ამსახველი უნდა ყოფილიყო. ქართული გვარდიის დაკომპლექტება ბიზანტიური ვარანგების მსგავსად, დაქირავების პრინციპით ხდებოდა და არა მონების, ან ტყვეების ყიდვით.¹⁰⁸

შუა საუკუნეების სამხედრო ორგანიზაციაში როგორც ფეოდალური სახლების სამხედრო რაზმებს, ასევე გვარდიული ნაწილებსა და რაინდული ორდენებს განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდათ, ისინი ახორციელებდნენ საგარნიზონო სამსახურს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში, მცირე მასშტაბის სამხედრო საფრთხეების წარმოქმნის შემთხვევაში ფეოდალური არმიის მობილიზების გარეშე რეაგირებდნენ მასზე, ფეოდალური არმიებში ქმნიდნენ არმიის ბირთვს, მონაწილეობდნენ შიდა სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში და ა.შ. ამ ტიპის სამხედრო რაზმები და პირველ რიგში, გვარდიული ნაწილები და რაინდული ორდენები, არმიის ყველაზე დისციპლინირებულ და ბრძოლისუნარიან ნაწილებს წარმოადგენდნენ, საბრძოლო წყობაში მათ როგორც წესი, ყველაზე მნიშვნელოვანი, ცენტრალური ადგილი ეკავათ და ბრძოლის ტაქტიკაც, ძირითადად, მათი შესაძლებლობების მიხედვით იგებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მცირერიცხოვნობისა და რიგი სხვა მიზეზების გამო, მუდმივი არმიის ფუნქციის შესრულება მათ მაინც არ შეეძლოთ, რაც შუა საუკუნეების სამხედრო ორგანიზაციაში განაპირობებდა არმიის დაკომპლექტების დამატებითი ელემენტების შეტანის აუცილებლობას, რისი შედეგიც იყო მოქირავნეთა სამხედრო რაზმების გამოჩენა, რაც სამხედრო საქმის ორგანიზაციის ახალ, უფრო განვითარებულ და სრულყოფილ სტრუქტურას წარმოადგენდა.

მოქირავნეთა ინსტიტუტი

ფეოდალური არმიის შემადგენლობაში მოქირავნეთა გამოჩენა განაპირობა იგივე მიზეზებმა, რამაც ფეოდალური სახლების სამხედრო რაზმების, გვარდიული დანაყოფების თუ რაინდული ორდენების ფორმირება, მუდმივ სამხედრო ძალაზე არსებულმა მოთხოვნილებამ.

ფეოდალურ არმიებში პირველი მოქირავნეები IX-X საუკუნიდან გამოჩნდნენ,¹⁰⁹ აღმოსავლურ სახელმწიფოებში მოქირავნეთა ძირითად მასას იმ თურქულ მომთაბარე ტომთა მეომრები ქმნიდნენ, რომლებიც საძოვრების ახალი მასივების ძიებაში დიდი რაოდენობით მიგრირებდნენ შუა აზიის სტეპებიდან დასავლეთის მიმართულებით.¹¹⁰ დასავლეთის ქვეყნებში კი, თავდაპირველად ამ როლის შესრულება იმ წვრილმა მინისმფლობელებმა დაიწყეს, რომლებსაც მათი მცირე მეურნეობა ვერ უზრუნველყოფდა საკმარისი შემოსავლით, ან საერთოდ მინისმფლობელობის გარეშე იყვნენ დარჩენილნი და ამ დეფიციტის შევსებას სხვადასხვა მინისმფლობელებისთვის დროებითი სამხედრო სამსახურის განევით ცდილობდნენ.¹¹¹ ამ დროის მოქირავნეთა მცირერიცხოვანი ჯგუფები უკვე ჩანან ფრანკული არმიებისა თუ ფრანკების იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილ

სხვადასხვა ფეოდალურ ერთეულებში.¹¹² მოქირავნობას, როგორც სოციალურ მოვლენას, დიდი მასშტაბი არ ჰქონია, თუმცა მსხვილმა მიწისმფლობელებმა, პირველ რიგში კი სამეფო ოჯახებმა, საკმაოდ სწრაფად გააცნობიერეს მისი უპირატესობა ფეოდალური არმიის მოუქნელ სამხედრო ორგანიზაციასთან შედარებით და ამ ტიპის რაზმების გამოყენება ფართოდ დაიწყო. მაგალითად, ვილჰელმ დამპრობელი, მიუხედავად იმისა რომ მის, როგორც ინგლისის მეფისა და ნორმანდიის ჰერცოგის განკარგულებაში ტერიტორიული ერთეულების (ფეოდეზის) დიდი რაოდენობა და შესაბამისად დიდი სამობილიზციო რესურსი იმყოფებოდა, ფეოდალურ განწევასთან შედარებით უპირატესობას მაინც არმიის მოქირავნეებით დაკომპლექტებას ანიჭებდა, რის შედეგადაც მისი მმართველობის ბოლო წლებში (XI ს. 80-90-იანი წლები) ინგლისში მყოფ მოქირავნეთა რაოდენობა უკვე მნიშვნელოვნად აჭარბებდა ფეოდალური ვალდებულებებით განწვეულთა რაოდენობას.¹¹³

მოქირავნობისადმი წერილ მიწისმფლობელთა მატერიალური ინტერესი ადრეული პერიოდებიდანვე ჩამოყალიბდა. მაგალითად, 1158 წელს ბოჰემიის მეფე ვლადისლავმა დაგეგმილი ლაშქრობისთვის ვერ შესძლო ფეოდალური განწევით არმიის შეკრება, რის შემდეგაც გამოაცხადა, რომ ვინც წამოვიდოდა დიდ ფულად ჯილდოს მიიღებდა. განცხადების შემდეგ — ვლადისლავის არმიაში მის ხელისუფლების ქვეშ მყოფი თითქმის ყველა მიწისმფლობელი გამოცხადდა.¹¹⁴ XI-XII საუკუნეები ფეოდალიზმის დასავლურ სამყაროში მოქირავნობის ინსტიტუტის ნამდვილი აყვავების ხანა იყო, ამ პერიოდში განვითარდა მოქირავნობის საკონტრაქტო სისტემა, როდესაც მოქირავნებსა და მათ დამქირავებლებს შორის ხელშეკრულებით ფორმდებოდა სამხედრო სამსახურის პირობები. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ პირველ კონტრაქტს წარმოადგენდა 1103 წელს გაფორმებული ხელშეკრულება ინგლისის მეფე ჰენრი I-სა და ფლანდრიის გრაფს შორის, რომლის მიხედვითაც ინგლისის მეფეს უნდა გადაეხადა 400 ვერცხლის მარკა, ხოლო ფლანდრიის გრაფი ამ თანხის სანაცვლოდ ვალდებული იყო წლის ნებისმიერ დროს გამოცხადებულიყო მეფის არმიაში 1000 რაინდის თანხლებით.¹¹⁵

ბუნებრივია, რომ ის უპირატესობანი (მობილურობა, ლაშქრობის ვადის შეუზღუდავობა და ა.შ.) რაც მოქირავნობას გააჩნდა ფეოდალური არმიის სამხედრო ორგანიზაციასთან შედარებით, მასზე დიდ მოთხოვნილებას განაპირობებდა, მაგრამ ფეოდალური არმიისგან განსხვავებით, რომელიც მთლიანად ნატურალური მეურნეობის პროდუქტი იყო, მოქირავნობა უზარმაზარ ფულად დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, რაც ფულის ნიშნების დიდი რაოდენობის მიმოქცევაში ყოფნას ითხოვდა, ფულის ნიშნების წარმოქმნის წყარო კი მხოლოდ ფეოდალური მეურნეობის მიერ შექმნილი პროდუქცია იყო.¹¹⁶ ამ გარემოებამ ტერიტორიულ ერთეულებზე ფულადი გამოსაღების დაწესება განაპირობა, რაც როგორც ფეოდალური ეპოქის სამხედრო ორგანიზაციის, ასევე მთლიანად ფეოდალური ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით, უზარმაზარი მნიშვნელობის ნოვაციას წარმოადგენდა, რომლის გამოჩენის შემდეგაც (ესახალი გადასახადის სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს დაწესდა, მაგალითად, ინგლისში 1084 წელს.¹¹⁷) სამხედრო ვალდებულ მიწისმფლობელს სამხედრო სამსახურის განწვევის ნაცვლად, შეეძლო ფულადი გამოსაღები გადაეხადა, ხოლო ამ თანხით სამეფო ხელისუფლებას, 40 დღიანი მოლაშქრის ნაცვლად, პროფესიონალი მეომარი დაქირავებისა განუსაზღვრელი ვადით, რაც მას უკვე

უზარმაზარ სამხედრო უპირატესობას ანიჭებდა მსხვილი მიწისმფლობელების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამასთან აძლიერებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. მოქირავნეთა მეშვეობით შესაძლებელი ხდებოდა მსხვილი სამხედრო ძალების დიდი ხნით სამხედრო სამსახურში გაჩერება, რაც კოლოსალურ ფინანსურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, ეს გარემოება მნიშვნელოვნად ცვლიდა ფეოდალური ურთიერთობების ხასიათს და ფულის ნიშნებზე მაღალი მოთხოვნილების გაჩენის პირობებში ფეოდალიზმის ნატურალური მეურნეობის ნგრევასა და ფისკალური ურთიერთობების გაღრმავებას უწყობდა ხელს.¹¹⁸

მოქირავნებზე მაღალმა მოთხოვნილებამ მოქირავნეობის, როგორც სოციალური ინსტიტუტის მკვეთრი განვითარება გამოიწვია და მან ორგანიზებულ სტრუქტურად დაიწყო ჩამოყალიბება, რისი პირველი ნიშანიც იყო ის, რომ XI საუკუნის ბოლოდან გამოჩენა დაიწყო მოქირავნეთა რაზმების ცნობილმა მეთაურებმა,¹¹⁹ რომელთა განკარგულებაშიც უკვე სამხედრო სუბორდინაციას დაქვემდებარებული პროფესიული რაზმები იმყოფებოდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოქირავნეობამ სამხედრო საქმის ორგანიზაციაში დაიწყო მუდმივი არმიის მთავარი ელემენტების, მეომართა სტაბილური საკადრო შემადგენლობის, კომპლექტაციის ერთგვარი სისტემის, შეიარაღების ერთგვაროვნობის, რეგულარული სამხედრო სწავლებისა და ა.შ. შემოტანა, რაც ასევე დიდი მნიშვნელობის სიახლეს წარმოადგენდა და განსაზღვრავდა მოქირავნეთა მაღალ ბრძოლისუნარიანობას ფეოდალურ არმიასთან შედარებით, ამასთან უზრუნველყოფდა სამხედრო ორგანიზაციის შემდგომ განვითარებას.¹²⁰

მოქირავნეობის განვითარებამ და ფულადი გამოსაღების დაწესებამ დასავლეთის ფეოდალურ სამყაროში ერთგვარად კურობოვანი ვითარება ჩამოაყალიბა. მიწისმფლობელებმა, რომლებმაც თავიდან საკმაო ენთუზიაზმი გამოიჩინეს მოქირავნეობის მიმართ (რაც მათ სამხედრო სამსახურის ვალდებულებიდან ათავისუფლებდა) საკმაოდ მალე გააცნობიერეს, რომ მათ მიერ გადახდილი ფულადი გამოსაღებით დაქირავებულ მოქირავნეთა რაზმებს სამეფო ხელისუფლება მათსავე წინააღმდეგ იყენებდა, და მოქირავნეთა მეშვეობით მიწისმფლობელთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე, სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზებას ახდენდა. ამ გარემოებამ მიწისმფლობელების მოქირავნეობის ინსტიტუტთან დაპირისპირება გამოიწვია, რის არგუმენტადაც ისინი მშვიდობიანობის პირობებში მოსახლეობის წინააღმდეგ მოქირავნე მეომრების მიერ ჩადენილ ძალადობის აქტებს იყენებდნენ. მაგალითად, მიწისმფლობელთა ზენოლის შედეგად, 1171 წელს, გერმანიის იმპერატორმა ფრიდრიხ ბარბაროსამ და საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ VII-მ დადეს ხელშეკრულება მოქირავნეთა არ გამოყენების შესახებ.¹²¹ იგივე პოზიცია დააფიქსირა კათოლიკურმა ეკლესიამაც,¹²² ხოლო ინგლისელი ბარონების ზენოლით, 1214 წელს თავისუფლების დიდ ქარტიში შევიდა პუნქტი, რომელიც ინგლისის მეფეებს მოქირავნეთა გამოყენებას უკრძალავდა.¹²³ მაგრამ ყოველივე ეს უშედეგო ღონისძიებები იყო მოქირავნეთა უპირატესობა ფეოდალური განვითარებით შეკრებილ არმიებთან შედარებით როგორც მობილიზაციის სისწრაფით, სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობითა და ბრძოლისუნარიანობით, რომლის დემონსტრირებაც მოქირავნეებმა, მაგალითად, 1302 წელს ბრინიეს ბრძოლაში მოახდინეს, სადაც გაანადგურეს საფრანგეთის ფეოდალური არმია,¹²⁴ სრულიად აშკარა იყო. ფეოდალური არმიის სისუსტე და სამხედრო საქმის ორგანიზაციის (უკვე განხილული) სირთულეები, ისევე როგორც

მსხვილ მინისმფლობელებთან დაპირისპირების გარდაუვალობა, აიძულებდა როგორც ინგლისის, ასევე სხვა ქვეყნების მონარქებს ძირითადი აქცენტი მოქირავნეებზე გადაეტანათ¹²⁵ და ვერავითარი „თავისუფლების ქარტია“ და რომის პაპების გადანყვეტილებები მოქირავნეთა წინააღმდეგ ამ პროცესს უკვე ვეღარ შეაჩერებდა.

მოქირავნეობის წარმოქმნა ფეოდალურ საზოგადოებაში იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, იგი წარმოადგენდა ფეოდალური საზოგადოების რეაქციას ფეოდალური არმიის სისუსტის წინააღმდეგ და პირველ ევოლუციურ ნაბიჯს რეგულარული არმიის შექმნისკენ. დასავლეთ ევროპაში X-XIII საუკუნეებში მომქმედი მოქირავნეთა რაზმები, შუა საუკუნეების სამხედრო ორგანიზაციაში მოქირავნეობის ინსტიტუტის შემდგომი, მუდმივი არმიის შექმნის წინა ეტაპის, XIII-XIV საუკუნეების მოქირავნეთა სამხედრო გაერთიანებების, ე.წ. „დიდი კომპანიებისა“ და შვეიცარიელი ქვეითების წინამორბედები იყვნენ.¹²⁶ ფეოდალურ სამხედრო ორგანიზაციაში მათი გამოჩენა მუდმივი არმიების წარმოქმნის პროცესის დასაწყისის მაჩვენებელი იყო, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავდა, რომ ფეოდალიზმი განვითარების ახალ და უფრო პროგრესულ საფეხურზე გადადიოდა.¹²⁷ მოქირავნეობის, როგორც სოციალური ინსტიტუტის გამოჩენა ფეოდალური ხანის სამხედრო ორგანიზაციაში და მისი დამკვიდრებისთვის ბრძოლა, იმავდროულად სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის ბრძოლასაც ნიშნავდა და სადაც მოქირავნეობის ინსტიტუტი იმარჯვებდა, იქ ცენტრისტული ტენდენციებიც იმარჯვებდნენ მსხვილ მინისმფლობელთა ინტერესებზე, რისი შედეგიც ყველა თვალსაზრისით (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ა.შ.) ძლიერი სახელმწიფოს ფორმირებას და განვითარების შემდგომ ეტაპზე მის გადასვლას ნიშნავდა. ხოლო იქ, სადაც გამარჯვებული მსხვილი მინისმფლობელები გამოდიოდნენ, რეგრესული პროცესების განვითარება და სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტების, პირველ რიგში, კი სამხედრო ორგანიზაციის წარმოქმნა გარდაუვალი იყო. ამდენად, ამათუიმ ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის ევოლუცია მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე (სხვა ფაქტორებთან ერთად) წარმოადგენს ფეოდალური ურთიერთობების (და შესაბამისად სახელმწიფოებრიობის) განვითარების პროგრესისათურეგრესულობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უტყუარ ნიშანს, რისი მიხედვითაც კონკრეტული სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისა თუ სისუსტის რეალურ მიზეზებში გარკვევა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.

სრულიად განსხვავებული იყო მოქირავნეობის ინსტიტუტის ფენომენი მუსლიმურ სამყაროში, სადაც ამ მოვლენას, განსხვავებით დასავლეთ ევროპულისგან, ღრმა სოციალური პროცესის სახე არ მიუღია, თუმცა მოქირავნეთა გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით (დასავლეთ ევროპულთან შედარებით), კიდევ უფრო ინტენსიური სახე ჰქონდა. ასეთი მდგომარეობის უმთავრეს განმასხვავებელ მიზეზს წარმოადგენდა აღმოსავლური მოქირავნეობის ინსტიტუტის სპეციფიკა, რომელიც მთელი რიგი ბუნებრივი ფაქტორების შედეგად ჩამოყალიბდა. როგორც იყო აღნიშნული, დასავლეთში მოქირავნე მეომართა ძირითად მასას ის წერილი მინისმფლობელები ქმნიდნენ, რომლებიც მინის გარეშე რჩებოდნენ და სამხედრო სამსახურის გასაწევად არა მარტო ქირას, არამედ სრულ სალაშქრო უზრუნველყოფასაც საჭიროებდნენ, რაც ბუნებრივია, მათი დამქირავებლების ხარჯზე ხდებოდა და უზარმაზარ თანხებთან იყო დაკავშირებული.¹²⁸ ამის საწინააღმდეგოდ, აღმოსავლეთში მოქირავნეთა სამსახური შეუდარებლად

იაფი იყო, რასაც მომთაბარე ტომების მეომართა უზარმაზარი რაოდენობა განაპირობებდა. ბევრად იაფი იყო მომთაბარეთა შეიარაღებაც, რომელიც განსხვავებით მძიმე და უფრო ძვირი ევროპული საბრძოლო კომპლექტებისგან, უფრო მსუბუქი და ტექნოლოგიურად უფრო მარტივი იყო.¹²⁷

მომთაბარე მეომართა სიმრავლისა და მათი ეკიპირების შედარებითი სიიაფის გამო, მოქირავნის სამსახურის ღირებულება აღმოსავლეთში იყო ბევრად ნაკლები ვიდრე დასავლეთ ევროპაში და მათი დაქირავება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა. მაგალითად, უსამა იბნ-მუნკიზს აღწერილი აქვს თუ როგორ დაიქირავა დამასკოს საემიროს ტერიტორიებზე 6000 დინარით მოქირავნეთა 860 კაციანი რაზმი, რომელსაც იგი აკალონის მიდამოებში ჯვაროსანთა საწინააღმდეგო რეიდების მოსაწყობად იყენებდა.¹²⁸ ასევე აღწერილია აქვს მოქირავნეთა დაქირავების პროცესი ან-ნასავის, რომელიც ჯალალ ად-დინის არმიის შესავსებად რამდენიმე დღის განმავლობაში დადიოდა აზერბაიჯანის ტერიტორიებზე განსახლებულ თურქმენულ ტომებში და ქირაობდა მეომრებს.¹²⁹ უპრობლემოდ შეეძლო თავისი არმიის მომთაბარე მეომრებით შევსება მარდინის ემირ ილ-ლაზის, რომლის სამხედრო ძლიერების ფაქტორს, საემიროს შედარებით შეზღუდული რესურსების არსებობის პირობებში, სწორედ ეს გარემოება ქმნიდა.¹³⁰ მსგავსი ვითარება იყო მთელ აღმოსავლურ სამყაროში, სადაც მოქირავნეთა ხელმისაწვდომობა, მათი სამსახურის სიიაფე და ამოუწურავი რეზერვები, აქ არსებულ ფეოდალურ საზოგადოებებში რადიკალური ცვლილებებისა და ფისკალური სტრუქტურის რეორგანიზების აუცილებლობას, განსხვავებით ევროპული ფეოდალიზმისგან, ნაკლებად აყენებდა, რის გამოც აღმოსავლური ფეოდალიზმი დიდხანს ინარჩუნებდა კონსერვატიულ სახეს და დასავლეთ-ევროპულისგან განსხვავებით, ევოლუციური ცვლილებების ტენდენციას ნაკლებად ამჟღავნებდა.

ამგვარად, თუ ჩვენ შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციისა და ამ ორგანიზაციის მასშტაბში შექმნილი ფეოდალური არმიის ზოგადი სტრუქტურა, იგი შემდეგი სახის იქნება: ფეოდალური არმიების ბირთვს ქმნიდნენ მუდმივ მოქმედი სამხედრო რაზმები (ფეოდალური სახლის რაზმი, გვარდია, რაინდული ორდენები), რომელთაც მცირერიცხოვნობის გამო მუდმივი არმიის ფუნქციის შესრულება არ შეეძლოთ, რის გამოც შუა საუკუნეების ძირითად სამხედრო ძალად ფეოდალური ლაშქარი რჩებოდა, რომლის თანმხლები თავისებურებების (მცირერიცხოვნობის, განვევის არამობილურობის, ფეოდალური სეპარატიზმის, უზრუნველყოფისა და მომარაგების პრობლემებისა და ლაშქრობის შეზღუდული ვადის) კომპენსირება მოქირავნეთა მეშვეობით ხდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ მოქირავნეთა ინსტიტუტის ერთგვარი კონკურენცია ფეოდალური განვევის სისტემასთან წარმოადგენდა კიდევ ბრძოლას ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალიზაციისთვის და სადაც ეს ბრძოლა გამარჯვებით მთავრდებოდა

საქართველოში, ისევე როგორც დანარჩენ ფეოდალურ სამყაროში, სამხედრო ორგანიზაციის ამ უმნიშვნელოვანესმა ელემენტებმა (ფეოდალური სახლების რაზმებმა, გვარდიამ, მოქირავნეებმა) ადრეული პერიოდებიდან იწყეს გამოჩენა. ფეოდალური სახლის რაზმებს ვხედავთ უკვე ნერსე ერისთავისა (752 წ.) და აშოტ კურაპალატის (813 წ. ახლო ხანები) შემთხვევებში, როდესაც ორივე მათგანი ასეთი რაზმების („ერი თვისი“-ს) თანხლებით ტოვებს თბილისის საემიროს.¹³¹ გვარდია ჩნდება დავით აღმაშენებლის დროს (თუმცა მისი არსებობა არც

ადრეა გამორიცხული),¹³⁴ ხოლო მოქირავნეები საკმაო სტაბილურობით უკვე IX საუკუნიდან ჩანან ქართულ არმიებში,¹³⁵ რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ საქართველოში სამხედრო ორგანიზაცია ფეოდალიზმის დამახასიათებელი კანონების შესაბამისად ვითარდებოდა და ისევე ექვემდებარებოდა საერთო „ფეოდალურ“ კანონზომიერებს, როგორც ევროპისა თუ აღმოსავლეთის სხვა ფეოდალური სახელმწიფოები. მისი განვითარება აშკარად მიდიოდა ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის უკანასკნელი საფეხურის, მუდმივი არმიის შექმნისკენ, რაც რიგი მიზეზების გამო (რომლებიც მომდევნო თავებში იქნება განხილული) არ მომხდარა.

ბ) მომთაბარეები ფეოდალური სახელმწიფოების წინააღმდეგ

შუა საუკუნეების მანძილზე, ფეოდალური სახელმწიფოების ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგეებს მომთაბარეები წარმოადგენდნენ, რომლებსაც პრიმიტიული სახელმწიფოებრივი ფორმების არსებობის პირობებში ჰქონდათ მეტად ეფექტური სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც მთელი რიგი პარამეტრებით აღემატებოდა ფეოდალურს, რაც მათ არმიებს ანიჭებდა გამორჩეულ ბრძოლისუნარიანობას და უაღრესად სახიფათო ძალად ხდიდა ნებისმიერი ფეოდალური სახელმწიფოსთვის.

მომთაბარეთა დაპირისპირება ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ ჯერ კიდევ ადრეანტიკური პერიოდიდან დაიწყო და გაგრძელდა შუა საუკუნეების ბოლომდე, სანამ სამხედრო ორგანიზაციაში ცეცხლსასროლი იარაღი და მუდმივი არმიები გამოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს დაპირისპირება მანამ, სანამ მომთაბარეები დაკარგავდნენ თავიანთ უპირატესობას ცეცხლსასროლი იარაღის წინაშე, მათი უპირატესობით მიმდინარეობდა და ფეოდალური არმიები ისევე ხშირად მარცხდებოდნენ მათთან ბრძოლებში, როგორც უფრო ადრე აქემენიდების არმიები თუ რომაული ლეგიონები.¹ მომთაბარული სამყარო განფენილი იყო შუა აზიის სტეპებში, რომელიც ალტაის მთიანეთიდან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთამდის ვრცელდებოდა, საუკუნეთა მანძილზე ამ ტერიტორიებზე ყალიბდებოდა სხვადასხვა მომთაბარული გაერთიანებები თუ მომთაბარული იმპერიები, რომლებიც ერთმანეთთან ბრძოლაში საკმაოდ მალე ილუპებოდნენ, მაგრამ გამოთავისუფლებულადგის უმალსხვაიკავებდა, ხოლო დამარცხებულთა ნაწილი ხშირად ახალი ადგილსამყოფელის პოვნას დასავლეთით ცდილობდა, სადაც მათი კონფლიქტი ფეოდალურ სახელმწიფოებთან გარდაუვალი ხდებოდა.² მომთაბარეები დასავლეთის მიმართულებით ორი ძირითადი მარშრუტით მოძრაობდნენ, პირველი გადიოდა ვოლგისპირეთზე, კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, და ეს მარშრუტი განსაკუთრებით აქტიური იყო VIII-XI საუკუნეებში, როდესაც ამ მიმართულებით მოძრაობდნენ ავარები, უნგრები, პაჭანიკები, ყივჩაღები და მომთაბარეთა სხვა ტომები, რომლებიც დიდ საფრთხეს უქმნიდნენ ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის რეგიონებს. მომთაბარული მიგრაციის ამ ტალღის ძირითადი შედეგი იყო უნგრეთის სახელმწიფოს შექმნა და ყივჩაღებისა და ზოგი სხვა ტომის დამკვიდრება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ცალკეულ რეგიონებში.³ აღნიშნული მარშრუტის საქართველოსთვის საშიშრებას არ შეიცავდა, რადგან კავკასიონის ქედი მომთაბარეთათვის თითქმის გადაუღალახავ წინააღმდეგობას

წარმოადგენდა,⁴ მაგრამ უალრესად სახიფათო იყო მომთაბარული მიგრაციის მეორე, სამხრეთის მიმართულება, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთით, ირანის, ჩრდილო მესოპოტამიისა და სომხეთის ტერიტორიებზე გადიოდა ანატოლიის მიმართულებით.

აღნიშნულ მარშრუტზე მომთაბარული ტომების, ძირითადად თურქმენების, აქტიური მიგრაცია დაიწყო XI საუკუნის შუახანებიდან, როდესაც სელჯუკთა დაპყრობებმა მომთაბარული მიგრაციის დიდი ტალღა გამოიწვია, მოგვიანებით ეს ტალღა კიდევ რამდენჯერმე განმეორდა მონღოლებისა თუ თემურ-ლენგის შემოსევების დროს, რის შედეგადაც მომთაბარეებით ავსებული აღმოსავლეთი როგორც ირან-მესოპოტამიის, ასევე მცირე აზიის ტერიტორიები, რასაც მთელს ახლო აღმოსავლეთში გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა. ამ მიმართულებაზე მომთაბარული მიგრაციის უმთავრესი შედეგი იყო უამრავი მუსლიმური სახელმწიფოს ფორმირება ირანის-ერაყის-სირიისა და მცირე აზიის რეგიონებში, ბიზანტიის იმპერიის განადგურება, ოსმალთა სახელმწიფოს წარმოქმნა და მის მიერ შექმნილი საფრთხე ევროპული სახელმწიფოებისთვის —სამხედრო ხელოვნების ისტორიის ცნობილი მკვლევარის, დენის სინორის მიხედვით, მომთაბარეებს სახალხო არმიები ჰყავდათ,¹ რაც მომთაბარული სამხედრო ორგანიზაციის ბუნებიდან გამომდინარეობდა, რომელიც, განსხვავებით ფეოდალური ორგანიზაციისგან, არ იყო დამოკიდებული მიწის საკუთრების ფორმებზე და შესაბამისად, თავისუფალი იყო სოციალური ბარიერებისგან, რაც მომთაბარულ სამხედრო ორგანიზაციას განსაკუთრებულ მოქნილ და მობილურ ხასიათს ანიჭებდა.

მომთაბარულ საზოგადოებებში ყველა სრულასაკოვანი მამაკაცი სამხედრო ვალდებული იყო, მიუხედავად მისი სოციალური სტატუსისა თუ საზოგადოებრივი მდგომარეობისა, რითაც მომთაბარული არმიები ნამდვილად საერთო-სახალხო სამხედრო გაერთიანებებს წარმოადგენდნენ. მეომრობის უფლება მომთაბარული საზოგადოების სრულფასოვან წევრობას ნიშნავდა,² რისი მიხედვითაც მომთაბარული საზოგადოება იმდენი სრულფასოვანი წევრისგან შედგებოდა, რამდენი მეომარიც ითვლებოდა მის შემადგენლობაში. მომთაბარეები ბუნებრივი მეომრები იყვნენ, რასაც მათი ცხოვრების წესი და მეურნეობის ხასიათი განაპირობებდა.

არ აქვთ სოციალურობა, რაც ნაკლები სამობილიზაციო რესურსის არსებობის პირობებში შესაძლებლობას იძლეოდა ფეოდალურთან შედარებით უფრო დიდი არმიების ფორმირება მოეხდინათ.

მობილიზაციის სისწრაფე.

არ ატარებენ ალაღს. არიან მობილურები.

გააჩნიათ განსხვავებული ტაქტიკა.

მომთაბარულ საზოგადოებებში ბელადები და, შესაბამისად, სამხედრო მეთაურები ხდებოდნენ არა მემკვიდრეობით, არამედ პირადი ლირსებებით.

ცხენოსანი მოისრეები.

ბარტოლდის მიხედვით, როდესაც მომთაბარეები არ იმყოფებოდნენ ძლიერი ხელისუფლების ქვეშ, მოქმედებდნენ უსისტემოდ და იკავებდნენ კულტურულ ტერიტორიებს საძოვრებად.

ბარტოლდი II-1 გვ. 701

ბარტოლდი მომთაბარეობის შეუთავსებლობის შესახებ სახელმწიფო სისტემასთან.

*ბარტოლდი I. 372**

* აქ და შემდგომში კურსივით გამოყოფილია მომავალი კლავის ავტორისეული მონახაზები (რედაქტორი)

შუა საუკუნეების ომების ბუნება (მიზნები და კანონები)

ა) ომების მიზნები

შუა საუკუნეების ომების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს, ახალი მიწის ფონდების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. მიწისმფლობელობა, გარდა ეკონომიკური შემოსავლებისა, განაპირობებდა მისი მფლობელის სამხედრო ძლიერებასაც (რაც მეტი მიწის ფონდი იყო კონცენტრირებული მიწისმფლობელის ხელში, იმდენად დიდი არმიის ფორმირება შეეძლო მას), რაც ქმნიდა როგორც შიდა, ასევე გარე ომების უმთავრეს მოტივაციას: ერთი მფლობელის ხელში მოქცეულიყო რაც შეიძლება მეტი ტერიტორია, ამიტომ ფეოდალურ სახელმწიფოებში გამუდმებით მიმდინარეობდა ბრძოლა მიწის მონოპოლიზაციისთვის, რასაც ჰქონდა როგორც შიდა ომის, როდესაც იგი ერთი ქვეყნის სხვადასხვა მსხვილ მიწისმფლობელებს შორის მიმდინარეობდა, ასევე საგარეო ომის ხასიათი, რაც ორი, ან მეტი სახელმწიფოს შორის ბრძოლაში გამოიხატებოდა.

მიწების მონოპოლიზაციისთვის წარმოებული შიდა ომები მიმდინარეობდა ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობისა, თუ ფეოდალური ურთიერთობების თავისებურებებისა. როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებში ამ ომებს საკმაოდ ერთგვარი ხასიათი ჰქონდა, და მათზე ზეგავლენას არც არსებული პოლიტიკური სისტემები ახდენდა და არც რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილება. მაგალითად, სელჯუკთა სულთნებისთვის ისეთივე მწვავე ამოცანას წარმოადგენდა მათ ხელისუფლებას დაქვემდებარებული ათაბაგებისა და ემირებისთვის მიწაზე საკუთრების უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა, როგორც ევროპელი მონარქებისთვის ჰერცოგებისა თუ გრაფების დამოუკიდებლობის აღაგმვა.

იგივესურათია ფეოდალურსაქართველოშიც, სადაც IX-X საუკუნეებში მიწისთვის ბრძოლა მეტ-ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობების მქონე მიწისმფლობელებს (მეფე-მთავრებს, ცალკეულ ფეოდალურ საგვარეულოებს) შორის მიმდინარეობდა,¹ ხოლო XI საუკუნიდან ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავებისა და განმტკიცების შემდეგ, უკვე უმსხვილესი მიწისმფლობელის, ცენტრალური ხელისუფლებისა (სამეფო საგვარეულოს) და ცალკეულ ფეოდალთა (სხვა მსხვილ მიწისმფლობელებს) შორის ბრძოლაში გადაიზარდა. მაგალითად, ბაგრატ III-მ, როდესაც ის ერთიანი საქართველოს მეფე გახდა, დაუყოვნებლივ დაიწყო ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლა და ცენტრალური სამეფო ხელისუფლების ქვეშ მიწის ძირითადი ფონდების კონცენტრირება, რის მისაღწევადაც იგი არანაირ (დაშვებულ თუ დაუშვებელ) საშუალებებს არ ერიდებოდა.² ფეოდალურ ეპოქაში მიწებისთვის ბრძოლას თითქმის დაუსრულებელი პროცესის სახე ჰქონდა და მისი შედეგები მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული პიროვნულ ფაქტორებზე,³ ამიტომ რამდენადაც ძლიერი იყო ცენტრალური ხელისუფლების სათავეში მყოფი მონარქი, იმდენად ეფექტური ხდებოდა მის მიერ მიღწეული შედეგები მიწებისთვის ბრძოლაში და პირიქით, სუსტი მონარქის გამოჩენის შემთხვევაში (რაც ბუნებრივია, ხშირად ხდებოდა) მიწებისთვის ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლებისთვის წარუმატებლად მთავრდებოდა. აღნიშნულის ნათელი მაგალითია, გიორგი

II-სა და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა, როდესაც გიორგი II ფეოდალებთან ურთიერთობის დარეგულირებას, მათთვის მიწების ფონდის გაზრდის მეშვეობით ცდილობდა,⁴ ხოლო დავით აღმაშენებლის ერთადერთი სტრატეგია, ასეთი ფეოდალებისთვის მიწების ჩამორთმევა და სამეფო დომენთან მიერთება იყო.⁵ როდესაც ერთი ნაციონალური სახელმწიფოს ფარგლებში მიწის ფონდები რამდენიმე მსხვილ მიწისმფლობელს შორის ნაწილდებოდა, ასეთ შემთხვევაში შიდა კონფლიქტები გარდაუვალი იყო და ხშირად ათეული და არცთუ იშვიათად, ასეული წლებიც გრძელდებოდა.⁶ მაგალითად, საფრანგეთში სამეფო დინასტიას თითქმის ოთხნახევარი საუკუნე დასჭირდა იმისთვის, რომ ქვეყანაში მთავარი მიწისმფლობელი გამხდარიყო და დაემარცხებინა საფრანგეთის სხვა მსხვილი მიწისმფლობელები, ნორმანდიის ჰერცოგები, ანჟუს და ბლუას გრაფები და ა.შ.⁷ მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა საქართველოშიც, სადაც ბაგრატიონების სამეფო საგვარეულო თითქმის ერთი საუკუნე ებრძოდა მეორე მსხვილ მიწისმფლობელს, ბაღვაშების საგვარეულოს.⁸

შუასაუკუნეებში ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მიწის ფონდების კონცენტრირებისათვის ბრძოლა, ხანგრძლივ და რთულ პროცესს წარმოადგენდა. ამ სირთულეს ქმნიდა ის გარემოება, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში მემკვიდრეობითი მიწისმფლობელობა მთელი რიგი იურიდიული ნორმებით იყო დაცული, რის გამოც ფეოდალისთვის მიწისმფლობელობის უფლების ჩამორთმევა უაღრესად ძნელ საქმეს წარმოადგენდა და გარდა სამხედრო ძლიერებისა, ხშირ შემთხვევებში, მთელი რიგი იურიდიული პროცედურების განხორციელებას საჭიროებდა. მაგალითად, ბაგრატ IV თავის უმთავრეს მოწინააღმდეგეზე, ლიპარიტ ბაღვაშზე გამარჯვების შემდეგ, იძულებული გახდა მისი ვაჟისთვის მამისეული სამფლობელოს მნიშვნელოვანი ნაწილი უკან დაებრუნებინა,⁹ ხოლო დავით აღმაშენებელმა მანამდის ვერ შეძლო მის მიერ დამარცხებული ბაღვაშების საგვარეულოს კუთვნილი კლდეკარის საერისთაოსა და განსაკუთრებით კაცხის სამემკვიდრეო მამულის სამეფო დომენად ქცევა, სანამ უკანასკნელი ბაღვაში უმემკვიდრეოდ არ გარდაიცვალა.¹⁰ იგივე პრობლემები ჰქონდა საფრანგეთის მეფე ფილიპე-ავგუსტს, რომელსაც თითქმის 10 წლის განმავლობაში, მთელი იურიდიული „მასკარადის“ ჩატარება დასჭირდა ნორმანდიის საჰერცოგოს სამეფო დომენთან შესაერთებლად, რომელიც ყველა არსებული კანონის შესაბამისად ინგლისის მმართველ დინასტიას, პლანტაგენეტებს ეკუთვნოდათ. მიუხედავად ფილიპე-ავგუსტის სამხედრო უპირატესობისა, მან ნორმანდიაზე მფლობელობის უფლება მანამდის ვერ მიიღო, სანამ ნორმადიის ბოლო მფლობელი, არტურ პლანტაგენეტი უმემკვიდრეოდ არ გარდაიცვალა და ამით ლეგალური საფუძველი არ შეიქმნა ამ ტერიტორიების სამეფო დომენთან შეერთებისთვის.¹¹ მიუხედავად მემკვიდრეობითი მიწის ფონდების ხელში ჩაგდების იურიდიული სირთულეებისა, მიწებისთვის ბრძოლის უმთავრეს არგუმენტს მაინც სამხედრო ძლიერება წარმოადგენდა, რაც თავის მხრივ მიწისმფლობელობის მასშტაბებზე იყო დამოკიდებული, რის გამოც მიწებისთვის ბრძოლა სამხედრო ძლიერებისთვის ბრძოლასაც ნიშნავდა, ეს ამოცანა კი, ფეოდალურ ეპოქაში სამხედრო მოქმედებების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზსა და მოტივაციას, შესაბამისად, შიდა ომების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა.

ისევე როგორც შიდა ომებისას, საგარეო ომების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, ასევე მიწების ახალი ფონდების ხელში ჩაგდება იყო. განსხვავება ომის ამ ორ კატეგორიას შორის მდგომარეობდა იმ ფაქტორში, რომ გარედან მოსული

თავდამსხმელი მინების ხელში ჩასაგდებად არანაირ იურიდიულ არგუმენტაციას არ საჭიროებდა და დაპყრობილი ტერიტორიების დაკანონებას „ომში გამარჯვებულის უფლებით“ ახდენდა, რაც შუა საუკუნეების ეპოქაში სავსებით მიღებულ ნორმას წარმოადგენდა.¹² შესაბამისად, დაპყრობითი ომის საწარმოებლად და ახალი მინების ხელში ჩასაგდებად, ერთი შეხედვით სავსებით საკმარისი იყო შემტვეი მხარის სამხედრო უპირატესობა, მაგრამ ეს ფაქტორი მხოლოდ ომში გამარჯვებასა და ტერიტორიების დროებით დაკავებას უზრუნველყოფდა და არა მის შენარჩუნებას, რაც საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენდა. დაპყრობითი პროცესის დასასრულებლად (ოკუპირებული ტერიტორიების დასამაგრებლად) მხოლოდ სამხედრო ძალა საკმარისი არ იყო, იგი სხვა მრავალი (ძალისმიერი თუ არაძალისმიერი) რესურსის გამოყენებას საჭიროებდა, რისი განხორციელებაც ყველა დამპყრობელს არ შეეძლო, ეს კი განაპირობებდა დაპყრობითი ომების მიზნებისა და დაპყრობის ფორმათა მრავალფეროვნებას.

ნებისმიერი დამპყრობელის უმთავრეს მიზანს, სამხედრო ძალით დაპყრობილი ტერიტორიების საკუთარ სამფლობელოებთან შეერთება და მისი სამუდამოდ შენარჩუნება, ანუ სრული ოკუპაცია წარმოადგენდა, რაც ძალიან ხშირად დიდი იმპერიებისთვისაც კი უაღრესად რთული ამოცანა იყო. ასეთი მიზნის არსებობის შემთხვევაში, როგორც ეს დასაწყისში უკვე იყო აღნიშნული, ომში გამარჯვებულ აგრესორს დაპყრობილ ტერიტორიებზე, პირველ რიგში, ადმინისტრირების სისტემა უნდა შეექმნა, რომლის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება იოლდებოდა იმ ვითარებაში, როდესაც მოსახლეობა, და პირველ რიგში, ადგილობრივი მინისმფლობელები, (როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკურ) წინააღმდეგობას წყვეტდნენ და შემტვეი მხარის მიერ შექმნილ მმართველობის სისტემაში ინტეგრირებას იწყებდნენ. ამ მდგომარეობის მისაღწევად დამპყრობელი მხარე თავდაპირველად, როგორც წესი, იოლი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მისაღები პოლიტიკურ-ეკონომიკური რეჟიმის შექმნას ცდილობდა და ადგილობრივ რელიგიურ და სხვა ინსტიტუტებს, ნაკლებად ეხებოდა. ასე იქცეოდა თითქმის ყველა „კლასიკური დამპყრობელი“, არაბები, სელჯუკები, ჯვაროსნები, მონღოლები, ოსმალები და სხვები,¹³ მაგრამ შუა საუკუნეების სამყაროს „უდისციპლინო სოციალური იერარქიისა“ და ფეოდალური სეპარატიზმის არსებობის პირობებში, ასეთი პოლიტიკის დროის დიდ მონაკვეთში თანმიმდევრულად (სანამ მოხდებოდა ადგილობრივების სრული ინტეგრირება დამპყრობლებთან) განხორციელება საკმაოდ რთული იყო, ამიტომ მსგავსი მცდელობები უმრავლეს შემთხვევებში სრული, ან ნაწილობრივი მარცხით მთავრდებოდა. მაგალითად, როგორც არაბებმა, ასევე სელჯუკებმა და მონღოლებმაც, მათ მიერ ოკუპირებული უზარმაზარი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს არა გარედან მიღებული სამხედრო დარტყმების, არამედ ამ რეგიონების საკუთარ სახელმწიფო სისტემაში ბოლომდე ინტეგრირების შეუძლებლობის შედეგად. ანუ ვერ შეძლეს ადგილობრივი საზოგადოებების საკუთართან ასიმილირება და ტერიტორიების დიდი ხნით შენარჩუნება, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, მათი იმპერიების ნგრევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამპყრობელი, სამხედრო წარმატებების მიუხედავად, მხოლოდ იმ ტერიტორიების ოკუპირებას ახერხებდა, რომლის მოსახლეობის ინტეგრირებისთვისაც შიდა რესურსები ყოფნიდა. ამის ნიმუშია, მაგალითად, ოსმალეთის იმპერია, რომელმაც დაპყრობების უზარმაზარი მასშტაბების მიუხედავად, ტერიტორიების დიდი ნაწილის ათვისება ვერ შეძლო, ხოლო იმ რეგიონ-

ების (მაგალითად, მცირე აზიის) შენარჩუნება, რომლებიც მათი იმპერიის შემდგენლობაში მყარად დარჩნენ, აბორიგენ მოსახლეობასთან გატარებული ლიბერალური რელიგიური პოლიტიკითა და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების სისტემით მოახერხეს.¹⁴

როდესაც დაპყრობილ ქვეყანაში ვერ ხერხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მმართველობის სისტემაში ინტეგრირება (ე.ი. როდესაც დაპყრობითი ამოცანების შესასრულებლად რესურსები არ ყოფნიდა, ან სხვადასხვა მიზეზით ამ პოლიტიკის გატარებაზე უარს ამბობდა), მაშინ დამპყრობელი ტერიტორიების შესანარჩუნებლად იძულებული იყო გამოეყენებინა მკაცრი ადმინისტრირების მეთოდი, რაც ოკუპირებული ტერიტორიების სამხედრო ძალით შენარჩუნებას გულისხმობდა, ყოველივე ამისთვის კი საჭირო იყო მუდმივი გარნიზონების სისტემა, ხშირი სამხედრო ექსპედიციები, ადგილობრივი ინსტიტუტებისა და ტრადიციების დანგრევა და ა.შ. რაც ამ პოლიტიკის განხორციელებისთვის, თავად ამ პოლიტიკის ხასიათით გამოწვეული დიდი წინააღმდეგობის ფონზე, უზარმაზარი დამატებითი რესურსების სტაბილურ ხარჯვასთან იყო დაკავშირებული, რისი განვაცა შუასაუკუნეებში ძალიან ცოტა სახელმწიფოს შეეძლო და ისიც დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში. აღნიშნულის შესანიშნავი მაგალითია XVII საუკუნის დასაწყისში სეფევიანთა ირანის (უკვე აღნიშნული) მცდელობა აღმოსავლეთ საქართველოს იძულებითი ინტეგრირებისა საკუთარ სახელმწიფო სისტემაში, რომელიც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის, დიდი სამხედრო უპირატესობისა და ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად, მაინც მარცხით დამთავრდა.¹⁵

დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობის საკუთარ სახელმწიფო სისტემაში ინტეგრირების სირთულის გარდა, დიდი სივრცეების დაპყრობის შემთხვევაში, დამპყრობლების წინაშე ყველა შემთხვევაში დგებოდა უზარმაზარი ტერიტორიების მართვის პრობლემა, რაც შუა საუკუნეების ნაკლებ მობილური სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემების არსებობის პირობებში ძალიან ძნელი განსახორციელებელი იყო და დიდ იმპერიათა დაშლის პროცესს მნიშვნელოვან წილად განაპირობებდა. მაგალითად, 1248 წელს, როდესაც მონღოლთა დიდი ყაენი გუიუკი გარდაიცვალა და ტახტი ბათო-ყაენს შესთავაზეს, მან უარი განაცხადა იმის გამო, რომ იგი უკვე ფლობდა უზარმაზარ ტერიტორიებს რუსეთსა და ვოლგისპირეთში, ხოლო მათი მართვა ჩინეთთან, თურქმენეთთან (იგულისხმება მთელი ცენტრალური აზია) და ირანთან ერთად, შეუძლებელი იყო.¹⁶

დაპყრობილი ტერიტორიების ათვისებისა და მართვის სირთულეები განაპირობებდა იმ ვითარებას, რომ დამპყრობელთა დიდი ნაწილი ახალი სივრცეებისა და ტერიტორიების მოპოვების მცდელობისას, საკმაოდ ხშირად არ ისახავდა მიზნად დამარცხებული ქვეყნის ტერიტორიების ოკუპირებისა და მისი ინტეგრირების ამოცანას საკუთარ სახელმწიფო სისტემაში და ომში გამარჯვების შემთხვევაში, ამ ტერიტორიებიდან მხოლოდ გარკვეული შემოსავლებისა და რესურსების მიღებით კმაყოფილდებოდა, რისთვისაც დამარცხებულ ქვეყანაზე ამყარებდა პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჰეგემონიას და მას სრულ შიდა ავტონომიას უტოვებდა. საგარეო ომების წარმოებისას, ასეთი ტიპის ამოცანები განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ძლიერი, მაგრამ არაიმპერიული შესაძლებლობების (და შესაბამისად, ამბიციების) მქონე სახელმწიფოებისთვის, რომლებიც სისტემური სიხშირით ჩნდებოდნენ შუა საუკუნეების მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. ამ ტიპის სახელმწიფოთა მიერ წარმოებული საგარეო ომების მიზნები მოკლედ ასე შეი-

ძლება ჩამოყალიბდეს: მოცემულ რეგიონში პოლიტიკური ჰეგემონიის დამყარება, რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობებიდან მაქსიმალურად მეტი შემოსავლის მიღება და ვითარებისდა მიხედვით მიწის გარკვეული ფონდების ხელში ჩაგდება. სხვა არგუმენტები რომ არ მოვიყვანოთ, აღნიშნულის კლასიკური მაგალითი, XII საუკუნისა და XIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ერთიანი სამეფოა, რომელიც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების ხანაში საგარეო ომებს სწორედ ამ ამოცანების შესაბამისად აწარმოებდა. იგი ცდილობდა პოლიტიკური ჰეგემონიის დამყარებას ამიერკავკასიისა და მის მეზობელ რეგიონებზე, სადაც ხარკავდა და ვასალიტეტის (ყმადნაფიცოფის) პირობით უწარჩუნებდა შიდა ავტონომიას მეზობელ ქვეყნებს, ხოლო პერიოდულად, საკუთარ სამფლობელოებს გარკვეული სიდიდის მიწების ახალ ფონდებსაც უმატებდა.¹⁷

შუასაუკუნეებში, მიწების ოკუპაციისა და პოლიტიკური ჰეგემონიის დამყარების გარდა, ომები სხვა მიზნების მისაღწევადაც წარმოებდა, მათგან ყველაზე გავრცელებული იყო სამხედრო მოქმედებები სხვადასხვა პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად, ნადავლის მოსაპოვებლად და რელიგიური მიზნების მისაღწევად.

შუა საუკუნეების სახელმწიფოთა წინაშე საკმაოდ ხშირად დგებოდა ომის წარმოების პოლიტიკური მიზნები ახალი მიწების დაპყრობის ამოცანის გარეშე, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ომი რეგიონში ძალთა არსებული ბალანსის შესაწარმუნებლად, მოკავშირეთა დასახმარებლად, სხვა ქვეყნის ტახტზე სასურველი კანდიდატის ასაყვანად, პოტენციურ მონინალმდეგეთა შესაკავებლად, სხვადასხვა პრევენციული ზომების გასატარებლად და ა.შ. მაგალითად, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შამქორის ბრძოლა, რომელიც საქართველოს სამეფომ აზერბაიჯანის საათაბაგოს გარშემო გაერთიანებული მუსლიმური კოალიციის წინააღმდეგ ჩაატარა, მიზნად არა ახალი მიწების დაპყრობას, ან უკვე დაპყრობილის შენარჩუნებას (ბასიანის ბრძოლის მსგავსად), ან შეტევის მოგერიებას (დიდგორის ბრძოლის მსგავსად) ისახავდა, არამედ აზერბაიჯანის საათაბაგოს ტახტზე მისთვის სასურველი კანდიდატის აყვანას და რეგიონში საქართველოს სამეფოსთვის მისაღები პოლიტიკურ ძალთა ბალანსის შენარჩუნებას.¹⁸

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ტერიტორიების დაუფლება და სხვადასხვა პოლიტიკური ამოცანების შესრულება ომების წარმოების ფართოდ გავრცელებულ მიზნებს წარმოადგენდა, სამხედრო მოქმედებების უმთავრესი ფორმა მაინც სათარეშო რეიდები იყო, რომელთა მიზანსაც ნადავლის მოპოვება წარმოადგენდა.¹⁹ სათარეშო რეიდები წარმოებდა როგორც მცირე, ასევე მასშტაბური ლაშქრობების სახით, მცირე მასშტაბის რეიდები ძირითადად სასაზღვრო რეგიონებს მოიცავდა და როგორც წესი, ახლო დისტანციებზე, ძირითადად უშუალო მეზობლების ტერიტორიებზე მცირე ძალებით ხორციელდებოდა, ხოლო მასშტაბური ლაშქრობები შორეულ დისტანციებზე დიდი ძალებით წარმოებდა. მაგალითად, ტიპიურ ასეთ რეიდებს წარმოადგენდა ალფ-არსლანის ლაშქრობები საქართველოში 1063 და 1068 წლებში, რომლებიც მან დასავლეთ ირანის ტერიტორიებიდან ჩაატარა, ისევე როგორც, საქართველოს სამეფოს მიერ ზაქარია და ივანე მხარგრძელების მეთაურობით განხორციელებული ლაშქრობა ჩრდილო ირანში 1207 წელს.²⁰

პერიოდულად, სხვადასხვა სახელმწიფოთა წინაშე დგებოდა რელიგიური მიზნების სამხედრო ძალით მიღწევის ამოცანა, რაც როგორც საგარეო, ასევე შიდა ომების წარმოების საფუძველი ხდებოდა. რელიგიური მიზანი შეიძლებოდა ყოფილიყო რომელიმე რელიგიის იძულებითი გავრცელება გარკვეულ ტერიტორიებზე, წმინდა ადგილების სხვა რელიგიის წარმომადგენელთაგან განთავისუფლება, ერეტიკოსების განადგურება და ა.შ. რელიგიური ომების წარმოებას საფუძველი არაბებმა დაუდეს, როდესაც მიზნად დაისახეს ომების მეშვეობით ქრისტიანული სარწმუნოების (ისლამის) გავრცელება ურწმუნოებს შორის, რაც რელიგიური დოგმის დონეზე აისახა ჯიჰადის კონცეფციაში.²¹ რელიგიური მიზანი, მაცხოვრის საფლავის ურწმუნოთა ხელიდან განთავისუფლება და შენარჩუნება, იყო ჯვაროსნული ლაშქრობების მთავარი ამოცანა,²² რამაც საპასუხო რელიგიური ომების (ჯიჰადის) მთელი სერია განაპირობა მუსლიმთა მხრიდან.²³ განსაკუთრებით ხშირი იყო ომები რომელიმე რელიგიაში წარმოქმნილი ერეტიკული მიმდინარეობების, ან წარმართების წინააღმდეგ, როგორც იყო მაგალითად, სელჯუკთა იმპერიის ომი ისმაილიტების (ასასინების) სექტასთან,²⁴ პაველიკიანური ომები ბიზანტიის იმპერიაში,²⁵ ჯვაროსნული ლაშქრობები ბალტიისპირეთსა²⁶ და სამხრეთ საფრანგეთში (ე.წ. ალბიგონიური ომები),²⁷ ჰუსიტური ომები²⁸ და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურ ომებს ჰქონდა მკვეთრად გამოკვეთილი სარწმუნოებრივი მიზნები, ხშირ შემთხვევებში მათი რეალური ამოცანა ჩვეულებრივი დაპყრობები იყო, რომელიც რელიგიური მოტივაციის არსებობის შემთხვევაში უფრო მასშტაბურად და ეფექტურად ხორციელდებოდა ვიდრე სხვა პირობებში. მაგალითად, იგივე ჯვაროსნული ლაშქრობების პროპაგანდა წმინდა საფლავის განთავისუფლებისა და დაცვის ამოცანით, თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში უზრუნველყოფდა მორწმუნეთა მობილიზებას ამ იდეის გარშემო და ევროპული ქვეყნების მიერ წარმოებული ამ აღმოსავლური კამპანიის რეზერვებით მომარაგებას. რასაკვირველია, ამ მოძრაობის მონაწილე ათეულ ათასობით ადამიანი წმინდა რელიგიური მოტივაციითა და რწმენით მიემგზავრებოდა სირია-პლესტინაში, მაგრამ თავისი არსით ჯვაროსნული ლაშქრობები უფრო ახალი ტერიტორიების კოლონიზაციის მცდელობა იყო, ვიდრე უფალის უანგარო სამსახური.²⁹ მაგალითად, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი ლიდერი, ტარენტის ჰერცოგი ბოემუნდი, მას შემდეგ რაც მის ხელთ ანტიოქია აღმოჩნდა, თავისი არმიით დაუყოვნებლივ გამოეთიშა სამხედრო კამპანიას, აღარ წავიდა იერუსალიმისკენ (ანუ უარი თქვა ლაშქრობის რელიგიურ მიზანზე, მაცხოვრის სფლავის განთავისუფლებაზე) და ახალი სამფლობელოს გაფართოვება დაიწყო, თუმცა რელიგიის ფაქტორს ახალი სამფლობელოს გაფართოებისთვის კვლავ აქტიურად იყენებდა.³⁰ იგივე შეიძლება ითქვას IV ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეების შესახებაც, რომლებმაც უმაღლეს დავითს მაცხოვრის საფლავის დაბრუნების რელიგიური ამოცანა და მუსლიმთა ხელში მყოფი იერუსალიმის ნაცვლად, ქრისტიანული კონსტანტინოპოლი დაიპყრეს.³¹ როგორც თავის დროზე ცნობილი ინგლისელი მეცნიერი სტივენ რანსიმენი აღნიშნავდა, „წმინდა ომი სხვა არაფერი იყო, თუ არა უფლის სახელით განხორციელებული შეუწყნარებლობის ხანგრძლივი აქტი.“³² შეიძლება ითქვას, რომ შეუწყნარებლობასთან ერთად, რელიგიური ომების საფარქვეშ თითქმის ყოველთვის სტანდარტული პოლიტიკური ამოცანების რეალიზება იფარებოდა.

ბ) სისასტიკე, შუა საუკუნეების ომების ძირითადი „კანონი“

1097 წელს, მცირე აზიაში პირველად გამოჩენილი ჯვაროსნების შესახებ ანა კომნენოსი წერდა, რომ ნიკეის მიდამოებში ისინი ჩვილ ბავშვებს შამფურზე აგებდნენ და ცეცხლზე წვავენ. ¹ მისივე ჩვენებით, 1108 წელს ბიზანტიელი მეომრები, რომლებიც ებრძოდნენ ერთ-ერთ თურქმენულ ტომს, მათ ხელში მოხვედრილ ბავშვებსა და ქალებს ადულტული წყლით სავსე ქვაბში ყრიდნენ და ცოცხლად ხარშავდნენ. ² ქამალ ად-დინს აღწერილი აქვს სულთან მალიქ-შაჰის ძმის, ტუტუშის ქმედება, რომელმაც ქალაქ მაიაფარიკინინის დაპყრობის შემდეგ ქალაქის მმართველი მუსლიმი ემირის ოჯახი ამონყვიტა, მაგრამ სანამ ემირს სიკვდილით დასჯიდა, მანამდის მის შვილებს მოჰკვეთა თავები და მამას კისერზე დაჰკიდა. ³ ნიკიტა ხონიატის მიხედვით აჯანყებულ ბიზანტიელ დიდებულს, ალექსი ვრანას თავი მოჰკვეთეს და მის მეუღლეს ძვირფას ყუთში ჩადებული გაუგზავნეს. ⁴ ამ და სხვა მსგავსი ცნობებით სავსეა შუა საუკუნეების ისტორიული ქრონიკები და მათი გადმოცემისას, ამ ცნობების ავტორები რეალობას როგორც არ უნდა აჭარბებდნენ, და საომარი მოქმედებების დროს მომხდარ სისასტიკის აქტებს როგორი გაზვიადებული სახითაც არ უნდა გადმოსცემდნენ, ერთი რამ უდავო ფაქტია, შუა-საუკუნეებში სისასტიკე ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ომების წარმოების დროს ადამიანის სიცოცხლე არაფრად ფასობდა. ⁶

საუკუნეთა განმავლობაში ფეოდალური სამყარო გამუდმებით ცდილობდა დაენესებინა ომის წარმოების გარკვეული წესები და ზედმეტი სისასტიკის შესაზღუდად შეექმნა ერთგვარი მორალური კოდექსი. ჯერ კიდევ VII საუკუნეში, წინასწარმეტყველ მუჰამედის მეგვიდრემ, არაბთა პირველმა ხალიფა აბუ-ბაქრმა (632-634 წწ) გამოსცა ბრძანება, რომელიც ავალდებულებდა ისლამის მეომრებს არ დაეხოცათ ქალები, ბავშვები და მოხუცები. არ გაენადგურებინათ დასახლებული პუნქტები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, არ მიეყენებინათ ვნება იმ ქალაქებისა და ქვეყნებისთვის, რომლებიც წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ არაბთა არმიებს, არ შეხებოდნენ რელიგიურ აღმსარებლობას, დაეცვათ შეთანხმებების პირობები და ა.შ. ⁷ შეიძლება ითქვას, რომ არაბები ამ ბრძანების შესრულებას ნამდვილად ცდილობდნენ და გარკვეული პერიოდი საკმაოდ ზუსტადაც ასრულებდნენ აბუ-ბაქრის მითითებებს, რაც მაგალითად, საკმაოდ კარგად ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს შემთხვევაში, რომელიც არაბებმა სისხლისღვრის გარეშე დაიკავეს და ადგილობრივ ხელისუფლებასთან გააფორმეს ხელშეკრულება, ე.წ. იბნ-მასლამას დაცვის სიგელი, რომელიც დამპყრობლებსა და დაპყრობილებს შორის ურთიერთობასა და ვალდებულებებს აბუ-ბაქრის ბრძანების შესაბამისად არეგულირებდა. ⁸ მაგრამ დროთა განმავლობაში მათ მიერ წარმოებული ომები ისეთივე სისასტიკის აქტებად გადაიქცა, როგორც ყველა სხვა დანარჩენის. მაგალითად, ასეთი იყო არაბი სარდლის მურვან ყრუს ლაშქრობები ამიერკავკასიაში VIII საუკუნის 30-40-იან წლებში, რომლის დროსაც არაბებმა (აბუ-ბაქრის პრინციპების სანინააღმდეგოდ) იშვიათი სისასტიკე გამოიჩინეს მოსახლეობის მიმართ, ⁹ ისევე როგორც ბიზანტიის ტერიტორიებზე 931 წელს განხორციელებული ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, როდესაც ალ-ასირის მითითებით, მათ იმდენი ქალი და ბავშვი აიყვანეს ტყვედ, რომ მათმა ფასმა 136 ათასი დინარი შეადგინა, რაც იმ დროისთვის უზარმაზარ თანხას წარმოადგენდა. ¹⁰

ომების წარმოების წესების შექმნას და სისასტიკის შეზღუდვებს არაბი ხალიფების გარდა, სხვა ქვეყნების ხელისუფალნიც ცდილობდნენ. ამ მხრივ სხვებზე მეტად აქტიურობდა რომის კურია, რომლის ერთ-ერთი კანონის მიხედვითაც, XI საუკუნეში ქრისტიანებს ომები ერთმანეთს შორის გარკვეულ დღეებში, ორშაბათ დილიდან ოთხშაბათის საღამომდე უნდა ეწარმოებინათ, რასაც (ამ მოთხოვნის კურიოზულობისა და არარეალურობის გამო), ბუნებრივია, არავინ იცავდა.¹¹ ომის წარმოების „უფრო სერიოზულ კანონებს“ წარმოადგენდა იმავე რომის პაპების მიერ შემუშავებული კოდექსი, რომელიც ომებს სამ კატეგორიად ყოფდა. პირველს წარმოადგენდა სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე ფეოდალური ომები (*guerre civile*), რომლის დროსაც აკრძალული იყო ძარცვა, გამოსასყიდის მიღების მიზნით ტყვეების აყვანა, მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება, შენობებისა და ნაგებობების დანვა და ა.შ. მეორე კატეგორიას წარმოადგენდა ომი ორ ქრისტიანულ სახელმწიფოს შორის (*bellum hostile*), რომლის წარმოების დროსაც იკრძალებოდა მოსახლეობის განადგურება, მაგრამ ნებადართული იყო ტყვეებისგან გამოსასყიდის მიღება, ისევე როგორც ტერიტორიების გაძარცვა. მესამე კატეგორია კი იყო ომი არაქრისტიანულ ქვეყანასთან ან მოსახლეობასთან (*guerre mortelle*), სადაც ის შეზღუდვები, რაც „ქრისტიანულ“ ომებში მოქმედებდა, აქ ნებადართული იყო.¹²

შუასაუკუნეებში ომების წარმოების გარკვეული წესებით რეგულირების მცდელობის გარდა, აქტიურად ცდილობდნენ საბრძოლო მოქმედებებისთვის „სამართლიანი ომის“ კატეგორიის მიცემას,¹³ რის გაკეთებასაც ყველა მხარე, ბუნებრივია, თავის სასარგებლოდ ცდილობდა. მაგალითად, როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა რომან III-მ (1028-1034 წწ) დაიწყო მოულოდნელი ლაშქრობა ალექსანდრიის წინააღმდეგ, არაბებმა მას მიმართეს, რომ მათ არ სურდათ ომი და ამის მიზეზი არც ბიზანტიელებს არ ჰქონდათ, რადგან არაბებს არ დაურღვევიათ სამშვიდობო შეთანხმება და არ გაუტეხიათ ფიცი, მაგრამ თუ იმპერატორი მათ მაინც თავს დაესხმოდა, ისინი დახვდებოდნენ მზად და იბრძოლებდნენ სამართლიანი გამარჯვებისთვის.¹⁴ შუა საუკუნეების (ისევე როგორც ყველა სხვა ეპოქის) მორალი უმიზეზოდ თავდასხმას აგრესიად მიიჩნევდა, ამიტომ შეტევითი ომების საწარმოებლად თუნდაც ფორმალური მიზეზის მოძებნა აუცილებლობას წარმოადგენდა, რის შესახებაც სპარსელი მემათიანე ჯუვეინი აღნიშნავდა, რომ ის ვინც ომის დაწყებას აცხადებდა, მას ყოველთვის გამართლება ჰქონდა.¹⁵ აღნიშნული მორალური ნორმა განაპირობებდა იმ ვითარებას, რომ აგრესიული ომის დაწყებას თავდამსხმელი მხარე თითქმის ყველა შემთხვევაში რაიმე საფუძველს (ხშირად სრულიად ხელოვნურს) უდებდა. მაგალითად, კიევის მთავარმა ვლადიმერმა, რომელიც 1043 წელს შეიჭრა ბიზანტიელთა ტერიტორიებზე, კონსტანტინე მონომახს ისეთი გადასახადი მოსთხოვა, რომელსაც იგი ვერ გადაიხდიდა და შემდეგ ეს გარემოება ომის გამოცხადების საბაზად გამოიყენა.¹⁶ 1077 წელს, სამხრეთ იტალიელი ნორმანი ჰერცოგის, რობერტ გვისკარის ქალიშვილი ელენე, დაინიშნა ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ დუკას (1071-1078 წწ.) შემკვიდრე კონსტანტინე დუკაზე.¹⁷ ერთი წლის შემდეგ მიხეილი ტახტიდან ჩამოაგდეს, იმპერატორი გახდა ნიკიფორე ბოტანიატოსი (1078-1081 წწ.), რომლის მმართველობის დროსაც კონსტანტინესა და ელენეს ქორწინება ჩაიშალა, რის შემდეგაც, 1081 წელს, უკვე ნიკიფორე ჩამოაგდეს ტახტიდან და იმპერატორი გახდა ალექსი კომნენოსი, რომელსაც 1081 წელს რობერტ გვისკარმა ომი გამოუცხადა და მის საბაზად ჩაშლილი ქორწილი დაასახელა, თუმცა ალექსის არც ქორწინების ჩაშლასთან

და არც დუკას ტახტიდან ჩამოგდებასთან, საერთო არაფერი არ ჰქონია.¹⁸ ასევე ხელოვნური საბაზი შექმნა ერაცზე თავდასასხმელად ხორეზმშაჰმა მუჰამედმა, რომელმაც მუსლიმების უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად, რასაც აბასიდ ხალიფაზე თავდასხმა გამოიწვევდა და მის (როგორც მუსლიმი სულთნის) პრესტიჟს დიდ ზიანს მიაყენებდა, დაავალა ხორეზმის იმამებს აღევლინათ ფეტვა იმის შესახებ, რომ ნებისმიერი იმამი, რომელიც ისლამის სამსახურში მყოფ და წმინდა ომების მწარმოებელი სულთნის (ე.ი. ხორეზმშაჰ მუჰამედის) წინააღმდეგ წავიდოდა, განდევნას და შეცვლას დაექვემდებარებოდა, ფეტვის წაკითხვის შემდეგ მუჰამედმა ხალიფა უზურჰატორად გამოაცხადა და მისი გადაყენების საბაბით ერაცში ლაშქრობა დაიწყო.¹⁹ პოლიტიკური არგუმენტაციის გვერდით (ბიზანტიის იმპერატორების, ალექსი III-სა და მურზულფის უზურჰატორობა), რელიგიური „არგუმენტაცია“ (ბიზანტიელთა მართლმადიდებლობის „ერეტიკული“ ხასიათი) მოიშველიეს ჯვაროსნებმაც კონსტანტინოპოლზე თავდასხმის გასამართლებლად, რაც ჯვაროსანთა არმიასი მყოფმა კათოლიკე ეპისკოპოსებმა დაუყოვნებლივ დაადასტურეს და განაცხადეს, რომ ქალაქზე შეტევა იყო კანონიერი და სამართლიანი.²⁰

შუა საუკუნეების ომების წარმოების კანონებიდან, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში, ყველაზე მყარად და სტაბილურად მოქმედებდა წესი, რომლის მიხედვითაც ქვეყანა, ქალაქი ან ციხე-სიმაგრე, რომელიც წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დანებდებოდა მონინააღმდეგეს, ხელშეუხებლობის იმუნიტეტს იღებდა და მისი მოსახლეობა სიცოცხლესა და ქონებას ინარჩუნებდა.²¹ ამიტომ საომარი მოქმედებების პერიოდში, ხშირად ბრძოლის წინ, ხოლო თითქმის ყოველთვის ქალაქის ან ციხის ალყის დროს, შტურმის დაწყებამდე, შემტევი მხარე მონინააღმდეგეს ყოველთვის დანებებას სთავაზობდა. მაგალითად, მონღოლები ასეთ შემთხვევაში აგ ზავნიდნენ ჩინგიზ-ხანის ბეჭედით დამონმებულ სიგელს, ე.წ. „ალისფერ ბეჭედს (ტავმას)“, სადაც ეწერა, რომ ის ვინც გამოხატავდა მორჩილებას, სიცოცხლეს, ოჯახს და ქონებას შეინარჩუნებდა, ხოლო ვინც არა, განადგურდებოდა.²² ალყაშემორტყმულებთან ელჩების გაგზავნის აუცილებლობა ხშირად განაპირობებდა იმ ვითარებას, რომ ის მხარე, რომელიც დანებებას არ აპირებდა, თავისი მტკიცე განწყობის დემონსტრირებისთვის ელჩებს ხოცავდა. ასეთ შემთხვევაში, ბრძოლის დროს რაიმე ჰუმანიზმის გამოჩენაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო, და ომი უსასტიკეს ხასიათს იღებდა, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, კალკის ბრძოლისას 1223 წელს, რომლის დაწყებამდეც რუსებმა მონღოლების ელჩები დახოცეს და ამით თავად მისცეს ბრძოლას სასტიკი და დაუნდობელი ხასიათი.²³ ანალოგიური იყო მონღოლთა მიერ ანისის ალების შემთხვევა, რომლის გარნიზონმაც მონღოლთა ელჩი მოკლა და როგორც საკუთარი თავი და ასევე ქალაქის მოსახლეობაც გასანადგურებლად გასწირა.²⁴

ბრძოლის დროს გამოვლენილი სისასტიკის მასშტაბს, როგორც წესი, დამარცხებული მხარის წინააღმდეგობის ხარისხი განაპირობებდა. რაც მეტი იყო წინააღმდეგობა და შემტევი მხარის მსხვერპლი, იმდენად მეტ სისასტიკეს ავლენდა იგი გამარჯვების მოპოვების შემდეგ. მაგალითად, ხორეზმის ქალაქ ბამიანუს ალყის დროს, სადაც ჩინგიზ-ხანის შვილიშვილი ჩაგათაი დაილუპა, მონღოლებმა არა მარტო გარნიზონი და მოსახლეობა, არამედ შინაური საქონელიც ამოწყვიტეს და ბამიანუს ბოროტი ქალაქი უნოდეს,²⁵ ისევე როგორც რიაზანის სამთავროს ქალაქ კოზელსკს, რომელმაც ასევე დიდი წინააღმდეგობა გაუწია მათ.²⁶ სისასტიკის გამ-

ოვლინებაში მონღოლები არ იყვნენ გამონაკლისები, ანალოგიურად იქცეოდა შუა საუკუნეების ყველა არმია რელიგიური თუ ნაციონალური კუთვნილების მიუხედავად. მაგალითად, ჯვაროსნებმა ერთიანად ამოულიტეს ანტიოქიის, იერუსალიმისა და სირია-პალესტინის რიგი სხვა ქალაქების მოსახლეობა.²⁷ მანუელ კომნენოსმა თითქმის მთლიანად გაანადგურა ბულგარეთის ქალაქი ზევგმინი თავის მოსახლეობიანად,²⁸ ანალოგიურად მოიქცა ანდრონიკ კომნენოსი, რომელმაც ასევე ამოხოცა ბიზანტიური ქალაქის, პრუსის მოქალაქეები წინააღმდეგობის განევის გამო,²⁹ ხოლო აჯანყებული ბიზანტიელი სარდალი ალექსი ვრანა, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული საკუთარი ქვეყნის დედაქალაქ კონსტანტინოპოლისთვის და მოსახლეობას მის მხარეზე გადასვლისკენ მოუწოდებდა, „პირდებოდა“ მათ, რომ ქალაქის ალების შემდეგ (თუ მოსახლეობა მის მხარეზე არ გადავიდოდა) ისე მოექცეოდა, როგორც ცხვრებსა და ველურ ცხოველებს.³⁰ ანალოგიურად (შუა საუკუნეების სისასტიკის ამ „სტანდარტების“ შესაბამისად) იქცეოდნენ ქართველი მხედართავერებიც, მაგალითად, დავით აღმაშენებელმა თბილისის ალების შემდეგ, ქალაქი გადაწვა და 500 ადამიანი სიკვდილით დასაჯა.³¹ ასევე გადაწვა ოლთისიც, ხოლო ანისში (მათე ურჰაელის აშკარად გაზვიადებული ციფრების მიხედვით) 20 ათასი ადამიანი სიკვდილით დასაჯა.³² მსგავსი სისასტიკის დემონსტრირებას ახდენდნენ დემეტრე I, გიორგი III, ზაქარია მხარგრძელი და სხვა ქართველი მხედართმთავრები.³³

იმ შემთხვევებში, როდესაც დამარცხებული მხარის წინააღმდეგობა არ ატარებდა თავგანწირული ბრძოლის ხასიათს, სისასტიკის ხარისხი საგრძნობლად კლებულობდა. მაგალითად, ხორეზმის ქალაქი ჯენდი მონღოლებმა მსხვერპლის გარეშე აიღეს, მართალია, მოსახლეობამ მათ ქალაქის კარიბჭე არ გაუღო, მაგრამ ქალაქის შტურმისას მონღოლებს წინააღმდეგობა არ გაუწია, რის გამოც მონღოლებმა მოსახლეობას ხელი არ ახლეს, თუმცა ქალაქი გაძარცვეს.³⁴ მსგავსი რამ მოხდა ხორეზმის მეორე ქალაქ ნურის ალყის დროს, რომლის მცხოვრებლებთანაც მონღოლმა სარდალმა სუბუდაიმ ერთგვარი „ჯენტლმენური შეთანხმება“ დადო, რომლის მიხედვითაც, გაუთვალისწინებელი მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით, მოსახლეობა ქალაქის გალავნის გარეთ უნდა გამოსულიყო და თან წამოეღო პირველადი აუცილებლობის ნივთები, რის შემდეგაც ქალაქში მეომრები შევიდოდნენ და ინციდენტების გარეშე სახლებში დარჩენილ ქონებას წაიღებდნენ, რაც ასეც განხორციელდა.³⁵

იყო შემთხვევები, როდესაც განუული წინააღმდეგობის მიუხედავად, გამარჯვებული მხარის მხედართმთავრებს სურდათ დაპყრობილი ქალაქის, ან ციხესიმაგრის უვნებლად შენარჩუნება, მაგრამ იმ კანონის მოქმედების პირობებში, რომლის მიხედვითაც სამხედრო ძალითაღებული დასახლებული პუნქტი (როგორც ნესი, სამდლიან) გაძარცვას ექვემდებარებდა, ამას იშვიათად ახერხებდნენ. მაგალითად, მეჭმედ II-მ დიდი სურვილის მიუხედავად ვერ შეძლო კონსტანტინოპოლის დაცვა და იძულებული გახდა მეომრებისთვის ქალაქის გაძარცვის უფლება მიეცა სამი დღის განმავლობაში.³⁶ ასევე ვერ შეაჩერა თავისი მეომრები ნიკიფორე ფოკამ, როდესაც მან კუნძულ კრეტაზე არაბებისგან დაიპყრო ქალაქი ირაკლიონი. ფოკას უნდოდა ქალაქის, როგორც სტრატეგიული პუნქტის უვნებლად შენარჩუნება, მაგრამ მეომრების უკმაყოფილებას მოერიდა, რომლებმაც ქალაქი ისე სასტიკად გაძარცვეს, რომ მისი ნაგებობები სრულიად განადგურდა და ფოკას კუნძულის შესანარჩუნებლად ახალი ქალაქის აგება მოუხდა.³⁷ ანალოგიური პრობლემა

შექმნა ჯალალ ად-დინს ხლათის ხანგრძლივი ალყით ალების შემდეგ, როდესაც მას ქალაქის უვნებლად შენარჩუნება სურდა, მაგრამ მისი არმიის მეთაურებმა ამაზე პროტესტი განაცხადეს იმ მოტივით, რომ ალყის დროს მათმა მეომრებმა მრავალი ცხენი და სხვა სახის ქონება დაკარგეს, და თუ მათ ქალაქის გაძარცვის უფლებასა და დანაკარგის ანაზღაურების შესაძლებლობას არ მისცემდნენ, ისინი არმიას მიატოვებდნენ.³⁸

მოგებული ბრძოლის შემდეგ ძარცვის უფლების მიღება, შუა საუკუნეების იმდენად მყარ სამხედრო კანონს წარმოადგენდა, რომ მისი აკრძალვა ნებისმიერი მხედართმთავარისთვის ძალიან სახიფათო ქმედება იყო და მეომართა უკმაყოფილებისა და აჯანყების დიდ რისკს შეიცავდა, ამიტომ ძარცვის აღკვეთას საკმაოდ იშვიათად ცდილობდნენ, რის გამოც საომარი მოქმედებები სისასტიკის აქტების სიმრავლით ყოველთვის გამოირჩეოდა. მაგრამ ძარცვისა და სისასტიკისკენ აშკარა მიდრეკილების მიუხედავად, შუასაუკუნეებში ასევე მყარ კანონს წარმოადგენდა, წინააღმდეგობის გაუწევლობის შემთხვევაში, მონინალმდეგის მეომრებისა და მოსახლეობის ხელშეუხებლობის გარანტირება. როდესაც შემტევ და დამცველ მხარეებს შორის იდებოდა შეთანხმება წინააღმდეგობის არ განევის შესახებ, მაშინ სისასტიკის ხარისხი მინიმუმამდე ეცემოდა და დადებული შეთანხმება დამარცხებული მხარის უვნებლობის შესახებ, როგორც წესი, სრულდებოდა. ასე იყო, მაგალითად, ხორეზმის ქალაქ ტერმეზის ალების დროს, როდესაც ქალაქის მოსახლეობამ არ გაუწია წინააღმდეგობა სელჯუკთა სულთანს, მალიქ-შაჰს და სრული უვნებლობა მიიღო.³⁹ ანალოგიურად მოიქცა მარდინის ემირი ილ-ლაზი, რომელსაც ჯვაროსანთა ციხე-სიმაგრის, ალ-ასარიბის გარნიზონმა ციხე უბრძოლველად ჩააბარა, რის შემდეგაც ჯვაროსნებმა უვნებლად დატოვეს სიმაგრე.⁴⁰ იგივე მოხდა ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის ალების დროსაც, როდესაც ციხადელში (ისანში) გამაგრებული გარნიზონი შეუთანხმდა ჯალალ ად-დინს წინააღმდეგობის არ განევისა და ქალაქიდან უვნებლად გასვლის შესახებ.⁴¹ უვნებლობის შესახებ მიცემულ სიტყვას საკმაოდ მტკიცედ იცავდნენ, ასე იქცეოდა შუა საუკუნეების ყველა, როგორც დასავლური, ასევე აღმოსავლური არმია, რაც აღნიშნული კანონის სიმყარეზე მიუთითებს. მაგალითად, როდესაც მონღოლები საქართველოში შემოვიდნენ, იმ ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეებისთვის, რომლებმაც მათ წინააღმდეგობა არ გაუწიეს, ზიანი არ მიუყენებიათ.⁴² სრულიად ანალოგიურად მოქმედებდა საქართველოს არმიაც, რომელიც დანებებულ მონინალმდეგეს ვნებას არ აყენებდა, ხოლო წინააღმდეგობის განევის შემთხვევაში სასტიკად უსწორდებოდა.⁴³

მიუხედავად „ხელშეუხებლობის“ კანონის აშკარა სიმყარისა, გამონაკლისები მაინც ხდებოდა და რიგ შემთხვევებში, ზოგი მხედარმთავრი ამ კანონს ვერაგულად იყენებდა. მაგალითად, 1098 წელს, I ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ტულუზის გრაფმა რაიმუნდ სენ-ჟილმა სირიის ქალაქ ალ-ბარის მცხოვრებლებს ქალაქის უბრძოლველად ჩაბარების შემთხვევაში უვნებლობის გარანტია მისცა, მაგრამ შემდეგ მოსახლეობა მაინც ამოჟლიტა,⁴⁴ ისევე როგორც მოსულის ათაბაგმა, ჯიჰადის აღიარებული ლიდერმა ზენგიმ, რომელმაც 1138 წელს მუსლიმურ ქალაქ ჰიმსის ალყის დროს, ყორანზე დადებული ფიცით მისცა უვნებლობის გარანტია გარნიზონსა და მოსახლეობას, მაგრამ სიტყვა გატეხა, მოსახლეობა დაატყვევა, მეომრები ჩამოახრჩო, ხოლო ქალაქის კომენდანტს ცოცხლად ტყავი გააძრო.⁴⁵ ანალოგიური სისასტიკე გამოიჩინა მონღოლმა

უფლისწულმა უგედეიმ, რომელსაც ქალაქი გაზნა უბრძოლველად ჩაბარდა, მაგრამ მონღოლებმა მოსახლეობა მაინც ამოჟლიტეს,⁴⁶ ისევე როგორც ბულგარეთის მეფე კალოანმა, რომელმაც ქალაქ სერას გარნიზონს უენებლობის გარანტია მისცა, მაგრამ ქალაქის ჩაბარების შემდეგ სიკვდილით დასაჯა.⁴⁷

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი „დარღვევები“ პერიოდულად ხდებოდა, „ხელშეუხებლობის“ კანონი მაინც ისეთ მყარ იურიდიულ ნორმად ითვლებოდა, რომ მისი დარღვევის შემთხვევებში (როდესაც ეს შესაძლებელი იყო) ფიცის გამტეხთა დასჯას, განსაკუთრებული სისასტიკით ცდილობდნენ, რაც სრულიად ბუნებრივად, ომების კატასტროფულ შედეგებს კიდევ უფრო ამძიმებდა. მაგალითად, მსგავსი შურისძიების აქტები რამდენჯერმე განახორციელა ზაქარია მხარგრძელმა, პირველად, როდესაც ანისის მოსახლეობის გაჟლეტის საპასუხოდ არდავილის მოსახლეობა გაანადგურა და ქალაქის ემირი ოჯახთან ერთად სიკვდილით დასაჯა, ხოლო მეორედ ქალაქ მიანაში, რომლის ემირმაც გატეხა ზაქარიასთან დადებული შეთანხმება და ქართული გარნიზონი მოულოდნელად გაჟლიტა. ამ შემთხვევაც შურისძიება იყო განსაკუთრებით სასტიკი, ზაქარიამ მოსახლეობა გაჟლიტა, ხოლო ემირს ცოცხლად ტყავი გააძრო და მინარეთზე ჩამოჰკიდა.⁴⁸

გ) ტყვეობა და მძევლობის ინსტიტუტი

შუა საუკუნეების ადამიანებისთვის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო მდგომარეობას ტყვეობა წარმოადგენდა, საიდანაც თავის დასაღწევად, რასაც ტყვეობაში მოხვედრილთა საკმაოდ მცირე რაოდენობა ახერხებდა, უმძიმესი პირობების, დამცირების და მრავალი ტანჯვა-წამების გადატანა იყო საჭირო და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ტყვეობაში მყოფს გამოსასყიდის გადახდის შესაძლებლობა ჰქონდა.

უმრავლეს შემთხვევებში, ტყვეობაში მოხვედრილ ადამიანს ცოცხლად გადარჩენის შანსი მხოლოდ მაშინ ეძლეოდა, თუ მისი მოწინააღმდეგე მის სოციალურ სტატუსს, ან ფინანსურ შესაძლებლობებს, გამოსასყიდის გადასახდელად საკმარისად მიიჩნევდა. ვალტერ გოტიეს, როგორც თვითმხილველსა და თავადაც ტყვეობაში მყოფს, დეტალურად აქვს აღწერილი თუ როგორ ახდენდნენ მუსლიმები მათ ხელში ტყვედ ჩავარდნილი ჯვაროსანი მეომრების „დახარისხებას“ სოციალური სტატუსისა და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით 1119 წელს, სისხლიანი ველის ბრძოლის დამთავრების შემდეგ, რის შემდეგაც ის მეომრები, რომლებიც ბრძოლაში გამარჯვებულმა მარდინის ემირმა ილ-ლაზიმ საკმარისად მაღალი სოციალური სტატუსის, ან ქონების მფლობელად არ ჩათვალა, ადგილზევე დახოცეს.¹ ილ-ლაზის ასეთი სისასტიკე სრულიადაც არ წარმოადგენდა რაიმე გამონაკლის ქმედებას, იმ პერიოდში მეტ-ნაკლებად ანალოგიურად იქცეოდა ყველა მხედართმთავარი, რომელთა ფსიქოლოგიაშიც ჰუმანური მოტივაციის ადგილი ყოველთვის პრაგმატულ მოსაზრებებს ეკავა, რომლის მიხედვითაც მის ხელთ ჩავარდნილი ყოველი ტყვე, ან პოტენციური შემოსავლის წყარო იყო, ან კიდევ პოტენციური მტერი იმ შემთხვევაში, თუ ის გამოსასყიდის გადახდის გარეშე თავისუფლებას მიიღებდა. გარდა ამისა, იმ ტყვეების დიდი ხნით ცოცხლად დატოვება და კვება (თუ ისინი რამე სხვა მიზნებისთვის, მაგალითად, ხელოსნებად, მსახურებად და ა.შ. არ იყვნენ საჭირო), რომელთაც გამოსასყიდის გადახდა და ფინანსური მოგების

მოტანა არ შეეძლოთ, საკმაოდ არარენტაბელური იყო დამტყვევებლებისთვის, განსაკუთრებით კი საბრძოლო მოქმედებების დროს, როდესაც (გამოსასყიდის თვალსაზრისით) უპერსპექტივო ტყვე, მოძრაობაში მყოფი არმიისთვის მხოლოდ ზედმეტი ტვირთი ხდებოდა. აღნიშნული გარემოება განაპირობებდა იმ ვითარებას, რომ ამ კატეგორიის ტყვეები ადგილზევე ნადგურდებოდნენ და ეს საკმაოდ ჩვეულებრივ, „ნორმალურ“ მოვლენად ითვლებოდა შუა საუკუნეების ადამიანებისთვის. „არანორმალური“ ამ მიღებული წესიდან გადახვევა იყო, მაგალითად, ძალიან საინტერესო შემთხვევა აქვს აღწერილი ნიკიტა ხონიატს ბიზანტიისა და სიცილიის სამეფოს ომების ისტორიიდან, როდესაც იმპერატორ ისააკ ანგელოსის (1185-1195 წწ.) განკარგულებით, 4 ათასამდე ტყვე სიცილიელი მეომარი საპატიმროებში ჩაყარეს საკვებით უზრუნველყოფის გარეშე (მათ აძლევდნენ მხოლოდ მცირე რაოდენობით პურს), რის გამოც ისინი მასიურად იხოცებოდნენ შიმშილისგან. აღნიშნულის შესახებ სიცილიის მეფემ პროტესტის წერილი გაუგზავნა იმპერატორს, სადაც ის ადანაშაულებდა მას, რომ სიცილიელი მეომრების შიმშილით დახოცვა არაადამიანური და არაჰუმანური საქციელი იყო და თუ იმპერატორს მეომრების სიკვდილი სურდა, ისინი უშუალოდ ბრძოლის შემდეგ, მახვილით უნდა დაეხოცა. გამარჯვებულმა ან დაუყოვნებლივ უნდა მიუსაჯოს სიკვდილი ტყვეებს და აღასრულოს განაჩენი, ან საპატიმროებში მყოფნი უნდა უზრუნველყოს მინიმუმ საკვებით, რათა ისინი წელი სიკვდილით არ დაიხოცონ, წერდა მეფე.²

„უსარგებლო“ ტყვეების დახოცვის „კანონი“ შუა საუკუნეების სამყაროს ჩვეულებრივ ნორმას რომ წარმოადგენდა, ამას ისტორიული ქრონიკების მრავალრიცხოვანი ცნობები საკმაოდ ხშირად მიუთითებენ. მაგალითად, ფრანკმა იმპერატორმა კარლ დიდმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გასცა ბრძანება 4500 საქსონი ტყვეს სიკვდილით დასჯის შესახებ,³ ალ-ასირის მიხედვით, ბიზანტელებმა დახოცეს 400 არაბი მეომარი, რომლებიც სათარეშო რეიდის განხორციელების დროს ჩაუვარდნენ მათ ხელში.⁴ იგივეს მიუთითებს ანა კომნენოსი, რომლის მიხედვითაც ბიზანტიელებმა სიკვდილით დასაჯეს მათ ხელში ჩავარდნილი ლათინი მეომრები ერთ-ერთი საზღვაო ბრძოლის შემდეგ 1099 წელს,⁵ ისევე როგორც ლებურნეს ბრძოლის შემდეგ, სადაც ბიზანტიელების ხელში ათასობით პაჭანიკი მეომარი აღმოჩნდა თავის ოჯახებიანად. ანას მიხედვით, ალექსი კომნენოსის მათი განადგურება არ სურდა, მაგრამ „იმპერატორისგან ფარულად“ მეომრებმა ისინი ცოლ-შვილიანად მაინც ამოჟლიტეს.⁶ ტყვეებთან მიმართებაში აბსოლუტურად ერთგვარად იქცევიან შუა საუკუნეების „დადებითი და უარყოფითი“ გმირები, რიჩარდ ლომგული და ჯალალ ად-დინი, პირველი ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე ანადგურებს აკრას ალების დროს ტყვედ ჩავარდნილ 3000 მუსლიმ მეომარს,⁷ მეორე კი, მერვის, ისპაჰანის თუ ვატახის ტბის ბრძოლებში დატყვევებულ მონღოლ თუ ქართველ მეომრებს.⁸

ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, სიკვდილს გადარჩენილი მეომრებისთვის იწყებოდა ტყვეობის მძიმე, და ხშირ შემთხვევებში, ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც სხვადასხვა გარემოებებში (გამოსასყიდზე მოლაპარაკების ხანგრძლივობის, თანხის დაგვიანების, პირობების შეცვლის და ა.შ.) შეიძლებოდა სხვადასხვა ვადით, რამდენიმე თვიდან რამდენიმე ათეულ წლამდე გაგრძელებულიყო. მაგალითად, ანტიოქიის მთავარი ბოემუნდი დანიშმენდიდების ტყვეობაში ოთხი წელი იმყოფებოდა,⁹ იერუსალიმის სამეფოს ცნობილი ბარონი, რეინალდ შატილიონელი, 16 წელი იჯდა ალექსოს საპყრობილეში,¹⁰ ხოლო ტრიპოლის გრაფი რაი-

მუნდ III 9 წელი.¹¹ აღ-ფარიკის მიხედვით, 1154 წელს, საქართველოს სამეფოს ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში იმყოფებოდა დიდგორის ბრძოლის დროს ქართველთა ტყვეობაში ჩავარდნილი მუსლიმი, რომლის ტყვეობის ხანგრძლივობაც, მინიმუმ 33 წელი გამოდის.¹² ამდენივე ხანი იმყოფებოდა მუსლიმთა ტყვეობაში ბავარელი იოჰან შილტბერგერი, რომელიც ტყვედ 1394 წელს, ნიკოპოლის ბრძოლაში, ხოლო ტყვეობიდან 1427 წელს განთავისუფლდა.¹³ ან-ნასაეის მიხედვით, ვარამ გაგელის (ივანე ქურჯის) ციხე ხაჩენში ტყვედ იმყოფებოდა 700 მუსლიმი, მათგან მოხუცე-ბიც, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ ბავშვობაში იყო დატყვევებული.¹⁴

მიხედვად იმისა, რომ შუასაუკუნეებში ტყვეობაში ხანგრძლივად ყოფნის არაერთი შემთხვევაა ცნობილი, ტყვეობიდან განთავისუფლება, თუ ის გამოსასყიდის გადახდის მიზნით ხდებოდა, როგორც წესი, ძალიან დიდხანს არ გრძელდებოდა და თუ მოლაპარაკებებსა და გამოსასყიდის გაგზავნას რაიმე გაუთვალისწინებელი არ აფერხებდა, რამდენიმე თვეში მთავრდებოდა. მაგალითად, იერუსალიმის მეფე ბალდუინ II 11, ხოლო საფრანგეთის ჯვაროსანი მეფე ლუდოვიკ IX ერთი თვე იმყოფებოდნენ მუსლიმთა ტყვეობაში.¹⁵ ასევე რამდენიმე თვე გაგრძელდა სომეხი კათალიკოსის, იოანე დრასხანაკერტელის ტყვეობა, რომელიც აზერბაიჯანის არაბმა გამგებელმა იუსუფმა გამოსასყიდის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.¹⁶

შუასაუკუნეებში ტყვეობიდან განთავისუფლებისთვის გამოსასყიდის გადახდა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.¹⁷ როგორც წესი, გამოსასყიდს წარმოადგენდა ფულადი თანხა, მიწა, შინაური ცხოველები და მატერიალური ღირებულების მქონე სხვადასხვა ნივთები. გარდა ამისა, გამოსასყიდში შეიძლებოდა შესულიყო პოლიტიკური მოთხოვნებიც, მაგალითად, მოკავშირეობის იძულება, სამხედრო დახმარების მიღება, პოლიტიკური ქორწინება და ა.შ. მაგალითად, ქართველი დიდებული კახა თორელი, როდესაც რკონის მონასტერს ხოვლეს მამულებს წირავდა, ანდერძში მიუთითებდა, რომ ჩემი გვარის კაცი ტყვედაც რომ იყოს, მას ხოვლეს მიწებით ნუ გამოსყიდითო.¹⁸ ან-ნასაეის აღწერილი აქვს შემთხვევა, როდესაც ჯალალ ად-დინთან ტყვედ ჩავარდნილი ქართველი დიდებულები გამოსასყიდს ქსოვილებითა და შინაური ცხოველებით იხდიდნენ.¹⁹ როდესაც ივანე მხარგრძელი ხლათის ალყის დროს ტყვედ ჩავარდა, მას გათავისუფლების პირობად 30 წლიანი ზავის დადება, ხოლო მშვიდობის გარანტიად ქალიშვილის მითხოვება მოსთხოვეს.²⁰ იერუსალიმის მეფე ბალდუინ II-ს ართუკიდების ტყვეობიდან გათავისუფლების ერთ-ერთი მთავარი პირობად სამხედრო დახმარების აღმოჩენა წაუყენეს,²¹ დემეტრე I-მა სალთუკიდ ამირას გათავისუფლების სანაცვლოდ საქართველოს წინააღმდეგ ომებში არმონაწილეობის ფიცი დაადებინა²² და ა.შ.

მიუხედავად გამოსასყიდის ასეთი მრავალფეროვნებისა, იგი უმთავრესად მაინც ფულად თანხას წარმოადგენდა და საკმაოდ ხშირად, როდესაც ტყვედ დიდგვაროვანი პირები ხვდებოდნენ, ძალიან დიდ რაოდენობებს აღწევდა. მაგალითად, ისააკ კომნენოსმა ტყვეობიდან გათავისუფლებისთვის, სელჯუკებს 20 000 დინარი გადაუხადა.²³ ასევე 20 ათას დინარად განთავისუფლდა ილ-ლაზის ტყვეობიდან ედესის გრაფი ჟოსლინი,²⁴ 80 ათასი დინარი იყო ბალდუინ II გათავისუფლების პირობა (სხვა მოთხოვნებთან ერთად), თუმცა მან მხოლოდ ავანსი, 20 ათასი დინარი გადაიხადა,²⁵ ისევე როგორც ეგვიპტელმა ვეზირმა შავერმა, რომელმაც იერუსალიმის მეფე ამორის მასთან ტყვედ მყოფი შვილის გასათავი-

სუფლებლად 2 მილიონი დინარი შესთავაზა, თუმცა რეალურად მანაც თანხის ნაწილი, 100 ათასი დინარი გადაიხადა.²⁶ IX საუკუნეში, ტყვედ ჩავარდნილი ოჯახის წევრების გამოსასყიდად, ოთხი სოფელი გაყიდა ქართველმა დიდაზნაურმა ფავნელმა, რაშიც „ოცდაათი ლიტრი ოქრო და ოცდაათი ლიტრი ვერცხლი“ მიიღო²⁷ და ა.შ.

შუასაუკუნეებში ტყვეების გამოსყიდვა უაღრესად სარფიან ბიზნესს წარმოადგენდა, ამიტომ ყველა, ვისაც კი ამის გაკეთება შეეძლო, ტყვეების ხელში ჩაგდებას ცდილობდა. იმდროინდელი კანონებით ტყვედ ითვლებოდა ყველა ის მეომარი და არამეომარი, რომელიც როგორც საომარი მოქმედებების დროს აღმოჩნდებოდნენ მტრის ხელში. აქედან გამომდინარე, შუა საუკუნეების ყველა სახელმწიფო დაინტერესებული იყო როგორც მასშტაბური სამხედრო კამპანიების (რასაკვირველია, უნდა არსებულიყო პოლიტიკური მიზანშეწონილობაც), ასევე მარბიელი რეიდების წარმოებით, რასაც ძალიან დიდი შემოსავლები მოჰქონდა. საომარი მოქმედებების დროს ტყვეების მოპოვების შესაძლებლობა ყველა მეომარს ჰქონდა და ისინი ამ უფლების გამოყენებას მაქსიმალურად ცდილობდნენ. მაგალითად, დიდი პრესლავის ბრძოლაში ბიზნტიელებზე გამარჯვების შემდეგ, პაჭანიკების მხედართავერებს ტყვეების დახოცვა უნდოდათ, მაგრამ რიგითმა მეომრებმა არ დაანებეს იმ მოტივით, რომ იმპერია მათში დიდ გამოსასყიდს გადაიხდიდა.²⁸

ყველა ის ტყვე, რომელიც რომელიმე კონკრეტული პირის ხელში ხვდებოდა, ამ პირის პირად საკუთრებად ითვლებოდა და მისი შემდგომი ბედის განკარგვა, მხოლოდ ამ პირის უფლება იყო. მას შეეძლო იგი გაეყიდა, გაეჩუქებინა ან მოეკლა და მის გადაწყვეტილებებში ვერავინ ვერ ჩაეროდა. ამ კანონის მოქმედება განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ მხედართმთავრები, რომლებიც მიზანშეწონილად არ თვლიდნენ რომელიმე პირის ტყვეობაში დატოვებას, იძულებულნი იყვნენ, რომ ისინი საკუთარი მეომრებისგან თავად ეყიდათ, რის შემდეგაც ტყვის ბედის განკარგვის უფლება მათ ხელში გადადიოდა. მაგალითად, იერუსალიმის აღების დროს, ასე გამოისყიდა ტყვეები საკუთარი მეომრებისგან სალადინმა,²⁹ ისევე როგორც მეჰმედ II-მ, რომელსაც კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ არ სურდა, რომ ზოგი ბიზნტიელი დიდებული მისი მეომრების ტყვეობაში დარჩენილიყო.³⁰ ანალოგიური სურათია საქართველოშიც, სადაც დავით აღმაშენებელი იძულებული იყო მის არმიას შუამავალი ყივჩაღი მეომრებისგან ტყვეები გამოეყიდა.³¹

ტყვეს ხელში ჩაგდებისა და მისი ბედის განკარგვის უფლება მოტივაციას უქმნიდა მრავალ ადამიანს, ან ადამიანთა სხვადასხვა ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფებს, დამოუკიდებლად (სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე) ეწარმოებინათ ეს ბიზნესი, რაც სრულიად ბუნებრივად, სახელმწიფოთა ურთიერთობაში მრავალ პრობლემას ქმნიდა. მაგალითად, სელჯუკთა სულთანმა მაჰმუდმა დავით აღმაშენებელს ზავის დადების ერთ-ერთ პირობად ყივჩაღთა მარბიელი რეიდების შეწყვეტა დაუყენა.³² ანალოგიურად, მშვიდობისა და ზავის ერთ-ერთ პირობად მოითხოვდა კერაკის ციხის მფლობელის, რეინალდ შატილიონელის სათარეშო რეიდების შეწყვეტას მუსლიმთა ტერიტორიებზე, სალადინი იერუსალიმის მეფე ბალდუინ IV-გან,³³ მაგრამ როგორც დასახელებულ, ასევე სხვა მრავალ მსგავს შემთხვევებში, ასეთი მოთხოვნები ძალიან ძნელი შესასრულებელი იყო. დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღებისთვის თარეშის აკრძალვას, მათთან სამხედრო კონფლიქტი მოჰყვა,³⁴ ხოლო რეინალდ შატილიონელის რეიდებს, რომლის

შეჩერებაც ბალდუინ IV-მ ვერ შეძლო, სალადინისა და იერუსალიმის სამეფოს ომების სერია მოჰყვა, რაც ამ უკანასკნელის განადგურებით დამთავრდა.³⁵ მიუხედავად ასეთი საფრთხეებისა, ტყვის ხელში ჩაგდებისა და მისი ბედის განკარგვის უფლება შუა საუკუნეების ომების ერთ-ერთ მყარ კანონად (ამ კანონის გაუქმება მხოლოდ მუდმივი არმიების არსებობის პირობებში გახდა შესაძლებელი³⁶) და შემოსავლის მასშტაბურ წყაროდ რჩებოდა, რასაც, მაგალითად, ძალიან კარგად აჩვენებს უსამა იბნ მუნკიზის მონათხრობი მის ნაცნობ ჯვაროსან რაინდზე, რომლის ტყვეობაშიც 400 მუსლიმი იმყოფებოდა და რომელთა განთავისუფლებისთვისაც იგი სხვადასხვა ოდენობის თანხებს ითხოვდა.³⁷

ომების დროს ტყვედ ჩავარდნილ იმ მეომრებს, რომელთაც გამოსასყიდის გადახდა შეეძლოთ და ამის გამო ცოცხლები რჩებოდნენ, განთავისუფლებამდე უამრავი სირთულე უნდა გადაეტანათ. სოციალური სტატუსის მიუხედავად, ტყვეები (იშვიათი გამონაკლისების გარდა) ძალიან მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ, მაგალითად, იოანე დრასხანაკერტელმა, რომელიც უმაღლესი რანგის სასულიერო პირს წარმოადგენდა, ტყვეობა ბნელ დილეგში, შებორკილმა გაატარა,³⁸ ანა კომნენოსი იხსენიებს დიდგვაროვან ჯვაროსან რაინდებს, რომლებიც რამდენიმე თვე, ბორკილებით, მარტო პურითა და წყლით, ბნელ ორმოში იმყოფებოდნენ,³⁹ ქამალ ად-დინის მიხედვით, ასევე ორმოში ატარებდნენ ტყვეობის პერიოდს იერუსალიმის მეფე ბალდუინ II, ედესის გრაფი ჟოსლინი და სხვა ჯვაროსანი დიდებულები.⁴⁰ უსამას მიხედვით, ჯვაროსანთა ციხე-სიმაგრე კაფარტაბში მყოფი მუსლიმი ტყვეები, ორ-ორად იყვნენ ერთმანეთზე გადაბმულნი,⁴¹ მაღალი რანგის ბიზანტიელი მოხელე, გიორგი სფრანძესი, რომელსაც თავად აქვს აღწერილი საკუთარი ტყვეობა, თავგებითა და ჭიანჭველებით სავსე ბნელ დილეგში ჩააგდეს და ბორკილები დაადეს, რომელიც იქვე დამაგრებულ რკინის სოლზე იყო მიბმული. მან ამ მდგომარეობაში, თითქმის საკვების გარეშე ნახევრად მკვდარმა, ორი თვე გაატარა.⁴² რასაკვირველია, იმ ვითარებაში, როდესაც მაღალი სოციალური მდგომარეობის ადამიანები ასეთ პირობებში იმყოფებოდნენ, ადვილი წარმოსადგენია უბრალო ტყვეების ბედი, რომელთაც ტყვეობის უმძიმესი პირობების გამო, ისედაც მცირე შანსი რჩებოდათ ცოცხლად გადარჩენისა.

გარდა მძიმე პირობებისა, ტყვეები ხშირად ხდებოდნენ სხვადასხვა სახის სისასტიკისა და ტანჯვა-წამების მსხერპლნი. მაგალითად, ანტიოქიის მთავარის, ტანკრედის ბრძანებით, ტყვეობაში მყოფ ერთ-ერთ უმამაცეს მუსლიმ მეომარს მარჯვენა თვალი ამოთხარეს, რათა (განთავისუფლების შემდეგ) ბრძოლაში ფარს თუ იხმარდა და მარცხენა მხარეს დიფარავდა, მარჯვენა თვალით ვერაფერი დაენახა.⁴³ ასევე მოიქცა მოსულის ათაბაგი ზენგი, რომელმაც ტყვედ ჩავარდნილ ას-საურის ციხე-სიმაგრის დამცველ მოისრეებს, მარჯვენა ხელზე საჩვენებელი თითები დააჭრა, რათა მათ მშვილდის ხმარება აღარ შეეძლებოდათ.⁴⁴ ანალოგიურ სისასტიკეს იჩენდნენ როგორც ჯვაროსნები, ასევე მუსლიმები 1125 წელს ალექსანდრიის ალყის დროს, როდესაც ორივე მხარე ტყვედ ჩავარდნილ მეომრებს მარჯვენა ხელის მტევანს აჭრიდა.⁴⁵ გარდა სისასტიკისა, ტყვეები ხშირად ხდებოდნენ დამცირებისა და აბუჩად აგდების ობიექტები. მაგალითად, გიორგი პახიმეროსის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორმა ანდრონიკ პალეოლოგმა სიცილიელებზე გამარჯვების ნიშნად კონსტანტინოპოლში საზეიმო პროცესია მოაწყო, სადაც მონინალმდეგის ტყვე მეომრები თავგადააპარსულები, ხელში პაპირუსის შუბებითა და ცხენებზე გვერდულად („ქალურად“) მსხდომები, ჩამოატარა ქალაქის ქუჩებში.⁴⁶

რუმის სულთანმა ალა ად-დინ ქეიყობადმა, ტყვედ ჩავარდნილი არზანის ემირს ბორკოლეები დაადო, ვირზე შესვა და ისე ატარა მეომართა წინაშე,⁴⁷ ხოლო თამარ მეფემ, ბასიანის ბრძოლაში ტყვედ აყვანილი ყარსის ემირი ერთ ნალად გაყიდა.⁴⁸

შუასაუკუნეებში, ტყვეობის მსგავსად, ასევე ძალზედ გავრცელებულ „სამხედრო კანონს“ წარმოადგენდა მძევლობის ინსტიტუტი, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა როგორც სამხედრო კამპანიების მსვლელობაზე, ასევე პოლიტიკური ვითარების ფორმირებაზე. მძევლობა იყო როგორც ხანმოკლე, ასევე ხანგრძლივი შეთანხმებების შესრულების გარანტია და მისი გამოყენება ხდებოდა მაშინ, როდესაც შეთანხმების დამდები პირები ერთმანეთს ბოლომდის არ ენდობოდნენ. მძევლობის გამოყენების არეალი იყო უაღრესად ფართო, ის უზრუნველყოფდა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსების სიმყარეს, იძლეოდა თავდაუხსმელობის გარანტიას, უზრუნველყოფდა გამოსასყიდის პირობისამებრ გადახდას, სხვადასხვა შეთანხმებების შესრულებას და ა.შ.⁴⁹ მაგალითად, X ს. შუახანებში, როდესაც გიორგი აფხაზთა მეფემ კახეთის ციხეები დაიპყრო, მათი შენარჩუნების გარანტიად კახეთის ქორეპისკოპოსის ვაჟი მძევლად წამოიყვანა,⁵⁰ ისევე როგორც ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ გიორგი I-თან ომში გამარჯვებისა და საზავო შეთანხმების დადების შემდეგ, როდესაც ზავის პირობების შესრულების გარანტიად გიორგის მცირეწლოვანი ვაჟის, ბაგრატის მძევლად გადაცემა მოთხოვა.⁵¹ ასევე მძევლები მოსთხოვა უსაფრთხო მარშის გარანტიად ჯვაროსანმა იმპერატორმა ფრიდრიხ ბარბაროსამ ბიზანტიის იმპერატორსა და რუმის სულთანს, რომელთა ტერიტორიებზეც მის არმიას უნდა გაევიღო.⁵² ალექსი კომნენოსმა, ჰერცოგი ბოემუნდი მასთან შეხვედრის უსაფრთხოებაში რომ დაერწმუნებინა, მძევლები გაუგზავნა.⁵³ ბალდუინ II-მ, ტყვეობიდან მისი განთავისუფლების პირობების შესრულების გარანტიად, მძევლად მცირეწლოვანი ქალიშვილი დატოვა⁵⁴ და ა.შ.

მძევლობა რადიკალურად განსხვავდებოდა ტყვეობისგან, მაგრამ მასთან ერთგვარ მსგავსებას პოულობდა იმით, რომ მძეველსაც ისევე ჰქონდა თავისუფლება შეზღუდული, როგორც ტყვეს, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, მძეველები კომფორტულ პირობებში იმყოფებოდნენ და მათ მიმართ, სოციალური მდგომარეობისა თუ პიროვნული ღირსებების შესაფერისი პატივი, ყოველთვის დაცული იყო. სანამ იმ შეთანხმების პირობები, რომელთა უზრუნველსაყოფადაც მძევლების გადაცემა ხდებოდა, სრულდებოდა, მძევლის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც პირობის დრღვევა ხდებოდა, ისინი სიკვდილით დასჯის ობიექტები ხდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მძევლებით გარანტირებული შეთანხმებები ძირითად არ ირღვეოდა, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ბასილი II-ს შემთხვევაში, რომელმაც მასთან მძევლად მყოფი ბაგრატი ზუსტად შეთანხმებით გათვალისწინებულ დროს დააბრუნა სამშობლოში,⁵⁵ შეთანხმებების შეუსრულებლობას მაინც ჰქონდა ადგილი, რასაც როგორც წესი, მძევლის სიკვდილით დასჯა მოსდევდა. მაგალითად, 1100 წელს, ჯვაროსნებმა მუსლმურ ქალაქ არსუფისგან მოითხოვეს ხარკი, რომლის გადახდის უზრუნველსაყოფადაც მძევლები გაცვალეს, მაგრამ მუსლიმი მძევლები ჯვაროსანთა ბანაკიდან გაიქცნენ და არსუფმა ხარკის გადახდაზე უარი თქვა იმ იმედით, რომ მათ ხელში დარჩენილი მძევლების სიცოცხლის უსაფრთხოების გამო, ჯვაროსნები ქალაქს არ შეუტევდნენ, თუმცა მათ ქალაქის დასჯა მაინც გადაწყვიტეს და ალყა დაიწყეს. ალყის დროს, არსუფის მცხოვრებლებმა სცადეს მონიანალმდგვის მძევლების ცოცხალ ფარად გამოყენება, მაგრამ ჯვაროსნებმა

მძევლები თავად დახოცეს და ბრძოლა გააგრძელეს.⁵⁶ 1111 წელს, სელჯუკმა მხედარმთავარმა მაუდუდმა, ალექსოს ემირ რიდვანს მოკავშირეობის გარანტიად მძევლად შვილი მოსთხოვა, მაგრამ რიდვანმა მაუდუდს მხარი მაინც არ დაუჭირა და საკუთარი შვილი შეგნებულად განირა, რის შემდეგაც იგი სიკვდილით დასაჯეს.⁵⁷

დ) „რაინდული კოდექსი“

შუა საუკუნეების ეპოქის „სამხედრო კანონმდებლობაში“ სისასტიკის აქტივის გვერდით, დამკვიდრებული იყო ქცევის ნორმები, რომელსაც პირობითად რაინდული კოდექსი შეიძლება ვუნოდოთ. ასეთ ნორმებს წარმოადგენდა მიცემული სიტყვის ერთგულება, მხედრული ურთიერთპატივისცემა და სილაჩრისა და ღალატის შეუწყნარებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალიზმის ხანაში (ისევე როგორც ყველა სხვა დროსა და ეპოქაში), ზავის, სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმებებისა, თუ მიცემული სიტყვის დარღვევა საკმაოდ ხშირად ხდებოდა, შუა საუკუნეების ადამიანებისთვის სიტყვის გატეხა მაინც დიდ სირცხვილად ითვლებოდა, მაგალითად, სტეფანოზ ტარონელი (ასოლიკი) მკაცრად აკრიტიკებდა ანისის მეფე სუმბატ II-ს იმის გამო, რომ მან ქრისტიანული კანონების მოთხოვნის მიუხედავად, გატეხა ერთ-ერთი მუსლიმი ემირისთვის მიცემული სიტყვა, ხოლო ემირმა (მიუხედავად მისი არაქრისტიანობისა) სიტყვას არ უღალატა.¹ შუასაუკუნეებში სიტყვის გამტეხი მორალური გაკიცხვის ობიექტი ხდებოდა, ამიტომ მის დაცვას უმეტეს შემთხვევებში რეალურად ცდილობდნენ. ამასთან დაკავშირებით, უსამა იბნ მუნკიხსს აღწერილი აქვს, რომ როდესაც შეიზარში მძევლად მყოფ ფრანკ და სომეხ რაინდებს, გათავისუფლების შემდეგ შეიზარის სიახლოვეს მეზობელი ქალაქის, ჰიმსის მეომრები დაესხნენ თავს და დაატყვევეს. შეიზარის ემირმა მათი განთავისუფლება ღირსების საქმედ ჩათვალა და მიუხედავად იმისა, რომ რაინდების დატყვევებაში არანაირი ბრალი არ მიუძღოდა და ჰიმსთანაც მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა, უსამას უბრძანა მუსლიმ (ჰიმსელ) მეომრებს თავს დასხმოდა და ქრისტიანი მძევლები გაეთავისუფლებინა, რაც ამ უკანასკნელმა წარმატებით შეასრულა.² ასევე თავისი სიტყვის პატრონი აღმოჩნდა ერზრუმის ემირი იზზ ად-დინ სალთუკი, რომელსაც ტყვეობიდან განთავისუფლების სანაცვლოდ სიტყვა ჰქონდა მიცემული საქართველოს მეფე დემეტრე I-თვის, არ ეომა მისი შვილების (ე.ი. საქართველოს) წინააღმდეგ, რაც მან შეასრულა დემეტრეს გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც დატოვა გიორგი III-ს წინააღმდეგ გამოსული მუსლიმური კოალიციის რიგები.³ შუასაუკუნეებში მიცემულ სიტყვას იმდენად დიდი ძალა ჰქონდა, რომ მაგალითად, იერუსალიმის მეფე ბალდუინ II დიდხანს ვერ იჯერებდა ილ-ლაზის მხრიდან მის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რომელთანაც მას ზავი ჰქონდა დადებული.⁴ სიტყვის დაცვის შესანიშნავი მაგალითი აქვს მოტანილი იოჰან შილტბერგერს ოსმალის სულთნის ბაიაზიდის ტყვეობიდან გაქცევის ეპიზოდის აღწერისას, როდესაც იგი სამოც თანამზრახველთან ერთად გაიქცა, მაგრამ სულთნის მეომრების მიერ აღმოჩნდა ალყაშემოარტყმული. უაზრო სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, მუსლიმი მეომრების რაზმის მეთაურმა მათ დანებება შესთავაზა, რაზედაც ალყაშემოარტყმულებმა უარი განაცხადეს იმ მოტივით, რომ გან-

რისხებული სულთანი მათ მაინც სიკვდილით დასჯიდა, ოსმალმა მეთაურმა სულთანის სახელით სიტყვა მისცა მათ, რომ იგი მათი სიცოცხლის გარანტი იქნებოდა და სულთანი როგორც არ უნდა განრისხებულიყო, ის ტყვეებს მაინც დაიცავდა (რითაც თავის თავს დააყენებდა დიდი საფრთხის ქვეშ) და არც ერთი მათგანი არ დაზარალდებოდა, რის შემდეგაც გაქცეულები მის სიტყვას ენდნენ და ტყვედ ჩაბარდნენ. ბაიაზიდმა მართლაც გასცა ტყვეების სიკვდილით დასჯის ბრძანება, მაგრამ მეთაურმა მოახსენა (მუხლებში ჩავარდნით) მას მისი სახელით მიცემული სიტყვის შესახებ, რამაც სულთანს გადანყვეტილება შეაცვლევინა და არც ერთი ტყვე სიკვდილით აღარ დაუსჯიათ.⁵

შუა საუკუნეების „სამხედრო მორალისთვის“ ასევე დამახასიათებელი იყო მამაცი მონინაალმდეგის პატივისცემა. მაგალითად 1049 წელს, როდესაც ლიპარიტ ბალღაში ტყვედ ჩაუვარდა სელჯუკებს, სულთანმა თორღულმა ლიპარიტის გამორჩეული სიმამაცის გამო, ტყვეობის პერიოდში მის მიმართ უდიდესი მონინება და პატივისცემა გამოავლინა, ხოლო განთავისუფლების შემდეგ, უამრავი საჩუქრით დაჯილდოებული გამოისტუმრა შინ.⁶ ანალოგიურად მოექცა შალვა ახალციხელს ჯალალ ად-დინი, გარნისის ბრძოლაში შალვას მიერ გამორჩენილი დიდი მხედრული სიმამაცის გამო.⁷ 1066 წელს, როდესაც ჰასტინგის ბრძოლაში ინგლისის მეფე ჰაროლდი დაიღუპა, ერთ-ერთმა ნორმანმა რაინდმა მის ცხედარს შეურაცყოფა მიაყენა, რისთვისაც ვილჰელმ დამპყრობელმა იგი არმიიდან გააგდო.⁸ მამაც მონინაალმდეგეთა დამოკიდებულების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, ორი დაუძინებელი მტრის, რიჩარდ ლომგულისა და სალადინის რაინდული ურთიერთობა, როდესაც ისინი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეომებოდნენ, მაგრამ ყველა შესაძლო შემთხვევაში ერთმანეთის მიმართ პატივისცემას გამოხატავდნენ.⁹ სიმამაცე გახდა ბიზანტიელი სარდლის, კამიცას სიცოცხლის შენარჩუნების მიზეზი სელჯუკთა ტყვეობაში ყოფნის დროს, რის გამოც სელჯუკებმა იგი სასიკვდილოდ არ განირეს.¹⁰ ჯალალ ად-დინმა კი, თავისი გამორჩეული მხედრული თვისებების გამო, თვით ჩინგიზ-ხანის, მისი ყველაზე დაუძინებელი მტრის აღიარებაც კი დაიმსახურა 1221 წლის ინდის ბრძოლაში, როდესაც მან (ჩინგიზ-ხანმა) საკუთარ შვილებს განუცხადა, რომ ასეთი შვილის ყოლას ყველა მამა ინატრებდაო.¹¹ 1107 წელს მოსულის ათაბაგთან, რომლის ტყვეობაშიც იმყოფებოდა ედესის გრაფი (შემდეგში იერუსალიმის მეფე) ბალდუინი, მოლაპარაკებების სანარმოებლად მივიდა ბალდუინის ვასალი ჟოსლინ კურტენე, რომელსაც ათაბაგმა ბალდუინის გათავისუფლებისთვის ძალიან დიდი თანხა მოსთხოვა. ჟოსლინმა განუცხადა ათაბაგს, რომ ასეთი დიდი თანხის მოგროვებას ბალდუინი უკეთ შესძლებდა და შესთავაზა გაეთავისუფლებინა იგი, ხოლო სანამ ბალდუინი გამოსასყიდს გადაიხდიდა, თავად დარჩებოდა მის ნაცვლად მძევლად. ათაბაგს ისე მოეწონა ჟოსლინის საქციელი, რომ გამოსასყიდი მინიმუმამდე შეამცირა.¹² 1189 წელს, ჯვაროსნების პატივთან დამარცხებისა და იერუსალიმის აღების შემდეგ, სალადინი ცდილობდა დაეპყრო კერაკის ციხე-სიმაგრე, რომლის გარნიზონიც შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა მას. კერაკის მფლობელი რეინალდ შატილიონელი პატივთან იყო დაღუპული, ხოლო მისი შვილობილი (გერი) სალადინთან იმყოფებოდა ტყვეობაში. რეინალდის ქვრივმა სალადინს შვილის გათავისუფლება სთხოვა, რის სანაცვლოდაც კერაკის ჩაბარებას დაჰპირდა. სალადინი დათანხმდა და მას შვილი გაუგზავნა, მაგრამ რეინალდის ქვრივმა კერაკის გარნიზონის დაყოლიება ციხის ჩაბარებაზე ვერ შეძლო და ტყვეობიდან განთავისუფლებული

შვილი ისევ სალადინთან (უკან ტყვეობაში) დააბრუნა. ამ ფესტივალში მოხიბლულმა სალადინმა ტყვე ხელმეორად გაათავისუფლა, ხოლო როდესაც კერაკი ერთი წლის ალყის შემდეგ აიღო, მისი დამცველებს გამოჩენილი სიმამაცის გამო ნება მისცა ოჯახებთან ერთად იარაღით ხელში თავისუფლად დაეტოვებინათ მუსლიმების ტერიტორიები.¹³ ასევე სათანადოთ შეაფასეს ცოტნე დადიანის რაინდული საქციელი და თავდადება მონღოლებმა, რამაც ქართველი დიდებულები სიკვდილისგან იხსნა¹⁴ და ა.შ.

ინდივიდუალური სიმამაცის აღიარების გვერდით, შუა საუკუნეებისთვის ასევე დამახასიათებელი იყო მონინალმდეგის (ხალხის, არმიის) საერთო მხედრული ღირსებების აღნიშვნა და აღიარება. მაგალითად, ქრისტიანულ-ისლამურ დაპირისპირებაში ისტორიული ქრონიკები (როგორც ქრისტიანული, ასევე მუსლიმური) ერთმანეთს უწოდებენ ცრუმორწმუნეებს, უღმერთოებს, მკვლელებს, მძარცველებს და სხვა ათასგვარ დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ ეპითეტებს, მაგრამ როდესაც ახასიათებენ მონინალმდეგის მხედრულ ღირსებებს, აქ აშკარად ბევრად ობიექტურნი არიან და ძალიან ხშირ შემთხვევებში მტრის სამხედრო თვისებებს ხაზგასმით აღნიშნავენ. ეს ტენდენცია ტიპიურია ჯვაროსნული ლაშქრობების ამსახველი ლათინური (მაგალითად, ალბერტ ახენელის, გილიომ ტირელის, გვიბერტ ნოუაიელისა და ა.შ.) ქრონიკებისთვის, რომლებიც მათი მონინალმდეგე სელჯუკებისა და სარაცინების (არაბების) საბრძოლო თვისებებს მაღალ შეფასებას აძლევენ.¹⁵ მონინალმდეგის სიმამაცის აღიარებაში ლათინურ ქრონიკებს არც მუსლიმი ავტორები (იბნ-კალანისი, უსამა იბნ-მუნკიზი, ბაჰა ად-დინ შადადი, იმად ად-დინ ალ-ისპაჰანი, ალ-ასირი და ა.შ.)¹⁶ ჩამორჩებოდნენ, მაგალითად, უსამა იბნ-მუნკიზი წერდა, რომ „ფრანკებს (ჯვაროსნებს) არ ჰქონდათ არც ერთი ღირსება გარდა სიმამაცისა.“¹⁷ აღნიშნული ტენდენცია დამახასიათებელი იყო აგრეთვე ქართულ-სომხური წყაროებისთვისაც, ფამთალმწერელისთვის მონღოლები რჩეული მოისრეები, აუცდენლად მსროლელები და უბადლო ცხენოსნები იყვნენ,¹⁸ ხოლო სტეფანოზ ორბელიანი მათ გონიერ, „სიბილნის“ მოძულე, დისციპლინირებულ („მორჩილნი წინამძღუართა“) და ბრძოლაში მხნე მეომრებად ახასიათებდა.¹⁹

შუა საუკუნეების „სამხედრო მორალი“ სიმამაცის აღიარების გვერდით, სრულიად უპატივებლად თვლიდა ღალატს, რომლის ჩამდენიც უმრავლეს შემთხვევებში სიკვდილით ისჯებოდა. მაგალითად, ხორეზმის ქალაქ ოტრარის ალყის დროს, ხორეზმელთა ერთ-ერთი სარდალი ყარაჩა, რომელმაც უღალატა ხორეზმმა მუჰამედს და მტერს ქალაქის კარი გაუღო, მონღოლებმა დაჯილდოების ნაცვლად, როგორც მოღალატე, სიკვდილით დასაჯეს.²⁰ ბიზანტიაში კონსტანტინე მონომახის საწინააღმდეგო აჯანყებაში მონაწილე მეომრებს თავები გადაპარსეს, ვირებზე უკულმა შესვეს და ისე ატარეს კონსტანტინოპოლის ქუჩებში,²¹ ანალოგიურად მოექცა მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილეებს ალექსი კომნენოსიც, მისი ბრძანებით მოღალატეებს თავები გადაპარსეს, ტომრები ჩამოაცვეს, ზედ ცხოველის შიგნეულობისგან გაკეთებული გვირგვინები დაახურეს და ხარებზე გადაკიდებულები ატარეს ქალაქში, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯეს.²² მსგავსი სასჯელი გამოუტანა თავის მოხელეებს მარდინის ემირმა ილ-ლაზიმ მის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობისთვის.²³ ასევე დაუნდობელი იყო გიორგი III-ე ორბელთა შეთქმულების მონაწილეების,²⁴ დავით სოსლანი გუზან ტაოსკარელის,²⁵ ხოლო დავით ულუ პანკისის ერისთავ თორღვას მიმართ,²⁶ მათ მიერ ჩადენილი ღალატისთვის.

საჯარო დამცირებისა და გაკიცხვის ობიექტები ის მეომრებიც ხდებოდნენ, რომლებიც ბრძოლაში გაუმართლებელ სილაჩრეს გამოიჩინდნენ. მაგალითად, იოანე კომნენოსმა ერთ-ერთი ციხის კომენდადტს, რომელმაც სიმაგრე მტერს უომრად ჩააბარა, ქალის კაბა ჩააცვა, ვირზე შესვა და კონსტანტინოპოლის ქუჩებში ატარა.²⁷ ბრძოლის ველიდან გაქცევის გამო, ანალოგიურად უნდოდა ანდრონიკ ანგელოსის დასჯა მანუელ კომნენოსსაც.²⁸ ლაჩრებისთვის ქალის კაბის ჩაცმა „ჩვეულებრივი მეთოდი“ იყო დავით აღმაშენებლისთვის,²⁹ ხოლო განსხვავებულად სჯიდა მათ ანტიოქიის მთავარი ბოემუნდი, რომელმაც ორ რაინდს, რომლებიც ბრძოლაში ერთმა მუსლიმმა გააქცია, ჩამოართვა ფარები (ალბათ, ზედ გამოსახული საგვარეულო გერბებით) და ცხოველებს დაუდგა გობების ნაცვლად, რაინდები კი არმიიდან გაყარა.³⁰

სილაჩრის მსგავსად, შეუწყნარებელი იყო დამოკიდებულება ტრაბახისა და ფსევდო გამირობების მიმართაც. მაგალითად, უსამა იბნ მუნკიზს აღწერილი აქვს შემთხვევა, როდესაც ჯვაროსნებზე ერთ-ერთი გამარჯვებისას, მუსლიმები თავისი გამირობის სადემონსტრაციოდ თავებს ჭრიდნენ დალუპულ მტრებს და როგორც საკუთარი გამირობის არგუმენტს ცხენის აკაზმულობაზე კიდებდნენ. მუსლიმებს შორის იყო ორი ქურთი ძმა, რომელთაგანაც ერთმა (რომელიც ახლომხედველი იყო) ერთ-ერთ დალუპულს თავი მოჰკვეთა და ტრაბახი დაიწყო, რომ იგი მის მიერ მოკლული ჯვაროსანი იყო. საბოლოოდ ეს დალუპული მისი ძმა აღმოჩნდა, რის შემდეგაც ეს ქურთი სირცხვილისგან შეიზარიდან გადაიკარგა.³¹

ე) რელიგიის ფაქტორი

შუა საუკუნეების ეპოქაში რელიგია სამხედრო საქმეზე ისეთივე დიდ ზეგავლენას ახდენდა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა სფეროზე. ამ ეპოქის ადამიანები იყვნენ ღრმად მორწმუნეები და მიიჩნევდნენ, რომ ნებისმიერ ომში ისინი ღვთის ნებას ასრულებდნენ, შესაბამისად, გამარჯვებაცა და დამარცხებაც მის ნებას მიენერებოდა. შუა საუკუნეების ქრონიკათა ავტორები „მთელი სერიოზულობით“ წერდნენ თანამედროვეებისთვის თუ როგორ მონაწილეობდნენ სხვადასხვა ომებში ღვთის მიერ გამოგზავნილი წმინდა მეომრები და როგორ ეხმარებოდნენ ისინი ღვთის რჩეულებს სამხედრო გამარჯვების მოპოვებაში. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და ლათინი მემატთანე ვილჰელმ ტირელი ერთნაირად აღწერდნენ, თუ როგორ ანადგურებდა იარაღით მუსლიმ მეომრებს ქრისტიანების დასახმარებლად მოსული წმინდა გიორგი დიდგორისა და მონგისარდის ბრძოლებში,¹ პეტრე ტუდებოდი ანტიოქიის ბრძოლაში წმინდა გიორგის, დემეტრესა და მერკურის მონაწილეობას ამტკიცებდა,² გაიას ად-დინ ალის აღწერილი აქვს თუ როგორ იხსნეს თემურ-ლენგი ანგელოზებმა და დიდი შეიხების სულეებმა ბრძოლაში უეჭველი დალუპვისგან,³ ხოლო თემურის ავტობიოგრაფიის მიხედვით იგი, მოულოდნელად გამოჩენილ უცნობ ზეციურ მხედარს გადაურჩენია, რომელიც ასევე მოულოდნელად გამქრალა ბრძოლის ველიდან.⁴ ლევ დიაკონი ირწმუნებოდა, რომ იოანე ციმისხიელს რუსებზე მოპოვებული გამარჯვების დროს წინ თეთრ ცხენზე ამხედრებული წმ. თევდორე მიუძღოდა და იმპერატორის მტრებს ანადგურებდა.⁵ ანა კომნენოსი წერდა, რომ ბრძოლაში დამარცხებული და მდევრების ალყაში მოქცეული ალექსი კომნენოსის ცხენი ღვთიური ძალის დახმარებით პეგასივით აფრინდა კლდეზე და

იმპერატორი ტყვეობას გადაარჩინა.⁶ ბერნის ქრონიკის ანონიმი ავტორის მიხედვით, ასწლიანი ომის დროს ფრანგული ქალაქ კამბრეს ერთმა დამცველმა ქალაქის ინგლისელებისთვის ჩაბარება გადაწყვიტა, მაგრამ როდესაც ღამით ქალაქში შემოსასვლელი ასანევი ხიდის დაშვება მოინდომა, ზეციურმა ძალამ ზარების რეკვა დაიწყო და გარნიზონი გააღვიძა.⁷ უამთა აღმწერელს მოყვანილი აქვს „შემთხვევა,“ როდესაც ზეციურმა ძალამ ოპიზის მონასტრის გასაძარცვად გაგზავნილი 1000 მონღოლი მხედარი ადიდებულ მდნარეში დაახრჩო⁸ და ა.შ.

ღვთიური ნების მუდმივი თანხლების შეგრძნება (ან ამის სურვილი), პირველ რიგში, არმიის გარეგნულ ატრიბუტიკაზე ისახებოდა. მაგალითად, ქრისტიანული არმიის აუცილებელ ელემენტს არმიის სანიანამძღვრო ჯვარი წარმოადგენდა, რომელიც მუდმივად თან ახლდა ლაშქრობაში მყოფ არმიას და ბრძოლის დროს მთავარი დროშის გვერდით იმყოფებოდა. მაგალითად, სანიანამძღვრო ჯვარი (ძელიცხოველი) მთავარ დროშასთან ერთად წინ უძღვის ქართულ არმიას ერზრუმში, გიორგი რუსის მეთაურობით განხორციელებული სათარეშო რეიდის დროს: „ააბეს დროშა სვიანი და ხმარებული, და წარიძღუანეს ძელი ცხოვრებისა, მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა,“⁹ ისევე როგორც შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში: „წარემართა დავით, წარმძღუანელი ძელისა ცხოვრებისა და შემყრელი დროშისა სვიანად მოხმარებულისა.“¹⁰ სანიანამძღვრო ჯვრის თანხლების ტრადიცია თანაბრად იყო დამახასიათებელი როგორც დასავლური, ასევე აღმოსავლური ქრისტიანული არმიებისთვის, რომლებიც ჯვრის თანხლების გარეშე, ბრძოლის ველზე, პრაქტიკულად, არ გადიოდნენ.¹¹ მთავარი დროშის გვერდით აღმართული სანიანამძღვრო ჯვარი გამარჯვების რწმენას მატებდა ბრძოლის ველზე მყოფ მეომრებს, უქმნიდა მათ ღვთიური დახმარების შეგრძნებას და შესაბამისად, მათ საბრძოლო სულისკვეთებას ამაღლებდა. ჯვრის დაკარგვა უდიდეს უბედურებად და მარცხის მომტან ნიშნად ითვლებოდა, მაგალითად, თამარის ანონიმი ისტორიკოსის ხაზგასმით აქვს აღნიშნული, თუ როგორ გადაარჩინეს ქართველმა მეომრებმა სანიანამძღვრო ჯვარი 1163 წელს აზერბაიჯანის ათაბაგ ილდენიზთან განცდილი დამარცხებისას, რასაც ჯვრისმტვირთველი (ჯვრის მატარებელი) და მისი მცველი ბედიელი აზნაური შეენიერენ.¹² განსხვავებული შედეგი დადგა ჰატინის ბრძოლის დროს, როდესაც იერუსალიმის სამეფოს არმიის სანიანამძღვრო ჯვარი მუსლიმებს ჩაუვარდათ ხელთ.¹³ ჯვაროსანთა წმინდა ჯვრის დაკარგვა ქრისტიანულმა სამყარომ იმდენად დიდ უბედურებად აღიქვა, რომ მის უკან გამოსყიდვას არა მარტო ჯვაროსნები, არამედ ბიზანტიის იმპერატორი და თამარ მეფეც ცდილობდნენ,¹⁴ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯვაროსნების პოლიტიკური მოკავშირეები არ იყვნენ. მის ხელში აღმოჩენილი წმინდა ჯვრის დიდი მნიშვნელობის გამო, სალადინმა არა მარტო იმპერატორის და საქართველოს მეფის მიერ შეთავაზებულ დიდ თანხებზე თქვა უარი, არამედ რიჩარდ ლომგულის ხელში მყოფი 3 ათასი მუსლიმი ტყვე მეომარიც განირა სასიკვდილოდ და ჯვრის სანაცვლოდ მათ განთავისუფლებას, ტყვეების დალუპვა ამჯობინა.¹⁵ სალადინის ლოგიკა მარტივად გასაგებია, ჯვრის დაბრუნება იმდენად აამაღლებდა მისი მოწინააღმდეგეების საბრძოლო განწყობას და იმდენად დიდ სამხედრო უპირატესობას შეუქმნიდა მათ, რომ 3 ათასი მეომრით მუსლიმური არმიის გაზრდა, ამ უპირატესობას ვერ გააბათილებდა.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ არმიებში სანიანამძღვრო ჯვრის გვერდით, უხვად იყო წარმოდგენილი სხვა რელიგიური ატრიბუტიკაც, მაგალითად, ძალიან ხშირი იყო ჯვრის, ან წმინდანთა გამოსახვა სამხედრო დროშებზე, რაც კარგად ჩანს

შუა საუკუნეების მრავალრცხოვანი მინიატურებიდან, თუ წერილობით წყაროებიდან, რომელთა მიხედვითაც ჯვრიანი დროშა სხვადასხვა ქრისტიანული არმიების (ევროპულის, ბიზანტიურის, ქართულის და ა.შ.) თითქმის აუცილებელი ატრიბუტი იყო.¹⁶ უფრო მეტიც, მარკო პოლოს მითითებით, ჯვრიანი დროშა, ჩინგიზ-ხანის ძმის შვილიშვილის, ნესტორიანელი ნაიანის მთავარ დროშაზეც იყო გამოსახული.¹⁷ ჯვრის მსგავსად, ხშირი იყო წმინდანთა გამოსახულებიანი დროშებიც, მაგალითად, წერილობითი წყაროები ქართულ სამხედრო დროშებზე ხშირად უთითებენ წმინდა გიორგის გამოსახულების არსებობას, ბიზანტიურზე ღვთისმშობლის, ფრანგულზე წმ. პეტრეს და ა.შ.¹⁸ გარდა დროშებისა, ლაშქრობის დროს თან დაჰქონდათ ხატები და სხვა რელიგიური სინდემები. მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორებს ლაშქრობის დროს ყოველთვის თან ჰქონდათ ღვთისმშობლის ხატი,¹⁹ რომლის ბრძოლაში დაკარგვაც ისეთივე უბედურებად ითვლებოდა, როგორც სანიანამძღვრო ჯვრისა, როდესაც ჯვაროსნების კონსტანტინოპოლზე შეტევის დროს, იმპერატორმა მურზულფმა ბრძოლაში ღვთისმშობლის ხატი დაკარგა, ნიკიტა ხონიატის სიტყვით, ეს ფაქტი საშინელი უბედურებების (ე.ი. კონსტანტინოპოლის დაკარგვის) ნიშანი გახდა.²⁰ ქრისტიანულ არმიებში არცთუ იშვიათი იყო ცალკეული სამხედრო რაზმებისთვის „რელიგიური სახელის“ მინიჭების შემთხვევები, მაგალითად, 1119 წლისთვის ვალტერ გოტიე ანტიოქიის არმიის შემადგენლობაში უთითებს წმინდა პეტრეს სახელობის ქვედანაყოფის არსებობას, იგივე ტენდენცია საკმაოდ ხშირად ჩანს სხვადასხვა ევროპულ არმიებშიც.²¹

საერთო-საარმიო ატრიბუტიკასთან ერთად, ქრისტიანული არმიების მეომრები თან ატარებდნენ ინდივიდუალურ რელიგიური სინდემებსაც, მაგალითად, სტეფანოზ ორბელიანს აღნიშნული აქვს, რომ სელჯუკებთან ბრძოლის წინ ლიპარიტ ბაღვაშია ყელზე შეიბა ძელიცხოვრის ნაწილი,²² (ალბათ როგორც წარმატების მომტანი თილისმა), დავით აღმაშენებლის მემამტიანეს აღწერილი აქვს, რომ საქართველოს მეფეს მუდმივად ყელზე ჰქონდა შებმული მთავარანგელოზის მცირე ხატი, რომელსაც იგი ერთხელ სიკვდილისგანაც უხსნია.²³ ქრისტიანი მეომრებისთვის ასევე დამახასიათებელი იყო რელიგიური ნიშნების (ძირითადად ჯვრების) საბრძოლო აღჭურვილობაზე (მუზარადებზე, ფარებზე, იარაღზე და ა.შ.) გამოსახვა. რომ არაფერი ვთქვათ ჯვაროსნული ლაშქრობების მონაწილეებზე, რომელთათვისაც აუცილებლობას წარმოადგენდა უნიფორმაზე (როგორც წესი, მოსასხამზე) ჯვრის მიკერება, მსგავს სიმბოლოებს მრავალი სხვა (არა ჯვაროსანი) მეომარიც ატარებდა, მაგალითად, ჯვარი ჰქონდა გამოსახული ფარზე კილიკიის სომხეთის მეფეს, კონსტანტინე რუბენიდს.²⁴

შუა საუკუნეების არმიები, გარდა იმისა, რომ უხვად იყვნენ აღჭურვილნი რელიგიური ატრიბუტიკით, ლაშქრობების დროს რელიგიური ცხოვრების წესსაც საკმაოდ მკაცრად იცავდნენ, რისთვისაც არმიას ყოველთვის თან ახლდნენ სასულიერო პირები. შეიძლება ითქვას, რომ სასულიერო სამსახური საარმიო სტრუქტურის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, იგი „დაკომპლექტებული“ იყო გარკვეული რაოდენობის სასულიერო პერსონალით, რომლის ფუნქციებსაც რელიგიური რიტუალების შესრულება წარმოადგენდა. ქრისტიანულ არმიების უმრავლესობას თან დაჰქონდა ერთგვარი საველე ეკლესია, რომელიც დიდი ზომების მქონე კარავს წარმოადგენდა, სადაც საკურთხევლის გამართვა და რამდენიმე ათეული მლოცველის მოთავსება შეიძლებოდა. მაგალითად, უსამა იბნ-მუნკიზი და ვალტერ გოტიე მიუთითებენ ასეთი საველე „ეკლესიის“ არსებობას ანტიოქ-

იის სამთავროს არმიაში.²⁵ საველე „ეკლესია“ ლაშქრობის დროს თან დაჰქონდა ქართულ არმიასაც, რასთან დაკავშირებითაც კირაკოზ განძელს აღწერილი აქვს უაღრესად საინტერესო ეპიზოდი. მისი მიხედვით ლაშქრობაში ყოფნის დროს, ქართველ მეფეებს ყოველთვის თან ახლდნენ სასულიერო პირები, რომლებიც ლაშქრობის დროს წირვას ასრულებდნენ, ზაქარია მხარგრძელს კი, რომელიც გრიგორიანელი იყო, ლაშქრობის დროს არც საველე ეკლესია დაჰქონდა თან და არც სასულიერო პირები ახლდნენ, რადგან სომეხურ ეკლესიას ასეთი ტრადიცია არ გააჩნდა. ზაქარიას აღნიშნული გარემოება სერიოზულ უხერხულობას უქმნიდა, ამიტომ მან თხოვნით მიმართა სომეხ მღვდელმთავრებს (ვარდაპეტებს) ნება დაერთოთ მისთვის ლაშქრობების დროს ეკლესიის თან ტარებისა, რაზედაც მათ უპასუხეს, რომ ოდესღაც მეფე თრდატს ლაშქრობების დროს დაჰქონდა საველე ეკლესია, მაგრამ კათოლიკოსის ნებართვის გარეშე მისთვის ამის უფლების მიცემა მაინც არ შეეძლოთ. საბოლოოდ სომეხი მღვდელმთავრები იძულებულნი გახდნენ (აღბათ ზაქარიას განსაკუთრებული ავტორიტეტის გამო) კილიკიის სომხეთის დედაქალაქ სისში მოეწვიათ საეკლესიო კრება და ეს საკითხი ზაქარიას სასარგებლოდ გადაეწყვიტათ, რის შემდეგაც სომეხთა კათოლიკოსმა ზაქარიას საჩუქრად გაუგზავნა გუმბათიანი ეკლესიის ფორმის მქონე კარავი და მარმარილოს საკურთხეველი.²⁶

შუა საუკუნეების ქრისტიანულ არმიებში „შტატიან“ სასულიერო პირთა და საველე ეკლესიის არსებობა არ იყო ღმერთის წინაშე ფორმალური ვალდებულების მოხდა, ქრისტიანული წეს-ჩვეულებების შესრულება შუა საუკუნეების მეომრებისთვის ყოველდღიურ აუცილებლობას, ცხოვრების წესის ნაწილს შეადგენდა, რასაც ემატებოდა ის გარემოება, რომ იმ დროინდელი ადამიანები რელიგიას სულიერი ღირებულების გარდა, ერთგვარ სამხედრო დანიშნულებასაც ანიჭებდნენ და თვლიდნენ, რომ ღმერთი მათ გამარჯვების მოპოვებაში ეხმარებოდათ. ნიკიფორე ფოკას მიხედვით, ბიზანტიურ არმიაში მყოფ სასულიერო პირებს დილა-სალამოთი საეკლესიო ჰიმნები უნდა შეესრულებინათ, ხოლო მეომრებს მისამღერის სახით, „ღმერთო შეგვიწყალო,“ არანაკლებ ასჯერ უნდა გაემეორებინათ.²⁷ ასევე აუცილებლობას წარმოადგენდა ბრძოლის წინ ლოცვა,²⁸ რაც ბიზანტიური არმიის გარდა, ტრადიციული იყო სხვა ქრისტიანული არმიებისთვისაც, მაგალითად, ილ-ღაზთან ბრძოლის წინ ლოცულობს როჯერ ანტიოქიელის არმია,²⁹ ისევე როგორც შოტლანდიელები ბენოკპურნის ბრძოლის წინ.³⁰ ბრძოლის წინ ლოცვა ტრადიციული იყო ქართველი მეომრებისთვისაც, მაგალითად, ასე იქცევა დავით კურაპალიტის არმია ემირ მამლანთან ბრძოლის წინ,³¹ თამარის დროინდელი არმია შამქორის ბრძოლის წინ³² და ა.შ.

გარდა მეომრებისა, ღმერთს გამარჯვებას ყველა ის ადამიანიც შესთხოვდა, ვინც ბრძოლებში არ მონაწილეობდა, მაგრამ მისი მოპოვებით დაინტერესებული იყო. საინტერესოა სუმბატ სპარაპეტის ცნობა, რომლის მიხედვითაც ტაშირ-ძორაგერტის მეფე დავით ანპოლინმა კათოლიკოსს სთხოვა ბანაკში მოეყვანა მლოცველები, რომლებიც სანამ მეფე ომობდა, სახარებით და ჯვრებით ხელში ღმერთს შესთხოვდნენ გამარჯვებას.³³ შამქორისა და ბასიანის ბრძოლების დროს, ანალოგიურად შესთხოვდა ღვთისმშობელს გამარჯვებას მეტეხისა და ვარძიის მონასტრებში თამარ მეფე, რომელიც ბრძოლების დასრულებამდე, დღე-ღამეს ლოცვაში ატარებდა.³⁴ ლოცვა და ღმერთისთვის მადლობის გადახდა გამარჯვების

მოპოვების შემდეგაც აუცილებლობას წარმოადგენდა, რასაც ასევე თითქმის ყველა ქრისტიანული არმია ასრულებდა.³⁵

ნაკლები რელიგიური ატრიბუტიკა იყო წარმოდგენილი მუსლიმურ არმიებში, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ისლამი კრძალავს წმინდანთა ვიზუალურ გამოსახვას, თუმცა მუსლიმური არმიების დროშებზე ხშირ შემთხვევებში ყორანის ტექსტიდან ამოღებული სხვადასხვა ციტატები იყო გამოყვანილი. ისლამურ არმიებს (ქრისტიანულის მსგავსად) ყოველთვის თან ახლდნენ სასულიერო პირები, რომელთა მოვალეობასაც რელიგიური რიტუალების წარმართვა და მათ დაცვაზე თვალყურის დევნება წარმოადგენდა. მეომრები, როგორც წესი, მარშის დაწყების, დამთავრების და ბანაკის მოწყობის შემდეგ, აუცილებლად ასრულებდნენ დილის, შუადღის და საღამოს ლოცვებს, ხოლო ძალიან ხშირად (თუ ამაში ხელს ლაშქრობის სირთულეები არ უშლიდა) ხუთივე სავალდებულო ლოცვას. მაგალითად, ატაბარის აღწერილი აქვს, მუეძინის მონოდებაზე თუ როგორ ლოცულობდა დილით და საღამოთი არაბული არმია ბაბექთან ომის დროს.³⁶ მუსლიმებს ქრისტიანების მსგავსად სჯეროდათ, რომ ბრძოლაში მათ გამარჯვება-დამარცხებას ღმერთის ნება განაპირობებდა, რის გამოც, ღვთიური კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, რელიგიურ წეს-ჩვეულებებს მტკიცედ იცავდნენ.

რელიგიური ფაქტორი უზარმაზარ ზეგავლენას ახდენდა სამხედრო საქმეზე, ფაქტიურად, იგი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სფეროს წარმოადგენდა, რადგან თავისი ზემოქმედების ძალით მკვეთრად ამაღლებდა მეომართა საბრძოლო განწყობას და ძალიან ხშირად ომების საბოლოო შედეგებსაც განაპირობებდა, რისი ერთ-ერთი საუკეთესო ილუსტრაციაც, ანტიოქიის ალყის დროს, წმინდა შუბის პოვნის ისტორიაა. ჯვაროსნებმა ანტიოქია 1098 წელს, ცხრა თვიანი ალყის შემდეგ აიღეს, მაგრამ ქალაქის აღებიდან სამი დღის შემდეგ თავად აღმოჩნდნენ ქალაქში ალყაშემორტყმულები მოსულის ემირის, კერბოგას მრავალრიცხოვანი სელჯუკური არმიის მიერ.³⁷ ჯვაროსანთა მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე, ცხრა თვის დამქანცველი ალყის შემდეგ მათ არ გააჩნდათ პროდუქტების არავითარი მარაგი და დასვენებისა და ძალების აღდგენის საშუალება. ანტიოქიის შიგნით წინააღმდეგობას აგრძელებდა ციტადელში გამაგრებული მუსლიმთა გარნიზონი, გარედან მომდგარი კერბოგას არმიის მიერ ბლოკირებული იყო ქალაქთან მისასვლელი ყველა გზა, არ ჩანდა მათ დასახმარებლად მომავალი ბიზანტიური არმია და ა.შ. შექმნილ ვითარებაში, როდესაც ხსნის არანაირი გზა არ ჩანდა, ჯვაროსნების საბრძოლო განწყობილებამ მკვეთრი დაქვეითება დაიწყო და სასონარკვეთის მდგომარეობას მიუახლოვდა. ამ კრიტიკულ ვითარებაში, ჯვაროსნული არმიის შემადგენლობაში მყოფმა ერთ-ერთმა სასულიერო პირმა (პეტრე ბართოლომეომ) განაცხადა, რომ მან სიზმარში ნახა ანდრია პირველწოდებული, რომელმაც მას (ქალაქში მდებარე) წმ. პეტრეს ტაძარში აჩვენა ადგილი, სადაც „დამარხული“ იყო შუბი, რომლითაც ჯვარცმული იესო ქრისტე განგმირეს. ბართოლომეოს სიტყვით, შუბი მათ მტერზე გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარებოდათ. ჯვაროსნებმა აღნიშნულ ადგილზე შუბი „ნამდვილად“ იპოვეს და ამ წმინდა რელიქვიის აღმოჩენამ ისე აამაღლა მათი საბრძოლო განწყობა, რომ მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე სირთულეების გარეშე დაამარცხეს.³⁸

არმია შუა საუკუნეების ეპოქაში

ა) საველე არმია

მასშტაბები

როგორც უკვე იყო აღნიშნული (იხ. „სამხედრო საქმის ორგანიზაციის ფეოდალური სისტემა.“), ფეოდალური ეპოქის მინისმფლობელობაზე დამყარებული სამხედრო ორგანიზაციის სისტემის თავისებურებები და არმიის მართვის, ტრანსპორტირებისა და უზრუნველყოფის საშუალებები, შუასაუკუნეებში არცთუ მრავალრიცხოვანი არმიების ფორმირების შესაძლებლობას იძლეოდნენ, თუმცა ამ პერიოდის წერილობითი წყაროები სრულიად სანინაალმდეგოს დამტკიცებას ცდილობდნენ.

ძალიან ხშირ შემთხვევებში, ძველ ავტორთა უმრავლესობა შუა საუკუნეების არმიების (ძირითადათ, მონინაალმდეგის ძალების) სიდიდეებს, სრულიად დაუჯერებელ ციფრებში წარმოადგენდნენ და როდესაც ამის სადემონსტრაციოდ, ერთად თავმოყრილ მეომართა სიმრავლის ასეულ ათასებში გამოხატვას არასაკმარისად მიიჩნევდნენ, მაშინ მათ რიცხოვნობას სხვადასხვა მხატვრული შედარებებით გამოსახავდნენ. მაგალითად, ალ-ჰუსაინის მიხედვით, 1040 წელს, დანდანაკანის ბრძოლაში გაზნევანიდებს ისეთი დიდი არმია ჰყოლიათ, რომ მის მეომრებს დედამინის სიგრძე-სიგანით ავსება შეეძლოთ,¹ უფრო ადრე კი იმხელა არმია გამოიყვანეს სელჯუკების წინააღმდეგ, რომ მათ მეომრებს ისრები დედამინის საყრდენებისთვის რომ ესროლათ, ისინი ჩამოინგრეოდა, ხოლო „დროს“ რომ დამუქრებოდნენ, ის მათგან გაიქცეოდა.² მისივე შეფასებით, გაზნევანიდებს არც სელჯუკები ჩამორჩებოდნენ. მაგალითად, 1157 წელს, თურქმენებით გაძლიერებული არსლან-შაჰის (სულთან თოღრულ II შვილი) არმია დედამინას აზანზარებდა და ცას მტვრით ფარავდა.³ სიმრავლეთა გადმოცემის იგივე მეთოდს იყენებდა ან-ნასავი, რომლის მიხედვითაც ხორეზმის შაჰ მუჰამედმს ბალდადის დასაპყრობად იმხელა არმია გაუგზავნია, რომელსაც ვერც სტეპები და ვერც უდაბნო, ერთად აღებული ვერ დაიტევდა,⁴ ან-ნასავის არც ჯუვეინი ჩამორჩენია, რომლის შეფასებითაც, ბუხარის დასაპყრობად დაძრული მონღოლთა არმია, მეომართა რაოდენობით ჭიანჭველებისა და კალიების რაოდენობას აჭარბებდა.⁵ არმიათა სიდიდების აღსანიშნავად მხატვრული შედარებების გამოყენებისას არც ქრისტიანი ავტორები იყვნენ სიტყვაძუნწნი. ანა კომნენოსის მიხედვით, I ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეთა რაოდენობა უფრო მეტი იყო ვიდრე ქვიშა ზღვაში და ვარსკვლავები ცაზე.⁶ ზღვის ქვიშის რაოდენობას ადარებდა გერმანელ ჯვაროსანთა არმიის სიდიდეს იოანე კინამოსიც,⁷ ნიკიტა ხონიატის აზრით კი, 1205 წელს ბულგარელთა არმიაში იმდენი ყივჩაღი იბრძოდა, რომ მათი რიცხვი გაზაფხულის ყვავილების რაოდენობასაც კი გაუწევდა მეტოქეობას.⁸ აღნიშნული ტენდენციიდან გამონაკლისს არც ძველი ქართული წყაროები წარმოადგენენ, მაგალითად, მათიანე ქართლის ანონიმი ავტორის მიხედვით, აბულ-კასიმი საქართველოში იმხელა არმიით შემოსულა, რომელსაც „არა იტევდა ქუეყანა,⁹“ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებით დიდგორის ველზე მუსლიმების არმია იმ რაოდენ-

ნობის იყო „ვითარცა ქვიშა ზღვისა,“¹⁰ ხოლო თამარის პირველი ისტორიკოსის აზრით, შამქორთან შეკრებილ მუსლიმური კოალიცია კალიების რაოდენობაზე მეტი ყოფილა.¹¹

აღნიშნულ მტკიცებულებათა სანიანალმდეგოდ, ძველი ავტორების ქრონიკებში თავისდაუნებურად მაინც „იპარებოდა“ განსხვავებული მონაცემები, რითაც თავისი („მხატვრული“) ცნობების ობიექტურობას, ავტორები თავადვე აყენებენ ეჭვისქვეშ. მაგალითად, ალ-ჰუსაინი არსლან-შაჰის „დედამინის მაზანზარებელი“ არმიის შესახებ ცოტა ქვემოთ წერდა, რომ მისი სიდიდე 30 000 მეომარი იყო,¹² ხოლო „დედამინის საყრდენების დამანგრეველ“ არმიას თავი აურიდება სელჯუკებთან ბრძოლის ველზე პირდაპირ შეხვედრისთვის და ქალაქ ბალხში ჩაკეტილა, სადაც ეს რაოდენობა, რომლის სიდიდის გამოსახატავადაც ალ-ჰუსაინს ამ უჩვეულო შედარების გამოყენება დასჭირდა, უპრობლემოდ განთავსდა და ორი წლის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა მონიანალმდეგეს.¹³ ე.ი. ამ ხნის განმავლობაში, „უზარმაზარი“ არმიის არც გამოკვება და არც გალავანს შიგნით ყოფნა შუა საუკუნეების ქალაქისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, რაც მის „გრანდიოზულ“ მასშტაბებს უბრალოდ გამორიცხავს. იგივე შეიძლება ითქვას ლევ დიაკონზე, რომლის მიხედვითაც 960 წელს, ბიზანტიაში შეჭრილი არაბი სარდლის, ალემოს ემირის, სეიფ ად-დაულა ხამდანიდის არმია ისე მრავალრიცხოვანი ყოფილა, რომ ბიზანტიელთა სარდალმა ლევ ფოკამ უარი თქვა მასთან პირდაპირ ბრძოლაზე, თუმცა ლევ დიაკონი იქვე აღნიშნავდა, რომ ცხენზე ამხედრებული ად-დაულა მარშის დროს, თავის „მრავალრიცხოვან“ არმიას ხან თავში მოექცეოდა და ხან ბოლოში.¹⁴ რასაკვირველია, სამარშო კოლონად გაშლილი არმია, რომელსაც ცხენის სისწრაფით რამდენჯერმე შეიძლება მოექცე თავსა და ბოლოში, არაფრით შეიძლება იყოს ძალიან მრავალრიცხოვანი და რეალობაში, ხამდანიდებს არც არასოდეს ყოლიათ ასეთი არმიები, მათი სამხედრო პოტენციალი 7-მ ათასიდან, 10-15 ათასი მეომრის ფარგლებში მერყეობდა.¹⁵ მსგავსი შეუსაბამობებია ანა კომნენოსთანაც, რომელიც ჯვაროსანთა საერთო რაოდენობას ქვიშასა და ვარსკვლავებს ადარებდა, მაგრამ მის შემადგენელ არმიათა რაოდენობებს ზოგ შემთხვევებში, საკმაოდ მოკრალეული ციფრებში ასახელებდა. მაგალითად, ბიზანტიის ტერიტორიებზე შემოსულ ბრაბანტის გრაფის არმიას 1600-მდე მეომრის ფარგლებში, ხოლო გრაფ რაულის (მისი სიტყვებით) ძალიან დიდი არმიის რაოდენობად, 15 000-ს მიუთითებდა.¹⁶

კონკრეტული ციფრების დასახელების შემთხვევებში, ძველ ავტორებში განსაკუთრებით ძლიერი იყო ტენდენცია, წარმოეჩინათ უშუალო მონიანალმდეგის სრული რიცხობრივი უპირატესობა, რითაც ისინი ან მოპოვებული გამარჯვების მნიშვნელობას აზვიადებდნენ, ან დამარცხებას ამართლებდნენ. მაგალითად, სელჯუკთა აპოლოგეტის, ალ-ჰუსაინის მიხედვით, 1141 წლის სამარყანდის ბრძოლაში სელჯუკი სულთანი სანჯარი მხოლოდ იმიტომ დამარცხდა, რომ მის 70 000 მეომარს, 700 000-იანი არმია დაპირისპირებია.¹⁷ მონღოლთა მიმართ სიმპათიებით განწყობილი ჯუვეინის შეფასებით, 1242 წელს, ევროპაში შეჭრილ ბათუ-ყაენს, 400 000 მეომართან მოუწია ბრძოლა, რაც ორჯერ აჭარბებდა მონღოლთა არმიის სიდიდეს, მაგრამ მან მიუხედავად მონიანალმდეგის დიდი უპირატესობისა, გამარჯვება მაინც მოიპოვა.¹⁸ ალემოელი ქამალ ად-დინისთვის, სირიაში გამოჩენილ ჯვაროსანთა რაოდენობა 320 000-ს, ხოლო ცალკე აღებული ტულუზის გრაფის,

რაიმუნდ სენ-ჟილის არმია 100 000-ს უდრიდა, რითაც იგი ხსნიდა ჯვაროსანთა თავდაპირველ წარმატებებს.¹⁹

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა არაბი და მუსლიმი ქრონიკების ცნობები არაბთა მიერ ესპანეთის დაპყრობის შესახებ, რომლებიც რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. IX საუკუნის არაბი მემატიანის, ტარიკ იბნ ნაგების მიხედვით, მუსლიმებმა 12 000 არმიით დაამარცხეს ესპანეთის ოსტგოთების მეფის, როდერიკის 100 ათასიანი არმია,²⁰ ხოლო XIII საუკუნის ლათინური ქრონიკის ავტორის, ტრუას ეპისკოპოსის, ლუკას მონათხრობის მიხედვით, არაბთა არმია 25 000 მეომრისგან შედგებოდა, რომელზედაც როდერიკმა გამარჯვება უპრობლემოდ მოიპოვა, რის შემდეგაც არაბებმა ესპანეთში გაგზავნეს „ურიცხვი“ რაოდენობის არმია და ამ სიმრავლით მოიპოვეს გამარჯვება.²¹

ასევე ძალიან საინტერესოა ბიზანტიელი გიორგი სფრანძქის ციფრები, რომელიც 1453 წლის კონსტანტინოპოლის ალყის მონაწილე არმიათა რაოდენობებს შეეხება. გიორგი სფრანძქი, რომელიც იმპერატორ კონსტანტინე IX უახლოესი თანამებრძოლი იყო, იძლევა ქალაქის დამცველი ბიზანტიური არმიის დოკუმენტურად ზუსტ რაოდენობას, 4773 მეომარს, ეს ციფრები მან პირადად მიიღო ქალაქის კვარტლების ხელმძღვანელების, დიმარხების ანგარიშებიდან მათ მიერ მობილიზებული მეომრების რაოდენობის შესახებ და შეჯამებული სახით წარუდგინა იმპერატორს.²² ამ, როგორც ჩანს, სავსებით რეალური ციფრის გვერდით, სფრანძქი ოსმალთა არმიას 258 ათასის (ხოლო მეორე ბიზანტიელი ავტორი დუკა 400 ათასის) ოდენობით საზღვრავდა, რითაც ხაზს უსვამდა მონინალმდევის კოლოსალურ უპირატესობას, რომელიც ოსმალებს, რასაკვირველია, ჰქონდათ, მაგრამ არა ასეთი შეფარდებით, მათი არმია კონსტანტინოპოლის ალყის დროს, სულ ცოტა ოთხჯერ ნაკლები სიდიდის იყო.²³ აბსოლუტურად იგივე ტენდენციას ამჟღავნებს შუა საუკუნეების თითქმის ყველა ცნობილი ავტორი, მაგალითად, ნიკიფორ ვრიენოსი, რომელიც წერდა, რომ გაზნევენიდების არმია 500 000-ს აღწევდა,²⁴ მათე ურჰაელი, რომლისთვისაც მუსლიმური არმიები თითქმის ყოველთვის ასეულ ათასობით მეომრისგან შედგებოდა, ხოლო კერბოგას არმიას ანტიოქიასთან, იგი მილიონ 100 000-ს ოდენობით უთითებდა, ისევე როგორც ილ-ლაზის არმიას დიდგორის ბრძოლაში, რომელსაც 560 000-თ საზღვრავდა.²⁵ ვალტერ გოტიე, რომლისთვისაც მისი უშუალო მტრის, ილ-ლაზის არმია, 600 000 მეომარი იყო²⁶ და ა.შ.

მონინალმდევთა არმიების სიდიდედ ასეულ ათასობით მეომრების მითითების ტენდენცია არც ქართული წერილობითი წყაროებისთვის იყო უცხო და იშვიათი მოვლენა. მაგალითად, მათიანე ქართლისას ანონიმი ავტორი ალფ-არსლანის არმიის სიდიდეს, ერთ შემთხვევაში 500 000-თ, ხოლო მეორე შემთხვევაში 700 000-თ მიუთითებდა.²⁷ მას არ „ჩამორჩებოდნენ“ არც თამარის ისტორიკოსები, რომელთათვისაც ბასიანის ბრძოლის მონაწილე რუმელ სელჯუკთა არმია ერთ შემთხვევაში 400 000,²⁸ ხოლო მეორე შემთხვევაში 800 000 იყო.²⁹

ძველ ავტორთა ქრონიკებში შუა საუკუნეების დროინდელი არმიების სიდიდეთა გრანდიოზული ციფრებით გადმოცემა, მთელი რიგი მიზეზებით იყო განპირობებული.³⁰ მაგალითად, ზოგ შემთხვევებში, ავტორებზე ზეგავლენას ახდენდა დიდი ქვეყნების (ბიზანტიის, სელჯუკთა იმპერიის, ხორეზმის და ა.შ.) ტერიტორიული მასშტაბები. მაგალითად, ლევ დიაკონი თვლიდა, რომ ბიზანტიის იმპერიას ნიკიფორ ფოკას იმპერატორობის დროს ჰყავდა 400 000-იანი არმია, თუმცა

კონკრეტული ბრძოლების აღწერისას ბიზანტიელ მეომართა რაოდენობას იგი ბევრად ნაკლებ სიდიდეებში მიუთითებდა.³¹ ასევე 400 000-თ საზღვრავდა მალიქ-შაჰის არმიას ქამალ ად-დინი,³² თუმცა მის მიერვე აღწერილ კონკრეტულ ბრძოლებში, როგორც სელჯუკთა, ასევე სხვათა არმიების შემადგენლობაში, შეუდარებლად ნაკლები ციფრები ფიგურირებენ,³³ მაგალითად, მას აღნიშნული აქვს, რომ როდესაც მალიქ-შაჰმა ალექსოს ემირად დანიშნა აკ-სუნკური, მას 4000 მეომარი დაუტოვა, რითაც მისი პოზიცია სირიაში ძალიან გაამყარა,³⁴ რასაკვირველია, როდესაც 4000 მეომარს მთელ რეგიონში ვითარების გამყარება შეუძლია, იქ არანაირ 400 000 მეომრის არსებობაზე საუბარიც კი არ შეიძლება. იგივე სურათია ან-ნასავის შემთხვევაშიც, რომლის მიხედვითაც, ხორეზმის სამხედრო დივანის რეესტრებში 400 000 მეომრის სახელი იყო შეტანილი,³⁵ მაგრამ როდესაც ის აღწერს მონღოლებთან დაწყებული ომის პირველ პერიოდს, სადაც ის ჩამოთვლის ხორეზმშაჰის მიერ მობილიზებულ და სხვადასხვა ქალაქებში განლაგებულ ხორეზმულ არმიებს (ოტარარში 20 000, შახრკენტში 10 000, ბუხარაში 30 000, სამარყანდში 40 000),³⁶ ასეთი ციფრი, თუნდაც სავარაუდო დამატებების შემთხვევაშიც კი, მაინც არაფრით გამოდის.

დიდი ხნის განმავლობაში, მთელ რიგ ისტორიულ კვლევებში, ძველ მემატია-ნეთა დასახელებულ ციფრების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება თითქმის არ იგრძნობოდა, განსაკუთრებული ნდობით კი, თვითმხილველთა მონაცემები სარგებლობდნენ, თუმცა თვითმხილველთათვის შეცდომის ალბათობა და ტენდენციურობის მოტივაცია ისეთივე მაღალი იყო, როგორც დროის დისტანციაზე მყოფებისთვის. არსებობდა უამრავი მიზეზი, რის გამოც თვითმხილველთა მონათხრობში ჩნდებოდნენ გაზვიადებული, ან სულაც გამოგონილი ციფრები.³⁷ ეს მიზეზები პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ სხვა მოტივაციის გვერდით, შეიძლება ყოფილიყო ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეები, მაგალითად, ბრძოლის მონაწილის მიერ განცდილი შიში დამარცხების დროს, ან ტრაბახის სურვილი გამარჯვების შემთხვევაში. უსამა იბნ-მუნკიზს აღწერილი აქვს შესანიშნავი ეპიზოდი, როდესაც მან 20-30 მხედრის თანხლებით მოაწყო სათარეშო რეიდი ჯვაროსნების დაუცველ ტერიტორიებზე და მოულოდნელად გადააწყდა მათ სამხედრო რაზმს, რომელიც 120 მეომრისგან შედგებოდა. მუსლიმთა რაზმიდან, რომელსაც განადგურება ელოდა, ბრძოლის დასაწყისშივე გაიქცა უსამას საჭურველმტვირთავი, რომელიც შეიზარში დაბრუნებისას მოყვა, რომ მათ მცირე რაზმს თავს დაესხა ათასი ჯვაროსანი და რომ თითქმის ყველა მეომარი ბრძოლაში დაიღუპა. უსამა, რომელიც ბუნებრივია, არ დალუპულა, იუმორით წერს ამ მეომრის მონათხრობსა და მის მიერ შიშისგან გაზვიადებულ ციფრებზე, მაგრამ მისი დალუპვის შემთხვევაში, ეს მონაყოლი შესაძლოა სინამდვილედ ყოფილიყო მიჩნეული და წერილობით წყაროებში ასახულიყო კიდევ, როგორც 20-30 მუსლიმი მეომრის გმირული ბრძოლა ათას ჯვაროსანთან.³⁸ რაც შეეხება „ტრაბახს“ და მოპოვებული გამარჯვების მნიშვნელობის გაზრდის ტენდენციას, ეს ციფრების გაზვიადების იმდენად გავრცელებული მოტივაცია იყო, რომ თითქმის ნებისმიერი ისტორიული ქრონიკის თანმხლებ ელემენტს წარმოადგენდა. მრავალრიცხოვანი მაგალითებიდან, ასეთი გაზვიადების ერთ-ერთი კლასიკური ნიმუშია, I ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერთა მიერ გაგზავნილი წერილები რომის პაპთან ანტიოქიისა და ასკალონის ბრძოლების შემდეგ, სადაც ისინი ატყობინებდნენ მას, რომ მათ მიერ განადგურებულ იქნა ასეულ ათასობით მუსლიმი მეომარი,³⁹ მაშინ როდესაც მათ წინააღმ-

დედ მებრძოლი ყველა მუსლიმური არმია, ერთად აღებულიც კი არ შეადგენდა არათუ რამდენიმე ასეულ, არამედ ერთ ასეულ ათასსაც კი.⁴⁰ თვითმხილველის მიერ ციფრების შეგნებული დამახინჯების აშკარა მაგალითია აგრეთვე, უოფრუა ვილარდრუენის მონათხრობი ჯვაროსნებისა და ბულგარეთის ომის ერთ-ერთი ეპიზოდის შესახებ, რომლის უშუალო მონაწილეც (როგორც ჯვაროსანთა ერთ-ერთი სარდალი) იგი თავად იყო. ვილარდრუენის მიხედვით, ბულგარეთის მეფე კალოიანმა, რომელსაც 80 ათასი მეომარი ჰყავდა, ალყა შემოარტყა ადრიანოპოლს, სადაც ჯვაროსანთა მცირერიცხოვანი გარნიზონი (სულ 20 რაინდი) იყო გამაგრებული, კონსტანტინოპოლის ლათინი იმპერატორის მიერ ჩატარებული მობილიზაციის შედეგად 400 რაინდის (ე.ი. სავარაუდოდ მაქსიმუმ 2 ათასი მეომარის) მოგროვება მოხერხდა. ვილარდრუენი აღნიშნავს, რომ ასეთი მცირე ძალით არც ერთი არმია არ გამოსულა ამდენად მრავალრიცხოვანი მონინალმდევის წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა კალოიანს ისე „შეეშინდა“ 400 ჯვაროსანი რაინდის, რომ გაიგო თუ არა მათი გამოჩენა, ქალაქს ალყა მოხსნა და თავისი 80 ათასი მეომრით ისე გაიქცა, რომ ხუთდღიანი დევნის მიუხედავად ჯვაროსნები მას ვერ დაენივნენ.⁴¹ რასაკვირველია, შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ 80 ათასიანი არმია შეიძლება 2 000 მეომარს გაექცეს და ქვეითების შემადგენლობითა და მძიმე აღალით დატვირთულმა ისეთი სისწრაფე განავითაროს, რომ ცხენოსანთა მცირერიცხოვანი რაზმი მას ხუთი დღის განმავლობაში ვერ დაენიოს. ასეთ სიტუაციას რეალობაში ადგილი არაფრით არ შეიძლებოდა ჰქონოდა და დიდი ფიქრი არ სჭირდება იმ დასკვნის გაკეთებას, რომ ვილარდრუენი ჯვაროსანთა რაოდენობას აშკარად ამცირებს, ხოლო ბულგარელებისას აზვიადებს.

შიშისა და „ტრაბახის“ გარდა არსებობდა ციფრების გაზვიადების უფრო სერიოზული მოტივებიც. ძალიან საინტერესო ნიმუშია, მაგალითად, ინგლისის მეფის, ედუარდ III-ს მიერ გაგზავნილი წერილი ინგლისის პარლამენტში 1340 წელს, ასწლიანი ომის დროს. ამ წერილით ინგლისის მეფე საკუთარ პარლამენტს სთხოვდა დამატებით ფინანსირებას ინგლისის მოკავშირე 100 000 ფლამანდრიელი მეომრისა და 50 000 სხვა მოქირავნისთვის, რომლებიც თანხების მიუღებლობის შემთხვევაში შეიძლება მონინალმდევის მხარეზე გადასულიყვნენ, რაც ინგლისისთვის სრული კატასტროფით დასრულდებოდა,⁴² სინამდვილეში, 150 000 მეომარს, არათუ ფლანდრიელები და მოქირავნეები, მათთან ერთად აღებული ინგლის-საფრანგეთის არმიებიც კი არ შეადგენდნენ⁴³ და მათი გაზვიადებით, ინგლისის მეფე სავსებით შეგნებულად ახდენდა კონკრეტული მიზნის, დამატებითი თანხების მიღების რეალიზებას. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენ მხედარმთავარს შეიძლებოდა ჰქონოდა მსგავსი მოტივაცია სხვადასხვა ქვეყნებში, რის გამოც ძალიან ხშირ შემთხვევებში, ისტორიულ ქრონიკებამდე იმ თვითმხილველთა ციფრები მიაღწევდა, რომლებიც თვით მათ მიერ იყო სავსებით გააზრებულად შეცვლილი.

შუა საუკუნეების ავტორთა ციფრების სანდოობისა და იმდროინდელი არმიების რეალური სიდიდეების შესახებ ისტორიოგრაფიაში უზარმაზარი ლიტერატურა არსებობს. ამ საკითხს, ჰანს დელბრიუკის შემდეგ მრავალი მკვლევარი შეეხო,⁴⁴ რომელთა ნაშრომებშიც შუა საუკუნეების ქრონიკების „საერთო ავადმყოფობის,“ არმიათა ციფრების გაზვიადების ტენდენციის არსებობა, რასაც სამხედრო ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ჯონ ვერბრუგენმა ისტორიოგრაფიის პრობლემა უწოდა,⁴⁵ არაერთხელ აღინიშნა. შუა საუკუნეების ციფრების გაზვიად-

დებული ხასიათი და მათი კრიტიკული შესწავლის აუცილებლობა, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში სავსებით გარკვეული და დასაბუთებულია, რის გამოც ამ ფაქტორის გათვალისწინება ნებისმიერი ისტორიული თემის კვლევისას, აუცილებლობას წარმოადგენს.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, შუა საუკუნეების სამხედრო ორგანიზაციის სისტემის სახიათსა და არმიების რიცხოვნობას, ფეოდალური ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი მრავალი სხვადასხვა ფაქტორი (მობილიზაციის სისტემა, ფეოდალური სეპარატუზმი, ტრანსპორტირების საშუალებები, უზრუნველყოფის პრობლემები და ა.შ.) განაპირობებდა. ეს ფაქტორები გარკვეულ ფარგლებში აქცევდა დიდი რაოდენობის მეომართა ერთ არმიად ორგანიზების შესაძლებლობას, რადგან ესა თუ ის მონარქი, თუ სხვა ფეოდალი, ვერ გაუკეთებდა მობილიზებას მეომართა იმაზე მეტ რაოდენობას, რისი გამოყვანაც მის მფლობელობაში არსებულ ფეოდალურ ერთეულებს შეეძლოთ. ერთდროულად ერთი მიმართულებით ვერ გადაადგილებდა იმაზე მეტ ადამიანს, ვიდრე ამის შესაძლებლობას არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა იძლეოდა. ბრძოლისა თუ მარშის დროს ვერ მართავდა იმაზე მეტ მეომარს, რისი მართვის შესაძლებლობას არსებული სასიგნალო-საკომუნიკაციო სისტემა მისცემდა და ვერ გამოკვებავდა და ვერ აღჭურავდა იმაზე მეტ ადამიანს, რისი უზრუნველყოფაც არსებული მომარაგების სისტემას შეეძლო. ყოველივე აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ქვეყანას რომც ჰქონოდა დიდი სამობილიზაციო შესაძლებლობები, როგორც მაგალითად, ბიზანტიის იმპერიას, რომლის მოსახლეობაც ორ ათეულ მილიონს აღწევდა,⁴⁶ ის მაინც ვერ მოახერხებდა იმაზე დიდი სავსე არმიის ფორმირებას, ვიდრე ეს არსებული სისტემებით (მობილიზაციით, გადაადგილების უნარით, საბრძოლო სეზონის ხანგრძლივობით, უზრუნველყოფით და ა.შ.) იყო შესაძლებელი. სწორედ ამ ფაქტორების შედეგი იყო, რომ იგივე ბიზანტიის იმპერია, რომლის შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა X-XI საუკუნეებში 120-150 ათასი მეომარი იყო,⁴⁷ ძალიან იშვიათად ახერხებდა ბრძოლის ველზე 20-25 ათასიანზე მეტი ოდენობის სავსე არმიის გამოყვანას, ძალიან ხშირად კი ბევრად მცირერიცხოვანი ძალებით ანარმოებდა სამხედრო კამპანიებს.⁴⁸ ამ მხრივ ძალიან საყურადღებო ცნობაა დაცული თემურ-ლენგის ძეგლისწერაში, რომლის მიხედვითაც თემურ-ლენგმა, რომელიც ემზადებოდა ერაყში სალაშქროდ, თავი მოუყარა 80 000 მეომარს, მაგრამ რადგან ამ რაოდენობის ერთ ადგილზე გამოკვება (და გადაადგილება) შეუძლებელი იყო, იგი იძულებული გახდა არმია სამ ნაწილად დაეყო და სხვადასხვა მიმართულებებით დაეძრა ერაყისკენ.⁴⁹

შუა საუკუნეების არმიათა რეალური მასშტაბების წარმოსადგენად საკმაოდ ნათელ სურათს იძლევიან IX—X საუკუნეების ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატები, რომელთა მიხედვითაც, მაგალითად, ბიზანტიის საიმპერატორო არმიის დადგენილი სიდიდე 24 200 მეომარი იყო,⁵⁰ და როგორც ჩანს, სწორედ ეს ციფრი (ზოგადი და არა არითმეტიკული მნიშვნელობით) წარმოადგენდა ისეთ სიდიდეს, რომელსაც ჩვენ შუა საუკუნეების დიდი არმია შეგვიძლია ვუნოდოთ. იმის გათვალისწინებით, რომ იმპერატორ ლევ ფოკას ტრაქტატი, 12 ათასიან არმიას სავსებით საკმარისად თვლიდა სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად,⁵¹ ხოლო ანონიმი ბიზანტიელი ავტორის სამხედრო ტრაქტატის **DE VELITATIONE BELLICA**-ს მიხედვით, იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების ვრცელი ტერიტორიების დასაცავად 5-6 000 მეომარი ასევე საკმარისი

იყო,⁵² შეიძლება საშუალო და მცირე არმიების ზოგადი მასშტაბებიც განვსაზღვროთ.

ამგვარად, ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატების მონაცემები, სხვა წერილობითი წყაროების მრავალრიცხოვან ცნობებთან ერთად, გვაძლევენ გარკვეულ ორიენტირს შუა საუკუნეების სავლეთ არმიების ერთგვარი სტანდარტიზაციის, რომლის მიხედვითაც 20 ათასზე მეტი მეომარი (20-30 ათასის ფარგლებში) დიდი არმიაა, 10 ათასიდან 20 ათასამდე, საშუალო, ხოლო 10 000-ს ქვემოთ, მცირე. ასეთი დაყოფის დიდი პირობითობის მიუხედავად, იგი სავსებით რეალურ, ეპოქის მასშტაბების ამსახველ სქემას უნდა წარმოადგენდეს, რაზედაც ბიზანტიური წყაროების გარდა, მთელი რიგი ის სხვა მონაცემებიც უნდა მიუთითებდეს, რომელთა ობიექტურობაც არავითარ ეჭვს არ იწვევს ისტორიულ კვლევებში. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია ის ფანტასტიკური, წარმოუდგენელი სირთულის სამხედრო რეიდი, რომელიც განახორციელეს მონღოლმა სარდლებმა ჯებემ და სუბუდაიმ 20 (თუ 30) ათასიანი არმიით. ამ რეიდის დროს, მონღოლებმა ორი წლის განმავლობაში დაფარეს 6 000 კილომეტრი და დაამარცხეს მთელი რიგი ქვეყნების არმიები ისე, რომ მათი შეჩერება ვერავინ შეძლო.⁵³ ამ თითქმის დაუჯერებელი სამხედრო ლაშქრობის განხორციელება, მხოლოდ დიდ, კარგად ორგანიზებულ და მართვად არმიას შეეძლო, და ის ფაქტი, რომ მონღოლმა მხედართმთავრებმა ამის გაკეთება 20 თუ 30 ათასიანი არმიით მოახერხეს, პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ეს სიდიდე ნამდვილად წარმოადგენდა „დიდი არმიის“ კატეგორიას და ამ რაოდენობით შესაძლებელი იყო თვით ყველაზე მასშტაბური სამხედრო ამოცანების შესრულება.

კარგ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს აგრეთვე ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობა, რომელიც 7-8 000 მეომრის (რიგ კვლევებში სახელდება 14 ათასიც) მეშვეობით განხორციელდა.⁵⁴ თუ ჩვენ გავითვალისწინებთ დაპყრობილი ტერიტორიის (ინგლისის) მასშტაბებს, აქ მოსახლე ანგლო-საქსური არისტოკრატის მიერ განეული წინააღმდეგობის ხარისხსა და მთლიანად, გიგანტური ტერიტორიების ოკუპაციის სირთულეებს, უნდა ჩავთვალოთ, რომ ლევ ფოკას თეზისი, „საშუალო სიდიდის არმიის“ (12 ათასის) სტრატეგიული დანიშნულების შესახებ, მთლიანად შუა საუკუნეების სამყაროსათვის იყო სავსებით სწორი ფორმულირება. სწორედ საშუალო სიდიდის არმიით (15 ათასამდე მეომრით) მოხდა ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობა 1204 წელს,⁵⁵ ასეთი მასშტაბის არმიებით განახორციელეს გრანდიოზული დაპყრობები არაბებმა VII-VIII საუკუნეებში,⁵⁶ ასეთივე საშუალო სიდიდის არმიით ცდილობდა იერუსალიმის უკან დაბრუნებას რიჩარდ ლომგული,⁵⁷ და ა.შ. მსგავსი მაგალითები უამრავია, რაც მონშობს იმას, რომ შუა საუკუნეების არმია 10-20 ათასი მეომრის შემადგენლობით, სავსებით საკმარისი ძალა იყო მასშტაბური ხასიათის როგორც შეტევითი, ასევე თავდაცვითი ამოცანების შესასრულებლად.

რაც შეეხება „მცირე არმიებს“ (10 ათასის ქვემოთ), ისინი შუასაუკუნეების სამხედრო კამპანიებში ყველაზე ხშირად ფიგურირებენ. წერილობით წყაროებში ვხვდებით უამრავ მითითებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა, როგორც აღმოსავლეთში ასევე დასავლეთში, სამხედრო მოქმედებებს, მათთვის სასიცოცხლო, სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას, სწორედ ამ მასშტაბის (10 000 მდე) არმიების მეშვეობით ცდილობდა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მეომართა ასეთი რაოდენობა, შუასაუკუნეებში სავლეთ არმი-

იათა ფორმირების ყველაზე გავრცელებულ მასშტაბს წარმოადგენდა. მაგალითად, ძირითადად ამ სიდიდის არმიები მონანილეობდნენ გვიანდელი ბიზანტიის იმპერიის მიერ წარმოებულ ომებში,⁵⁸ ისევე როგორც აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებსა⁵⁹ და ევროპულ სახელმწიფოებში (განსაკუთრებით კარგი მაგალითია ასნლიანი ომი),⁶⁰ რაც უნდა მოწმობდეს იმას, რომ 10 ათასამდე მეომრით დაკომპლექტებული არმიები შუა საუკუნეების ეპოქაში, შეიარაღებული ძალების ძირითად რაოდენობრივ სიდიდეს წარმოადგენდა, განსაკუთრებით კი ისეთ სახელმწიფო ერთეულებში, რომელთა ტერიტორიულ მასშტაბებსაც გრანდიოზულს ვერ მივაკუთვნებთ.

ამ რაოდენობის მეომრების მოგროვება, გადაადგილება, მართვა და უზრუნველყოფა, სავსებით შეესაბამება შუა საუკუნეების ფეოდალური სახელმწიფოების ბუნებასა და რესურსების მობილიზება-გამოყენების შესაძლებლობებს. ამ მხრივ კარგი მაგალითი უნდა იყოს ილ-ლაზის დროინდელი (1108-1122 წწ.) ართუკიდების საემირო, რომელიც საშუალო მასშტაბის სახელმწიფოს წარმოადგენდა და აერთიანებდა ისეთ ერთეულებს, როგორც იყო ალეპოს საემირო, მარდინის, ნისიბინის, დიარბაქირის, მაიაფარიკინის და ჯაზირას ოლქები.⁶¹ როგორც ტერიტორიის სიდიდით, ასევე მოსახლეობის რაოდენობითა და სიმჭიდროვით, ილ-ლაზის საემირო ერთ-ერთი მსხვილი ერთეული იყო XII საუკუნის სირიასა და ერაყში და სისტემატიურ ომებს აწარმოებდა ჯვაროსნებთან თუ სხვა მუსლიმურ ერთეულებთან, რის გამოც ილ-ლაზი გამუდმებით ახდენდა თავისი საემიროს ძალების მობილიზებას სავსე არმიის ფორმირებისთვის. 1115 წლისთვის, ვალტერ გოტიე ილ-ლაზის არმიის სიდიდეს დაახლოებით 5 000 მეომრის ფარგლებში მიუთითებდა,⁶² რაც მარდინის საემიროს რესურსებისთვის (ალეპოს გარეშე), ფეოდალური განვევის სისტემით შედგენილი არმიის ნორმალური მასშტაბი უნდა ყოფილიყო.⁶³ მაგრამ ისეთი აქტიური და აგრესიული ემირისთვის, როგორც ილ-ლაზი იყო, ეს საკმარისი არ იყო და იგი მეომართა რაოდენობის გაზრდას მომთაბარე თურქმენების სისტემატიური დაქირავების გზით ცდილობდა.⁶⁴ ამ გზით ილ-ლაზი პერიოდულად ახერხებდა დიდი არმიის ფორმირებას, მაგალითად, 1119 წლისთვის (უკვე ალეპოს ჩათვლით) მის განკარგულებაში 40 ათასამდე მეომარი იყო,⁶⁵ მაგრამ ილ-ლაზის მხოლოდ დროის ძალიან მცირე მონაკვეთში შეეძლო ასეთი სიმრავლის ერთად შეგროვება, რადგანაც მისი საემიროს ფინანსური შემოსავლები მოქირავნეთა ხელფასის სისტემატიურ გადახდას ვერ უზრუნველყოფდა.⁶⁶ ანუ როდესაც ილ-ლაზი ცდილობდა გადაეჭარბებინა საკუთარი შესაძლებლობებისთვის, იგი მხოლოდ ხანმოკლე დროით (მაქსიმუმ ორისამი თვით, ერთი სამხედრო კამპანიის მანძილზე) ახერხებდა დიდი არმიის მობილიზებას, რის გამოც ილ-ლაზის ამბიციური მიზნები, რაც მის ხელთ არსებული რესურსების მასშტაბებს აშკარად აღემატებოდა, ყოველთვის შეუსრულებელი რჩებოდა.⁶⁷

მიმოხილულის მიხედვით, შესაძლებელი უნდა იყოს შუა საუკუნეების არმიათა სიდიდეების ერთგვარი პირობითი „სტანდარტიზაცია“, რომლის მიხედვითაც 20-30 ათასიანი არმია „დიდი არმიის“, 10-20 ათასიანი „საშუალოს“, ხოლო 10 ათასიდან ქვემოთ, „ჩვეულებრივი“, სტანდარტული სიდიდის არმიად შეგვიძლია მივიჩნიოთ. დიდი არმიების ორგანიზება ფართო ტერიტორიების, მონესრიგებული სამხედრო ორგანიზაციის სისტემისა და განვითარებული ეკონომიკის მქონე

ქვეყნების პრეროგატივა იყო, ხოლო „საშუალო“ და „ჩვეულებრივი“ არმიების ორგანიზება, ფაქტიურად, ყველა ფეოდალურ სახელმწიფოს შეეძლო.

გარდა აღნიშნულისა, შესაძლებელია სავსე არმიათა კიდევ ერთი რაოდენობრივი კატეგორიის, „გრანდიოზული“ სიდიდის არმიების გამოყოფა, რომლის შემადგენლობაშიც 30-40 და ძალიან იშვიათ შემთხვევებში 50 ათასამდე მეომარი იყო გაერთიანებული. ამ სიდიდის არმიები შუა საუკუნეებისთვის დიდ იშვიათობას წარმოადგენდა და მათი ორგანიზება მხოლოდ ისეთ გიგანტურ სახელმწიფოებს შეეძლოთ, როგორც იყო დიდი სელჯუკების, ხორეზმის, მონღოლების, თემურ-ლენგისა და ოსმალების იმპერიები მათი სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში. 50 ათასზე მეტი მეომრის ერთდროულად მართვა, გადაადგილება და უზრუნველყოფა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რის გამოც ამაზე დიდი სავსე არმიების ფორმირება შუასაუკუნეებში არ ხდებოდა. აღნიშნული გარემოება კარგად უნდა ჩანდეს თემურ-ლენგის (უკვე აღნიშნულ) მაგალითზე, რომელმაც ერაცში სალაშქროდ შეკრებილი 80 ათასიანი არმია მართვისა და უზრუნველყოფის სირთულეების გამო სამ ნაწილად გაყო და სამი სხვადასხვა მიმართულებით დაიწყო ლაშქრობა.⁶⁸ ანალოგიურად იქცეოდნენ მონღოლებიც, რომელთა შეიარაღებული ძალა, რომელიც მთლიანობაში 300 ათას მეომარს არ აჭარბებდა,⁶⁹ განაწილებული იყო სამ მთავარ მიმართულებაზე (ჩინეთი, ვოლგისპირეთ-რუსეთი და ირანი-ამიერკავკასია-ანატოლია), სადაც მონღოლთა ცალკეული მასშტაბური სამხედრო კამპანიები, ძირითადად ორი-სამი ტუმენის (20-30 ათასი მეომარი) ძალებით ტარდებოდა.⁷⁰

შუა საუკუნეების არმიათა „გრანდიოზული“ (30-50 ათასი), „დიდი“ (20-30 ათასი), „საშუალო (10-20 ათასი)“ და „ჩვეულებრივი (5-10 ათასი)“ სიდიდის არმიებზე დაყოფა, რასაკვირველია, პირობითი სქემაა, მაგრამ წერილობითი წყაროების ფანტასტიკურ მონაცემებთან მიმართებაში გამოსაყენებლად ყოვლად აუცილებელი. მისი მეშვეობით შესაძლებელია დაახლოებითი წარმოდგენების შექმნა იმის შესახებ, თუ რა ძალებისთვის შეეძლო მოეყარა თავი ამა თუ იმ სახელმწიფოს. გარდა ამისა, ეს სქემა ნათლად აჩვენებს, თუ რა რაოდენობებს ადარებდნენ შუასაუკუნეთა ავტორები თავის „მხატვრულ პასაჟებში“ ცაში ვარსკვლავებს, ზღვაში ქვიშის მარცვლებს, ხოლო მინაზე კალიებსა და ჭიანჭველებს.

სტრუქტურა

შუა საუკუნეების ფეოდალური არმიის ორგანიზაციული სტრუქტურა დაფუძნებული იყო ფეოდალური სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპზე, არმიის განწვევა ხდებოდა იმ არსებული ერთეულების (ევროპული საგრაფო, ბიზანტიური ფემა, ქართული საერისთაო და ა.შ.) მიხედვით, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ და სამეფო კარის მიერ დანიშნული მოხელეების მიერ იმართებოდნენ. ასეთი ოლქების უმთავრესი დანიშნულება, სისტემური მობილიზაციის ჩატარება იყო, რითაც ისინი, პირველ ყოვლისა, სამხედრო ორგანიზაციის ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ და უზრუნველყოფდნენ არმიის შეკრებას დადგენილ დროში.

ფეოდალურ სახელმწიფოებში ერთი სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქიდან გამოსაყვანი მეომრების მკაცრად დადგენილი ციფრები თითქმის არ არსებობდა, რასაც ძირითადად ის ვითარება განაპირობებდა, რომ ასეთი ერთეულები სხვა-

დასხვა სიდიდის ტერიტორიებს მოიცავდა, რაც მათში შემავალი ფეოდალური სამფლობელოებისა და გასაწვევი კონტიგენტის რაოდენობების არათანაბარ განაწილებას იწვევდა. მაგალითად, ბიზანტიურ თემებს მობილიზაციის დროს დაახლოებით 4 ათასი მეომარი გამოჰყავდათ, მაგრამ ეს არ იყო მყარად დადგენილი ციფრი და ეს რაოდენობა სხვადასხვა ფემებში შეიძლება მეტი, ან ნაკლები ყოფილიყო. მსგავსი სურათი უნდა ყოფილიყო საქართველოშიც, სადაც სხვადასხვა სიდიდის საერისთაოებში მოგროვილ მეომართა რაოდენობა ერთმანეთისგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. მაგალითად, სავარაუდოა, რომ ქართლის საერისთაოს უფრო დიდი სამობილიზაციო რესურსი ეყოლებოდა, ვიდრე სხვას, და ეს გარემოება არმიის შეკრების დროს, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მეომართა არათანაბარ თავმოყრას გამოიწვევდა, რაც თავის მხრივ, არმიის მართვისა და ტაქტიკური ამოცანების შესრულებისას, უდავოდ მრავალ პრობლემას შექმნიდა. ბუნებრივია, რომ სწორი სამხედრო ორგანიზაციის არსებობის პირობებში, ეს განსხვავებები მეტ-ნაკლებად უნდა გაათანაბრებულიყო და ამას საკმაოდ ხშირად ვხედავთ როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების) შემთხვევაში. რომ არმია ბრძოლის ველზე ადმინისტრაციული ერთეულების, საერისთაოების მიხედვით ეწყობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ტაქტიკურ დასაყუფებასც წარმოადგენდნენ. მაგალითად, ჟამთააღმწერელის მიხედვით განძის ალყის დროს, „ერთ კერძ მხარგრძელნი იდგნენ, ერთ კერძ ჰერ-კახნი და სომხითარნი, ქართველნი და თორელნი, ერთ კერძ აფხაზნი, დადიან-ბედიანნი და ლიხთიქითნი,“¹⁵³ ასეთი დისპოზიცია საერისთაოებს შორის მეომართა დიდი რაოდენობრივი განსხვავებების შემთხვევაში, საბრძოლო პოზიციებს შორის მკვეთრ დისბალანსს შექმნიდა და ბრძოლის მართვაში მრავალ გართულებას გამოიწვევდა.

მსხვილი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების სხვადასხვა სიდიდის ადმინისტრაციულ-ტაქტიკურ დანაყოფებად დაშლა, რასაც შუა საუკუნეების ეპოქის ნებისმიერი არმიის მაგალითზე ვხედავთ.

სავსებით ბუნებრივია, რომ რაც უფრო განვითარებული სამხედრო ორგანიზაცია გააჩნდა რომელიმე ქვეყანას, მით უფრო სრულყოფილ სამხედრო სტრუქტურას ქმნიდა იგი. მოქნილი სამხედრო სტრუქტურა ნიშნავდა არმიის ეფექტურ მართვას, სხვადასხვა სირთულის ტაქტიკური ამოცანების უფრო სრულყოფილად შესრულებას და საბოლოო ჯამში, მაღალ ბრძოლისუნარიანობას, რისი საუკეთესო ილუსტრაციაც, მაგალითად, მონღოლური არმიაა, რომელიც შედგებოდა დუმანებისგან (10 000 მეომარი), ათასეულებისგან (1000 მეომარი), ასეულებისა (100 მეომარი) და ათეულებისგან (10 მეომარი).² ასეთი დანაწილება დიდი არმიის ერთ ორგანიზმად მართვის შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ ეს შედეგი მხოლოდ მექანიკური დაყოფით ვერ მიიღწეოდა, საჭირო იყო ოფიცერთა კორპუსის ფორმირება, დისციპლინა, ბრძანებათა გადაცემის სისტემა და ა.შ.

ტერიტორიული მონყობა.

ქართული ასეულები.

სომხური ათეული ორი ტრაქტატი. გვ. 125.

ვესტგოთების სამხედრო ორგანიზაცია.

საბრძოლო საშუალებები

შუა საუკუნეების მეომრების შეიარაღება ხელჩართული და დისტანციური ბრძოლების სანარმოებელი სხვადასხვა სახეობების იარაღისგან, თავდაცვითი აღჭურვილობისა და საბრძოლო მანქანებისგან შედგებოდა. ბრძოლებში აგრეთვე იყენებდნენ საინჟინრო კონსტრუქციებს, რიგი სპეციფიკური იარაღის სახეობებს და ცეცხლგამჩენი ნივთიერებების ნაერთებს. შეიარაღების მრავალფეროვნება და ხარისხი მნიშვნელოვნად განაპირობებდა სამხედრო წარმატების ფაქტორს, რის გამოც არმიის სრულფასოვან აღჭურვას მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ხშირად ბრძოლების ბედსაც წყვეტდა. მაგალითად, უკვე იყო აღნიშნული ნიკიტა ხონიატის ცნობა, რომლის მიხედვითაც ბიზანტიელებმა სავეს ბრძოლაში უნგრელები მას შემდეგ დაამარცხეს, რაც ამ უკანასკნელებს შუბები და მახვილები დაემტვრა.¹ ასევე შეიარაღების ხარისხმა და მრავალფეროვნებამ განაპირობა მანციკერტის ალყის შედეგი 1054 წელს, როდესაც სელჯუკებმა ააგეს განსაკუთრებით დიდი ზომის საალყო მანქანა, რომლის ნასროლ ქვებსაც ქალაქის კედლები დიდხანს ვერ გაუძლებდნენ. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, ქალაქის დამცველებმა დაამზადეს სროლის მაღალი სიზუსტის მქონე კატაპულტა, რომლის მეშვეობითაც საალყო მანქანა დააზიანეს, ხოლო მისი გარემონტების შემდეგ ცეცხლგამჩენი ნივთიერებით დაწვეს.² შეიარაღების ხარისხისა და მრავალფეროვნების სასიცოცხლო აუცილებლობა აიძულებდა ყველა სახელმწიფოს, რომ ეზრუნათ იარაღის წარმოებაზე, ან მის შექმნაზე, რის შედეგადაც სხვადასხვა ქვეყნებში გაჩნდა განთქმული საიარაღო ცენტრები,³ რომლებშიც დამზადებულ იარაღზეც დიდი მოთხოვნილება იყო, რის გამოც იარაღით საერთაშორისო ვაჭრობა უკვე შუასაუკუნეებში გადაიქცა ერთ-ერთ სარფიან და გავრცელებულ კომერციულ საქმიანობად.⁴ იარაღით ვაჭრობა ხელს უწყობდა სხვადასხვა სახეობის საბრძოლო საშუალებებისა და მათთან ერთად ბრძოლის წარმოების ახალი მეთოდების გავრცელებას დიდ გეოგრაფიულ არეალებზე. იგივე ეფექტი ჰქონდა ომების წარმოებას სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, რომლის დროსაც სწრაფად ხდებოდა იარაღის ახალი სახეობებისა თუ ბრძოლის წარმოების მეთოდების ათვისება.

ხელჩართული ბრძოლის სანარმოებელი იარაღი

ხელჩართული ბრძოლების სანარმოებლად ყველაზე გავრცელებულ საბრძოლო სახეობებს შუბი და მახვილი წარმოადგენდა. შუბი იყო საძვერებელი იარაღი, რომელსაც კონსტრუქციის სიმარტივის (ხის ტარზე წამოცმული ლითონის წვერი) მიუხედავად, მრავალმხრივი დანიშნულება და ფუნქციები გააჩნდა. შუბი მძიმე ცხენოსნის შეიარაღების აუცილებელი კომპონენტი იყო, სადაც მისი ძირითადი დანიშნულება შეტევითი ფუნქციის შესრულება და მონინააღმდეგის მჭიდრო ნყოფის გარღვევა იყო, მძიმე ცხენოსნის შუბი დაახლოებით 2-2,5 მეტრი სიგრძის, მყარი ხის მასალით დამზადებული საბრძოლო იარაღი იყო, ტარის სიმყარე შუბის აუცილებელი პირობა იყო, მას უნდა გაეძლო დიდი დარტყმისთვის და ადვილად არ დამსხვრეულიყო, რის გამოც ტარს სპეციალური ჯიშის ხეებისგან ამზადებდნენ. ქვეითი მეომრის შეიარაღებაში შუბი უფრო თავდაცვითი იარაღის ფუნქციებს ასრულებდა, ვიდრე შეტევითის, ქვეით მეომართან მისი ძირითადი დანიშნულება იყო ცხენოსნების შეტევის მოგერიება, სამარშო კოლონების დაცვა და სხვა მსგავსი

ფუნქციების შესრულება.⁵ შუბის გვერდით, შუასაუკუნეებში ფართოდ გამოიყენებოდა ამ ტიპის იარაღის მრავალი სხვადასხვა ქვესახეობები, მაგალითად, ალუბარდები, კორსეკები, აფთები და ა.შ. რომელთაც ჰქონდათ უფრო ფართო (ცელისებრი, ნაჯახისებრი და ა.შ.) პირი, რითაც იარაღის ეს ტიპი დამატებით საჩეხ ფუნქციასაც იძენდა, მაგრამ ამით მისი მთავარი დანიშნულება არ იცვლებოდა.⁶

შუბის მსგავსი უნივერსალური დანიშნულება გააჩნდა მახვილსაც, რომელიც საჩეხი იარაღის ძირითად სახეობას წარმოადგენდა. მახვილი გამოიყენებოდა როგორც შეტევით, ასევე თავდაცვითი ბრძოლების დროს. მახვილები იყო სხვადასხვა ზომისა და ფორმის,⁷ თუმცა არსებობდა ორი ძირითადი ტიპი: სწორპირა-ორპირლესული, და ცალპირა-მოხრილპირიანი მახვილები. ორპირლესული მახვილი, რომელიც თავის მხრივ ფორმის უამრავ ვარიანტს მოიცავდა, მძიმე შეიარაღების კომპონენტს წარმოადგენდა. იგი შედიოდა როგორც მძიმედ აღჭურვილი ცხენოსნის, ასევე ქვეითი მეომრის შეიარაღებაში და შუბების შემდეგ ხელჩართული ბრძოლის საწარმოებელ ძირითად საბრძოლო საშუალებას წარმოადგენდა. რაც შეეხება ცალპირა, მოხრილ მახვილებს, ის ძირითადად მსუბუქი ცხენოსნების (მოისრეების) შეიარაღების ნაწილი იყო და როგორც მსუბუქი, მობილური შეიარაღების კომპონენტი, ძირითადად აღმოსავლურ (მომთაბარულ) არმიებში გამოიყენებოდა.⁸ მახვილების ეფექტურობა დამოკიდებული იყო ლითონის ხარისხსა და დამზადების ტექნოლოგიაზე, შუასაუკუნეებში, მაგალითად, ამ ტიპის იარაღის დასამზადებელი ცნობილი ცენტრები იყო დამასკოსა და ტოლედოში.⁹ საჩეხი იარაღის ფუნქციით მახვილების გვერდით ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე საბრძოლო ცულები, რომელსაც უპირატესად ქვეითი მეომრები იყენებდნენ. მაგალითად, შუა საუკუნეების ყველაზე ცნობილი სამხედრო ქვედანაყოფი, რომლის ძირითად საომარ საშუალებასაც საბრძოლო ცული წარმოადგენდა, იყო ვარანგების გვარდია.¹⁰ ხელჩართული ბრძოლის საწარმოებლად, ასევე ფართოდ გავრცელებული იარაღი იყო ლახტი, რომელიც სახეთქი იარაღის ტიპს წარმოადგენდა და შედიოდა როგორც ცხენოსანი, ასევე ქვეითი მეომრების შეიარაღებაში. სხვადასხვა ფორმის მქონე ლახტები ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ არმიებში,¹¹ მათ შორის საქართველოშიც, სადაც ის წერილობით წყაროებში ხშირად იხსენიება.¹²

დისტანციური ბრძოლის საწარმოებელი იარაღი

შუასაუკუნეებში დისტანციური ბრძოლის საწარმოებელ ძირითად საბრძოლო სახეობებს მშვილდ-ისარი, არბალეტი, ხელშუბი და შურდული წარმოადგენდა. ეს იარაღები საშუალებას აძლევდა შუა საუკუნეების მეომრებს ეწარმოებინათ ბრძოლა 150-200 მეტრამდე რადიუსში, თუმცა რეალურად ეფექტური დისტანცია 30-100 მეტრი იყო. დასახლებული საბრძოლო საშუალებებიდან ყველაზე შორსმსროლელს მშვილდ-ისარი წარმოადგენდა, რომელიც კონსტრუქციის სიმარტივის მიუხედავად, სხვადასხვა ქვეყნებში დიდ მრავალფეროვნებას ამჟღავნებდა. არსებობდა ე.წ. თურქული, მონღოლური, ინგლისური და სხვა სახეობის მშვილდები, რომლებიც (გარდა ინგლისურისა) შეიძლება ყოფილიყო „მარტივი“ და „შედგენილი“ ტიპის,¹³ დეტალების სხვადასხვა ვარიაციით. ყველაზე შორსმსროლელს თურქული შედგენილი მშვილდები წარმოადგენდა, რომელთა სარეკორდო მაჩვენებლებიც 500-800 მეტრზე აღიოდა,¹⁴ მაგრამ ეს ამ იარაღის „სპორტული“ მაჩვენებელი იყო და არა

საბრძოლო. თურქული და მონღოლური მშვილდების რეალური საბრძოლო დისტანცია 200 მეტრს უახლოვდებოდა, თუმცა მაქსიმალურ სიზუსტეს ისინი 80-100 მეტრის დისტანციაზე აღწევდნენ.¹⁵ ამ მშვილდების უპირატესობა სწრაფი სროლის უნარი იყო, კვალიფიციური მსროლელი (როგორც წესი, მომთაბარე მეომარი) ნუთმი 12 ისრის გაშვებას ახერხებდა¹⁶ და სწორედ ეს იყო ის ფაქტორი, რომლის წყალობითაც მომთაბარული არმიები აღწევდნენ უაღრესად მაღალ შედეგიანობას ფეოდალურ არმიებთან ბრძოლაში. რაც შეეხება ინგლისურ მშვილდს, მას მხოლოდ ინგლისური არმიები იყენებდნენ, მშვილდის ეს ტიპი დიდი ზომითა და დარტყმის ძალით გამოირჩეოდა, როგორც წესი, მისი (მშვილდის ტარის) სიგრძე ადამიანის სიმაღლეს აჭარბებდა და 100-150 მეტრის დისტანციაზე ყველაზე მყარი ჯავშანიც კი შეეძლო გაეხვრიტა. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ მშვილდს ფართო გავრცელება არ მიუღია, სამხედრო საქმის განვითარებზე მან მაინც ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა.¹⁷

როგორც ეს ფრესკებსა და მინიატურებზე შემონახული გამოსახულებებიდან ჩანს, საქართველოში როგორც მარტივი, ასევე ე.წ. შედგენილი მშვილდები უნდა ყოფილიყო გავრცელებული,¹⁸ რომელიც (როგორც იყო აღნიშნული) დისტანციური იარაღის უაღრესად ეფექტურ სახეობას წარმოადგენდა. მსგავს იარაღს იყენებდნენ ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებიც, მაგალითად, იოანე დრასხანაკერტელი უთითებს "ფართო უბიან" მშვილდს, რომელიც ეჭვს გარეშე შედგენილი მშვილდის ტიპს წარმოადგენდა.¹⁹

მშვილდებზე არანაკლებ ეფექტური იარაღი იყო არბალეტი, რომელიც სიზუსტითა და დარტყმის ძალით ნებისმიერ მშვილდს აღემატებოდა,²⁰ რის გამოც იგი განსაკუთრებით სასტიკი იარაღის სახეობად ითვლებოდა და რამდენჯერმე აიკრძალა კიდეც.²¹ არბალეტის ნაკლს წარმოადგენდა დაბალი სროლის სისწრაფე, მის „დატენვას“ თითქმის ერთი წუთი სჭირდებოდა, რის გამოც არბალეტი ბევრად ეფექტურად გამოიყენებოდა სიმაგრეთა დაცვის დროს, ვიდრე ღია ბრძოლებში.²² არბალეტი უპირატესად ევროპული არმიების იარაღი იყო და აღმოსავლური არმიები მას, თავდაპირველად არ იცნობდნენ, ხოლო შემდეგ, როგორც არამოხილურ საბრძოლო საშუალებას, ნაკლებად იყენებდნენ, თუმცა არბალეტის აღმოსავლურ არმიებში გამოყენების შემთხვევები იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება.²³

რაც შეეხება ხელშუბებს, რომელიც თავის დროზე (მაგალითად, რომაულ სამხედრო ხელოვნებაში) ფართოდ გავრცელებულ იარაღს წარმოადგენდა, შუასაუკუნეებში თავისი მნიშვნელობა აშკარად დაკარგული ჰქონდა, მაგრამ მთაგორიან ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც), სადაც მისი გამოყენება ჩასაფრებით ბრძოლებში მაღალი ეფექტურობით იყო შესაძლებელი, შეიარაღების კომპლექტში საკმაოდ დიდხანს რჩებოდა.²⁴

ხელშუბთან შედარებით ბევრად გავრცელებულ დისტანციური იარაღის სახეობას წარმოადგენდა შურდული, რომლის სამშობლოსაც ვეგეციუსის მიხედვით, ბალეარის კუნძულები წარმოადგენდნენ.²⁵ შურდული საკმაოდ ეფექტური იარაღი იყო ყველა სახის ბრძოლაში და როგორც ეს ჩანს წერილობითი წყაროების მრავალრიცხოვანი ცნობებიდან, მას შუა საუკუნეების არმიები საკმაოდ ხშირად იყენებდნენ. მაგალითად, შურდულს არაერთხელ იხსენიებს იოანე დრასხანაკერტელი,²⁶ ისტორიკოსი და აზმანის ანონიმი ავტორი,²⁷ იგი ჩანს ჯვაროსნული არმიების შეიარაღებაში.²⁸ შურდული იხსენიება კონსტანტინოპოლის დაცვის დროსაც 1453 წელს, იგი შედიოდა ქალაქის დამცველთა შეიარაღებაში,²⁹ რაც იმას ნიშნავს, რომ იარაღის ამ სახეობამ ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენამდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა.

შეტევეთი იარაღის მრავალფეროვნება თავისთავად განაპირობებდა თავდაცვითი აღჭურვილობის გამოყენების აუცილებლობას. შუა საუკუნეების მეომრები დისტანციური თუ ხელჩართული ბრძოლების დროს თავს იცავდნენ თავდაცვითი აღჭურვილობის კომპლექტით, რომლის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტსაც ფარი წარმოადგენდა. საბრძოლო იარაღების მსგავსად, ფარები ფორმათა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ, გამოიყენებოდა როგორც დიდი, თითქმის სხეულის თანაბარი, ასევე მცირე ზომის ფარები, რომელთაც მხოლოდ მკლავი შეეძლოთ დაეფარათ. ფარის ფორმები იყო მრგვალი, ოვალური, ნახევრად ოვალური, სამკუთხა, რომბისებური და ა.შ. ისინი მზადდებოდა ხისგან და ზედ ეკვრებოდა ლითონის ფირფიტები, რომ შუბისა და მახვილის დარტყმებისთვის გაეძლო. არც თუ იშვიათი იყო ხისა და ტყავის კომბინაციით დამზადებული ფარები, რომელიც უპირატესად მსუბუქი ცხენოსნების შეიარაღებაში შედიოდა და ისრებისგან თავის დასაცავად იყო განკუთვნილი.³⁰ შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული ფარები ძირითად სამკუთხა, მრგვალ და ოვალურ ფორმებს ატარებდნენ, ისინი გვხვდება როგორც დიდი, ასევე მცირე ზომების.³¹

თავდაცვითი საჭურველის მეორე უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა მუზარადი, რომელიც მეომრის თავს და კისერს იცავდა გამჩეხი დარტყმისა და ისრისგან. მუზარადები, რომლებიც ასევე მრავალფეროვანი ფორმის იყო,³² ძირითადად ლითონისგან მზადდებოდა, თუმცა აღმოსავლურ არმიებში მსუბუქი ცხენოსნებისთვის იყენებდნენ ტყავის მუზარადებსაც.³³ მუზარადის თავისებურებას წარმოადგენდა ის ფაქტორი, რომ ის წინიდან გახსნილი უნდა ყოფილიყო და მეომრის მხედველობის არეალი არ შეეზღუდა, ეს კი სახეს დაუცველს ტოვებდა. როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში, ამ პრობლემის გადაჭრას სხვადასხვაგვარად ცდილობდნენ, დასავლეთში უპირატესად მასიურ მუზარადებს ამზადებდნენ წინა მოძრავი ნაწილით (ზარადით-защитой), რომელზედაც მხედველობისთვის ვიწრო ღარები იყო დატოვილი, ასეთი მუზარადი სახეს საიმედოდ იცავდა, მაგრამ მხედველობის არეს ზღუდავდა. აღმოსავლეთში მუზარადის ღია მხარეს ძირითადად ნაქსოვი ჯაჭვით ავსებდნენ, რაც საჭურველის ამ ტიპის უფრო მობილურ ფორმას წარმოადგენდა, თუმცა მასიური, ე.წ. ნილბიანი მუზარადები, აქაც მზადდებოდა და ფართოდ გამოიყენებოდა.³⁴ საქართველოში გავრცელებული უნდა ყოფილიყო ე.წ. „კონუსისებური“ მუზარადის ტიპი, რომელიც შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა.³⁵

თავდაცვითი საჭურველის უმთავრესი ელემენტი იყო ჯავშანი,³⁶ რომელიც მეომრის ტანს, პირველ რიგში კი, გულ-მკერდის არეს იცავდა. ჯავშანი მზადდებოდა როგორც ტყავის, ასევე ლითონის მასალისგან, ტყავის გამოყენება უფრო შუა საუკუნეების ადრეული პერიოდებისთვის იყო დამახასიათებელი, მოგვიანებით კი, შემტევი იარაღის განვითარების პარალელურად, მის დასამზადებლად ძირითადად ლითონის გამოყენება დაიწყო, თუმცა რიგ აღმოსავლურ, ძირითადად მომთაბარულ არმიებში, ტყავის საჭურველი შუა საუკუნეების ბოლომდე რჩებოდა ხმარებაში.³⁷ ლითონის საჭურველის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა ჯაჭვის პერანგი, რომელიც შედგენილი იყო ერთმანეთს გადაბმული („მოქსოვილი“) რკინის პატარა რგოლებისგან. ჯაჭვის პერანგი შეიძლება ყოფილიყო გრძელი და მოკლე, გრძელი პერანგი ფარავდა გულმკერდს და ჩადიოდა მუხლებამდე, მოკლე კი ფარავდა მხოლოდ

ტანის ზედა ნაწილს.³⁸ მეორე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა ფირფიტოვანი (ე.წ. „ლამელარული“) ჯავშანი, რომელიც შედგენილი იყო ტყავზე (ან სხვა მყარ ქსოვილზე) დაკერებული და ერთმანეთს გადაბმული ლითონის (უპირატესად რკინის) პატარა ფირფიტებისგან, ისიც (მსგავსად ჯაჭვის პერანგისა) შეიძლებოდა ყოფილიყო გრძელი და მოკლე.³⁹ როგორც ჯაჭვის პერანგი, ასევე ფირფიტოვანი ჯავშანი შეიძლებოდა ყოფილიყო გაძლიერებული ლითონის მოზრდილი, მასიური ფირფიტებით, რომელიც, როგორც წესი, გულ-მკერდის არეში ემატებოდა. თავდაცვითი საჭურვლის მესამე ძირითადი ტიპი იყო, მასიური, ე.წ. რაინდული ჯავშანი, რომელიც გავრცელებული იყო XIV-XV საუკუნეების დასავლეთ ევროპაში.⁴⁰ რაინდული ჯავშანი მთლიანად მასიური ლითონის ფირფიტებისგან იყო დამზადებული და მთელ სხეულს ფარავდა და დაცვის საიმედო საშუალებას წარმოადგენდა, თუმცა ზღუდავდა მობილურობას.⁴¹ საქართველოში მეომრების აღსაჭურვად ჯაჭვის პერანგსა და ფირფიტოვან („ლამელარულ“) ჯავშანს ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდებიდან იყენებდნენ,⁴² შუასაუკუნეებში კი ჯავშნის ეს ტიპები ნამყვან ფორმებს წარმოადგენდნენ.⁴³

შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებისთვის ასევე დამახასიათებელი იყო ცხენის შეჯავშნის ტრადიცია, რაც ბრძოლის წარმოების მეთოდებში მძიმე ცხენოსანი რაზმების მალალი მნიშვნელობით იყო განპირობებული.⁴⁴ ცხენის ჯავშნის დასამზადებლად გამოიყენებოდა როგორც ტყავი და სხვა მყარი ქსოვილები, ასევე ლითონიც, ცხენი, პირველ რიგში, დაცული იყო კისრისა და გულ-მკერდის არეში, შედარებით იშვიათი იყო მთელი ტანის ჯავშნით დაფარვა, თუმცა ცალკეულ (ბიზანტიურ, მონღოლურ, დასავლეთ ევროპულ და ა.შ.) არმიებში მაინც იყენებდნენ.⁴⁵ ცხენის შეჯავშნის ტრადიცია გაჩნდა აღმოსავლურ არმიებში და აქედან გავრცელდა დანარჩენ სამყაროში,⁴⁶ იგი ცნობილი იყო საქართველოშიც, მაგალითად, მიხეილ ატალიატის მიხედვით აბაზგები ცხენებს ჯავშნით ფარავდნენ, რაც ამ დროისთვის საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში მძიმე ცხენოსნების არსებობას მიუთითებს,⁴⁷ შეჯავშნული (თოროსანი) ცხენი საკმაოდ ხშირად იხსენიება ქართულ წერილობით წყაროებშიც.⁴⁸

მძიმე და მსუბუქი შეიარაღება

შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებაში ინდივიდუალური შეიარაღების ხასიათი განაპირობებდა მეომართა ორი ძირითადი კატეგორიის, მძიმედ და მსუბუქად შეიარაღებული მეომრების არსებობას და გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდა იმდროინდელი ომების ხასიათზე, ბრძოლის წარმოების მეთოდებსა და სამხედრო ორგანიზაციის სოციალურ შემადგენლობაზე.

მძიმედ შეიარაღებული მეომარი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ცხენოსანი, ასევე ქვეითი, აქედან ნამყვან სახეობას ცხენოსნები წარმოადგენდნენ. მძიმე ცხენოსნის შეიარაღება, როგორც წესი, შედგებოდა დამცავი საჭურვლის სრული კომპლექტისა (ფარი, მუზარადი, ჯავშანი) და მძიმე შეტევითი საბრძოლო იარაღებისგან (შუბი, ორპირა მახვილი, საბრძოლო ცული ან ლახტი). ძალიან ხშირად, ამ კატეგორიის მეომრების ცხენებიც შეჯავშნულები იყვნენ, რაც მკვეთრად ამაღლებდა მათ ინდივიდუალურ უსაფრთხოებას და ზრდიდა შეტევის უნარს.⁴⁹ მძიმე ცხენოსნების უმთავრესი ტაქტიკური დანიშნულება იყო მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობის გარღვევა და დაშლა, დასავლურ არმიებში ამ ფუნქციას რაინდები ასრულებდნენ,⁵⁰ ბიზანტიურში კატაფრაქტარიები,⁵¹ ხოლო აღმოსავლურში გულიამებისა და მამლუქების

მსგავსი ცხენოსანი რაზმები.⁵² საქართველოს არმიაში ამ ფუნქციას, როგორც ჩანს, აზნაურთა ის ზედა ფენა ასრულებდა, რომლისთვისაც მძიმე შეიარაღების კომპლექტის შექმნა ხელმისაწვდომი იქნებოდა,⁵³ მაგალითად, სწორედ ასე („მძიმედ“) იყო შეიარაღებული ლიპარიტ ბალვაში 1049 წელს სელჯუკების წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც სტეფანოზ ორბელიანის მიხედვით, მას ეხურა მუზარადი, ჰქონდა ფარი, ორპირა მახვილი და საბრძოლო ნაჯახი,⁵⁴ თავისთავად იგულისხმება, რომ ლიპარიტს ჯავშანიც ეცმეოდა. ასეთი შეიარაღების შექმნა (გარდა გულიამებისა და მამლუქებისა, რომელთაც როგორც მონა-მეომრებს, პატრონები უზრუნველყოფდნენ⁵⁵), ბუნებრივია, ცოტას შეეძლო, ამიტომ მძიმედ შეიარაღებული მეომრები შუა საუკუნეების ნებისმიერ არმიაში ელიტარულ სამხედრო რაზმებს არა მარტო შეიარაღების ხასიათით, არამედ სოციალური მდგომარეობითაც წარმოადგენდნენ. მძიმე ცხენოსნის შეიარაღება საკმაოდ „მძიმე“ იყო, მაგალითად, XI საუკუნის დასავლეთ ევროპელი რაინდის აღჭურვილობა 32 კგ-ს იწონიდა, XIII საუკუნეში კი 45 კგ-ს მიაღწია,⁵⁶ რაც მათ მობილურობაზე უარყოფითად მოქმედებდა და ქმნიდა მძიმე ცხენოსნებისა და სხვა საჯარისო სახეობების ურთიერთმოქმედების აუცილებლობას.

საბრძოლო მანქანები

შუასაუკუნეებში გავრცელებული იყო საბრძოლო მანქანების სამი ძირითადი სახეობა: ბალისტა, კატაპულტა და ტრებუჩეტი, თითოეული მათგანი მრავალ ქვესახეობას შეიცავდა, მაგრამ ზოგადი ფორმა და მოქმედების პრინციპი საერთო ჰქონდათ. სააღყო მანქანები სამხედრო ხელოვნებაში დადასტურებულად უკვე ძვ.წ. VI საუკუნიდანაა ცნობილი, მაგალითად, ერთ-ერთი პირველი ის გამოიყენეს აქემენიდებმა იერუსალიმის ალყის დროს ძვ.წ. 580 წელს და მას შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენამდე, ისინი საბრძოლო შეიარაღების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ. სააღყო მანქანებს ჰქონდათ ორი ძირითადი დანიშნულება, გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა შორი დისტანციებიდან და დაენგრიათ სიმაგრეთა კედლები.

ბალისტა გიგანტურ არბალეტს წარმოადგენდა და დიდი ზომის ისრებს (1-3 მეტრის) ისროდა დისტანციაზე, მისი გამოყენება განსაკუთრებით ეფექტური იყო სიმაგრეიდან შემტევების წინააღმდეგ. ბალისტას ისარს ჰქონდა დიდი დარტყმითი ძალა და ხვრიტავდა ნებისმიერ დამცავ საჭურველს, იგი ეფექტური იყო ფარების ტრებუჩეტი დიდი ზომის სააღყო მანქანას, შუა საუკუნეების მძიმე არტილერიას წარმოადგენდა. იგი გავრცელდა ჩინეთიდან საიდანაც მცირე აზიურ სამყაროში სელჯუკებმა შემოიტანეს, რომელთაგანაც XI ს. მეორე ნახევარში შევიდა ბიზანტიაში, ხოლო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობების დროს გავრცელდა ევროპულ არმიებში.

ტრებუჩეტის სასროლი შესაძლებლობები.

მანქანების ადგილზე დამზადება. არბალეტები. გვ.308

კატაპულტები, ტრებუჩეტები, არბალეტები

საინჟინრო კონსტრუქციები

სიმაგრეებზე შეტევა და მათი დაცვა საბრძოლო იარაღების გარდა, სხვადასხვა საინჟინრო კონსტრუქციების გამოყენებას საჭიროებდა, ერთ-ერთ ასეთ აუცილებელ კონსტრუქციას წარმოადგენდა ე.წ. „გელეპოლი“, საგორავეზე შემდგარი რამდენიმე სართულიანი კოშკი. გელეპოლის დანიშნულება იყო სიმაგრის საბრძოლო არეალზე მეომართა უვნებელი გადაყვანა და გალავნის თავზე გადასხმა, რისთვისაც გელეპოლი უნდა ყოფილიყო კედლებზე მაღალი და უნდა ჰქონოდა გადასაკიდი ხიდი. გელეპოლებს აგებდნენ ხისგან და ცეცხლგამძლე მასალით (ძირითადად ძმარში დასველებული სქელი ტყავებით) ფარავდნენ, რამდენადაც გიგანტური ზომების გამო, მისი ალალით ტრანსპორტირება შეუძლებელი იყო, ამდენად მას ადგილზე ამზადებდნენ, თან კი მხოლოდ ისეთი აუცილებელი დეტალები დაჰქონდათ, რომელთა საველე პირობებში დამზადებაც რთული იყო. ანა კომნენოსის მიხედვით, ნორმანებმა 1107 წელს დირახიას ალყის დროს ააგეს ქალაქის კედლებზე მაღალი, რამდენიმე იარუსიანი კოშკი, რომლის ზედა სართულზეც გადასაკიდი ხიდი იყო დამაგრებული. კოშკი იდგა საგორავეზე და მოძრაობაში შიგნით დამაგრებული ბერკეტების მეშვეობით მოდიოდა. გელეპოლის კონსტრუქცია ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდებიდანაა ცნობილი, ციხეთა ალყის დროს მას იყენებდნენ როგორც ბერძნები და რომაელები, ასევე სხვა სახელწიფოები.

შემტევი მხარისთვის ასევე აუცილებელ საინჟინრო კონსტრუქციას წარმოადგენდა ტარანი, რომელიც კარიბჭისა და კედლების დასანგრევად გამოიყენებოდა. ტარანი წარმოადგენდა გრძელი ხის მორს, რომლის თავიც (ხშირად ვერძის თავის ფორმის მქონე²⁰) მასიური რკინის წვერით ბოლოვდებოდა და ღვედებით იყო ჩამოკიდებული ხის ერთ, ან რამდენიმე სართულიან კოშკის ზედა ნაწილში დამაგრებულ ძელზე. კოშკი გარედან დაფარული იყო ძმარში დასველებული ცხოველთა ტყავებით, ან სხვა სახის ცეცხლგამძლე მასალით და (გელეპოლის მსგავსად) საგორავეებით გადაადგილდებოდა სიმაგრის კედლებისკენ. ტარანის კონსტრუქცია, იმავე დირახიას ალყის დროს, ასევე დეტალურად აქვს აღწერილი ანა კომნენოსს, მისი მიხედვით, ნორმანების მიერ აგებულ ტარანი ერთსართულიან, პარალელოგრამის ფორმის მქონე კონსტრუქციას წარმოადგენდა. იგი დახურული იყო ყველა და ზედაპირი ხარის ტყავებით ჰქონდა დაფარული. ტარანის შუა ნაწილში ჩამოკიდებული იყო ვერძის თავის მქონე ხის გრძელი მორი, რომლის მეშვეობითაც ნორმანები კედლის დანგრევას ცდილობდნენ. გელეპოლის მსგავსად, ტარანის უძველესი საალყო იარაღის სახეობას წარმოადგენდა და თავის მნიშვნელობას არტილერიის გამოჩენამდე ინარჩუნებდა.

საალყო კოშკებში მეომართა საკმაოდ დიდი ჯგუფი (რამდენიმეათეულიდან რამდენიმე ასეულამდე) თავსდებოდა და როდესაც კოშკი გალავანს მიადგებოდა, ისინი გადასაკიდი ხილით ცდილობდნენ გადასვლას.

სამხედრო სწავლება

შუა საუკუნეების ეპოქაში სპეციალური სამხედრო სასწავლებლები ან რამდენადმე სისტემატიზირებული სასწავლო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა, თუმცა ფუნქციონირებდა სამხედრო საქმის სწავლების საკმაოდ მონესრიგებული სოციალური მექანიზმი, რომელიც რამდენიმე საფეხურისგან შედგებოდა.

ფეოდალური სახელმწიფოს იმ ნევრებისთვის, რომლებიც მაღალი სოციალური ფენების წარმომადგენლები და სამხედრო ვალდებულნი იყვნენ, სამხედრო სწავლების პროცესი ბავშვობიდანვე იწყებოდა, რომლის დროსაც ისინი (ოჯახის პირობებში) სწავლობდნენ ცხენზე ჯდომას, სხვადასხვა ტიპის იარაღის ხმარებას და იძენდნენ სამხედრო საქმისთვის აუცილებელ პირველად უნარ-ჩვევებს. ამ ეტაპზე სამხედრო სწავლება ინდივიდუალური პროცესის სახეს ატარებდა,¹ თუმცა მოგვიანებით კოლექტიური სწავლების ფორმებსაც იძენდა, რაც ძირითადად რაინდული ტურნირების, სხვადასხვა სპორტული თამაშებისა და ნადირობის ორგანიზებაში გამოიხატებოდა.² ამ მასიური ღონისძიებების დროს, შუა საუკუნეების მეომრები იძენდნენ კოლექტიური მოქმედებების უნარ-ჩვევებს, რაც ბრძოლების საწარმოებლად აუცილებელი პირობა იყო, მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო მიახლოებული საბრძოლო პირობებს რომელიმე ტურნირი ან ნადირობის პროცესი, რეალურ საბრძოლო გამოცდილებას მაინც ვერაფერი ცვლიდა, ამიტომ მცირე მასშტაბის საბრძოლო მოქმედებებში (უპირატესად სათარეშო რეიდებსა და სასაზღვრო კონფლიქტებში) მონაწილეობა სწავლების ყველაზე ეფექტურ ფორმას წარმოადგენდა. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს მეფემ თავისი მეომრები, რომლებიც მომთაბარული ტაქტიკის წინააღმდეგ არაბძოლისუნარიანნი იყვნენ («თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი»), სწორედ მცირე მასშტაბის ბრძოლებში მონაწილეობით განვრთნა და ბრძოლიუნარიან ძალად აქცია: «უწყონოთა ლაშქრობითა და მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინაძლომითა, და მრავალთა ძლევათა მიერ მოგუარებითა არა განენუართნეს სპანი თვისნი.»³

ლაშქრობა სამხედრო საქმის სწავლების საუკეთესო ფორმა იყო, სამხედრო კამპანიის წარმატება მარშის, ბანაკად დგომისა თუ ბრძოლის დროს, მთლიანდ კოლექტიური მოქმედების უნარზე იყო დამყარებული და ამ მიმართულებით კოორდინაციის რაც უფრო მაღალი დონე იქნებოდა მიღწეული, არმია მით უფრო ბრძოლისუნარიანი ხდებოდა. მაგალითად, ნიკიფორ ფოკა თავის ტრაქტატში რეკომენდაციას იძლეოდა, რომ ბანაკად დგომის დროს მეომრებისთვის უნდა ესწავლებინათ, თუ როგორ ჩამდგარიყვნენ საბრძოლო მწკრივებში, როგორ გამოეყენებინათ იარაღი და ა.შ.⁴ ბასილი II თავის ლაშქრობების დროს სისტემატიურად ავარჯიშებდა თავის არმიას და ერთხელ როდესაც მისმა ერთმა მეთაურმა განაცხადა, რომ ისინი ბევრს ვარჯიშობდნენ და ნაკლებს ომობდნენ, იმპერატორმა უპასუხა, რომ ვარჯიშის გარეშე ბრძოლები არასოდეს დასრულდებოდა.⁵ ლაშქრობების დროს მეომართა მომზადება ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო საქართველოს სამეფოშიც, სადაც ქართველი მეფეები არმიის კოლექტიური მოქმედების უნარს, ძირითადად ასეთი ლაშქრობების, დავით აღმაშენებლის მემკვიდრის სიტყვით, «ლაშქრობათა მეცადინობანის» დროს აყალიბებდნენ.⁶

მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებში მეომართა კოლექტიური მოქმედების უნარს დიდი ყურადღება ექცეოდა, მის გვერდით არა-

ნაკლებ ფასდებოდა მეომრის ინდივიდუალური თვისებებიც, მაგალითად, თამარის პირველი ისტორიკოსი დავით სოსლანის მეომრული ღირსებების აღსანიშნავად მიუთითებდა, რომ იგი კენტავრივით იყო განსწავლული ისრის სროლაში.⁷ ნიკიფორე ვრიენოსს აღწერილი აქვს, მიხეილ დუქას ბრძანებით, თუ როგორ არჩევდა მეომრებს ინდივიდუალური თვისებების მიხედვით ბიზანტიელი სარდალი კონსტანტინე კაბადოკიელი, რომელიც იმ მეომრებს, რომლებიც სხვებზე უკეთ ისხდნენ ცხენზე და ხმარობდნენ საბრძოლო იარაღს, «უკვდავების» ელიტურ დანაყოფში რიცხავდა, სხვებს კი სხვა სამხედრო რაზმებში ანანილებდა.⁸ მამლუქების სამხედრო ტრაქტატი კვალიფიციურ მეომრად მიიჩნევდა იმ მეომარს, რომელიც გაჭენებული ცხენის ზურგიდან, ცხენის ყოველ მეშვიდე ნაბიჯზე ნებისმიერი მიმართულებით ახერხებდა ისრის სროლას და სამიზნის დაზიანებას.⁹ მეომართა მალალ ინდივიდუალურ თვისებებს, მხოლოდ იარაღის ხმარება და ცხენზე ჯდომის ხელოვნება არ წარმოადგენდა, მეომარი ბრძოლის დროს საკუთარი თავის ფლობის უნარით, საბრძოლო სულითა და სხვა ფსიქოლოგიური თვისებებითაც ფასდებოდა. მაგალითად, უსამა იბნ-მუნკიზს, როდესაც მან თავის ერთ-ერთ პირველ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, ბრძოლის შემდეგ ბიძამ (შეიზარის ემირმა) ჰკითხა თუ რა ერქვა იმ შიკრიკს, რომელიც უსამამ ბრძოლის დროს დახმარების სათხოვნელად გაუგზავნა და ძალიან კმაყოფილი დარჩა, როდესაც უსამამ შიკრიკის ვინაობა სწორად დაასახელა, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ უსამა ბრძოლას გააზრებულად ხელმძღვანელობდა და დახმარება შიშის ქვეშ არ უთხოვია.¹⁰ ფიზიკური და ფსიქოლოგიური სიმტკიცის კომპლექსურ მიღწევას ისახავდა მიზნად სელჯუკი გულიამების მომზადების სასწავლო სისტემა, რომელიც დეტალურად აქვს აღწერილი ნიზამ ალ-მულკს. ამ სისტემის მიხედვით, გულიამები წლების განმავლობაში ეუფლებოდნენ ინდივიდუალურ საბრძოლო ხელოვნებას (იარაღის ფლობას, ცხენოსნობას), ეჩვეოდნენ ნებისმიერ პირობებში მოქმედებას, სწავლობდნენ დისციპლინასა და ბრძანებების შესრულებას და რაც მთავარია, სამხედრო იერარქიის კიბეზე ნაბიჯ-ნაბიჯ, ყველა საფეხურის გავლით წინაურდებოდნენ. გულიამი, რომელსაც პირველი სამხედრო ჩინის (ვასაკ-ბაშის) მიღება მხოლოდ სამსახურის დანყვიდან ოთხი წლის გასვლის შემდეგ შეეძლო, ემირის თანამდებობას მხოლოდ 37 წლის ასაკში თუ დაიკავებდა,¹¹ რაც იმას ნიშნავს, რომ გულიამები მალალი ინდივიდუალური თვისებების მქონე მეომრები, ხოლო მათი რიგებიდან გამოსული ემირები, უმაღლესი კვალიფიკაციის მხედარმთავრები იყვნენ. სამხედრო მომზადების მსგავსი სისტემა ფუნქციონირებდა ეგვიპტეში მამლუქი სულთნების მმართველობის (1250-1516 წწ.) პერიოდში, რაც ასევე განაპირობებდა მამლუქი მეომრების გამორჩეულად მალალ საბრძოლო თვისებებს.¹² კიდევ უფრო მალალ ინდივიდუალიზმს აღწევდნენ მომთაბარე მეომრები, რომელთათვისაც სამხედრო მომზადება ცხოვრების ბუნებრივი წესი იყო, ისინი საბრძოლო უნარ-ჩვევების შექმნას ბავშვობიდანვე იწყებდნენ და მთელი ცხოვრება აგრძელებდნენ.¹³

დისციპლინა

შუა საუკუნეების ფეოდალური არმია, რომელიც არ გადიოდა თანმიმდევრულ სამხედრო სწავლებას და სამხედრო ვალდებულებას მხოლოდ მინისმფლობელობის სანაცვლო მოვალეობად აღიარებდა, ბუნებრივია, უდისციპლინო მეომართა გაერთიანებად რჩებოდა.¹ ფეოდალური სახელმწიფოები უდისციპლინობის წინააღმდეგ

ბრძოლას მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების მეშვეობით ცდილობდნენ, მაგალითად, ბიზანტიაში შექმნილი იყო ე.წ. „სამხედრო კანონი,“ რომელიც მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებდა სხვადასხვა სამხედრო დარღვევების მიმართ,² ვარდანის მითითებით გიორგი III-ს შექმნილი ჰქონდა სამხედრო კანონმდებლობა, რომელიც დიდი და მცირე სამხედრო დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯას (ჩამოხრჩობას) ითვალისწინებდა,³ ანალოგიური სასჯელი ელოდათ ესპანურ სამეფოებში იმ მეომრებს, რომლებიც გუშაგად მდგომები საბრძოლო სიტუაციაში ან დაიძინებდნენ, ან პოსტს მიატოვებდნენ,⁴ მთელ რიგ მუსლიმურ არმიებში არსებობდა სამხედრო მოსამართლის, ყადის თანამდებობა⁵ და ა.შ.

ფეოდალურ არმიებში, რომლებიც სხვადასხვა რეგიონების მცხოვრებლებისა და სხვადასხვა ეროვნების (და ხშირ შემთხვევებში, რწმენის) ადამიანებისგან კომპლექტებოდნენ, საკანონმდებლო აქტებით დისციპლინის აუცილებელი დონის შენარჩუნება ურთულეს საქმეს წარმოადგენდა, დისციპლინის გარეშე კი, ნებისმიერი არმია სამხედრო წარუმატებლობებისთვის იყო განწირული. სამხედრო კამპანიის წარმატება არმიის კოლექტიური მოქმედების უნარზე იყო დამოკიდებული, რაც დისციპლინის მაღალი ხარისხის გარეშე ვერ მიიღწეოდა, და მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინის გარკვეული დონის შენარჩუნებას ხელს უწყობდა საერთო ინტერესის რიგი ფაქტორები (როგორც იყო, მაგალითად, საგარეო საფრთხეზე კოლექტიური რეაგირების აუცილებლობა, ნადავლის მოპოვების სურვილი და ა.შ.), უმთავრესი გარემოება, რაც დისციპლინის საჭირო დონის მიღწევასა და შენარჩუნებას განაპირობებდა, იყო მხედარმთავრის ფაქტორი, რომლის პირადი ავტორიტეტიც, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავდა არმიის სახეს.

მხედარმთავრები არმიაში დისციპლინის შენარჩუნებას სიმკაცრესთან შერწყმული სამართლიანობით ცდილობდნენ, იცავდნენ იმდროინდელ (დანერილ თუ დაუნერელ) საკანონმდებლო ნორმებს, დადგენილი წესით ანაწილებდნენ ნადავლს, მეომრებს აძლევენ იმ ქალაქების ძარცვის უფლებას, რომლებიც მათ წინააღმდეგობას უწევდნენ, არ იღებდნენ უსაფუძვლო გადანყვეტილებებს და ა.შ. სამაგიეროდ როგორც წესი, დაუნდობლები იყვნენ ბრძანების დამრღვევთა მიმართ, მაგალითად, ნიკიფორე ფოკამ ერთი თავისი მეთაური გაროზგა, ცხვირი მოაჭრა და საბრძოლო წყობის წინ ჩამოატარა იმის გამო, რომ მან არ შეასრულა ფოკას ბრძანება და ანალოგიური ფორმით არ დასაჯა მეომარი, რომელსაც მარშის დროს ფარი ჰქონდა დაკარგული.⁶ ჩინგის-ხანმა რიგით მეომრად ჩამოაქვეითა მონღოლთა ცნობილი სარდალი ტოხუჩარი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ჯებესა და სუბუდაის რეიდში, მაგრამ აზერბაიჯანში ყოფნის დროს მიატოვა ისინი და თვითნებურად ხორეზმში დაბრუნდა, რაც მას ჩინგის-ხანმა არ აპატია და მიუხედავად ტოხუჩარის დიდი დამსახურებებისა, ამ ფორმით დასაჯა.⁷

ველიტატიონე ბელიკას მიხედვით მხედარმთავრის უპირველესი მოვალეობა, არმიაში ლოთობისა და გარყვნილების მოსპობა იყო.

იოანე კომნენოსი სუხის მანუელს ბრძანების შესრულებლობისათვის (სანახავია ხონიატი. გეორგ დენის ბიზანტ. ბრძოლაში. გვ. 175).

ჯეაროსნები კონსტანტინეპოლის ალყის დროს ბანაკიდან ყრიან მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს. კლარი გვ 53.

კონტრდაზვერვის შექმნა. გვ-355.

მხედართმთავარი და მისი მნიშვნელობა

შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებაში მხედართმთავრის როლსა და მნიშვნელობაზე ყველაზე კარგად ალბათ ის გარემოება მიუთითებს, რომ მისი ბრძოლაში დაღუპვა ან ტყვედ ჩავარდნა, უმრავლეს შემთხვევებში ბრძოლის წაგებასაც ნიშნავდა. სხვადასხვა წერილობითი წყაროებიდან ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც წარმატებით მიმდინარე ბრძოლა სასტიკი დამარცხებით მთავრდებოდა მსგავსი შემთხვევების გამო. იმ დროსაც კი, როდესაც რომელიმე მხარის მხედართმთავარს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, ხშირად მისი მონიშნულმდეგეები ცდილობდნენ შეექმნათ მისი დაღუპვის იმიტაცია, რაც მტრის რიგებში არეულობას, ხოლო საკუთარ მეომრებში საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას იწვევდა. მაგალითად, 1078 წელს, იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებული ნიკიფორ ვრიენოსის წინააღმდეგ მებრძოლმა ალექსი კომნენოსმა, რომლის ხელშიც საიმპერატორო ინსიგნიებით აღჭურვილი ვრიენოსის ცხენი აღმოჩნდა, მონიშნულმდეგის რიგებისკენ ამ ცხენით გააგზავნა შერაღდი, რომელიც ხმამაღლა ყვიროდა, რომ მათი მხედართმთავარი ბრძოლაში დაიღუპა, რამაც ვრიენოსის მეომრებში არეულობა გამოიწვია და საბოლოოდ მათ დამარცხებას შეუწყო ხელი.¹ იგივე ხერხი გამოიყენა თემურ-ლენგის სარდალმა მენგლი-ბუგმა აზერბაიჯანში, შავბატკნიანი თურქმენების წინააღმდეგ ბრძოლაში, როდესაც ერთ-ერთი დაღუპული, რიგითი თურქმენი ემირის თავი წამოაცვია შუბზე და საბრძოლო რიგების წინ ყვირილი დაიწყო, რომ ეს თურქმენთა მხედართმთავრის, ყარა-იუსუფის თავი იყო. ამან თემურ-ლენგის მეომრებში ისეთი აღფრთოვანება გამოიწვია, რომ ბრძოლა ადვილად მოიგეს.² როდესაც მსგავს დეზინფორმაციას ასეთი ეფექტი მოჰქონდა, ადვილი წარმოსადგენია როგორი იქნებოდა შედეგები მხედართმთავრის რეალურად დაღუპვის პირობებში, მაგალითად, როგორც ეს მოხდა ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-სა და მის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა ფოკას შორის ბრძოლის დროს, როდესაც ფოკამ სცადა იმპერატორის ორთაბრძოლაში მოკვლით ბრძოლის ბედის ელვისებური გადაწყვეტა, მაგრამ თავად დაიღუპა, რის შემდეგაც მისი მომხრეები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ.³ ანალოგიური შედეგი დადგა მდ. მეანდრთან მდებარე ქალაქ ანტიოქიასთან გამართულ ბრძოლაში, ნიკეის იმპერიისა და რუმის სასულთნოს არმიებს შორის 1211 წელს, როდესაც სელჯუკებმა უკვე მოგებული ბრძოლა, მხედართმთავრის, რუმის სულთან ქეიხოსროვის (1192-1196, 1205-1211 წწ.) ბრძოლაში დაღუპვის გამო წააგეს.⁴

ის გარემოება, რომ ერთი ადამიანის დაღუპვა ასეთ გლობალურ ზეგავლენას ახდენდა ბრძოლის, და ხშირად მთელი კამპანიების მსვლელობაზეც, ადვილი ასახსნელია იმ დიდი ფსიქოლოგიური თუ პრაქტიკული მნიშვნელობით, რაც მხედართმთავარს, განსაკუთრებით კი, კარგ მხედართმთავრს ენიჭებოდა შუასაუკუნეებში. მხედართმთავარი იყო ბრძოლის ერთპიროვნული განმკარგავი. ის ირჩევდა ბრძოლის ველს, საბრძოლო ტაქტიკას, იძლეოდა ბრძოლის დაწყებისა თუ შეწყვეტის ნიშანს, ხელმძღვანელობდა ბრძოლის მიმდინარეობას, იღებდა შეტევის თუ უკანდახევის გადაწყვეტილებას, აფასებდა ოპერატიულ ვითარებას და იძლეოდა რეზერვის გამოყენებისა თუ სხვადასხვა ტაქტიკური ქმედებების შესრულების განკარგულებას. მოკლედ, ახორციელებდა ყველა იმ აუცილებელ ქმედებას, რაც

მეომრების სიმამაცესა და საბრძოლო მომზადების დონესთან ერთად, საჭირო იყო ბრძოლაში გამარჯვების მისაღწევად. რასაკვირველია, მხედართმთავრები ისმენდნენ სხვადასხვა მოსაზრებებს და იღებდნენ სხვადასხვა რჩევებს (ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოს), მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას, რაზედაც ბრძოლის შედეგი და მეომრების სიცოცხლე იყო დამოკიდებული, ისინი ერთ-პიროვნულად ღებულობდნენ.

სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში მხედართმთავრის სიცოცხლე ძალზედ ძვირად ფასობდა და მას განსაკუთრებით უფროთხილდებოდნენ, რაც განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ რიგითი მეომრის რანგში მისი უშუალო მონაწილეობა ხელჩართულ ბრძოლაში არა თუ რეკომენდირებულად, არამედ მხედართმთავრობის ღირსებებთან მიუღებლად ითვლებოდა. მაგალითად, მიქაელ ფსელოსი, აღწერდა რა ბიზანტიის იმპერატორ რომან დიოგენის ტყვედ ჩავარდნის ფაქტს მანციკერტის ბრძოლაში 1071 წელს, აღნიშნავდა, რომ თუ დიოგენის ქმედებას (ხელჩართულ ბრძოლაში ჩართვას) შეაფასებდნენ როგორც უშიშარი ადამიანისა და გამბედავი მეომრის ქმედებას, მაშინ ის მხოლოდ ქებას იმსახურებდა, ხოლო თუ განსჯიდნენ სამხედრო ხელოვნების მოთხოვნების მიხედვით, რომელიც მას როგორც მხედართმთავარს ავალდებულებდა მდგარიყო ბრძოლის ხაზიდან მოშორებით, მიეცა მეომრებისთვის აუცილებელი განკარგულებები და დაუფიქრებლად არ გაენირა საკუთარი სიცოცხლე, მაშინ დიოგენი მხოლოდ დაცინვის ღირსი იყო.⁵ ანალოგიურ შეფასებას იძლევა ანა კომნენოსიც, რომლის მიხედვითაც, 1087 წ. პაჭანიკებთან დიდი პრესლავის ბრძოლაში დამარცხებული ალექსი კომნენოსი ცდილობდა ჩართულიყო ხელჩართულ შეტაკებაში, რადგან მისი სიტყვებით, უკეთესი იყო ბრძოლაში გმირულად დაღუპვა, ვიდრე სირცხვილის ფასად სიცოცხლის შენარჩუნება, რაზედაც მას უპასუხეს, რომ იგი იმპერატორი იყო და მისი დაღუპვა არმიისა და იმპერიის დაღუპვას ნიშნავდა, ხოლო თუ ცოცხალი დარჩებოდა ძალების ხელახლა მობილიზებას და ბრძოლაში თავიდან ჩართვას შეძლებდა.⁶ ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა საქართველოს მეფე გიორგი III 1165 წელს, როდესაც მის მცირერიცხოვან არმიას თავს დაესხა აზერბაიჯანის ათაბაგი ელდიგუზი. საქართველოს მეფეს, რომელსაც გამარჯვების მოპოვება არ შეეძლო, ბრძოლის ველის დატოვება არ სურდა, მაგრამ ივანე ორბელიმა და სხვა სარდლებმა მას ამის გაკეთება აიძულეს, რადგან მეფის გადარჩენის შემთხვევაში „კუალად შემძლევემან ძლევათამან ჩუეულებითავე მოგუაგოს უძლეველობა.“⁷ ალექსი კომნენოსისა და გიორგი III-გან განსხვავებით, ჰასტინგის ბრძოლის წინ (1066 წ) მსგავსი რჩევა არ მიიღო ინგლისის მეფე ჰაროლდმა; რომელსაც ფრანგი ქრონისტის, მათეოზ პარიზელის მიხედვით, მისი ძმა ჰუგო სთავაზობდა, რომ არ მიეღო ბრძოლაში მონაწილეობა, რადგან დამარცხების შემთხვევაში (რაც მოსალოდნელი იყო მოუმზადებლობის გამო) იგი შესძლებდა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ჰაროლდმა არ მიიღო ეს რჩევა და პირადად ჩაუდგა არმიას სათავეში. მატევი პარიზელის ირონია შეპარული სიტყვების მიხედვით, ჰაროლდი შესანიშნავად ასრულებდა რიგითი მეომრის მოვალეობას, ყველა ვინც მას უახლოვდებოდა მისი მახვილის მსხვერპლი ხდებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც იგი თავში ისრის მოხვედრით დაიღუპა, ამით მან გამარჯვება მონიწილად მიეცა აჩუქა.⁸

მართალია მხედართმთავრის, როგორც რიგითი მეომრის ბრძოლაში მონაწილეობა მიუღებლად ითვლებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მხე-

დარმთავარი საერთოდ არ უნდა ჩაბმულიყო ხელჩართულ ბრძოლაში. თუმცა ასეთი შემთხვევები (მტერთან საბრძოლო კომბატეტში პირადად შესვლა) განპირობებული უნდა ყოფილიყო კონკრეტული ტაქტიკური მოსაზრებებით, რომელთა მიზანიც ბრძოლის რომელიმე მონაკვეთში შექმნილი რთული ვითარების გამოსწორება, შეტევაზე მეომართა გაყოლიება და მსგავსი შემთხვევები უნდა ყოფილიყო. მთლიანობაში, მხედარმთავრის ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება, მკვეთრად ამაღლებდა მეომართა საბრძოლო სულისკვეთებას და ბრძოლის მოგებისთვის ამ მეტად ეფექტურ საშუალებას, რაც სრულ თანხედრაში მოდიოდა შუა საუკუნეების მხედრულ კოდექსთან და კონკრეტულ მიზანს, მიმდინარე ბრძოლაში გამარჯვებასაც ემსახურებოდა, იმ დროინდელი მხედარმთავრები საკმაოდ ხშირად იყენებდნენ. მაგალითად, იმავე ჰასტინგის ბრძოლაში, სადაც (როგორც აღვნიშნეთ) ინგლისის ანგლო-საქსი მეფე ჰაროლდი რიგითი მეომრის რანგში იღებდა მონაწილეობას, მისი მონაწილედგე ვილჰელმ დამპყრობელი კი, სრულიად განსხვავებულად მოქმედებდა. მათეოზ პარიზელის სიტყვით, ხელჩართულ შეტაკებებში ისიც მონაწილეობდა, მაგრამ იგი ჩნდებოდა ბრძოლის სხვადასხვა მონაკვეთებში, რითაც ცდილობდა მეომართა საბრძოლო სულიკვეთების ამაღლებას ბრძოლის სხვადასხვა უბანზე.⁹

ბრძოლის ველზე მხედარმთავრის როლისა და ადგილის შესახებ, აღმოსავლურ და დასავლურ სამხედრო კონცეფციებში თითქოსდა რადიკალური განსხვავება არსებობდა. აღმოსავლური (ბიზანტიური, მონღოლური, თურქული და ა.შ.) თეორიების თანახმად, მხედარმთავარი ბრძოლის წინა ხაზიდან მოშორებით, უსაფრთხო ადგილზე უნდა მდგარიყო,¹⁰ მაშინ როდესაც დასავლური კონცეფცია მხედარმთავარს მხოლოდ პირველ მეომრად განიხილავდა და ბრძოლებში მის პირად მონაწილეობას აუცილებლობად თვლიდა, რაც უპირველეს ყოვლისა სენიორალური სისტემის თავისებურებებითა და დასავლეთ ევროპის რაინდული კოდექსიდან გამომდინარეობდა.¹¹

შუა საუკუნეების არმიათა მცირერიცხოვნობის გამო, მხედარმთავრის ბრძოლაში პირადად მონაწილეობის ფაქტორს, ნამდვილად უზარმაზარი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ თანმხლები მალალი რისკის გამო მის გადაჭარბებით გამოყენებას, არამარტო აღმოსავლურ, დასავლეთ ევროპულ არმიებშიც ერიდებოდნენ. მიუხედავად რაინდული კოდექსის მოთხოვნისა, მხედარმთავარი ყოფილიყო პირველი რაინდი, დასავლეთ ევროპელი მხედარმთავრები მაინც იმაზე იშვიათად მონაწილეობდნენ ხელჩართულ შეტაკებებში, ვიდრე ამას კოდექსი მოითხოვდა და როგორც ამას შუა საუკუნეების ქრონიკები წარმოადგენდნენ. ჯ. ვერბრუგენის მიხედვით, ჯვაროსნულ თუ სხვა ევროპულ არმიათა სარდლები, ძირითადათ, საბრძოლო წყობის ცენტრების მეორე ხაზებს, რეზერვებს ან არიერგარდებს მეთაურობდნენ და ამ საკმაოდ შორი პოზიციიდან მართავენ ბრძოლას, რაც მათი ხელჩართულ ბრძოლაში ჩართვის აუცილებლობას, შედარებით ნაკლებად ქმნიდა, თუმცა ბრძოლის რაღაც ეტაპზე ისინი მაინც მონაწილეობდნენ მასში.¹² მხედარმთავართა შორის არსებობდნენ რიჩარდ ლომგულის მსგავსი ინდივიდუალური გამონაკლისებიც, რომლებიც რაინდული ეთიკიდან გამომდინარე, ყველა შესაძლებლობას იყენებდნენ ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. რიჩარდის შემთხვევაში, მხედარმთავრის რაინდული სულისკვეთება საკმაოდ ფაქტალურად დამთავრდა, როდესაც იგი ერთ-ერთ უმნიშვნელო ბრძოლაში დაიღუპა და თავისი დაღუპვით დიდი ზიანი მიაყენა ინგლისის ინტერესებს,¹³

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის მხედართმთავრები გამორჩეული პოპულარობით სარგებლობდნენ მეომართა შორის, რაც მათ დალუპვამდე მიღწეული წარმატებების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

შუასაუკუნეებში, მხედართმთავრის სიცოცხლის მნიშვნელობისა და რიგ შემთხვევებში მისი ხელჩართულ ბრძოლებში მონაწილეობის აუცილებლობიდან გამომდინარე, ყველა საშუალებით ცდილობდნენ მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მაგალითად, ანა კომნენოსი მიუთითებს, რომ დიდი პრესლავის ბრძოლაში ალექსი კომნენოსს თან დაჰყვებოდა ექვსი მეომარი, რომელთაც იმპერატორის დაცვის გარდა, არაფრისთვის არ უნდა მიექციათ ყურადღება,¹⁴ მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო დაცული მხედართმთავრის სიცოცხლე, შუა საუკუნეების ფსიქოლოგიით იგი მაინც მეომარს წარმოადგენდა და იმ დროინდელ ბრძოლათა ხასიათის გათვალისწინებით ვალდებული იყო აუცილებლობის შემთხვევებში არ აერიდებინა თავი ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობისგან. როდესაც მხედართმთავარი ებმებოდა ხელჩართულ ბრძოლაში, როგორც წესი, ბრძოლის პირველი ნაწილი ჩავლილი იყო და ოპერატიული ვითარება უკვე ნათლად იყო გამოკვეთილი, რისი მიხედვითაც ის ადვილად იღებდა იმ გადანწყვეტილებას, თუ ბრძოლის რომელ მონაკვეთში იყო მიზანშეწონილი მისი გამოჩენა ხელჩართულ ბრძოლაში. ძალიან ხშირად ასეთი მონაკვეთები იყო რამდენიმე (როგორც ეს იყო აღნიშნული ვილჰელმ დამპყრობელის მაგალითზე), რითაც მხედართმთავარი პირადი მაგალითით ახერხებდა მეომართა რაც შეიძლება მეტ რაოდენობაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას, საბრძოლო სულისკვეთების ამალღებას და შესაბამისად, სასურველი მიმართულებით ბრძოლის მსვლელობის წარმართვას. მაგრამ როგორი მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონოდა მხედართმთავრის პირად სიმამაცესა და მხედრულ თვისებებს, მისი უმთავრესი ფუნქცია მაინც ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა იყო. ანა კომნენოსის აზრით, არაგონივრული სიმამაცე უარყოფითი თვისება იყო და მხედართმთავარს გამარჯვება ისე უნდა მოეპოვებინა, რომ თავი საფრთხეში არ ჩაეგდო, შესაბამისად სიმამაცის არსიც გონიერებით მოპოვებულ გამარჯვებაში მდგომარეობდა.¹⁵ აბსოლუტურად იგივე შეხედულებას ავითარებდა თემურ-ლენგიც, რომელიც მიუთითებდა, რომ თუ მხედართმთავარი იძულებული გახდებოდა პირადად მიეღო ბრძოლაში მონაწილეობა, მას ეს ისე უნდა გაეკეთებინა, რომ თავი აშკარა საფრთხეში არ ჩაეგდო, რადგან მის დალუპვას გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვებოდა.¹⁶

ბრძოლის ხელმძღვანელობის ყველაზე ოპტიმალური ადგილი საბრძოლო წყობის ცენტრი იყო, სადაც „შედარებით უსაფრთხოდ“ ყოფნაც შეიძლებოდა და არმიის მართვაც, პირველ რიგში კი, ბრძოლის ველის ვიზუალური კონტროლი და ბრძოლის მსვლელობის დინამიკისადმი თვალის დევნება. აქედან ყველაზე სწრაფად ხორციელდებოდა ბრძანებების გადაცემა არმიის ფლანგებსა თუ რეზერვზე, რომელიც სტანდარტულ ვითარებაში ცენტრის უკან იყო განლაგებული, სწორედ ამიტომ წერილობითი წყაროების თითქმის ერთსულოვანი მითითებებით, შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე თითქმის ყველა ქვეყნის მხედართმთავარი ბრძოლის მსვლელობისას, როგორც წესი, სწორედ არმიის განლაგების ცენტრში იმყოფებოდა. ცენტრიდან ხელმძღვანელობდნენ საკუთარ არმიებს როგორც ევროპელი, ასევე აღმოსავლელი მხედართმთავრები, არმიის ცენტრში იდგნენ სელჯუქთა დიდი სულთნები ალფ-არსლანი, მალიქ-შაჰი და სანჯარი.¹⁷ ცენტრიდან ხელმძღვანელობდნენ ბრძოლის მსვლელობას ნიკიფორ ფოკა¹⁸ და

ალექსი კომნენოსი.¹⁹ ცენტრი იყო ყველაზე მოხერხებული პოზიცია ბრძოლის სამართავად ჯალალ ად-დინის,²⁰ ჩინგის-ხანისა²¹ თუ თემურ-ლენგისთვის.²² ანუ არმიის მართვა ბრძოლის მსვლელობის დროს ყველაზე ეფექტურად ცენტრიდან ხორციელდებოდა და შუა საუკუნეების მხედართმთავრები მცირე გამონაკლისების გარდა ამ კანონზომიერებას მტკიცედ იცავდნენ. მაგრამ ბრძოლის დაწყებამდე და საბრძოლო წყობის ცენტრში სამეთაურო ადგილის დაკავებამდე, მხედართმთავარს არმიის სწორად სამართავად და გამარჯვების მოსაპოვებლად უამრავი სხვა ქმედების შესრულება უნებდა, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლის ადგილის შერჩევა და მონინალმდეგისთვის მისთვის ხელსაყრელ რელიეფზე ბრძოლის თავსმოხვევა იყო.

მხედართმთავარს ბრძოლის ადგილის შესარჩევად უნდა გაეთვალისწინებინა საკუთარი და მონინალმდეგის არმიების ძლიერი და სუსტი მხარეები. მაგალითად, მონინალმდეგეს თუ ჰყავდა მრავალრიცხოვანი ცხენოსანი რაზმები, ხოლო მას ქვეითები, მაშინ ბრძოლის გამართვა მთა-გორიან და ხეობიან რელიეფზე იყო უფრო ხელსაყრელი, ხოლო თუ მის განკარგულებაში, პირიქით, ძლიერი ცხენოსანი რაზმები იმყოფებოდა, მაშინ მას მტერთან შეხვედრა გაშლილ ველზე უნდა ეძებნა. მაგალითად, ბიზანტიელმა სარდალმა, ლევ ფოკამ უარი თქვა არაბებთან გაშლილ ველზე ბრძოლის გამართვაზე, რადგან მის მონინალმდეგეს ცხენოსანი რაზმების უპირატესობა გააჩნდა და ხეობათა გასასვლელებში გამაგრდა, მაშინ როდესაც ნიკეის მმართველმა აბულ-კასიმმა, სწორედ მთა-გორიან რელიეფზე ცხენოსნებით ბრძოლის სირთულის გამო თქვა უარი ბითვინიის მთიან რეგიონში ბრძოლაზე და გაშლილი ადგილებისკენ დაიხია უკან.²³

თემურ-ლენგის მიხედვით, საბრძოლველად შერჩეულ ადგილს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი მოთხოვნები: ბრძოლის ველი უნდა ყოფილიყო ფართო, რათა არმიას შესძლებოდა თავისუფლად გაშლა, მის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო წყალი, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მონინალმდეგის სრული ხედვა და მზის მდებარეობა შესაფერისი უნდა ყოფილიყო არმიის დისპოზიციისთვის.²⁴ ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ეს მოთხოვნები ცხენოსანი, ძირითადად, მომთაბარული არმიების სამოქმედოდ იყო შესაფერისი, რაც ბუნებრივია, ამ ტიპის (ან მსგავსი) არმიების წინააღმდეგ მდგარი მხედართმთავრების წინაშე, უმთავრეს ამოცანად, სწორედ ადგილის შერჩევის პრობლემას და მონინალმდეგისთვის ამ უპირატესობის წართმევის ამოცანას აყენებდა. რაც უფრო მაღალი იყო მხედართმთავრის პროფესიონალიზმი და კომპეტენცია და რაც უფრო კარგად იცნობდა იგი რელიეფის სპეციფიკას, მით უფრო ეფექტურად ახერხებდა იგი ასეთი ამოცანის გადაწყვეტას. მაგალითად, ლარისას ბრძოლის წინ, ალექსი კომნენოსმა დეტალურად შეისწავლა მომავალი ბრძოლის ველის თავისებურებები და მათი გათვალისწინებით განალაგა არმია საბრძოლო პოზიციებზე.²⁵ უსამა იბნ მუნკიზი წინასწარ სწავლობდა აჰამეის მიდამოებს და არჩევდა ბრძოლის ადგილს ჯვაროსნებთან საბრძოლველად.²⁶ კირაკოს განძელი, როგორც თვითმხილველი, აღწერს, თუ როგორც „გამოკითხა“ მონღოლმა სარდალმა მოლარ-ნონმა ვარდაპეტ ვანაკანს ინფორმაცია სომხეთის ციხე-სიმაგრეებისა და მათი თავისებურებების შესახებ²⁷ და ა.შ.

ბრძოლის ადგილის შერჩევისას ძალიან მაღალი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივი ბარიერების (მდინარეების, ხევების, ჭაობის, ბორცვებისა და ა.შ.) სწორად და რაც მთავარია დროულად გამოყენებას. შემტევი არმია, როდესაც ის გადა-

დიოდა მსგავს ბუნებრივ ბარიერზე (პირველ რიგში, მდინარეებსა და ხევებზე), რომელიც მომენტში ორ ნაწილად იყოფოდა და ურთიერთშორის ოპერატიული მოქმედების უნარს კარგავდა, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო (და ამასთან იშვიათი) მომენტი მრავალრიცხოვანი არმიის დასამარცხებლად და მისი შესრულება, მთლიანად მხედართმთავრობის ინდივიდუალურ უნარზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, ეს ფაქტორი გამოიყენა ბიზანტიელმა სარდალმა იოანე ვატაცმა, რომელმაც მოულოდნელად დაარტყა სელჯუკებს მდინარე მენდრის ფორსირების დროს, როდესაც მათი არმია მდინარით შუაზე იყო გაყოფილი და ერთმანეთის დახმარება არ შეეძლოთ. ბრძოლის შედეგი იყო ცალსახა, სელჯუკების სასტიკი დამარცხება.²⁸ ასეთივე მეთოდით გაიმარჯვა სელჯუკებზე, მეორე ბიზანტიელმა სარდალმა ბარდა ვურცმა მდ. სანგართან 1116 წელს,²⁹ ისევე როგორც იერუსალიმის მეფე ბალდუინ IV-მ 1177 წლის მონგისარდის ბრძოლაში, სადაც მან, პატარა ხევით შუაზე გაყოფილი სალადინის მრავალრიცხოვანი არმია, შეუდარებლად მცირე ძალებით თითქმის მთლიანად მოსპო.³⁰ მსგავსი ტაქტიკის კლასიკური მაგალითია დიდგორის ბრძოლა, როდესაც მდ. ალგეთის ფორსირების დროს შუაზე გაყოფილი ილ-ლაზის კოალიციური არმია, დავით აღმაშენებელმა, უპრობლემოდ გაანადგურა.³¹

ბრძოლის ადგილის შერჩევისა და ბრძოლის ტაქტიკური ხელმძღვანელობის უნარი მხედართმთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი, მაგრამ არა ერთადერთი უნარი იყო, ბრძოლა, სამხედრო კამპანიის საკმაოდ მოგვიანო ეტაპი იყო და აქამდე მისასვლელად, როგორც არმიას, ასევე მის მხედართმთავარს, მრავალი დაბრკოლება უნდა გადაეღებინათ, რის გამოც არმიის მეთაურობა ბრძოლამდე ბევრად ადრე, მისი დაკომპლექტებისა და მარშის პერიოდებში იწყებოდა. მარშის პროცესში ნებისმიერი მხედართმთავრის წინაშე დგებოდა დიდ დისტანციებზე ლაშქრობის მთელი რიგი სირთულეები, პირველ რიგში კი, კომუნიკაციისა და უზრუნველყოფის ხაზების შენარჩუნების, მარშის დროს არმიის მართვის, მეომართა ყოველდღიური უზრუნველყოფისა და გზების ცუდი გამტარუნარიანობის დაძლევის. ის მხედართმთავარი, რომელიც ასეთი სახის პრობლემებს თავს ვერ გაართმევდა, ბრძოლაში როგორი მამაცი და გამბედავიც არ უნდა ყოფილიყო, არმიის სარდლობაზე პრეტენზიას ვერ განაცხადებდა.

ლაშქრობის განხორციელებისას ძალიან მნიშვნელოვანი იყო კომუნიკაციების შენარჩუნება საკუთარ ტერიტორიებთან. არმია არ შეიძლებოდა ისეთი მანძილით დაშორებოდა იმ ტერიტორიებს, საიდანაც მისი მომარაგება და უზრუნველყოფა, ხოლო აუცილებლების შემთხვევაში, უკანდახევა შეუძლებელი გახდებოდა. უზრუნველყოფის ტერიტორიებიდან მონყვეტა არმიისთვის შეიძლება დამლუპველი გამხდარიყო, რის გამოც თვით ისეთმა მამაცმა მხედართმთავარმა, როგორც რიჩარდ ლომგული იყო, ვერ გაბედა იერუსალიმზე იერიშის მიტანა, თუმცა მარში ამ ქალაქის მიმართულებით ორჯერ დაიწყო და ორჯერვე შუაგზიდან უკან დაბრუნდა. ამ ლაშქრობების შეწყვეტა, რასაც თანამედროვეებიცა და შთამომავლებიც რიჩარდს დიდ შეცდომად უთვლიდნენ, იმით იყო გამოწვეული, რომ ინგლისის მეფეს არ გააჩნდა მყარი კომუნიკაციური კავშირი მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებთან, რის გამოც მომარაგების ბაზებიდან სავლელე არმიამდე ტვირთების უსაფრთხოდ ტრანსპორტირება, დაჭრილებისა და ავადმყოფების გაგზავნა და საკურიერო მიმოსვლა, დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. სალადინის ნებისმიერ დროს შეეძლო დივერსიული თავდასხმების განხორციელება

ჯვაროსანთა კომუნიკაციებზე, მათი გადაჭრა და რიჩარდის არმიის იზოლირება მომარაგების ბაზებიდან, რაც ჯვაროსნებს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა.³² მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე თამარ მეფის დროს. ზაქარია და ივანე მხარგრძელების მეთაურობით ჩრდილოეთ ირანში (სპარსეთში) განხორციელებული ცნობილი ლაშქრობისას, როდესაც ქართული არმია ძალიან ღრმად შევიდა მტრულ ტერიტორიებზე (სადამდისაც „ქართველთა ნათესავი ვერავინ მინვენილ იყო ლაშქრად“) და მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ბრძოლაში არ დამარცხებულა, გარკვეულ დისტანციამდე მიღწევის შემდეგ, მაინც უკან დაბრუნდა. ქართული მატრიანების ცნობით, არმიას მეტი ალაფის ტარება აღარ შეეძლო,³³ ამის გარდა იგი უკვე ძალიან იყო მოწყვეტილი საკუთარ ტერიტორიებს, რის გამოც ლაშქრობის დამთავრება აშკარად სწორი გადაწყვეტილება იყო.

კომუნიკაციებიდან მოწყვეტის შემთხვევაში, რაც უფრო მეტი იყო არმიაში შემავალ მეომართა რაოდენობა, მით უფრო დიდი იყო ამ არმიის დაღუპვის რისკი (თუნდაც ბრძოლების წაგების გარეშე), ამდენად მხედართმთავარს ყოველთვის ზუსტად უნდა გაეთვალა სალაშქრო დისტანციის სიღრმე და მისი არმიის უნარი ამ დისტანციებზე მოქმედებისა. როდესაც რიჩარდ ლომგულმა იერუსალიმისკენ ლაშქრობა შეწყვიტა და უკან დაბრუნდა და ამით უარი თქვა მისი პალესტინაში ყოფნის უმთავრეს მიზანზე, წმინდა ქალაქის დაპყრობაზე, იგი სალადინის არმიასთან შეხვედრას არ გაქცევია (ასეთი შეხვედრები ყოველთვის რიჩარდის გამარჯვებით მთავრდებოდა³⁴), ამით მან საკუთარი არმია არ განირა ბრძოლის გარეშე დასაღუპავად. ასევე აბსოლუტურად სწორად გამოიყურება ზაქარია მხარგრძელის გადაწყვეტილება სპარსეთში ლაშქრობის შეწყვეტის შესახებ, რომელიც მისი გაგრძელების შემთხვევაში, არნახული წარმატებიდან არნახულ დამარცხებად შეიძლება გადაქცეულიყო.

ლაშქრობის განხორციელების დროს არანაკლებ მწვავე პრობლემას წარმოადგენდა არმიის მართვის საკითხი, რომელიც მარშის დროს მრავალ კილომეტრზე იწელებოდა. იმ დროინდელი არმიების მართვა (ინფორმაციის მიღება, ბრძანებების გადაცემა და ა.შ.) ძირითადად მალემსრობების, ე.ი. ცხენის სისწრაფის მეშვეობით ხდებოდა, რაც დიდი არმიების შეკრების შემთხვევაში, მართვის სფეროში უდიდეს პრობლემებს ქმნიდა. მხედრმთავარს ნებისმიერ დროს უნდა სცოდნოდა მისი არმიის სამარშო დისპოზიცია, თითოეული ერთეულის ადგილმდებარეობა და მდგომარეობა, დროული რეაგირება უნდა მოეხდინა მოულოდნელ გარემოებებზე და ა.შ. მაგალითად, როდესაც ბასილი II-თან ომის დროს გიორგი I-ს არმია უკან იხევდა, მის არიერგარდს ბიზანტიელთა ავანგარდი წამოეწია და ბრძოლაში ჩაერთია, რის შესახებაც სამარშო კოლონის სათავეში მყოფმა გიორგი I-მა საკმაოდ გვიან შეიტყო, რაც მისი ამ ბრძოლაში დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.³⁵ მარშის დროს არმიის მართვა მის შემადგენელ ცალკეულ ნაწილებთან კავშირის მაღალ ხარისხს მოითხოვდა, რისი ორგანიზებაც მხედართავრის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა იყო.

ასევე, მხედართმთავრის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო არმიის ყოველდღიური უზრუნველყოფის ორგანიზება, რისი დარღვევის შემთხვევაშიც, ყველაზე ბრძოლისუნარიანი არმიაც კი, შეიძლება მხოლოდ შეიარაღებული ადამიანების უბრალო სიმრავლედ გადაქცეულიყო. მაგალითად, უან ლე ბელს, ინგლისის არმიის 1327 წელს შოტლანდიელთა წინააღმდეგ განხორციელებული ლაშქრობის დროს, აღწერილი აქვს თუ როგორ დაუფიქრებელად გასცა ინგლისის ახალგაზ-

რდა მეფე, ედუარდ III-მ ბრძანება შოტლანდიელთა დევნაზე, ისე რომ ალაღსა და უზრუნველყოფის საკითხებზე არ უფიქრია. დევნის დროს (რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა) ინგლისის არმია მოწყდა საკუთარ ალაღს და უკვე ორი-სამი დღის შემდეგ არ იცოდა რა ეჭამა, კარვების გარეშე ღამე როგორ გაეთია და ცხენებისთვის ამძვრალი და გატეხილი ნალები როგორ გამოეცვალა.³⁶ ამ პრობლემების გამო, არმიის მდგომარეობა ისე გართულდა, რომ საბრძოლო სულისკვეთების დაცემასთან ერთად, მეომრებმა პროტესტის გამოხატვაც დაიწყეს არმიის სარდლობის წინააღმდეგ, რის თავიდან ასაცილებლადაც ედუარდ III-მ წერილი გაუგზავნა თავისი ზურგის უფროსს და (თითქმის მუდარით) უბრძანა, რომ ის რაც შეიძლება სწრაფად ალაღიანად არმიასთან მისულიყო.³⁷ ლაშქრობის უზრუნველსაყოფად, სურსათისა და სხვა პირველი აუცილებელი მარაგების გარდა, არმიასთან უამრავი საჭირო ნივთი და მოწყობილობა უნდა ეტარებინა, რისი ორგანიზება და კონტროლიც, ასევე მხედართმთავრის მოვალეობას წარმოადგენდა. მაგალითად, თემურ-ლენგი თავის ინსტრუქციებში პირადად მიუთითებდა თუ რა სახისა და რაოდენობის ნივთები (ხერხი, ნაჯახი, ნემსი და ა.შ.) უნდა ჰქონოდა თან ყოველ მეომარს, რის გარეშეც იგი ლაშქრობაში არ დაიშვებოდა.³⁸

მხედართმთავრის უშუალო მოვალეობას წარმოადგენდა აგრეთვე კონკრეტული მარშრუტების შერჩევა და აუცილებლობის შემთხვევაში მათი შეცვლა. შუა საუკუნეების გზათა სისტემა საკმაოდ მოუხერხებელი იყო დიდ არმიათა გადაადგილების უზრუნველსაყოფად, რაც სამხედრო მარცხის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო, ამიტომ მხედართმთავრის მოვალეობა იყო წინასწარ ამ გზების დეტალური შესწავლა და შემდეგ გადაადგილების ოპტიმალური მარშრუტების შერჩევა, მაგალითად, ბულგარეთში ლაშქრობის დროს ბიზანტიის იმპერატორი იოანე ციმისხიელი ჯერ მთებში არსებულ გადასასვლელებს სწავლობდა და მერე იღებდა გადაწყვეტილებას მარშრუტის შესახებ,³⁹ ისევე როგორც ალექსი კომნენოსი და მისი მოწინააღმდეგე ბოემუნდი, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვით აგროვებდნენ ინფორმაციას გზებისა და ბილიკების შესახებ ქალაქების, ლარისასა და დევრის მიდამოებში, სადაც ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდნენ.⁴⁰

ბრძოლების ტაქტიკური ხელმძღვანელობისა და არმიის ორგანიზაციული საკითხების მოგვარების გარდა, მხედართმთავრის მოვალეობას მეომართა რიგებში საბრძოლო სულის, დისციპლინის და მორალური განწყობის შენარჩუნებაც წარმოადგენდა. მხედართმთავარს არ უნდა გამოპარვოდა მხედველობიდან მეომართა განწყობის შეცვლა და რა მიზეზითაც (ცუდი მომარაგებით, მტრის სიმრავლით, ლაშქრობის ხანგრძლივობით და ა.შ.) არ უნდა ყოფილიყო გამონეუული, შესაბამისი ზომები უნდა მიეღო, რაც პირველ რიგში, თავად მხედართმთავრისგან თხოულობდა დიდ ფსიქოლოგიურ სიმტკიცეს, რის სანაცვლოდაც, ასეთი მხედართმთავარი მეომრების ნდობითა და სიყვარულით სარგებლობდა, რაც ასევე სამხედრო წარმატებების ერთ-ერთი პირობა იყო. მაგალითად, როდესაც 1107 წელს ალექსი კომნენოსს შეატყობინეს საგანგაშო ცნობა ბოემუნდის მეთაურობით ნორმანდიელთა არმიის ბიზანტიის ტერიტორიებზე შემოჭრის შესახებ, მან თავის მხლებლებს მიმართა, მოდიოთ ჯერ ვისაუზმოთ, ხოლო ნორმანდიელებზე ამის შემდეგ ვიფიქროთო.⁴¹ როდესაც 1228 წელს ისპაჰანში მყოფ ჯალალ ადდინს მოულოდნელად მონღოლთა დიდი არმია მიადგა, იგი თავის შემოფოთებულ ემირებს დიდი ხანი ისე ესაუბრა, რომ მონღოლები არც უხსენებია, ხოლო შემდეგ

ისპაჰანის მოსახლეობისგან დაკომპლექტებულ სამხედრო რაზმს ქალაქში დარჩენა უბრძანა, რადგან მისი სიტყვით მონღოლთა წინააღმდეგ ამდენი მეომარი არ დასჭირდებოდა.⁴²

ყოველივე აღნიშნული ნათლად აჩვენებს, რომ შუასაუკუნეებში მხედართმთავრობა კომპლექსურ მცნებას წარმოადგენდა და ამ ფუნქციის შემსრულებელი სამხედრო პირისგან, დიდი სიმამაცის გარდა, სხვადასხვა უნარ-ჩვევების ერთობლიობას მოითხოვდა. მხედართმთავრობა არ ნიშნავდა მხოლოდ პირად სიმამაცესა და ბრძოლის დროს არმიის ტაქტიკური მეთაურობის უნარს, მხედართმთავარს უნდა შესძლებოდა მასშტაბური კამპანიების წარმართვა, მოვლენებისა და ვითარების კომპლექსური ხედვა, უზრუნველყოფის ამოცანების გადაჭრა და ა.შ. რაც მის წინაშე ტაქტიკის კარგი ცოდნის გარდა სტრატეგიული აზროვნების უნარსაც მოითხოვდა და ვინც ამ თვისებებს ერთობლიობაში ფლობდა, მხოლოდ ის შეიძლებოდა ყოფილიყო ნამდვილი მხედართმთავარი.

დროშები და მათი ფუნქციები

შუა საუკუნეების (ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ეპოქის) არმიების აუცილებელ ატრიბუტს დროშა წარმოადგენდა, რომელიც გამოსახული იყო სხვადასხვა სიმბოლიკა და ერთმანეთისგან ზომით, ფერით და ზედ დატანილი გამოსახულებებით განსხვავდებოდა. დროშა გამოხატავდა მათ მფლობელთა სარწმუნოებისადმი კუთვნილებასა და სოციალურ მდგომარეობას. გარდა ასეთი ზოგადი ინფორმაციული და მასთან ერთად მაღალი სიმბოლური მნიშვნელობისა, დროშას პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა. ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია იყო მფლობელობის (კუთვნილების) ფიქსაცია. ქალაქის, ციხე-სიმაგრის, საცხოვრებელი სახლის თუ სხვა რომელიმე ნაგებობაზე აღმართული დროშა მისი მფლობელის ვინაობაზე მიუთითებდა. როდესაც 1096 წელს ჯვაროსნებისა და ბიზანტიელთა გაერთიანებულ არმიას ალყა ჰქონდა შემორტყმული ნიკეაზე, სელჯუკებმა, რომელთაც ჯვაროსნების სისასტიკის ეშინოდათ, ქალაქი ბიზანტიის იმპერატორს ჩააბარეს, რომლის პირადი დროშებიც დაუყოვნებლივ აღიმართა ქალაქის გალავნის კოშკებზე, რითაც უპირველეს ყოვლისა ჯვაროსნები იქნენ გაფრთხილებულნი, რომ ქალაქი უკვე ბიზანტიელებს ეკუთვნოდათ და მის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები უნდა შეენწყვიტათ.¹ როდესაც არტანუჯის მფლობელმა აშოტ ერისთავმა ციხე-ქალაქის ბიზანტიელთათვის გადაცემა მოინდომა, მან ურჩია იმპერატორის მიერ არტანუჯში გაგზავნილ ემისარს, რომ მას პირველ რიგში, ქალაქის თავზე საიმპერატორო დროშა აღემართა, რათა ყველას დაენახა რომ არტანუჯი უკვე ბიზანტიის იმპერატორის კუთვნილება იყო.² უსამა იბნ მუნკიზის მიხედვით, როდესაც ჯვაროსნებმა მუსლიმური ქალაქი მასიასი აიღეს, მათ უპირველეს ყოვლისა საცხოვრებელი სახლები დაინანილეს და მათზე საკუთარი დროშები აღმართეს,³ ხოლო როდესაც ილ-ლაზის ვაჟი თიმურ-ტაში ალექსო დაეუფლა, მანაც პირველ რიგში, საკუთარი დროშა აღმართა ქალაქის თავზე.⁴ უან ლე ბელი მიუთითებს, რომ 1327 წელს, შოტლანდიელების წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის დროს, როდესაც ინგლისის არმიას ალალი ჩამორჩა, საზიდრებზე მათ მფლობელთა დროშები დაამაგრეს რათა გაუგებრობები არ მომხდარიყო.⁵ ძალიან საინტერესოა აკრას შემთხვევა 1192 წელს, როდესაც ჯვაროსნების მიერ ქალაქის აღების შემდეგ მის კოშკებზე, ალყის მონანილე საფრანგეთის, ინგლისისა და

გერმანიის არმიების მხედართმთავართა დროშები აღმართეს. რამდენადაც განსხვავებით საფრანგეთ-ინგლისისგან, რომელთა არმიებსაც ამ ქვეყნების მონარქები მეთაურობდნენ, ხოლო გერმანული არმიის სათავეში ჰერცოგი ლეოპოლდ ავსტრიელი ედგა, ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგულმა ჩათვალა, რომ ავსტრიელ ჰერცოგს არ შეეძლო უფლება განეცხადებინა ქალაქის რაიმე ნაწილის მფლობელობაზე და ბრძანება გასცა, რომ მისი დროშა ჩამოეხსნათ, რაც ინგლისელმა მეომრებმა საკმაოდ უხეში ფორმით შეასრულეს. შემდგომში, ეს შემთხვევა გახდა მიზეზი რიჩარდ ლომგულის ავსტრიის ტერიტორიებზე დატყვევებისა.⁶

გარდა მფლობელობითი ფუნქციისა, დროშას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო საქმეში. დროშის მათი მეშვეობით ხდებოდა არმიების მართვა როგორც მარშისა და ბანაკად დგომის, ასევე ბრძოლების დროსაც. დროშებს სამხედრო საქმეში ისეთივე პრაქტიკული დანიშნულება გააჩნდათ, როგორც საბრძოლო იარაღს, ან ხმოვან ინსტრუმენტებს, მათ გარეშე სამხედრო მოქმედებების წარმოება შეუძლებელი იყო.

სამხედრო ფუნქციებიდან დროშების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება იყო საორიენტაციო ფუნქციის შესრულება არმიაში შემავალი სხვადასხვა დანაყოფებისთვის. ის წარმოადგენდა ვიზუალურ ნიშანს, რომლის გარშემოც მეომრები ცალკეულ რაზმებად გროვდებოდნენ და მოძრაობდნენ შეკრების, დაბანაკების, მარშისა თუ ბრძოლის დროს. სამარშო კოლონებად თუ საბრძოლო ხაზებად მოწყობისას, თითოეული მეომრის უმთავრეს ორიენტირს დროშა წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც იგი დროის დაკარგვისა და ზედმეტი ფაციფუცის გარეშე იკავებდა თავის ადგილს სამარშო კოლონასა თუ საბრძოლო წყობაში. მაგალითად, ვალტერ გოტიეს დეტალურად აქვს აღწერილი, თუ როგორ დაიკავეს დროშების მეშვეობით ანტიოქიის არმიაში შემავალმა ცალკეულმა რაზმებმა საბრძოლო პოზიციები, სისხლიანი ველის ბრძოლის წინ, 1119 წელს.⁷ მსგავსი შინაარსის ცნობას იძლევა ჟან ლე ბელიც, რომელიც მიუთითებს, რომ ინგლისის არმიის ყველა მეომარი მარშირების დროს თავის დროშას მიჰყვებოდა.⁸ ისევე როგორც საფრანგეთის არმიის მეომრები, რომლის ყველა ქვედანაყოფსაც ფლანდრიული ქრონიკის მიხედვით, 1328 წელს, მარშის დროს წინ საკუთარი დროშა უძლოდა.⁹ აბსოლუტურად იგივე სურათია ნებისმიერი სხვა არმიის (არაბული, ბიზანტიური, მონღოლური და ა.შ.) შემთხვევებშიც. გარდა კოლონებად მოძრაობისა, დროშებს იყენებდნენ საბრძოლო წყობის სისწორის შესანარჩუნებლადაც. მავრიკიოსის მიხედვით, ბრძოლის დაწყების წინ, როდესაც მოწინააღმდეგეები იწყებდნენ ერთმანეთთან დაახლოებას, ბიზანტიური არმიის ყოველ ქვედანაყოფში მედროშეები პირველ რიგში დგებოდნენ და მეომრები მის გასწვრივ მოძრაობდნენ, რითაც რიგების სისწორე არ ირღვეოდა. ხოლო როდესაც საბრძოლო წყობა მტრის რიგებს მიუახლოვდებოდა, მედროშეები უკანა რიგებში გადადიოდნენ და მათ წინ სხვა მეომრები დგებოდნენ.¹⁰

საორიენტაციო ფუნქციებთან ერთად, სამხედრო საქმეში დროშებს ჰქონდათ იერარქიული, ორგანიზაციული და ტაქტიკური დანიშნულებაც, რის მიხედვითაც ისინი სხვადასხვა კატეგორიებად იყოფოდნენ.

არმიას ყოველთვის თან ახლდა მთავარი დროშა, რომელიც იმ პოლიტიკური ერთეულის (სამეფოს, სამთავროს, საჰერცოგოს, საერისთაოს, სამეიროს და ა.შ.) უმთავრეს სიმბოლოს წარმოადგენდა, რომელსაც იგი მიეკუთვნებოდა. იმის გამო, რომ ეს სიმბოლო მაქსიმალურად ხილვადი უნდა ყოფილიყო მთელი არმიისთვის,

ამიტომ ის სხვა კატეგორიის დროშებისგან დიდი ზომებით გამოჩნეოდა. მაგალითად, იოანე კინამოსი და ნიკიტა ხონიატი მიუთითებენ 1167 წელს, სავეს ბრძოლაში ბიზანტიელთა ხელში ჩავარდნილ უნგრული არმიის მთავარ დროშაზე, რომელიც საზიდარზე იყო დამაგრებული და ოთხი წყვილი ჯორი ატარებდა.¹¹ ატ-ტაბარის მიხედვით, ბაბეკის წინააღმდეგ მოქმედ არაბ სარდალს ალ-აფმინს ჰქონდა 12 უზარმაზარი დროშა, რომლებიც მას ასევე 12 ჯორით გადაჰქონდა.¹² მსგავსი ხასიათის ცნობას იძლევა მარკო პოლოც, რომლის მიხედვითაც მონღოლთა დიდი ყაენის, ჰუბილაის დიდი დროშას ოთხი (?) სპილო ატარებდა.¹³ რასაკვირველია, დასახელებული მაგალითები, თუ ისინი გაზვიადებულნი არ არიან, გამონაკლისია და ამ კატეგორიის დროშები ხელით სატარებელი სიმბოლოები იყო, როგორც მაგალითად, საფრანგეთის არმიის მთავარი დროშა, ე.წ. „ორიფლემი“, რომელიც მშვიდობიანობის დროს წმ. დიონისის სააბატოში ინახებოდა, ხოლო ლაშქრობის დროს საფრანგეთის მეფეს ახლდა თან, როგორც ეს აღწერილია მაგალითად, ფლამანდრიულ ქრონიკაში.¹⁴ საქართველოში ასეთ მთავარი დროშა უნდა ყოფილიყო „დიდი დროშა“, რომელიც მოხსენიებულია ხელმწიფის კარის გარიგებაში.¹⁵

მთავარ (იგივე დიდ) დროშას, იერარქიულად მოჰყვებოდა არმიის სხვა სიმბოლოები, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი მეფის პირადი დროშა იყო. შუა საუკუნეების მრავალრიცხოვანი მინიატურები გარკვევით მიანიშნებენ, რომ მეფეთა პირადი დროშები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევებში ნაგრძელებული სამკუთხედის მქონე ალამებს წარმოადგენდნენ, ყოველთვის მთავარ დროშასთან ერთად იმყოფებოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ არმიის ეს ორი უმთავრესი სიმბოლო მუდმივად მეფის გვერდში იყო როდესაც ის პირადად სარდლობდა არმიას, როგორც ეს იყო მაგალითად, უკვე აღნიშნული მთავარი ფრანგული დროშის, ორიფლემის შემთხვევაში, რომლის გვერდითაც აუცილებლად ფრიალებდა საფრანგეთის მეფის დროშა, როდესაც ის არმიას პირადად სარდლობდა.¹⁶ იმ შემთხვევებში კი, როდესაც არმიის მეთაურობას სხვა პირი ახორციელებდა, მთავარი დროშის გვერდით მეფის პირადი ალამის ნაცვლად, მისი შემცვლელის სიმბოლო დგებოდა. საქართველოს მეფეების პირადი დროშა, სეფე ალამი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ხელმწიფის კარის გარიგება, მთავარი (დიდი) დროშის გვერდით იხსენიებს.¹⁷ აქ იგი დასახელებულია, როგორც შუბზე აღსამართი ალამი („შუბი სეფე აღმითა“), რაც შეიძლება მის ისეთივე სამკუთხა ფორმაზე მიუთითებდეს, როგორიც ეს ფართოდ იყო გავრცელებული იმ პერიოდში. დაახლოებით მსგავს განმარტებას იძლევა დროშისა და ალამის შესახებ სულხან-საბა, მისი მიხედვით დროშა „გუნდთა და გუნდთა საცნობელია“,¹⁸ ხოლო ალამი (სპარსულად დროშა) შუბზე დასამაგრებელი ნიშანი.¹⁹

დიდი დროშისა და მეფის პირადი ალამის შემდგომი მნიშვნელობის იყო მსხვილი სამხედრო დანაყოფების დროშები და იმ პირთა ალმები, რომლებსაც მაღალი მდგომარეობა ეკავათ როგორც არმიაში, ასევე სოციალურ იერარქიაში. ეს პირები იყვნენ ის დიდგვაროვნები, რომლებიც თავისი სამხედრო რანგის შესაბამისად სხვადასხვა სიდიდის ტაქტიკურ-ორგანიზაციულ დანაყოფებს მეთაურობდნენ. ასეთ სამხედრო დანაყოფებში (მაგალითად, ბიზანტიურ ხილიარხიაში, მონღოლურ ტუმენში (დუმანში), ქართულ საერისთაოში, თემურ-ლენგის ათასეულში და ა.შ.), მთავარი სიმბოლოები იგივე პრინციპით არსებობდა, როგორც მთლიანად არმიაში, ანუ ყოველ ასეთ დანაყოფს ჰქონდა თავისი მთავარი დროშა, რომლის გვერდითაც მისი მეთაურის (ხილიარხოსის, ნოინის, ერისთავის, ათასისთავის და

ა.შ.) პირადი დროშები იმყოფებოდა. ასეთ ერთეულთა მთავარი დროშები, პირველ რიგში, ტაქტიკური დანიშნულების სიმბოლოებს წარმოადგენდა. მათი მეშვეობით ბრძოლის დროს ხდებოდა სხვადასხვა მანევრების შესრულება: გადაჯგუფება, რეზერვის გამოყენება, შეტევაზე გადასვლა, უკან დახევა, ფლანგებზე გარს შემოვლა და ა.შ. ყველა ამ მანევრის შესრულების დროს, ყოველი მეომარის მთავარი ორიენტირი ის ტაქტიკური დროშა იყო, რომელ დანაყოფსაც იგი მიეკუთვნებოდა.

რიგ შემთხვევებში, საკუთარი დროშები ჰქონდათ უფრო მცირე სიდიდის მქონე (არა ტაქტიკურ) ქვედანაყოფებსაც, თუმცა ეს უფრო დასავლეთ ევროპული არმიებისთვის იყო დამახასიათებელი, სადაც მაგალითად, ნებისმიერ რაინდს შეიძლებოდა მიეღო „ბანერატის“ ნოდება, რაც მას უფლებას აძლევდა თავისი აღმით ემეთაურა მცირე სიდიდის ორგანიზაციული ქვედანაყოფისთვის, რომელიც როგორც წესი, ოთხი-ხუთი რაინდის, ათი-თხუთმეტი საჭურველმტვირთავისა და ორი-სამი ათეული ქვეითი მეომრისგან (უპირატესად მოისრეების, ან მეარბალეტეებისგან) შედგებოდა.²⁰ რაც შეეხება აღმოსავლურ არმიებს, აქ მცირე სიდიდის დანაყოფებს აღმები ნაკლებად გააჩნდათ, მაგალითად, თემურ-ლენგის არმიამში უმცირესი ქვედანაყოფი, რომელსაც შეიძლებოდა დროშა ჰქონოდა, იყო ათასეული, რომელიც ძირითად ტაქტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ათასეულში შემავალი ორგანიზაციული დანაყოფები კი (ასეული და ათეული), დროშებს არ ატარებდნენ (ე.ი. მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეულები იყვნენ და არა ტაქტიკური).²¹

დროშებს ჰქონდა სასიგნალო ფუნქციებიც, მათი მეშვეობით ხდებოდა უმთავრესი ბრძანებების (შეტევაზე გადასვლის ან უკან დახევის) გადაცემა არმიამში (ან ცალკეულ ტაქტიკურ დანაყოფში) შემავალ ქვედანაყოფებზე, რაც შემდგენაირად ხორციელდებოდა, დროშის წრიული მოძრაობა, ან წინ გადახრა შეტევის,²² ხოლო ძირს დახრა უკან დახევას აღნიშნავდა, რაც შემდგომ უკვე ხმოვანი სიგნალების მეშვეობით ვრცელდებოდა ყველა მეომარზე. როდესაც მხედარმთავარი იღებდა რომელიმე ამ გადანყვებილებას და მედროშე ამ მოძრაობებს ასრულებდა, ამას ხედავდნენ სხვადასხვა ქვედანაყოფების მესაკრავეები და მათ უკვე ხმოვანი ინსტრუმენტების (ბუკების, ნალარების, ტიმპანების და ა.შ.) მეშვეობით დაჰყავდათ ეს ბრძანება ყველა მეომარამდე.

დროშების ამ ფუნქციებთან დაკავშირებით, ძალიან საინტერესო ცნობა აქვს დაცული ალ-ასირს, მისი მიხედვით, როდესაც სალადინის ვაჟმა ჰატინის ბრძოლაში ჯვაროსნების მიერ განხორციელებული რამდენიმე შეტევის წარმატებით მოგერიება ბრძოლის მოგებად ჩათვალა და ამის შესახებ სალადინს აცნობა, მან უპასუხა, რომ სანამ იერუსალიმის მეფის დროშა ზემოთ აწეული იფრიალებდა და ძირს არ დაიხრებოდა, მანამ ჯვაროსანები დამარცხებულებად არ უნდა ჩათვალა და ბრძოლის გააგრძელებისთვის მზად უნდა ყოფილიყო.²³ ასევე ძალზედ საყურადღებო ეპიზოდია გადმოცემული თემურ-ლენგის ავტობიოგრაფიაში, რომლის მიხედვითაც თემურმა მოისყიდა ოქროს ურდოს ყაენის, თოხთამიშის პირადი მედროშე, რომელსაც ბრძოლის გარკვეულ მომენტში თოხთამიშის დროშის შესაბამისი მოძრაობით (დაბლა დახრით), უკანდახევის ბრძანება უნდა მიეცა ოქროს ურდოს არმიისთვის.²⁴ იგივე ხასიათის ცნობები აქვს დაცული ანა კომნენოსსაც, რომლის მიხედვითაც ნიკიფორ ვრიენოსისა და ალექსი კომნენოსის ბრძოლის დროს, ნიკიფორეს არმიამში უკანდახევის ნიშანი დროშის დაბლა დახრით მისცეს,²⁵

ხოლო ნორმანებსა და ბიზანტიელებს შორის შემდგარი ლარისას ბრძოლის დროს, ერთ-ერთმა ბიზანტიელმა მეომარმა ხელში ჩაიგდო ნორმანთა მხედარმთავრის ბოემუნდის დროშა და იგი ძირს დახარა, რაც ნორმანმა მეომრებმა უკანდახევის ბრძანებად მიიღეს და დაუყოვნებლივ შეასრულეს.²⁶ ასევე ნარმატებით გამოიყენა 1161 წელს, ათაბაგ ილდენიზის წინააღმდეგ ბრძოლაში, მთავარი დროშის ფაქტორი საქართველოს მეფე გიორგი III-მ, რომელმაც თავის მეომრებს მისცა დავალება, რომ „უმსწრაფეს უხეთქნეთ დროშის მქონესა, და დაცემით მისითა დაცვით ბანალი ნავალისი,“ როგორც ჩანს, ეს დავალება ნარმატებით შესრულდა და როდესაც მოწინააღმდეგეებმა „იხილეს დროშა დაცემული მკლავითა აქილიანითა (ე.ი. ქართველთა ს.მ.),“ ბრძოლის ველიდან გაიქცნენ.²⁷

დროშების ასეთი მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ისინი ბრძოლის დროს განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებდნენ, რათა მოწინააღმდეგეს არ ჩაეგდო ხელში და სანინააღმდეგო მიზნებით არ გამოეყენებინა. წერილობით წყაროებში ვხვდებით არაერთ მითითებას იმის შესახებ, რომ დროშებს მეომართა სპეციალური რაზმი იცავდა. მაგალითად, მავრიკიოსის ტრაქტატის მიხედვით, ბიზანტიურ არმიასი თითოეული დროშა, 15-20 უმამაცეს მეომარს უნდა დაეცვა,²⁸ თორმეტ რაინდს უნდა დაეცვა ესპანური არმიების დროშა,²⁹ საფრანგეთში, მთავარი სამხედრო დროშა ორიფლამი უმამაცეს რაინდს ებარა, რომელსაც ფიცი ჰქონდა დადებული, რომ ცოცხალი დროშას მტერს არ ჩაუგდებდა ხელში³⁰ და ა.შ. გარდა საგანგებო დაცვისა, დროშები საკმაოდ ფრთხილ მოპყრობასაც საჭიროებდნენ, რათა რაიმე გაუფრთხილებელი მოქმედება მეომრებს კონკრეტულ ბრძანებად არ აღეთქვათ, როგორც ეს მოხდა მაგალითად, რუმის სულთნისა და ჯალალ ად-დინის ბრძოლის დროს 1230 წელს. ბრძოლის მსვლელობისას, რომელიც ხორეზმელების უპირატესობით მიმდინარეობდა, ჯალალ ად-დინმა თავი შეუძლოდ იგრძნო და ბანაკში დასვენება გადაწყვიტა, მისი ბრძოლის ველიდან გასვლის შემდეგ, მისმა მსახურებმა დაუფიქრებლად მისი დროშაც წაიღეს თან, რაც მეომრებმა უკან დახევის ნიშნად ჩათვალეს და თითქმის მოგებულ ბრძოლა, მოულოდნელი უკან დახევით წააგეს.³¹ დროშის დაკარგვა არც ბრძოლის შემდეგ (მიუხედავად დამარცხებისა თუ გამარჯვებისა) იყო სასურველი, რადგან გარდა მორალური ზიანისა, მოწინააღმდეგეს იგი შეიძლება პრაქტიკული მიზნებითაც გამოეყენებინა შემდგომი ბრძოლების დროს, ამიტომ მის დაცვაზე არასაბრძოლო ვითარებაშიც საგანგებოდ ზრუნავდნენ. მაგალითად, 1087 წელს დიდი პრესლავის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, მხლებლების გარეშე დარჩენილმა ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა, ვერ გარისკა დროშის თან ტარება და იგი საგანგებოდ დამალა.³² მეომრები, რომლებიც დროშას გაუფრთხილებლად ექცეოდნენ, ან ბრძოლაში კარგავდნენ, მკაცრად ისჯებოდნენ. მავრიკიოსის მიხედვით ის, ვინც ბრძოლის დროს დროშას მიატოვებდა და გაიქცეოდა, სიკვდილით უნდა დასჯილიყო, ხოლო თუ ადვილად, სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე დაუთმობდა მტერს, უმდაბლეს ჩინამდე უნდა დაქვეითებულიყო.³³ უფრო მკაცრი იყო შუა საუკუნეების ჩინური კანონმდებლობა, 1044 წლის სამხედრო ტრაქტატის, „უცზინ ცაუნ იაო-“ს მიხედვით, დროშის დაკარგვისთვის მთელი რაზმი სიკვდილით ისჯებოდა.³⁴

თავისი ფუნქციური დანიშნულებებიდან გამომდინარე, დროშებს მაღალი ინფორმაციული ღირებულება გააჩნდათ. მათი მიხედვით, შესაძლებელი იყო როგორც არმიის სიდიდის, ასევე მისი შემადგენელი სახეობების განსაზღვრაც,

რის გამოც წერილობითი წყაროები არმიათა სიდიდეებს საკმაოდ ხშირად არა ციფრებით, არამედ დროშების რაოდენობით გადმოსცემდნენ. მაგალითად, თამარის პირველ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ გუზან ტაოსკარელის აჯანყების დროს, შაპარმენისარმია, 12 დროშის შემადგენლობით შემოვიდა საქართველოში,³⁵ რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეს არმია 12 000 მეომრისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. არმიის სიდიდის განსაზღვრის იგივე მეთოდს იყენებს, მაგალითად, ფლანდრიული ქრონიკის ანონიმი ავტორიც, რომელიც საფრანგეთის არმიას არა ციფრებით, არამედ დროშების რაოდენობით მიუთითებს.³⁶ რასაკვირველია, შუა საუკუნეების ეპოქაში, როდესაც ძალიან კარგად იცოდნენ ამა თუ იმ დროშის მნიშვნელობა და მისი წინამძღოლობით გაერთიანებული სამხედრო ქვედანაყოფის სიდიდე, მონინაალმდეგის არმიის რაოდენობის დადგენის შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენდა. მაგალითად, თუ დაზვერვა მონღოლური არმიის შემადგენლობაში დააფიქსირებდა ტუმენის ორ დროშას, უკვე ცხადი იქნებოდა, რომ მონღოლთა არმია 20 000 მეომრისგან შედგებოდა. დროშების ეს ინფორმაციული მხარე დიდ შესაძლებლობებს იძლეოდა მონინაალმდეგის შეცდომაში შესაყვანად, მათი მეშვეობით შეიძლებოდა მონინაალმდეგისთვის ეჩვენებინათ მხედარმთავრის ცრუ პოზიცია, როგორც ეს გააკეთა, მაგალითად, ალექსი კომნენოსმა ლებურნესა (1191 წ.) და ლარისას (1207 წ.) ბრძოლებში. პირველ შემთხვევაში, მან მოკავშირე ყივჩაღების პოზიციაზე აღმართა საიმპერატორო დროშა, რათა მონინაალმდეგე პაჭანიკებს იმპერატორი იქ მყოფად მიეჩნიათ და ყივჩაღებთან მოლაპარაკების დაწყება არ ეცადათ,³⁷ ხოლო მეორე შემთხვევაში, მან საიმპერატორო ინსიგნიებით (პირველ რიგში კი, დროშით) აღჭურვა სხვა მხედარმთავარი, რათა მის მონინაალმდეგე ნორმანებს მიეჩნიათ, რომ იმპერატორი ძირითადი ძალებით იქ იმყოფებოდა და თავადაც ამ მონაკვეთზე მოეყარათ მთავარი ძალებისთვის თავი, თავად კი, ამ დროს, მთავარი ძალებით ჩასაფრებაში წავიდა.³⁸

დროშების მეშვეობით შესაძლებელი იყო მონინაალმდეგისთვის შეექმნათ სიმრავლის ან სიმცირის შთაბეჭდილება, ანუ ერთი დანაყოფის აღმნიშვნელი დროშის ნაცვლად აღემართათ რამდენიმე, რომ მტერს არმია უფრო მრავალრიცხოვნად მიეჩნია, ვიდრე ის სინამდვილეში იყო, ან პირიქით, დროშების დამალვით მოეხდინათ ცრუ მცირერიცხოვნობის დემონსტრირება, როგორც ეს გააკეთა, მაგალითად, რუმელ სელჯუკთა მცირერიცხოვანმა არმიამ მანუელ კომნენოსის შეცდომაში შესაყვანად კავალას ბრძოლაში, როდესაც დამალა საკუთარი დროშები, რათა მათზე მრავალრიცხოვან ბიზანტიელებს მათი რაოდენობის განსაზღვრა არ შეძლებოდათ და მათ მრავალრიცხოვნობაში დარწმუნებულეებს, ბრძოლის დაწყება გადაეფიქრათ.³⁹ ანალოგიური ბრძანება (არ გაეშალათ დროშები სპეციალურ სიგნალამდე) მისცა თავის მეომრებს არაბმა სარდალმა ალ-აფშინმა, რომელსაც არ სურდა, რომ მონინაალმდეგეს (ბაბექს) დროზე ადრე მისი არმიის რაოდენობა შეეტყო.⁴⁰ დროშის მეშვეობით მონინაალმდეგის შეცდომაში შეყვანის საინტერესო მაგალითი აქვს მოყვანილი ჟამთააღმწერელს, რომლის მიხედვითაც მტკვრის (გურკლის) ბრძოლაში, აწყურის სიახლოვეს, მონღოლ სარდლს თეგუდარსა და ქართულ-მონღოლურ არმიას შორის (XIII ს. 70-ინ წლები), სადაც რიცხობრივი უპირატესობა ამ უკანასკნელს ჰქონდა, თეგუდარის ერთ-ერთმა მეთაურმა (თოლაქ დემურმა) 30 მეომრის თანხლებით გადალახა მტკვარი და გავიდა მონინაალმდეგის ზურგში. აქ თოლაქ დემურმა „აღაბა ალამი რამე სხუა დროშისა“ (ე.ი. აღმართა სხვა დროშა, ალბათ უფრო დიდი დანაყოფის აღმნიშვნელი) და დაიწყო

შეტევა ქართულ-მონღოლურ არმიაზე, რომლის სარდალიც, ყურუმჩი ბაადური ამ დროშის გამო შეცდომაში შევიდა, 30 მეომრი მრავალრიცხოვანი მტრის შეტევად მიიჩნია, გაიქცა და ბრძოლა წააგო.⁴¹

დროშების მეშვეობით ინფორმაციის გაცემის თავიდან ასაცილებლად მავრიკოსი რეკომენდაციას იძლეოდა, რომ ერთი და იგივე სიდიდის ქვედანაყოფები დაეკომპლექტებინათ სხვადასხვა რაოდენობის მეომრებისგან, რათა მტერს დროშის მიხედვით მათი ზუსტი რაოდენობა ვერ დაეთვალა,⁴² რისთვისაც ყოველ ქვედანაყოფს ორი ერთნაირი დროშა უნდა ეტარებინა და მხოლოდ უშუალოდ ბრძოლის წინ აღემართა ერთი მათგანი, რათა უშუალოდ ბრძოლის დროს საკუთარი მეომრებიც რომ არ შესულიყვნენ შეცდომაში.⁴³ იგივე რჩევას იძლეოდა ბიზანტიელი მხედარმთავარი კეკავმენოსიც.⁴⁴

სამხედრო დროშები სხვადასხვა სიდიდისა და ზომის იყო, დროშების ზომა, მათი მნიშვნელობისა და დანიშნულების მიხედვით განისაზღვრებოდა. ყველაზე დიდი ზომის მთავარი დროშები იყო, რაც (როგორც უკვე იყო აღნიშნული) იმით იყო განპირობებული, რომ მათი დანახვა მეომართა მაქსიმალურად მეტ რაოდენობას უნდა შეძლებოდა. ასევე დიდი ზომების იყო ტაქტიკური ერთეულების (ათასეულებისა და უფრო მსხვილი ერთეულების) დროშები, რომლებიც აგრეთვე მეომართა მნიშვნელოვანი რაოდენობის მხედველობის არეში უნდა ყოფილიყო მოქცეული, რაც შეეხება უფრო მცირე ერთეულების, ან დიდგვაროვან მეომართა პირად დროშებს, ისინი ხშირ შემთხვევებში შუბზე წამოსაცმელი საშუალო ან მცირე ზომების ბაირალებითა და აღმებით იყო წარმოდგენილი, რომელთა შორის ძალიან პოპულარული იყო ე.წ. დრაკონის ტიპის ბაირალები, რომლებიც სხვადასხვა რეალურ თუ მითიურ ცხოველებს გამოსახავდნენ და ქარისგან გაბერილები ამ ცხოველთა სხეულის ფორმას იღებდნენ. ეს ტიპი, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის რომაული, სარმატული, სასანიდური და სხვა არმიებიდანაა კარგად ცნობილი,⁴⁵ ფართოდ იყო გავრცელებული შუასაუკუნეებშიც, ჩინეთიდან დასავლეთ ევროპამდე,⁴⁶ მათ შორის საქართველოშიც, სადაც დღემდის შემორჩენილია ლომის ფორმის მქონე, „დრაკონის ტიპის“ ბაირალის, შესანიშნავი ნიმუში, ე.წ. „ლომი დროშა.“⁴⁷

სასიგნალო სისტემები

მარშის, დაბანაკებისა თუ ბრძოლის დროს სხვადასხვა აუცილებელი ბრძანებების გადაცემა მეომრებზე, დროშებთან ერთად, სხვადასხვა სახის ხმოვანი ინსტრუმენტებით, ბუკებით, ნალარებით, ფლეიტებით, ტიმპანებით, ბარაბნებითა და სხვა მსგავსი საკრავებით ხდებოდა. მათ მნიშვნელობაზე კარგად მიუთითებს ნიკიტა ხონიატის ის შედარება, რომლითაც იგი სამხედრო საქმეში არაკომპენტურ ხალხს ახასიათებდა. მისი მიხედვით, მანუელ კომნენოსმა მირიოკეფალის ბრძოლა იმიტომ წააგო, რომ იმ მრჩევლებს დაუჯერა, რომელთაც საბრძოლო ბუკის ხმა არასოდეს გაეგონათ.¹ ხონიატის ეს აღგებრიული შედარება ნამდვილად რეალურად ასახავს ხმოვანი ინსტრუმენტების დანიშნულებას, ბუკებისა და საყვირების ხმა სამხედრო საქმის განუყრელი კომპონენტი იყო, ის გამუდმებით ესმოდა ნებისმიერ მეომარს სამხედრო მომზადების, მარშირების, ბანაკად დგომისა თუ ბრძოლის დროს, მათთვის ამ საკრავების მიერ გამოცემული სიგნალები იმ ბრძანებებს წარმოადგენდნენ, რომელთა შესაბამისადაც მათი ნების-

მიერი ქმედება რეგულირდებოდა. ხმოვანი ინსტრუმენტების (და მათთან ერთად დროშების) მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ სუნ-ძი მიუთითებდა ძვ.წ. V საუკუნეში, მისი მიხედვით, გონგები, ბარაბნები, დროშები და შტანდარტები, მეომრების ყურებსა და თვალებს აერთიანებენ.²

სუნ-ძის ეს გამონათქვამი აბსოლუტურად ზუსტად გამოხატავს სმოვანი ინსტრუმენტების ფუნქციებს, რომლებიც იმ პირობებში, როდესაც თითოეულ მეომარს ნამდვილად არ შეეძლო საკუთარი ყურით მოესმინა გაცემული ბრძანება, ან თვალთ დაენახა დროშით მიცემული ნიშანი, ერთადერთი საშუალებას წარმოადგენდნენ მათთვის ბრძანების გადასაცემად. საკრავების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყველა არმიაში მესაკრავეთა სპეციალური დანაყოფები არსებობდა, რომლებიც შედიოდნენ როგორც ცენტრალურ მმართველობაში, ასევე თითოეული ადმინისტრაციულ-ტაქტიკური დანაყოფის შემადგენლობაში და მარშისა თუ ბრძოლის დროს მეთაურების სიახლოვეს იმყოფებოდნენ. მაგალითად, იოანე კინამოსი მანუელ კომნენოსის არმიაში მიუთითებს სამეფო მესაყვირეთა დანაყოფის არსებობას, რომელთაც მანუელი ხშირად აძლევდა ბრძანებას ჩაებერთა საყვირებისთვის რათა მოწინააღმდეგეს გაეგო, რომ არმიას პირადად იმპერატორი სარდლობდა და შიში გასჩენოდა.³ რობერ დე კლარის მიხედვით, ბიზანტიის საიმპერატორო მეზუკეებს ვერცხლის საყვირები ჰქონდათ.⁴ სამეფო ბარაბანს („რიგითი“, ე.ი. სხვადასხვა ქვედანაყოფების ბარაბნების გვერდით) თემურ-ლენგის ინდოეთში ლაშქრობის აღწერისას იხსენიებს გიიას ად-დინ ალი, მისი მიხედვით ამ ბარაბნის ხმა ზეცას სწვდებოდა.⁵

საკრავებით (როგორც სასულე, ასევე დასარტყმელით) გაიცემოდა მარშირების დაწყებისა და დასრულების ბრძანებები. მაგალითად, ანა კომნენოსი ბიზანტიელთა ერთ-ერთი ლაშქრობის აღწერისას (ისევე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში) აღნიშნავდა, რომ იმპერატორის ნიშანზე არმიას საყვირით ჯერ შეჩერების ბრძანებას აძლევდნენ, ხოლო შემდეგ ადგილიდან დაძვრისას.⁶ ანალოგიურად ახორციელებდა მარშს დამასკოდან ასკალონისკენ უსამა იბნ მუნკიზის მოქირავნეთა რაზმი, რომელიც ლამის გასათევად ბუკით მიცემულ სიგნალზე ჩერდებოდა და იგივე სიგნალის შემდეგ დილით მარშს იწყებდა.⁷ საკრავები, როგორც წესი, ფლეიტები და დასარტყამი ინსტრუმენტები, ხშირად გამოიყენებოდა მარშირების რიტმის (სწორი ნაბიჯის) შესანარჩუნებლად, მაგალითად, ატ-ტაბარის მიხედვით, ალ-აფშინის არაბული არმია ბარაბნების ხმაზე გადაადგილდებოდა, ხოლო თუ დაკვრა შეწყდებოდა, მეომრები ჩერდებოდნენ.⁸ ვალტერ გოტიეს მიხედვით ანტიოქიის არმია ბრძოლის ველისკენ ფლეიტების ხმაზე მოძრაობდა,⁹ ისევე როგორც ბიზანტიური არმია მარშირების დროს.¹⁰ მეომართა მოძრაობის რიტმის სამართავად და (უფრო მეტად) მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოსახდენად, მუსიკალურ საკრავებს მუსლიმური არმიები ბრძოლის წარმოების დროსაც იყენებდნენ, რაც თავდაპირველად, აღმოსავლეთში ჩასული ჯვაროსნების დიდ გაკვირვებას იწვევდა.¹¹

რიგ სიტუაციებში, მაგალითად, ბანაკის დატოვების დროს, არმიის სწორი მოქმედების რეგულირება ხმოვანი სიგნალების გარკვეულ რაოდენობას საჭიროებდა, რაც შესაბამისი თანმიმდევრობით უნდა გაცემულიყო. ასეთ შემთხვევებში, სხვადასხვა მოქმედებების შესასრულებლად გარკვეული რაოდენობის სიგნალების (ე.ი. რამდენიმე ბრძანების) გაცემა იყო საჭირო, რაც მცირე ინტერვალებით სრულდებოდა. მაგალითად, ლე ბელის მიხედვით, ინგლისელ მეომრებს (1327

წელს შოტლანდიაში ლაშქრობის დროს) ბუკის პირველ სიგნალზე ცხენები უნდა შეეკაზმათ, მეორეზე შეიარაღებულიყვნენ, ხოლო მესამე სიგნალზე უნდა ამხედრებულიყვნენ და თავისი ადგილები დაეკავებინათ კოლონაში მათი ქვედანაყოფების დროშებთან, რის შემდეგაც უკვე ადგილიდან დაძვრის ბრძანება გაიცემოდა.¹² ბრძანებათა გაცემის მსგავს სისტემას იყენებდა მონღოლური არმია, რაც აღწერილი აქვს დომინიკანელ მისიონერ დევიდ ეშბის, რომელიც რამდენიმე წელი მონღოლებს შორის ცხოვრობდა. მისი მიხედვით, როდესაც მონღოლური არმია აპირებდა ბანაკის დატოვებას, რაც როგორ წესი, შუალამის გადასვლის შემდეგ ხდებოდა, მხედარმთავარი იძლეოდა სიგნალის გადაცემის ბრძანებას, რაც დიდ ბარაბანზე სრულდებოდა. პირველი სიგნალის შემდეგ მონღოლები კაზმავენენ ცხენებს და იარაღებოდნენ. მეორე სიგნალზე იწყებდნენ კარვების აშლას და მათ სასაპალნე ცხოველებზე დატვირთვას, რის შემდეგაც გროვდებოდნენ ცალკეულ რაზმებად, მესამე სიგნალზე კი მარშირება იწყებოდა.¹³

ანალოგიურად იმართებოდა მეომართა მოქმედებები უშუალოდ ბრძოლის დროს, როდესაც შეტევის ან უკანდახევის ბრძანებები მთავარი დროშით მიცემული ნიშნის შემდეგ, ყველა ქვედანაყოფს საკრავების მეშვეობით გადაეცემოდა, რის შესახებაც წერილობით წყაროებში უამრავი მითითებაა დაცული.¹⁴ ასევე ხმოვანი სიგნალებით ხდებოდა ბრძოლის შემდეგ გაფანტული არმიის თავმოყრა, როდესაც ბრძოლის ველის სხვადასხვა მონაკვეთებში მყოფ მეომრებს ბუკის ან ტიმპანის ხმა აცნობებდა, რომ თავმოყრის დრო იყო, რის შემდეგაც ისინი იმ წერტილში გროვდებოდნენ, სადაც მათი ქვედანაყოფის, ან არმიის მთავარი დროშა მიუთითებდათ.

გარდა ხმოვანი სიგნალებისა, შუასაუკუნეებში არმიებში ბრძანებების პირად შემადგენლობაზე გადასაცემად იყენებდნენ სპეციალურ „მოყვირალებსაც“ (ჭერალდებს), რომლებიც მიღებულ ბრძანებებს ხმამაღალი გადაძახილებით გადასცემდნენ ქვედანაყოფებს,¹⁵ მაგრამ ბრძანების გაცემის ეს ფორმა უფრო არმიის ბანაკად დგომის დროს იყო მოსახერხებელი, როდესაც მეომრები ერთად იყვნენ მოგროვილნი და ხმის გაგონება ადვილად შეეძლოთ, მარშისა და განსაკუთრებით კი ბრძოლის პროცესში, როდესაც არმია დიდ სივრცეზე იყო გაშლილი და მოძრაობისა თუ ბრძოლის დროს გამაყრუებელი ხმაური წარმოიქმნებოდა, მოყვირალთა ხმის გაგონება საკმაოდ რთული იყო, რის გამოც ბრძანებათა გადაცემის შეუცვლელ საშუალებებად დროშები და ხმოვანი საკრავები რჩებოდა.

შუა საუკუნეების ზოგი ავტორის მიხედვით, ხშირად ბრძანებებს თავად მეომრები გადასცემდნენ ერთმანეთს. მაგალითად, სომეხი მემატიანე ნერსეს პალიენცი მიუთითებდა, რომ ბრძანების გადაცემის ასეთი ტრადიცია დამკვიდრებული იყო მონღოლურ არმიაში,¹⁶ რასაც რიგი თანამედროვე ავტორებიც ეთანხმებიან, თუმცა რეალობაში ბრძანების გადაცემის ამ მეთოდსაც არ შეიძლებოდა ჰქონოდა სისტემური სახე, რადგან რამდენიმე ათასეულ მეომარს შორის გადაცემული სიტყვები თავდაპირველ შინაარსს ადვილად დაკარგავდნენ და სწორი მოქმედების ნაცვლად, ქაოსისა და უწესრიგობის საფუძველი გახდებოდნენ.¹⁷

კომუნიკაცია

ლაშქრობის ორგანიზების, საბრძოლო პირობებში არმიის მართვისა და უცხო ტერიტორიებზე სწორი ორიენტირებისთვის, სასიგნალო სისტემების გარდა აუცილებელი იყო კომუნიკაციის მთელი რიგი საშუალებების გამოყენება,

რომელთა მეშვეობითაც ლაშქრობაში მყოფი არმია შესძლებდა კავშირის დამყარებას როგორც საკუთარ ტერიტორიებთან და უზრუნველყოფის ბაზებთან, ასევე მონინალმდეგის ტერიტორიებზე არსებულ ობიექტებთან (არმიასთან, ქალაქებთან და ა.შ.), რეაგირებას მოახდენდა მომხდარ მოვლენებზე, შექმნილი ვითარების მიხედვით მიიღებდა გადაწყვეტილებებს და ა.შ.

შუა საუკუნეების ეპოქაში დიდ დისტანციებზე კომუნიკაციის დამყარება, საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენდა. მაგალითად, გიორგი სფრანძი აღწერს შემთხვევას, როდესაც მან საქართველოში ელჩად ყოფნისას ვერ შეიტყო ოსმალის სულთნის, მურად II-ს გარდაცვალება და ეს ამბავი მისთვის მხოლოდ მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც საქართველოდან ტრაპიზონში ჩავიდა.¹ მანამდის კი, იმავე სფრანძის, რომელიც საქართველოში ბიზანტიის იმპერატორისა და გიორგი VIII-ს ქალიშვილის ქორწილის ორგანიზებისთვის იყო ჩასული, წელიწადი და 11 თვე მოუწია აქ ყოფნა იმის გამო, რომ შეტყობინებამ, რომელიც მან საქართველოდან გაუგზავნა იმპერატორს, გემის დაღუპვის გამო ადრესატამდე ვერ მიაღწია, ხოლო სანამ კონსტანტინოპოლში გემის დაღუპვას გაიგებდნენ და მას წერილს გაუგზავნიდნენ, იგი ახალი ინსტრუქციების მიღებას საქართველოში ელოდებოდა.² სრულიად ბუნებრივია, რომ ინფორმაციის გადაადგილების სისწრაფეს იმ დროისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, მის გარეშე არათუ ლაშქრობების განხორციელება, ელემენტარულად ქვეყნის მართვაც შეუძლებელი იყო, ამიტომ საფოსტო სისტემის ორგანიზებას შუასაუკუნეებში განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდნენ.

იმ პერიოდში ინფორმაციის მიღებისა თუ გადაცემის უზრუნველსაყოფად ქმნიდნენ საკურიერო სამხასურებს, რომლის მობილურობა მთლიანად ცხენის სისწრაფეზე იყო დამოკიდებული. რამდენადაც ცხენები გრძელ დისტანციებზე ხანგრძლივი ჭენებისგან საკმაოდ მალე (საშუალოდ 5-8 საათში) იღლებოდნენ, ამდენად აუცილებელი იყო მისი შეცვლა, რაც გზებზე მოწყობილ საფოსტო სადგურებსა თუ მგზავრებისთვის გამართულ ქარვასლა-ფუნდუკებში (აღმოსავლური ქარავან-სარაი) ხდებოდა. ასეთი სისტემა ფუნქციონირებდა როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ქვეყნებში,³ სადაც განსაკუთრებულ წარმატებას მონღოლებმა მიაღწიეს, რომელთა მიერ შექმნილი საკურიერო (საფოსტო) სამსახური ყველაზე სწრაფი და შორსმომქმედი იყო.⁴

საკურიერო ფუნქციებს სპეციალურად მომზადებული მალემსრობლები ასრულებდნენ, რომლებსაც მალალი ფიზიკური გამძლეობა უნდა ჰქონოდათ და კარგად სცოდნოდათ გზათა სისტემა. როგორც ჩანს, მალემსრობლები ძირითადათ ერთი და იგივე მარშრუტებზე მოძრაობდნენ, მაგალითად, უსამა იბნ-მუნკიზი იხსენიებს ორ შეიზარელ ძმას, რომლებსაც წერილები შეიზარიდან ლაოდიკიაში (სირიის საპორტო ქალაქი) დაჰქონდათ.⁵ მარშრუტის კარგი ცოდნა მალემსრობლის კვალიფიკაციას ამალლებდა და მის მოძრაობას სისწრაფესა და საიმედოობას მატიებდა, მაგალითად, ანა კომნენოსის მოხსენიებული ჰყავს ბიზანტიელთა სამსახურში მყოფი ყვიჩალი მალემსრობელი, რომელსაც ზედმეტსახელად ფრთიანს უძახდნენ.⁶

ლაშქრობის ორგანიზება მალემსრობლების მეშვეობით იწყებოდა, როდესაც მათ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მობილიზაციის გამოცხადების ბრძანებები მიჰქონდათ, რითაც არმიის შეკრების სისწრაფე მნიშვნელოვანწილად მათი გადაადგილების უნარზე ხდებოდა დამოკიდებული. მაგალითად, როდესაც ინდოეთში

მყოფ თემურ-ლენგს შეატყობინეს გიორგი VIII-ს მის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ, მან მალემსრობლების ხელით ბრძანება გაუგზავნა ხორასნის, ყანდაგარის, სისტანის, კერმანის, ტაბარისტანის, გილიანის, მაზანდარარისა და ფარსის მმართველებს მობილიზაციის ჩატარებისა და საქართველოში სალაშქროდ მომზადების შესახებ, თავად კი ინდოეთიდან დაბრუნებულმა, იქ ნამყოფი არმია სახლებში გაუშვა და საქართველოსკენ ლაშქრობა ახლად შეკრებილი ძალებით დაიწყო.⁷ ანალოგიურად ახდენდა არმიის მობილიზაციას საქართველოს სამეფოც, როდესაც სამეფოს ყველა რეგიონში იგზავნებოდნენ შიკრიკები მობილიზაციის ბრძანებით. ბუნებრივია, რაც სწრაფად მიიტანდნენ მალემსრობლები ბრძანებებს დანიშნულების ადგილებზე, მით უფრო მოკლე ვადებში განხორციელდებოდა არმიის შეკრება, რასაც ყველა შემთხვევაში მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს გარემოება, მაგალითად, შესანიშნავად ჩანს ბასილი ეზოს მოძღვარის ცნობაში, რომელიც ბასიანის ბრძოლის წინა ვითარებას ასახავს, როდესაც ქვეყნის საზღვრების სიახლოვეს რუმის სასულთნოს არმია იდგა და საქართველოში შემოჭრას აპირებდა. წყაროს მიხედვით, სამეფო კარის მიერ გაგზავნილი მალემსრობლები ელვისებურად მოქმედებდნენ: „ბრძანება და წიგნები ქროდა მალე-მსრობოლთა,“ რის შედეგადაც არმიის მობილიზება უმოკლეს ხანში მოხერხდა: „და ცოტათა შინა დღეთა შემოკრბეს (ლაშქარი),“ რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საფრთხის თავიდან აცილებაში.⁸

შორეულ დისტანციებზე (ასეულობით კილომეტრზე) ინფორმაციის გადაცემის და შესაბამისად, მასშტაბური საბრძოლო მოქმედებების საკომუნიკაციო უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებას, მალემსრობლები წარმოადგენდნენ, რის გამოც სამხედრო წარმატების მიღწევა მათ ეფექტურობაზე იყო მნიშვნელოვნად დამოკიდებული. მაგალითად, ალყაშემორტყმულ დირახიაში მყოფი ბიზანტიელი სარდალი, გიორგი პალეოლოგი, მალემსრობლების მეშვეობით ატყობინებდა მისგან ასეულობით კილომეტრის შორს მყოფ ალექსი კომნენოსს შექმნილი ვითარების შესახებ, რის საფუძველზეც ეს უკანასკნელი ქალაქის დასახმარებელ ზომებს გეგმავდა.⁹ როდესაც ჯალალ ად-დინის ხელში მყოფი თბილისი ქართველებმა უკან დაიბრუნეს, თბილისიდან 500 კილომეტრზე მდებარე ხლათში მყოფ სულთანს ეს ამბავი, მისმა ვეზირმა განძიდან წერილით (მალემსრობლით) შეატყობინა, რის შემდეგაც ჯალალ ად-დინი სასწრაფოდ საქართველოსკენ დაიძრა.¹⁰ ხოლო მანამდის, როდესაც ხორეზმის სულთანი საქართველოში პირველად ლაშქრობდა, მას ერაცოდან ყოველდღე უგზავნიდნენ ინფორმაციებს (იმ დროისთვის) არსებული მშვიდი მდგომარეობის შესახებ, რაც ჯალალ ად-დინს ლაშქრობის გაგრძელების საშუალებას აძლევდა.¹¹

საკუთარი კომუნიკაციის ხაზების უსაფრთხოება და მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე კონტროლის დამყარება, ძალიან ხშირად სამხედრო მოქმედებების ერთ-ერთი მთავარი მიზანი და წარმატების მიღწევის მნიშვნელოვანი პირობა იყო. მაგალითად, იგივე ჯალალ ად-დინი ხლათის ალყის დროს, განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდა ქალაქის ყველა საკომუნიკაციო საშუალების გადაჭრას, რის შედეგადაც მის ხელში ვარდებოდა ალყაში მყოფთა მიერ ეგვიპტის სულთანისადმი გაგზავნილი წერილები, სადაც ისინი მას ხლათის უმძიმეს მდგომარეობას ატყობინებდნენ და სასწრაფო დახმარებას სთხოვდნენ.¹² ბუნებრივია, ეს ფაქტორი ამყარებდა ჯალალ ად-დინის გადამწყვეტილებას გაეგრძელებინა ისედაც გაჭიანურებული ალყა, რადგან იგი, მოწინააღმდეგის კომუნიკაციის ხაზებზე

კონტროლის მეშვეობით, შესანიშნავად იყო ინფორმირებული ქალაქში არსებული რესურსების შესახებ და იცოდა, რომ ალყის შემდგომ გაგრძელებას ხლათი ველარ გაუძლებდა.

საკურიერო კომუნიკაციის გარდა, აღმოსავლეთის ქვეყნებში (საიდანაც დასავლეთშიც გავრცელდა) საშუალო სიდიდის დისტანციებზე (რამდენიმე ათეულიდან ორ-სამ ასეულ კილომეტრამდე), ინტენსიურად იყენებდნენ კომუნიკაციის სხვა საშუალებასაც, საფოსტო მტრედებს,¹³ რომელთა მეშვეობითაც ინფორმაციის გადაცემა ბევრად უფრო სწრაფად ხდებოდა, ვიდრე ცხენოსანი მაცნეების მეშვეობით. მტრედების გამოყენება უალრესად ეფექტური იყო ალყაში მყოფებისთვის, რომელთა სახმელეთო საკომუნიკაციო ხაზებიც მონინააღმდეგის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. მაგალითად, 1110 წელს, როდესაც ანტიოქიის მთავარს ალყა ჰქონდა შემორტყმული მუსლიმურ სიმაგრე ალ-ასარიბზე, ალყაში მყოფები მტრედების მეშვეობით აწვდიდნენ ინფორმაციას ალექსის ემირს და სთხოვდნენ დახმარებას.¹⁴ მტრედების გამოყენებას მაღალი მნიშვნელობა ჰქონდა ოპერატიულობის თვალსაზრისითაც, მათი მეშვეობით შესაძლებელი იყო სხვადასხვა ადგილებში მყოფი სამხედრო ძალების კოორდინირება, როგორც ეს იყო მაგალითად, ჯალალ ად-დინის ერაყში ლაშქრობის დროს. როდესაც ხორეზმის სულთნის არმია ბაღდადისკენ მიემართებოდა, ერაყელმა სარდალმა ქუშთემურმა მტრედის მეშვეობით აცნობა ჯალალ ად-დინის ზურგში მყოფ ირბილის ემირს, რომ მას ზურგში დაერტყა მონინააღმდეგისთვის იმ დროს, როდესაც თვითონ წინიდან შეუტევედა.¹⁵ ანალოგიური ვითარება იყო 1177 წელს იერუსალიმის სამეფოში, სადაც ჯვაროსნებმა, დამასკოს ტერიტორიებზე მონყობილი სათარეშო რეიდის დროს, ქალაქ ბანიასისკენ გაიტაცეს ცხვრის ფარა, რის შესახებაც ბანიასთან მყოფმა სალადინის ძმისშვილმა ფარუკ-შაჰმა საფოსტო მტრედის მეშვეობით აცნობა დამასკოში მყოფ სალადინს, რომელმაც სწრაფად მიიღო ზომები და მოულოდნელად დაესხა თავს ჯვაროსნებს, რაც მათი სასტიკი დამარცხების მიზეზი გახდა.¹⁶ ასევე მტრედების მეშვეობით ახდენდა საკუთარი არმიის ორი სხვადასხვა ნაწილის კოორდინაციას 1147 წელს ირან-ერაყის სელჯუკი სულთანი მასუდი, რომელმაც ხამადანზე ლაშქრობის დროს, ბრძანება გაუგზავნა ემირ ხასბეგს, რათა მას მარში დაეჩქარებინა და განსაზღვრულ დროს შეერთებოდა ძირითად არმიას.¹⁷ საფოსტო მტრედების მაღალი კომუნიკაციური ღირებულის გამო, მათ განვრთნასა და გამოყენებას მრავალ ქვეყანაში ცდილობდნენ, მაგალითად, ეგვიპტის მამლუქ სულთანს, ბეიბარსს 2 000 ასეთი მტრედი ჰყავდა და მათ გარეშე სამხედრო კამპანიებში არ მიდიოდა.¹⁸

საფოსტო მტრედები კომუნიკაციის უალრესად მოხერხებული საშუალება იყო, მაგრამ მის ხშირ გამოყენებას ჰქონდა ერთი ნაკლი, მტრედი მონინააღმდეგეს ადვილად შეიძლებოდა მოეკლა (როგორც ისრით, ასევე განვრთნილი მიმინოების მეშვეობით) და წერილი ხელში ჩაეგდო, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, როდესაც იერუსალიმისკენ მარშის დროს ჯვაროსნებმა, რომლებიც ფატიმიდური ქალაქების, აკრასა და კესარიას შორის იმყოფებოდნენ, მოკლეს მტრედი, რომლის მეშვეობითაც აკრას ემირი ატყობინებდა კესარიის მმართველს ჯვაროსნების მოძრაობის შესახებ და მოუწოდებდა მათზე თავდასხმისკენ.¹⁹

როდესაც შუა საუკუნეების არმია მონინააღმდეგესთან ახლო საბრძოლო კონტაქტში, ანუ ახლო დისტანციებზე (ბრძოლის ან ალყის დროს) იმყოფებოდა,

კომუნიკაციის საშუალებად ძალიან ხშირად იყენებდნენ მშვილდ-ისარს, როდესაც ისარზე დამაგრებულ წერილს დანიშნულების ადგილისკენ ისროდნენ. მაგალითად, ამ გზით სთავაზობდა დანებებას ლორეს ციხეში გამაგრებულ აჯანყებულ ორბელებს გიორგი III.²⁰ ისევე როგორც ანდრონიკ კომნენოსი ქალაქპრუსის ალყის დროს.²¹ ისრებით ატყობინებდნენ გარნიზონის რაოდენობას მანუელ კომნენოსს, ალყაშემორტყმულ ქალაქ ზევგმანის ის მცხოვრებლები, რომლებიც ბიზანტიელებს უჭერდნენ მხარს²² და ა.შ.

საშუალო და ახლო დისტანტიებზე მოქმედებისას საკმაოდ ხშირად იყენებდნენ სიგნალების სისტემას, რომელიც დღისით კვამლით, ხოლო ღამე ცეცხლის მეშვეობით გადაიცემოდა, მაგალითად, ბიზანტიელი მხედარმთავარი კეკავემნოსი რეკომენდაციას იძლეოდა, რომ საბრძოლო მოქმედებების დროს უპირატესად კომუნიკაციის ეს მეთოდი გამოეყენებინათ.²³ შუასაუკუნეებში, ცეცხლით და კვამლით გარკვეული სიგნალების გადაცემის მეთოდი, კომუნიკაციის საკმაოდ გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენდა, რის გამოც სამეცნიერო კვლევებში დამკვიდრდა შეხედულება, რომ ეს მეთოდი იმდენად უნივერსალური იყო, რომ მისი მეშვეობით სამხედრო მზადყოფნის გამოცხადება ქვეყნის მასშტაბით ხდებოდა.²⁴ მაგალითად, ჯვაროსნული ეპოქის ცნობილი მკვლევარის, რეჯინ პერნუს მიხედვით, როდესაც მტერი იერუსალიმის სამეფოს მიადგებოდა, სასაზღვრო ციხე-სიმაგრეებსა თუ სათვალთვალო კოშკებზე ინთებოდა ცეცხლი, რომელიც ჯაჭვისებური რეაქციით გადაეცემოდა სამეფოს მთელ ტერიტორიაზე განლაგებულ სხვა სიმაგრეებს და ამ გზით ქვეყანაში საბრძოლო მზადყოფნა ცხადდებოდა.²⁵

შუა საუკუნეების ფორტიფიკაციის ცნობილმა გერმანელმა სპეციალისტმა, იოაჰიმ ზეუნმა სრულიად სამართლიანად მიუთითა, რომ კომუნიკაციის ასეთ სისტემას უბრალოდ არ შეეძლო ეარსება იმის გამო, რომ ციხე-სიმაგრეები არსად არ წარმოადგენდნენ ერთიან საფორტიფიკაციო სისტემას და ხშირ შემთხვევებში ისეთ იზოლირებულ წერტილებში მდებარეობდნენ, რომ ერთმანეთთან ხილვადობის არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდათ არც ცეცხლით და არც კვამლით.²⁶ ეს მდგომარეობა უპირველეს ყოვლისა მთაგორიანი რელიეფისთვის იყო დამახასიათებელი, სადაც ქვეყნის მასშტაბით ისეთი საფორტიფიკაციო ქსელის შექმნა, როდესაც ერთი პუნქტი აუცილებლად მეორეს მხედველობის არეში მოექცეოდა, წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო. მაგალითად, რამდენი კოცონიც არ უნდა დანთებულიყო დარიალის ციხეზე, მისი ჯაჭვური გადაცემა (ვთქვათ) თბილისამდე, ან ქუთაისამდე, სრულიად გამორიცხული იყო, ამას ხელს შეუშლიდა თუნდაც მხოლოდ ის უსასრულო რაოდენობის სიმაღლეები, რომელიც დარიალს დანარჩენი საქართველოდან აცალკევებს, მაგრამ თეორიაში რომც წარმოვიდგინოთ ასეთ საფორტიფიკაციო ქსელის არსებობა (ყველა გადამლობ მთასა თუ ქედზე შუალედური სასიგნალო წერტილების, ციხეების, კოშკების, მობილური პოსტებისა თუ რაიმე სხვა მსგავსის არსებობით), მისი ფუნქციონირება მაინც შეუძლებელი იქნებოდა ორი ძირითადი მიზეზის გამო. ცეცხლს და კვამლს არაფრით არ შეეძლო გადაეცა შემოსეული მტრის რაოდენობა, რის შედეგადაც ყველა გამოცხადებულ განგაშზე, მიუხედავად იმისა, მტრის დიდი არმია მოადგებოდა საზღვრებს, თუ რამდენიმე ათეული მეომრისგან შემდგარი სათარეშო რეიდი, მთელი ქვეყანა საბრძოლო მზადყოფნაში ფეხზე უნდა დამდგარიყო, რაც ასეთი მასშტაბური ღონისძიების უმიზნობასთან ერთად, კოლოსალური რესურსების

სისტემატიურ ფლანგვასთან იქნებოდა დაკავშირებული, რაზედაც, ბუნებრივია, არც ერთი სახელმწიფო არ წავიდოდა. მეორე მიზეზი, რაც ასეთი სისტემის ფუნქციონირებას გამორიცხავდა, იყო შემთხვევითი განგაშის უდიდესი ალბათობა, რა დროსაც ნებისმიერი მგზავრის, მეცხვარის, მონადირისა თუ ვინმე სხვის მიერ დანთებული ცეცხლი, საფორტიფიკაციო სისტემას შეიძლებოდა განგაშის ნიშნად მიეჩნია და ქვეყანა ცრუ საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანა უკვე აღნიშნული შედეგებით. აღნიშნული მიზეზების გამო, არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი, რომ ფეოდალური ხანის ციხეებზე დანთებული სასიგნალო კოცონები ისეთივე მითია, როგორ მითებსაც წარმოადგენდნენ ძველ ავტორთა ცნობები შუა საუკუნეების ეპოქის მილიონიანი თუ ნახევარ მილიონიანი არმიების შესახებ.

შუასაუკუნეებში ცეცხლისა და კვამლის სასიგნალო სისტემას ნამდვილად ჰქონდა ფართო გამოყენება, ოღონდ სხვა მასშტაბებსა და სხვა სიტუაციებში. როგორც ცეცხლის, ასევე კვამლის გარკვეულ სიგნალად მიჩნევა და მისი მეშვეობით რაიმე ინფორმაციის მიღება, შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც წინასწარ იცოდნენ თუ სად და რის აღსანიშნავად აინთებოდა კოცონი, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციის ამ საშუალებას ჰქონდა მოქმედების შეზღუდული რადიუსი და მხოლოდ ოპერატიული (და არა სტანდარტული) დანიშნულება. ცეცხლის და კვამლის სასიგნალო ნიშნად გამოყენება შესაძლებელი იყო ისეთ საბრძოლო ვითარებაში, როდესაც ერთი არმიის ორი (ან მეტი) ქვედანაყოფი სხვადასხვა არეალში იმყოფებოდა და ერთმანეთისთვის რაიმე სიგნალის მიცემა სჭირდებოდა, ასეთ შემთხვევაში, წინასწარ შეთანხმებული სქემის მიხედვით, ცეცხლისა და კვამლის მეშვეობით მრავალი სხვადასხვა შინაარსის მქონე (შეტევაზე გადასვლის, უკანდახევის, მონინაალმდგის პოზიციის ჩვენების, მიმართულების დაფიქსირებისა და ა.შ.) ნიშნის მიცემა ხდებოდა შესაძლებელი. მაგალითად, მსგავსი რამ მოხდა 1182 წელს კასტორიის ციხის ალყის დროს, ბიზანტიისა და ნორმანების ომის პერიოდში, როდესაც აღნიშნულ ციხე-სიმაგრეს ერთი მხრიდან ალექსი კომნენოსი უტევდა, ხოლო მეორე მხრიდან მისი სარდალი გიორგი პალეოლოგი. დაკავებული პოზიციები ბიზანტიური არმიის ამ ორ ნაწილს არ აძლევდა ერთმანეთის დანახვის საშუალებას, რის გამოც საჭირო იყო მოძებნილიყო კომუნიკაციის ისეთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ბიზანტიური არმია ორივე მხრიდან ერთდროულად დაიწყებდა შეტევას. ამ მიზნით, ალექსი კომნენოსმა არმიის ორ ნაწილს შორის მდებარე ბორცვის წვერზე, რომელსაც ორივე მხარე ხედავდა, მოაწყო დროებითი საგუშაგო პოსტი, სადაც მყოფმა მოთვალთვალეებმა, როდესაც დაინახეს იმპერატორის მიერ მიცემული ნიშანი, აანთეს ცეცხლი, რაც პალეოლოგისთვის შეტევაზე გადასვლის ბრძანება იყო, რაც მასთან ბუნებრივია, წინასწარ იყო შეთანხმებული.²⁷

გ) არმია მოქმედებაში

უზრუნველყოფა (ლოგისტიკა)

შუა საუკუნეების არმიის ბრძოლის ველზე ყოფნის ხანგრძლივობა და ეფექტურობა პირდაპირ პროპორციულად იყო დამოკიდებული მის მომარაგების უნარზე: საკვების, ფურაჟის, სათადარიგო იარაღის და სხვა აუცილებელი მარა-

გის საკმაო რაოდენობით ქონასა და მისი შევსების შესაძლებლობაზე, რის გამოც არმიის უზრუნველყოფა სტრატეგიული მნიშვნელობის სფერო იყო და საბრძოლო კამპანიების წარმატებით ჩატარებისთვის, ლაშქრობის ორგანიზების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენდა.

როგორც ბრძოლის, ასევე მარშის დროს, არმია გამუდმებით განიცდიდა დანაკარგებს. ბრძოლის დროს იმტვრეოდა საბრძოლო იარაღი (შუბები, მახვილები, ფარები, მუზარადები და ა.შ.), იკარგებოდა სასროლი საშუალებები (ისრები, ხელშუბები, ქვები და ა.შ.), იხოცებოდა როგორც საბრძოლო ცხენები, ასევე სასაპალნე ცხოველები. ხშირად ამ სახის დანაკარგები ისეთი დიდი მასშტაბის იყო, რომ მისი აღდგენის გარეშე, არმია ბრძოლისუნარიანობას კარგავდა და საბრძოლო ამოცანების შესრულებას ვეღარ ახერხებდა. ნიკიტა ხონიატი სავეს ბრძოლის აღწერისას აღნიშნავს, რომ მონინალმდეგეებს (ბიზანტიელებსა და უნგრელებს) ხელჩართული ბრძოლის დროს, თითქმის მთლიანად დაემტვრათ შუბები და მახვილები, რის შემდეგაც ბიზანტიელებმა ბრძოლა ლახტებით განაგრძეს და უიარაღოდ დარჩენილი უნგრელები, რომელთაც არ ჰქონდათ იარაღის მარაგი, იოლად გაანადგურეს.¹ ბუნებრივია, რომ მსგავსი შემთხვევები განაპირობებდა როგორც იარაღის საკმაო მარაგის ქონის, ასევე სხვადასხვა სპეციალობის მქონე მეიარაღე ოსტატების არმიასთან ყოფნის აუცილებლობას, რათა ბრძოლის შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო მწყობრიდან გამოსული შეიარაღების საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა.

განსხვავებული ხასიათის, თუმცა არანაკლები მასშტაბის დანაკარგებს განიცდიდა არმია მარშირების დროს. სხვადასხვა სირთულის რელიეფების გადალახვისას იმტვრეოდა საზიდრების ცალკეული დეტალები, ცხენებს ძვრებოდათ ნალები, ცვდებოდა და მწყობრიდან გამოდიოდა როგორც ცხენების აკაზმულობა, ასევე სასაპალნე ცხოველების საზიდრებში შესაბამელი მონყობილობა, რომელთა დაუყოვნებელი აღდგენაც აუცილებელი იყო მარშის ტემპის შესანარჩუნებლად. ჟან ლაბელი დეტალურად აღწერს შოტლანდიელთა წინააღმდეგ სალაშქროდ წასული ინგლისის არმიის მდგომარეობას 1327 წელს, როდესაც ინგლისელებმა უკან დატოვეს ალალი და 22 დღის განმავლობაში მის გარეშე ცდილობდნენ დასწეოდნენ მონინალმდეგეს. მარაგების გარეშე დარჩენილი ინგლისის არმია, ძალიან რთულ პირობებში აღმოჩნდა, ცხენებს ასძვრათ ნალები, რის გამოც მათი მოძრაობის სისწრაფე მკვეთრად შემცირდა, წვიმისგან დასველებულმა ტყავის უნაგირებმა და თასმებმა დაკარგა ფორმა, რის გამოც მათი ზუსტად მორგება ცხენებზე შეუძლებელი გახდა და ცხოველებს ზურგები გადაეხეხათ, რითაც საბრძოლო ცხენების მნიშვნელოვანი ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა. მეომრებს კარვების არ ქონის გამო ეძინათ ღია ცის ქვეშ დარსა და ავდარში, რამაც მათი ტანსაცმელი მთლიანად დააღობო, ხოლო საჭურველი დააჟანგა. ამას დაემატა საკვების ნაკლებობა, რამაც არმიის მობილურობა და ბრძოლისუნარიანობა მკვეთრად დააქვეითა.² მსგავსი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, მხედართმთავრები იძულებულნი იყვნენ მარშისა და ბრძოლისთვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილები (ნალები, ლაგმები, უზანგები, თასმები, სოლები და ა.შ.), ისევე როგორც იარაღი, საკმაო რაოდენობით ეტარებინათ თან. მაგალითად, უსამა იბნ მუნჯიზი აღნიშნავს იარაღით სავეს ტომრებს, რომლებიც ჯორებით თან დაჰქონდათ შეიზარის მეომრებს,³ კერბოგას არმიას ანტიოქიასთან დამარცხების შემდეგ ისეთი დიდი მარაგები დარჩა, რომ ანა კომნენოსის სიტყვით, ჯვაროსნები 30 დღის განმავლობაში ეზიდებოდნენ მას ქალაქში,⁴

ხოლო იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებულმა ლევ თორნიკმა კონსტანტინოპოლის ალყის დროს, იარაღისა და პროვიანტის ისეთი დიდი მარაგი მიიტანა თან, რომ უკანდახვევის დროს მისი სრულად წაღება ველარ შესძლო.⁵

უზრუნველყოფის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი, წყლის, საკვებისა და ფურაჟის მარაგების არსებობა იყო, რომლის გარეშეც როგორც ადამიანებს, ასევე ცხოველებს, მხოლოდ რამდენიმე დღე შეეძლოთ გაძლება. წყლის პრობლემა, შედარებით იოლი მოსაგვარებელი იყო მდინარეებისა და წყლის სხვა ბუნებრივი მასივების მეშვეობით და მისი დიდი რაოდენობით თან ტარების აუცილებლობა, ნაკლებად არსებობდა, სამაგიეროდ საკვებისა და ფურაჟის გარკვეული მარაგების თან ქონა, ისევე როგორც საბრძოლო თუ სარემონტო იარაღებისა, სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა, რისთვისაც ნებისმიერი არმია ალაღის ფორმირებას საჭიროებდა. ტვირთების გადატანა ცხენებ, ან ხარებ შებმული საზიდრებითა და სასაპალნე ცხოველებით, აქლემებით, ჯორებითა და ცხენებით ხდებოდა. წერილობით წყაროებში, როდესაც საუბარია ბრძოლაში გამარჯვებული მხარის ხელში ჩავარდნილი ნადავლის შესახებ, თითქმის ყოველთვის მითითებულია სასაპალნე ცხოველები, კარვები, ჭურჭლეული, საბრძოლო იარაღი, სხვადასხვა ფუფუნების საგნები და ა.შ. ანუ ყოველივე ის, რასაც არმია ლაშქრობის დროს თან ატარებდა. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დიდგორში გამარჯვების შემდეგ აღწერს ქართული არმიის ხელში ჩავარდნილ ქონებას: „ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვერცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხვათა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თითო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთა, საბანელთა და სამზარეულოთათა.“⁶ სრულიად ბუნებრივია, ასეთი მრავალფეროვანი ნივთებისა და საგნების თან ტარებას, დიდი რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებები უნდა დასჭირებოდა და ისიც სრულიად, ბუნებრივია, რომ რაც უფრო დიდი იყო არმია, მით უფრო დიდი ალაღი უნდა ხლებოდა თან.

მავრიკიოსის სტრატეგიკონის მიხედვით, VII საუკუნის ბიზანტიის არმიაში ყოველ 10 მეომარზე ერთი საზიდარი მოდიოდა,⁷ რაც რასაკვირველია, ყველა არმიისთვის აქსიომატურ მაჩვენებლად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ რეალობასთან ახლოს მდგომ საშუალო სიდიდეს ნამდვილად უნდა წარმოადგენდეს. როგორც უკვე იყო აღნიშნული, იოანე კინამოსი მანუელ კომნენოსის 20-25 ათასიანი არმიის შემადგენლობაში 3 000 საზიდარს მიუთითებდა, რაც 8 მეომარზე ერთ საზიდარს უდრის.⁸ დაახლოებით იგივე შეფარდებაა აქვს მითითებული ჟოფრუა ვილარდრუნესაც, რომლის მიხედვითაც 20 ათასი ადამიანი ასევე 3 000 საზიდრის თანხლებით გადაადგილდებოდა, რაც 6-7 ადამიანზე ერთ საზიდარს უდრის.⁹ დაახლოებით იგივე მონაცემებს იძლევიან რიგი სხვა წყაროებიც.

თუ ჩვენ სტანდარტულ მაჩვენებლად 10 მეომარზე ერთ საზიდარს მივიჩნევთ და გარკვეულ გათვლებს ამის მიხედვით მოვახდენთ, შემდეგ სურათს მივიღებთ. ხარებშებმულ ერთ საზიდარს შეეძლო ეტარებინა დაახლოებით 900 კილო ტვირთი,¹⁰ აქლემს 200-300,¹¹ ხოლო ცხენსა და ჯორს 130-140 კილო,¹² ოპერატიულობის თვალსაზრისით, ცხოველებით პირველი აუცილებლობისა და ნაკლები წონის მქონე ნივთების (მაგალითად, ისრების, საკვების და ა.შ.) ტრანსპორტირება იყო მოხერხებული, ხოლო საზიდრებით ისეთი ნივთების, რომელთა წონაც 200-300 კილოგრამზე მეტი იყო და ოპერატიული გამოყენების აუცილებლობაც ნაკლებად არსებობდა (მაგალითად, კარვების, სააღყო მანქანების დეტალების და

ა.შ.). თუ 25 ათასიანი არმია საშუალოდ 3 000 საზიდრის თანხლებას საჭიროებდა, მაშინ გამოდის, რომ ამ სიდიდის არმიას მხოლოდ საზიდრების რაოდენობით დაახლოებით 2,700 ტონა ტვირთი უნდა ჰქონოდა თან, რასაც სასაპალნე ცხოველებზე დატვირთული მარაგების წონაც დაემატებოდა. რასაკვირველია, სასაპალნე ცხოველების რაოდენობის ფიქსირებული ციფრი არ არსებობდა, ყველა არმიის ალალის შემდგენლობაში მათი რაოდენობა სხვადასხვა იყო¹³ და რაიმე საშუალო მაჩვენებლის დადგენა სრულიად შეუძლებელია, ამიტომ ამ შემთხვევაში მხოლოდ ზოგადი მოსაზრების გამოთქმაა შესაძლებელი, რისი მიხედვითაც უნდა ვივარაუდოთ, რომ სასაპალნე ცხოველების ტვირთამწეობა საზიდრების ტვირთამწეობის ნახევარი მაინც იქნებოდა, რაც 25 000-იანი არმიის შემთხვევაში, დაახლოებით 4 000 (და მეტი) ტონაა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითო მეომარზე დაახლოებით 160 კილოგრამი ტვირთი მოდიოდა, რაც ალბათ ერთი ადამიანისთვის საჭირო საკვების, სათადარიგო იარაღისა და სხვა აუცილებელის გათვალისწინებით, შესაძლოა არითმეტიკულად არცთუ ზუსტი, მაგრამ დაახლოებითი მნიშვნელობით სავსებით რეალური ციფრი უნდა იყოს.

გარდა აღნიშნულისა, ალალის მასშტაბების შეფასება სხვა გზითაც შეიძლება. მიღებული შეხედულებით, თითო მეომარს სრული ფიზიკური კონდიციის შესანარჩუნებლად დღის განმავლობაში 1 კგ. პური ესაჭიროებოდა,¹⁴ შესაბამისად, ერთ საზიდარს შეეძლო ეტარებინა 900 მეომრის სამყოფი ერთი დღის მარაგი, ხოლო 25 000-იანი არმიის ერთი დღის პურის მარაგის სატარებლად, 27-28 საზიდარი იქნებოდა საჭირო. ბუნებრივია, რომ ყოველდღე არმია პურის მარაგის შევსებას ვერ შესძლებდა, ამიტომ განსაზღვრული დროის სამყოფი მარაგები მას თან უნდა ჰქონოდა. ერთ კვირის მარაგის (რაც მინიმალურ მაჩვენებელს უნდა წარმოადგენდეს) ტარებას 189-196 საზიდარი დასჭირდებოდა, ხოლო ერთი თვისას (რაც მაქსიმალური მაჩვენებელია) 810-840 საზიდარი. თუ ამ ციფრებს დავუმატებთ იმ ფართო ჩამონათვალს, რაც არმიას ლაშქრობის პერიოდში აუცილებლად თან უნდა ჰქონოდა (კარვებს, საბრძოლო იარაღის მარაგს, შრომით იარაღებს, სხვა სახის საკვების მარაგს, თივას, ქერს და ა.შ.), უნდა დავრწმუნდეთ, რომ 10 მეომარზე 1 საზიდარი და პლუს რამდენიმე სასაპალნე ცხოველი, სავსებით აუცილებელი იქნებოდა. რაც შეეხება სასაპალნე ცხოველების რიცხვს, მათ რაოდენობაზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისია „ისტორიანი და აზმანი“-ს ანონიმი ავტორის ცნობა, რომლის მიხედვითაც შამქორის ბრძოლის შემდეგ, ქართული არმიის ხელში ნადავლის სახით აღმოჩნდა 20 000 ცხენი, 7 000 ჯორი და 15 000 აქლემი.¹⁵ 15 ათას აქლემს შეეძლო ეტარებინა 3-4,5 ათასი ტონა ტვირთი, 7 ათას ჯორს 910-980, ხოლო 10 000 ცხენს (თუ ნახევარს ჩავთვლით სასაპალნედ) 1300-1400 ტონა, ე.ი. შამქორის ბრძოლის შემდეგ, ქართული არმიის ხელთ აღმოჩენილი მუსლიმური არმიის სასაპალნე ცხოველების ტვირთამწეობა სადღაც 5,210-6,880 ტონის ფარგლებში იყო, ხოლო შამქორის ბრძოლაში მონაწილე მუსლიმური არმიის სიდიდე სადღაც 25-30 ათასი მეომრის ფარგლებში ივარაუდება.¹⁶ თუ ამ არმიის ალალი მარტო სასაპალნე ცხოველებით იქნებოდა შედგენილი და ყველა ცხოველი ნადავლის სახით ქართული არმიის ხელში აღმოჩნდებოდა (რაც ნაკლებად სავარაუდოა), მაშინ ეს ციფრები საკმაოდ რეალურის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მუსლიმთა არმიას საზიდრებიც ექნებოდა და ყველა სასაპალნე ცხოველიც ალბათ ქართველთა ხელში არ ჩავარდებოდა, ანონიმის ცნობა გარკვეულწილად გაზვიადებული უნდა იყოს, თუმცა იმ

რეალურ ვითარებას, თუ რა ოდენობის ტვირთები დაჰქონდა თან შუა საუკუნეების არმიებს, მაინც შესანიშნავად უნდა ასახავდეს. ზუსტი არითმეტიკული შედეგების მიღების შეუძლებლობის მიუხედავად, წარმოდგენილი მონაცემები მაინც იძლევა შესაძლებლობას წარმოდგენა შევიქმნათ შუა საუკუნეების ნებისმიერი სიდიდის არმიის თანმხლები ალალის მასშტაბებზე, რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლები სიზუსტით განისაზღვროს ამ არმიათა გადაადგილების დაახლოებითი სისწრაფე, საბრძოლო პირობებში მოქმედების (ასევე დაახლოებითი) ხანგრძლივობა და სხვა მსგავსი პარამეტრები, რაც მთლიანობაში არმიის ბრძოლისუნარიანობისა და იმ პერიოდის სამხედრო მოვლენებში გასარკვევად უმნიშვნელოვანესი ელემენტებია.

როგორც წარმოდგენილი ციფრები მიუთითებს, შუა საუკუნეების არმია სამხედრო კამპანიების საწარმოებლად საკმაოდ დიდი ალალის თანხლებას საჭიროებდა, მაგრამ როგორი მრავალრიცხოვანიც არ უნდა ყოფილიყო საზიდრებისა და სასაპალნე ცხოველების რაოდენობა, ერთ თვეზე მეტი ხნის სამყოფი მარაგების თანტარება იმ დროის არც ერთ არმიას არ შეეძლო (ისტორიულ ლიტერატურაში 24 დღეა მიჩნეული),¹⁷ რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ ჯერზე სატარებელი მარაგების რაოდენობას მხოლოდ მცირე ხნის სამხედრო კამპანიების (სასაზღვრო ომების) უზრუნველყოფა შეეძლო, უფრო ხანგრძლივი კამპანიების წარმოებისას კი, ყოველთვის დგებოდა არმიის საველე პირობებში უზრუნველყოფის სტრატეგიული ამოცანა, რაც სამხედრო კამპანიების წარმოებაზე უზარმაზარ გავლენას ახდენდა. არმია, რომელსაც უთავდებოდა საკვებისა და ფურაჟის მარაგი, ბრძოლის უნარს კარგავდა და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა უწევდა, რის გამოც როგორც საკვებისა და ფურაჟის, ასევე სხვა მარაგების სისტემატიური შევსება, ლაშქრობის წარმატებისთვის სასიცოცხლო სტრატეგიულ აუცილებლობას წარმოადგენდა.

უზრუნველყოფის ამოცანების გადანყვეტა ბევრად ადვილი იყო საკუთარ, ან მეგობრულ ტერიტორიებზე მოქმედებებისას, როდესაც ადმინისტრაციული სისტემის დახმარებით ხდებოდა საკვებისა და ფურაჟის მარაგების წინასწარ დამზადება არმიის გასავლელ გზაზე. მაგალითად, I ჯვაროსნული ლაშქრობის უზრუნველყოფისთვის, ალექსი კომნენოსის ბრძანებით, ჯვაროსანთა მარშრუტზე პროდუქტებისა და ფურაჟის მარაგები იყო შექმნილი,¹⁸ 1147 წელს, პალესტინაში მიმავალი გერმანიის იმპერატორი კონრადი სთხოვდა ბიზანტიის იმპერატორს, რომლის ტერიტორიებიც მის არმიას უნდა გაეცლო, წინასწარ დაემზადებინა საკვებისა და ფურაჟის მარაგები მისი მეომრებისთვის.¹⁹ იგივე სურათია 1191 წელს, როდესაც ისააკ კომნენოსის ბრძანებით იმ ბიზანტიურ ოლქებში, სადაც ფრიდრიხ ბარბაროსას არმიას უნდა გაეცლო, დაიწყეს სურსათისა და ფურაჟის მარაგების დამზადება და ბაზრობების მოწყობა.²⁰ ინგლისის მეფე ედუარდ I-მა, უელსთან და შოტლანდიასთან ომების დროს, ბრძანება გამოსცა, რომ სასაზღვრო ოლქებში მცხოვრებ ვაჭრებს მოეწყობა ბაზრობები და პროდუქტი მხოლოდ არმიის წარმომადგენლებისთვის მიეყიდათ.²¹ ანალოგიურად იქცევიან მონღოლები სირია-პალესტინაში ლაშქრობის წინ 1252 წელს, როდესაც ბრძანება მისცეს ირან-ერაყის ოლქების მმართველებს, რომ მათ დაემზადებინათ საკვების მარაგები და არმიის გასავლელ მარშრუტზე ხელუხლებლად შეენახათ საძოვრები.²²

სრულიად განსხვავებული სურათი იყო როდესაც არმიას მოქმედება მტრულ ტერიტორიებზე უწევდა, ასეთ შემთხვევებში მარაგების შევსება, რომლის ეფექტურ გადანყვეტაზეც მთლიანად იყო დამოკიდებული სამხედრო კამპანიის

წარმატება, ძალიან რთულ ამოცანას წარმოადგენდა და ორი ძირითადი საშუალებით იყო შესაძლებელი. პირველი შესაძლებლობა იყო ის, რომ მტრულ ტერიტორიებზე შესულ არმიას, საკვები, ფურაჟი და სხვა აუცილებელი უნდა მოეპოვებინა მონინალმდეგის სამხედრო დამარცხების შედეგად მის ხელში ჩაეარდნით ნადავლით, მოსახლეობის ქონების ექსპროპრიაციით, ან ძალიან იშვიათ შემთხვევებში ყიდვით, რაც ყოველთვის არ ხერხდებოდა. მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც თავის დამცავი მხარე თავს არიდებდა ბრძოლას, იყენებდა „დამწვარი მიწის“ ტაქტიკას და ანადგურებდა სურსათისა და ფურაჟის მარაგებს, ან როდესაც სწრაფად ვერ ხერხდებოდა ქალაქებისა და ციხეების დაპყრობა, მოსახლეობის კეთილგანწყობის ან ნეიტრალიტეტის მოპოვება და ა.შ. ასეთ შემთხვევებში, არმია ურთულესი პრობლემების წინაშე დგებოდა და შესაძლებელი იყო ბრძოლის გარეშეც კი განეცადა დამარცხება. ზუსტად ასეთ რჩევას აძლევდა მანციკერტის ბრძოლის წინ იმპერატორ რომან დიოგენს ნიკიფორ ვრიენოს უფროსი, რომლის მიხედვითაც ბიზანტიელებს არ უნდა გაემართათ გენერალური ბრძოლა სელჯუკებთან, უნდა დაეხიათ უკან, გაემაგრებინათ ქალაქები და გადაენვათ მინდვრები, რათა სელჯუკთა ცხენოსან არმიას სურსათისა და ფურაჟის პრობლემები შეჰქმნოდა და დასუსტებულ მდგომარეობაში იძულებული გამხდარიყო არახელსაყრელ ადგილზე მიეღო ბრძოლა.²³ დიოგენმა აღნიშნული რჩევა არ მიიღო, რისი შედეგიც მანციკერტის ცნობილი კატასტროფა გახდა ბიზანტიელთათვის.

მარაგების შევსების მეორე ძირითად საშუალებას, საკუთარ ტერიტორიებზე არსებულ მომარაგების ბაზებთან დამყარებული უსაფრთხო კომუნიკაციური კავშირი წარმოადგენდა, როდესაც საჭირო სურსათის, ფურაჟისა თუ სხვა აუცილებელის პერიოდული მოზიდვა შესაძლებელი ხდებოდა. მტრულ ტერიტორიებზე შესული არმიისთვის, თუ მისი სამოქმედო არეალი ფართო სივრცეს მოიცავდა, ეს უაღრესად რთული ამოცანა იყო, რადგან უზრუნველყოფის ასეთი ხაზები სწორად აწყობილი წინააღმდეგობის შემთხვევაში, მონინალმდეგის ხშირი თავდასხმების ობიექტი ხდებოდა და მათი დაცვა მთელ სიგრძეზე, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ბუნებრივია, რაც უფრო გაჭიმული იყო უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის ხაზები, მათი უვნებლად შენარჩუნება მით უფრო რთულდებოდა. მაგალითად, რიჩარდ ლომგულმა, რომელმაც ორჯერ დაიწყო პალესტინის ზღვის სანაპიროდან იერუსალიმზე ლაშქრობა, იმის შიშით, რომ მონინალმდეგე შესძლებდა მისი მომარაგებისა და კომუნიკაციის ხაზების გადაჭრას ზღვისპირა ქალაქებთან, ლაშქრობა ორჯერვე შუა გზაზე შეაჩერა და უკან დაბრუნდა,²⁴ ხოლო იოანე კომნენოსი, 1140 წელს რუმელი სელჯუკების წინააღმდეგ ომის დროს, საბრძოლო მოქმედებების წარმოებას პაფლაგონიის გასწვრივ, საკუთარი ტერიტორიების სიახლოვეს ცდილობდა, რათა მონინალმდეგეს არ ჰქონოდა შესაძლებლობა მის ზურგში გასვლისა და ბიზანტიური არმიის მომარაგების ხაზებიდან მონყვეტისა.²⁵

მომარაგების პრობლემები განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნიდა არმიის ფურაჟით (თივა, ქერი და ა.შ.) უზრუნველყოფის სფეროში, რაც შუა საუკუნეების ფეოდალურ თუ მომთაბარულ არმიებში ცხენოსნების დიდი რაოდენობით იყო გამოწვეული. იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ თითოეულ რაინდს სამი ცხენი (საბრძოლო, სამარშო, სასაპალნე) უნდა ჰყოლოდა, დასავლურ არმიებში ცხენების დიდი რაოდენობით მობილიზების აუცილებლობას განაპირობებდა.²⁶

იგივე სურათია ბიზანტიურ არმიაშიც, სადაც ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატების მიხედვით თითოეულ მხედარს მინიმუმ ორი ცხენი უნდა ჰყოლოდა,²⁷ ხოლო მომთაბარული არმიებში, რომლებიც მთლიანად ცხენოსნებისგან შედგებოდნენ, ცხენების უზარმაზარი რაოდენობა იყრიდა თავს, რაც განსაკუთრებით მწვავედ აყენებდა ფურაყისა და წყლის პრობლემას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ერთ ცხენს ერთი დღის განმავლობაში მინიმუმ 20-25 ლიტრი წყალი (ჯ. ჰალდონის მიხედვით 36 ლიტრი) და 4-5 კილოგრამი ბალახი, თივა, ან ქერი სჭირდებოდა,²⁸ ადვილი წარმოსადგენია უზრუნველყოფის რა რთული პრობლემების გადაჭრა უზდებოდათ მხედართმთავრებს. მაგალითად იმისთვის, რომ არმია, რომელსაც (ვთქვათ) 20 ათასი ცხენი ეყოლებოდა თან, ერთი თვით რომ გაჩერებულიყო ადგილზე (ალყის სანარმოებლად, სტრატეგიული საფრთხის შესაქმნელად, დასასვენებლად და ა.შ.), ამისთვის მას მთელი დღის განმავლობაში 400-500 ათასი ლიტრი წყალი და 80-100 ტონა ფურაჟი (ბალახი, თივა, ქერი) უნდა მოეპოვებინა, რაც ერთი თვის განმავლობაში 12-15 მილიონ ლიტრსა და 2400-3000 ტონას შეადგენდა. თუ ეს არ ხერხდებოდა, ბუნებრივია, ვერც საბრძოლო მოქმედებები ჩატარდებოდა. რასაკვირველია, ყველა რეგიონსა და ყველანაირ ლანდშაფტს არ შეეძლო დიდი ხნის განმავლობაში დიდი არმიების ცხოველთა საკვებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მომთაბარული არმიებისა, რომლებიც ცხენების გამორჩეული სიმრავლის გამო ყოველთვის მეტად იყვნენ დამოკიდებულინი ფურაჟირების პრობლემებზე. მაგალითად, სწორედ ეს გარემოებები განაპირობებდა იმ ვითარებას, რომ ამიერკავკასიაში შემოსული დიდი მომთაბარული არმიები (მონღოლების, თემურ-ლენგის და ა.შ.) უპირატესად მულანისა და ყარაბახის რეგიონებში იზამთრებდნენ, რადგან აქ ცხენების გამოკვების პრობლემა ნაკლებად ექმნებოდათ.²⁹ როგორც უკვე იყო აღნიშნული, ნიკიფორ ვრიენოსმა ურჩია იმპერატორს არ გაემართა ბრძოლა მანციკერტთან³⁰ და იგი აღნიშნული რჩევის მიცემისას იყო აბსოლუტურად სწორი, რადგან საკმაოდ ხშირად უზრუნველყოფის პრობლემები და განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ცხენებისთვის საჭირო საკვების ნაკლებობა, აიძულებდა სხვადასხვა არმიებს უბრძოლველად დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორიები, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 1335 წელს ოქროს ურდოსა და ილხანიდურ ირანს შორის მიმდინარე ომის დროს, როდესაც ოქროს ურდოს არმია უზბეკ-ხანის მეთაურობით იძულებული გახდა მდინარე მტკვრის მიდამოებიდან გაბრუნებულიყო ოქროს ურდოში იმის გამო, რომ გვალვებისგან ველებზე მცირე რაოდენობის ბალახი იყო ამოსული და ცხენების გამოკვება შეუძლებელი იყო.³¹

არმიის უზრუნველყოფის სირთულეები დიდ ზეგავლენას ახდენდა როგორც სტრატეგიაზე, ასევე ტაქტიკაზეც. ლოგისტიკის პრობლემებიდან გამომდინარე, მხედართმთავრები ცდილობდნენ საბრძოლო კამპანიების სანარმოებლად შეერჩიათ ისეთი დრო და არეალი, რომელიც მოწინააღმდეგეს უფრო მეტ პრობლემებს შეუქმნიდა ვიდრე მათ და გამოეყენებინათ ისეთი მეთოდები, რომ მოწინააღმდეგე უფრო რესურსების ნაკლებობით დაემარცხებინათ, ვიდრე პირდაპირი ბრძოლით. მაგალითად, უსამა იბნ მუნკიზს აღწერილი აქვს არაერთი ეპიზოდი, როდესაც მუსლიმები ცდილობდნენ არ მიეშვათ მდინარესთან შეიზარის სიახლოვეს დაბანაკებული ჯვაროსნები და უწყლობით შექმნილი პრობლემების მეშვეობით იძულებულნი გაეხადათ ისინი დაეხიათ უკან.³² ალექსი კომნენოსი თავის მრავალრიცხოვან ომებში, სადაც შესაძლებელი იყო, ყოველთვის ცდილობდა მოწინააღ-

მდევისთვის დაერტყა მისი მომარაგებისა და კომუნიკაციის ხაზებზე და შემდეგ გაემართა პირდაპირი ბრძოლა. ასე დაამარცხა მან იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებული ნორმანი მოქირავნე რუსელი 1076 წელს³³ და 1107 წელსაც იგივე მეთოდებით ებრძოდა ბიზანტიის ტერიტორიებზე შეჭრილ ნორმანებს, ტარენტის ჰერცოგის, ბოემუნდის მეთაურობით, როდესაც პირდაპირი შეტაკების ნაცვლად, იგი მათი მომარაგებისა და კომუნიკაციების ხაზების გადაჭრას ცდილობდა.³⁴

უზრუნველყოფის პრობლემების გამოყენებით მონინალმდევის დამარცხების ქრესტომათიული ხასიათის მაგალითია, შარაფ ხან ბითლისის ვრცელი ცნობა უზუნ-ჰასანისა და ხორასნის თემურიდი სულთნის, აბუ საიდის (1452-1469 წწ.) ომის შესახებ 1469 წელს, როდესაც ომისა და მასთან ერთად სულთანის ბედიც, ფაქტობრივად, ფურაჟირების პრობლემამ გადაწყვიტა. ბითლისის მიხედვით აბუ საიდი უზარმაზარი არმიით დაიძრა უზუნ ჰასანის წინააღმდეგ და გრძელი დისტანციის გავლის შემდეგ, როდესაც თან წამოღებული მარაგები ამოიწურა, დაბანაკდა აზერბაიჯანის ქალაქ მიანასთან, სადაც მის არმიას ცხენის საკვები შემოაკლდა. აბუ საიდმა გადაწყვიტა ყარაბაღში გამოზამთრება, სადაც ვრცელი საზამთრო საძოვრები არსებობდა, მაგრამ ყარაბაღი უკვე უზუნ ჰასანს ჰქონდა დაკავებული, რის გამოც აბუ საიდმა ხელსაყრელ პოზიციებზე მდგომ მონინალმდეგეზე შეტევა ველარ გარისკა და მიიღო გადაწყვეტილება ზამთარი საძოვრებით მდიდარ მეორე ხელსაყრელ ადგილზე, მულანის ველზე გაეტარებინა. მულანის ველისკენ მიმავალმა არმიამ იმის გამო, რომ ცხენებმა გზადაგზა შხამიანი ბალახი მოძოვეს, დამატებითი დანაკარგები განიცადა, ხოლო ბანაკის ადგილზე მისულს, სურსათით მომარაგების პრობლემები წარმოექმნა. აბუ საიდის მოკავშირე შირვან-შაჰმა ვერ (ან არ) შეძლო ხორასნის არმიის პურით და სხვა საკვებით მომარაგება, ხოლო იმის გამო, რომ მულანის ველისკენ მიმავალი ძირითადი გზები უზუნ ჰასანის მეომრებმა გადაკეტეს და მასზე არც ვაჭრებს და არც არავის ატარებდნენ, აბუ საიდის მეომრები ვერც სხვა გზით ახერხებდნენ სურსათის მოპოვებას, თუმცა ერთ კილო პურში 10 დინარს იხდიდნენ. აღნიშნული პრობლემების გამო, ხორასნის არმია ძალიან მალე შეიარაღებული ხალხის დეზორგანიზებულ მასად იქცა, რაც უზუნ ჰასანის მზვერავებს, რომლებიც ელჩების სახით ხშირად დადიოდნენ მტრის ბანაკში, მხედველობიდან არ გამოეპარათ. ერთ-ერთი ელჩობის დროს, როდესაც აბუ საიდი მათთან ზავის პირობებზე მოლაპარაკებით იყო დაკავებული, თურქმენები მოულოდნელად დაესხნენ თავს მონინალმდეგეს და გაანადგურეს. თავად სულთანი ტყვედ ჩავარდა და უზუნ ჰასანმა იგი სიკვდილით დასაჯა.³⁵ ამ ცნობის მიხედვით ძნელი არ არის უზუნ ჰასანის სწორი სტრატეგიის დანახვა, მან აარიდა თავი აბუ საიდთან პირდაპირ შეტაკებას, აიძულა მონინალმდეგის არმია მარაგების გარეშე განეხორციელებინა გრძელი მარში, ჩაუკეტა მომარაგების გზები და როდესაც დარწმუნდა, რომ უზრუნველყოფის პრობლემების გამო მისი ბრძოლისუნარიანობა მკვეთრად იყო დაცემული, თავს დაესხა და გაანადგურა.

უზრუნველყოფისა და განსაკუთრებით ფურაჟირების არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევებში ადვილად გასაგები ხდება წერილობით წყაროებში მოკლედ გადმოცემული სამხედრო მოქმედებათა ერთი შეხედვით „უცნაური“ ხასიათი. მაგალითად, როდესაც შემოსეულ მტერს უბრძოლველად ანებებდნენ ქვეყანას და „შორიდან უყურებდნენ“ მის აოხრებას, როგორც ეს საქართველოში მოხდა (უკვე აღნიშნულ) ალფ-არსლანის 1068 წლის შემოსევის

დროს, როდესაც ბაგრატი IV მტერს უბრძოლველად გაეცალა.³⁶ ბაგრატის ქმედება ადვილი ასახსნელია, მას არ შეეძლო სელჯუკებთან ღია დაპირისპირება, მაგრამ იცოდა, რომ იმ სიტუაციაში, როდესაც ალფ-არსლანის უზრუნველყოფის ბაზები საქართველოდან შორს მდებარეობდა და მას უზრუნველყოფისა და პირველ რიგში, ფურაჟირების პრობლემების გამო, ქვეყნის ოკუპაცია არ შეეძლო, საქართველო ადრე თუ გვიან უნდა დაეტოვებინა. ამ შემთხვევაში ბაგრატი IV თითქმის „ქრესტომათიული სიზუსტით ასრულებდა“ ბიზანტიელი მხედართმთავრის კეკავმენოსის რეკომენდაციებს, რომლის მიხედვითაც მტერთან, რომელიც ფურაჟისა და საძოვრების ნაკლებობას განიცდიდა, ბრძოლა არ უნდა გაემართათ.³⁷

ფურაჟირების საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ შუასაუკუნეებში არმიის ფურაჟირებას დაახლოებით ისეთივე სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც თანამედროვე არმიების სანვავით უზრუნველყოფას. იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა საომარი კამპანიების მსვლელობის ხანგრძლივობასა და ხასიათს, ამიტომ თივით და ცხენების სხვა საკვებით ვაჭრობა სამხედრო სფეროსთვის სტრატეგიულ მიმართულებად ითვლებოდა და როგორც ჩანს, სახელმწიფოს უშუალო კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული. მაგალითად, ასოლიკი X საუკუნის ბოლოსთვის ანისში თივის სამეფო საწყობის არსებობას მიუთითებდა,³⁸ ხოლო ბუხარის ერთ-ერთ შესასვლელ კარიბჭეს „თივით მოვაჭრეთა კარი“ ერქვა.³⁹

მარში

შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთ ურთულეს ელემენტს წარმოადგენდა მარში, არმიის გადაადგილების უნარი მცირე თუ დიდ დისტანციებზე. გარკვეული რაოდენობის შეიარაღებული ადამიანების ერთობლიობა, რომელსაც არ შეეძლო ორგანიზებულად ემოძრავა კონკრეტული მიზნისკენ, ბრძოლისუნარიან სამხედრო ძალას არ წარმოადგენდა და პირიქით, რაც უფრო ეფექტურად ასრულებდა რომელიმე არმია მარშს და სწრაფად, უდანაკარგოდ და შეძლებისდაგვარად მოულოდნელად ახერხებდა დანიშნულების პუნქტებამდე მისვლას, იმდენად ეფექტური და შედეგიანი იყო მისი მოქმედება. მარშის სწორად განხორციელების უნარი არმიის ბრძოლისუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი პარამეტრი იყო, მაგრამ მისი შესრულება უამრავ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. თავის დროზე, სამხედრო ისტორიის ცნობილი მკვლევარი, შ. დელბრიუკი წერდა, რომ: „მარში, რომელიც ადვილად ხორციელდება 1000 კაციანი რაზმის მიერ, ძალიან რთულდება 10 000 მეომრისთვის, სამხედრო ხელოვნების სასწაული ხდება 50 000-ის, ხოლო შეუძლებელი 100 ათასისთვის.“⁴¹ არმიის სიდიდე პირდაპირ პროპორციულად მოქმედებდა მარშის ეფექტურობაზე, მეომართა რაოდენობის ზრდის პარალელურად რთულდებოდა მათი უზრუნველყოფა, სამარშო კოლონების მართვა, კონცენტრირებული გადაადგილების უნარი და ა.შ. რაც შუა საუკუნეების არმიათა სიდიდეების ერთ-ერთი განმსაზღვრელი გარემოება იყო. მარშის განხორციელების დროს, არმიის წინაშე უამრავი სირთულე დგებოდა, გზების დაბალი გამტარუნარიანობა, მდინარეთა (და სხვა მსგავსი ბუნებრივი ბარიერების, ხევების, მთების და ა.შ.) გადალახვის აუცილებლობა, უამინდობა და სხვა, რომელთა გადაჭრის გარეშეც არმიას არ შეეძლო დანიშნულების პუნქტებამდე მიღწევა და საბრძოლო მოქმედებების დაწყება.

შუა საუკუნეების დროინდელი გზების დაბალი გამტარუნარიანობა ხშირად აიძულებდა მხედართმთავრებს ლაშქრობის განხორციელების დროს გზების გაუმჯობესებაზეც ეზრუნათ. მაგალითად, I ჯვაროსნული არმიის ნიკეისკენ მარშის დროს, 3000 ადამიანი არმიის წინ გზისპირა ხეებს ჩეხავდა და გზას აფართოვებდა, რათა ჯვაროსნების დიდ ძალებს (30-35 000 მეომარი) დაუბრკოლებლად მოძრაობა შესძლებოდა.² ანალოგიური პრობლემა ჰქონდა ბიზანტიურ არმიას ხორვატიაში ლაშქრობის დროს 1073 წელს, როდესაც მხედართმთავარ ნიკიფორ ვრიენოსის ბრძანებით ადგილობრივი მცხოვრებლები აფართოვებდნენ გზის იმ მონაკვეთებს, სადაც არმიას უნდა გაეყო.³ საქართველოში 1477 წლის ლაშქრობის დროს ასევე იქცეოდა უზუნ ჰასანი, რომლის არმიასაც საქართველოს მთაგორიან და ტყიან რელიეფზე წინ მიუძღოდა 5 000 ცხენოსანი, რომლებიც გზის გასწვრივ ხეებს ჭრიდნენ და წვავდნენ,⁴ ისევე როგორც თემურ-ლენგის მეომრები უზბეკების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს.⁵ დავით აღმაშენებელმა, რომელიც მასშტაბურ საბრძოლო მოქმედებებს იწყებდა მომთაბარე თურქმენებისა და სელჯუკების წინააღმდეგ, ჯერ გზათა სისტემის მოწესრიგებაზე იზრუნა და „რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინად სავალნი, ქვა-ფენილ ყენა“,“⁶ რის შედეგადაც არმიის სწრაფი მარშირების უნარი სამეფოს ტერიტორიებზე ისე გაიზარდა, რომ არმიის სათავეში მიმავალ მეფესთან, სამარშო კოლონის მოძრაობის სისწრაფის გამო, მრავალრიცხოვანი მთხოვნელები მიახლოვებასაც კი ვერ ახერხებდნენ, რადგან „სლვათა შინა თვისთა სამეფოთასა სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სლვისათა ვერ ადვილად მიემთხუეოდიან მოჩივარნი და დაჭირებულნი და მიმძლავრებულნი.“⁷

მარშის განხორციელებისას ერთ-ერთ ურთულეს წინაღობას მდინარეთა ფორსირება წარმოადგენდა, რომლის უნარის არქონის დროსაც, ესა თუ ის არმია საბრძოლო ამოცანების შესრულებას ვერ ახერხებდა. მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორი მანუელ კომნენოსი მომთაბარეთა დევნის დროს, რომელთაც დუნაი სწრაფად გადალახეს, იძულებული გახდა არმიის ძირითადი ძალები მდინარის ნაპირზე დაეტოვებინა და მეორე ნაპირზე მეთევზეთა ნაკებით მხოლოდ 500 მეომრის თანხლებით გადასულიყო, რაც დევნის ეფექტური გაგრძელებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.⁸ ასევე ვერ შეასრულა საბრძოლო ამოცანა საფრანგეთის არმიამ 1328 წელს, როდესაც ის ცდილობდა ინგლისელთაგან ალყაშემორტყმული ქალაქ ტრუას დახმარებას. არმიამ ვერ გადალახა ქალაქის სიახლოვეს მდებარე პატარა, მაგრამ ღრმა მდინარე მარკი და იძულებული გახდა ქალაქის ალყისთვის შორიდან ეყურებინა.⁹ აღნიშნული გარემოება (როდესაც ეს შესაძლებელი იყო) აიძულებდა მხედართმთავრებს ჯერ კიდევ არმიის მდინარესთან მიახლოვებამდე ეზრუნათ მათ გადალახვაზე. მაგალითად, საქართველოდან ერაყში ფორსირებული მარშით მიმავალმა ჯალალ ად-დინმა, არმიის გასავლელ მარშრუტზე, რომელიც მდინარე არაქსზე გადიოდა, წინასწარ ააგებინა ხიდი,¹⁰ ისევე როგორც მონღოლებმა, რომლებმაც მდინარე ოქსზე წინასწარ ააგეს ხიდი.¹¹

მდინარეთა გადალახვისას იყენებდნენ ფონს, ან არსებულ ხიდებს, ხოლო სადაც არც ერთი იყო და არც მეორე, ახალ ხიდებს აგებდნენ. მცირე მდინარეებზე ხიდის სახელდახელო აგება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, დიდ მდინარეებზე კი ეს საკმაოდ პრობლემატური იყო და ასეთ შემთხვევებში, ძირითადად, პონტონური ხიდები იგებოდა, როგორიც მაგალითად, ააგო ალექსი კომნენოსმა ლებურნეს ბრძოლის (1091 წ.) წინ მდ. მარიცაზე, როდესაც ხიდის საყრდენებად ხის

დიდი მორებით ერთმანეთზე გადაბმული ნავეები გამოიყენა.¹² მაგრამ რაც შეძლო ალექსი კომნენოსმა, ის ვერ შეძლო ლალა მუსტაფა ფაშამ საქართველოში 1578 წლის ლაშქრობის დროს, როდესაც კახეთიდან შირვანში გასვლას ცდილობდა და მდინარე ალაზანი უნდა გადაელახა. ოსმალებმა ალაზანზე ვერ მოაგროვეს ნავეები და პონტონური ხიდის აგება ვერ შეძლეს, რის გამოც რამდენიმე დღე ფონის საპოვნელად მდინარის გასწვრივ მოძრაობდნენ, მაგრამ როდესაც ფონიც ვერ იპოვეს, მაშინ იძულებულნი გახდნენ ალაზანი პირდაპირ ცურვით გადაელახათ, რომლის დროსაც ბევრი მეომარი დაიღუპა და ალალის მნიშვნელოვანი ნაწილიც დაიკარგა.¹³

მდინარეთა ფორსირება და შესაბამისად, მარშის განხორციელება, ბევრად იოლი იყო მომთაბარული არმიებისთვის, რომლებიც ნაკლებ ალალს ატარებდნენ თან (ამიტომ ნაკლებად საჭიროებდნენ სტაციონარული ხიდების აუცილებლობას) და მდინარეთა გადალახვის საკუთარი სპეციფიკური მეთოდებიც გააჩნდათ. მაგალითად, შუა საუკუნეების ავტორები აღწერენ მდინარეთა გადალახვის ყივჩაღურ მეთოდს, რომლის მიხედვითაც ყივჩაღები სხდებოდნენ სხვადასხვა მსუბუქი მასალისგან გატენილ ტიკებზე, ცხენებს იყენებდნენ წყალში გამწვევ ძალად და საკმაოდ იოლად გადადიოდნენ მეორე ნაპირზე.¹⁴ ეჭვს გარეშეა, რომ მდინარეთა გადალახვის სწორედ ეს ყივჩაღური მეთოდი გამოიყენა დავით აღმაშენებელმა, როდესაც 1121 წლის ივნისში ყივჩაღებთან ერთად გადაცურა მდინარე მტკვარი და თავს დაესხა ბარდავს.¹⁵ ანალოგიურ მეთოდს ხშირად იყენებდნენ სხვა მომთაბარეებიც, მაგალითად, ნერსეს პალიენეცი აღწერს თუ როგორ იოლად მოახერხეს ევფრატის გადალახვა მონღოლებმა, მაშინ როდესაც მათთან ერთად მყოფი სომეხი მეომრებისთვის ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.¹⁶

მარშის დროს არმიის მდინარეზე გადასვლა მაღალ სამარშო დისციპლინასა და კოლონების წესიერ წყობას მოითხოვდა, სხვა შემთხვევაში ადვილად შეიძლებოდა საცობები წარმოქმნილიყო და მეომრები ჭყლეტვაში მოყოლილიყვნენ. მაგალითად, ალ-ჯუბაირს აღწერილი აქვს თუ როგორ არეგულირებდა სპეციალური ჯგუფი მლოცველთა დიდი ნაკადის (რომელიც ამ შემთხვევაში სამარშო კოლონის გადაადგილებას შეიძლება შევადაროთ) მოძრაობას ჰილა-ბალდადის გზაზე, სადაც მათ რამდენიმე ხიდი უნდა გაეელოთ. მლოცველებს ხიდებისკენ უშვებდნენ პატარა ჯგუფებად, რათა ხიდებზე ჭყლეტვა არ მომხდარიყო,¹⁷ აქედან ადვილი წარმოსადგენია თუ როგორი სამარშო წესრიგი და დისციპლინა სჭირდებოდა არმიას მდინარის ფორსირებისას, სადაც ნებისმიერი ხიდი მათთვის უდიდესი დაბრკოლება შეიძლება გამხდარიყო, როგორც ეს მოხდა მაგალითად, მდინარე ეკლეცზე, რომლის გადალახვის უწესრიგო მცდელობისას გაგის ციხიდან უკანდახეულ სელჯუკ მეომრებს, რომელთაც ქართული არმია მისდევდა, საცობი წარმოექმნათ და მდევართა მსხვერპლი გახდნენ.¹⁸

სამარშო წესრიგი და დისციპლინა მარშირების აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენდნენ არა მარტო მდინარეთა გადალახვისას, არამედ ლაშქრობის მთელ მანძილზე, ნებისმიერ პირობებსა და ყველა ვითარებაში, სხვა შემთხვევაში არმიის დანიშნულების პუნქტებამდე მიღწევა შეუსრულებელი ამოცანა ხდებოდა. მარშის წარმატებულად განხორციელება საჭიროებდა გადაადგილების ორგანიზაციას სამარშო წყობის სახით, როდესაც არმიაში შემავალი ქვედანაყოფები გარკვეული თანმიმდევრობით ეწყობოდნენ ერთიან კოლონად და ისე გადაადგილდებოდნენ. იშვიათი გამონაკლისების გარდა, შუა საუკუნეების არმიები, როგორც წესი, ერთ

კოლონად მოძრაობდნენ (რაც დამატებით მიუთითებს მათ მცირერიცხოვნობაზე) და უმრავლეს შემთხვევებში სამი ძირითადი ნაწილისგან - ავანგარდის, კოლონის შუა ძირითადი ნაწილისა და არიერგარდისგან შედგებოდნენ, სადაც ავანგარდსა და არიერგარდს კოლონის ძირითადი ნაწილის დაცვის ფუნქცია გააჩნდათ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ალაღის უსაფრთხოებას, რომელსაც სტანდარტულ შემთხვევებში კოლონის შუა ნაწილში ათავსებდნენ.

შუასაუკუნეებისარმიათაგადაადგილებისსისწრაფესასაპალნეცხოველების მოძრაობის უნარი განაპირობებდა, რომელთაგანაც ყველაზე ნელმავლები აქლემები და განსაკუთრებით ხარები იყვნენ. ხარების სისწრაფეზე დამოკიდებულ სამარშო კოლონებს საათში მაქსიმუმ 4-5 კილომეტრის სიჩქარით შეეძლოთ გადაადგილდებოდა, მარში იწყებოდა გამთენიისას და გრძელდებოდა დაახლოებით 8 საათის განმავლობაში, რა დროსაც არმიას, ნორმალური გზების არსებობისა და გადაადგილების თანაბარი რიტმის შენარჩუნების შემთხვევაში, დღის განმავლობაში დაახლოებით 30-40 კილომეტრის დაფარვა შეეძლო, მაგრამ ეს საკმაოდ იშვიათად ხდებოდა, რეალობაში, უფრო ხშირად, სამარშო კოლონები ნაკლები მანძილების დაფარვას ახერხებდნენ. როგორც უკვე იყო აღნიშნული, არმიას მარშის განხორციელების დროს უამრავი დაბრკოლება ხვდებოდა წინ: მდინარე, ხევი, მთაზე აღმავალი გზა, წვიმით ატალახებული ნიადაგი, სიციხე, ძლიერი ქარი და სხვა მსგავსი ფაქტორები, რომლებიც გადაადგილების სისწრაფეს მკვეთრად ამცირებდნენ, რის შედეგადაც დღის განმავლობაში განვლილი დისტანციებიც მოკლდებოდა. მაგალითად, I ჯვაროსნული ლაშქრობის არმია მცირე აზიაში მარშირებისას, დღეში საშუალოდ 17 კილომეტრს გადიოდა, ხანდახან კი ეს მაჩვენებელი 10 კილომეტრის ქვემოთ ეცემოდა,¹⁹ ისევე როგორც ალაფით დატვირთული თემურ-ლენგის არმიისა ინდოეთში ლაშქრობის დროს, როდესაც მის მიერ განვლილი დღიური მანძილი, საკმაოდ ხშირად, მხოლოდ 8-10 კილომეტრს უდრიდა.²⁰

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი ბარიერები მარშისთვის სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნიდა, გადაადგილების უმთავრესი პრობლემა მაინც ნელმავალი ალაღი იყო და რაც უფრო დიდი იყო მისი შემადგენლობა (ე.ი. რაც უფრო უკეთ იყო არმია უზრუნველყოფილი), მისი გადაადგილების სისწრაფე მით უფრო ეცემოდა. ამიტომ ძალიან ხშირად, მარშის გარკვეულ, უპირატესად დამამთავრებელ ეტაპზე, არმიები სათანადო დაცვით უკან იტოვებდნენ ალაღის მძიმე ნაწილს (საზიდრებს) და მხოლოდ შედარებით სწრაფად მოძრავი სასაპალნე ცხოველების თანხლებით იწყებდნენ მარშირებას. მაგალითად, ასე მოიქცა ანტიოქიის მთავარი როჯერი სისხლიან ველზე ბრძოლის წინ, როდესაც არმია და ალაღი ცალ-ცალკე გააგზავნა ბრძოლის ადგილისკენ,²¹ ისევე როგორც ნიკეის იმპერატორი თედორე ლასკარისი, რომელმაც მეანდრის ბრძოლის წინ ბრძანება გასცა, რომ მეომრებს მარშის სისწრაფის შენარჩუნებისთვის მძიმე ნივთები თან არ წამოელოთ.²² ასევე დატოვა ალაღი ჯალალ ად-დინმა ქართულ არმიაზე თავდასხმამდე ერთი დღით ადრე ვატახის (გელაქუნის) ტბის მიდამოებში,²³ ხოლო იოანე ციმისხიელის არმიას ბულგარეთში ლაშქრობის დროს, ალაღი ორი დღის სავალი დისტანციის დაშორებით მიყვებოდა.²⁴

მძიმე ალაღის ტარებისგან განთავისუფლების შემდეგ, სამარშო კოლონის გადაადგილების სისწრაფე და შესაბამისად განვლილი დისტანციის მანძილი, მკვეთრად იზრდებოდა, მაგალითად, ინდოეთში ლაშქრობის დროს თემურ-ლენგის არმიამ, რომელიც ალაღთან ერთად (როგორც იყო აღნიშნული) 8-10

კილომეტრის გავლას ახერხებდა, ალალის სხვა მარშრუტით გაგზავნის შემდეგ (გვიას ად-დინ ალის მიხედვით) ერთ შემთხვევაში 40, ხოლო მეორე შემთხვევაში 60 კილომეტრიც კი დაფარა.²⁵ ასევე მკვეთრად გაიზარდა ბიზანტიური არმიის მოძრაობის სისწრაფე, როდესაც მანუელ კომნენოსის ბრძანებით მეომრებმა დატოვეს კარვები და სხვა მძიმე აღჭურვილობა, რაც საზიდრებით უნდა ეტარებინათ და მხოლოდ ის მარაგები წაიღეს თან, რომელთა ტარებაც მხოლოდ სასაპალნე ცხოველებით იყო შესაძლებელი.²⁶

ალალის სამარშო კოლონის შემადგენლობიდან გამოყვანა არმიის გადაადგილების სისწრაფეს ზრდიდა, მაგრამ ძალზედ სარისკო ქმედებას წარმოადგენდა და ქმნიდა მეომართათვის აუცილებელი მარაგების დიდი ხნით ჩამორჩენის, ან საერთოდ დაკარგვის საშიშროებას, რაც ლაშქრობის მარცხით დამთავრების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო. მაგალითად, ეს მდგომარეობა კარგად ჩანს ჟან ლე-ბელის მიერ აღწერილ ეპიზოდში, როდესაც ინგლისის არმიამ, 1327 წელს შოტლანდიელთა წინააღმდეგ ომის დროს, დატოვა ალალი და რამდენიმე დღის განმავლობაში ფორსირებული მარშით ცდილობდა მონინააღმდეგის დევნას. ინგლისელები მტერს ვერ დაენივნენ და ალალიც დაკარგეს, რის გამოც მეომრებს ეძინათ ღია ცის ქვეშ, რის შედეგადაც მათი ფიზიკური კონდიცია მკვეთრად გაუარესდა, ვერ ცვლიდნენ წვიმისგან დამბალ ცხენების აკაზმულობას, რამაც ცხოველებს ზურგი გადაუხეხა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა. შეუძლებელი გახდა გატეხილი ნალების გამოცვლა, რამაც ცხენების გადაადგილების სისწრაფე მკვეთრად დააქვეითა, გართულდა მეომართა გამოკვება, რის გამოც დაეცა საბრძოლო განწყობა და ა.შ. ყოველივე ამის შედეგადაც არმია თითქმის ბრძოლის უუნარო აღმოჩნდა და ვერც ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია.²⁷

მარშის დროს ყველა არმია გარკვეულ დანაკარგს განიცდიდა. ხშირად იმტვრეოდა საზიდრების ცალკეული დეტალები, ზიანდებოდა ცხენების აკაზმულობა, ხდებოდა უბედური შემთხვევები, საკმაოდ ხშირი იყო დეზერტირობა და ა.შ. მაგრამ მარშის ყველაზე დიდი პრობლემა, ის ფიზიკური დატვირთვა იყო, რისი ზემოქმედების ქვეშაც მისი მონაწილე ყველა მეომარი ექცეოდა, რაც არმიის ბრძოლისუნარიანობაზე ნეგატიურად მოქმედებდა, რის გამოც პერიოდულად მარშის შეწყვეტა და არმიის რამდენიმე დღით დასვენება აუცილებელი ხდებოდა. მაგალითად, ანტიოქიიდან იერუსალიმისკენ მიმავალი პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის არმია რამდენჯერმე შეჩერდა გზაზე და რამდენიმე დღის განმავლობაში ისვენებდა.²⁸

მარში, როგორც მოძრაობის, ასევე დაბანაკებისა და ბანაკის აშლის დროს, ძალიან დიდი საფრთხის შემცველ მდგომარეობას წარმოადგენდა. თუ მონინააღმდეგე მოახერხებდა ბანაკის აშლის ან დაბანაკების პროცესში მყოფ არმიაზე თავდასხმას, ეს როგორც წესი, კატასტროფული შედეგებით მთავრდებოდა, რადგან აღნიშნულ მდგომარეობებში მყოფი არმიისთვის გადაჯგუფება და საბრძოლო წყობის მიღება, უაღრესად რთული შესასრულებელი მანევრი იყო და მისი განხორციელება იშვიათად ხერხდებოდა.²⁹ აღნიშნულის კარგი მაგალითებია დავით აღმაშენებლის გამარჯვებები თრიალეთისა და დიდგორის ბრძოლებში, როდესაც ქართული არმია პირველ შემთხვევაში სელჯუკებს ბანაკის დატოვების (ე.ი. მარშის დაწყების), ხოლო მეორე შემთხვევაში მარშის პროცესში დაესხა თავს და რიცხობრივი სიმცირის მიუხედავად, უფრო დიდი არმია ორივე შემთხვევაში სასტიკად დაამარცხა.³⁰ ასეთივე გამარჯვება მოიპოვა ანტიოქიის სამთავროს მცირე-

რიცხოვანმა არმიამ სელჯუკებზე 1115 წელს, ტალ-დენიშის ბრძოლაში, როდესაც მან იმ დროს შეუტია მონინალმდეგეს, როდესაც მარშის შემდეგ ის დაბანაკების პროცესში იმყოფებოდა.³¹

აღნიშნული გარემოებები სამარშო კოლონების დაცვის აუცილებლობას განაპირობებდა. დაცვის პირველ და ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა გასავლელი ტერიტორიების დაზვერვა და წინმსწრები ინფორმაციის მოპოვება მონინალმდეგის ადგილმდებარეობისა და მოძრაობის მიმართულებების შესახებ, რისთვისაც გასავლელ მარშრუტზე წინასწარ იკავებდნენ სიმაღლეებს ტერიტორიების სათვალთვალოდ, სამარშო კოლონების წინ აგზავნიდნენ სადაზვერვო რაზმებს, აწარმოებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვას და ა.შ. გარდა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისა, ხდებოდა მარშრუტების ყველაზე სახიფათო მონაკვეთების (ხეობის ყელების, ხიდების და ა.შ.) დაცვა წინასწარ გაგზავნილი რაზმების მეშვეობით. მარშის დაცვის საშუალებას წარმოადგენდა აგრეთვე სწორი სამარშო კოლონების ორგანიზება ცხენოსნებისა და ქვეითების ურთიერთმოქმედებით, რომლის დროსაც სამარშო კოლონების სიახლოვეს მონინალმდეგის მობილური რაზმების გამოჩენის შემთხვევაში, ქვეითი მოისრეები ისრის მისაწვდენ მანძილზე აკავებდნენ მტერს და არ აძლევდნენ კოლონასთან მიახლოების საშუალებას, ხოლო მათი წინწამოსვლის შემთხვევაში, დაცვის ფუნქციებს უკვე ცხენოსნები იღებდნენ თავზე და უტყევდნენ მოახლოვებულ მტერს.³² ამგვარი სწორი მარშირების კლასიკურ მაგალითად ითვლება რიჩარდ I-ს ჯვაროსნული არმიის მოძრაობა აკრადან არსუფამდე 1191 წელს, როდესაც მუსლიმთა მრავალრიცხოვანმა ჩასაფრებებმა და მსუბუქ ცხენოსანთა მცირე (დივერსიული ხასიათის) ჯგუფების თავდასხმებმა, ჯვაროსნებს მარში ვერ შეაწყვეტინეს.³³ საწინააღმდეგო სურათი იყო ჰატინის ბრძოლის წინ, როდესაც ჯვაროსანთა არმიაში მყოფი ცხენოსნები და ქვეითები, მარშის დროს ერთმანეთს დაცილებულნი აღმოჩნდნენ, რაც საბოლოო ჯამში, ჰატინის კატასტროფული მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა.³⁴

მარშირების დრო დღის განმავლობაში შეადგენდა დაახლოებით 6-8 საათს, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა, მათგან უმთავრესი იყო არმიის თანმხლები ცხოველთა გამოკვება-დარწყულებისა და ბანაკის გასაშლელად საჭირო დროის აუცილებლობა. ცხენები ბალხის ძოვას დღის განმავლობაში მინიმუმ 4-5 საათს ანდომებდნენ,³⁵ უფრო მეტი დრო სჭირდებოდა ბანაკის გაშლას, რაც აუცილებლად დღის შუქზე უნდა მოსწრებულყო, რაც იმას ნიშნავს, რომ არმიას მხოლოდ დღის პირველი ნახევარი, გათენებიდან შუადღემდე შეეძლო ემოძრავა, რაც მარშირების დღიურ დისტანციას გარკვეულ ფარგლებში აქცევდა.

სწორი მარში ურთულეს პროცედურას წარმოადგენდა. იგი სამხედრო ხელოვნების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო და სავლელ არმია რამდენადაც სრულყოფილად ასრულებდა მას, სამხედრო კამპანიის წარმატებით დამთავრების იმდენად მეტ შესაძლებლობას იღებდა. მარშის ყველა კომპონენტი მიმართული იყო იქით, რომ შუა საუკუნეების არმიას შესძლებოდა სტაბილური სისწრაფით მოძრაობა და დანიშნულების ადგილებამდე დაგეგმილ დროში მიღწევა. უკვე იყო აღნიშნული, რომ სხვადასხვა პირობებში არმიები ერთი დღის განმავლობაში 10 კილომეტრიდან 40-60 კილომეტრის დაფარვას ახერხებდნენ, მაგრამ როგორც ამას ბიზანტიელი ანონიმი ავტორის სამხედრო ტრაქტატი, DE VELITATIONE BELLICA მიუთითებს³⁶ და რასაც სხვა წერილობითი წყაროების

მრავალრიცხოვანი ცნობაც ადასტურებს, მეტ-ნაკლებად სტანდარტული დისტანცია, რისი დაფარვაც შუა საუკუნეების ფეოდალურ არმიას ჩვეულებრივ პირობებში შეეძლო, იყო დაახლოებით 25 კილომეტრი, რისი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორიც, საარმიო ალაღის მოძრაობის სისწრაფე იყო.³⁷ აღნიშნულის გათვალისწინებით ბიზანტიელი მხედართმთავრები (ისევე როგორც სხვები) ცდილობდნენ რამდენიმე დღით ადრე მოეპოვებინათ სადაზვერვო ინფორმაცია მონინალმდეგის არმიის მოძრაობის შესახებ, რათა განესაზღვრათ თუ რამდენ ხანში მიაღწევდა მტერი გარკვეულ დანიშნულების ადგილს და ამის მიხედვით დაეგეგმათ საკუთარი მოქმედებები. მაგალითად, DEVELITATIONE BELLICA-ს მიხედვით, ბიზანტიელები ამგვარი ინფორმაციის მოპოვებას მინიმუმ ოთხი დღით ადრე ცდილობდნენ³⁸ და მიღებული მონაცემების საფუძველზე აგებდნენ საბრძოლო მოქმედებების სქემას, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზანტიელმა სარდალს, რომელმაც იცოდა მტრული არმიის მოძრაობის მიმართულება და კონკრეტული ადგილმდებარეობა, ადვილად შეეძლო განესაზღვრა თუ სად იქნებოდა მტერი ოთხი დღის (ე.ი. 25 კმ. სისწრაფით 100 კმ. გავლის) შემდეგ და ამის მიხედვით მოენყო ჩასაფრება და მტერზე მოულოდნელი თავდასხმა. მაგრამ ადვილი წარმოსადგენია რა შეიძლება მოჰყოლოდა ამ გათვლებში შეცდომის დაშვებას. იმ შემთხვევაში, თუ მონინალმდეგის არმია მარშირებისას 25 კმ-ზე მეტ სისწრაფეს განავითარებდა, ვთქვათ, 40-50 კმ-ს, აღნიშნულ ადგილზე ოთხი დღის ნაცვლად ორ დღეში აღმოჩნდებოდა, რაც, ბუნებრივია, უკვე ბიზანტიელთათვის იქნებოდა მოულოდნელობა.

არმიის სწრაფი მარშირების უნარს საბრძოლო მოქმედებების ეფექტური წარმოებისთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. არმია, რომელსაც შეეძლო ვითარებისდა მიხედვით მოძრაობის სისწრაფის შეცვლა, მაღალი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდა და მონინალმდეგესთან შედარებით, როგორც წესი, უზარმაზარ უპირატესობას იღებდა. მაგალითად, სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში „ისტორიანი და აზმანის“ ანონიმ ავტორს, როდესაც იგი დავით-სოსლანის მეთაურობით 1193 წელს განხორციელებულ მასშტაბურ სათარეშო რეიდს აღწერდა. მისი მიხედვით, საქართველოს არმია გელაქუნისა და ხაჩენის გავლით ჩავიდა ბაილაკანის სიახლოვეს მდებარე ქალაქ ყარყართან,³⁹ საიდანაც გაემართა შამქორისკენ და არსებული, დაახლოებით, 200-220 კილომეტრიანი დისტანცია ექვს დღეში დაფარა (ე.ი. დღეში გაიარა დაახლოებით 35-40 კმ.), რომლის დროსაც პარალელურად დაარბია განძის მიდამოები და განძის საემიროს არმიაც დაამარცხა.⁴⁰ არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ეჭვი იმის თაობაზე, რომ საქართველოს არმიის მოქმედების ეფექტურობა (ამ შემთხვევაში) დამყარებული იყო მისი სწრაფი მარშირების უნარზე, რისი წყალობითაც დავით-სოსლანმა შექმნა მოულოდნელობის ფაქტორი განძის საემიროსთვის და აქედან გამომდინარე, ძალიან იოლად დაამარცხა მისი არმია.

მარშირების სისწრაფე და შესაბამისად სამხედრო კამპანიების ეფექტურობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული გზათა სისტემის მდგომარეობაზე, ამიტომ ცენტრალიზებული სახელმწიფოები, პირველ რიგში, საგზაო კომუნიკაციების მოწესრიგებას ცდილობდნენ. უკვე მივუთითეთ, რომ დავით აღმაშენებელმა, მასშტაბური სამხედრო კამპანიების დაწყების დროს მომთაბარეებისა და სელჯუკების წინააღმდეგ, გზების მოწესრიგებასა და ხიდების მშენებლობაზეც იზრუნა.⁴¹ ასეთი ვითარება შეიმჩნევა ყველა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შემთხვევაში ჯერ კიდევ რომის იმპერიის პერიოდიდან, როდესაც რომაელთა

სამხედრო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას, კეთილმონყობილი გზების ქსელის შექმნა წარმოადგენდა.⁴² გზების სისტემა, მათ სავაჭრო-ეკონომიკურ დანიშნულებასთან ერთად, მაღალი მნიშვნელობის სამხედრო-სტრატეგიული სფეროც იყო, მისი არსებობის შემთხვევაში არმიების მოძრაობა, მათი უზრუნველყოფა და შესაბამისად, არსებული სამხედრო ამოცანების შესრულება, ბევრად ეფექტურად ხერხდებოდა, რაც აიძულებდა სხვადასხვა სახელმწიფოს დიდი ყურადღება დაეთმობა გზების გაუმჯობესებისთვის. მაგალითად, ოსმალეთის იმპერიამ ბალკანეთის დაპყრობის შემდეგ (უფრო-აწორად დაპყრობების პროცესში), პირველ რიგში, გზათა სისტემა გააუმჯობესა, რის შედეგადაც ოსმალური არმია სტამბულიდან ბელგრადამდე არსებულ 1000 კილომეტრიან დისტანციას ერთ თვეში ფარავდა.⁴³ ე.ი. კეთილმონყობილი გზის პირობებში, დღეში დაახლოებით 33 კილომეტრის გავლას ახერხებდა, რაც დიდი არმიისთვის მარშის საკმაოდ მაღალი სისწრაფე იყო. ანალოგიურად იქცეოდნენ ოსმალეთის იმპერიის ხელისუფალნი სხვა რეგიონებშიც, მაგალითად, უნგრეთში, სადაც მათ, პირველ რიგში, ასევე გზების მონესრიგება დაიწყეს,⁴⁴ ისევე როგორც ირანთან ომის პერიოდში, როდესაც თავრიზის დაკავების შემდეგ, ორუჯ ბეგ ბაიათის მონობით, სულთანმა განკარგულება გასცა ერზურუმ-თებრიზის გზის მშენებლობის შესახებ და ამ მიზნით იმპერიის აღმოსავლეთ რეგიონებიდან ხელოსნებისა და სხვა სამუშაო ძალის ტოტალური მობილიზება მოახდინა.⁴⁵

განსხვავებული სურათი იყო მომთაბარულ არმიების შემთხვევაში, რომლებიც ფეოდალურ არმიებს თავისი მობილურობით აშკარად აღემატებოდნენ. მათ ერთი დღის განმავლობაში უფრო დიდი მანძილის დაფარვა შეეძლოთ ვიდრე ფეოდალურ არმიას და ამ უპირატესობას ისინი მთელი რიგი გარემოებების წყალობით აღწევდნენ. იმ შემთხვევაში, როდესაც მომთაბარეები ოჯახების (ე.ი. საზიდრების) თანხლებით გადაადგილდებოდნენ, მაშინ მათზე მარშის სირთულეები ისევე ვრცელდებოდა როგორც ფეოდალურ არმიაზე. მაგრამ როდესაც მომთაბარეთა არმია ოჯახების გარეშე მოძრაობდა, ასეთ შემთხვევებში მათი მარშის სისწრაფე ფეოდალურ არმიებთან შედარებით ბევრად მეტი ხდებოდა. მომთაბარეები ნაკლებად ატარებდნენ მძიმე ალაღს, სტუპების მკაცრ პირობებსა და საკვების მცირე რაციონს შეჩვეულები (ფეოდალურ არმიებთან შედარებით), სურსათის მცირე რაოდენობით კმაყოფილდებოდნენ, რისი ტრანსპორტირებაც გრძელ დისტანციებზე სასაპალნე ცხოველებითაც იყო შესაძლებელი, ეს კი მათ მძიმე ალაღის ტარების აუცილებლობისგან ათავისუფლებდა. ლაშქრობის დროს ყველა მომთაბარე მეომარს ჰყავდა რამდენიმე ცხენი, რომლებსაც მარშის პერიოდში იცვლიდა.

დაზვერვა

დაზვერვა შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნების ისეთივე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო, როგორც მარში და სამხედრო ბანაკი. შუა საუკუნეების დაზვერვის ორგანიზაცია ორ პირობით მიმართულებად, პოლიტიკურ და სამხედრო დაზვერვად შეიძლება დაიყოს, რამდენადაც ორივე მათგანი უზარმაზარ ზეგავლენას ახდენდა როგორც სამხედრო საქმის ორგანიზაციაზე, ასევე სამხედრო კამპანიების მსვლელობაზე, ამდენად როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო დაზვერვის წარმოებას უდიდესი ყურადღება ექცეოდა.

პოლიტიკური დაზვერვა როგორც ომების, ასევე მშვიდობიანობის პერიოდშიც წარმოებდა და მისი განხორციელება ძირითადად ვაჭრების, მოგზაურების, მისიონერების, პილიგრიმებისა და დიპლომატიური მისიების მეშვეობით ხდებოდა. მისი მიზანი იყო მაქსიმალურად მეტი სამხედრო, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციის მოპოვება ახლო თუ შორეულ მეზობლებზე, როგორც პოტენციურ მონინალმდეგეებზე. XI საუკუნის 80-იან წლებში, სელჯუკთა იმპერიის დიდი ვეზირი ნიზამ ალ-მულკი რეკომენდაციას იძლეოდა, რომ იმპერიის ხელისუფლებას ვაჭრების, დერვიშებისა და სხვათა სახით, რაც შეიძლება მეტი მსტოვარი უნდა გაეგზავნა როგორც იმპერიის სხვადასხვა რეგიონებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რათა სულთანს ყველაფერი წინასწარ სცოდნოდა.¹ აღნიშნულ პრაქტიკას შუა საუკუნეების თითქმის ყველა ქვეყანა იყენებდა, მაგალითად, თამარის სამეფო კარისთვის ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ვაჭრები არიან, რომელთაგანაც ერთ-ერთი, დიდვაჭარი ზაქარია ზორაბეგელი მნიშვნელოვან დიპლომატიურ მისიასაც ასრულებს ჩრდილო კავკასიაში,² ხორეზმშიაში მუჰამედი ცდილობდა პოლიტიკური აგენტის ფუნქციები დაეკისრებინა ჩინგიზ-ხანის კარზე მოღვაწე ეროვნებით ხორეზმელი ვაჭრისთვის³ და ა.შ.

პოლიტიკური დაზვერვის ხელოვნება განსაკუთრებით განვითარებული იყო ბიზანტიის იმპერიაში, რომლის მმართველი აპარატიც აქტიურად აწარმოებდა როგორც პოლიტიკურ დაზვერვას და მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვებას, ასევე საკუთარი საიდუმლოებების დაცვას. როდესაც ბიზანტიის იმპერიაში ჩადიოდნენ იმ ქვეყნების ელჩები, რომელთაც იმპერია პოტენციურ მონინალმდეგეებად განიხილავდა, ბიზანტიელები მათ საზღვარზე ხვდებოდნენ და კონსტანტინოპოლისკენ შემოვლითი, ძნელად სავალი გზებით მიჰყავდათ, რათა ისინი ბიზანტიაში ლაშქრობის სირთულეში დაერწმუნებინათ. როდესაც ელჩები კონსტანტინოპოლს აღწევდნენ, მათ დიდი ხალისით უჩვენებდნენ ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემას და ხშირად უწყობდნენ ალღუმებს, რომლის დროსაც ერთიდაიგივე მეომრებს სხვადასხვა ტანსაცმელს აცმევდნენ, რათა ელჩები ბიზანტიური არმიის მრავალრიცხოვნობაში დაერწმუნებინათ და ამით მათთვის ომის დაწყების სურვილს გადაეფიქრებინათ.⁴

პოლიტიკური დაზვერვის მეშვეობით შესაძლებელი იყო ზოგადი წარმოდგენის შექმნა კონკრეტული ქვეყნის შესაძლებლობებსა და იქ მიმდინარე პროცესებზე, რასაც საკმაოდ მაღალი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო პოლიტიკური გადანყვეტილებების (მაგალითად, ომის დაწყება ან არდაწყების შესახებ) მისაღებად. მისი მეშვეობით ასევე შესაძლებელი იყო მონინალმდეგის სამხედრო მზადების დაწყების დროის დადგენა, რასაც საპასუხო პრევენციის განსახორციელებლად უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა. დიდი არმიის თავმოყრა საიდუმლო პირობებში, ფაქტიურად, შეუძლებელი იყო. ლაშქრობის მომზადებაში მონაწილეობდა უამრავი სხვადასხვა პროფესიის (ვაჭრები, ხელოსნები, მუშები და ა.შ.) მქონე ადამიანი, რაც საიდუმლოს დაცვას ძალიან აძნელებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც იმ სახელმწიფოს, რომლის წინალმდეგაც ლაშქრობა მზადდებოდა, მოცემულ ქვეყანაში პოლიტიკური დაზვერვის ქსელი ჰქონდა ორგანიზებული, მისთვის ეს მზადება შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, რაც ამ ქვეყანას მისცემდა საკმარის დროს საპასუხო ზომების გასატარებლად, რაც მის წინალმდეგ ომის დროს, სულ ცოტა მოულოდნელობის ფაქტორს გამორიცხავდა. მაგალითად, მსგავსი რამ მოხდა შამქორის ბრძოლის წინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ

კიდევ მაშინ შეიტყო მუსლიმური კოალიციის განზრახვა თავს დასხმოდნენ საქართველოს სამეფოს, როდესაც მუსლომთა არმიამ ნახიჭევანში თავმოყრა დაიწყო. ბუნებრივია, ამ ინფორმაციის მიღებამ საქართველოს სამეფო კარს შესაძლებლობა მისცა ჩაეტარებინა სრულფასოვანი მობილიზაცია და მტერს სამეფოს საზღვრებს გარეთ დახვედროდა.⁵

სამხედრო დაზვერვა

მიუხედავად პოლიტიკური დაზვერვის უაღრესად მაღალი მნიშვნელობისა, შუა საუკუნეების სადაზვერვო საქმიანობის უმთავრესი მიმართულება მაინც სამხედრო დაზვერვა იყო, რომელიც უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ და უშუალოდ ბრძოლების პროცესში ხორციელდებოდა. სამხედრო დაზვერვის ხარისხი მნიშვნელოვნად განაპირობებდა წარმატებას კონკრეტულ კამპანიებში, რომლის წარმოების დროსაც, ნებისმიერი რეალური ინფორმაცია მონინაალმდეგის შესახებ, ყოველი მხედართმთავრისთვის სწორი გადაწყვეტილების საფუძველი იყო, ამიტომ მის მოპოვებას განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობდნენ.

უშუალოდ ბრძოლის ველზე მყოფი მონინაალმდეგის დასაზვერად ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება, მასთან სხვადასხვა საბაბით გაგზავნილი ელჩები იყვნენ. მტრის ბანაკში მისული ელჩებისთვის ადვილად ხდებოდა ცნობილი ისეთი ღირებულებები ინფორმაციები, როგორც იყო მტრის ბანაკის ზუსტი ადგილმდებარეობა, მისი სიდიდის მიხედვით მეომართა დაახლოებითი რაოდენობა, შემადგენლობა, შეიარაღების ხასიათი და სხვა მონაცემები. ელჩების მონინაალმდეგესთან გაგზავნა ინფორმაციის მოპოვების იმდენად ეფექტური მეთოდი იყო და მას თითქმის ყველა მხედართმთავარი ისეთი სიხშირით იყენებდა, რომ კეკავმენოსი ამასთან დაკავშირებით თავის სამხედრო ტრაქტატში სპეციალურ რეკომენდაციებსაც იძლეოდა. მისი აზრით, თუ მტერი ბრძოლაში აგზავნიდა ელჩებს, ამას აუცილებლად დასაზვერად და მეომართა რაოდენობის გასარკვევად აკეთებდა, რის გამოც მეომრები ისე უნდა განლაგებულიყვნენ, რომ მათი სიდიდე რეალურზე მეტი გამოჩენილიყო, თუ ეს არ ხერხდებოდა, მაშინ მხედართმთავარს ელჩები ბანაკიდან მოშორებით უნდა მიეღო და არმიის ახლოდან დათვალეერების საშუალება არ მიეცა.⁶ კეკავმენოსის რჩევები რომ ზედმეტი არ იყო, ამას წერილობითი წყაროების მრავალი ცნობა ადასტურებს. მაგალითად, 1165 წელს, გიორგი III-თან ბრძოლის წინ, აზერბაიჯანის ათაბაგმა ელდიგიზმა საქართველოს მეფესთან გააგზავნა ელჩი, რომელიც იყო „კაცი მოგვი და ტრელი, მეცნიერი საქმისა, ამხილველი და გამომხილველი ლაშქართა დგომისა,“ ელჩის მოტანილი ინფორმაციის შემდეგ ილდიგიზი, დარწმუნდა რა ქართული არმიის მცირერიცხოვნობაში, მოულოდნელად დაესხა მას თავს და გამარჯვება მოიპოვა.⁷

ელჩებს მრავალი სხვადასხვა სადაზვერვო დავალების შესრულება შეეძლოთ. თემურ-ლენგმა, რომელსაც აინტერესებდა ბალდადის სულთანის პირადი თვისებები, ამის დასადგენად მასთან ელჩი გააგზავნა, რომელმაც სულთანთან შეხვედრის შემდეგ თემურს მოახსენა, რომ იგი არაფრით გამორჩეული პიროვნება იყო და მის წინააღმდეგ ომის დაწყება უპრობლემოდ შეიძლებოდა.⁸ ელჩებს შეეძლოთ აგრეთვე ორმაგი აგენტების როლის შესრულება და დავალების მიმცემთათვის დეზინფორმაციის გადაცემა. მაგალითად, ბასილი II მკაცრად დასაჯა ვალაშკ-

ერტის ეპისკოპოსი, რომელიც მას გიორგი I-თან ჰყავდა ელჩად გაგზავნილი და რომელმაც უკან დაბრუნებისას მოახსენა მას, რომ საქართველოს მეფეს დიდი არმია ჰყავდა, რაც ბასილიმ არ დაიჯერა და ეჭვი მიიტანა, რომ ეპისკოპოსი მას ატყუებდა.⁹

ელჩის რანგში დაზვერვის განხორციელება ამ მისიის შემსრულებელთაგან სამხედრო საქმის მრავალმხრივ ცოდნას და მაღალ კვალიფიკაციას თხოულობდა, რაზედაც კეკავმენოსი აფრთხილებდა ბიზანტიელ მხედართმთავრებს, რომ მათ ისინი უბრალო ხალხად არ მიეღოთ, რადგან ამ ფუნქციების შესასრულებლად გაქნილ და ვერაფრად ადამიანებს არჩევდნენ,¹⁰ კეკავმენოსის ნათქვამი რომ რეალობა იყო, ამას „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის ზემოთმოყვანილი ცნობაც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც გიორგი III-თან მისული ილდიგიზის ელჩი იყო „მეცნიერი საქმისა, ამხილველი და გამომხილველი ლაშქართა დგომისა.“

დაზვერვის წარმოების და ინფორმაციის მოპოვების მნიშვნელოვანი წყარო იყო ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა გამოკითხვითაც შუასაუკუნეებში (ისევე როგორც ნებისმიერ სხვა პერიოდში) სამხედრო ხასიათის მონაცემების მოპოვება შესაძლებელი იყო. დაზვერვის ამ მეთოდს იმდროინდელი მხედართმთავრები სისტემატიურად მიმართავდნენ. სწორედ ამ ხასიათის სადაზვერვო ინფორმაციის მეშვეობით შეძლეს ბიზანტიელებმა კონსტანტინოპოლის ლათინებისგან დაბრუნება 1261 წელს, როდესაც ქალაქის სიახლოვეს მყოფმა ბიზანტიელმა სარდალმა სტრატიგოპულისმა, რომელიც თრაკიისკენ მიემართებოდა, ადგილობრივი მცხოვრებლებისგან სრულიად შემთხვევით შეიტყო, რომ ქალაქში ლათინთა არმია არ იმყოფებოდა, რის შემდეგაც მიიღო გადაწყვეტილება ფარულად შეეღწია კონსტანტინოპოლში და დაეკავებინა ის. მიუხედავად იმისა, რომ სტრატიგოპულისის განკარგულებაში მხოლოდ 800 მეომარი იყო, მან ამ ამოცანის შესრულება მაინც მოახერხა, რაშიც გადაწყვეტი როლი იმ ინფორმაციის ფლობამ შეასრულა, რაც მას ადგილობრივებისგან ჰქონდა მიღებული.¹¹

ადგილობრივი მოსახლეობის სადაზვერვო ამოცანებისთვის გამოყენების მაგალითები სისტემატიურად გვხვდება შუა საუკუნეების ქრონიკებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაზვერვის წარმოების ეს ფორმა საკმაოდ გავრცელებულ საქმიანობას წარმოადგენდა. ანტიოქიის სამთავროსთან ომის დროს, მარდინის ემირი ილ-ლაზი მონინააღმდეგის ბანაკისკენ აგზავნიდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომელთაგანაც ჯვაროსნები სურსათს ყიდულობდნენ, შემდეგ კი მათ ნანახის შესახებ ინფორმაცია ილ-ლაზისთან მიჰქონდათ,¹² გოტიეს მითითებით ადგილობრივ მცხოვრებლებს თავად ანტიოქიელებიც აქტიურად იყენებდნენ.¹³ 1107 წელს, ბიზანტიისა და ნორმანების ომის დროს, ქალაქ არვანონის მცხოვრებლებმა ნორმანთა სარდალ ბოემუნდს შეატყობინეს ბიზანტიური არმიის მოძრაობის შესახებ და მოკლე ბილიკებიც უჩვენეს მისთვის გზის გადასაჭრელად,¹⁴ ხოლო 1085 წელს, ქალაქ ნიკეასთან მდგომ ბიზანტიელ სარდალ ტატიკოსს, ადგილობრივმა გლეხმა აცნობა მის ზურგში სელჯუკთა დიდი არმიის გამოჩენის შესახებ, რითაც ბიზანტიელები მოულოდნელ თავდასხმასა და განადგურებას გადაარჩინა.¹⁵

ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვნ წყაროს წარმოადგენდნენ სამხედრო ტყვეები,¹⁶ რომელთა ხელში ჩაგდებასაც სპეციალურად ცდილობდნენ. მაგალითად, კრეტაზე ომის დროს, ნიკიფორ ფოკამ ტყვეებისგან მიიღო ინფორმაცია კუნძულის მეორე მხარეს გადმოსხმული არაბული არმიის შესახებ, რამაც მას შესაძლებლობა მისცა გაენადგურებინა ისინი.¹⁷

სავეს ბრძოლის წინ, ბიზანტიელმა სარდალმა ანდრონიკ კონტოსტეფანმა მონინალმდეგის ბანაკის სიახლოვეს ჩასაფრება მოაწყო ტყვეების ხელში ჩასაგდებად,¹⁸ ხოლო 1116 წელს სელჯუკთა ხელში ჩავარდნილმა ალანმა მეომარმა მათ აცნობა ბიზანტიური არმიის მანევრების შესახებ, რითაც ისინი ალყაში მოხვედრას გადაარჩინა.¹⁹

სამხედრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვებისთვის ხშირად იყენებდნენ ჯაშუშურ მეთოდებსაც, როდესაც მტრის რიგებში გადაცმული მზვერავების შეგზავნას ცდილობდნენ. მაგალითად, ბალკანეთში ომის დროს ბარდა სკლიაროსმა მონინალმდეგის ბანაკში მათხოვრების სახით შეაგზავნა საკუთარი მზვერავები.²⁰ ნიკიფორ გრიგორასს აღწერილი აქვს თუ როგორ შეაღწია ბიზანტიელთა ბანაკში ეპირის დესპოტმა იოანემ, რომელიც მოქირავნესავით ჩაცმული ბანაკის ტერიტორიაზე იმ საბაბით დადიოდა, რომ თითქოს დაკარგულ ცხენს ეძებდა.²¹ მსგავსი სახის ცნობები საკმაოდ ხშირად გვხვდება შუა საუკუნეების ქრონიკებში, მაგრამ დაზვერვის ეს მეთოდი სინამდვილეში არცთუ ფართოდ იყო გავრცელებული, რადგან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და ეფექტი ნაკლებად მოქმენდა. მაგალითად, ნიკიფორე ფოკას სამხედრო ტრაქტატში მოყვანილია რეკომენდაცია, თუ როგორ უნდა აღმოეჩინათ მტრის ჯაშუში, რომლის გამოსავლენადაც (ბუნებრივია, როდესაც ასეთი ეჭვი გაჩნდებოდა) უნდა გაცემულიყო ბრძანება, რომ ყველა მეომარი თავის კარავთან დამდგარიყო, ხოლო ვინც კარვის გარეშე დარჩებოდა ჯაშუშიც ის იქნებოდა.²²

შუასაუკუნეებში დაზვერვის ყველაზე გავრცელებულ ფორმას მონინალმდეგის გადაადგილებაზე დისტანციური თვალთვალი წარმოადგენდა, რომლის ეფექტურობაც მდგომარეობდა იმ ფაქტორში, რომ იმდროინდელი მოუკირწყლავი საგზაო ქსელის არსებობის პირობებში, მოძრაობაში მყოფი არმია მტერის დიდ ღრუბლებს წარმოქმნიდა, რომლის შორი დისტანციებიდან შემჩნევაც საკმაოდ ადვილი იყო. მაგალითად, მტერის მეშვეობით დააფიქსირეს აჯანყებული ბიზანტიელი დიდებულის, ვასილაკის არმიის მოძრაობა ალექსი კომნენოსის მეომრებმა,²³ მტერის მეშვეობით აღმოაჩინა მონინალმდეგის არმია მანუელ კომნენოსმა, როდესაც იგი ქალაქ ზევგმანს უტიევდა, ხოლო მონინალმდეგის არმია მის ზურგში გასვლას ცდილობდა.²⁴ ასევე შეამჩნია მონლოლური არმიის მოძრაობა დავით ულუმ²⁵ და ა.შ. მტვერი იმდენად ხილული ნიშანი იყო არმიის მოძრაობისა, რომ X საუკუნის ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატი (DE VELITATIONE BELLICA) რჩევას აძლევდა მხედართმთავრებს, რომ იმ დროს როდესაც ისინი მტერზე თავდასხმის გადანყვეტილებას მიიღებდნენ, მას გათენებამდე უნდა მიახლოვებოდნენ, რადგან სხვა შემთხვევაში ავარდნილი მტვერი მათ ჩანაფიქრს თავდასხმამდე ბევრად ადრე გაამყლავნებდა.²⁶

მტერის ფაქტორი შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მტრული არმიის გადაადგილებაზე თვალთვალი შორი დისტანციებიდან დაწყებულიყო, რისთვისაც იყენებდნენ ყველა ხელსაყრელ ადგილს, როგორც ციხე-სიმაგრეებსა და სათვალთვალო კოშკებს, ასევე ყველა იმ მოხერხებულ სიმაღლეს, სადაც დროებითი სადაზვერვო პოსტის მოწყობა იყო შესაძლებელი. ბუნებრივია, რომ ყველაზე ეფექტურად ამ ამოცანის შესრულება იმ წერტილებიდან შეიძლებოდა, საიდანაც გარკვეული ტერიტორიის ხედი იშლებოდა და მტერის მეშვეობით მოძრაობაში მყოფი არმიის დაფიქსირება შორ მანძილზე ხდებოდა შესაძლებელი. მტრული არმიის დროული აღმოჩენა საშუალებას იძლეოდა დაწყებულიყო მისი ახლო დის-

ტანციებიდან თვალთვალი, რაც უკვე მტრის გეგმების გარკვევას აიოლებდა. მაგალითად, იმავე DEVELITATIONE BELLICA-ს მიხედვით, მზვერავებს აუცილებლად დაედგინათ მონინალმდევის ბანაკიდან გამოსვლის დრო და მიმართულება, რაც მხედართმთავარს საშუალებას მისცემდა განესაზღვრა თუ მეორე დღეს სად აღმოჩნდებოდა მტრის არმია, რის მიხედვითაც მას შესაბამისი ზომების მიღების შესაძლებლობა ეძლეოდა.²⁷ მაგალითად, ამ რეკომენდაციის შესაბამისად მოქმედებდა ირანში (სანჯანის ოლქში) მდებარე ციხე-სიმაგრე ბალაკის კომენდანტი, რომელიც მის ტერიტორიებზე შესულ მონღოლურ არმიას უთვალთვალებდა და შემდეგ ინფორმაციას თაბრიზთან მყოფ ჯალალ ად-დინს უგზავნიდა.²⁸

მონინალმდევის არმიის მოძრაობაზე თვალთვალი შუასაუკუნეებში დაზვერვის ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო, წერილობითი წყაროების მიხედვით მას თითქმის ყველა მხედართმთავარი იყენებდა. მაგალითად, ქამალ ად-დინისა და ვალტერ გოტიეს მიხედვით, ტელ-დანისის ბრძოლის წინ (1115 წ.), მზვერავები ყოველ საათში ერთხელ ახსენებდნენ ინფორმაციას მუსლიმთა გადაადგილებისა და ადგილმდებარეობის შესახებ, ანტიოქიის არმიის სარდალს როჯერს.²⁹ მოთვალთვალების მეშვეობით ადევნებდა თვალყურს ბიზანტიის ტერიტორიებზე შემოჭრილ ვალახებისა და ყივჩალების არმიას ისააკ ანგელოსი, რომელმაც მხოლოდ მას შემდეგ მოუწყო მათ ჩასაფრება, როდესაც ინფორმაცია მიიღო, რომ მტერი შესაფერის ადგილში იმყოფებოდა.³⁰ ანალოგიურად იქცეოდა ბულგარეთში ლაშქრობის დროს იოანე ლასკარისი, რომელიც მოთვალთვალების მეშვეობით ადევნებდა თვალყურს მტრის არმიის მოძრაობას.³¹ მზვერავი მოთვალთვალების მეშვეობით დაადგინა დროულად დავით სოსლანმაც მუსლიმური არმიის მოძრაობა განძიდან შამქორისკენ, რამას საშუალება მისცა საქართველოს არმიას მომზადებული დახვედროდა მტრის გამორჩენას.³²

მონინალმდევის არმიის გადაადგილებაზე თვალთვალის მეთოდი დაზვერვის იმდენად სტანდარტული საშუალება იყო, რომ მისი არ გამოყენება სამხედრო საქმის უცოდინრობად ითვლებოდა. სამხედრო საქმეში სწორედ ასეთ დილეტანტად მიიჩნეოდა, მაგალითად, გიორგი აკროპოლიტი ბიზანტიელ სარდალ სკუტარი ქსილოსს, რომელიც იმის გამო დამარცხდა, რომ მტრის არმიაზე მოთვალთვალები არ ჰყავდა მიჩენილი და ვერ დააფიქსირა მისი მოძრაობა, რის შედეგადაც მტერმა მოულოდნელი თავდასხმა განახორციელა ბიზანტიელებზე და მთლიანად გაანადგურა ისინი.³³

სამხედრო ბანაკი

სამხედრო ბანაკი სავსე ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა და შუა საუკუნეების არც ერთი არმია მისი გამართვის უნარის გარეშე ლაშქრობას არ იწყებდა, განსაკუთრებით კი მტრულ ტერიტორიებზე. ბიზანტიის იმპერატორი მანუელ კომნენოსი ასე მიმართავდა თავის მეომრებს: „ბანაკი იგივე ქალაქია, ქალაქს კი კარიბჭე, კედლები და თხრილი სჭირდება. ჩვენ ამისთვის ყველაფერი მზად უნდა გვქონდეს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც მტრის ტერიტორიებზე ვიმყოფებით და შორს ვართ რომის (ამ შემთხვევაში ბიზანტიის ს.მ.) ტერიტორიებიდან.“¹

ბანაკი წარმოადგენდა მკაცრი გეგმის მიხედვით გაშლილ კარავებს, რომელთა შორისაც დატოვებული იყო სავალი მონაკვეთები მეომრებისა და საალაღე ტრანს-

პორტისტვის. ბანაკის ტერიტორია დაცული იყო გარსშემოვლებული თხრილით, რომელსაც შუა საუკუნეების ყველა არმია საომარი კამპანიების წარმოებისას, განსაკუთრებით კი მტრულ ტერიტორიებზე ყოფნისას, აუცილებლად აკეთებდა. მაგალითად, ბასილი II-მ, როდესაც ის 1022 წელს დაბანაკდა ბასიანის ველზე გიორგი I-ს წინააღმდეგ, ბანაკს ღრმა თხრილი შემოავლო.² ანალოგიურად მოიქცა ალექსი კომნენოსი ლებურნეს ბრძოლის წინ,³ ისევე როგორც იოანე,⁴ მანუელ⁵ და ანდრონიკ კომნენოსები⁶ და სხვა ბიზანტიელი მხედართმთავრები. თხრილს ავლებენ თავის საველე ბანაკებს ბაბუკის წინააღმდეგ მოქმედი ალ-ფუჰინის არაბული არმია,⁷ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ შემახასთან დაბანაკებული სელჯუკთა არმია,⁸ სელჯუკი სარდალი კერბოგა ანტიოქიასთან,⁹ თემურ-ლენგი ინდოეთში ლაშქრობის დროს,¹⁰ ფლამანდრიული არმია სენტ-ომერის ალყის დროს¹¹ და ა.შ.

ბანაკის გარს შემოვლებული თხრილის დანიშნულება, ისევე როგორც გამაგრებული ქალაქებთან და ციხე-სიმაგრეებთან, იყო მონინააღმდეგის შეკავება ბანაკის ტერიტორიებიდან გარკვეულ დისტანციაზე. ხშირ შემთხვევებში, თხრილი ძლიერდებოდა მის მინაყრილზე აღმართული ნამაბური სარების მესერიით, როგორც ეს ჰქონდათ გაკეთებული სელჯუკურ არმიებს შემახასა¹² და ანტიოქიასთან.¹³ ხანდახან დამატებით წინააღმდეგ მიწაყრილში ჩარჭობილი ფარების წრით, რომელთა შუაშიც ასევე მიწაში ჩარჭობილი შუბები იყო ჩარიგებული ნვერით მონინააღმდეგისკენ, როგორც ეს ჰქონდა გაკეთებული იოანე ციმისხიელის არმიას ბულგარეთში, სვიატოსლავის წინააღმდეგ ლაშქრობისას,¹⁴ ან კიდევ ფლანდრიის არმიას, უკვე აღნიშნული ქალაქ სენტ-ომერის ალყის დროს.¹⁵

საველე ბანაკისთვის გალავნის ფუნქციას ხის მესერი (ე.წ. პალისადი) ასრულებდა, რომელიც წვერნამაბული საკმაოდ მსხვილი მორებისგან კეთდებოდა და ბანაკს მთელ რადიუსზე ერტყმოდა გარს. ასეთი პალისადები ჰქონდა გაკეთებული, მაგალითად, იოანე დუკას არმიას იტალიაში, ბოსკის ციხის ალყის დროს,¹⁶ ისევე როგორც ჯვაროსნებს, კონსტანტინოპოლის ალყისას.¹⁷

საველე პირობებში სწორად გამართული ბანაკი საკმაოდ საიმედო თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა და მასზე თავდასხმა სარისკო და რთული სამხედრო ოპერაცია იყო. მაგალითად, აჯანყებული ნიკიფორე ვრიენოსის წინააღმდეგ გაგზავნილმა ალექსი კომნენოსმა, რომელსაც მონინააღმდეგის ბრძოლაში გამოწვევა სურდა, თავის ბანაკს სპეციალურად არ გაუკეთა თხრილი და მესერი, რათა მონინააღმდეგეს მასზე ყოყმანის გარეშე მიეტანა იერიში.¹⁸ სანინააღმდეგო სურათთა დავით აღმაშენებლის შირვანში ლაშქრობის დროს, როდესაც სელჯუკთა არმია, რომელსაც არ სურდა ბრძოლაში ჩაბმა, სასწრაფოდ დაბანაკდა და თავი თხრილითა და მესერიით დაიცვა.¹⁹

საველე ბანაკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის ადგილმდებარეობას, რომელსაც ბანაკის თავდაცვისუნარიანობა შეიძლება გაეძლიერებინა, ან პირიქით, დაესუსტებინა. მაგალითად, ერთ-ერთი ლაშქრობის დროს როჯერ II ანტიოქიელის არმიას სიბნელემ ისე მოუსწრო, რომ ბანაკისთვის ხელსაყრელი ადგილის შერჩევა ვერ მოასწრეს, რის გამოც როჯერს მარშის გაგრძელება უნდოდა, მისი სიტყვებით, იმ ადგილში დაბანაკება რომელიც ერთი მხრით ტყიანი მთით იყო გარშემორტყმული, მეორე მხრივ კი ჭაობით, არმიისთვის დამლუპველი შეიძლებოდა გამხდარიყო, რადგან თავდასხმის შემთხვევაში მეომრები მანევრსა და უკანდახევას ვერ შესძლებდნენ და ცხვრებივით დაილუპებოდნენ. მთელი დღის მარშით დაღლილმა როჯერის მეომრებმა ეს რჩევა არ მიიღეს, რის შედეგადაც

გამთენიისას სელჯუკების მიერ განხორციელებული თავდასხმის დროს ყველა დაიღუპა.²⁰

საველე ბანაკისთვის ყველაზე ხელსაყრელ ადგილს გაშლილ ველზე მდებარე შემალღება წარმოადგენდა, რომელთან მიახლოვებასაც მტერი შეუმჩნევლად ვერ მოახერხებდა. ასეთი ადგილი შეარჩია, მაგალითად, იოანე ციმისხიელმა ბულგარეთში ლაშქრობის დროს, როდესაც ბანაკი ბორცვზე გაშალა, საიდანაც მიდამოს იოლად აკონტროლებდა.²¹ ბანაკის ადგილმდებარეობის შერჩევისთვის ყოველად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მის სიახლოვეს წყლის მასივის, როგორც წესი, მდინარის არსებობა, რათა არმიის თანმხლები მრავალრიცხოვანი ცხოველების დარწყულება პრობლემა არ გამხდარიყო. მდინარის არსებობა იყო უალრესად მნიშვნელოვანი პირობა და ნებისმიერი მხედართმთავარი უარს იტყოდა სტრატეგიულად უფრო მომგებიან ადგილის შერჩევაზე თუ იქ მდინარე (ან წყლის სხვა წყარო) არ მდებარეობდა და თავდაცვის შესუსტების ხარჯზე დაბანაკდებოდა მდინარის სიახლოვეს.²² სწორედ ბანაკის მდინარესთან სიახლოვის აუცილებლობა განაპირობებს იმ ვითარებას, რომ წერილობით წყაროების იმ ცნობებში, სადაც საველე ბანაკების ადგილმდებარეობაა მოცემული, ისინი თითქმის ყოველთვის მდინარეებთან კონტექსტში იხსენიებიან. ასე მაგალითად, ანა კომნენოსის მიხედვით, ალექსის მეთაურობით მოქმედი ბიზანტიური არმია, ყველა შემთხვევაში, მდინარის პირსაა დაბანაკებული, ასე იყო ვასილაკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, როდესაც არმია მდინარე ვარდარის ნაპირთან იყო გამაგრებული. მდინარე არზენთან იდგა ალექსის არმია რობერტ გვისკართან ომის დროს, მდინარის ნაპირთანაა მისი ბანაკი, როგორც ლარისას, ასევე ლებურნეს ბრძოლების დროს²³ და ა. შ. ალექსი კომნენოსი არ იყო გამონაკლისი, ბანაკის ადგილად მდინარის სიახლოვეს სხვა მხედართმთავრებიც სისტემატიურად ირჩევდნენ, როგორც მაგალითად, ფრანკი მოქირავნე რუსელი მდინარე სოფონასთან,²⁴ რობერტ გვისკარი მდინარე გლიკისთან,²⁵ იოანე კომნენოსი მდინარე კუვაიკთან,²⁶ დავით-სოსლანი მტკვართან შამქორის ბრძოლის წინ²⁷ და ა. შ.

საველე ბანაკისთვის მდინარე, გარდა იმისა, რომ იგი ცხოველთა დარწყულების საშუალება იყო, წმინდა თავდაცვით ფუნქციასაც ატარებდა, ის დაბანაკებულ არმიასა და მოწინააღმდეგეს შორის ბუნებრივ ბარიერს ქმნიდა. ბანაკებს შლიდნენ ისე, რომ მისი ერთი, ან ორი მხარე (თუ ამის შესაძლებლობას მდინარის კალაპოტი იძლეოდა) მდინარით ყოფილიყო დაცული შესაძლო შეტევებისგან. გარდა ამისა, მდინარის სიახლოვე იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ის ხელს უწყობდა ბანაკის ყოველდღიურ ცხოვრებაში სისუფთავისა და სანიტარული ნორმების დაცვას.

ანტისანიტარია, შუა საუკუნეების საველე ბანაკების ნამდვილი უბედურება იყო და ურთულეს, მათ შორის სამხედრო ხასიათის პრობლემებს უქმნიდა მხედართმთავრებს იმით, რომ ხშირად არმია ამის გამო იძულებული იყო დაეტოვებინა სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილი, და ბანაკი სხვა ადგილზე გაემართა. ბანაკის ცხოვრების საკმაოდ ხანმოკლე პერიოდში, დაკლული ცხოველების შიგნეულობა და სხვა ნარჩენები, ფეკალური მასები, ავადმყოფობისა თუ ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისგან გარდაცვლილთა გვამები, რომელთა დაკრძალვაზეც ხშირად არავინ ზრუნავდა, ბანაკში ცხოვრებას გაუსაძლისს ხდიდა. მაგალითად, ჟან ლე-ბელი აღწერს, რომ როდესაც ქალაქ ტურნესთან საფრანგეთის არმია ბანაკიდან მოიხსნა, მეომრები ძალიან გახარებულები იყვნენ ამით, რადგან მათ აღარ შეეძლოთ იმ სიმყრალეში გაძლება რაც დახოცილი საქონლის ნარჩე-

ნებისგან მოდიოდა.²⁸ ანა კომნენოსი მიუთითებდა, რომ ლებურნეს ბრძოლის მეორე დღესვე ბიზანტიური არმია იძულებული გახდა დაეტოვებინა ბანაკი იქ დახოცილი ტყვე პაჭანიკების ცხედრებისგან წარმოქმნილი სუნის გამო.²⁹ ალექსი კომნენოსთან ზავის დადების პროცესში, ნორმანდიელთა მხედართმთავარმა ზავის პირველ პირობად მოითხოვა, რომ ბიზანტიელებს მისთვის ბანაკის შეცვლის შესაძლებლობა მიეცათ, რადგან ძველ ბანაკში არმიის ხანგრძლივი დგომის გამო აუტანელი სიმყრალე იდგა.³⁰ უამთალმწერელის მიხედვით, ალამუთის აღების შემდეგ ქართული არმია იქ 12 დღეზე მეტ ხანს ვერ გაჩერდა გვამების აუტანელი სუნის გამო³¹ და ა.შ.

როდესაც ბანაკში შექმნილი ანტისანიტარია აიძულებდა შუა საუკუნეების არმიას დაეტოვებინა ბანაკი და იგი ამას დანაკარგების გარეშე აკეთებდა, ეს საკმაოდ წარმატება იყო, რადგან ანტისანიტარიული პირობები ძალიან ხშირად სხვადასხვა ეპიდემიების გაჩენას იწვევდა, რაც უფრო მძიმე შედეგებით მთავრდებოდა, ვიდრე ეს მხოლოდ ბანაკის დატოვება იყო. მაგალითად, როდესაც რობერტ გვისკარის არმია დირახიასთან იდგა საველე ბანაკში, მის მეომრებში გავრცელდა უცხო ავადმყოფობა, რამაც (ანა კომნენოსის სიტყვით) 10 ათასი მათგანი იმსხვერპლა.³² მოგვიანებით იგივე დაემართათ ბოემუნდის მეომრებსაც, რომლებსაც ერთფეროვანი კვების გამო კუჭის დაავადება გაუჩნდათ და ბევრი მათგანი გარდაიცვალა.³³ ნიკიტა ხონიატი და ყოფრუა ვილარდუენი მიუთითებდნენ, რომ კონსტანტინოპოლის ლათინი იმპერატორის, ჰენრი I-ს არმიაში ადრიანოპოლის ალყის დროს, ბანაკში დაგროვილი გვამებისგან გაჩნდა ჭირის ეპიდემია, რის გამოც ჯვაროსნები იძულებულნი გახდნენ ქალაქის ალყა მოეხსნათ,³⁴ ანალოგიურად მოიქცნენ სელჯუკი სულთანი მასუდი, რომელმაც მის არმიაში გაჩენილი ჭირის გამო ალყა მოხსნა უკვე თითქმის აღებულ ბალდადს³⁵ და სალადინი, რომელიც ჯვაროსანთა უკანასკნელი დასაყრდენის, ქალაქ ტირის ალყის დროს, იძულებული გახდა უარი ეთქვა ბრძოლის გაგრძელებაზე მის ბანაკში გაჩენილი ავადმყოფობის გამო.³⁶ სამხედრო ბანაკში ეპიდემიის გაჩენის მაღალი ალბათობა ქმნიდა ბანაკის საკმაოდ ხშირი ცვლის აუცილებლობას, რაზედაც თავის ტრაქტაჟში ხაზგასმით მიუთითებდა კეკავმენოსი.³⁷

როგორც კეკავმენოსი, ასევე სხვა ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატები, ხაზგასმით აღნიშნავენ ბანაკის დაცვის აუცილებლობასაც,³⁸ რისთვისაც ბანაკად დგომის დროს სპეციალური საყარაული სამსახურის ფორმირება იყო საჭირო. ბანაკად მდგომი არმია, რომლის მეომრებიც არასაბრძოლო მდგომარეობაში ერთად შეჯგუფებულები იმყოფებოდნენ, თავდასხმის შესანიშნავ ობიექტს წარმოადგენდა და თუ მას არ ჰქონდა ორგანიზებული საყარაულო სამსახური, რომელსაც უნდა უზრუნველყო ბანაკის უსაფრთხოება მოულოდნელი თავდასხმისგან დღისით თუ ღამით, შეიძლებოდა დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩენილიყო. ბიზანტიური სამხედრო თეორია (რაც ზოგადად მსგავსია სხვა ქვეყნებში დამკვიდრებული შეხედულებებისაც) მიიჩნევდა, რომ სამხედრო ბანაკი სამი საგუშაგო სარტყელით უნდა ყოფილიყო დაცული. პირველი ზოლი თავად ბანაკში უნდა გამართულიყო, მეორე ბანაკის გარშემო, ისრის სასროლ დისტანციაზე, ხოლო მესამე (ცხენოსანთა პოსტები) კიდევ უფრო მოშორებით.³⁹ საყარაულო სამსახურის გარდა, ბანაკის უსაფრთხოებას შორეული სადაზვერვო პოსტებითაც იცავდნენ. მზვერავეები (მოთვალთვალები) განლაგებულნი იყვნენ ბანაკის მახ-

ლობელ თუ შორეულ სიმაღლეებზე და აკონტროლებდნენ ფართო ტერიტორიებს მტრის მოძრაობის აღმოსაჩენად.⁴⁰

სადღელამისო საყარაულო სამსახური ორგანიზებული იყო რამდენიმე ცვლიან რეჟიმში. ჯერ კიდევ ვეგეციუსის (IV-V სს. მიჯნა) მიხედვით, ლამის განმავლობაში ყარაული ოთხჯერ უნდა შეცვლილიყო,⁴¹ ანა კომნენოსი (ისევე როგორც სხვა ბიზანტიელი ავტორები) საყარაულო სამსახურის მონაცვლეობის აღსანიშნავად, თავის ქრონიკაში ძალიან ხშირად იხსენიებს ლამის პირველ, მეორე თუ მესამე დაცვას.⁴² ლე ბელი მიუთითებს ლამის გუშაგებს ბანაკად მდგომ ინგლისის არმიამში,⁴³ ხოლო ან-ნასავის მიხედვით, გარნისის ბრძოლის წინ, ბანაკად მდგომი ჯალალ ად-დინი ბრძანებას აძლევს თავის ემირებს, რომ მათ მორიგეობით იფხიზლონ.⁴⁴ როგორც იყო აღნიშნული, საყარაულო სამსახურის იგნორირებას ხშირად ფატალური შედეგები მოსდევდა, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ყარსზე მონღოლთა თავდასხმის დროს, სადაც არისტაკეს ლასტივერტეცის მიხედვით ლამის ყარაული არ ეყენათ.⁴⁵ ბუნებრივია, საყარაულო სამსახურის იგნორირების შედეგად იგივე მოხდებოდა ნებისმიერი არმიის ბანაკად დგომის დროსაც. სამხედრო-საველე ბანაკზე მოულოდნელი თავდასხმისგან თავის დასაცავად, საყარაულო და სადაზვერვო პოსტების ორგანიზების გარდა, მთელ რიგ სხვა დამატებით ზომებსაც მიმართავდნენ, მაგალითად, ბანაკისკენ მიმავალ გზებსა თუ ბილიკებზე შენიღბულად ჭიმავდნენ ძუას ზედ შებმული ზანზალაკებით, სახიფათო ადგილებში ყრიდნენ ე.წ. ტრიბოლებს, რომლებსაც სხვადასხვა მხარეს მიმართული წამახული წვერი ჰქონდა და ადვილად ერჭობოდა ფეხში ადამიანს და ფლოქვში ცხენს, თხრიდნენ პატარა ორმო-ხაფანგებს, შიგ ჩამალული წამახული სარებით და ა.შ.⁴⁶

სამხედრო ბანაკები, ჯერ კიდევ რომაულ სამხედრო ხელოვნებაში დამკვიდრებული ტრადიციების მიხედვით,⁴⁷ იყო ოთხკუთხა ფორმის, რადგანაც ოთხკუთხედში ბევრად ადვილი იყო როგორც ბანაკის შიდა ტერიტორიის სწორად დაგეგმარება, ასევე თავდაცვის ორგანიზება.⁴⁸ ბანაკის გამართვა (რაც ლაშქრობის დროს ელემენტარულ აუცილებლობას წარმოადგენდა) ლაშქრობის დროს საკმაოდ დიდი ტვირთის (კარავების, შრომითი იარაღების, ყოფითი ნივთებისა და ა.შ.) თან ტარებას საჭიროებდა, რაც ბუნებრივია, ალალს ამძიმებდა და არმიის გადაადგილების სისწრაფეზე მოქმედებდა. ბანაკის გაშლა 4-6 საათში იყო შესაძლებელი, რაც აუცილებლად დღის შუქზე, მზის ჩასვლამდის უნდა შესრულებულიყო,⁴⁹ ეს კი განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ არმიას მარშირება (გამონაკლისი შემთხვევების გარდა) მხოლოდ დღის პირველ ნახევარში შეეძლო. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ბანაკის ადგილს გარკვეული მოთხოვნები უნდა დაექმაცოფილებინა რაც იმას ნიშნავდა, რომ ასეთი ადგილი წინასწარ უნდა შერჩეულიყო არმიამში მყოფი სპეციალური ინჟინრების მიერ (ბიზანტიურ არმიამში მათ მინსურატორები ეწოდებოდათ⁵⁰), რომლებიც ავანგარდში შემავალ რაზმებთან ერთად სამარშო კოლონის წინ მოძრაობდნენ და ბანაკისთვის შესაფერის ადგილს წინასწარ არჩევდნენ.

ბანაკის აგების ტექნოლოგია.

დაზვერვა, ინჟინრები. ადრეულ მომთაბარეთა ბანაკები.

ყივჩალთა ბანაკი აღწერილი აქვს მიხაელ სირიელს.

შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნების ძირითადი პრინციპები

ა) შეტევითი ომების სტრატეგია

სასაზღვრო რეგიონები — სათარეშო რეიდების ორგანიზების სისტემა

შუასაუკუნეებში შეტევითი ომების ყველაზე გავრცელებული სახეობა სათარეშო რეიდები იყო, რომელიც ომების წარმოების ხანმოკლე, მცირე მასშტაბის, მაგრამ ყველაზე ინტენსიურ ფორმას წარმოადგენდა. სათარეშო რეიდების მთავარი მიზანი იყო ნადავლის მოპოვება და საკუთარი სამხედრო ძლიერების სისტემატიური დემონსტრირება და პრევენცია მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. თარეში ფეოდალურ ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს, შეიძლება ითქვას შუა საუკუნეების ერთგვარ „სავიზიტო ბარათს“, ფეოდალური „ცხოვრების წესს“ და შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.¹ მისი ორგანიზება შეეძლო ყველა იმ ფეოდალს, რომელსაც ამისთვის აუცილებელი რესურსი (სამხედრო რაზმი, მეომართა საველე პირობებში უზრუნველყოფის შესაძლებლობა და ა.შ.) გააჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სათარეშო რეიდებს იშვიათად ჰქონდა უსისტემო, ქაოტური ხასიათი, რადგან უფრო მეტად სახელმწიფოს მიერ წარმოებული სამხედრო პოლიტიკის ნაწილი იყო, ვიდრე ცალკეული ფეოდალების მიერ განხორციელებული ერთგვარადი აქტი. სათარეშო რეიდები სისტემურ და ორგანიზებულ სახეს ცენტრალიზებული ხელისუფლების არსებობის პირობებში იღებდა, იმ ქვეყნებში სადაც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება ყალიბდებოდა, თარეში სამხედრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი ხდებოდა და გარკვეული ამოცანების შესასრულებლად სისტემატიურად გამოიყენებოდა. მაგალითად, ასეთი ვითარება ძალიან კარგად ჩანს თამარის დროინდელი საქართველოს შემთხვევაში, რაც შესანიშნავად აქვს აღწერილი ბასილი ეზოსმოდვარს, როდესაც ის საუბრობს საქართველოს სამეფოს მონაპირე ერისთავების საქმიანობაზე. ბასილის მიხედვით, სათარეშო რეიდები თამარის (ე.ი. ცენტრალური ხელისუფლების) ნების გარეშე არ ხორციელდებოდა და მასთან შეთანხმებით იგეგმებოდა: „ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თვინიერ თამარისსა რამე ქმნილ იყო ვისგანცა, არამედ ესრეთ განიგონე: მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატყეხელი, ანუ ქვეყანა მოსარბეველი, მოახსენიან თამარს და მან გასინჯოს საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიას და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი, თვით დავით მეფე ნავიდის და არა სადათ შემოქცეული ცუდად. უკეთუ უმცირესი რამე იყვის, მყის შესხნის დარბაისერნი თვისნი და, ვითარ შავარდენტა, მოისაქმიან.“²

ბასილის მიერ აღწერილი ქართული სასაზღვრო სისტემა ტიპიურია შუა საუკუნეებისთვის, რომლის ანალოგებიც ფეოდალური ეპოქის მრავალ სახელმწიფოში მოიპოვება. მაგალითად, ფრანკთა იმპერიაში ასეთი სისტემა წრმოდგენილი იყო სასაზღვრო საგრაფოების, მარკების სახით, რომელთაც მარკ-გრაფები (ქართული მონაპირე ერისთავის შესატყვისი ტიტული) მართავდნენ.³ VII-X საუკუ-

ნების ბიზანტიის საზღვრებზე არსებობდა ე.წ. აკრიოტების (ნიშნავს სასაზღვრო რეგიონში მცხოვრებს) დასახლებების სისტემა, რომლის სათავეშიც აკრიოტების სტრატეგოსი იდგა,⁴ X-XI საუკუნეებიდან კი ჩამოყალიბდა მსხვილი სასაზღვრო ოლქები, რომელთა მმართველებიც კატეპანის, ან დუკას ტიტულს ატარებდნენ და ოლქების სამხედრო-სამოქალაქო ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ (მაგალითად, ასეთი სასაზღვრო რეგიონები იყო ანტიოქიის, ვასპურაკანისა და ივერიის ფემები).⁵ რუმის სასულთნოში განვითარდა ბელიკების სისტემა, რომლებსაც ემირ-ჰაზები (ნიშნავს რელიგიისთვის მებრძოლს) მართავდნენ.⁶ ოსმალეთის იმპერიაში არსებობდნენ სასაზღვრო სანჯაყები, რომელიც აკინჯებით (ბიზანტიური აკრიოტების მსგავსად ნიშნავს სასაზღვრო რეგიონში მცხოვრებს) იყო დასახლებული და სანჯაყ-ბეგები მართავდნენ⁷ და ა.შ. როგორც დასახლებული, ასევე სხვა ქვეყნების სასაზღვრო რეგიონების მოწყობის სისტემები ერთმანეთისგან მრავალი სპეციფიკური ნიშნით განსხვავდებოდნენ, მაგრამ დანიშნულება ყველგან ერთი და იგივე იყო, მათ უნდა უზრუნველყოთ სახელმწიფოსთვის აუცილებელი შეტევითი და თავდაცვითი ამოცანების შესრულება.

შეტევითი სტრატეგიის ფარგლებში სასაზღვრო რეგიონები ასრულებდნენ შემდეგ ძირითად ამოცანებს: ენოდნენ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების დაზვერვასა და ინფორმაციის მოპოვებას. ორგანიზებას უკეთებდნენ მცირე მასშტაბის სათარეშო რეიდებს და მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მიერ მოწყობილ მასშტაბურ რეიდებში. სამივე ეს ამოცანა, ორგანულად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან, რადგან როგორც მცირე, ასევე მასშტაბული რეიდების მოწყობა, მონაპირეთა მიერ მოპოვებული ინფორმაციის ხასიათზე იყო დამოკიდებული. თუ ცენტრალური ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ შესასრულებელი ამოცანის („ციხე ასაღებელი, თურქმანი შემოდგომილი, ქალაქი განსატყეხელი, ქვეყანა მოსარბეველი“) ხასიათი მსხვილი ძალების კონცენტრირებას თხოულობდა, მაშინ თავს დიდ არმიას უყრიდნენ, სხვა შემთხვევაში კი, ლოკალური ხასიათის ამოცანებს თავად მენაპირეები ასრულებდნენ საკუთარი ძალებით.

სათარეშო რეიდის მასშტაბურობა ქვეყნის საერთო ძლიერებაზე იყო დამოკიდებული. რაც უფრო მეტი სამხედრო რესურსი გააჩნდა ქვეყანას და რაც უფრო ცენტრალიზებურად შეეძლო არსებული რესურსის გამოყენება (ეს ძლიერი სამეფო ხელისუფლების პირობებში იყო შესაძლებელი), სათარეშო რეიდებიც უფრო დიდი ძალებითა და უფრო შორეულ ტერიტორიებზე ეწყობოდა. ეს ვითარება ასევე შესანიშნავად ჩანს საქართველოს სამეფოს მაგალითზე, რომლისთვისაც მისი ძლიერების ხანაში თარეში მეზობლებთან ომების წარმოების სისტემატიური და მასშტაბური ფორმა გახდა და დიდი ტერიტორიები მოიცვა, მაშინ როდესაც სხვა პერიოდებში მსგავსი რამ ნაკლებად შეიმჩნევა. მაგალითად, გიორგი III-მ 1165 წელს ორგანიზება გაუკეთა უპრეცედენტო მასშტაბის მარბიელ რეიდს სამეფოს სამხრეთი საზღვრის მთელ სიგრძეზე, რომელშიც ყველა სანაპირო საერისთაო მონაწილეობდა და საქართველოს თითქმის ყველა მეზობელი ერთდროულად იქნა დარბეული, ეს რეიდი იმდენად გრანდიოზული ხასიათის იყო, რომ მემატეანის მიხედვით მისი მსგავსი არავის ენახა: „იქმნა ესევითარი უცხო ლაშქრობა, რომლისა სიგძე არაოდეს ვის ეხილვა.“⁸ არანაკლებ მასშტაბური იყო დავით სოსლანის მიერ მოწყობილი სათარეშო რეიდი ლაშა-გიორგის დაბადების წელს, როდესაც ქართულმა არმიამ თანმიმდევრობით დაარბია გელაქუნის ტბის, ხაჩინის, ბელაქნისა და განძა-შამქორის მიდამოები.⁹ კიდევ უფრო გრანდიოზულ

ხასიათს ატარებდა ზაქარია და ივანე მხარგრძელების მეთაურობით განხორციელებული სათარემო რეიდი 1207 წელს ჩრდილო ირანში, როდესაც ქართულმა არმიამ ჩრდილოეთ ირანში შემავალი სამხრეთ აზერბაიჯანისა და სამხრეთ კასპიისპირეთის რეგიონები დაარბია.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამეფო (შუა საუკუნეების სხვა სახელმწიფოების მსგავსად) საკმაოდ ხშირად აწყობდა მასშტაბურ სათარემო ლაშქრობებს, თარემის ძირითად ფორმას მაინც მცირე მასშტაბის ხანმოკლე რეიდები წარმოადგენდა, რომელთა ორგანიზებაც მენაპირეთა საქმიანობის მთავარ სფეროდ რჩებოდა. სასაზღვრო რეგიონების არსებობა თარემის გარეშე წარმოუდგენელი იყო, რადგან როგორც წესი, ეს რეგიონები უფრო თარემით მოპოვებული ნადავლით არსებობდნენ, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით. სასაზღვრო რეგიონი ერთგვარი სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი იყო, და ადმინისტრაციული მოწყობითა, და მათში მოქმედი საგადასახადო სისტემით, განსხვავდებოდა ქვეყნის შიდა რეგიონებში მდებარე ტერიტორიული ერთეულებსგან. სასაზღვრო რეგიონებს სახელმწიფოებრივი მოწყობის სქემაში გამორჩეული ადგილი ეკავათ, და როგორც წესი, განთავისუფლებულნი იყვნენ მთელი რიგი გადასახადებისგან, რის სანაცვლოდაც საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თარემების ორგანიზება ევალებოდათ. მაგალითად, ეს ვითარება დეტალურად აქვს აღწერილი გიორგი პახიმეროსს, რომლის მიხედვითაც (XIII ს. II ნახევარში) ბიზანტიელი მესაზღვრეების (აკრიოტების) მოვალეობა მტრებზე თავდასხმა, ჩასაფრებების მოწყობა და მათი ძარცვა იყო, რის გამოც ისინი გადასახადებისგან იყვნენ გათავისუფლებულნი და სამეფო ხელისუფლებისგან აქეთ იღებდნენ მატერიალურ დახმარებას, მაგრამ აკრიოტების შემოსავლების ძირითადი წყარო არა ეს დახმარება, არამედ თარემით მოპოვებული ნადავლი იყო. პახიმეროსის სიტყვით, მათ ხელში დიდი სიმდიდრე გროვდებოდა, რომლის რაოდენობაც აკრიოტების მიერ განხორციელებული თარემების ინტენსივობის შესაბამისად მატულობდა.¹¹ მსგავსი სისტემა ფუნქციონირებდა შუა საუკუნეების ესპანურ და პორტუგალიურ სამეფოებში,¹² კილიკიის სომხეთში (სადაც, მაგალითად, სმბატ სპარაპეტის „სამართალი“ მიუთითებდა, რომ თარემი სასაზღვრო ხელისუფლების შემოსავლის კანონიერ წყაროს წარმოადგენდა.¹³) და რიგ სხვა ქვეყნებში. ბუნებრივია, რომ სისტემატიური თარემების განხორციელება მუდმივ სამხედრო საქმიანობას ნიშნავდა და დიდი რაოდენობის რესურსების ხარჯვას საჭიროებდა, რისი უზრუნველყოფაც ასევე თარემებით მოპოვებული ნადავლით ხდებოდა. ნადავლს წარმოადგენდა ყველაფერი ის, რასაც ღირებულება გააჩნდა: შინაური საქონელი, პროდუქტი, ფუფუნების საგნები, სხვადასხვა რელიგიური თუ საყოფაცხოვრებო ნივთები, საბრძოლო იარაღი და განსაკუთრებით თარემის დროს დატყვევებული ადამიანები, რომელთა გამოსყიდვაც (როგორც ეს ზემოთ უკვე იყო აღნიშნული) დიდი ფულადი შემოსავლის წყარო იყო. მაგალითად, დავით სოსლანისა და ივანე მხარგრძელის მიერ მოწყობილი ერთ-ერთი თარემის დროს „აღიღეს ტყვისა, ჯოგისა, აქლემისა, ზროხისა და ცხვრისა სიმრავლე,“ რაც თარემის სავსებით წარმატებულ შედეგს წარმოადგენდა.¹⁴ ასეთი რეიდებით, როგორც სახელმწიფოს, ასევე მისი მონაწილეების ხელში, დიდი ქონება გროვდებოდა, რაზედაც შესანიშნავად მიუთითებს, მაგალითად, ფიტარეთის ტაძრის სამშენებლო წარწერა, რომლის მიხედვითაც ტაძარი „ხრმლით მონაგები საფასით“ (ე.ი. ლაშქრობის დროს მოპოვებული ნადავლით) აუგია ლაშა-გიორგის ამირეჯიბს,

ქავთარ ქაჯიფაისძეს, რომელსაც იმავე „ხრმლით მონაგებით“ ორი სოფელიც შეუძენია და ფიტარეთისთვის შეუწირავს.¹⁵

იმისთვის, რომ სათარეშო რეიდებით მიღებულ შემოსავლებს სტაბილური სახე ჰქონოდა, ბუნებრივია, ისინი გარკვეული პერიოდულობით უნდა მონყობილიყო, რისთვისაც დიდი სათარეშო რეიდების ხშირი ორგანიზება შეუძლებელი იყო, რის გამოც თარეშის გავრცელებულ ფორმად მცირე მასშტაბის რეიდები რჩებოდა, რომელთა ორგანიზებაც სტაბილურის სისტემატიურობით იყო შესაძლებელი. თარეშის, როგორც ომების წარმოების მეთოდის მთავარი სპეციფიკა, მისი სისტემატიურობა, საკმაოდ ხშირად შექმნილ პოლიტიკურ კონიუქტურასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. მართალია, სახელმწიფო თარეშის სისტემატიურობით ისევე იყო დაინტერესებული, როგორც ცალკეული მიწისმფლობელი ფეოდალები, მაგრამ მის ორგანიზებაზე ხანდახან უარის თქმა უხდებოდა, რადგან თითქმის ყველა საზავო ხელშეკრულება ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის, აუცილებლად სათარეშო რეიდების შეწყვეტასაც ითვალისწინებდა, რაც ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალებს (განსაკუთრებით კი მენაპირეებს) შორის საკონფლიქტო ვითარებას ქმნიდა. მაგალითად, დავით აღმაშენებელსა და სელჯუკთა სულთან მაჰმუდს შორის 1123 წელს დადებული ზავის პირობები, რომელიც საქართველოს მხრიდან მარბიელი რეიდების („ყივჩალთაგან არა რბევასა“) შეწყვეტას ითხოვდა, საქართველოს მეფესა და სამეფოს სასაზღვრო რეგიონებში მცხოვრებ ყივჩალებს შორის კონფლიქტის მიზეზი გახდა,¹⁶ ისევე როგორც გიორგი III-ს აზერბაიჯანის ათაბაგ ილდიგიზთან დადებული ზავი, რომლის მიხედვითაც გიორგიმ სათარეშო რეიდები შეწყვიტა, მაგრამ ქართველი ფეოდალების „კოლექტიურ პროტესტს“ წააწყდა, რომლებმაც განუცხადეს მას, რომ „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა,“ რის გამოც გიორგი „იძულებული“ გახდა სათარეშო რეიდები განეახლებინა.¹⁷ ანალოგიური ვითარებაა სხვა სახელმწიფოებშიც, მაგალითად, იერუსალიმის მეფე ბალდუინ IV-მ ვერაფრით ვერ აიძულა მსხვილი ფეოდალი რეინალდ შატილიონელი შეეწყვიტა სათარეშო რეიდები მუსლიმთა ტერიტორიებზე, რითაც ის არღვევდა დადებულ საზავო ხელშეკრულებას და სისტემატიურად ქმნიდა ომის განახლების საფრთხეს, რითაც იერუსალიმის სამეფო მოცემულ მომენტში არ იყო დაინტერესებული,¹⁸ ხოლო ბიზანტიის იმპერიაში, თარეშო ომების წარმოების იმდენად გავრცელებული და ბუნებრივი მეთოდი იყო, რომ X საუკუნეში ვრცელი ეპიკური პოემაც კი შეიქმნა გმირ მეომარ აკრიოტზე (მესაზღვრეზე).¹⁹

თარეშს, როგორც ბრძოლების წარმოების ფორმას, სისტემატიურობასთან ერთად ჰქონდა მეორე მთავარი დამახასიათებელი თვისება - საბრძოლო მოქმედებების განსაკუთრებით სასტიკი და დაუნდობელი ხასიათი, რითაც სათარეშო რეიდები ომების წარმოების ნებისმიერი სხვა ფორმებისგან მკვეთრად გამოირჩეოდა. თარეშის, როგორც ომის წარმოების გამორჩეულად სასტიკ ბუნებას, მის წინაშე მდგომი ამოცანების ხასიათი განაპირობებდა. რამდენადაც ცალკეული თარეშის დროს არ იდგა ტერიტორიების დაკავებისა და შენარჩუნების ამოცანა, და მიზანს მხოლოდ ტყვეებისა და სხვა ნადავლის მოპოვება წარმოადგენდა, რაც მტრულ ტერიტორიაზე ხანმოკლე ყოფნას გულისხმობდა, ამდენად მოთარეშეები ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ანადგურებდნენ როგორც დასახლებულ კუნძულებს (სოფლებს, სხვადასხვა შენობა-ნაგებობებს), ასევე ხეხილის ბალებსა და ნათესებს. მაგალითად, უსამა იბნ მუნკიზს, ჯვაროსანთა წინააღმდეგ მოწყო-

ბილი თარემის აღწერისას, მითითებული აქვს მეომრებთან ერთად, თუ როგორ სპეციალურად მიჰყავდა შეიზარის მშვიდობიანი მცხოვრებლები (გლეხები), მტრის ტერიტორიებზე არსებული ნათესების გასანადგურებლად.²⁰ ქემალ ადდინის მიხედვით ანალოგიურად იქცევოდა ედესის გრაფი ჟოსლინიც, რომელიც 1124 წელს ალებოს მიდამოებში მოწყობილი სათარემო რეიდის დროს, ნათესებს ანადგურებდა.²¹ თარემის სასტიკი ხასიათი ყველგან, როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში, აბსოლუტურად ერთგვარი იყო, ამიტომ როგორც თარემის ორგანიზება, ასევე მისგან თავდაცვა, შუა საუკუნეების თითქმის ყველა სახელმწიფოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა. ამასთან, ეს გარემოება (თარემის სისასტიკე) აიძულებდა სხვადასხვა ხელისუფლებს ეძებნათ მისი წარმოების ფორმების რეგულაციის გზები, მაგალითად, რომის პაპები ამას მთელი რიგი კანონების მიღებით ცდილობდნენ, რომელთაგანაც ზოგიერთი, ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის ომის დროს, მშვიდობიანი მოსახლეობიდან ტყვეების აყვანასა და სასოფლო რეგიონებისა და ნაგებობების განადგურებას კრძალავდა.²² მაგრამ თარემის ბუნების შეცვლა არავითარ კანონს არ შეეძლო, რადგან იმ უზარმაზარი შემოსავლების მიღების სურვილი, რაც სისტემატიური თარემის შედეგად იყო შესაძლებელი, ყველა კანონის იგნორირებას იოლად ახდენდა. ერთადერთი ძალა, რომელსაც თარემის ხასიათის მეტ-ნაკლები რეგულირება, თავისი ინტერესებისთვის მისი ორგანიზებული გამოყენება და ამავე დროს მისგან თავდაცვა შეეძლო, იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, რომლის ხელშიც სათარემო რეიდები შეტევილი სტრატეგიის უმძლავრესი იარაღი ხდებოდა. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს სხვადასხვა მიზეზის გამო არ სურდა რაიმე პოლიტიკური მიზნის მისაღწევად მასშტაბური სამხედრო კამპანიის წარმოება, მას ამის შესრულება, რიგ შემთხვევებში, სათარემო რეიდების მეშვეობითაც შეეძლო. მაგალითად, უკვე გვქონდა აღნიშნული, თუ როგორ ითხოვდა დავით აღმაშენებლისგან სელჯუკთა სულთანი (მისი მხრიდან გარკვეული დათმობების სანაცვლოდ) სათარემო რეიდების შეწყვეტას, რაც მის სასაზღვრო რეგიონებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. ანალოგიური ვითარება იდგა თამარის დროსაც, რომელსაც მუსლიმებმა (ბასილის მიხედვით ხალიფამ²³) ორჯერ მიმართეს საქართველოს მეფეს სათარემო რეიდების შეწყვეტის თხოვნით, რის სანაცვლოდაც ხარკის გადახდას სთავაზობდნენ.²⁴

რამდენადაც მცირე სათარემო რეიდების ეფექტურობა აგებული იყო არა მეომართა სიმრავლეზე, არამედ მოულოდნელობის ფაქტორსა და ლაშქრობების სისტემატიურობაზე, ამდენად მათი განხორციელება საკმაოდ უმნიშვნელო ძალებითა და რესურსებით იყო შესაძლებელი. სათარემო რეიდები, როგორც წესი, სუსტად დაცულ, ან საერთოდ დაუცველ ადგილებში ხორციელდებოდა და გამაგრებულ ადგილებს გვერდს უვლიდა, რაც მეომართა დიდი რაოდენობის კონცენტრირებას არ თხოულობდა. მარბიელი რაზმები უმრავლეს შემთხვევებში რამდენიმე ასეული და არცთუ იშვიათად, რამდენიმე ათეული მეომრისგან შედგებოდნენ, რაც ასეთი ტიპის რაზმს დიდი ალალის ტარების აუცილებლობისგან ათავისუფლებდა და მობილურობას მატებდა. ამ ფაქტორის გათვლისწინებით, მაგალითად ბიზანტიელები მათ ტერიტორიებზე შესულ არაბთა თუ სელჯუკთა მარბიელ რაზმებს არა მათი რეიდების დასაწყისში, როდესაც ისინი ტვირთისგან თავისუფალნი იყვნენ და სწრაფი გადაადგილება შეეძლოთ, არამედ რეიდის

დასასრულს ებრძოდნენ, რადგან მოთარეშები უკვე ტყვეებითა და სხვა ნადავლით იყვნენ დამძიმებულნი და მობილურობა დაკარგული ჰქონდათ.²⁵

მცირე მასშტაბის სათარეშო რეიდები არ საჭიროებდა ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის მოუქნელი ელემენტების, მობილიზაციის ჩატარებისა და ალაღის ფორმირების გამოყენებას, რაც ომების წარმოების ამ ფორმას განსაკუთრებულ მობილურობას ანიჭებდა, მაგრამ სათარეშო რეიდებისთვის სისტემური და ორგანიზებული სახის მიცემა, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობის პირობებში იყო შესაძლებელი. სახელმწიფოს, რომელსაც სრული კონტროლი გააჩნდა მინისმფლობელ ფეოდალებზე, სასაზღვრო რეგიონებში მცირერიცხოვანი, მუდმივმოქმედი პროფესიული სამხედრო რაზმების (მოქირავნების, ფეოდალური სახლის რაზმების, გვარდიული ნაწილების) დისლოცირება, ან მობილიზაციის ლოკალური სისტემის შექმნა გადასახადებიდან განთავისუფლების გზით, ყოველთვის შეეძლო, რაც მას საშუალებას აძლევდა სათარეშო რეიდები გარკვეული მიზნისკენ გეგმიურად გამოეყენებინა. როდესაც სათარეშო რეიდები ორგანიზებული სისტემის სახეს იღებდნენ, მათი მეშვეობით დაპყრობითი ამოცანების რეალიზებაც შესაძლებელი ხდებოდა და შუა საუკუნეების რიგი სახელმწიფოები ამ შესაძლებლობას აქტიურად იყენებდნენ.

მცირე სათარეშო რეიდების წინაშე უშუალო დაპყრობითი ამოცანები არ დგებოდა, მაგრამ რეიდების სტაბილურობის შემთხვევაში, ეს ამოცანები სავსებით მიღწევადი ხდებოდა, თუმცა ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო. მისი არსი მდგომარეობდა ერთი და იგივე რეგიონზე თავდასხმების სისტემატიურობაში, რაც ამ რეგიონის ეკონომიკურ დეგრადაციას, არსებული სახელისუფლო სისტემის დაუსტებასა და მისი მოსახლეობის სრულ დემორალიზებას იწვევდა, რის შედეგადაც ისინი ან ტოვებდნენ აღნიშნულ რეგიონს, ან სტაბილური უსაფრთხოების გარანტიების მიღების შემთხვევაში, ემორჩილებოდნენ შემტევ პოლიტიკურ სისტემას. აღნიშნული პროცესის ერთ-ერთი საუკეთესო ილუსტრაცია ესპანურ-პორტუგალიური რეკონკისტაა, რომლის დროსაც მუსლიმური ტერიტორიების დაკავება, ძირითადად, არა გენერალურ ბრძოლებში ტრიუმფალური გამარჯვებების, არამედ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიმდინარე სტაბილური სათარეშო რეიდების შედეგად მოხდა.²⁶ აღნიშნულის გამო, სრულიად ბუნებრივია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისა და სასაზღვრო რეგიონების მართვადი სისტემის ჩამოყალიბება ხერხდებოდა, სახელმწიფო დაუყოვნებლივ იწყებდა შეტევითი სტრატეგიის ამ უმძლავრესი იარაღის გამოყენებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რაც შუა საუკუნეების რიგი ქვეყნების გვერდით,²⁷ საქართველოსთვისაც დამახასიათებელი მოვლენა იყო, სადაც სათარეშო რეიდები მამინვე გახდა სამხედრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი, როგორც კი ქვეყანაში სახელმწიფო მართველობის ძლიერი ინსტიტუტები ჩამოყალიბდა. წერილობითი წყაროებიდან გარკვევით ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის პერიოდიდან მონღოლების გამოჩენამდე, საქართველოს სამეფოს მიერ სათარეშო რეიდები მუდმივი სისტემატიურობით ეწყობოდა, რაც საქართველოს ისტორიის რიგ მკვლევართა „ერთგვარ დაბნეულობას“ იწვევდა, ისინი თარეშის წარმოებას საქართველოს მეფეთა „შეცდომად“ თვლიდნენ და ამ „უცნაური“ მოვლენის (როდესაც სამეფო ყოველგვარი მიზეზის გამო თავს ესხმოდა მეზობლებს) ახსნას სხვადასხვა მოსაზრებებით ცდილობდნენ, სანამ აკად. გ. მელიქიშვილმა არ დაას-

აბუთა, რომ თარეში ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელ, სრულიად კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა.²⁸

თარეში საქართველოს სამეფოსთვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ფეოდალური სახელმწიფოსთვის, ფეოდალური ცხოვრების ჩვეულებრივი, ყოველდღიური წესი იყო. სხვადასხვა ეპოქაში თარეშის ხასიათში განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების ხანაში, თარეში ომების წარმოების სისტემური მეთოდი და სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება ხდებოდა, ხოლო ქვეყნის დაცემა-დაკნინების პერიოდებში ინდივიდუალური, ერთჯერადი აქტების კატეგორიაში გადადიოდა. მაგალითად, საქართველოს ისტორიულ რეალობაში, მოგვიანო ხანის სამცხის ათაბაგები,²⁹ ან თუნდაც ერეკლე II-ს დროინდელი ფეოდალები,³⁰ ისევე თარეშობდნენ მეზობელ ტერიტორიებზე, როგორც დავით აღმაშენებლისა და თამარის დროინდელი საქართველოს მენაპირე ერისთავები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დავითისა და თამარის დროინდელი თარეში გეგმიურ, მიზანმიმართულ სამხედრო-პოლიტიკურ მოქმედებათა სისტემას წარმოადგენდა, ხოლო სამცხის ათაბაგებისა და სხვა ფეოდალების თარეში კი, შემთხვევიდან შემთხვევამდე განხორციელებულ ინდივიდუალურ აქტებს, რომელიც უკვე მხოლოდ ნადავლის მოპოვებას ისახავდა მიზნად და არა რაიმე პოლიტიკური ამოცანის შესრულებას.

სასაზღვრო რეგიონები სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქებად ძირითადად იმ ქვეყნებში ყალიბდებოდა, სადაც სამხედრო დაპირისპირება მოსაზღვრე რეგიონებთან ინტენსიურ ხასიათს ატარებდა და მუდმივი სტაბილურობით მიმდინარეობდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანობისა და ისლამის, ისევე როგორც ცივილიზებული ქვეყნებისა და მომთაბარეთა შეხების ძირითად საკონტაქტო ზონებზე მოდიოდა. სწორედ ეს იყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ ასეთ ზონებში მდებარე სახელმწიფოებში, მაგალითად, ბიზანტიაში, არაბთა სახალიფოში, იერუსალიმის სამეფოში, კილიკიის სომხეთში, ესპანურ სამეფოებსა და პორტუგალიაში, რუმის სასულთნოში, ოსმალეთის იმპერიასა და რიგ სხვა ქვეყნებში, ისევე როგორც საქართველოში, სასაზღვრო ტერიტორიები ცენტრალური ხელისუფლების მკაცრი ადმინისტრირების ქვეშ ხვდებოდნენ და, როგორც შეტევითი თუ თავდაცვითი სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტები, სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქებად ყალიბდებოდნენ. საქართველოში სასაზღვრო რეგიონების სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქებად ფორმირება დავით აღმაშენებლის დროს დაიწყო, ანუ მაშინ, როდესაც ქვეყანა აქტიურ შეტევაზე გადავიდა მუსლიმური სამყაროს წინააღმდეგ და სასაზღვრო რეგიონებში ყივჩაღები, როგორც სათარეშო რეიდებისთვის უალრესად შესაფერისი სამხედრო ძალა ჩაასახლა.³¹ დავითის შემდგომ პერიოდებში, სასაზღვრო რეგიონებმა ბოლომდის ჩამოყალიბებული სისტემის სახე მიიღეს და სახელმწიფოს მიერ წარმოებული შეტევითი სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცნენ. სისტემის არსი მდგომარეობდა იმ ფაქტორში, რომ თითოეული სასაზღვრო-სამხედრო ოლქი კონკრეტულად მისი მოსაზღვრე მეზობელი ტერიტორიების წინააღმდეგ მოქმედებდა, რაც შეტევითი სტრატეგიის წარმოებას მიზანმიმართულ და გეგმიურ სახეს აძლევდა („ლაშქრობდეს ქუემონი ქუემოთ, და ზემონი ზემოთ, და შუანი შუათ.“³²). წერილობითი წყაროებიდან გარკვევით ჩანს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მონაპირე ერისთავები, ძირითადად, ერზრუმ-ყარსის რეგიონში მოქმედებდნენ, მაგალითად, როდესაც საქართველომ ყარსი დაიპყრო და თამა-

რმა მენაპირე ერისთავად ივანე ახალციხელი დანიშნა, მან (როგორც მენაპირე ერისთავმა) „ნარულო თურქებს გარშემო ქვეყანანი.“³³ „თავის მიმართულებებზე“ ანალოგიურად მოქმედებდნენ სხვა სანაპირო საერისთაოებიც, მაგალითად, მხარგრძელების, როგორც ლორეს მფლობელ მენაპირეთა შეტევების ძირითადი ობიექტი ჩრდილო სომხეთის (არაქსის ხეობის) ტერიტორიები იყო, სადაც, 1186 წელს „ნარვიდეს მხარგრძელნი, ძენი სარგისისნი და ვარამისნი, ილაშქრეს ქუეყანასა დვინისასა. და გამარჯუებულნი და აღვსებულნი და სახელოვანნი მოვიდეს წინაშე მეფეთა.“³⁴ „თავის მიმართულება“ განძა-არანის ტერიტორიებზე გააჩნდა ჰერეთის საერისთაოსაც, რომლის ერისთავების შესახებაც ბასილი ეზოსმოძღვარი წერდა, რომ მათი შიშით „განძას და ბარდავს ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედასა.“³⁵

მიუხედავად ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობისა, რომ მენაპირე ერისთავები მხოლოდ სამეფო კარის უშუალო მითითებებით მოქმედებდნენ, ეს მთლად ასე არ უნდა ყოფილიყო. მენაპირეთა მოქმედებების კოორდინირება ცენტრალურ ხელისუფლებასთან აუცილებელი იყო მასშტაბური სათარეშო რეიდის ორგანიზების დროს, როგორც ეს გააკეთა, მაგალითად, ივანე მხარგრძელმა, როდესაც „ანვია დავით (სოსლანი) ლაშქრობისა ძალითა შესამართებლად დიდსა და სასახელოსა: მოსარბეველად დიდისა გელაქუნისა, სპარსი-ბაზარისა და გორალაუქისა,“³⁶ მაგრამ მცირე სათარეშო რეიდების ჩატარებისას (რომლებიც არამასშტაბურობის გამო წერილობით წყაროებში ნაკლებად ისახებოდნენ), მათ მოქმედების სრული თავისუფლება უნდა ჰქონოდათ, ამის დამადასტურებელ ცნობას თავად ბასილი იძლევა, როდესაც შავშეთის მენაპირე ერისთავის, ზაქარია ფანასკერტელის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი „მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აიღო ბანა და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი.“³⁷ შესაძლოა სწორედ ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ როდესაც თამარის არმიამ ყარსი აიღო, ქალაქის მცხოვრებლები სთხოვდნენ მას, რომ განსხვავებით ანისისა და დვინისა, ყარსი უშუალოდ სამეფო კარის მმართველობაში შეეყვანა და არ დაექვემდებარებინა მენაპირე ერისთავისთვის.³⁸

მცირე სათარეშო რეიდების სამოქმედო არეალი სამუალოდ 100-300 კილომეტრის ფარგლებში მერყეობდა,³⁹ რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტიპის ლაშქრობების განხორციელება ორი კვირის ფარგლებში სავსებით შესაძლებელი იყო. როგორც უკვე იყო აღნიშნული, მცირე სათარეშო რეიდები მცირერიცხოვანი ძალებით და უპირატესად ცხენოსნებით ხორციელდებოდა, რასაკვირველია, ფიქსირებული ციფრი ასეთ შემთხვევებში არ არსებობდა, მაგრამ რამდენიმე ასეული მეომარი ასეთი ამოცანისთვის სავსებით საკმარისი ძალა იყო. მარბიელი რაზმის წინაშე არ იდგა ქალაქების, ან ციხე-სიმაგრეების, აღების ამოცანა, რაც მას მძიმე ალაღის (მძიმე საალყო აღჭურვილობისა და ტექნიკური პერსონალის) ტარებისგან ათავისუფლებდა, მას არ სჭირდებოდა დიდი ხნით ერთ ადგილზე დაბანაკება, რის გამოც შეეძლო არ ეტარებინა თან ბანაკისთვის საჭირო ინვენტარი, მას არ უნდა ებრძოლა მონინალმდგვის არმიასთან, რის გამოც არ არსებობდა მეომართა დიდი რაოდენობის თავმოყრის აუცილებლობა და ა.შ. ერთადერთი, რითაც მცირე ვადიანი სათარეშო რეიდი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, იყო სურსათის გარკვეული მარაგი, რისი ტარებაც მხოლოდ სწრაფმავალი სასაპალნე ცხენებით სავსებით შესაძლებელი იყო და ასეთ შემთხვევაში, ვთქვათ, 500 მეომრისგან შედგენილი ასეთი რაზმისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ თითო მეომარს დღეში

ორი კილო საკვები დასჭირდებოდა (ორი კვირის მანძილზე შესაბამისად 140 ათასი კილო), 100 სასაპალნე ცხენი სავსებით საკმარისი იყო, რაც, ბუნებრივია, ასეთი რაზმების მობილურობას მკვეთრად ზრდიდა. მძიმე ალაღისა და მეომართა დიდი რაოდენობისგან გათავისუფლებულ მარბიელ რაზმს, 500 მეომრისა და 600 ცხენის არსებობის პირობებში, დღის განმავლობაში 40-50 კილომეტრი უპრობლემოდ შეეძლო დაეფარა, რაც იმას ნიშნავს, ასეთ რაზმებს სრულიად მოულოდნელად შეეძლოთ მოქმედება, რადგან თარეშის შესახებ გავრცელებული ხმები მათი გადაადგილების სისწრაფეს, წინ თითქმის ვერ გაასწრებდა. აღნიშნულის შესანიშნავი მაგალითია სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II-ს (1451-1466 წწ) რეიდი სამცხიდან არეშში, რომელიც მან 500 მეომრის თანხლებით განახორციელა და ისე სწრაფად იმოძრავა დიდ დისტანციებზე, რომ მისი გამოჩენა ყველგან დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა.⁴⁰ სათარეშო რეიდებს, როგორც საბრძოლო მოქმედებების წარმოების სისტემურ ფორმას, ასეთი მობილურობა განსაკუთრებულ ეფექტურობას ანიჭებდა, რის გამოც ბრძოლის ეს მეთოდი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულფასოვანი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობის პირობებში, შეტევითი სტრატეგიის წამყვანი ფორმა ხდებოდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასაზღვრო რეგიონებს მათთვის დამახასიათებელი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სპეციფიკებისა (გადასახადებისგან გათავისუფლება, მუდმივი სამხედრო რაზმების არსებობა, ავტონომიური გადანაცვლებების მიღების უფლება და ა.შ.) და სპეციალური სამხედრო ფუნქციების გამო, დამოუკიდებელი არსებობისკენ სეპარატისტული მიდრეკილებები გააჩნდათ, რომელთა რეალიზებაც მაშინვე იწყებოდა, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება დასუსტებას და მართვის ბერკეტების კარგვას იწყებდა. მაგალითად, აღნიშნული კანონზომიერება კარგად ჩანს აბასიდების სახალიფოსა და რუმის სასულთნოს შემთხვევებში, რომელთა სასაზღვრო ზოლზე ბიზანტიასთან, როგორც კი ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა, მრავალი დამოუკიდებელი საემირო წარმოიქმნა.⁴¹ იგივე პროცესი კარგად ჩანს რუსუდანის დროინდელ საქართველოშიც, როდესაც ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პარალელურად, სანაპირო საერისთაოებმა სეპარატისტული ტენდენციების გამომჟღავნება დაიწყეს და ჯალალ ად-დინისა და მონღოლთა შემოსევების პერიოდისთვის, ფაქტობრივად, ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულებად იყვნენ უკვე გაფორმებულნი.⁴²

შუა საუკუნეების ფეოდალური სახელმწიფოებისგან განსხვავებით, მომთაბარეებს თარეშის სტაბილურად წარმოებისთვის ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება არ სჭირდებოდათ, თარეშში მათი ბუნებრივი საქმიანობა და ცხოვრების ჩვეულებრივი წესი იყო, რაც მომთაბარეებთან მეზობლობას უალრესად სახიფათო მდგომარეობად ხდიდა. მომთაბარეები მესაქონლეობის გარდა არ ენეოდნენ არანაირ სხვა საქმიანობას, რის გამოც მუდმივად განიცდიდნენ სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო პროდუქციის, და მათთან ერთად, სახელოსნო (ძირითადად საბრძოლო იარაღისა და თავდაცვითი საჭურველის) ნაწარმის მწვავე დეფიციტს, რის შევსებასაც ძირითადად სათარეშო რეიდების მეშვეობით ახდენდნენ, რომლებიც მომთაბარეთა შემთხვევაში მხოლოდ ნადავლის მოსაპოვებელ მძარცველურ აქტებს წარმოადგენდნენ.⁴³ მომთაბარეთა თარეშში განსაკუთრებულად სტაბილურ სახეს მაშინ იღებდა, როდესაც რომელიმე ტერიტორია იქ არსე-

ბული ვრცელი საძოვრების გამო, მათთვის მიმზიდველი ხდებოდა, ასეთ შემთხვევებში, მომთაბარეთა თარეში ინტენსიურ სახეს და მოცემულ ტერიტორიებზე დინამიური შეტევის ფორმას იღებდა, რისი შეჩერება და უკუგდება, ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა. თუ რა დამანგრეველი ძალის მატარებელი იყო ამ სახის სათარეშო რეიდები, ნათლად ჩანს ბიზანტიის იმპერიის მაგალითზე, რომელმაც თავისი ტერიტორიების დიდი ნაწილი მცირე აზიაში, სწორედ მომთაბარეთა რამდენიმე საუკუნოვანი, პერმანენტული ხასიათის სათარეშო რეიდების შედეგად დაკარგა და რამაც საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანწილად განაპირობა, ერთდროს უძლიერესი და უზარმაზარი იმპერიის განადგურება.⁴⁴

მასშტაბური კამპანია

მცირე მასშტაბის სათარეშო რეიდისგან განსხვავებით, შეტევითი სტრატეგიის მეორე ფორმა, მასშტაბური ხასიათის სამხედრო კამპანია, უაღრესად რთულად განსახორციელებელი ღონისძიება იყო და ომის წარმოების მეთოდად უფრო ნაკლებად იყენებდნენ. პირველი სირთულე მდგომარეობდა ასეთი კამპანიის ორგანიზების სიძვირესა და მისი წარმოების შედეგად მიღებული შემოსავლების სიმცირეში. ძალიან იშვიათად იყო, რომ მასშტაბური კამპანიის შედეგებს განეული ხარჯები დაეფარა და მოგება მოეტანა, ხშირად ასეთი კამპანია, სამხედრო წარმატების შემთხვევაშიც კი, უფრო ნამგებიანი იყო ვიდრე მომგებიანი. მაგალითად, 782 წელს, როდესაც ხალიფა არ-რაშიდმა მრავალრიცხოვანი არმიით ილაშქრა ბიზანტიის წინააღმდეგ, ლაშქრობის ორგანიზებისთვის დახარჯა დაახლოებით მილიონახევარი დინარი, რაც ეგვიპტიდან შემოსული წლიური შემოსავლების ტოლფასი თანხა იყო. მოპოვებული გამარჯვების შედეგად, ბიზანტიელებს დაიკისრათ არაბებისთვის ყოველწლიური ხარკის გადახდა 160 ათასი დინარის ოდენობით, რაც ლაშქრობის ხარჯებს, ხარკის სტაბილური გადახდის შემთხვევაში, ათი წლის შემდეგ დაფარავდა. დანახარჯის კომპენსირება ვერ მოახდინა იმ ნადავლმაც (5648 ტყვე, 20 ათასი სასაპალნე ცხოველი, 100 ათასი სული საქონელი და ა.შ.), რომელიც არაბებმა ხელში ჩაიგდეს, რადგან საქონელი არმიაში საკვებად გამოიყენა, ხოლო სხვადასხვა მოპოვებულ ნივთებს დიდი რაოდენობის გამო ფასი დაუფარდა და საბოლოოდ სახელმწიფოს წილმა ნადავლიდან, მხოლოდ 100 ათასი დინარი შეადგინა.¹ მასშტაბური კამპანიების წარმოების დროს ანალოგიური შედეგები საკმაოდ ხშირად დგებოდა, განსაკუთრებით კი კამპანიის სამხედრო წარუმატებლობის შემთხვევაში, როდესაც მიღებული ზარალი განსაკუთრებულ მასშტაბებს აღწევდა. მაგალითად, ასე მოხდა (უკვე აღნიშნულ) საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო IX-ს შემთხვევაში, რომელსაც ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზება საფრანგეთის ოთხი წლის შემოსავლის ტოლფასი თანხა დაუჯდა და სრული წარუმატებლობით დამთავრდა.²

მასშტაბური სამხედრო კამპანიის წარმოების დროს, როდესაც ვერ ხერხდებოდა ომის მტრის ხარჯზე წარმოება და ზარალისა და შემოსავლების დაბალანსება, სახელმწიფო იძულებული იყო დიდი თანხები გამოეყო ზარალის დასაფარავად, რა მიზნითაც, როგორც წესი, საკუთარ ქვეყანაში ზრდიდა გადასახადებს, რის შედეგადაც პრობლემები უკვე ქვეყნის შიგნით იქმნებოდა. თუ ასეთი სიტუაცია მიაღწევდა გარკვეულ კრიტიკულ ზღვარს, ეს შეიძლება რომელიმე ქვეყნის

ხელისუფლებას არამარტო მის მიერ წარმოებულ სამხედრო კამპანიაში დამარცხებად, არამედ ხელისუფლების დაკარგვაც დასჯდომოდა. მაგალითად, მსგავსი რამ მოხდა X საუკუნის დასაწყისის ანისის სამეფოში, როდესაც სომეხთა მეფე სუმბატ I-მა (890-914 წწ.) აშკარად სწორედ ვერ შეაფასა საკუთარი ფინანსური და სამხედრო შესაძლებლობები და ამიერკავკასიაში ჰეგემონობის მოპოვებისთვის დაუპირისპირდა აზერბაიჯანის არაბ გამგებელს აბუ საჯ იუსუფს, რომელთანაც ბრძოლაში ის დამარცხდა და იძულებული გახდა ყოველწლიური ხარკის გადახდის ვალდებულება ეკისრა. სუმბატის შემოსავლები არ იყო საკმარისი ხარკის დასაფარავად, რის გამოც მან გადასახადები ხუთჯერ გაადიდა, რამაც მას სომეხი ნახარარებისა და მოსახლეობის მხარდაჭერა დაუკარგა.³ შექმნილი პრობლემების გამო სუმბატის შემოსავლები მკვეთრად დაეცა და მან ხარკის დაფარვა ვერ შესძლო, რაც იუსუფისთვის შესანიშნავი მიზეზი აღმოჩნდა დასუსტებულ მონი-ნალმდეგესთან ომის გასახლებლად. მიწისმფლობელებისა და მოსახლეობის მხარდაჭერას მოკლებულმა სუმბატმა ველარც არმიის ფორმირება მოახერხა, ველარც ომის გაგრძელება შეძლო და ტყვედაც ჩავარდა, რის შემდეგაც იუსუფმა იგი სიკვდილით დასაჯა და სომხეთის ტახტზე მისთვის მისაღები კანდიდატი აიყვანა.⁴

სრულიად ბუნებრივია, რომ როდესაც მასშტაბური ომის წარმოება ასეთ კოლოსალურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული და რესურსების მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვდა, მას მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როდესაც სახელმწიფოს წინაშე გლობალური ამოცანები დგებოდა, მაგრამ ასეთი ამოცანები ისეთი სახელმწიფოების წინაშე წარმოიქმნებოდა, რომლებიც სახელმწიფოებრიობისა და შესაბამისად სამხედრო ორგანიზაციის განვითარების მაღალ დონეს აღწევდნენ, ამარცხებდნენ ფეოდალური სისტემის წინააღმდეგობას და ქმნიდნენ ძლიერ ცენტრალურ მმართველობას, სხვა შემთხვევაში რესურსების სრული მობილიზება და შესაბამისად, მასშტაბური შეტევითი ომების წარმოება შეუძლებელი იყო. ამგვარად, შეტევითი ომების საწარმოებლად პირველი ამოცანა იყო ხელისუფლების ცენტრალიზაცია და ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირება, რის შემდეგაც ქვეყნის წინაშე ყალიბდებოდა სტრატეგიული ამოცანები, რომელთა წარმატებით განხორციელებაც, ამ ამოცანებისა და არსებული რესურსების შესაბამისობაზე იყო დამოკიდებული.

როდესაც სტრატეგიული ამოცანების მასშტაბები ქვეყნის განკარგულებაში არსებულ შესაძლებლობებს შეესაბამებოდა, ასეთ შემთხვევებში სამხედრო წარმატებები თითქმის გარანტირებული იყო, ხოლო როდესაც ამოცანებისა და რესურსების მასშტაბებს შორის დისბალანსი იქმნებოდა, ასეთ შემთხვევებში უკვე მარცხი იყო გარანტირებული. ბუნებრივია, რომ სტრატეგიული ამოცანებისა და არსებული შესაძლებლობების დაბალანსება პიროვნულ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული, რაც, მაგალითად, შესანიშნავად ჩანს როგორც საქართველოს, ასევე სხვა მრავალი ქვეყნის შემთხვევაში. როდესაც დავით აღმაშენებელი სახელმწიფოს სათავეში მოვიდა, მან, პირველ რიგში, სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზება მოახდინა, რის შემდეგაც ქვეყნის განკარგულებაში არსებული რესურსების მასშტაბების მიხედვით დაიწყო ქვეყნის წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანების (მომთაბარეთა განდევნა, კახეთის შემოერთება, სელჯუკების დამარცხება, თბილისის აღება და ა.შ.) რეალიზება.⁵ განსხვავებით დავით აღმაშენებლისგან, სტრატეგიული ამოცანისა და რესურსების სრული დისბალანსით დაიწყო

მასშტაბური ომი გიორგი VII-მ ომი თემურ-ლენგთან, რაც ისეთივე ლოგიკური დამარცხებით დამთავრდა,⁶ როგორი ლოგიკური გამარჯვებებითაც მთავრდებოდა დავით აღმაშენებლის ომები.

მასშტაბური სამხედრო კამპანია სრულმასშტაბიანი ომის წარმოებას ნიშნავდა, ასეთი ომის წინაშე კი (როგორც დასაწყისში უკვე იყო აღნიშნული) მხოლოდ მნიშვნელოვანი ამოცანები: ტერიტორიების დაპყრობა, მოკავშირეების დახმარება, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტა და ა.შ. შეიძლებოდა დამდგარიყო, მაგრამ როგორი ამოცანაც არ უნდა ყოფილიყო ფორმირებული მასშტაბური კამპანიის წინაშე, მის განსახორციელებლად ყველა შემთხვევაში საჭირო იყო ქვეყნის მასშტაბით მობილიზაციის ჩატარება, ლაშქრობის ყოველივე აუცილებელით უზრუნველყოფა, არმიის სამოქმედო არეალთან უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის ხაზების შენარჩუნება და დასახული ამოცანების შესრულებამდე არმიის სავსე პირობებში გაჩერება, რაც, როგორც წესი, ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის პირობებში ყველაზე რთულ ამოცანას წარმოადგენდა.

არმიის ქვეყნის მასშტაბით მობილიზება ყველა რეგიონის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას გულისხმობდა და მის ეფექტურობას ცენტრალური ხელისუფლების ძლიერება განაპირობებდა. მაგალითად, როდესაც გიორგი III ემზადებოდა შაჰ-არმენის წინააღმდეგ ომისთვის, მან „იმეერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა, დიდებულთა და აზნაურთა, სპასალართა და სპასაპეტთა, შინაურთა და გარეშეთა, - ხელ ყო შეყრად,⁷ ისევე როგორც აზერბაიჯანის ათაბაგის წინააღმდეგ ომისას, როდესაც მან „მსწრაფლ შემყრელმან შვიდთავე მისთა სამეფოთა, იმერთა და ამერთამან, და გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი.“⁸ ორივე შემთხვევაში საქართველომ მეფემ არმიის მობილიზაცია ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა, რაც მისი ხელისუფლების სიმტკიცით იყო უზრუნველყოფილი, მაგრამ როდესაც ორბელთა აჯანყების გამო სამეფო ხელისუფლებამ რეგიონების ნაწილზე კონტროლი დაკარგა, მეფის განკარგულებაში არსებული სამობილიზაციო რესურსი უმალ შემცირდა და მან მხოლოდ რამდენიმე მათგანში მოახერხა მეომართა შეკრება: „გაგზავნა ლაშქარნი, რომელნი დარჩომილ იყვნეს ერთგულად მისად და სხუა თემისა და თემის: მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარნი.“⁹ ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობის გაგრძელების შემთხვევაში, გიორგი III ვერ შესძლებდა იმ შეტევითი კამპანიების ჩატარებას, რომლებსაც იგი სისტემატიურად აწარმოებდა მეზობლების წინააღმდეგ, აღნიშნული მიზეზი (ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე), რამაც გიორგი III წინაშე დროებითი პრობლემები გამოიწვია, მრავალ ფეოდალურ სახელმწიფოს არ აძლევდა მასშტაბური შეტევითი ომების წარმოების შესაძლებლობას, რის გამოც ისინი იძულებულნი იყვნენ საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები თავდაცვითი სტრატეგიის ფარგლებში მოექციათ და პოლიტიკური ამბიციები შეეძლუდათ.

შეტევითი ხასიათის მასშტაბური სამხედრო კამპანიის საწარმოებლად ქვეყნის მასშტაბით მობილიზაციის ჩატარების შემდეგ, მთავარ ამოცანას არმიის უზრუნველყოფა წარმოადგენდა, რაც ასევე დაკავშირებული იყო ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერესთან და იმ საგადასახადო სისტემასთან, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში ფუნქციონირებდა. მთავარი ამოცანა ამ შემთხვევაში იყო მიწისმფლობელების (როგორც გადასახადების ძირითადი გადამხდელების) იძულება, რათა მათ ყოველივე აუცილებელით უზრუნველყოთ მათ ტერიტორიებზე მობილიზე-

ბული სამხედრო რაზმები, მაგალითად, 806 წელს ფრანკების იმპერატორმა კარლ დიდმა წერილობითი ბრძანება გაუგზავნა მსხვილ მინისმფლობელ, აბატ ფულ-რადს იმის შესახებ, რომ იგი თავისი ხალხით (სამხედრო რაზმით) განსაზღვრულ დროს უნდა გამოცხადებულიყო მითითებულ ადგილზე და თან უნდა ჰქონოდა ყველა აუცილებელი საბრძოლო თუ შრომითი იარაღი (ნიჩბები, ნაჯახები და ა.შ.) და სამი თვის სამყოფი სურსათის მარაგი. არმიის შეკრების პუნქტამდე იგი ისე უნდა მისულიყო, რომ არავითარი ზიანი არ უნდა მიეყენებინა მოსახლეობისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იმპერატორის კეთილგანწყობას დაკარგავდა (ბუნებრივია, აქედან გამომდინარე შედეგებით). კარლ დიდის კატეგორიულობა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მონარქისა მსგავს შემთხვევებში, მისი ხელისუფლების სიძლიერით იყო უზრუნველყოფილი და განაპირობებდა კამპანიისთვის აუცილებელი რესურსების თავმოყრას საჭირო დროს, საჭირო ადგილზე (ისევე როგორც მეომართა მობილიზებას), მაგრამ სამხედრო მოქმედებების წარმატებისთვის ეს საკმარისი არ იყო, აუცილებელი იყო აგრეთვე, საბრძოლო მოქმედებების არეალთან, რომელიც შეტევითი კამპანიის პირობებში, ბუნებრივია, მონინაალმდეგის ტერიტორიებზე მიმდინარეობდა, უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის ხაზების შენარჩუნება, რაც ხელისუფლების სიძლიერესთან ერთად, სახელმწიფო სისტემის გამართული მექანიზმის არსებობის პირობებში იყო შესაძლებელი.

რესურსების მართვა და სამხედრო მოქმედებების უზრუნველყოფა, ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა იყო. შეტევითი სამხედრო კამპანიის წარმოებისას არმია რაც უფრო ღრმად შედიოდა მონინაალმდეგის ტერიტორიებზე, მით უფრო შორდებოდა მომარაგების ბაზებს და გაჭიმული კომუნიკაციების პირობებში ისეთი სირთულეები ექმნებოდა, რომელთა გადალახვაც, რიგ შემთხვევებში, თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. ასეთი ვითარება, მაგალითად, ოსმალთა ამიერკავკასიაში 1578 წლის ლაშქრობის შესახებ, შესანიშნავად აქვს აღწერილი სპარსელ მემატთანე ორუჯ ბეგ ბაიათს. როგორც ცნობილია, ამ ლაშქრობის დროს ლალა მუსტაფა ფაშას უზარმაზარმა არმიამ დაიკავა მესხეთ-ჯავახეთი, ქართლი, განჯის ტერიტორიები და მასთან ერთად შირვან-დერბენდი, რის შედეგადაც ოსმალთა კომუნიკაციები უალრესად გაჭიმული აღმოჩნდა, რამაც ამიერკავკასიაში მოქმედი საველე არმიისა და მსხვილ ქალაქებში (თბილისში, განჯაში, შემახაში, დერბენდში) ჩაყენებული გარნიზონების უზრუნველყოფა თითქმის შეუძლებელი გახადა. ასეთ პირობებში ოსმალთა კომუნიკაციები და მასზე მომქმედი მხარდაჭერის სამხედრო რაზმები, თავდასხმის შესანიშნავ ობიექტებად გადაიქცნენ, რითაც ეფექტურად სარგებლობდნენ მათი მონინაალმდეგეები. მაგალითად, ორუჯ ბეგ ბაიათს აღწერილი აქვს ის მრავალრიცხოვანი თავდასხმები, რომელსაც ოსმლებზე სამცხის ათაბაგი (მანუჩარი?) და განსაკუთრებით ქართლის მეფე სიმონ I ახორციელებდნენ საკმაოდ მცირე ძალებით. მცირერიცხოვნობის მიუხედავად, სიმონის სამხედრო მოქმედებებმა ოსმალების ქართლში ყოფნა თითქმის შეუძლებელი გახადა, იგივე მოხდა განჯასა და შირვან-დერბენდშიც, სადაც (ქართლის მსგავსად) ოსმალებმა ტერიტორიების შენარჩუნება ვერ შეძლეს. რასაკვირველია, იმ პირობებში, როდესაც ისეთი უზარმაზარი და ცენტრალიზებული სახელმწიფო, როგორიც ოსმალეთის იმპერია იყო, ყოველთვის ვერ ახერხებდა მასშტაბური შეტევითი სამხედრო კამპანიის წარმატებით წარმართვას, ადვილი წარმოსადგენია ის სირთულეები, რომელიც ნაკლები რესურსებისა და ნაკლებად ცენტრალიზებული მმართველობის მქონე

სახელმწიფოების წინაშე დადგებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი შეტყვევითი კამპანიების წარმოებისას რეალურ შესაძლებლობებს გადააჭარბებდნენ.

კომუნიკაციების დაცვა და მტრულ ტერიტორიებზე მოქმედი საველე არმიის უზრუნველყოფა, ხშირად იმაზე მეტ რესურსს ითხოვდა, ვიდრე ეს შეიძლება თავიდან ყოფილიყო გათვლილი. რიგ შემთხვევებში, შემტევ არმიას დაგეგმილზე უფრო დიდ ხანს უწევდა საველე პირობებში ყოფნა, რაც უზრუნველყოფისა და კომუნიკაციების პრობლემასთან ერთად, ახალ სირთულეს, ამოცანების შესრულებამდე არმიის საველე პირობებში გაჩერების აუცილებლობას აყენებდა დღის წესრიგში, რაც ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს სუსტ ადგილს წარმოადგენდა. როგორც უკვე იყო აღნიშნული (იხ. ზემოთ, ქვეთავი „ფეოდალური სამხედრო ორგანიზაცია.“), ფეოდალური არმიის დიდი ხნით საველე პირობებში გაჩერება, მინისმფლობელების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიდან მოწყვეტას ნიშნავდა, რითაც ისინი დაინტერესებულნი არ იყვნენ, ამ პირობებში, შეტყვევითი სამხედრო კამპანიის მანარმოებელ სახელმწიფოს ორი არჩევანი რჩებოდა, ეწარმოებინა კამპანია მოქირავნეთა ძალებით, რაც კოლოსალურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული და მათი განევა ნაკლებად შეეძლო, ან შეემცირებინა ლაშქრობის ვადა, რაც, ბუნებრივია, შეტყვევითი ამოცანების შეზღუდვის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ოპტიმალური გამოსავალი ამ ვითარებიდან, სათარეშო რეიდებისა და მასშტაბური კამპანიის კომბინირებაში მდგომარეობდა, რაც შუა საუკუნეების ეპოქაში, აშკარად, შეტყვევითი სტრატეგიის საუკეთესო ფორმას წარმოადგენდა. ამ სტრატეგიის არსი მდგომარეობდა შემდეგში: შემტევი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნდა რომელიმე ტერიტორიის დაპყრობის, ან მასზე პეგემონიის დამყარების მიზანი, მარბიელი რეიდებით იწყებდა მის აოხრებას, რაც იწვევდა აქ არსებული სამხედრო პოტენციალის დასუსტებას, მოსახლეობაში მძიმე ფსიქოლოგიური ფონის შექმნას, თავდაცვითი სისტემების რღვევას და ა.შ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც მარბიელი რეიდების ობიექტი ტერიტორია მივიდოდა გარკვეულ კონდიციამდე, მის წინააღმდეგ ეწყობოდა მასშტაბური სამხედრო კამპანია, რომელიც უკვე აღარ მოითხოვდა ფეოდალური არმიის საველე პირობებში დიდხანს გაჩერებას და ხანმოკლე ლაშქრობის შემდეგ, როგორც წესი, ამ ტერიტორიის ვასალური დაქვემდებარებით, ან სულაც მისი დაპყრობით მთავრდებოდა. აღნიშნული სტრატეგია ინტენსიურად გამოიყენებოდა სხვადასხვა ფეოდალურ სახელმწიფოებში შუა საუკუნეების მთელ სივრცეზე, მაგალითად, ესპანური რეკონკისტას პერიოდში, ჯვაროსნული და მუსლიმური სახელმწიფოების დაპირისპირებისას, ბიზანტიის ომების დროს არაბებთან, სელჯუკებთან, თუ ოსმალებთან, ამ სტრატეგიას აქტიურად იყენებდნენ საქართველოს მეფეებიც, როდესაც ისინი მისი გარემომცველი სელჯუკური საემიროების ხარჯზე აფართოვებდნენ სამეფოს საზღვრებს და ა.შ.

სათარეშო რეიდებისა და მასშტაბური სამხედრო კამპანიის კომბინირებული სტრატეგიის მეშვეობით, შუა საუკუნეების სახელმწიფოები მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებდნენ ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის სირთულეთა გადალახვას, მაგრამ ასეთი სტრატეგიის წარმოება მხოლოდ ცენტრალიზებულ, მმართველობის სრულყოფილი სისტემისა, და აუცილებელი რესურსების მქონე სახელმწიფოებს შეეძლო, რაც იყო იმის მიზეზი, რომ რიგი ქვეყნები მასშტაბური ხასიათის შეტყვევითი კამპანიების წარმოებს უნარს მოკლებულნი იყვნენ და მხოლოდ (ან უმთავრესად) თავდაცვითი ომების წარმოებით კმაყოფილდებოდ-

ნენ, მაგალითად, ამიერკავკასიის რეგიონში ამ ტიპის სახელმწიფოებს მიეკუთვნებოდნენ XI-XII საუკუნეებში არსებული ყარსისა და ანისის საემიროები

ბ) თავდაცვითი სტრატეგია

სასაზღვრო რეგიონები — თავდაცვის სტრატეგიის პირველი ელემენტი

შუა საუკუნეების ეპოქაში შეტევითი სტრატეგიის არსებობა, თავისთავად განაპირობებდა თავდაცვითი სტრატეგიის განვითარების აუცილებლობას, განსაკუთრებით კი იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც ნაკლებად ძალუძდათ შეტევითი კამპანიების წარმოება და სისტემატიურად ხდებოდნენ სხვა ქვეყნების აგრესიის ობიექტი, რის გამოც თავდაცვითი სტრატეგიის გამოყენების აქტუალურობის ხარისხი, ამ აგრესიის სისტემატიურობითა და მამუტაბებით განისაზღვრებოდა. თავდაცვითი (ისევე როგორც შეტევითი) სტრატეგიის პირველ აუცილებელი ელემენტს, სასაზღვრო რეგიონების სისტემა წარმოადგენდა, რომლებიც სათარეშო რეიდების ორგანიზებასთან ერთად, მოწინააღმდეგის თავდასხმებისგან თავდაცვის ფუნქციებსაც ასრულებდნენ.

სასაზღვრო რეგიონების თავდაცვის ერთ უმთავრეს ფუნქციას, მეზობელი ქვეყნის სათარეშო რეიდების აღკვეთა წარმოადგენდა, რაც საკმაოდ რთული ამოცანების კატეგორიას მიეკუთვნებოდა. როგორც უკვე იყო აღნიშნული, სათარეშო რეიდები უმრავლეს შემთხვევებში მცირე ძალებით ხორციელდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ასეთ მარბიელ რაზმებს ადვილად შეეძლოთ ცენტრალური მაგისტრალებისა და მათზე განლაგებული სასაზღვრო სიმაგრეების გვერდის ავლა, სასაზღვრო რეგიონის (ან მთლიანად ქვეყნის) სიღრმეში შეღწევა და ტერიტორიების გაძარცვა-აოხრება. იმისთვის, რომ ასეთი რეიდები დროულად ყოფილი შემჩნეული და აღკვეთილი, სასაზღვრო მონაკვეთებში იყენებდნენ სასაზღვრო-საპატრულო სამსახურს, რომელსაც წინმსწრები ინფორმაციის მოპოვება და უკვე დანყებული რეიდების დაფიქსირება ევალეობოდათ. მაგალითად, ლეო დიაკონის მიხედვით, იოანე ციმისხიელმა 970 წელს ბიზანტიელი სარდლები, ბარდა სკლიაროსი და პეტრე პატრიკიოსი გააგზავნა დუნაის სანაპიროზე, რათა მათ ზამთრის განმავლობაში, მდინარის სანაპიროს გასწვრივ (რომელიც სასაზღვრო ზოლს ემთხვეოდა) საპატრულო სამსახურის ორგანიზება მოეხდინათ რუსების სათარეშო რეიდების აღსაკვეთად.¹ ვალტერ გოტიეს მითითებით, ანალოგიურად პატრულირებდნენ სამხედრო რაზმები ანტიოქიის სამთავროში.² თემურ-ლენგის ძეგლისწერის მიხედვით, ოქროს ურდოს საზღვრებთან მუდმივად პატრულირებდა სამი ათასი მეომარი³ და ა.შ. პატრულირების გარდა, საზღვრის ყველაზე საშიშ მონაკვეთებზე აწყობდნენ სტაციონარულ სათვალთვალო პოსტებს, სადაც მეომრები მუდმივად მორიგეობდნენ, როგორც ეს იყო, მაგალითად, ანტიოქიის სამთავროში, შეიზარის საემიროს მოსაზღვრე აჰამეის ოლქში, რომელზედაც გამავალ გზები, რომელსაც მუსლიმი მოთარეშეები ხშირად იყენებდნენ, მუდმივი კონტროლის ქვეშ იყო.⁴ სათვალთვალო პოსტებით (ე.წ. ვიგლებით) სავსე იყო ბიზანტიის საზღვრები,⁵ სადაც ზოგიერთი მონაკვეთი, თვალთვალისა და პატრულირების გარდა, დამატებითი საშუალებებით იყო დაცული. მაგალითად, ბიზანტიელებს, ალექსი კომნენოსის ბრძანებით, დალმაციის საზღვარზე არსებული

უმნიშვნელო გასასვლელები და საცალფეხო ბილიკები თხრილებით, ზოგან კი მორების ხერგილებით ჰქონდათ გადაკეტილი.⁶

გარდა თვალთვალისა და მოწინააღმდეგის მოძრაობის დაფიქსირებისა, სასაზღვრო რეგიონებს მტრის სათარეშო რეიდებისა და მცირე მასშტაბის შეტევების მოგერიება-განადგურებაც ევალებოდათ (თუ, რასაკვირველია, ეს არ აღემატებოდა მათ სამხედრო შესაძლებლობებს). მაგალითად, თამარის დროს, გუზან ტაოელი და ბოცო ჯაყელი, როგორც მენაპირე ერისთავები, დამოუკიდებლად ამარცხებენ ერზრუმის საემიროს მარბიელ რეიდს,⁷ ასევე დამოუკიდებლად (მენაპირე ერისთავის რანგში) ამარცხებს მომთაბარე თურქმენების რეიდს პალაკაციოს ტბასთან, ძაღლის ხევში, გამრეკელ კახას ძე,⁸ ისევე როგორც ხორნაბუჯის ერისთავი საღირ მახატლის ძე განძის საემიროს მარბიელ ლაშქარს, გიორგი რუსის მეთაურობით.⁹

სწორად აწყობილი სასაზღვრო სისტემისა და კომპეტენტური ხელმძღვანელობის პირობებში, სასაზღვრო რეგიონებს აღნიშნული ამოცანების შესრულება ისე ეფექტურად შეეძლოთ, როგორც ამას თამარის დროინდელი მენაპირეები ასრულებდნენ მითითებულ შემთხვევებში, მაგრამ სურათი რადიკალურად იცვლებოდა, როდესაც ქვეყანა მასშტაბური შეტევის ობიექტი ხდებოდა და მის წინააღმდეგ დიდი არმია გამოდიოდა. არმიას ალალთან ერთად მოძრაობა, განსხვავებით მცირე სათარეშო რეიდებისგან, მხოლოდ გზებზე შეეძლო, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ქვეყნის სიღრმეში შესაღწევად, კარგად ცნობილი მარშრუტებით უნდა ესარგებლათ. ასეთ შემთხვევებში, ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ამ გზების დაცვას, რაც ასევე სასაზღვრო რეგიონების მოვალეობას შეადგენდა, კოლოსალურად მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. არმიას, რომელიც ამ გზების გამოყენებით შემოაღწევდა ქვეყანაში, შეეძლო იერიში მიეტანა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრებზე, რაც შეიძლება ქვეყნის დაპყრობით დასრულებულიყო, რის გამოც, ქვეყნის ტერიტორიების სიღრმეში შემოსული მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ბევრად რთული და ზიანის მომტანი იყო ქვეყნისთვის, ვიდრე მისი უშუალოდ საზღვრებთან შეკავება, რაც სასაზღვრო რეგიონებისა და ამ რეგიონებში განლაგებული სასაზღვრო ციხე-სიმაგრეების წინაშე განსაკუთრებულ ამოცანებს აყენებდა. სასაზღვრო რეგიონის ძალებით დიდი არმიის დამარცხება თითქმის შეუძლებელი იყო, ამიტომ მოწინააღმდეგის მხრიდან მასშტაბური შეტევითი კამპანიის შემთხვევაში, სასაზღვრო რეგიონების დანიშნულება მათზე წინმსწრები ინფორმაციის მოპოვება და აუცილებლობის შემთხვევაში, სასაზღვრო ციხე-სიმაგრეების მეშვეობით, მათი გარკვეული ხნით შეკავება ხდებოდა, რომ ქვეყანას მობილიზაციის ჩატარებისა და სავლელ არმიის ფორმირების დრო მისცემოდა. თუ მტერი მოახებებდა სასაზღვრო რეგიონების წინააღმდეგობის გადალახვას და შევიდოდა ქვეყნის შიდა ტერიტორიებზე, მაშინ თავდაცვის ფუნქციები ქვეყნის შიგნით განლაგებულ საფორტიფიკაციო სისტემასა და სავლელ არმიაზე გადადიოდა, რომლის დროსაც წარმატების მიღწევა, მათი ურთიერთმოქმედების უნარზე ხდებოდა დამოკიდებული.¹⁰

საფორტიფიკაციო სისტემები — თავდაცვითი სტრატეგიის მეორე ელემენტი

შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობათა ქსელი, გამაგრებული ქალაქების, ციხე-სიმაგრეების, სიმაგრე გამოქვაბულებისა და საგუშაგო-სათვალთვალო კოშკების სისტემისგან შედგებოდა.

გამაგრებული ქალაქები.

შუა საუკუნეების ქალაქი მოსახლეობისა და მატერიალური სიმდიდრის კონცენტრირების უმთავრეს პუნქტს წარმოადგენდა, რითაც იგი თავდასხმის უპირველესი ობიექტი იყო და ბუნებრივია, დაცვას საჭიროებდა. ქალაქებზე თავდასხმისა და მათი გაძარცვის შესაძლებლობა ფეოდალურ სამყაროში, განსაკუთრებით კი, აღმოსავლეთის ქვეყნებში, იყო ძალიან მაღალი, მაგალითად, ალექო, რომელიც თავისი დროის ერთ-ერთი მდიდარი და განვითარებული ქალაქი იყო, 991-1086 წლებში 22-ჯერ გახდა თავდასხმის ობიექტი,¹ ანუ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, რაც სავსებით ლოგიკურად აიძულებდა ქალაქის მესვეურებს გამუდმებით ეზრუნათ მის გამაგრებასა და თავდაცვის უნარის ამაღლებაზე.

შუასაუკუნეებში არსებული საფრთხეების მაღალი ხარისხი, საქალაქო არქიტექტურაში საფორტიფიკაციო სისტემების მშენებლობის აუცილებლობას განაპირობებდა. ქალაქს რომელსაც არ ერტყა გალავანი, სრულყოფილ ქალაქად არ ითვლებოდა.² ფ. კონტამინს მოჰყავს XV საუკუნის ერთი გერმანელი მოგზაურის სიტყვები, რომლის მიხედვითაც იგი ქალაქს გენტს მიუხედავად მისი სიდიდის, ფართო სავაჭრო საქმიანობისა და მოსახლეობის სიმრავლისა, ნამდვილ ქალაქს ვერ უწოდებდა, რადგან მას გალავნის კედლები არ გააჩნდა.³ თავდაცვის უნარი ქალაქისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა, ამიტომ მათი მშენებლობისას პირველი საზრუნავი, მისი შექმნა იყო, ისე როგორც ეს გააკეთა ბიზანტიის იმპერატორმა მანუელ კომნენოსმა, როდესაც რუმის სასულთნოს სიახლოვეს ქალაქ დორილეუმის მშენებლობისას, პირველ რიგში ქალაქის კედლები ააგო და გარს თხრილი შემოავლო.⁴ საფორტიფიკაციო სიმაგრეები ქალაქის აშენების შემდეგაც საჭიროებდნენ მუდმივ ყურადღებას, განსაკუთრებით კი ახალი საფრთხეების წარმოქმნის შემთხვევაში. 1190 წელს, როდესაც ფრიდრიხ ბარბაროსას არმია მოძრაობდა მაკედონიის ტერიტორიებზე, ნიკიტა ხონიატმა, რომელიც ქალაქ ფილიპოპოლის მმართველი იყო, იმპერატორისგან მიიღო ბრძანება, რომ განეახლებინა ქალაქის გალავანი და მისთვის თხრილი შემოეველო, რათა ჯვაროსნებს დაუცველ ქალაქზე შეტევის ცდუნება არ გასჩენოდათ.⁵ როდესაც სამარყანდს მონღოლები მიუახლოვდნენ, ქალაქის მცხოვრებლებმა გალავანი აამაღლეს, დამატებითი სიმაგრეების რამდენიმე რკალი შემოავლეს და თხრილები წყლით აავსეს,⁶ ხოლო ჯალალ ად-დინმა ხლათის ალების შემდეგ, პირველ რიგში, თავისსაკვე დანგრეული ქალაქის კედლები აღადგინა.⁷

შუა საუკუნეების ქალაქები სხვადასხვა სიდიდის დასახლებულ პუნქტებს წარმოადგენდა, სულ (პირობითი კლასიფიკაციით) შესაძლებელია ქალაქთა ოთხი კატეგორიის გამოყოფა. პირველ კატეგორიაში შედიოდა მხოლოდ კონსტანტინოპოლი, რომლის მსგავსიც ქალაქის ფართობის სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (ისევე როგორც საერთო ურბანისტიკით), არც დასაუვლეთსა

და არც აღმოსავლეთში არ მოიძებნებოდა.⁸ მაგალითად, ჟოფრუა ვილარდუენი აღწერს ჯვაროსანი რაინდების განცვიფრებას კონსტანტინოპოლის დანახვისას, რომელთაც ასეთი გრანდიოზული და არქიტექტურულად სრულყოფილი ქალაქი მათ მანამდის არსად არ ენახათ.⁹ კონსტანტინოპოლი, სადაც 400 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა, სამი მხრიდან ზღვით, ხოლო ერთი მხრიდან ხმელეთით იყო გარშემორტყმული და გალავნით დაცული, მარტო სახმელეთო გალავნის სიგრძე 8 კილომეტრს აღწევდა და კედლების სამი რიგისგან შედგებოდა.¹⁰ ადვილი წარმოსადგენია დანახარჯების ის მაშტაბები და სამუშაო ძალის რაოდენობა, რაც ამ კედლების არამარტო ასაგებად, არამედ მუდმივ ფუნქციონირებად მდგომარეობაში შესანახად იყო საჭირო, მაგალითად, ცნობილია, რომ IX საუკუნეში კონსტანტინოპოლის კედლების სარესტავრაციო სამუშაოებზე 6 000 ადამიანი იყო დაკავებული.¹¹ მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, კონსტანტინოპოლი შედარებით იშვიათად ხდებოდა თავდასხმის ობიექტი, მის თავდაცვისუნარიანობაზე გიგანტური ხარჯების გაღება ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაინც აუცილებელი იყო.

კონსტანტინოპოლის შემდეგ მოდიოდა დიდი ქალაქების (ანტიოქია, დამასკო, ალექსანდრია, ვენეცია და ა.შ.) ჯგუფი, რომელთა ფართობი 50-200 ჰექტარის, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 30-40 ათასიდან 50-60 ათასი ადამიანის ფარგლებში მერყეობდა.¹² საფორტიფიკაციო სისტემათა მასშტაბები დიდ ქალაქებში (კონსტანტინოპოლის მსგავსს არა, მაგრამ მაინც) გრანდიოზულ ზომებს აღწევდა, მაგალითად, ანტიოქიის გალავნის სიგრძე 10, ხოლო ნიკეის 4,5 კმ-ს უდრიდა.¹³

საკმაოდ დიდი საფორტიფიკაციო ნაგებობები ჰქონდათ საშუალო სიდიდის ქალაქებსაც, რომელთა ფართობის სიდიდე დაახლოებით 20-50 ჰექტარი, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 10-30 ათასი ადამიანი იყო. ამ კატეგორიის ქალაქები იყო ერზრუმი, ანისი, ბარდავი, დერბენდი, ისპაჰანი, განძა, ასკალონი და ა.შ. როგორც ჩანს, ქალაქთა ამ ჯგუფში შედიოდა თბილისიც, რომლის მოსახლეობაც (სავარაუდოდ) 20-30 ათასის ფარგლებში უნდა ყოფილიყო¹⁴ და შესაძლოა არტანუჯიც, რომელიც IX-X საუკუნეებში მსხვილი ადმინისტრაციული ცენტრი და მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების საყარზე მდებარე ქალაქი იყო.¹⁵

მცირე ქალაქები 20 ჰექტრამდე ტერიტორიაზე იყო გაშლილი და მათში 2-3 ათასიდან, 10 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა. ასეთი ქალაქები იყო ძალიან ბევრი და მათი რაოდენობა რიგ ქვეყნებში რამდენიმე ათეულს და ხანდახან ასეულსაც აღწევდა.¹⁶ მაგალითად, საქართველოში ამ კატეგორიის ქალაქებს მიეკუთვნებოდა სამშვილდე, დმანისი, ახალქალაქი, ოლთისი და ა.შ. რომლებიც შუა საუკუნეების ტიპიურ მცირე ქალაქებს წარმოადგენდნენ განვითარებული სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებითა და საფორტიფიკაციო ნაგებობით.¹⁷

შუა საუკუნეების ეპოქაში (ისევე როგორც ყველა სხვა დროს) ქალაქები ერთმანეთისგან სიდიდის გარდა სხვა მრავალი ნიშნითაც (დაგეგმარებით, არქიტექტურით და ა.შ.) განსხვავდებოდნენ, მართალია, არსებობდნენ ერთი ზოგადი ტიპის ქალაქები, მაგრამ არ არსებობდა ორი ერთმანეთის სრულიად მსგავსი ქალაქი, ერთადერთი რაც ყველასთვის საერთოს წაროდგენდა, იყო საფორტიფიკაციო სისტემა, რომელიც თავდაცვის ერთგვარი ელემენტებისგან: თხრილის, გალავნისა და ციხადელისგან შედგებოდა.

ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემის პირველი ელემენტი და ამასთანავე, თავდაცვის პირველი ზღუდე, ქალაქის გარშემო შემოვლებული თხრილი იყო, რომლის ძირითად დანიშნულებასაც გალავანიდან მოწინააღმდეგის იმ დისტანციაზე შეკავება წარმოადგენდა, საიდანაც ისინი სააღყო მანქანებს ვერ გამოიყენებდნენ და გალავანზე შეტევას ვერ განახორციელებდნენ. თხრილები კეთდებოდა ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობას ნიადაგის შემადგენლობა იძლეოდა. ნიკიტა ხონიატის მიხედვით, ჩრდილო სირიის ქალაქ პიზას თხრილი ნახევარ წრეზე ჰქონდა შემოვლებული, მეორე ნახევარი კი ბუნებრივ კლდეს წარმოადგენდა, სადაც თხრილის ამოღების აუცილებლობა არ არსებობდა.¹⁸ თხრილები იყო სხვადასხვა სიღრმისა და სიგანის, სადაც ამის შესაძლებლობა იყო, ისინი წყლით ივსებოდა, რომლის მდინარიდან ამოსაქაჩადაც, რიგ შემთხვევებში, საკმაოდ რთული საინჟინრო ნაგებობები კეთდებოდა. მაგალითად, კილიკიის ქალაქ ტარსუსს გარს ერტყა ქვის ფილებით მოპირკეთებული ღრმა თხრილი, რომელიც გასახსნელი დამბების მეშვეობით მდინარეს უერთდებოდა და საჭიროების შემთხვევაში წყლით ივსებოდა.¹⁹ თითქმის ყველა შემთხვევაში თხრილების წინა მხარეს გაკეთებული იყო შემალღებული მიწაყრილი, რაც მოაღყეებისთვის თხრილის გადალახვის სირთულეს აორმაგებდა. იყო შემთხვევები, მაგალითად, როგორც ბიზანტიურ ქალაქ ადრიანოპოლში, როდესაც ქალაქის გალავანმდე მისასვლელს, ერთის ნაცვლად ორი თხრილით იცავდნენ.²⁰ თხრილები იყო საკმაოდ ღრმა და განიერი, მაგალითად, როდოსზე პოსპიტალიერთა ორდენის გამაგრებული ქალაქის თხრილის სიგანე 30-45 მეტრს, ხოლო სიღრმე 16-20 მეტრს შეადგენდა, პალესტინის ქალაქ კესარიას კი, გარს 20 მეტრი სიგანისა და 15 მეტრის სიღრმის თხრილი უვლიდა.²¹ თხრილებზე გამართული იყო ასანევი ხიდები, როგორც მაგალითად, ახალქალაქში, სადაც ალ-ჰუსაინის მიხედვით ქალაქის კედლებს წყლით სავსე თხრილი ერტყა, ზედ გამართული ასანევი ხიდი.²²

თავდაცვის მეორე და უმთავრეს ზღუდეს წარმოადგენდა გალავანი, რომელიც სხვადასხვა ქალაქებში ერთი, ორი, ან სამი კედლის რიგისგან შეიძლებოდა ყოფილიყო შედგენილი. როგორც უკვე იყო აღნიშნული, კონსტანტინოპოლის სახმელეთო გალავანი კედლების სამი რიგისგან შედგებოდა, სადაც მეორე რიგი პირველზე უფრო მაღალი და შესაბამისად, უფრო რთული გადასალახი იყო, ხოლო მესამე რიგი მეორეზე კიდევ უფრო მაღალი.²³ საკმაოდ ხშირი იყო ორმაგი კედლებით შედგენილი გალავნებიც, როგორც ეს იყო მაგალითად თბილისში, რომელსაც X საუკუნის არაბი ავტორების მიხედვით ორმაგი გალავანი ერტყა გარს.²⁴ ბუნებრივია, ყველაზე გავრცელებული იყო ერთი კედლისგან შემდგარი გალავანი, რომელიც თითქმის ყველა ქალაქის თავდაცვის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა.

გალავნის სიძლიერე მდგომარეობდა მის სისქესა და სიმაღლეში, რაც უფრო სქელი და მტკიცე იყო გალავნის კედელი, მით უფრო ძნელი დასანგრევი იყო იგი სააღყო მანქანებისთვის, ხოლო რაც უფრო მაღალი, მით უფრო რთული მტურმისთვის. გალავნის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს წარმოადგენდნენ კოშკები, რომლებიც გარკვეული დისტანციის დაშორებით იყვნენ ჩაშენებული კედელში. კოშკები, გარდა იმისა, რომ მეტ სიმტკიცესა და სიმყარეს აძლევდნენ კედლებს, საშუალებას აძლევდნენ ქალაქის დამცველებს ეწარმოებინათ როგორც ვერტიკალური (კედლის თავიდან ქვემოთ), ასევე ფლანგური სროლა კედლების გასწვრივ (ფლანკირება), რაც მოწინააღმდეგეს გალავანთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდა. კოშკების სიმრავლე პირდაპირ პროპორციულად მოქმედებდა ქალა-

ქის თავდაცვისუნარიანობის ამალღებაზე, ამიტომ ქალაქის გაღაღანზე რაც მეტი კოშკი იყო აღმართული (რასაკვირველია, აუცილებელი პროპორციულობის დაცვით), მით უფრო დიდი წინააღმდეგობის განევა შეეძლო მას. მაგალითად, კონსტანტინოპოლის სახმელეთო გაღავნის კედლებში 192 კოშკი იყო ჩაშენებული, რაც მის თავდაცვისუნარს განსაკუთრებულ ეფექტურობას აძლევდა.²⁵ კოშკების სიმრავლე ასევე დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების ყველა ძლიერად გამაგრებული ქალაქისთვის, მაგალითად, ნიკეას კედლებში ჩაშენებული იყო 114 კოშკი, დერბენდის ჩრდილოეთ კედელს ჰქონდა 45 კოშკი²⁶ და ა.შ.

ქალაქის თავდაცვის ყველაზე სუსტი წერტილი იყო კარიბჭე, რის გამოც მის გარშემო დამატებითი საფორტიფიკაციო ელემენტები ეწყობოდა. უმრავლეს შემთხვევებში, კარიბჭე გარე სამყაროს ასანევი ხიდით უკავშირდებოდა, მის გვერდებზე იგებოდა ყველაზე ძლიერი და გაღავნის პერიმეტრს გარეთ ღრმად განეული კოშკები, რომელთა ფლანკირების არეალშიც უფრო დიდი ფართობი ხვდებოდა ვიდრე გაღავნის სხვა კოშკებს შორის. საკმაოდ ხშირი იყო ორმაგი კარიბჭის სისტემის გამოყენება, როდესაც ქალაქის პირველსა და მეორე შესასვლელს შორის არეალის დაცხრილვა ყველა მხრიდან იყო შესაძლებელი და აქამდე მოღნეული მონინააღმდეგე ჯვარედინი დარტყმის ქვეშ ექცეოდა.²⁷ საკმაოდ ხშირი იყო აგრეთვე კარიბჭეებს შორისი არეალის ლაბირინთული სისტემით მოწყობის შემთხვევებიც, როდესაც შემტევებს შეუნყვეტელი სროლის ქვეშ, ზიგზაგურად მოწყობილი ვინრო სივრცის გავლა უწევდათ.²⁸ კარიბჭის ყველაზე სუსტი ადგილის, კარების დასამზადებლად, რაც შეიძლება მყარ მასალას იყენებდნენ, როგორც წესი, რკინას, ან მაგარი ჯიშის ხეს, რომელსაც რკინის სქელი ფარფიტებით ფარავდნენ (მაგალითად, შუა საუკუნეების დროინდელი შესანიშნავი ნიმუშია გელათში დაცული განძის რკინის კარი).²⁹

ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემის მესამე, უკანასკნელი ელემენტი, და თავდაცვის ბოლო ზღუდე, იყო ციტადელი, რომელიც ჩართული იყო ქალაქის გამაგრების საერთო სისტემაში, მაგრამ ამავე დროს სრულიად დამოუკიდებელ თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა. ციტადელი იგებოდა ქალაქის ყველაზე მოხერხებულ (როგორც წესი, შემალღებულ) ადგილზე, აუცილებლობის შემთხვევაში მას ლოკალური ფუნქციონირება შეეძლო, რითაც ციტადელი, ფაქტიურად, ქალაქში არსებული ცალკე ციხე-სიმაგრე იყო.³⁰ თხრილის გადაღახვა და გაღავნის დაპყრობა, ყოველთვის ციტადელის დაპყრობასაც არ ნიშნავდა და ხშირად ისეც ხდებოდა, რომ მტერი ქალაქის ტერიტორიას კი იკავებდა, მაგრამ ციტადელის აღებას ვერ ახერხებდა, რა შემთხვევაშიც ქალაქი დაპყრობილად არ ითვლებოდა. ციტადელი თავის გადარჩენის ბოლო შესაძლებლობას წარმოადგენდა, რასაკვირველია, მონინააღმდეგე, რომელიც თხრილსა და გაღავანს გადაღახავდა, ადრე თუ გვიან ციტადელსაც აიღებდა, მაგრამ მისი აღება, როგორც წესი, ქალაქის დაპყრობის ყველაზე რთული ეტაპი იყო, რის გამოც შემტევები, დროისა და დიდი დანაკარგების თავიდან ასაცილებლად, ძალიან ხშირად ციტადელის დამცველებთან შეთანხმებაზე მიდიოდნენ და მათ დაკარგული ქალაქის უვნებლად დატოვების საშუალებას აძლევდნენ. მაგალითად, მსგავსი რამ მოხდა 1064 წელს ანისის ალყის დროს, როდესაც ალფ-არსლანის არმიამ დაიკავა ქალაქის ძირითადი ტერიტორია, მაგრამ ციტადელის აღება ვერ შესძლო, სადაც ბიზანტიური გარნიზონი იყო გამაგრებული, რომელმაც საბოლოოდ უვნებლად დატოვა დაკარგული ქალაქი,³¹ ისევე როგორც ქართულმა გარნიზონმა ჯალალ ად-დინის

მიერ თბილისის ალებისას 1226 წელს, როდესაც ხორეზმელებმა დაიკავეს ქალაქის ქვედა ნაწილი, ხოლო გარნიზონი ისანში გამაგრდა. როგორც ჩანს, ჯალალად-დინისთვის ისანის ალება იმდენად რთული ამოცანა იყო, რომ მისთვის ბევრად ხელსაყრელი იყო გარნიზონს უვნებლად დაეტოვებინა ქალაქი, ვიდრე ებრძოლა ბოლო შესაძლებლობამდე, რითაც მტერს აშკარად ძალიან დიდ ზიანს მიაყენებდა.³²

ციხე-სიმაგრეები

ფეოდალური ციხე-სიმაგრე შუა საუკუნეების სამხედრო ბუნების ერთგვარ სიმბოლოდ ითვლება, მაგრამ როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობა, პირველ რიგში, „სამოქალაქო“ დანიშნულების ნაგებობა იყო და არა „სამხედრო.“ ციხე, ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა (რაც ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში არაერთხელაა აღნიშნული),³³ თუმცა რასაკვირველია, როგორც ძლიერ საფორტიფიკაციო ნაგებობას, თავდაცვითი ფუნქციებიც გააჩნდა.

სხვადასხვა ისტორიულ კვლევებში საკმაოდ ხშირად გამოითქმებოდა აზრი, რომ ციხე-სიმაგრეების უმთავრესი დანიშნულება სამხედრო ფუნქციების განხორციელება იყო, რაზედაც დაყრდნობით კეთდებოდა დასკვნები, რომ იმ ქვეყნებში, რომელთაც უფრო მეტად უწევდათ თავდაცვითი ომების წარმოება, ციხე-სიმაგრეები უფრო მეტი შენდებოდა. მაგალითად, ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში გამოითქმულია მოსაზრება (უფრო სწორად დასკვნა), რომ „მსოფლიოში იშვიათად მოიძებნება მეორე ქვეყანა, სადაც ფართობთან შედარებით ამდენი სიმაგრე იყოს აშენებული.“³⁴ ამ შეხედულების მიხედვით, ციხე-სიმაგრეთა დიდი რაოდენობა უკავშირდება ქვეყანაში გარე მტრის შემოსევების ინტენსივობას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სრულიად აუხსნელი ხდება, თუ რატომ იგებოდა ასევე დიდი რაოდენობით ციხე-სიმაგრეები შუა საუკუნეების იმ ქვეყნებში, რომლებსაც გარე ექსპანსია ნაკლები ინტენსივობით, ან საერთოდ არ ემუქრებოდათ. ციხე-სიმაგრეთა რაოდენობა საქართველოსთან შედარებით არანაკლები იყო, მაგალითად, საფრანგეთში, რომლის მიმართაც არაფრით არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ისეთივე ინტენსიური გარე საფრთხის ქვეშ იდგა, როგორც საქართველო.³⁵ ძალიან ბევრი ციხე-სიმაგრეებია შუა საუკუნეების ესპანეთისა (კასტილიის, არაგონის, ლეონის) და პორტუგალიის სამეფოებში, რომლებიც XIV-XV საუკუნეებში გარე საშიშროებას არაბების მხრიდან, ფაქტიურად, აღარ განიცდიდნენ.³⁶ საერთოდ არ ემუქრებოდა გარე საშიშროება რეინის მხარეს გერმანიაში, მაგრამ სწორედ აქ იყო კონცენტრირებული შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეთა (ალბათ) სარეკორდო რაოდენობა, მდინარე რეინის გაყოლებაზე ყოველ 4-5 კილომეტრში, ციხე-სიმაგრე იყო აღმართული.³⁷ ამ მაგალითებიდან სრულიად აშკარა უნდა იყოს, რომ ციხე-სიმაგრეთა რაოდენობას განაპირობებდა არა გარედან მომდინარე სამხედრო საშიშროება (თუმცა ესეც, რასაკვირველია, ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო), არამედ სხვა მიზეზები, რომელთა არსიც ფეოდალური ფორმაციის ბუნებაში, კერძოდ კი მინისმფლობელობის ხასიათში მდგომარეობდა.

ფეოდალურ ეპოქაში ციხე-სიმაგრე, პირველ რიგში, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის ადგილი იყო და მინისმფლობელის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, საიდანაც ის გარკვეულ ტერი-

ტორიაზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სასამართლო თუ სამხედრო ხელისუფლებას ახორციელებდა.³⁸ თუ ფეოდალიზმის წინა პერიოდებში, ციხე-სიმაგრეები და სხვა სახის თავდაცვითი ნაგებობები, ძირითადად სასაზღვრო რეგიონებში იყო კონცენტრირებული (ყველაზე კარგი მაგალითია რომის იმპერია, რომელიც სასაზღვრო სიმაგრეების სისტემების, ლიმესების მეშვეობით იცავდა სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოებას, ქვეყნის შიდა ტერიტორიებზე კი თავდაცვითი ნაგებობებს, პრაქტიკულად, არ აგებდა³⁹), ფეოდალურ ეპოქაში მათი მშენებლობა ქვეყნის მთელ ტერიტორიებზე დაიწყო, რაც მინისმფლობელობის ფეოდალური ფორმების გამოჩენით იყო განპირობებული, ამასთან დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ ვის ხელში ხვდებოდა რომელიმე ტერიტორია, ცალკეული მინისმფლობელის, თუ სახელმწიფოს, ადმინისტრაციული მართვის საჭიროება ორივე შემთხვევაში აუცილებლობას წარმოადგენდა.⁴⁰ მაგალითად, როდესაც ლიპარიტ ბაღვაშიმა დაიკავა თრიალეთი და ერთგულების ფიცი მისცა დავით I კურაპალატს, მან პირველ რიგში კლდეკარის ციხე ააგო, რომელიც მისი ახალი სამფლობელოს, თრიალეთის, პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრად იქცა,⁴¹ ხოლო როდესაც ბაგრატ IV მმართველობის დასაწყისში, ტაო-კლარჯეთის აზნაურები მასიურად გადადიოდნენ ბიზანტიის იმპერატორის მხარეს (იგულისხმება, რომ მას აძლევდნენ ერთგულების ფიცს და აღიარებდნენ თავის სუვერენად), „საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან, ააგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიჭირა ქუეყანა შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულება ბაგრატ აფხაზთა მეფისათვის. პატივ-სცა ღმერთმან და ვერ წარუღეს ქუეყანა მტერთა.“⁴² ქართლის მატიანეს ანონიმი ავტორის ამ ცნობის შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი სრულიად სამართლიანად მიუთითებდა, რომ ციხე (როგორც ამ შემთხვევაში, ასევე ზოგადად) ტერიტორიის მართვის საშუალება იყო,⁴³ თუ დავაკვირდებით საბა ეპისკოპოსის ქმედებას, მან შავშეთში ციხის აგებით, სწორედ მართვის მექანიზმი შექმნა და პირველ რიგში, ადმინისტრირებით შეინარჩუნა იგი სამეფო დომენის შემადგენლობაში. საბა ეპისკოპოსი ციხის აგებით ავსებს სახელისუფლო ლაკუნას, რომელიც როგორც ჩანს, შავშეთში იყო წარმოქმნილი და როგორც სამეფო დომენის წარმომადგენელი იწყებს რეგიონის მართვას, რითაც არ აძლევს საშუალებას აქ მცხოვრებ წვრილ მინისმფლობელებს ეძებონ ახალი სენიორი (პატრონი). ციხე-სიმაგრის უმთავრესი დანიშნულება, შეესრულებინა ტერიტორიული ერთეულის პოლიტიკურ-სოციალური ცენტრის ფუნქცია, კარგად ჩანს სხვა მრავალ შემთხვევაშიც, მაგალითად, საროს ციხის წარწერაში, რომლის მიხედვითაც ვაჩე ერისთავმა (ლიპარიტ ბაღვაშის მსგავსად) ეს ციხე, ჯავახეთში სამფლობელოს მიღებისთანავე ააგო, თუმცა მოცემულ მომენტში არანაირი გარე საფრთხე არ ემუქრებოდა.⁴⁴

ციხე-სიმაგრეზე, როგორც გარკვეული ტერიტორიული ერთეულის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრზე, მიბმული იყო სხვა ციხე-სიმაგრეებიც, რომლებიც თავის მხრივ ამ ერთეულში შემავალი უფრო წვრილი ტერიტორიების პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ.⁴⁵ იმ შემთხვევაში, თუ ამ ერთეულის ხელისუფლების ძირითადი ცენტრი (მთავარი ციხე-სიმაგრე) მოიშლებოდა (ან მტერი დაიპყრობდა, ან მიწაზე მფლობელობის უფლებას დაკარგავდა და ა.შ.), მაშინ სუბორდინაციულად მასზე დაქვემდებარებული ცენტრებიც თავის ფუნქციებს კარგავდნენ, რის შედეგადაც ტერიტორიულ ერთეულში არსებული ადმინისტრირების სისტემა საკმაოდ სწრაფად იშლებოდა. მაგალითად, როდესაც დავით აღმაშენებელმა 1110 წელს, სელჯუკების მფლობელობაში მყოფი სამ-

შვილდე დაიპყრო, სელჯუკებმა რეგიონში არსებული სხვა ციხე-სიმაგრეებიც მიატოვეს,⁴⁶ რაც იმას ნიშნავს, რომ სამშვილდის დაკარგვით დაირღვა აქ არსებული ადმინისტრირების სისტემა და ამ ერთეულის ცალკეულ ნაწილებში მისი შენარჩუნების მცდელობას, უკვე აზრი აღარ ჰქონდა. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საბა ეპისკოპოსის მსგავს, თუმცა საპირისპირო შინაარსის მაგალითთან. საბამ ტერიტორიული ერთეულის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრის შექმნით მოახერხა შავშეთის, როგორც ერთიანი ადმინისტრაციული ორგანიზმის შენარჩუნება, დავით აღმაშენებელმა კი პირიქით, სამშვილდის ერთიანი ადმინისტრაციული ერთეული დაარღვია მისი პოლიტიკური ცენტრის განადგურებით.

ციხე-სიმაგრეთა ფუნქციურ დანიშნულებასთან დაკავშირებით, მსგავსი ვითარება საქართველოსთან ერთად, მთელი ფეოდალური სამყაროსთვის იყო დამახასიათებელი, რასაც სხვადასხვა წერილობითი წყაროების მრავალრიცხოვანი ცნობა ადასტურებს. მაგალითად, ვალტერ გოტიე მიუთითებდა, რომ 1119 წელს ანტიოქიის სამთავროსთან ომის დროს, ილ-ლაზის ანტიოქიის დაპყრობა რომ მოეხერხებინა, მას მაშინ ანტიოქიის დანარჩენი ციხეებიც უმალ ჩაბარდებოდნენ,⁴⁷ რაც სინამდვილეში ასეც ხდებოდა. ქემალ ად-დინის მიხედვით, 1085 წელს, როდესაც რუმის სულთანმა სულეიმანმა ანტიოქია დაიპყრო, რეგიონის დანარჩენი ციხე-სიმაგრეებიც უბრძოლველად მის ხელთ აღმოჩნდა,⁴⁸ იგივე მოხდა ჯვაროსნების გამოჩენის დროსაც, როდესაც მათ ანტიოქია დაიპყრეს, მასთან ახლოს მდებარე ციხეებმა, იმამ და ანაბამ, ჯვაროსნებს დაუყოვნებლივ მორჩილება გამოუცხადეს.⁴⁹ იგივე ხდებოდა სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, გიორგი აკროპოლიტის მიხედვით, როდესაც მიხეილ პალეოლოგის არმიამ მაკედონიაში აიღო დეავოლისის და ოხრიდის ციხე-სიმაგრეები, ამ რეგიონის სხვა ტერიტორიებიც (პრესპა, პელაგონია, მოლისი) მათივე ციხეებითურთ, ბიზანტიელების ხელში უომრად გადავიდა,⁵⁰ ხოლო როდესაც მეჰმედ II-მ ეგეოსის ზღვაზე კუნძულ ევრიპოსის ციხე დაიპყრო, მახლობელმა კუნძულებმა უმალ აღიარეს ოსმალთა ხელისუფლება.⁵¹ შეიძლება მოვიყვანოთ ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის აღების მაგალითიც, რის შემდეგაც აღმოსავლეთ საქართველოს არც ერთ ციხე-სიმაგრეს ხორეზმელებისთვის წინააღმდეგობა აღარ გაუწევია და ისინი თავისუფლად აოხრებდნენ მთელ რეგიონს.⁵²

როგორც აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, ციხე-სიმაგრეები საკმაოდ ხშირ შემთხვევებში არ ასრულებდნენ „მათთვის მიწერილ თავდაცვის უმთავრეს“ ფუნქციას და ცენტრალური სიმაგრის დაცემის შემთხვევაში, ერთი-მეორეს მიყოლებით ნებდებოდნენ მონინაალმდეგეს, რაც ციხე-სიმაგრეთა ერთიან თავდაცვით სისტემად გააზრების შემთხვევაში (როგორც ეს მიღებულია რიგ სამეცნიერო კვლევებში) ძალიან უცნაურად გამოიყურება. ასეთი ვითარება მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ თავდაცვის ფუნქცია ციხე-სიმაგრეებისთვის იყო ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) და ყველა სიტუაციაში ამ ფუნქციის გამოყენება არ ხდებოდა. რაც შეეხება ციხე-სიმაგრის დანიშნულებას, უზრუნველყო მინისმფლობელთა ძალაუფლება მათ ხელთ არსებულ ტერიტორიებზე, ეს მისი ფუნქციონირებისთვის ყოველთვის აქტუალური ამოცანა იყო.

პოლიტიკურ-სოციალური ძალაუფლების უზრუნველყოფის ფუნქციის შემდგომ, ციხე-სიმაგრის უმთავრესი დანიშნულება ეკონომიკური ძალაუფლების განხორციელება იყო, რაც პირველ რიგში, საბაჟო ფუნქციების შესრულებაში გამოიხატებოდა.⁵³ მინისმფლობელთა შემოსავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს

წყაროს, მათ ტერიტორიებზე გამავალი გზებიდან მიღებული საბაჟო გადასახადები წარმოადგენდა, რის გამოც ისინი ცდილობდნენ ციხე-სიმაგრეები მნიშვნელოვანი გზების სიახლოვეს აეგოთ (რაც ქართული ციხეების მაგალითზე ისტორიოგრაფიაში არაერთხელაა აღნიშნული),⁵⁴ ისე როგორც ეს იყო, რეინის ზემოთ აღნიშნულ ციხე-სიმაგრეთა შემთხვევაში, რომელთაგანაც თითქმის თითოეული მათგანი საფორტიფიკაციო ხელოვნების შედეგს წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი უმთავრესად საბაჟო ფუნქციებს ასრულებდნენ და სამხედრო დანიშნულებისთვის ნაკლებად გამოიყენებოდნენ. მაგალითად, რეინის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ციხე-სიმაგრე, კობლენცის სიახლოვეს მდებარე მარკსბურგი, არასოდეს ყოფილა თავდასხმის ობიექტი და მის კედლებთან არც ერთი ბრძოლა არ გამართულა.⁵⁵ ციხის საბაჟო ფუნქციებთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო ცნობას იძლევა კონსტანტინე პორფიროგენეტი, როდესაც ის აღწერს არტანუჯის ციხე-სიმაგრეს. მისი მიხედვით არტანუჯის „ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბატიც და დაბა-ქალაქიც; და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნისა, იბერიისა, აფხაზეთისა, და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის.“⁵⁶ „უამრავი ბაჟი,“ ბუნებრივია, ძალიან ძლიერი მოტივაცია იყო მინისმფლობელებისთვის, რომლებიც შესაბამის ადგილებში ციხე-სიმაგრეთა აგებით ამ „უამრავი ბაჟის“ აკრეფის გარანტიებს იღებდნენ. ქართულ ისტორიულ საბუთებში ციხეთა ეს ფუნქცია (ბაჟის აკრეფა) საკმაოდ ხშირად ფიქსირდება, მაგალითად, 1468 წელს, მეფეები ბაგრატი და კონსტანტინე ჯავახიშვილებს საკუთრებაში უმტკიცებენ მათ მიერ ჯერ კიდევ თამარის დროს მიღებულ სოფელ ქვეშ „ციხითა, ბაჟითა და მისითა მიმდგომითა,“ იგივეა ალექსანდრე მეფის 1442 წლის სიგელში, სადაც იხსენიება „ციხე არმაზისა მისითა ეკლესიითა, გლეხებითა, ყანითა და მისი ძუელითგან გაჩენილი ბაჟი ორი თანგა დიდსა საპალნესა ზედან.“⁵⁷ როგორც ვხედავთ, ამ საბუთებში პირდაპირაა მითითებული ციხე-სიმაგრის უმთავრესი ფუნქციები, ბაჟის აკრეფა და პოლიტიკურ-სოციალური ძალაუფლების განხორციელება იმ ტერიტორიაზე („მისითა მიმდგომითა“), რომლის ადმინისტრირებაც აქედან შეიძლებოდა.

ეკონომიკური ძალაუფლების (ბაჟისა და გადასახადების აკრეფის) განხორციელება ნიშნავდა იმას, რომ ციხე-სიმაგრის მფლობელი თავის თავზე იღებდა სავაჭრო გზების, ვაჭართა ქარავნებისა და ციხის არეალში მცხოვრების ადამიანების დაცვის ფუნქციას, რისთვისაც მას პოლიციური ფუნქციები უნდა განეხორციელებინა და ციხის საკონტროლო ტერიტორია დაეცვა ყაჩაღებისა და მოხეტიალე კრიმინალური ბანდების თავდასხმებისგან. თითქმის ყველა მკვლევარი, რომელიც ციხე-სიმაგრეებს პირველ რიგში სამხედრო ფუნქციების მატარებლად განიხილავს, ამის არგუმენტად მათ სტრატეგიულ ადგილმდებარეობასა და მიუვალობას მიუთითებს, რაც სინამდვილეში ციხე-სიმაგრეთა პოლიტიკურ-ეკონომიკურ და პოლიციურ ფუნქციებს უფრო აღნიშნავს, ვიდრე სამხედრო-სტრატეგიულს. სიმაგრის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფუნქციებიდან გამომდინარე, მისი მფლობელები მათ ისეთ ადგილებში აგებდნენ, სადაც საკუთარი ტერიტორიალური ერთეულის ცენტრს ხედავდნენ და საიდანაც ამ ერთეულის ადმინისტრირება, ბაჟის აკრეფა და გზებისა და ტერიტორიების კრიმინალებისგან დაცვა, მოხერხებული იქნებოდა. რამდენადაც ასეთ ადგილებს, პირველ რიგში, გზები და გზასაყარები წარმოადგენდნენ, ამდენად ციხე-სიმაგრეები ძირითადად მათ სიახლოვეს იგებოდნენ, რითაც გზებზე მოძრავი ვაჭართა ქარავნებისა, თუ სხვა მგზავრთა

პოლიციური კონტროლი ნებისმიერი სიმაგრის გარნიზონისთვის, როგორც მცირერიცხოვანიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ადვილი შესაძლებელი ხდებოდა. მაგრამ რაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მშვიდობიან გზაზე მცირე კრიმინალურ ჯგუფებისგან დაცვის შემთხვევაში, იგივეს გაკეთება მცირერიცხოვანი გარნიზონით შეუძლებელი იყო გზაზე მოძრავი მტრული არმიის მიმართ, რომლისგანაც თავის დასაცავად სიმაგრის მიუვალობა, უკვე გარნიზონისა და მოსახლეობისთვის ხდებოდა აუცილებელი მოთხოვნა. ანუ, ნებისმიერ ციხე-სიმაგრის გარნიზონს შეეძლო შეესრულებინა პოლიციური ფუნქციები და ციხის მიდამოებში დაპირისპირებოდა მძარცველთა მცირერიცხოვან ჯგუფებს, მაგრამ იგივე წარმატებით სამხედრო ფუნქციების განხორციელება (ყაჩაღთა ჯგუფების მსგავსად, არმიის შეკავება. ამ საკითხის შესახებ დეტალურად იხ. ქვემოთ, ქვეთავში: „საველე არმია თავდაცვითი სტრატეგიის უმთავრესი ელემენტი.“) მათ აშკარად არ შეეძლოთ, რისი მიხედვითაც ციხე-სიმაგრეთა რაოდენობა და განლაგება ნებისმიერ ქვეყანაში ასახავდა არა ქვეყნის თავდაცვის ერთიან სტრატეგიულ სქემას, არამედ ფეოდალური სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ხასიათს.

როგორც მიიჩნევენ, ერთი ციხე-სიმაგრის პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალაუფლების არეალი, მაქსიმუმ იმ სიდიდის ტერიტორიებზე ვრცელდებოდა, რისი დაფარვაც ცხენის სისწრაფით ერთ დღეში შეიძლებოდა,⁵⁸ ეს, რასაკვირველია, პირობითი და მიახლოებული განსაზღვრებაა, მაგრამ რეალობას მეტ-ნაკლებად სწორად უნდა ასახავდეს და ამით ერთგვარი სარკე უნდა იყოს იმ მდგომარეობისა, თუ როგორ იყო განვითარებული ფეოდალური ურთიერთობები ამა თუ იმ ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა XI საუკუნის ინგლისის მაგალითი, სადაც ანგლო-საქსურ პერიოდში 1066 წლამდე, ციხე-სიმაგრეები ძალიან ცოტა იყო, თუმცა ქვეყანა სისტემატიური გარე საფრთხის ქვეშ იდგა სკანდინავიელთა მხრიდან. 1066 წლის შემდეგ, როდესაც ნორმანებმა დაიპყრეს ინგლისი და მისმა ახალმა მეფემ ვილჰელმ დამპყრობელმა მიწის ფონდები ვასალიტეტის პირობით ნორმანდიულ არისტოკრატიას დაურიგა, ქვეყანა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ციხე-სიმაგრეთა ქსელით დაიფარა და 1154 წლისთვის მათმა რაოდენობამ 274 ერთეულს მიაღწია,⁵⁹ რაც იმას ნიშნავდა, რომ ნორმანდიელმა მიწისმფლობელებმა დაუყოვნებლივ შექმნეს მათ განკარგულებაში მიღებული ტერიტორიების პოლიტიკურ-ეკონომიკური მართვის ცენტრები, რომელთაც პირველ რიგში, მათ მფლობელთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეზიდენციის ფუნქცია, ხოლო ამის შემდეგ, როგორც საგარეო, ასევე (უფრო მეტად) შიდა საფრთხეებისგან თავდაცვის ფუნქციებიც ეკისრებოდათ. ციხე-სიმაგრეებთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო და ისტორიული ინფორმაციის შემცველია აგრეთვე მათი მფლობელობის საკითხი. როდესაც რომელიმე ქვეყანაში არსებულ ციხე-სიმაგრეთა დიდი ნაწილი სხვადასხვა მიწისმფლობელთა ხელში იყო, ეს ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეზე მიუთითებდა, ხოლო როდესაც სამეფო ციხეების რაოდენობა მატულობდა, ეს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების უტყუარი ნიშანი იყო. მაგალითად, იგივე ინგლისში 1154 წელს არსებული 274 ციხე-სიმაგრიდან, 49 სამეფო ხელისუფლების, ხოლო დანარჩენი მიწისმფლობელების საკუთრება იყო. 1214 წლისთვის კი ეს სურათი მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი, სამეფო ციხეთა რაოდენობა უკვე 93 ერთეულს შეადგენდა, რაც ცენტრალური ხელისუფლების უდავო გაძლიერების მაჩვენებელი იყო ფეოდალური

მინისმფლობელობისა და ფეოდალური სეპარატისტული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლაში.⁶⁰ იგივე სურათია ფეოდალურ საქართველოშიც, სადაც ისეთი ქალაქები თუ ციხე-სიმაგრეები, როგორც იყო სამშვილდე, ატენი, კლდეკარი და ა.შ. როდესაც სამეფო კუთვნილებაში ექცეოდა, ეს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების უდავო ნიშანი იყო,⁶¹ ხოლო როდესაც ლორესა და თმოგვის მსგავსი მნიშვნელოვანი პუნქტები სამეფო კუთვნილებიდან მინისმფლობელთა ხელში იწყებდა გადასვლას, როგორც ეს მოხდა მხარგრძელების შემთხვევაში, ეს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირველ აშკარა სიმპტომს წარმოადგენდა.⁶²

სრულიად ბუნებრივია, რომ ციხე-სიმაგრეებისათვის სამხედრო დანიშნულება ძალზედ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენდა, ნებისმიერი ტერიტორია საჭიროებდა თავდაცვის უნარს როგორც შიდა, ასევე გარე საფრთხეებისგან, მაგრამ ციხე-სიმაგრეთა სამხედრო დანიშნულება უფრო მკვეთრად მაინც სასაზღვრო რეგიონებში იყო ფიქსირებული, ვიდრე შიდა ტერიტორიებზე. სასაზღვრო ციხე-სიმაგრეები (რომელთაც შუა საუკუნეების ფორტიფიკაციის ცნობილი გერმანელი მკვლევარი იოაჰიმ ზეუნი საგარნიზონო-გადაძლიებ ციხეებს უწოდებს⁶³), განსხვავებით შიდა ტერიტორიებში არსებული („ადმინისტრაციული“) სიმაგრეებისგან, ძირითადად მხოლოდ სამხედრო დანიშნულებისთვის იგებოდნენ. მათი უმთავრესი დანიშნულება იყო გზა გადაეღობათ ქვეყანაში შემავალი მტრისთვის, თუმცა ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ, და განსაკუთრებით საბაჟო ფუნქციებს ბოლომდის არც ამ შემთხვევებში კარგავდნენ. სასაზღვრო ციხე-სიმაგრეთა სისტემა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა, რაც ძალიან კარგად ჩანს წერილობითი წყაროების ცნობებშიც. მაგალითად, 1115 წლის დასაწყისში ანტიოქიის სამთავროში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზიანა სამთავროს საფორტიფიკაციო ნაგებობები, მათ შორის თავად ქალაქი ანტიოქიაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ანტიოქიის მთავარმა როჯერმა საფორტიფიკაციო ნაგებობების აღდგენითი სამუშაოები არა ანტიოქიით, არამედ სასაზღვრო ციხეებით დაიწყო, ხოლო მათი დამთავრების შემდეგ (ვალტერ გოტიეს სიტყვით, არსებული ტრადიციის მიხედვით), სასაზღვრო რეგიონების ინსპექტირება მოახდინა და იქ არსებულ ციხე-სიმაგრეთა მზადყოფნაში დარწმუნდა.⁶⁴ სასაზღვრო ციხის მნიშვნელობა კარგად ჩანს აგრეთვე ე.წ. იაკობის ფონის ციხის შემთხვევაშიც, რომლის მშენებლობაც ტამპლიერთა ორდენმა იერუსალიმის სამეფოსა და სალადინის სამფლობელოების საზღვარზე დაიწყო 1179 წელს. იმ დროისთვის სალადინსა და ჯვაროსნებს შორის ზავი იყო დადებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, სალადინმა ძალიან სწრაფი რეაგირება მოახდინა ამ სასაზღვრო ციხის მშენებლობაზე, დაუყოვნებლივ თავს დაესხა მას და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სიმაგრე მიწასთან გაასწორა.⁶⁵ სალადინის რეაქცია, ისევე როგორც როჯერის ქმედება, სასაზღვრო ციხეების სამხედრო მნიშვნელობის გათვალისწინებით, ადვილად გასაგებია.

სასაზღვრო ციხე-სიმაგრეები ქვეყანაში შემავალ გზებზე მდებარეობდა და როგორც წესი, დიდი ზომებითა და სიმტკიცით გამოირჩეოდა. მაგალითად, სასაზღვრო ციხე-სიმაგრეების მთელი ქსელი იყო შექმნილი იერუსალიმის სამეფოსა და დანარჩენ ჯვაროსნულ სახელმწიფოებში, სადაც ისეთი ციხე-სიმაგრეები, როგორც იყო შაუბეკი (მონრეალი), კერაკი, საფედი, კრაკ დე-შევალიე, ბაგრასი და ა.შ. მუსლიმური ტერიტორიების საზღვრებთან აკონტროლებდნენ მნიშვნე-

ლოვან სატრანსპორტო მაგისტრალებს (სადაც დიდ არმიებს შეეძლოთ მოძრაობა) და უმძლავრეს საფორტიფიკაციო ნაგებობებს წარმოადგენდნენ.⁶⁶ იგივე სურათია შუა საუკუნეების სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოშიც, სადაც სასაზღვრო სიმაგრეთა შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ, მაგალითად, ფარცხისისა⁶⁷ და ხორნაბუჯის ციხეები,⁶⁸ რომლებიც იცავდნენ თბილისის საემიროსა და ჰერეთში შემავალ გზებს.

ამ კატეგორიის ციხე-სიმაგრეებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საფორტიფიკაციო სიძლიერეს, რაც ადგილის შერჩევით, გარნიზონისა და შესაბამისად, ციხის შიდა ფართობის სიდიდით, რთული კონსტრუქციის შექმნითა და კედლების სისქით მიიღწეოდა. სასაზღვრო ციხე-სიმაგრეს, მისი უმთავრესი, გზის გადაღობვის დანიშნულებიდან გამომდინარე, ჰქონდა სპეციფიკური მოთხოვნა, იგი არა მარტო გზის მახლობლად, არამედ გზასთან ისეთ უშუალო სიახლოვეს უნდა აგებულყო, რომ იგი ციხის საცეცხლე არეალში მოხვედრილიყო, რაც ციხის ამგებთა წინაშე ურთულეს ამოცანას აყენებდა, მათ ციხისთვის ისეთი ადგილი უნდა შეერჩიათ, სადაც ციხის მიუვალობის პრინციპიც დაცული იქნებოდა და გზაზე ციხიდან საბრძოლო მოქმედებების წარმოების შესაძლებლობაც, რაც იმას ნიშნავდა, რომ სიმაგრის კედლებიდან გზა, სადაც 100-300 მეტრის რადიუსში (დისტანციური იარაღის მისანვედენ მანძილზე) უნდა ყოფილიყო მოქცეული. უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევებში, შუა საუკუნეების არქიტექტორები ამ ამოცანის გადაწყვეტას ახერხებდნენ და სასაზღვრო ციხე-სიმაგრეებს ზუსტად ასეთ პუნქტებში აგებდნენ. მაგალითად, ასეთი იყო შაუბეკის ციხე-სიმაგრე იერუსალიმის სამეფოში, რომელიც გზასთან ახლოს მდებარე არცთუ მაღალ, მაგრამ საკმაოდ რთულად მისადგომ მთის წვერზე იყო აგებული.⁶⁹ უსამა იზნ-მუნკიზს აღწერილი აქვს ჩრდილოეთ ერაყში მდებარე ალ-ხარბის სასაზღვრო ციხე (რომლის ალყაშიც თავად მონაწილეობდა), რომელიც ძალიან მაღალ, მიუდგომელ კლდეზე იდგა და შიგ მოხვედრა მხოლოდ კიბის საშუალებით იყო შესაძლებელი.⁷⁰ ჯუვეინის მიხედვით ხოდჯენტის ციხე ხორეზმში, რომელმაც მონღოლებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია, მდინარის შუაში მდებარე კლდის კონცხზე იყო აგებული.⁷¹ ან-ნასავის აღწერილობით კი, ურმიის ტბასთან მდებარე ხოის ციხე-სიმაგრე, სამი მხრით წლით დაფარულ კლდის კონცხზე იყო აღმართული.⁷² თავისი მიუვალობით ფართოდ იყო ცნობილი ალამუთის განთქმული ციხე-სიმაგრე ჩრდილოეთ ირანში, რომელიც ასასინების მცირე ანკლავს (ე.ი. ავტონომიურად სასაზღვრო ხასიათის სიმაგრეს) წარმოადგენდა და რომლის ალებაც მონღოლებმა მხოლოდ სამწლიანი ალყის შემდეგ შეძლეს. თუ მარკო პოლოს დავეუჯერებთ, მონღოლები ალამუთს ვერასოდეს ვერ აიღებდნენ, გარნიზონს რომ საკვები არ გამოლოეოდა.⁷³ მსგავს ანალოგებს ხშირად ვხვდებით შუა საუკუნეების მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც ციხე-სიმაგრეთა და მათ შორის სასაზღვრო სიმაგრეთა ძნელად მისადგომ ადგილებზე აგება, დამკვიდრებულ ტრადიციას წარმოადგენდა.⁷⁴

მიუხედავად იმისა, რომ სასაზღვრო ციხე-სიმაგრეებისთვის მიუვალობის ფაქტორს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ყველა შემთხვევაში მისი დაცვა (განსხვავებით შიდა ტერიტორიებზე არსებული სიმაგრეებისგან, რომელთა ადგილის შერჩევისთვისაც მეტი თავისუფლება არსებობდა) და ციხისთვის ასეთი ადგილის შერჩევა ვერ ხერხდებოდა, რა დროსაც ციხის საფორტიფიკაციო ღირებულებები (კედლების სისქე-სიმაღლე, დამატებითი თხრილებით და ა.შ.) ძლიერ-

დებოდა. მაგალითად, ასეთი სასაზღვრო სიმაგრის კლასიკური მაგალითია ტრიპოლის საგრაფოს ცნობილი სიმაგრე კრაკ დე-შევალიე, რომელიც თავის ფუნქციებს არა მიუვალობით, არამედ ძლიერი ფორტიფიკაციით ახორციელებდა.⁷⁵

როგორც სასაზღვრო, ასევე „ჩვეულებრივი“ ციხე-სიმაგრეების საფორტიფიკაციო სქემა, ზოგადად გამაგრებული ქალაქებისას იმეორებდა და ძირითადად ასევე სამი მთავარი ელემენტის: თხრილის, გალავნისა და ციტადელის (დიდი ციხეების შემთხვევაში) ან მთავარი კოშკისგან შედგებოდა.⁷⁶ მაგრამ იმ გარემოებას, რომ გამაგრებული ქალაქისგან განსხვავებით ციხის მშენებლობისთვის მეტი თავისუფლება არსებობდა, ციხის კონსტრუქციებში დიდი მრავალფეროვნება შეჰქონდა. მაგალითად, ციხე-სიმაგრე რომელიც ძნელად მისადგომ (შემალღებულ) ადგილზე შენდებოდა, თხრილის არსებობას უკვე აღარ საჭიროებდა, რადგან გალავანთან მისასვლელები უკვე ბუნებრივად ხდებოდა დაცული მონინალმდეგის სააღყო მანქანების სიახლოვისგან. კონკრეტული რელიეფის თავისებურებები ასევე განაპირობებდა ციხე-სიმაგრეთა არქიტექტურის მრავალფეროვნებას, კედლების ფორმებს, სიმაღლეს, სისქეს და ა.შ. ციხე-სიმაგრეები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ზომებით და შემოზღუდული ფართობის სიდიდით. მაგალითად, ისეთი გიგანტების გვერდით როგორც იყო კრაკ დე-შევალიე, რომელიც 2000-ანი გარნიზონისა და 10 000 ადამიანის თავშესაფარებლად იყო გათვლილი,⁷⁷ ან საფედი იერუსალიმის სამეფოში, რომლის გარნიზონიც 1700 მეომარი შეიძლებოდა ყოფილიყო,⁷⁸ არსებობდნენ პატარა ზომის სიმაგრეები, სადაც მხოლოდ 50-100 ადამიანი შეიძლებოდა განთავსებულყო. ციხე-სიმაგრეთა ასეთი დიფერენციაცია მათი დანიშნულების ხასიათით განისაზღვრებოდა, იმ ციხე-სიმაგრეთა მასშტაბები, რომელთა უმთავრეს ფუნქციასაც პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალაუფლების განხორციელება წარმოადგენდა, მთლიანად მათი მფლობელების ფინანსურ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული და მათ ამის მიხედვით აგებდნენ, ხოლო ციხე-სიმაგრეები, რომელთა უმთავრესი დანიშნულებაც სასაზღვრო ფუნქციების შესრულება იყო, როგორც წესი, ცენტრალურ საკუთრებას წარმოადგენდნენ და მასშტაბურობით გამოირჩეოდნენ.⁷⁹

ციხეთა მშენებლობა ღირდა ძალიან ძვირი. ედესის საგრაფოში, ჯეზალ-ალაუის ციხის მშენებლობაზე 150 ათასი ტონა ქვა დაიხარჯა, ხოლო ანტიოქიის სამთავროს ციხე-სიმაგრის სეონის ასაგებად 170 ათასი ტონა,⁸⁰ რომლის დამზადებაც, ტრანსპორტირება და მშენებლობაში გამოყენება, ბუნებრივია, დიდი რაოდენობის მუშახელის მოზიდვასა და კოლოსალურ თანხებს მოითხოვდა. ედუარდ I-მა უელსში ციხეთა მშენებლობისთვის მობილიზება გაუკეთა 1600 ტყისმჭრელს, 380 დურგალს, 170 ქვისმთელს, 1000 ქვისმჭრელს, 200-მდე მჭედელსა და რამდენიმე ათას შავ მუშას,⁸¹ ხოლო ალ-მარკიზის მიხედვით, სალადინის მიერ კაიროს ციტადელის ასაგებად 50 ათასი სამხედრო ტყვე იყო მობილიზებული.⁸² 1196-98 წლებში, ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგულმა ნორმანდიაში ააგო შატო დე-გაიარის გიგანტი ციხე-სიმაგრე, რომლის მშენებლობის წლიურმა ღირებულებამაც, ინგლისის წლიური შემოსავალი, 11 500 ფუნტი, ხოლო სულ - სამეფოს ორი წლის შემოსავალი, 21 203 ფუნტი შეადგინა⁸³ და ა.შ. შატო დე-გაიარი (რომელიც ინგლისის მფლობელობაში მყოფ ნორმანდიაში მდებარეობდა) ტიპიურ გიგანტურ სასაზღვრო ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, რომლის უმთავრესი ფუნქციაც ნორმანდიაზე ფრანგების შეტევების მოგერიება, ანუ სამხედრო დანიშნულება იყო. მაგრამ ინგლისის სხვა ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობა მას, როგორც მასშტაბებით, ასევე თავდაცვის უნარით მკვე-

თრად ჩამორჩებოდა, რაც სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან ინგლისელ ბარონებს, რომელთა საშუალო წლიური შემოსავალი 200-400 ფუნტ სტერლინგს შეადგენდა,⁸⁴ შატო დე-გაიარის მსგავსი გიგანტების მშენებლობა არ შეეძლოთ და არც სჭირდებოდათ, რადგან იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება, რისთვისაც ინგლისელი მინისტრები ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ, უფრო მოკრძალებული სიმაგრეებითაც სავსებით შესაძლებელი იყო. აღნიშნული გარემოება განაპირობებდა იმ ვითარებას, რომ მთელ რიგ მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობის მონაკვეთებში, ჩნდებოდა ასეთი ადგილებისთვის „შეუფერებელი“ პატარა ციხე-სიმაგრეები, რომელთაც მონინალმდეგის შემოსევის შემთხვევაში ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. ციხე-სიმაგრეთა განლაგების ასეთი სურათია მთელს ფეოდალურ სამყაროში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც ქვეყნის მასშტაბით ციხე-სიმაგრეთა აგება ხდებოდა არა სტრატეგიული მოსაზრებებით ნაკარნახევი რაიმე ერთიანი სქემის, არამედ ცალკეული ტერიტორიული ერთეულების განლაგებისა და მათი მფლობელების ეკონომიური შესაძლებლობების მიხედვით. თუმცა ციხე-სიმაგრის აგებისას, მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მნიშვნელობასთან ერთად, ყველა შემთხვევაში სტრატეგიული ღირებულების ფაქტორსაც ითვალისწინებდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ხდებოდა ლოკალურ, და არა საერთო-სტრატეგიულ დონეზე, ქვეყნის მასშტაბით ერთიანი საფორტიფიკაციო სისტემა (რის დანახვასაც ხშირად ცდილობენ რიგი მეცნიერები)⁸⁵ არსად არ იქმნებოდა. შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები, სასაზღვრო სიმაგრეთა გამოკლებით, შენდებოდა იქ, სადაც ამას საჭიროდ კონკრეტული მინისტრული მიიჩნევა და შენდებოდა იმ მასშტაბებში, რისი საშუალებაც მას გააჩნდა. ამ ნიშნის მიხედვით ციხე-სიმაგრეები ასახავენ არა გარეშე მტრების შემოსევათა ინტენსივობას, არამედ კონკრეტული ქვეყნის სოციალურ სტრუქტურას და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაწილების სქემას.

სიმაგრე-გამოქვაბულები

შუასაუკუნეებში თავდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სემანტს სიმაგრე-გამოქვაბულები წარმოადგენდა, რომლებიც ჩნდებოდა იქ, სადაც მათი აგების ბუნებრივი შესაძლებლობა (მთაგორიანი რელიეფი) და სამხედრო აუცილებლობა არსებობდა. გამოქვაბულები ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებში (საქართველოში, სომხურ სამეფოებში, ანტიოქიის სამთავროში, იერუსალიმის სამეფოში, სირიის სელჯუკური სამეფოებსა და სხვა) იყო გავრცელებული,⁸⁶ რომელთაც მათ ასაგებად განსაკუთრებით ხელსაყრელი რელიეფი გააჩნდათ.

სიმაგრე-გამოქვაბული მხოლოდ სამხედრო დანიშნულების ნაგებობას წარმოადგენდა და თუ ჩვენ გვინდა, რომ თავდაცვითი ნაგებობების რაოდენობის მიხედვით შევაფასოთ ამა თუ იმ ქვეყნის წინაშე არსებული გარე საფრთხეების ინტენსივობის ხარისხი, ამის გაკეთება სწორედ ამ ტიპის თავდაცვითი ნაგებობების სიმრავლის მიხედვითაა მეტ-ნაკლებად შესაძლებელი და არა ციხე-სიმაგრეთა რაოდენობის მიხედვით. სიმაგრე-გამოქვაბულთა ძირითადი დანიშნულება შემოსეული მტრის მუხრებისგან ადამიანების გაადარჩენა იყო და ისინი სწორედ იქ იგებოდა დიდი რაოდენობით, სადაც ასეთი შემოსევები ხშირად ხდებოდა. სიმაგრე-გამოქვაბულების მშენებლობა ტექნოლოგიურად ძნელ და ფინანსურად ძვირადღირებულ პროცესს წარმოადგენდა. მაგალითად, საქართველოში თრეხვის გამოქვაბულთა ამჟ-

ნებელი, რუისის ეპისკოპოსი ლეონტი, თრეზვის წარწერაში ემოციურად აღწერს იმ სიძნელეს, რაც ამ გამოქვაბულების გამოკვეთასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ რადგან ამ სამუშაოების მიზანი ძალიან მნიშვნელოვანი იყო (მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენა ალფ-არსლანის არმიისგან), ის მაინც შესრულდა.⁸⁷ სიმაგრე-გამოქვაბულები შენდებოდა ძნელად მისადგომ კლდეებში, მინის ზედაპირიდან სულ ცოტა რამდენიმე (ხშირად ათეულობით) მეტრის სიმაღლეზე. მათში მოხვედრა თოკის კიბეებით ან ოწინარის ტიპის ასანევი მექანიზმებით შეიძლებოდა და დასაპყრობად საკმაოდ რთულ ნაგებობებს წარმოადგენდა.⁸⁸ ვარძიის მონასტრის შესახებ (რომელიც როგორც ჩანს, თავდაცვით ფუნქციასაც ატარებდა) თამარ მეფის პირველი ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ იგი მტერთაგან შეუვალი და უბრძოლველი იყო.⁸⁹ კირაკოს განძელს აღწერილი აქვს შემთხვევა, მონღოლთა შემოსევის დროს როგორ შეაფარეს თავი ტავუშის ციხის ახლოს მდებარე გამოქვაბულს, რომელზედაც შეტევა მონღოლებს არც უფიქრიათ.⁹⁰ ჟამთააღმწერელის მიხედვით, დავით ულუსა და დავით ნარინის დროს სამეფო საგანძური ხვამლის გამოქვაბულში ინახებოდა,⁹¹ რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სიმაგრე-გამოქვაბულები ძალიან საიმედო თავდაცვით ნაგებობებად ითვლებოდა.

სიმაგრე-გამოქვაბულების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება იყო კვამლი. თუ მოწინააღმდეგე რაიმე საშუალებით მოახერხებდა გამოქვაბულთა შესასვლელების სიახლოვეს ცეცხლის კერის შექმნას, ან გამოქვაბულთა სიღრმეში ძნელად ჩასაქრობი მასალით დაფარული ცეცხლნაკიდებელი ისრების, ან სხვა სატყორცნი საშუალებების შეყრას, მაშინ უჭაერობის (ვენტილიაციის არ ქონის პირობებში) გამო გამოქვაბულებში კვამლი გროვდებოდა და შიგ გაჩერება შეუძლებელი ხდებოდა. სწორედ ასეთი მეთოდით აიღო ალექსოს ემირმა ბალაკმა ტელ-აბუდასა და ტადჯინის, ხოლო ედესის გრაფმა ყოსლინმა დაირხაფარის სიმაგრე-გამოქვაბულები.⁹² სიმაგრე-გამოქვაბულებში თავის შეფარება თავდაცვის უკიდურეს საშუალებას წარმოადგენდა და როგორც წესი, ხანმოკლე საფრთხის (მაგალითად, სათარეშო რეიდის) პერიოდში გამოიყენებოდა. გამოქვაბულების სპეციფიკა (გარე სამყაროსთან კომუნიკაციის სირთულე, სურსათის დიდი მარაგების შექმნის შეუძლებლობა, ბლოკადის დროს სწრაფად წარმოქმნილი ანტისანიტარია, კლაუსტროფობიის სინდრომი, რომელიც ყველაზე მეტად გამოქვაბულებში ჩნდებოდა⁹³ და ა.შ.) ხანგრძლივი პერიოდებით მათ გამოიყენებას შეუძლებელს ხდიდა, თუმცა ცნობილია შემთხვევები, როდესაც სიმაგრე-გამოქვაბულები სრულფასოვანი ციხე-სიმაგრეების ფუნქციას ასრულებდა, როგორც მაგალითად, დე-სუეცისა, ტირონისა და ელ-ჰაბის სიმაგრე-გამოქვაბულები იერუსალიმის სამეფოში, რომლებიც ჯვაროსნების საკმაოდ ძლიერ სასაზღვრო სიმაგრეებს წარმოადგენდა,⁹⁴ მაგრამ ასეთი სიმაგრეები გამონაკლისებად რჩებოდა და სიმაგრე-გამოქვაბულების ფუნქცია შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო სისტემებში, მხოლოდ ხანმოკლე თავშესაფრის უზრუნველყოფა იყო.

საგუშაგო-სათვალთვალ კოშკები

ცალკე მდგომი კოშკები გამაგრებული ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების დამხმარე სტრუქტურებს წარმოადგენდა, რომელთა ძირითადი დანიშნულებაც საგუშაგო-სათვალთვალ ფუნქციების განხორციელება იყო. კოშკები ძირითადად განლაგებული იყო შემადლებულ ადგილზე, ბორცვებზე, კლდეზე, მთის

წვერზე, ან დაბლობში გამავალი გზის ისეთ მონაკვეთზე, საიდანაც მისი თვალ-
თვალი დიდ დისტანციაზე შეიძლება დავალოდ. კომპები, ისევე როგორც ციხე-სიმაგრე-
ები, ტერიტორიული ერთეულების მიხედვით იგებოდა და როგორც ციხე-სიმა-
გრეები, საერთო სტრატეგიულ სქემას ნაკლებად ემორჩილებოდა. მათ აგებდნენ
იქ, სადაც ამას მისი ამგები მიწისმფლობელები საჭიროდ მიიჩნევდნენ. კომპის
აგების მოტივაცია რიგ შემთხვევებში შეიძლება ყოფილიყო სრულიად არა
თავდაცვითი (სამხედრო) დანიშნულების, მაგალითად, მისი ფუნქცია შეიძლება
ყოფილიყო იმ შემოვლითი გზების ჩაკეტვა და ბაჟის აკრეფა, რომლებიც ციხე-
სიმაგრის კონტროლის არეალიდან გარეთ რჩებოდნენ, ასეთ შემთხვევაში კომპი
ციხე-სიმაგრის დამატებითი სეგმენტი იყო, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი
მინც წმინდა სამხედრო ნაგებობები იყო და დამოუკიდებელი სადაზვერვო
ფუნქცია გააჩნდა, რა დროსაც მათი ძირითადი მოვალეობა ინფორმაციის სწრა-
ფად მოპოვებისა და გადაცემის უზრუნველყოფა იყო. მაგალითად, იერუსალიმის
სამეფოში, სადაც ტერიტორიების მუდმივი თვალთვალი აქტუალურ ამოცანას
წარმოადგენდა, ამ ფუნქციების მატარებელი 75 კომპია დღეისთვის შემორჩე-
ნილი,⁵⁵ ბუნებრივია, მათი რაოდენობა შუასაუკუნეებში მეტი იქნებოდა, რაც ამ
ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობების აქტიურ გამოყენებაზე უთითებს. მაგალი-
თად, უსამა იბნ-მუნკიზს აღწერილი აქვს თუ როგორ ეყენათ მოთვალთვალეები
შეიზარის საემიროდან აპამეისკენ (ანტიოქიის სამთავროს ტერიტორია) მიმავალი
გზის სიახლოვეს მდებარე ხურეიბას კომპზე ჯვაროსნებს, რათა შეიზარის მხრი-
დან მოსალოდნელი სათარემო რეიდები დროულად დაეფიქსირებინათ.⁵⁶ საქარ-
თველოში ამ ტიპის ნაგებობებს შეიძლება მივაკუთვნოთ ჯავახეთში, სოფ. ნიჯგო-
რის სიახლოვეს მდებარე XII საუკუნის კომპი, რომელიც გზასაყარზეა აგებული,⁵⁷
ლიახვის ხეობაში, ბეხუშის ციხის სიახლოვეს მდებარე კომპები,⁵⁸ სიათას კომპი
იმავე ლიახვის ხეობიდან⁵⁹ და ა.შ.

საგარნიზონო სამსახური — საფორტიფიკაციო სისტემის თანმხლები ელემენტი

საფორტიფიკაციო სისტემების არსებობა თავისთავად განაპირობებდა გარ-
ნიზონების ფორმირების აუცილებლობასაც. თითოეული გამაგრებული ქალაქი
თუ ციხე-სიმაგრე, გარკვეული სიდიდის გარნიზონის დგომას საჭიროებდა, რისი
უზრუნველყოფაც სამხედრო საქმის ფეოდალური ორგანიზაციის არსებობის
პირობებში, როგორც სამეფო ხელისუფლების, ასევე ცალკეული მიწისმფლო-
ბელებისთვისაც, საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ფეოდალიზმისთ-
ვის დამახასიათებელ ამ ვითარებას, მაგალითად, მიუთითებდა დავით აღმაშენ-
ებლის მემამათიანე: „არა იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა, რათამაც ქალაქთა
და ციხეთა შინად მდგომად და დამჭირვებლადაც.“⁶⁰ მუდმივი გარნიზონების
ფორმირება ნებისმიერი ფეოდალური ქვეყნისთვის პრობლემატური ამოცანა
იყო. სირთულე პირველ რიგში მდგომარეობდა არა ადამიანური რესურსების
ნაკლებობაში, არამედ სამხედრო საქმის ორგანიზაციის ფეოდალურ სისტემაში,
რომელსაც მუდმივი არმიის ფუნქციებთან მიახლოებული სტაბილური სახის
საგარნიზონო სამსახურის ორგანიზება ისევე არ შეეძლო, როგორც მუდმივი
არმიის ფორმირება. ეს ვითარება კარგად ჩანს, თუნდაც, უკვე აღნიშნული კრაკ
დე-შევალიესა და საფედის ციხე-სიმაგრეების მაგალითებზე, რომლებიც 2000

და 1700 კაციან გარნიზონებზე იყო გათვლილი, მაგრამ რეალობაში ბევრად ნაკლები მეომარი იცავდა, მაგალითად, 1255 წელს კრაკ დე-შევალიეში იდგა 60 რაინდი, ხოლო საფედში 80-ი.² ციხე-სიმაგრეთა გარნიზონებით უზრუნველყოფა დიდი ოდენობის სამხედრო რესურსს მოითხოვდა, რომლის მასშტაბიც ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავებისა და ციხე-სიმაგრეთა რაოდენობის მატების პარალელურად, მკვეთრად იზრდებოდა. ამასთან, გარნიზონების სიდიდე, ბუნებრივია, დასაცავი ობიექტების მასშტაბებით და დანიშნულებით ისაზღვრებოდა. ციხეებს, რომლებიც ქვეყნის შიგნით მდებარეობდა, როგორც წესი, მცირე გარნიზონები სჭირდებოდათ,³ სასაზღვრო სიმაგრეებს კი, მტრულ არმიებთან საბრძოლველად ბევრად დიდი. კრაკ დე-შევალიე და საფედი, ორივე სასაზღვრო ციხე-სიმაგრეები იყო, ისევე როგორც, მაგალითად, უჯარმა X საუკუნის კახეთისთვის, რომლის გარნიზონიც აბულ-კასიმის წინააღმდეგ 300 მეომარს,⁴ ან კიდევ ანისი (სასაზღვრო ქალაქი) XII საუკუნეში, რომლის ქართული გარნიზონიც გიორგი III-ს დროს (სმბატ სპარაპეტის მიხედვით) 2000 მეომარს შეადგენდა.⁵

გამაგრებულ ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში გარნიზონების დგომის აუცილებლობა აიძულებდათ შუა საუკუნეების მინისმფლობელებს, პირველ რიგში კი, ქვეყნის ხელისუფლებას, მოეძებნათ საგარნიზონო სამსახურის მუდმივი ფორმა, რისთვისაც სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა გადაწყვეტას პოულობდნენ. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენდა მოქირავნეთა გამოყენება, მაგრამ რადგანაც იგი დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ფართო გავრცელებას დიდხანს ვერ პოულობდა. შუა საუკუნეების ეპოქისთვის საგარნიზონო სამსახურის შედარებით ეფექტური გადაწყვეტა შეძლო იერუსალიმის სამეფომ, რომლის მაგალითსაც სხვა ჯვაროსნულმა და ზოგმა ევროპულმა სახელმწიფომაც (ესპანურმა სამეფოებმა და პორტუგალიამ) მიბაძა.⁶ იერუსალიმის სამეფოში (ისევე როგორც ესპანეთსა და პორტუგალიაში) სასაზღვრო ციხე-სიმაგრეთა დიდი ნაწილი რაინდულ ორდენებს გადასცეს, რომელთაც როგორც უკვე იყო აღნიშნული, სამხედრო ორგანიზაციის მუდმივ მომქმედი სისტემა გააჩნდათ, რაც მათთვის საგარნიზონო სამსახურის შესრულებას აიოლებდა.⁷ იერუსალიმის სამეფო არსებობის საწყის ეტაპზე დასავლეთ-ევროპული ტიპის ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა მისთვის დამახასიათებელი სენიორალურ-ვასალური ურთიერთობების სისტემით, მაგრამ არსებობის სპეციფიკამ და სამხედრო ძალაზე მალაღმა მოთხოვნილებამ იერუსალიმის (და სხვა ჯვაროსნული სახელმწიფოების) „ფეოდალიზმში“, განსხვავებით დასავლეთ ევროპულისგან, ბევრი სიახლე შეიტანა. მაგალითად ის, რომ ადგილობრივი მინისმფლობელები ერთგულების ფიცს არა მარტო თავის უშუალო სენიორს აძლევდნენ, არამედ მონარქსაც, რომელსაც ამის საფუძველზე, სამეფოს მსხვილი მინისმფლობელების გვერდის ავლით, მათი ვასალებისგან არმიის მობილიზება შეეძლო.⁸ რაინდული ორდენებისთვის ციხე-სიმაგრეების გადაცემაც ასეთივე სახის სიახლეს წარმოადგენდა და სამეფოს ბრძოლიუნარიანობას მკვეთრად ამაღლებდა.

ფორმირების ადრეულ ეტაპზე, იერუსალიმის სამეფოში მინის ფონდები და შესაბამისად, მათზე არსებული (თუ შემდეგ აშენებული) ციხე-სიმაგრეები, სამეფო ხელისუფლებისა და მსხვილი მაგნატების (სამეფოში ასეთი სულ ოთხი ფეოდალური სახლი იყო) ხელში აღმოჩნდა, მაგრამ ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ სამხედრო საქმის ორგანიზების ჩვეულებრივ ფეოდალურ სისტემას თავდა-

ცვის ეფექტური უზრუნველყოფა და იმ სტრატეგიული პუნქტების შენარჩუნება, რომელთა დაცვაც სამეფოს არსებობისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა, არ შეეძლო, რის შემდეგაც დაიწყეს მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეების გადაცემა რაინდული ორდენებისთვის. პირველი ასეთი ციხე-სიმაგრე, რომელიც 1136 წელს მიიღო პოსპიტალიერების ორდენმა, იყო ფატიმიდური ეგვიპტის საზღვართან მდებარე სიმაგრე ბეით-ჯიბრინი,⁹ რომლის, და შემდგომში ორდენებისთვის გადაცემული სხვა ციხეების მაგალითმაც, აჩვენა ამ მეთოდის ეფექტურობა, რის შემდეგაც სამეფოს ძირითადი სასაზღვრო ციხე-სიმაგრეები თითქმის მთლიანად ტამპლიერების, პოსპიტალიერების და (მოგვიანებით) ტევტონების რაინდული ორდენების ხელში აღმოჩნდა.¹⁰ მკვლევართა ერთსულოვანი შეფასებით, ეს ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რისი მეშვეობითაც ჯვაროსნულმა სახელმწიფოებმა ორი საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთის მტრულ გარემოცვაში არსებობა მოახერხეს.¹¹

რაინდულ ორდენებზე ციხე-სიმაგრეთა გადაცემით სტაბილური საგარნიზონო სამსახურის პრობლემა გადაიჭრა, მაგრამ სირთულედ რჩებოდა ორდენების განკარგულებაში მყოფი პირადი შემადგენლობის მცირერიცხოვნობა, რის გამოც მათ ყველა ციხე-სიმაგრისთვის შესაბამისი რაოდენობის საგარნიზონო კონტიგენტების გამოყოფა არ ძალუძდათ. მაგალითად, ტრიპოლის საგრაფოში მდებარე გიგანტ ციხე-სიმაგრე მარგატში, რომლის ფართობიც 4 ჰა-ს შეადგენდა, მშვიდობიანობის დროს საგარნიზონო სამსახურს პოსპიტალიერების ორდენის 4 რაინდი და 28 სერჟანტი ეწეოდა, რაც ამ სიდიდის სიმაგრისთვის ძალიან მცირე რიცხვი იყო.¹² გარნიზონების მცირერიცხოვნობა საბოლოოდ ერთ-ერთი მიზეზი გახდა ჯვაროსნული სახელმწიფოების განადგურებისა, მაგრამ მიუხედავად ამისა (როგორც აღვნიშნეთ), მათი ორსაუკუნოვანი არსებობა მუსლიმურ გარემოში მნიშვნელოვნად იმ ფაქტორის დამსახურება იყო, რომ მათ მოახერხეს სტაბილური საგარნიზონო სამსახურის ფორმირება, რაც სხვა ფეოდალური სახელმწიფოებისთვის მიუღწეველი რჩებოდა.

შუა საუკუნეების სამყაროში ჯვაროსნული სახელმწიფოები გამონაკლისი იყვნენ, რადგან ციხე-სიმაგრეების სტაბილური საგარნიზონო სამსახურით უზრუნველყოფა სამხედრო საქმის ორგანიზაციის ფეოდალურ სისტემას, მუდმივი არმიების გამოჩენამდე არ შეეძლო, ამიტომ ფეოდალურ სახელმწიფოებში ამ სფეროს დარეგულირება ისევე არსებული სამხედრო ორგანიზაციის სისტემის შესაძლებლობების ფარგლებში ხდებოდა. იმ ციხე-სიმაგრეების გარნიზონებით დაკომპლექტება, რომლებიც მინისმფლობელთა ძირითად საცხოვრებელს, მათ მთავარ რეზიდენციებს წარმოადგენდნენ, ნაკლებად პრობლემატური იყო, რადგან იქ მცხოვრები ფეოდალური სახლი თავად ასრულებდა გარნიზონის ფუნქციას, თუმცა რიგითი ციხე-სიმაგრეების გარნიზონების ფორმირება სერიოზულ პრობლემად რჩებოდა. ასეთ სიმაგრეებში საგარნიზონო სამსახურის უმთავრეს რეზერვს ფეოდალური სახლების სამხედრო რაზმები წარმოადგენდნენ, რომლებიც ამა თუ იმ ციხე-სიმაგრეში საგარნიზონო სამსახურს მონაცვლეობის პრინციპით ეწეოდნენ, როგორც ეს იყო, მაგალითად, 1025 წელს საფრანგეთში, ვანდომის ციხე-სიმაგრეში, რომლის გარნიზონის ფუნქციაც აპრილ-მაისში მისმა მფლობელმა გრაფმა „ახლო წრის მეომრებთან“ ერთად შეასრულა, შემდეგი ორი თვე კი, საგარნიზონო სამსახური იგივე „ახლო წრის“ სხვა მეომრებმა გააგრძელეს.¹³ ანალოგიურად ეწევიან საგარნიზონო სამსახურს X-XI საუკუნეების შირვანის

საემიროში,¹⁴ ლათინურ ბიზანტიაში,¹⁵ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში¹⁶ და ა.შ. ალბათ ნაკლებად უნდა არსებობდეს ეჭვი იმის შესახებ, რომ შუასაუკუნეებში ეს საგარნიზონო სამსახურის სტანდარტული ფორმა იყო. მსგავსი ვითარება უნდა ყოფილიყო საქართველოს ციხე-სიმაგრეებშიც, რომლებზედაც მონაცვლეობის პრინციპით ფეოდალური სახლების სამხედრო რაზმის მეომრები უნდა ყოფილიყვნენ მიმაგრებულნი. საგარნიზონო სამსახურის წარმოებას შედარებით აიოლებდა ის გარემოება, რომ მშვიდობიან პერიოდში ქვეყნის შიდა ტერიტორიებზე არსებულ სიმაგრეებში მსხვილი გარნიზონების დგომის აუცილებლობა არ არსებობდა და გარნიზონების გაძლიერება მხოლოდ საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, გარკვეული სიდიდის გარნიზონის დგომა სიმაგრეებში მშვიდობიანობის დროსაც აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან სხვა შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა სიმაგრეთა ადმინისტრაციულ-ეკონომიკური ფუნქციების განხორციელება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გარნიზონებით სასაზღვრო ციხე-სიმაგრეთა უზრუნველყოფა, რაც განვითარებული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების შემდეგ სასაზღვრო (სანაპირო) რეგიონების ფუნქციად ჩამოყალიბდა.

საგარნიზონო სამსახურზე არსებულმა მოთხოვნილებამ ფეოდალურ სახელმწიფოებში ციხისთავების ინსტიტუტის (ევროპული კასტელანის¹⁷) წარმოქმნა გამოიწვია. მინისმფლობელების მიერ ციხის მმართველებად ინიშნებოდნენ სპეციალური პირები, რომელთაც ციხე-სიმაგრის მოვლა-პატრონობა (მეურნეობის გაძლოლა) და დაცვა უნდა უზრუნველყოთ, რის გამოც ციხისთავის ფუნქცია მსოლოდ სამხედრო სამსახურით არ იფარგლებოდა, მათ მოვალეობაში სხვადასხვა ადმინისტრაციული თუ სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაც შედიოდა, რისი მიხედვითაც ციხისთავი არა პროფესიონალი სამხედრო პირი, არამედ კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის სამხედრო-სამოქალაქო მმართველი იყო.¹⁸ ისინი კრიბავდნენ „საციხო“ გადასახადებს, ბეგარას, რაც ციხე-სიმაგრეების შენახვისთვის იყო აუცილებელი,¹⁹ ხელმძღვანელობდნენ სამშენებლო სამუშაოებს, როგორც ამას აკეთებდა, მაგალითად, ატენის ციხისთავი ბაგრატ IV-ის დროს,²⁰ ევალეობდათ რიგი სხვა სამეურნეო ფუნქციების განხორციელება, როგორც მაგალითად, თამარის დროინდელ ზედაზნის ციხისთავს, რომელმაც (ისევე როგორც სხვა მოხელეებმა) მეფისგან ბრძანება მიიღო დახმარებოდა შიო-მღვიმის მონასტერს სარწყავი არხის მშენებლობაში.²¹ საეცებით ბუნებრივია, რომ ციხისთავის ფუნქციების შერეული, სამოქალაქო-სამხედრო ხასიათი გარნიზონის საბრძოლო ხარისხზე დადებით ზეგავლენას არ მოახდენდა და ისიც ისეთივე „სამოქალაქო-სამხედრო“ ხასიათის ქვედანაყოფი იქნებოდა, როგორც მათი მეთაური, რაც არ შეიძლებოდა არ ასახულიყო ციხე-სიმაგრეთა საერთო თავდაცვისუნარიანობაზე. როგორც ჩანს, ეს გარემოებაც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმ ვითარებისა, როდესაც ციხე-სიმაგრეები მთავარი ციხის დაცემის შემდეგ, ერთი მეორის მიყოლებით ნებდებოდნენ შემოსეულ მტერს.

საველე არმია — თავდაცვითი სტრატეგიის უმთავრესი ელემენტი

უკვე იყო აღნიშნული, რომ ცალკეული გამონაკლისების გარდა, ციხე-სიმაგრეთა გარნიზონები საკმაოდ მცირერიცხოვანნი იყვნენ იმისთვის, რომ მათ ტერიტორიებზე შემოსული დიდი არმიის წინსვლა შეეჩერებინათ. სამხედრო ისტორიის

ცნობილი მკვლევარის, იოჰანეს ზეონის მიხედვით, შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობის გარნიზონები რამდენიმე ათეული მეომრისგან შედგებოდნენ, რაც მათი მხრიდან ხანგრძლივი ალყის გაძლებასა და მით უმეტეს სავლელ ბრძოლის წარმოების შესაძლებლობას გამორიცხავდა, აღნიშნული მოსაზრებას საქართველოს ციხე-სიმაგრეთა მაგალითიც უნდა ადასტურებდეს.¹ საქართველოში არსებულ ციხე-სიმაგრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ მცირე ზომისაა, დაახლოებით 250-800 კვ.მ. ფართობის ფარგლებში. ასეთია მაგალითად, სვერის ციხე (ფართობი 750 კვ.მ),² დეკ-ციხე (ფართობი 500 კვ.მ),³ კეხვის ციხე (ფართობი 400 კვ.მ),⁴ ცხნარის ციხე (ფართობი 250 კვ.მ),⁵ კობტას ციხე (ფართობი 240 კვ.მ)⁶ და ა.შ. რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი დიდი გარნიზონებისთვის გათვალისწინებულნი არ ყოფილა, ეს კი თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ ყრუ თავდაცვის გარდა, მასშტაბური საბრძოლო მოქმედებების წარმოება მტრის მსხვილი ძალების წინააღმდეგ, მათ არ შეეძლოთ. ამ ტიპის ციხე-სიმაგრეთა გარნიზონების ფიქსირებული სიდიდე, ბუნებრივია, არ არსებობდა, მაგრამ ცხადია, რომ ციხე-სიმაგრეში, რომლის შიდა ფართობიც სულ რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი იყო, დიდი გარნიზონი ვერ განთავსდებოდა. ციხე-სიმაგრე, გარდა საფორტიფიკაციო დანიშნულებისა, ჩვეულებრივ საცხოვრებელსაც წარმოადგენდა და მასში მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა უნდა გამართულიყო (საცხოვრებელი, ეკლესია, სამეურნეო ნაგებობები და ა.შ.),⁷ რაც დიდი გარნიზონისთვის საკმარის სივრცეს როგორც საცხოვრებლად, ასევე საბრძოლველად, ბუნებრივია, არ დატოვებდა, რისი მიხედვითაც შეიძლება იმის ვარაუდი, რომ აქ მდგომ მეომართა რიცხვი მხოლოდ რამდენიმე ათეული შეიძლებოდა ყოფილიყო, რაც შარდენის მოგვიანო ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, სადაც იგი გორისა და სურამის ციხეებში მხოლოდ 100 კაციან გარნიზონებს აფიქსირებს,⁸ სავსებით სწორი უნდა იყოს. სრულიად ლოგიკური იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ასეთი მცირერიცხოვანი ძალებით მტრის სერიოზულ არმიასთან შებრძოლებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა და ერთადერთი რაც ასეთი ციხეების გარნიზონს შეეძლებოდა, იქნებოდა ციხეში ჩაკეცვა.

ამ ტიპის ციხეთა უდავო ღირსება მათი მიუვალ ადგილმდებარეობა იყო, რის გამოც მონინააღმდეგისთვის რთული იყო წესიერი ალყის წარმოება, რაც ციხე-სიმაგრეს, გარნიზონის მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ალყის გარკვეული ხანი გაძლების შესაძლებლობას აძლევდა. მაგალითად, ზუსტად ასეთ ვითარებას აფიქსირებს X საუკუნის ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატი **DE VELITATIONE BELLICA**, რომლის მიხედვითაც, ბიზანტიური ციხე-სიმაგრეების უმრავლესობა სწორედ ამ ფაქტორის მეშვეობით უძლებდა ალყას გარკვეული ხანი.⁹ სრულიად ბუნებრივია, რომ ციხე-სიმაგრე, რომელსაც მცირერიცხოვანი გარნიზონით მხოლოდ თავდაცვა შეეძლო, მტრის გადაადგილებას ქვეყნის სიღრმეში ხელს ვერ შეუშლიდა, რისი შესაძლებლობაც მას (გარდა გარნიზონის სიმცირისა) თავისი მიუვალ ადგილმდებარეობის გამოც არ შეეძლო. ძნელად მისადგომ, მაღალ ადგილებზე (ბორცვებზე, მთის წვერზე, კლდოვან კონცხზე და ა.შ.) აგებული ციხე-სიმაგრეები, ე.წ. „არნივის ბუდეები,“ როგორც წესი, გზებს დიდი თუ მცირე დისტანციებითა და სიმაღლით იყო დაცელებული, რაც მათ გარნიზონებს, სიმაგრის სიახლოვეს მტრული არმიის გავლის დროს, ღია სივრცეში მოქმედების თავისუფლებას უსპობდა. იმისთვის, რომ მთის (კლდის, მაღალი ბორცვის და ა.შ.) წვერზე მდებარე ციხე-სიმაგრის გარნიზონს დაებრკოლებინა მტრის წინსვლა, მას ან ციხიდან უნდა

მიეყენებინა მტრისთვის ზიანი დისტანციური იარაღის მეშვეობით, რაც მცირერიცხოვანი გარნიზონის შემთხვევაში (საბრძოლო პოტენციალის სიმცირისა და გზიდან სიშორის გამო) სრულიად არაეფექტური იქნებოდა, ან უნდა თავშესაფარი დაეტოვებინა, დაშვებულიყო სიმაღლიდან (სადაც ციხე მდებარეობდა), გამოსულიყო სიმაღლის ძირში გამავალ გზაზე და ჩაბმულიყო ღია ბრძოლაში, რაც მათთვის თითქმის ყველა შემთხვევაში დამლუპველი იქნებოდა, რადგან რამდენიმე ათეულ მეომარს მონინალმდევის ჭარბ ძალებთან წარმატების არავითარი შანსი არ ექნებოდა. გარდა ამისა, ისინი ციხის გარეთ ბრძოლების გამართვას იმის გამოც ვერ შესძლებდნენ, რომ ბრძოლის შემდეგ (თუ ისინი გადარჩებოდნენ) სიმაღლეზე მდებარე ციხეში დაბრუნება ძალიან გაუჭირდებოდათ.

წარმოდგენილი ვითარება, როგორც საქართველოში, ასევე სხვაგან, უამრავი ციხე-სიმაგრის მაგალითზე შეიძლება წარმოვიდგინოთ, ავილოთ თუნდაც ძამის (მოგვიანო მძოვრეთის, იგივე ორთუბნის) ციხე, რომელიც შუა საუკუნეების ერთ-ერთი ტიპიური, და ამასთან საკმაოდ მოზრდილი ციხე-სიმაგრე, ფეოდალის რეზიდენციაა. ეს სიმაგრე ძამის ხეობაზე გამავალ გზის ზემოთ, დაახლოებით, 200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და როგორც მსხვილი ტერიტორიული ერთეულის ცენტრი, საკმაოდ დიდი ზომებითაც (ე.ი. გარნიზონის სიდიდითაც) გამოირჩეოდა სტანდარტულად მცირე ციხეებისგან.¹⁰ იმისთვის, რომ ძამის ციხის გარნიზონს ხეობის გზაზე მიმავალი მტრული არმიის მოძრაობა დაეპროვოლებინა, ის მასთან საბრძოლო კონტაქტში უნდა შესულიყო, და რამდენადაც ამას ციხიდან ვერ გააკეთებდა (გზას ციხის მხოლოდ ერთი კოშკი გადმოჰყურებს), ამიტომ მას სიმაგრე უნდა დაეტოვებინა, ჩამოველო 200 მეტრის მკვეთრად დაქანებული ფერდობი, გამოსულიყო ხეობის ძირზე (სადაც გზა გადიოდა) და იქ შებრძოლებოდა მონინალმდევს, რაც ცალსახა შედეგით, გარნიზონის განადგურებით დამთავრდებოდა. იმ ვითარებაშიც კი, გარნიზონს რაიმე წარმატებისთვის რომ მიეღწია, ბუნებრივია, იგი მტრის მთელ საველე არმიას ვერ გაანადგურებდა, ამიტომ ყველა შემთხვევაში ციხეში უნდა დაბრუნებულიყო, რაც მისთვის უკვე შეუძლებელი იქნებოდა, ფერდობის უკან ავლას მეომრები სწრაფად ველარ მოახერხებდნენ და მტრის სამარშო კოლონის უკანა ნაწილები მათ გარემოცვას ადვილად შეძლებდნენ. რასაკვირველია, ყოველივე ამის შედეგად ციხეც და მასში შეფარებული მოსახლეობაც სრულიად დაუცველი დარჩებოდა და დაილუპებოდა, ასეთი რეალური პერსპექტივის გამო კი, ციხეთა უმრავლესობა ამ ტიპის ბრძოლებს არ აწარმოებდა, ეს მათი ფუნქცია არ იყო. ძამის ციხისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სიმაგრისთვის, მიუხედავად იმისა, გზასთან მდებარეობდა ის, თუ მისგან მოშორებით, მის სიახლოვეს გამავალი გზის კონტროლი მშვიდობიან პერიოდში ძალიან ადვილი იყო. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ციხის გარნიზონს ყოველთვის შეეძლო პოლიციური ფუნქციების განხორციელება და მცირერიცხოვან შეიარაღებულ რაზმებთან დაპირისპირება, მაგრამ იგივეს გაკეთება მტრული არმიის წინააღმდეგ მათთვის შეუძლებელი იყო, ასეთ შემთხვევებში ციხიდან მათი მარშირებისთვის მხოლოდ თვალყურის დევნება (და შესაძლოა სხვა პუნქტებისთვის ინფორმაციის გადაცემა) შეეძლოთ. მსგავსი ვითარება შეიძლება გავრცელდეს ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობაზე, რისი მიხედვითაც უნდა დავასკვნათ, რომ რაც უფრო მიუვალი იყო სიმაგრე და რაც უფრო ძნელად მისასვლელ სიმაღლეზე (ე.ი. გზიდან უფრო შორს) მდებარეობდა იგი, მით უფრო ნაკლებად შეეძლო მტრის არმიისგან ტერიტორიის დაცვა, ან მისთვის გზის ჩაკეტვა.¹¹ შეიძლება დარწმუნე-

ბით ითქვას, რომ ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობას მონინალმდევე არმიისთვის გზის გადაღობვის ფუნქცია არც გააჩნდა, რაც (გარდა ამ ციხეთა ადგილმდებარეობისა) კარგად უნდა ჩანდეს იმ გარემოებიდანაც, რომ წერილობით წყაროების ცნობებით, ციხე-სიმაგრეთა გარნიზონები (ჩვენთვის ცნობილ) არც ერთ შემთხვევაში არ გამოდიან გარეთ და არ უმართავენ საველე ბრძოლას სამარშო კოლონიით მიმავალ მტერს (აქ არ იგულისხმება ციხის ალყის დროს განხორციელებული კონტრშეტევები, მათ შესახებ იხ. ქვეთავი: „ალყა და ციხეთა დაცვა“). ციხე და მისი გარნიზონი ბრძოლაში მხოლოდ მაშინ ებმებოდა, როდესაც მტერი უშუალოდ ადგებოდა მას და დაპყრობას ცდილობდა, როგორც ეს იყო თუნდაც იმავე ძამის ციხის შემთხვევაში, რომელიც X საუკუნის 70-იან წლებში აფხაზთა მეფე დემეტრეს,¹² ხოლო XV საუკუნის დასაწყისში, თემურ-ლენგის შეტევების ობიექტი გახდა,¹³ საიდანაც კარგად ჩანს, რომ ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობის სამხედრო ფუნქცია საბრძოლო მოქმედებების დროს იყო არა გზის გადაღობვა და მტრის შემტევი არმიის შეჩერება (რაც მათ არ შეეძლოთ), არამედ ციხე-სიმაგრის მფლობელებისა და ამ ციხეზე მიბმული ტერიტორიების მოსახლეობის შეფარება იმ მომენტში, როდესაც ციხის არეალში მტრული არმია მოქმედებდა.

თავდაცვითი ომების წარმოების დროს თავშესაფრის ფუნქციის შესრულება, ციხე-სიმაგრეთა უმთავრესი ამოცანა იყო, რადგან შემოსეული მტრის მიზანს ძალიან ხშირად არა რომელიმე კონკრეტული ციხის დაპყრობა, არამედ ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებამდე მიღწევა და ამის პარალელურად ტერიტორიების აოხრება და ნადავლის მოპოვება წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში მტერი მიუვალ სიმაგრეს უბრალოდ გვერდს უვლიდა და გზას სხვა ობიექტისკენ აგრძელებდა, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 914 წელს, საქართველოში აბულ-კასიმის შემოსევის დროს, როდესაც არაბთა არმიამ თმოგვის ციხის სიძლიერის გამო არ დაკარგა დრო მისი ალყისთვის და გვერდი აუარა მას.¹⁴ თმოგვის ციხე საკმაოდ მიუვალი, ძლიერი და გზასთან ახლოს მდებარე სიმაგრე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას გზის გადაღობვა მტრული არმიისთვის თავისი ადგილმდებარეობის (მიუვალობის) მეშვეობით ისევე არ შეეძლო, როგორც საქართველოში მდებარე იმ ასეულობით ციხე-სიმაგრეს, რომლებიც (მაგალითად, იგივე სვერისა და დეკ-ციხის მსგავსად) ძნელად მისასვლელ სიმაღლეებზე მდებარეობდა და თმოგვის ციხეს როგორც მასშტაბებით, ასევე გარნიზონების სიდიდაც ჩამორჩებოდა. წარმოდგენილი ვითარება გარკვევით უნდა აჩვენებდეს, რომ ქვეყნის შიდა ტერიტორიებზე მდებარე ციხე-სიმაგრეების მთავარი დანიშნულება არა მტრისთვის გზის გადაღობვა, არამედ ადამიანებისა და ქონების გადარჩენა იყო, რაც, მაგალითად, შესანიშნავად ჩანს, ფავნელთა საბუთზე, მიქაელ მემღვიმის მინაწერიდანაც (IX ს. ბოლო), რომლის მიხედვითაც მიქაელმა თავის სამფლობელოში ციხე ააგო სოფელ ცხევერის მოსახლეობის თავშესაფარად: „დაუნყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გებად, დაედგი ხევისა კერძოდ უკეთესი კოშკი შიგნით და გარეთ უკეთესი სახიზნო ცხევერელთა ჰქონდეს.“¹⁵ ამასთან, როდესაც მტერი ქვეყნის შიდა ტერიტორიებს აღწევდა, თავდაცვითი ომის მთავარი სტრატეგიული ამოცანა არა მისთვის გზის გადაღობვა, არამედ შემოსული არმიის განადგურება ხდებოდა, რაც ბუნებრივია, არა ძლიერი ციხე-სიმაგრის, არამედ ძლიერი საველე არმიის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო.

მტრისთვის გზის გადაღობვისა და მისი გადაადგილების დაბრკოლების ამოცანა, როგორც წესი, თავდაცვითი ომის საწყის ეტაპზე, სასაზღვრო რეგიონებში

დგებოდა, რასაც რამდენიმე მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა. თუ მტრის არმია არ იყო ძალიან ძლიერი, ასეთ შემთხვევებში, მისი განადგურების (ან მოგერიების) ამოცანა სასაზღვრო რეგიონშივე შეიძლებოდა შესრულებულიყო. როდესაც ეს არ ხერხდებოდა, მაშინ მისთვის გზის გადაღობვით მისაღწევ მიზანს მისი დაუსტება და მობილიზაციის ჩატარებისთვის აუცილებელი დროის მოგება წარმოადგენდა, რისი შესრულებაც სასაზღვრო ციხე-სიმაგრეებს ევალებოდათ. უკვე იყო აღნიშნული, რომ სასაზღვრო რეგიონში არსებულ ციხე-სიმაგრეს ამ ამოცანების შესრულებისთვის რამდენიმე მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა. იგი უნდა აგებულიყო ქვეყნის სიღრმეში მიმავალი გზის ისეთ ადგილზე, სადაც მტერი მას გვერდს ვერ აუქცევდა, მის გარნიზონს ციხიდან გამოუსვლელად უნდა შესძლებოდა მტრისთვის ზიანის მიყენება, ე.ი. უნდა ყოფილიყო გზის უშუალო სიახლოვეს (დაახ. 100-300 მ. რადიუსში) და ჰქონოდა შესაბამისი საბრძოლო საშუალებები, უნდა გაეძლო ხანგრძლივი ალყისთვის, რაც ძლიერი ფორტიფიკაციისა (შეძლებისდაგვარად მიუვალობა, სქელი და მაღალი კედლები და ა.შ.) და დიდი გარნიზონის (შესაბამისად დიდი ზომების მქონე ციხის) არსებობას გულისხმობდა. წარმოდგენილი პარამეტრები დიდი (გიგანტი) ციხე-სიმაგრეების დამახასიათებელი ნიშნებია და მთელი დარწმუნებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ უმრავლეს შემთხვევებში სასაზღვრო ციხე-სიმაგრეები სწორედ ამ ტიპის სიმაგრეებს წარმოადგენდნენ. როდესაც მტერი ასეთ ციხე-სიმაგრეს მიადგებოდა, მას სამიდან ერთი არჩევანი უნდა გაეკეთებინა: დაენყო სიმაგრის ალყა, რაც გაუთვალისწინებელი დროით შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, გაეწლო ციხის გვერდით და ყურადღება არ მიექცია იმ დანაკარგებისთვის, რასაც მას ციხის გარნიზონი დისტანციური საბრძოლო იარაღით (მშვილდ-ისრებით, ქვის სატყორცნი მანქანებითა და ა.შ.), ან უარი ეთქვა ამ მარშრუტზე და ქვეყნის სიღრმეში შესაღწევად სხვა გზა ეძებნა. ასეთი ფუნქციები სასაზღვრო ციხე-სიმაგრეებს თავდაცვითი ომების სტრატეგიაში უზარმაზარ მნიშვნელოვას ანიჭებდა, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ჯვაროსნული სახელმწიფოების, პირველ რიგში კი, იერუსალიმის სამეფოს შემთხვევაში, სადაც სამეფოს ტერიტორიებზე შემავალი გზების უსაფრთხოება გიგანტი ციხე-სიმაგრეებით იყო დაცული. იერუსალიმის სამეფოს შემთხვევაში სასაზღვრო ციხეების მნიშვნელობა კარგად ჩანს იმის გამო, რომ ეს სახელმწიფო ორი საუკუნის მანძილზე არსებობდა, რა პერიოდშიც საკმაოდ ზუსტად ხერხდება მისი საზღვრების ფიქსირება და სასაზღვრო ციხეების ზუსტი იდენტიფიცირება, რაც ამ ტიპის სიმაგრეთა დამახასიათებელი განსხვავების დანახვის შესაძლებლობას იძლევა სხვა სიმაგრეებისგან.

1099 წელს დაარსებულმა იერუსალიმის სამეფომ ტერიტორიული ზრდის მაქსიმუმს XII საუკუნის 60-იანი წლებისთვის მიაღწია, როდესაც მისი აღმოსავლეთი სახმელეთო საზღვარი წითელი ზღვის ჩრდილო სანაპიროდან (აქაბადან) დამასკოს მიდამოებამდე, ციხე-ქალაქ ბანიასამდე, ხოლო დასავლეთის საზღვარი კი, ხმელთაშუაზღვის სანაპიროს გასწვრივ, ციხე-ქალაქ გაზამდე და მის მიმდებარე რეგიონებამდე ვრცელდებოდა.¹⁶ იერუსალიმის სამეფოს თავდასხმების საფრთხე დამასკოს საემიროსა და ეგვიპტის მხრიდან, ძირითადათ სამი მიმართულებით, სამხრეთ-დასავლეთიდან (გაზას მონაკვეთიდან), სამხრეთიდან (წითელი და მკვდარი ზღვების შორისი მონაკვეთიდან, სადაც გადიოდა დამასკო-კაიროს შემაერთებული ძირითადი საქარავნო მაგისტრალი) და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან (დამასკოს მხრიდან) ემუქრებოდა. გაზას მიმართულებაზე გიგანტი ციხე-

სიმაგრეები არ არსებობდა, რადგან მათ ფუნქციებს აქ მდებარე გამაგრებული სასაზღვრო ქალაქები (გაზა და ასკალონი) ასრულებდა. სამხრეთ მიმართულ-ბაზე ფუნქციონირებდა ორი გიგანტი სიმაგრე, შაუბეკი და კერაკი, ხოლო დამასკოს მიმართულებაზე, სადაც საზღვარი ძირითადად მდინარე იორდანს მისდევდა, მდებარეობდა როგორც გამაგრებული ქალაქები (ბეისანი, ბანიასი), ასევე გიგანტი ციხე-სიმაგრეები (ტივერიადა, ბელვიორი). რაც შეეხება სამეფოს შიდა ტერიტორიას, აქ გამაგრებული ქალაქების გარდა, ძირითადად მცირე ციხე-სიმაგრეები იყო განფენილი.¹⁷

სამეფოს უსაფრთხოებისთვის ყველაზე დიდი საშიშროების შემცველი იყო დამასკოს მიმართულება, სადაც თავდაცვის საკვანძო სიმაგრეს ბანიასი წარმოადგენდა, რომელიც ერთდროულად იერუსალიმის სამეფოს სიღრმეში მიმავალ სამ ძირითად მაგისტრალს (ქალაქების სიღონის, ტირისა და მდ. იორდანის მიმართულებებზე) კეტავდა. დამასკოს მხრიდან იერუსალიმისკენ წამოსული მტერი აუცილებლად ამ ქალაქს უნდა მიდგომოდა და მისი ალების გარეშე სამეფოს სიღრმეში შესვლა არ შეეძლო. 1164 წელს ბანიასი აიღო დამასკოს ემირმა ნურად-დინმა, რის შედეგადაც სასაზღვრო სისტემა გარღვეული აღმოჩნდა და იერუსალიმის ტერიტორიების სიღრმეში გადაინია. ამ ცვლილებამ განაპირობა ის, რომ ბანიასიდან მომავალ ზემოთ აღნიშნულ სამივე მიმართულებაზე საჭირო გახდა ახალი სასაზღვრო სიმაგრეების აგება, რის შემდეგაც სამივე გზაზე აიგო გიგანტი ციხე-სიმაგრეები, სიღონისკენ ბიფორტი, ტირისკენ ტორონი, ხოლო ტივერიადისკენ ჯერ ჩასტელიტი, ხოლო შემდეგ ჯვაროსანთა ერთ-ერთი უდიდესი ციხე-სიმაგრე საფედი.¹⁸

არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ეჭვი იმის თაობაზე, რომ გიგანტი ციხე-სიმაგრეების უმრავლესობა საქართველოშიც სასაზღვრო რეგიონებში უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული, მაგრამ ამ ვითარების ფიქსირებას ართულებს საზღვრების ის ხშირი ცვალებადობა, რაც საქართველოს ტერიტორიებზე ხდებოდა შუა საუკუნეების მანძილზე. ეს სირთულე პირველ რიგში შეეხება IX-XI საუკუნეების პერიოდს, როდესაც არსებობდა დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროები საკუთარი (ამასთან მუდმივად ცვალებადი) პოლიტიკური საზღვრებით, რომლებიც ერთიანი საქართველოს სამეფოს შექმნის შემდეგ შიდა ტერიტორიებად გადაიქცა. დღეს ძალიან ძნელია იმის ზუსტად დადგენა თუ სად გადიოდა იმ დროს არსებული პოლიტიკური ერთეულების საზღვრები, მაგრამ იმ მცირე მონაცემებითაც კი, როდესაც შესაძლებელია მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული მსჯელობა დროის ამა თუ იმ მონაკვეთში არსებული სასაზღვრო რეგიონების მდებარეობის შესახებ, ცხადი ხდება, რომ გიგანტი ციხე-სიმაგრეების საზღვრებზე აგების ტენდენცია საქართველოშიც ისევე არსებობდა, როგორც იერუსალიმის სამეფოსა, თუ შუა საუკუნეების სხვა სახელმწიფოებში. ამასთან, ის ქართული სიმაგრეები, რომლებიც სასაზღვრო ციხეთა კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ, თითქმის ყველა შემთხვევაში ატარებდა ამ ტიპის სიმაგრეებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, ანუ ჰქონდათ დიდი ზომები, ძლიერი ფორტიფიკაცია და მდებარეობდნენ უშუალოდ გზებთან. ასეთია, მაგალითად, ფარცხისის ციხე, რომელიც XI საუკუნის 40-იან წლებამდე თბილისის საემიროს სასაზღვრო ციხეს წარმოადგენდა.¹⁹ იგი მდებარეობდა ზედ გზაზე და მტერი მას გვერდს ვერ აუვლიდა, დარჩენილი ნანგრევების მასშტაბების მიხედვით აშკარად გიგანტი ციხე-სიმაგრე იყო, სადაც საკმაოდ დიდ გარნიზონს შეეძლო განთავსება,²⁰ რაც

მის საბრძოლო პოტენციალსა და გზის გადაღობვის ფუნქციაზე მეტყველებს. როდესაც თბილისის საემირო საქართველოს სამეფოს შეუერთდა, ციხემ ფუნქცია დაკარგა და მოგვიანებით ნაციხარად იქცა, ვახუშტი ბაგრატიონის დროისთვის იგი უკვე დიდი ხნის განმავლობაში აღარ ფუნქციონირებდა.²¹ საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ XI საუკუნის თბილისის საემიროს შემადგენლობაში ფარცხისის სიახლოვეს თანაარსებობდა ბირთვისის ციხე, რომელიც თავშესაფარს წარმოადგენდა და გზის მოშორებით მდებარე მიუვალ კლდეებში იყო აგებული. როდესაც ფარცხისის ციხემ თავისი დანიშნულება დაკარგა და ნაციხარი გახდა, ბირთვისის ციხე კიდევ დიდხანს (XVIII საუკუნის ბოლომდე) აგრძელებდა მოქმედებას, რადგან მისი ფუნქცია თავშესაფარი მიეცა მოსახლეობისთვის, ამ დრომდე აქტიუ-ალური იყო.²² კლასიკური სასაზღვრო სიმაგრეა გაგის ციხეც, რომელიც ფართობი 6500 კვ.მ-ს შეადგენს და რომელიც ხშირად იყო სასაზღვრო ბრძოლების ობიექტი საქართველოს სამეფოსა და მის მეზობლებს შორის²³ სასაზღვრო ციხის აშკარა ნიშნებს ატარებს აწყური (ფართობი დაახ. 3000 კვ.მ),²⁴ ხერთვისი,²⁵ ბებრის ციხე,²⁶ ხორნაბუჯი²⁷ და რიგი სხვა სიმაგრეები, რომლებსაც არსებობის საწყის ეტაპებზე სასაზღვრო ფუნქციები უნდა ჰქონოდათ.

საქართველოში შემორჩენილ სასაზღვრო-გადამლობ ციხე-სიმაგრეთა შორის საუკეთესო ნიმუშს, აშკარად დარიალის ციხე წარმოადგენს, რომელიც სასა-ზღვრო ფორტიფიკაციის ერთგვარი ქრესტომათიული მაგალითია. დარიალის ციხეს აქვს ყველა ის დამახასიათებელი ნიშანი, რაც სასაზღვრო-გადამლობი სიმაგრისთვის იყო საჭირო: გზასთან სიახლოვე, სადაც მას მტერი ვერაფრით გვერდს ვერ აუვლიდა,²⁸ საფორტიფიკაციო სიძლიერე (შემორჩენილი კედლების სისქე 3-6 მეტრია, რაც საალყო მანქანებისთვის რთული დასანგრევი იქნებოდა). თავდაცვისთვის მოხერხებული ადგილმდებარეობა (აგებულია ძნელად მისადგომ კლდოვან კონცხზე), დიდი ზომები (შიდა ციხის ფართობი ერთი ჰექტარია, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიან სიმაგრეს ბევრად მეტი ტერიტორია ეკავა და მასში საკმაოდ დიდი მარაგები შეიძლებოდა შენახულიყო),²⁹ ყოველივე ეს კი მიუთითებს, რომ დარიალის ციხეს საკმაოდ დიდი გარნიზონი უნდა ჰყოლოდა და ხანგრძლივი ალყისთვის უნდა გაეძლო. X საუკუნის არაბი მემატიანის იბნ-რუსტასა და 982/3 წლის ანონიმი ავტორის „სპარსული გეოგრაფიის“ („Hudud al-alam“) ცნობით, დარიალის ციხეში 1000 მეომარი იდგა,³⁰ რასაც გაზვიადებულად მიიჩნევენ,³¹ მაგრამ ერთი რამ აშკარად ფაქტია, ციხის მნიშვნელობისა და მისი შიდა ფართობის გათვალისწინებით, გარნიზონი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, მინიმუმ რამდენიმე ასეული მეომარი. მოკლედ რომ აღვნიშნოთ, დარიალის ციხე აგებული იყო იმ მიზნით, რომ როგორც კლასიკურ სასაზღვრო სიმაგრეს გზა ჩაეკეტა მტრული არმიისთვის და არ მიეცა ქვეყნის შიდა ტერიტორიებზე შესვლის საშუალება, რასაც იბნ-რუსტას გარდა, მთელი რიგი სხვა ავტორებიც (ალ-ტაბარი, ალ-ყაზვინი), პირველ რიგში კი. X საუკუნეში მოღვაწე არაბი მემატიანი ალ-მასუდი, ხაზგასმით მიუთითებენ.³²

გარდა სასაზღვრო-გადამლობი ციხე-სიმაგრეებისა, გიგანტურ ციხე-სიმაგრეთა კატეგორიას, რიგ შემთხვევებში, მსხვილ ფეოდალთა რეზიდენციები და ბირთვისის ციხის მსგავსი არასტანდარტული სიმაგრეებიც³³ მიეკუთვნებოდნენ, რომელთა ნაწილსაც, მტრისთვის გზის გადაღობვისა და მისი დაბრკოლების ამოცანა, ასევე შეიძლებოდა შეესრულებინა. აღნიშნულის კლასიკური მაგალითია ბაღვაშთა საგვარეულოს რეზიდენცია კლდეკარი, რომელიც ერთდროულად

რეზიდენციის (ე.ი. პოლიტიკურ-სოციალური ცენტრის) და გადამლობი ციხის ფუნქციებს ითავსებდა.³⁴ უკვე იყო აღნიშნული, რომ კლდეკარის აგებით ბალვამებმა თრიალეთში თავისი მფლობელობა უზრუნველყვეს, ამის პარალელურად, მათ ციხე ისეთ სპეციფიკურ ადგილზე ააგეს, რომ მასში ციხე-სიმაგრეებისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა თვისება გააერთიანეს. კლდეკარის ციხე გზასთან მდებარეობს (უფრო სწორად გზა მასზე გადის) რითაც ის გადამლობი სიმაგრეა, ამავე დროს მიუვალია, რითაც ტიპიური თავშესაფარი ციხეა. ეკავა საკმაოდ დიდი ფართობი, რაც მასში დიდი გარნიზონის დგომის შესაძლებლობას და შესაბამისად, მტერთან ეფექტური ბრძოლის წარმოების შესაძლებლობასა და ხანგრძლივი ალყის გაძლების უნარს აძლევდა. ყოველივე აღნიშნული კარგად ჩანს წერილობითი წყაროების ცნობებში, რომელთა მიხედვითაც კლდეკარის ციხე მრავალჯერ იყო ალყაში და თავის ფუნქციას, გაეძლო მტრის შეტევისთვის, ყოველთვის შესანიშნავად ასრულებდა, ასე იყო, მაგალითად, 1028 წელს, როდესაც ბიზანტიურმა არმიამ მისი ალბა ვერ შესძლო,³⁵ ან კიდევ 1058 წელს, როდესაც ბაგრატ IV-მ კლდეკარის გარნიზონი მხოლოდ მათი სენიორის, ლიპარიტ ბალვამის სოცოცხლის სანაცვლოდ აიძულა დანებებულიყო.³⁶

გარდა სასაზღვრო ციხეებისა და მსხვილი ფეოდალური რეზიდენციებისა, გიგანტი სიმაგრეების კატეგორიას წარმოადგენდა აგრეთვე გამაგრებული ქალაქებიც, რომლებიც სასაზღვრო ციხეების მსგავსად ყოველთვის გზებზე მდებარეობდნენ და როგორც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრები, მტრის თავდასხმის უპირველესი ობიექტები იყვნენ. მაგალითად, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, ჯვაროსანთა არმიას ანტიოქიიდან იერუსალიმამდე მარშის დროს, ამ ორ მსხვილ ქალაქს შორის არსებულ 650 კოლომეტრის სიგრძეზე არცერთი სხვა ციხე-სიმაგრისთვის არ შეუტევია, გარდა იერუსალიმისა, რომლის (როგორც რეგიონის უმთავრესი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრის) ალების შემდეგ ადვილად დაიპყრეს დანარჩენი ტერიტორიებიც.³⁷ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის დაპყრობა და მისი ოკუპაცია არა ციხეების, არამედ ქალაქების დაპყრობით იწყებოდა, რის გამოც თავდაცვით სტრატეგიაში ქალაქის თავდაცვისუნარიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რაც უფრო მაღალი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტატუსი ჰქონდა რომელიმე ქალაქს, მით უფრო ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობებით უნდა ყოფილიყო იგი დაცული და დიდი გარნიზონით უზრუნველყოფილი. გამაგრებული ქალაქები მიუვალი ციხეებისგან განსხვავებით ადვილად მისადგომი სიმაგრეები იყვნენ, ამიტომ სასაზღვრო ციხეების მსგავსად ფორტიფიკაციის სიძლიერითა და გარნიზონის მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდნენ.

როგორც განხილულიდან უნდა ჩანდეს, თავდაცვითი ომების სტრატეგიაში საფორტიფიკაციო ნაგებობებს ორი ძირითადი, ერთმანეთისგან განსხვავებული ფუნქცია გააჩნდათ, მათ ერთ ნაწილს (სასაზღვრო სიმაგრეებს, გამაგრებულ ქალაქებს, რიგ შემთხვევებში, ფეოდალურ რეზიდენციებს) მტრისთვის გზა უნდა გადაეღობათ, პირველივე შესაძლებლობისთანავე ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ და ხანგრძლივი ალყისთვის გაეძლოთ, მეორე ნაწილს კი (ე.წ. მიუვალ ციხეებს, სიმაგრე გამოქვაბულებს) მოსახლეობა უნდა შეეფარებინა და ახლოს მყოფ მტერთან ბრძოლისთვის თავი აერიდებინა, მაგრამ როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო სასაზღვრო ციხე და გამაგრებული ქალაქი, ან როგორი „არნივის ბუდეც“ არ უნდა ყოფილიყო მიუვალი ციხე-სიმაგრე ან გამოქვაბული, მათი

მეშვეობით მხოლოდ ომის გაჭიანურება იყო შესაძლებელი და არა მისი მოგება. შუასაუკუნეებში აუღებელი სიმაგრეები არ არსებობდნენ და როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო, ვთქვათ, კლდეკარის ციხე, მტერს თუ მისი ალყის საწარმოებელი რესურსი გააჩნდა და ციხეს გარედან ვერავინ დაეხმარებოდა, მას შიშხილი მაინც აიძულებდა დანებებას, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდაცვითი ომების წარმოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ციხეს, არამედ საველე არმიას ენიჭებოდა, რომელსაც ალყაშემორტყმული სიმაგრის დახმარება და მტრის ხელიდან მისი გადარჩენა შეეძლო. გამაგრებული ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეთა თვისება, ადრე თუ გვიან გამხდარიყვნენ მტრის შეტევების მსხვერპლი, ნიშნავდა იმას, რომ მათი მეშვეობით ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებისკენ მიმავალი გზების სრული დაკეტვა და მათკენ მიმავალი არმიების სავსებით შეჩერება, საბოლოო ჯამში, შეუძლებელი იყო, რის გამოც მასშტაბური შეტევის შემთხვევაში ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თავდაცვითი ომების წარმოება მხოლოდ საფორტიფიკაციო ნაგებობების მეშვეობით ვერ განხორციელდებოდა, ამიტომ სიმაგრეებს თავდაცვით სტრატეგიაში ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც დამხმარე როლი უნდა შეესრულებინათ.

თითქმის ყველა გამაგრებულ ქალაქსა თუ ციხე-სიმაგრეს, თუ ის სურსათ-სანოვაგით და წყლის მარაგით სათანადოთ იყო მომარაგებული, ადვილად შეეძლო მონინალმდევის მცირე მასშტაბის შეტევისა და ხანმოკლე ალყის გაძლება, როგორც ეს იყო, მაგალითად, როდოსის ალყის დროს, რომელსაც XIII საუკუნის ბოლოს ბიზანტიურმა არმიამ, რომელსაც მოცემულ მომენტში დიდხანს საველე პირობებში გაჩერება არ შეეძლო, მას შემდეგ მოხსნა ალყა, როდესაც დაარწმუნდა, რომ იგი კარგად იყო უზრუნველყოფილი სურსათ-სანოვაგით, რის გამოც მოკლე ხანში მისი ალება მოსალოდნელი არ იყო.³⁸ საკვებითა და წყლით უზრუნველყოფა სიმაგრეთა დაცვისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენდა და სამხედრო მოქმედებების დროს, პირველ რიგში, მის გადაჭარაზე ზრუნავდნენ. უსამა იბნ მუნკიზი აღწერს თუ როგორ დაიწყო მან 1137 წელს ქალაქ შეიზარში შინაური საქონლის თავმოყრა, აგრეთვე ფქვილის, ზეთისა და სხვა პროდუქტების მარაგების შეზიდვა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ბიზანტიური არმია შეიზარის ასალებად მიემართებოდა.³⁹ გიორგი პახიმეროსს აღწერილი აქვს თუ როგორ ამზადებდა ალყისთვის კონსტანტინოპოლს მიხეილ პალეოლოგი, როდესაც მან შეიძინა დიდი რაოდენობით პურის მარაგი, ქალაქის თითოეულ მცხოვრებს დაურიგა ათი და მეტი ლორი და დაავალა დამარილებული ხორცის დამზადება, გასცა განკარგულება ისრისპირების, სატყორცნი ქვებისა და სხვა საბრძოლო მარაგების შექმნაზე⁴⁰ და ა.შ.

ალყა საბრძოლო მოქმედებების ურთულესი ეტაპი იყო როგორც შემტევის, ასევე დამცველებისთვისთვის, ის უპირველეს ყოვლისა, მოალყეებისა და ალყაშემორტყმულების ხელთ არსებული რესურსების ჭიდილს წარმოადგენდა და რომელიც პირველი ამონურავდა მის ხელთ არსებულ მარაგს, დამარცხებულიც ის გამოდიოდა.⁴¹ ამ ვითარებიდან გამომდინარე, ალყის ბედი უმთავრესად დამოკიდებული იყო იმ გარემოებაზე, თუ როგორ იყვნენ მომარაგებულნი მის საწარმოებლად როგორც შემტევეები, ასევე დამცველები. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, ბიზანტიური ტრაქტატი **DE VELITATIONE BELLICA** რეკომენდაციას იძლეოდა, რომ ყველა მშვიდობიან მოსახლეს, რომელიც თავს ციხე-სიმაგრეს აფარებდა, თან 4 თვის სამყოფი საკვები უნდა მიეტანა,⁴² მაგრამ უსა-

სრულო მარაგების შექმნა შეუძლებელი იყო, რის გამოც ნებისმიერი ქალაქისა თუ ციხე-სიმაგრის ბედი, მასშტაბური ომის პირობებში, გარედან დახმარებაზე იყო დამოკიდებული. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების დამცველებს წარმატების მეტი შანსი მოწინააღმდეგის ხანმოკლე შეტევების, ანუ სათარეშო რეიდების დროს ჰქონდათ, როლის დროსაც მოწინააღმდეგე მობილურობისთვის თან დიდ მარაგებს არ ატარებდა და ხანგრძლივი ალყის წარმოება არ შეეძლო. სათარეშო რეიდები (როგორც ეს უკვე ვნახეთ), როგორც ნესი, ხორციელდებოდა მცირე რაოდენობის მობილური ძალებით, რომელთა მიზანიც მტრული ტერიტორიებზე ალაფისა და ტყვეების მოპოვება იყო და არა გამაგრებული ქალაქებისა თუ ციხე-სიმაგრეების დაპყრობა (თუმც ამაზეც უარს არ ამბობდნენ თუ ამის შესაძლებლობა მიეცემოდათ), რისი შესრულებაც იმ მსუბუქ მობილურ ძალებს, რითაც ამ ტიპის რეიდები ხორციელდებოდა, სამხედრო თვალსაზრისით არც შეეძლოთ, შესაბამისად, საფორტიფიკაციო სისტემები ასეთ შემთხვევებში ადვილად ახერხებდნენ თავდაცვითი ფუნქციების შესრულებას, სასოფლო რეგიონების მოსახლეობისა და მოძრავი ქონების გალავნას მიღმა შეფარებას და მათ გადარჩენას ტყვეობისა და ძარცვისგან, მაგრამ სრულიად განსხვავებული სურათი იქმნებოდა მაშინ, როდესაც ესა თუ ის ქვეყანა მასშტაბური შეტევისა და დაპყრობის მცდელობის ობიექტი ხდებოდა.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, მასშტაბური კამპანიების წარმოების დროს, რომელიც კარგად მომზადებულ სამხედრო ღონისძიებას წარმოადგენდა და შემტევი მხარე მზად იყო ხანგრძლივი საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად, საფორტიფიკაციო სისტემებს დიდ საფრთხე ექმნებოდათ, და მხოლოდ მათი მეშვეობით, თავდაცვითი ომებში გამარჯვება თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. ის ფაქტორი, რომ შუასაუკუნეებში აულებელი ქალაქები და ციხე-სიმაგრეები არ არსებობდა, საფორტიფიკაციო ნაგებობების გამოყენების თავისებურებებს განსაზღვრავდა და მთლიანობაში თავდაცვითი ომების წარმოების საერთო სტრატეგიასაც აყალიბებდა. მასშტაბური კამპანიების წარმოების დროს, შემტევი მხარე ყოველთვის დგებოდა სტრატეგიული არჩევანის წინაშე, სამხედრო კამპანია დაეწყო სიმაგრეთა თანმიმდევრული დაპყრობით, თუ ჯერ მოცემული ქვეყნის საველე არმია გაენადგურებინა და მხოლოდ ამის შემდეგ შესდგომოდა ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების დაკავებას. გადანყვეტილების ხასიათს თითქმის ყოველთვის შემტევის მხარის ხელთ არსებული რესურსების მასშტაბები განსაზღვრავდა, თუ მას შეეძლო დიდი ხნის განმავლობაში არმიის საბრძოლო პირობებში გაჩერება და მისი საკვებითა და სხვა აუცილებელი უზრუნველყოფა, მას შეიძლება ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეთა თანმიმდევრული დაპყრობა ეცადა და მოწინააღმდეგის საველე არმიას გადამწყვეტ ბრძოლაში მაშინ შეხვედროდა, როდესაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ თუ მისი რესურსები შეზღუდული იყო, მაშინ ის ციხეთა დაპყრობას ვერ დაიწყებდა და წარმატებისთვის მხოლოდ დამცველი მხარის საველე არმიის განადგურებით შეიძლებოდა მიეღწია. ანალოგიური სტრატეგიული დილემის წინაშე დგებოდა დამცველი მხარეც, მის წინაშეც ასევე დგებოდა არჩევანი, ერთ მუშტად შეეკრა არსებული ძალები და გენერალურ ბრძოლაში შებრძოლებოდა შემოსეულ არმიას, თუ გამაგრებულიყო ციხე-სიმაგრეებში და ცალკეული ბრძოლებით ეწარმოებინა თავდაცვითი კამპანია.

მასშტაბური სამხედრო კამპანიის წარმოების ამ ორ ძირითად, როგორც შეტევითი, ასევე თავდაცვითი ომის სტრატეგიულ სქემას, თავისი დადებითი და უარყოფითი,

ოფითი მხარეები ჰქონდა. შემტვენი მხარისთვის იგი ძირითადად შემდეგ პრობლემატიკაში გამოიხატებოდა, თუ იგი მონინაალმდეგის საველე არმიასთან გენერალური ბრძოლის ძებნას დაინყებდა და ღრმად შევიდოდა მტრის ტერიტორიებზე, ისე რომ მის ზურგში აულებელი ციხე-სიმაგრეები დარჩებოდა, მაშინ ის დადგებოდა საკუთარი უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის ხაზების გადაჭრის საშიშროების წინაშე დაუპყრობელი სიმაგრეების გარნიზონების მხრიდან, რაც მას დიდ პრობლემებს შეუქმნიდა რესურსების თანმიმდევრული განადგურების შესაძლებლობითა და საბოლოო მარცხის პერსპექტივით. თუ შემტვენი მხარე მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომ სამხედრო კამპანია სიმაგრეთა დაპყრობით დაენყო და არა საველე არმიასთან გენერალური ბრძოლით, მაშინ სიმაგრეთა ალყის დროს, რომელთა წარმოებაც გარკვეულ დროს აუცილებლად დაიკავებდა, ზურგში დარტყმის საფრთხეს მონინაალმდეგის საველე არმია შეუქმნიდა, რომელსაც ასეთ შემთხვევაში მოქმედების დიდი თავისუფლება ექნებოდა და სწორი ხელმძღვანელობის პირობებში, ადვილად შესძლებდა სტრატეგიულ-ტაქტიკური უპირატესობის მოპოვებას სიმაგრეების აღებით დაკავებული მონინაალმდეგის არმიის მიმართ. მსგავსი სტრატეგიული ხასიათის პრობლემები დგებოდა დამცველი მხრის წინაშეც. თუ იგი ციხე-სიმაგრეებში გამაგრებით შეეცდებოდა თავდაცვითი ბრძოლების წარმოებას, ეს მისი ძალების დაქსაქსვას და ცალ-ცალკე მათი განადგურების საფრთხეს ჩამოაყალიბებდა, ხოლო თუ ამაზე უარს იტყოდა და გენერალურ ბრძოლაში შეეცდებოდა მტრის მოგერიებას, მაშინ დამარცხების შემთხვევაში, მთლიან კამპანიასაც ელვისებურად აგებდა.

მასშტაბური კამპანიის წარმოება და სწორი სტრატეგიის შერჩევა მრავალი ფაქტორის ერთობლიობაზე იყო დამოკიდებული, და რასაკვირველია, ქრესტომათიული სახით იმის განსაზღვრა, თუ როგორი სტრატეგიით უნდა ემოქმედა შემტევ ან დამცველ მხარეს, ერთ სქემას არ ექვემდებარებოდა. სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებული იყო კონკრეტულ ვითარებაზე, მონინაალმდეგეთა განკარგულებაში არსებული რესურსების შეფარდებაზე, შემტვენი მხარის მიზნებზე და ა.შ. საბოლოო ჯამში, ამ ყველაფრის შეფასება და საბრძოლო მოქმედებების სტრატეგიის არჩევა, დამოკიდებული იყო მხედართმთავრის კვალიფიკაციაზე, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა მასშტაბური კამპანიის მსვლელობის ხასიათსა და შედეგებს, თუმცა ასეთ სიტუაციებში ერთი კანონზომიერება მაინც არსებობდა, რაც როგორც საერთო სტრატეგიაზე, ასევე მისი გადაწყვეტის ტაქტიკურ საშუალებებზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. მასშტაბური სამხედრო კამპანიის ამოცანა, როგორც წესი, მონინაალმდეგის პოტენციალზე გამარჯვება, მისი ნების გატეხვა და ტერიტორიების დაკავება იყო, რაც ვერ შესრულდებოდა, თუ თავდამსხმელი მხარე არ დაიკავებდა საკვანძო მნიშვნელობის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრებს (ქალაქებს, ან მსხვილ ფეოდალურ რეზიდენციებს), მათი დაპყრობა და შენარჩუნება კი, დამცველი მხარის საველე არმია დამარცხების (ან წინააღმდეგობის შეწყვეტის) გარეშე შეუძლებელი იყო. ქვეყნის დაპყრობის მცდელობისას, მონინაალმდეგის საველე არმიის დამარცხება და პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრების დაკავება, აუცილებელ კომპლექსურ სამხედრო ამოცანას წარმოადგენდა, საიდანაც პირველი მიზანი, აშკარად საველე არმიის განადგურება (ან სხვა რამე სახით მისი ნეიტრალიზება) იყო. ამის გარეშე შემტევს რომც მოეხერხებინა სიმაგრეთა გარკვეული ნაწილის დაპყრობა, თუ მონინაალმდეგის საველე არმია ბრძოლისუნარიანი რჩებოდა, მას არ შეიძლებოდა თავი გამარჯვე-

ბულად ეგრძნო. საველე არმიის განადგურების (ან მისი კაპიტულაციის) გარეშე, ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეთა დაპყრობა და მათზე მიბმული ტერიტორიების დამაგრება, ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა, რისი მიხედვითაც ცხადია, რომ ნებისმიერი ქვეყნის თავდაცვის მთავარი საშუალება იყო საველე არმია და არა თვით ყველაზე მიუდგომელ ციხე-სიმაგრეთა სისტემა, რომელსაც საველე არმიის მხარდაჭერის გარეშე, თავის დაცვა დიდხანს არ შეეძლოთ.

ამ ვითარების შესახებ, რომელსაც ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატებიც მკაფიოდ აფიქსირებს⁴³ და თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილიც იზიარებს,⁴⁴ ქრესტომათიული მაგალითი მოჰყავს სტიფანოზ ორბელიანს, როდესაც ის აღწერს მონღოლთა მიერ განხორციელებულ ჰრაშაკისის ციხის ალყას, სადაც გამაგრებული იყო ელიკუმ ორბელიანი. ციხე იყო აულებელი და მონღოლებს მისი შტურმი არც უფიქრიათ, მათმა სარდალმა ამის ნაცვლად შემდეგი სიტყვები შეუთვალა ციხის სიძლიერის მოიმედე ელიკუმს: „ესრეთ გვირწმუნე ჩუენ, მოვედ ჩვენდა და ჰპოვებ ჩვენ მიერ კეთილსა მრავალსა, უკეთუ არა, ვიდრემდის დასჯედები კლდესა მაგას შინა? ჩვენ წარსასვლელ არსადა ვართ, რამეთუ ლმერთმან მამულად მოგუცა ჩვენ ქუეყანა ესე, ხოლო ამისა შემდგომად ოდეს გამოხვალ, მაშინ იქმნების სიკუდილი შენი და სახლეულთა შენთა.“⁴⁵ ამ შენათვალის შემდეგ ელიკუმმა ციხე მონღოლებს ჩააბარა, რაც შექმნილი ვითარების აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი იყო. იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა დამხმარე ძალა (ანუ საველე არმია), რომელიც ჰრაშაკისის ციხეს ალყას მოხსნიდა, ხოლო მონღოლებს ჰქონდათ დრო და რესურსი ხანგრძლივი ალყის სანარმოებლად, ციხე დასაცემად იყო განწირული და მისი სიმტკიცე და მიუვალობა, ამ შემთხვევაში, მას ვერ იხსნიდა.

გამაგრებული ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების ალყა ხანგრძლივი და დამქანცველი პროცესი იყო, მისი წარმოება უზარმაზარი რესურსების მობილზეებას მოითხოვდა, ყველაზე რთული კი ფეოდალური არმიის ბრძოლის ველზე დიდი ხნით გაჩერება იყო, რაც ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა და საბრძოლო მოქმედებათა სტრატეგიულ ხასიათსაც განსაზღვრავდა. როდესაც ფეოდალური არმია იწყებდა ტერიტორიების დაპყრობის მცდელობას ციხე-სიმაგრეთა ალყის გზით, ასეთი სტრატეგია დამცველ მხარეს თავდაცვის დიდ შესაძლებლობებს უტოვებდა, რადგან თუ ციხე-სიმაგრეთა სისტემა შეძლებდა გარკვეული პერიოდი (როგორც წესი, რამდენიმე თვე) ალყის გაძლებას, ეს იმას ნიშნავდა, რომ შემტევთა კამპანია წარუმატებლად უნდა დამთავრებულიყო, რადგან ფეოდალურ არმიას იშვიათად ჰქონდა უნარი საბრძოლო მოქმედებების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებისა. ასეთი ვითარების კლასიკურ ნიმუშად, სამხედრო ისტორიის მთელ რიგ დასავლეთ ევროპელ მკვლევარებს მოჰყავთ XI საუკუნის ფრანგი ფეოდალის, გოტფრიდ მარტელის მაგალითი, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული ქალაქ ტრუაზე 1041 წელს, რომლის დროსაც ქალაქის დასახმარებლად მაშველი ძალა დაიძრა. მარტელმა არ იცოდა რა გადაწყვეტილება მიეღო, გაეგრძელებინა ალყა, თუ მტერს საველე ბრძოლაში შეხვედროდა, რის შესახებაც ერთმა სარდალმა ურჩია მას, რომ ალყა მოეხსნათ და მტერს ღია ველზე შებრძოლებოდნენ, რადგან: „ბრძოლა ხანმოკლეა, მაგრამ მას დიდი შედეგი მოსდევს, ალყა გრძელდება დიდხანს და მიზნები რთულად მიიღწევა. ბრძოლის შედეგი ხალხს და ქალაქებს იმორჩილებს, რადგან დამარცხებულები გამარჯვებულების წინაშე ცეცხლის კვამლივით ქრებიან. თუ

ბრძოლას მოვიგებთ და მტერს დავამარცხებთ, ქვეყანაზე ბატონობა და მასთან ერთად სიმაგრეებიც ჩვენი იქნება.“⁴⁶ მარტელის სარდალი მასშტაბური კამპანიის წარმოების მთავარი სტრატეგიული მიზნის, მოწინააღმდეგის საველე არმიის დამარცხების აუცილებლობის განსაზღვრისას, გამონაკლისი არ იყო. ასეთი სტრატეგიული ხედვა გააჩნდა შუა საუკუნეების თითქმის ყველა გამოჩენილ მხედართმთავარს, რაც სრულიად ბუნებრივად იმდროინდელი სამხედრო ორგანიზაციის ხასიათიდან და იმ შესაძლებლობებიდან გამომდინარეობდა, რასაც შუა საუკუნეების ომების ბუნება იძლეოდა.

1066 წელს, როდესაც ვილჰელმ დამპყრობელის ნორმანდიული არმია ინგლისში გადაჯდა, ინგლისის მეფე ჰაროლდი ქვეყნის ჩრდილოეთში იმყოფებოდა. ამ გარემოების გამო ვილჰელმს ურჩევდნენ, რომ ესარგებლა ჰაროლდის არ ყოფნით, წასულიყო ლონდონისკენ და დაეპყრო ის სხვა ციხე-სიმაგრეებთან ერთად. ამ რჩევის საწინააღმდეგოდ ნორმანდიის ჰერცოგი ადგილიდან არ დაძრულა, იგი დაელოდა ჰაროლდის ჩრდილოეთიდან დაბრუნებას, შეხვდა მას გენერალურ ბრძოლაში და მისი დამარცხების შემდეგ ლონდონიცა და სხვა ციხე-ქალაქებიც უბრძოლველად აიღო.⁴⁷

უკვე იყო აღნიშნული, რომ 1071 წელს, მანციკერტის ბრძოლის წინ, ბიზანტიის იმპერატორ რომან დიოგენს მისი სარდალი იოანე ვრიენოსი ურჩევდა, რომ იმპერატორს არ გაემართა გენერალური ბრძოლა სელჯუკებისთვის მანციკერტთან, არამედ დაეხია უკან იმპერიის სიღრმეში, გაემაგრებინა ქალაქები და ციხე-სიმაგრეები და გადაენვა მინდვრები, რაც სელჯუკთა ცხენოსან არმიას გადაადგილებისა და ფურაყირების პრობლემას შეუქმნიდა, რის შემდეგადაც ისინი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა გენერალური ბრძოლა, რომლის დროსაც ბიზანტიელები უკვე იოლად დაამარცხებდნენ სელჯუკებს.⁴⁸ იმპერატორმა ეს რჩევა არ მიიღო და ბიზანტიელებმა მანციკერტის ბრძოლა წააგეს, რის შემდეგადაც სულ რამოდენიმე წელში, თითქმის მთელი ანატოლია, თავისი გამაგრებული ქალაქებითა და ციხე-სიმაგრეებით, სელჯუკთა ხელში გადავიდა, რაზედაც ანა კომნენოსი (მანციკერტის ბრძოლის შემდგომი ვითარების დახასიათებისას) აღნიშნავდა, რომ ბიზანტიური არმია მცირე აზიის მრავალრიცხოვან სიმაგრეებში იყო გაფანტული, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა სელჯუკებს დაეკავებინათ ტერიტორიების უდიდესი ნაწილი.⁴⁹

თითქმის ანალოგიური მოხდა ხორეზმში. როდესაც მონღოლები ხორეზმისკენ დაიძრნენ, ხორეზმის შაჰმა მუჰამედმა მიიღო გადაწყვეტილება მტერს სასაზღვრო ციხე-სიმაგრეებსა და გამაგრებულ ქალაქებში კონცენტრირებული ძალებით დახვედროდა და მათთან გენერალური ბრძოლა არ გაემართა, რისი წინააღმდეგიც ჯალალ ად-დინი გამოვიდა, მისი აზრით, ციხე-სიმაგრეებში გაფანტული ხორეზმის არმია ვერ შეძლებდა თავმდამსხმელთა შეკავებას, იგი ერთ მუშტად უნდა შეკრულიყო და გადამწყვეტ ბრძოლაში დაემარცხებინა მოწინააღმდეგე. ხორეზმშაჰმა ეს რჩევა არ მიიღო, რის შედეგადაც მონღოლებს ხორეზმის დაპყრობა და მათზე მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის ცალ-ცალკე დამარცხება არ გასჭირვებიათ.⁵⁰

ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ, კახეთის შეერთების კამპანია იმით დაიწყო, რომ კახეთის ქორეპისკოპოს დავითს მის ხელში მყოფი ქართლის ციხე-სიმაგრეების უკან დაბრუნება მოსთხოვა, რაზედაც დავითმა უპასუხა, რომ: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩუენ შორის დამჯერებელ მკლავი და ომი.

ხოლო მე მოგეგებო ქსანსა ზედა, ⁵¹ რაც იმას ნიშნავდა, რომ ციხეთა ბედი არა მათ ალყას, არამედ საველე არმიების ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, რომლის შედეგის მიხედვითაც, ციხეები გამარჯვებულის ხელში აღმოჩნდებოდა.

1110 წელს, დავით აღმაშენებელმა აიღო სელჯუკების ხელში მყოფი სამშვილდე და ქვემო ქართლის სხვა სიმაგრეები, რომელთა დასაბრუნებლადაც სელჯუკებმა დიდი არმია გამოგზავნეს. სელჯუკების არმიას სამშვილდის ან რომელიმე სახვა სიმაგრის ალყის დაწყება არც უცდია, იგი პირდაპირ დავით აღმაშენებლის საველე არმიის წინააღმდეგ გაემართა, რომლის დამარცხების შემთხვევაშიც სამშვილდე იოლად გადავიდოდა მათ ხელში.⁵²

თავდაცვით სტრატეგიაში საველე არმიისა და ციხე-სიმაგრეთა სისტემის ურთიერთკავშირი, რომელშიც საველე არმია ნამყვან როლს ასრულებდა, განსაკუთრებით ნათლად ჩანს ჯვაროსნული სახელმწიფოების მაგალითზე, ჯვაროსნებისა და სალადინის ომების პერიოდში, როდესაც იერუსალიმის სამეფო, საველე არმიის დამარცხების შემდეგ, თავისი დროისთვის უძლიერეს ციხე-სიმაგრეთა ქსელმა განადგურებისგან ვერ იხსნა. სალადინი, ჯვაროსნებთან თავისი ხანგრძლივი ომების მანძილზე, ბრძოლების წარმოების სხვადასხვა სტრატეგიას იყენებდა, თავდაპირველად იგი ცდილობდა სტრატეგიული მაგისტრალების სიახლოვეს განლაგებული ჯვაროსანთა ძლიერი ციხე-სიმაგრეების დაპყრობას, რაც სრულიად უშედეგოდ მთავრდებოდა. სალადინის ყურადღების უპირველესი ობიექტები იყო დამასკო-კაიროს შემაერთებელ საგზაო მაგისტრალზე მდებარე შაუბეკისა და კერაკის ციხე-სიმაგრეები, რომლებიც სრულიად აკონტროლებდნენ ამ მნიშვნელოვან მაგისტრალს და დიდ პრობლემებს უქმნიდნენ მუსლიმებს. სალადინმა რამდენჯერმე სცადა ამ ციხე-სიმაგრეების აღება, მაგრამ უშედეგოდ, როდესაც ის კერაკის ან შაუბეკის ალყას იწყებდა, მის წინააღმდეგ იერუსალიმის სამეფოს საველე არმია გამოდიოდა და იწყებდა სალადინის უზრუნველყოფის ხაზებზე გასვლას, რითაც ციხეებთან მებრძოლ სალადინის არმიას უქმნიდა მომარაგების ხაზების გადაჭრისა და ზურგში დარტყმის საშიშროებას, რის გამოც სალადინი იძულებული ხდებოდა ალყა შეენწყვიტა და უკან დაეხია.⁵³

განსხვავებულად წარიმართა 1187 წლის კამპანია, როდესაც სალადინი ცდილობდა დაეპყრო ტივერიადის სასაზღვრო ციხე-სიმაგრე. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც წინა წლებში, იერუსალიმის სამეფოს არმია დაიწყო საბრძოლო მოქმედებები მუსლიმთა წინააღმდეგ, მაგრამ არმიის უნიჭოდ განხორციელებული ხელმძღვანელობის შედეგად, როდესაც იერუსალიმის მეფე გი დე-ლუზინიანმა, მიუხედავად მიღებული სწორი სტრატეგიული რჩევისა და არსებული საბრძოლო გამოცდილებისა, გადაწყვეტილება მიიღო დაუყოვნებლივ გაემართა გენერალური ბრძოლა ტივერიადასთან მდგომი მუსლიმური არმიისთვის, რისთვისაც მას რამდენიმე დღიანი მარშით უნდა გაეწყო ჰატინის უწყლო მიდამოები. არახელსაყრელ პირობებში გამართული ბრძოლა ჯვაროსნებმა წააგეს,⁵⁴ რის შედეგადაც იერუსალიმის სამეფო საველე არმიის გარეშე დარჩა, თუმცა მის განკარგულებაში იყო ძლიერად გამაგრებული ქალაქები და ციხე-სიმაგრეები თავისი გარნიზონებით, რომლებიც ბრძოლის ველზე გამარჯვებული მუსლიმური არმიის შესაკავებლად საკმარისი არ აღმოჩნდნენ. იერუსალიმის სამეფოს საველე არმიის განადგურებით, სალადინმა მის ტერიტორიებზე მოქმედების სრული თავისუფლება მიიღო, რაც მაქსიმალური ეფექტურობით გამოიყენა. ჯვაროსანთა ციხე-სიმაგრეების ნანძლი, დახმარების მიღების უპერსპექტივობის გამო, მას უბრძო-

ლველად დანებდა,⁵⁶ ნაწილს კი, ხანგრძლივი, შეუპოვარი, და რიგ შემთხვევებში, გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად (მაგალითად, კერაკის გარნიზონი ერთნაირი ალყის შემდეგ დანებდა სალადინის არმიას, შაუბეკმა და ბელგოირმა ნელნაღზე მეტ ხანს გაუძლეს ალყასა და შიმშილს), დანებებამ მაინც მოუწიათ.⁵⁶

როგორც ვხედავთ, გენერალური ბრძოლის წაგებისა და საველე არმიის განადგურების შემდეგ, ციხე-სიმაგრეებმა იერუსალიმის სამეფო, ისევე როგორც ანგლო-საქსური ინგლისი, ბიზანტიური მცირე აზია, თუ ხორეზმის იმპერია, დამარცხებისა და დაპყრობისგან ვერ იხსნეს. იერუსალიმის სამეფოში ერთადერთ გამოწვევას წარმოადგენდა საპორტო ქალაქი ტირი, რომელმაც იმის წყალობით, რომ გარედან მიიღო სამხედრო დახმარება (როდესაც ტირი ალყაში იყო და ჩაბარების პირობებზე უთანხმდებოდა სალადინის, ზუსტად ამ დროს, ქალაქში, საზღვაო გზით კონსტანტინოპოლიდან, მეომართა რაზმთან ერთად ჩამოვიდა ჯვაროსანთა ენერგიული მეთაური კონრად მონტფერელი), რომლის წყალობითაც ქალაქმა ალყას გაუძლო და ჯვაროსანთა შემდგომი კონტრშეტევის ბაზადაც იქცა.⁵⁷ აღნიშნული მაგალითები პირდაპირ მიუთითებენ, რომ ფეოდალური სახელმწიფოსთვის თავდაცვის ძირითად საშუალებას და მისი ძლიერების ნამდვილ საფუძველს, სწორად აწყობილი სამხედრო ორგანიზაციის პროდუქტი, საველე არმია წარმოადგენდა, რომლის გარეშეც სიმაგრეთა შენარჩუნება და ქვეყნის დაცვა შეუძლებელი იყო. არმიასთან ურთიერთმოქმედების გარეშე, საფორტიფიკაციო ნაგებობების უმთავრეს სამხედრო ფუნქცია, სანმოკლე, ნაკლებად მასშტაბური სამხედრო შეტევების (სათარემო რეიდების) დროს, ტერიტორიების, მოსახლეობისა და მათი მფლობელების სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა იყო, მასშტაბური თავდასხმების (ანუ საოკუპაციო ომების) შემთხვევაში კი გამაგრებული ქალაქები და ციხე-სიმაგრეები თავის საფორტიფიკაციო ძლიერებას მხოლოდ მაშინ ამჟღავნებდნენ, როდესაც მათ გვერდით მოქმედებდა საველე არმია, რომლის არ არსებობის, ან განადგურების შემთხვევაში, ისინი მხოლოდ მათი გარნიზონების ხაფანგი ხდებოდნენ, რის გამოც გარნიზონების უმრავლესობა ძალიან ხშირად „გმირულად“ დალუპვას, დანებებასა და მტრისთვის ციხე-სიმაგრის ჩაბარებას ამჯობინებდა.

როგორც უკვე იყო განხილული, ბრძოლისუნარიანი საველე არმიის ფორმირება და სიმაგრეების გარნიზონებით უზრუნველყოფა, მხოლოდ ცენტრალიზებული სამხედრო ორგანიზაციის არსებობის პირობებში იყო შესაძლებელი, ხოლო ბრძოლის ველზე მათი ურთიერთმოქმედების ეფექტურობას, რაც თავდაცვით სტრატეგიაში სამხედრო ოპერაციების წარმატების აუცილებელი პირობა იყო, სწორი მხედართმთავრობა განაპირობებდა. ამ ორი ფაქტორის არსებობა, საბოლოო ჯამში უზრუნველყოფდა კიდევ ქვეყნის უნარს დაეცვა თავი გარე აგრესიიდან, და როდესაც ამ სქემას ერთ-ერთი აღნიშნული კომპონენტი აკლდებოდა (როგორც ეს იყო ნაჩვენები ზემოთ აღნიშნულ, ბიზანტიის, იერუსალიმის, ხორეზმისა და სხვა შემთხვევებში), თავდაცვით ომებში სამხედრო წარმატების მიღწევა პრობლემატური ამოცანა ხდებოდა. აღნიშნული მდგომარეობა გარკვევით ჩანს მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მაგალითებზეც, სადაც სამხედრო ორგანიზაციის ცენტრალიზების შესუსტებას, ან სამხედრო მოქმედებების არასწორ ხელმძღვანელობას (ან ორივეს ერთად), ყოველთვის წარუმატებლობები მოსდევდა შედეგად.

გ) ტაქტიკა შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებაში

მოულოდნელობის ფაქტორი — მთავარი ტაქტიკური ელემენტი

დავით აღმაშენებლის მემკვიდრე საქართველოს მეფის მიერ სამშვილდის აღების შესახებ წერდა, რომ: «მეფე გარდავიდა აფხაზეთად, უმცროვე ემინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერეთს; და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მნიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი, და სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე.»¹ სამშვილდის სიმარჯვით „მოპარვა“ მის მოულოდნელად აღებას ნიშნავდა, რაც იმ დროისთვის ციხეთა აღებისა და ბრძოლების მოგების საუკეთესო ტაქტიკური საშუალება იყო.

შუასაუკუნეებში, არმიათა გადაადგილების არსებული სისწრაფის პირობებში (დღის განმავლობაში 20-40 კილომეტრი),² როდესაც არმიის მოძრაობის შესახებ გავრცელებული ხმები თითქმის ყოველთვის წინ უსწრებდა არმიის გადაადგილების სისწრაფეს, მოულოდნელობის ფაქტორის შექმნა და მტერზე უეცარი თავდასხმა, უაღრესად რთული განსახორციელებელ ოპერაციას წარმოადგენდა და თუ ეს ხერხდებოდა, წარმატება თითქმის ყველა შემთხვევაში გარანტირებული იყო. ასეთი ბრძოლები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოწინააღმდეგეთა ძალებს შორის დიდი განსხვავება იყო, მაინც იმ არმიის სრული გამარჯვებით მთავრდებოდა, რომელიც მოულოდნელობის ფაქტორის შექმნას მოახერხებდა. ამ ვითარების კლასიკური ნიმუშებია, მაგალითად, დავით აღმაშენებლის გამარჯვებები სელჯუკებზე თრიალეთისა და დიდგორის ბრძოლებში,³ იერუსალიმის მეფე ბალდუინ IV-ს გამარჯვება სალადინის არმიაზე მონგისარდის ბრძოლაში,⁴ არდაველის სულთნის მიერ ანისის აღება თამარ მეფის დროს და ქართული არმიის საპასუხო ლაშქრობა არდაველში⁵ და ა.შ.

ომების წარმოებისას, პირველ რიგში, სტრატეგიული მოულოდნელობის ფაქტორის შექმნას ცდილობდნენ და თუ ეს ხერხდებოდა, უზარმაზარი სამხედრო უპირატესობის მიღება გარანტირებული იყო. ის ქვეყანა, რომელიც ფარულად მოახერხებდა არმიის მობილიზებას და არსებული დისტანციების ასევე ფარულად დაფარვას, კოლოსალურ უპირატესობას აღწევდა. სტრატეგიული მოულოდნელობის ფაქტორი თავდამსხმელი მხარის ისეთ დამთრგუნველ უპირატესობას ნიშნავდა, რომლის დროსაც მეორე ქვეყანას მისთვის წინააღმდეგობის გაწევა პრაქტიკულად არ შეეძლო. შუა საუკუნეების ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის არსებობის პირობებში (იხ. ზემოთ, ქვეთავი: „სამხედრო საქმის ორგანიზაციის ფეოდალური სისტემა“), როდესაც ფეოდალური არმიის მობილიზებას საკმაოდ დრო სჭირდებოდა, ხოლო მუდმივ სამხედრო სამსახურში მყოფი რაზმები საკმაოდ მცირერიცხოვანები იყვნენ და სრულფასოვან არმიასთან დამოუკიდებლად დაპირისპირება არ შეეძლოთ, ქვეყანა რომელიც მოულოდნელი თავდასხმის ობიექტი გახდებოდა, დროის მოკლე მონაკვეთში არმიის შეკრებას ვერ ასწრებდა და შემოსეულ მტერს ვერაფერ ეფექტურს ვერ უპირისპირებდა. მაგალითად, ზუსტად ასეთი სტრატეგიული მოულოდნელობის ფაქტორი შექმნა მანუელ კომნენოსმა კილიკიის სომხეთის წინააღმდეგ, როდესაც თავისი მოქმედებებით დააჯერა ისინი, რომ ბიზანტიელების მიზანი რუმის სასულთნოსთან ომი იყო, რისთვისაც ბიზანტიის იმპერატორმა სელჯუკების წინააღმდეგ რამდენიმე

მცირე ბრძოლაც ჩაატარა და ასე მიუახლოვდა კილიკიის ტერიტორიებს, სადაც იგი სომხებისთვის სრულიად მოულოდნელად შევიდა.⁶ ანალოგიურად მოიქცა უზუნ-ჰასანი საქართველოზე თავდასასხმელად 1476 წელს, როდესაც მან არმია ოსმალებთან ბრძოლის საბაბით შეკრიბა და საქართველომდე არსებული დისტანცია ისეთი შემოვლითი მარშრუტით დაფარა, რაც მისი ოსმალებისკენ მოძრაობის შთაბეჭდილებას ტოვებდა.⁷

სტრატეგიული მოულოდნელობის ფაქტორის ასეთი ეფექტურობის მიუხედავად, შუასაუკუნეებში მისი შექმნა იშვიათად ხერხდებოდა, რასაც სხვადასხვა გარემოებები უშლიდა ხელს. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, არმიის შეკრება და მისი უზრუნველყოფისთვის საჭირო მარაგების ფარულად დამზადება, თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ამ პროცესში ათასობით ადამიანი მონაწილეობდა (მეომრები, მომსახურე პერსონალი, სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნები, ვაჭრები და ა.შ.), რის შედეგადაც ინფორმაცია ომისთვის მზადების შესახებ ფართოდ ვრცელდებოდა და ადვილად ხვდებოდა თავდასხმის ობიექტი ქვეყნის წარმომადგენელთა (მსტოვრების, ვაჭრების, დიპლომატების და ა.შ.) ხელში, რომელთა მეშვეობითაც ეს სიახლე ამ ქვეყნის ხელისუფლების ყურამდე აღწევდა. მაგალითად, სტრატეგიული მოულოდნელობის ფაქტორის შექმნა, დიდი მცდელობის მიუხედავად, აშკარად ვერ შესძლო ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ, რომელმაც გიორგი I-თან ომის დაწყების წინ არმიის ალალი სირიის მიმართულებით გააგზავნა და თვითონაც არმიასთან ერთად ჯერ ანტიოქიაში ჩავიდა, რათა შეექმნა მუსლიმებთან ომის შთაბეჭდილება და შემდეგ მოულოდნელად დაძრულიყო საქართველოსკენ, მაგრამ მისი გამოჩენა ტაოს ტერიტორიებზე გიორგისთვის მაინც არ აღმოჩნდა მოულოდნელი და იგი სამხედრო მზადყოფნით დახვდა ბიზანტიურ არმიას.⁸ ასევე ვერ შეძლო სტრატეგიული მოულოდნელობის შექმნა საქართველოში მყოფმა ჯალალ-ად-დინმა კერმანის ემირის წინააღმდეგ, და მიუხედავად იმისა, რომ ალალიცა და ჰარემიც, როგორც სისწრაფის ხელისშემშლელი ელემენტები, თბილისში დატოვა და მხოლოდ მსუბუქი ცხენოსნების თანხლებით ფორსირებული მარშით გაემართა კერმანისკენ, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია, მოწინააღმდეგე მასაც სრულ საბრძოლო მზადყოფნაში დახვდა.⁹

ძალიან ძნელი იყო სტრატეგიული მოულოდნელობის ფაქტორის შექმნა იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც გამართული საზღვრის დაცვის სტრუქტურა გააჩნდა და რომლის მეშვეობითაც იგი მეზობელი ქვეყნების დაზვერვასა და შესაძლო თავდასხმების შესახებ ინფორმაციების მოპოვებას ახდენდა, რაც განაპირობებდა იმ ვითარებას, რომ შუა საუკუნეების მხედარმთავრები სტრატეგიული მოულოდნელობის ნაცვლად, უფრო ტაქტიკური მოულოდნელობის ფაქტორის შექმნას ცდილობდნენ, ეს კი მთლიანად მხედარმთავრის პირად უნარზე, არმიის პროფესიონალიზმსა და სადაზვერვო სამსახურების ეფექტურობაზე იყო დამოკიდებული. ტაქტიკური მოულოდნელობის ფაქტორის შექმნა და მტრულ არმიაზე მოულოდნელი თავდასხმის განხორციელება (სტრატეგიული მოულოდნელობის ფაქტორის მსგავსად) ასევე უაღრესად რთულ სამხედრო ოპერაციას წარმოადგენდა და მისი შესრულება ძირითადად მხოლოდ გამორჩეული უნარის მქონე მხედარმთავრებს შეეძლოთ. იმ პირობებში, როდესაც შუასაუკუნეთა არმიების მოძრაობა და ადგილმდებარეობა საკმაოდ ადვილი დასაფიქსირებელი იყო დღისით მტვრის, რომელიც კოლონის გადაადგილების დროს მეომრების თავზე ღრუბლებად დგებოდა, ხოლო ღამით კოცონების მეშვეობით, რომელთა გარეშეც მეომ-

რები ღამეს ვერ გაათევდნენ, მონინაალმდეგესთან შეუმჩნეველი მიახლოვება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტაქტიკური მოულოდნელობის შექმნა მაინც ხერხდებოდა და შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებაში ბრძოლის წარმოების ყველაზე ეფექტურ მეთოდადაც ითვლებოდა.

ტაქტიკური მოულოდნელობის შექმნის საკმაოდ გავრცელებული მეთოდი იყო მონინაალმდეგისთვის ცრუ მიმართულების ჩვენება და შემდეგ მაქსიმალური სისწრაფის გამოყენებით, მისთვის მოულოდნელ ადგილზე თავდასხმის განხორციელება. მაგალითად, ეს მეთოდი გამოიყენა სალადინმა ჯვაროსნებთან ომის დროს 1184 წელს, როდესაც მან დამასკოდან წელი მოძრაობა დაიწყო კერაკის ციხე-სიმაგრის მიმართულებით, რითაც ჯვაროსნები დააჯერა, რომ ის ამ ციხის ასაღებად მიდიოდა და საშუალება მისცა მათ ამ ციხესთან ძალების კონცენტრირებისა, ხოლო როდესაც დარწმუნდა, რომ ჯვაროსნების ძირითადმა ძალებმა თავი აქ მოიყარეს, მოულოდნელად, და ამასთან ძალიან სწრაფად, მოძრაობის მიმართულება შეცვალა და სანინაალმდეგო მხარეს მდებარე ქალაქი რამლა აიღო, სალადინის მიერ ამ მანევრის შესრულების დროს, ჯვაროსნებს აღარ დარჩათ იმის დრო, რომ ძალთა გადაჯგუფება მოეხდინათ და ბრძოლისთვის მოუმზადებელ რამლასთან მისვლა მოესწოთ.¹⁰ მსგავს მეთოდს (მონინაალმდეგისთვის ცრუ მიმართულების ჩვენებას და შემდეგ მისთვის მოულოდნელ ადგილზე თავდასხმას) ძალიან ხშირად იყენებდა დავით აღმაშენებელი მომთაბარე თურქმენტა ნინაალმდეგ ბრძოლაში.¹¹

ტაქტიკური მოულოდნელობის ფაქტორის შექმნა მხედარმთავრის პირადი უნარის გარდა, არმიის მაღალ ორგანიზებულობას და მეომართა საბრძოლო მომზადების მაღალ ხარისხს მოითხოვდა. მოულოდნელობის ფაქტორის შესაქმნელად არმიას უნდა შეესრულებინა სხვადასხვა მანევრები, რომელთა შორისაც სწრაფი მარშირების უნარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასეთი მანევრის შესრულებისას არმიას უნდა განევითარებინა იმაზე მეტი სისწრაფე, ვიდრე ეს ჩვეულებრივი მარშის პირობებში იყო შესაძლებელი. სწორედ ასეთი უნარი გამოამჟღავნა საქართველოს არმიამ ბასიანის ბრძოლის წინ, როდესაც ჯერ ყარსთან მოახერხა ბასიანში მყოფი მონინაალმდეგისგან ფარულად კონცენტრირება, ხოლო შემდეგ ყარსიდან ბასიანამდე არსებული დისტანციის სწრაფად გავლა და ბრძოლისთვის მოუმზადებელ მონინაალმდეგეზე მოულოდნელად თავდასხმა.¹²

მოულოდნელობის ფაქტორის შესაქმნელად საკმაოდ ხშირად ცდილობდნენ მონინაალმდეგის დეზორიენტირებას ელჩების მეშვეობით, როდესაც ბრძოლის წინ მონინაალმდეგის მიერ გამოგზავნილ ელჩს, უკან გაბრუნების შემდეგ მცირე დისტანციის დაცვით უკან არმიას აყოლებდნენ და მონინაალმდეგეს (რომელიც თავის ელჩს ელოდებოდა ინფორმაციის მისაღებად და ბრძოლისთვის ჯერ მზად არ იყო) მოულოდნელად ესხმოდნენ თავს (იგივე ეფექტი მიიღწეოდა ელჩის დაკავების შემთხვევაში, როდესაც მტერი მის დაბრუნებას უცდიდა და მის ნაცვლად მონინაალმდეგის არმია ჩნდებოდა). ამ მეთოდის ეფექტურობაზე ჯერ კიდევ მავრიკიოსი მიუთითებდა და თავის ტრაქტატში მისი გამოყენების რეკომენდაციას იძლეოდა.¹³ სხვადასხვა წერილობითი წყაროების მიხედვით, შუა საუკუნეების მხედარმთავრები ამ ხერხს საკმაოდ ხშირად იყენებდნენ, მაგალითად, არაბმა სარდალმა საჰაკმა ანისის მეფე აშოტის მიერ გაგზავნილი ელჩი ბანაკში დააკავა და სანამ მონინაალმდეგე მის დაბრუნებას ელოდებოდა, მოულოდნელად დაესხა მას

თავს.¹⁴ გიორგი I-მა ბიზანტიელებს გაუგზავნა ელჩი და სანამ ბასილი II მისი მიღებით იყო დაკავებული, თვითონაც თავს დაესხა მის არმიას.¹⁵ როდესაც რუმის სულთანმა რუქნადინმა თამარ მეფეს თავისი ელჩის ხელით ულტიმატუმი გაუგზავნა და ბასიანში დაბანაკებული მის დაბრუნებას ელოდებოდა, თამარმა ელჩი შეაყოვნა და არმია შეკრიბა, რომელიც ყარსთან დაბანაკდა, საიდანაც ბასიანამდე ერთი დღის სავალი მანძილი იყო. ყარსიდან ელჩი გაუშვეს და ქართული არმია (მცირე დისტანციით) უკან გააყოლეს, რაც რუქნადინისთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა.¹⁶ ანალოგიურად მოიქცა თემურ-ლენგი ოქროს ურდოსთან ომის დროს, როდესაც უკან გაბრუნებულ მონღოლთა ელჩს ერთი დღის დისტანციით არმია გააყოლა უკან და მოულოდნელი თავდასხმით მტერი დაამარცხა.¹⁷

მოულოდნელობის ფაქტორის შექმნის ძალზედ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა ჩასაფრება, რომლის ორგანიზების აუცილებლობის შესახებაც შუა საუკუნეების სამხედრო ტრაქტატები არაერთხელ მიუთითებდა.¹⁸ ჩასაფრებისთვის იდეალურ გარემოს მთა-გორიანი რელიეფი წარმოადგენდა, სადაც საკმაოდ ადვილი იყო სამხედრო რაზმების მთებში გამავალი გზების სიახლოვეს მდებარე სიმაღლეებზე განლაგება და მოულოდნელი თავდასხმა მარშით მიმავალ მტრის კოლონაზე, რა შემთხვევაშიც მისი დამარცხება თითქმის გარდაუვალი იყო. მაგალითად, აღნიშნული მეთოდი სრული წარმატებით გამოიყენა დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლის დროს,¹⁹ ისევე როგორც რუმის სელჯუკებმა მირიოკეფალის ბრძოლაში, სადაც მათ ბიზანტიური არმია გაანადგურეს.²⁰

ჩასაფრებას განსაკუთრებით ხშირად იყენებდნენ მომთაბარეული არმიები, რომლებიც საბრძოლო პოზიციებიდან საკმაოდ შორს ტოვებდნენ გარკვეული რაოდენობის მეომრებს და ბრძოლის დაწყების შემდეგ, უკანდახევის იმიტაციით ჩასაფრების ადგილისკენ ღრმად იტყუებდნენ უკვე თავის გამარჯვებაში დარწმუნებულ მონინალმდეგეს, რის შემდეგაც მოულოდნელი დარტყმით ანადგურებდნენ გრძელ დისტანციაზე გაფანტულ, საბრძოლო წყობა დაკარგულ მტერს. მაგალითად, ამგვარი ტაქტიკით დაამარცხეს მონღოლმა სარდლებმა, ჯებემ და სუბუდაიმ ჯერ ქართული, ხოლო შემდეგ რუსულ-ყივჩალური არმიები.²¹ განსაკუთრებული ეფექტურობით ორმაგი ჩასაფრება გამოირჩეოდა, რომელიც გამოიყენა, მაგალითად, ალექსი კომნენოსის მოკავშირე სელჯუკთა რაზმმა ნიკიფორ ვრიენოსის წინააღმდეგ ბრძოლაში. სელჯუკები ბრძოლის დაწყების წინ გაიყვნენ სამ ნაწილად, ორი მათგანი სხვადასხვა ადგილზე ჩასაფრდა, ხოლო მესამემ იერიში მიიტანა მტერზე და შემდეგ პირველი ჩასაფრებისკენ გაიტყუა მონინალმდეგე. აქ გამართულ ბრძოლაში სელჯუკებმა კვლავ დამარცხების იმიტაცია გაითამაშეს და მეორე ჩასაფრებისკენ დაიხიეს, სადაც პირველ ჩასაფრებაში დაზარალებული მონინალმდეგე უკვე საბოლოოდ გაანადგურეს.²²

საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მტრის ჩასაფრებაში შესატყუებლად და შესაბამისად მოულოდნელობის ფაქტორის შესაქმნელად, მონინალმდეგის პროვოცირების სხვადასხვა ხერხებს იყენებდნენ. მაგალითად, დავით აღმაშენებელმა თბილისში მყოფი სელჯუკთა სამხედრო რაზმის გასანადგურებლად, ქალაქის სიახლოვეს ჩასაფრება მოაწყო და ქალაქიდან მათ გამოსატყუებლად, თავის მეომრებს თბილისელების ნახირი მოატაცებინა.²³ ანალოგიური მეთოდი გამოიყენეს მონღოლებმა ქალაქ ნიშაპურთან, როდესაც მეომართა მცირე რაზმმა გაიტაცა აქლემების ჯოგი, ხოლო მათ მდევრად გამოსული 1000 ხორეზმელი მეომარი მონღოლთა ჩასაფრებაში მოჰყვა.²⁴ 1204 წლის ადრიანოპო-

ლის ბრძოლაში, ბულგარეთის არმიის შემადგენლობაში მყოფი ყივჩაღები თავს დაესხნენ ბანაკად მდგომი ჯვაროსნების ცხენების რემას, რომელიც საძოვარზე იყო გაშვებული და მათ უკან დასაბრუნებლად ბანაკიდან გამოსული ჯვაროსნები ჩასაფრებაში შეიჭყუეს.²⁵ საკმაოდ ორიგინალურად ცდილობდნენ მუსლიმთა ქალაქ შეიზარიდან გამოტყუებას ანტიოქიელი ჯვაროსნები, მათ ქალაქის კარიბჭესთან გააგზავნეს მხედართა მცირე რაზმი, რომლებმაც (თითქოს არ იცოდნენ თუ სად იმყოფებოდნენ) ჯერ იკითხეს თუ რა ქალაქი იყო ეს, ხოლო როდესაც პასუხი მიიღეს, ჭიშკარს ისრები დაუშინეს და მუსლიმების ქალაქიდან გამოსატყუებლად უკან გაქუსლეს, თუმცა მუსლიმები ამ ფანდს არ წამოეგნენ.²⁶

იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა, რომ ჩასაფრების მომწყობებს აქეთ იტყუებდნენ საკუთარ ჩასაფრებაში და ამ ორმაგი მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენებით ანადგურებდნენ მათ. მაგალითად, ასეთი რამ მოხდა ფრიდრიხ ბარბაროსას მცირე აზიაში ყოფნის დროს, როდესაც რუმის სელჯუკებმა ერთ-ერთ ვინრო ხეობაში, სადაც ჯვაროსნებს უნდა გაეელოთ, ჩასაფრება მოაწყეს. ბარბაროსამ დაზვერვის მეშვეობით ამის შესახებ წინასწარ შეიტყო, რის შემდეგაც იგი არ შევიდა აღნიშნულ ხეობაში და მის სიახლოვეს სამხედრო ბანაკი გაშალა. გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ ბარბაროსას არმიის ძირითადმა ნაწილმა ბანაკი დემონსტრატულად დატოვა და მარში სხვა მიმართულებით დაიწყო, მცირე ნაწილი კი ფარულად ბანაკში დარჩა. სელჯუკები, რომლებსაც ბანაკი ცარიელი ეგონათ, გამოვიდნენ ჩასაფრებიდან და შევიდნენ ბანაკის ტერიტორიაზე, სადაც მოულოდნელი თავდასხმის ობიექტები გახდნენ, რასაც უკან მობრუნებული სამარშო კოლონის შეტევა დაემატა და ისინი ორმაგი დარტყმის ქვეშ მოექცნენ, რომლის დროსაც სელჯუკთა არმია მთლიანად განადგურდა.²⁷

მოულოდნელობის ფაქტორი ასევე ძალიან ეფექტურად იქმნებოდა, როდესაც ხერხდებოდა მონინაალმდეგეზე თავდასხმა მისი დაბანაკების, ან ბანაკის დატოვების (მარშის დაწყების) პროცესში, რაც საკმაოდ რთულად შესასრულებელი ოპერაცია იყო. იმისთვის, რომ ასეთი თავდასხმის ორგანიზება შესაძლებელი გამხდარიყო, საჭირო იყო მონინაალმდეგის დაზვერვის შეცდომაში შეყვანა და საკუთარი არმიის სწრაფი და ფარული გადაადგილება, რასაც შედეგად, როგორც წესი, დაბნეული მონინაალმდეგის განადგურება მოსდევდა. მაგალითად, ზუსტად ასეთი შედეგი დადგა, როდესაც დავით აღმაშენებელმა მოახერხა ასეთი თავდასხმის განხორციელება სელჯუკთა რიცხვმრავალ არმიაზე თრიალეთთან იმ მომენტში, როდესაც მტერი გამთენიისას ბანაკს ტოვებდა.²⁸ ანალოგიური იყო ანტიოქიის მთავარ როჯერის მოქმედება და ბრძოლის შედეგი მუსლიმთა არმიის წინააღმდეგ ტელ-დანისის ბრძოლაში 1115 წელს, როდესაც როჯერი მტერს დაბანაკების მომენტში დაესხა თავს და მოულოდნელობისგან დაბნეული სელჯუკები გაანადგურა.²⁹

მონინაალმდეგის დემორალიზება

მონინაალმდეგის ნების გატეხვა, საბრძოლო განწყობის დაქვეითება და შიშის სინდრომის შექმნა, შუასაუკუნეებში სამხედრო წარმატების მიღწევის ერთ-ერთი პირობა იყო და ძალისმიერ მეთოდებთან ერთად, მონინაალმდეგეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებითაც მიიღწეოდა. სალადინის თანამედროვე მუსლიმი მემატიანე აბუ ბაქრ ალ-ჰარავი წერდა, რომ როდესაც მტრებს სალადინის ეშინოდათ, ის მათზე უკვე ბრძოლამდე ხდებოდა გამარჯვებული. ბრძოლამდე მონინაალმდეგის ნების გატეხვა და მისი დემორალიზება შესაძლებელი იყო იმ შემთხვევებში,

თუ მოხერხდებოდა მისი დარწმუნება იმაში, რომ შემდგომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა და რომ მისი გაგრძელების შემთხვევაში მათ საშინელი ბედი ელოდათ. ამის შესაბამისად, რაც უფრო არგუმენტირებულად მოხერხდებოდა მონინალმდეგის დაჯერება მათი ფატალური ბედის გარდაუვალობაში, მით უფრო ნაკლები წინააღმდეგობის გარეშე ხერხდებოდა გამარჯვების მოპოვება.

შუასაუკუნეებში მონინალმდეგის დემორალიზების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და გავრცელებული საშუალება, მათი რიგებიდან გარკვეული რაოდენობის მეომართა საჯარო სიკვდილით დასჯა იყო, რაც როგორც წესი, მონინალმდეგისთვის მოჭრილი თავების დემონსტრირებით მთავრდებოდა, ეს კი დანარჩენებზე დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენდა და ძალიან ხშირად ციხის ალყისა, თუ საველე ბრძოლის ბედს განსაზღვრავდა.² მაგალითად, კუნძულ კრეტის ქალაქ ირაკლიონის ალყის დროს, ნიკიფორე ფოკამ ტყვედ ჩავარდნილ არაბ მეომრებს თავები მოჭრა და მათი ნაწილი კატაპულტებით ქალაქში გადაისროლა, ნაწილი კი სარებზე ჩამოაცვა და ქალაქის გალავნის წინ გარნიზონის დასანახად „გამოფინა.“³ ანალოგიურად მოიქცნენ ჯვაროსნები ნიკეის ალყის დროს, როდესაც ტყვედ ჩავარდნილი სელჯუკების მოჭრილი თავები შუბებზე წამოაცვეს და ასე დაიწყეს იერიში ქალაქის დამცველთა წინააღმდეგ,⁴ ისევე როგორც სირიის სელჯუკი მმართველი ტუტუში, რომელსაც ედესა არ ნებდებოდა. ტუტუშმა მასთან ტყვედ მყოფ ედესის ემირს თავი მოჭრა და გარნიზონს „გადაუგზავნა.“⁵ იაჰია ანტიოქიელის მიხედვით, ასევე „მოჭრილი თავით“ ცდილობდა გიორგი I-ს დემორალიზებას ბასილი II, რომელმაც აჯანყებული ბიზანტიელი დიდებული ნიკიფორე ფოკა (ბარდა ფოკას შვილი), რომელსაც იგი გიორგის მოკავშირედ თვლიდა, სიკვდილით დასაჯა და მისი თავი გიორგის გაუგზავნა.⁶

მონინალმდეგის დემორალიზებისთვის ასევე ეფექტური მეთოდი იყო, სიკვდილით დასჯის მუქარა, რა მიზნითაც მას ხშირად აყენებდნენ მძიმე არჩევანის წინაშე, ისინი ან უნდა დანებებულიყვნენ, ან კიდევ ტყვედ მყოფი მათთვის მნიშვნელოვანი პირების ნამებისა და სიკვდილით დასჯისთვის ეყურებინათ. მაგალითად, ალექსის ემირმა ბალაკმა, 1124 წელს ქალაქ მანბიდჯის ალბის მცდელობისას, ქალაქის ემირი გააშიშელა და გარნიზონის თვალწინ ეკლიან ლობეებს შორის ატარა,⁷ ისევე როგორც მოსულის ემირმა ზენგიმ, რომელმაც ჰიმსის ალყის დროს ქალაქის ემირი თივით სასვე ტომარაზე გააშიშვლებული დააბა და მცხუნვარე მზის ქვეშ ამყოფებდა.⁸ როდესაც რუმის სელჯუკებს ტყვედ ტრაპიზონის პირველი იმპერატორი ალექსი კომნენოსი ჩაუვარდათ, მათი დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამით და ალექსის სიცოცხლის სანაცვლოდ სინოპი აიღეს.⁹ აღნიშნულ მეთოდს (ამ შემთხვევაში ძელზე გასმას¹⁰) ხშირად იყენებდა საქართველოს მეფე ბაგრატ IV, რომელმაც განძის ემირის ხელში მყოფი თბილისის გარნიზონი, მასთან ტყვედ მყოფი ემირის სიცოცხლის საფასურად აიძულა დანებებულიყო,¹¹ ისევე როგორც კლდეკარის ციხის დამცველები, რომლებმაც მხოლოდ მას შემდეგ ჩააბარეს ციხე ბაგრატს, რაც ამ უკანასკნელმა ლიპარიტ ბაღვაში და მისი შვილი ივანე ძელზე გასვა.¹²

შუასაუკუნეებში მონინალმდეგის დემორალიზებისთვის იყენებდნენ მასიური ტერორის მეთოდსაც, როდესაც რომელიმე დაპყრობილ ქალაქსა თუ ციხესიმაგრეში მყოფებს ტოტალურად ანადგურებდნენ, რათა სხვა სიმაგრეების გარნიზონებსა და მოსახლეობას წინააღმდეგობის განხორციელების სურვილი დაჰკარგოდათ. ომის წარმოების ეს მეთოდი (რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „შერჩევითი

ტერორის“ სახელითაა ცნობილი) განსაკუთრებით დამახასიათებელი მონოლოური არმიებისთვის,¹³ თუმცა სხვებიც საკმაოდ ხშირად იყენებდნენ. გარდა შერჩევითი ტერორისა, არსებობდა მონინალმდეგის დემორალიზების უფრო „მშვიდობიანი“ მეთოდებიც, როდესაც სხვადასხვა გზით მტერს წინააღმდეგობის გაგრძელების უაზრობაში არწმუნებდნენ. მაგალითად, არაბმა სარდალმა ალ-აფშინმა ბაბეკის ელჩს სპეციალურად დაათვალიერებინა საკუთარი პოზიციები, რათა ის არაბული არმიის სიძლიერეში დარწმუნებულიყო,¹⁴ ეგვიპტის სულთანმა კალაუნმა, მარგატის ძლიერი ციხე-სიმაგრის ალყის დროს, მას შემდეგ რაც მოახერხა ციხის კედლების მინირება, სიმაგრეს დამცველი რაინდები მოლაპარაკებაზე მიიწვია და გალავნის ქვემოთ გაყვანილი თხრილი აჩვენა, რის შემდეგაც რაინდებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტეს წინააღმდეგობა და ციხე მამლუქებს ჩააბარეს.¹⁵ ალექსი კომნენოსმა ნიკეის ალებისა და იზმირის ემირის ჩაკანის ქალიშვილის (რუმის სულთან ყილიჩ-არსლანის მეუღლის) ტყვედ აყვანის შემდეგ, იგი იზმირის საემიროს წინააღმდეგ გაგზავნილ ბიზანტიურ არმიას გააყოლა და არმიის მეთაურებს დაავალა, რომ იგი იმ ქალაქების კომენდანტებისთვის ეჩვენებინათ, რომლებიც ბიზანტიელებს წინააღმდეგობას გაუწევდნენ.¹⁶ ანალოგიურად იქცეოდნენ სელჯუკები განძის ალყის დროს, როდესაც განძის ემირზე (ფადლონზე) ზემოქმედების მიზნით სელჯუკთა დიდმა ვეზირმა ნიზამ ალ-მულკმა ემირის ოჯახის დაპატიმრების ბრძანება გასცა¹⁷ და ა.შ.

ხმების გავრცელების სტრატეგია.
მოვიყვანოთ მაგალითები...

საველე ბრძოლების წარმოების ტაქტიკა

ბრძოლის დაწყების შემდეგ, როდესაც მონინალმდეგეთა არმიები ხელჩართულ შეტაკებაში ებმებოდნენ, ბრძოლის მართვა უკიდურესად რთულდებოდა, რის გამოც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ გადაწყვეტილებების სისწორეს, რომლებსაც მხედართმთავრები ბრძოლის წინ იღებდნენ. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდის მონინალმდეგის შეცდომაში შეყვანა წარმოადგენდა.

მონინალმდეგის შეცდომაში შეყვანა მიზნად ისახავდა მისთვის ყალბი წარმოდგენების შექმნას ძალთა არსებულ შეფარდებასა და ოპერატიულ ვითარებაზე, რის შედეგადაც მას უნდა მიეღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მისთვის არახელსაყრელი იქნებოდა. ამ ამოცანის მისაღწევად, შუა საუკუნეების მხედართმთავრები სხვადასხვა ხერხს (დეზინფორმაციას, ცრუ მანევრებს და ა.შ.) იყენებდნენ, ხშირად ძალიან გონებადამხვილურს და მტრისთვის მოულოდნელს. მაგალითად, კირაკოს განძელს აღწერილი აქვს შემთხვევა, როდესაც არაბული არმიის პირისპირ ბანაკად მდგომმა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე კავალინმა (741-775 წწ.) ბრძანება გასცა, რომ ბანაკში შეეგროვებინათ ფეკალიები და მდინარეში ერთად ჩაეყარათ, რათა არაბებს, რომელთა ბანაკის გვერდითაც მდინარე ფეკალიების მასას ჩაატარებდა, დარჩენოდათ შთაბეჭდილება, რომ მათ წინააღმდეგ ბიზანტიელთა იმაზე დიდი არმია იდგა ვიდრე ის სინამდვილეში იყო. კირაკოსის მიხედვით კონსტანტინემ მიზანს მიაღწია, არაბებმა მისი არმია უფრო ძლიერად მიიჩნიეს და ბრძოლას თავი აარიდეს.¹ როდესაც პირველი ჯვაროსნული

ლაშქრობის საწყის პერიოდში პეტრე მეუდაბნოეს უდისციპლინო არმია მცირე აზიაში გადავიდა და სელჯუკთა ტერიტორიების დარბევა დაიწყო, სელჯუკებმა ნიკეისკენ (რომელიც ჯვაროსანთა მიზანს წარმოადგენდა) მიმავალ გზაზე ჩასაფრება მოაწყეს, რის შემდეგაც პეტრეს ბანაკში შეაგზავნეს აგენტები, რომლებმაც დაიწყეს ხმების გავრცელება, რომ პეტრეს არმიაზე წინ წასულმა ჯვაროსანთა რაზმებმა (რომლებიც ამ დროისთვის უკვე განადგურებულნი იყვნენ) ნიკეა აიღეს და დიდძალი ნადავლი იპოვნეს. ამ ხმების გავრცელების შემდეგ ჯვაროსნების დიდი ნაწილი ნიკეისკენ დაიძრა და წინასწარ მოწყობილ ჩასაფრებებში განადგურდა.² მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად, განსაკუთრებით გავრცელებულ ხერხს ბანაკში იმაზე ბევრად მეტი კოცონის დანთება წარმოადგენდა, ვიდრე ის მეომართა არსებული რაოდენობისთვის იყო საჭირო, რის შედეგადაც მოწინააღმდეგის მზვერავეებს (მოთვალთვალეებს) რჩებოდათ იმის შთაბეჭდილება, რომ მათ წინააღმდეგ დიდი არმია იდგა, რაც ბუნებრივია, ბრძოლის წინა გადაწყვეტილებებზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა. აღნიშნულ მეთოდს ხშირად იყენებდნენ როგორც ფეოდალური ასევე მომთაბარული არმიები: ბიზანტიელები,³ ჯვაროსნები,⁴ სელჯუკები,⁵ მონღოლები⁶ და ა.შ. იგივე მონღოლები ხანდახან მიმართავდნენ სხვა მეთოდებსაც, მაგალითად, სათადარიგო ცხენებზე სვავდნენ ფიტულებს და მათთან ერთად იწყებდნენ საბრძოლო მოქმედებებს, რაც მოწინააღმდეგეს უქმნიდა იმის შთაბეჭდილებას, რომ მონღოლთა არმია განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო.⁷ იყო შემთხვევები როდესაც მტრის მოსატყუებლად იყენებდნენ მათ დროშებსა და ტანსაცმელს, როგორც ეს გააკეთა, მაგალითად, ალექსი კომნენოსმა 1091 წელს პაჭანიკებთან ომის დროს, მან თავის მეომრეებს ჩააცვა მათი ტანსაცმელი და მათივე დროშებით ხელში შეტყევაზე გადაიყვანა.⁸

როგორც იყო აღნიშნული, ბრძოლის წინ მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა საბოლოო წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა, მაგრამ ასეთი ეფექტის მიღწევა, ბუნებრივია, ყოველთვის არ ხერხდებოდა, მით უმეტეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაპირისპირებული არმიები კარგად იცნობდნენ ერთმანეთის ბრძოლის წარმოების მეთოდებს, ამიტომ ბრძოლების მიმდინარეობას, უმრავლეს შემთხვევებში, მათი წარმოების ის გეგმები განსაზღვრავდნენ, რომელსაც მხედარმთავრები არსებული საბრძოლო საშუალებებიდან და კონკრეტული ოპერატიული ვითარებიდან გამომდინარე ბრძოლის წინ ადგენდნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბრძოლის ველის სწორად შერჩევა, არმია, რომელიც აიძულებდა მოწინააღმდეგეს ბრძოლა ისეთ ადგილში მიეღო, რაც მისი საბრძოლო შესაძლებლობებისთვის იყო ეფექტური (მაგალითად, გაშლილი ველი ცხენოსნებისთვის, მთის რელიეფი ქვეითებისთვის და ა.შ.), და შესაბამისად, მოწინააღმდეგისთვის არახელსაყრელი, როგორც წესი, ბრძოლას იგებდა. საბოლოო შედეგისთვის ბრძოლის ველის სწორად შერჩევას იმდენად უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საკმაოდ ხშირად ერთმანეთის წინ მდგომი არმიები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათ მიერ დაკავებული პოზიცია არ იყო ხელსაყრელი ბრძოლის საწარმოებლად (ან როდესაც მიიჩნევდნენ, რომ მტერს უკეთესი პოზიცია გააჩნდა), ბრძოლას ან დიდხანს არ იწყებდნენ და ერთმანეთის მოძრაობას ელოდებოდნენ, ან კიდევ ეცლებოდნენ მოცემულ ადგილს და ბრძოლას საერთოდ არ მართავდნენ. მაგალითად, ზუსტად ასე მოხდა 990 წელს, დავით კურაპალატის მიერ მანციკერტის დაკავების შემდეგ, როდესაც

მუსლიმებმა მას ქალაქის დატოვება მოსთხოვეს და დიდი არმით მის წინააღმდეგ დაიძრნენ, კურაპალატის არმიამ ისეთი ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა, რომ მონინააღმდეგემ ბრძოლის დაწყება ვერ გაბედა და უკან გაბრუნდა.⁹ მსგავსი შედეგები ძალიან ხშირად დგებოდა სხვადასხვა ომების დროს, რაზედაც ნერილობითი წყაროების მრავალრიცხოვანი ცნობები მიუთითებენ. მაგალითად, ქამალ ადდინის მიხედვით, 1122 წელს, ზარდანის ციხესთან მარდინის ემირის ილ-ლაზისა და ჯვაროსნების არმიები ორი თვე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და რამდენადაც ბრძოლის დაწყება ვერც ერთმა ვერ გაბედა, საბოლოოდ უბრძოლველად დაშორდნენ ერთმანეთს.¹⁰ იგივე შედეგი დადგა ერთი წლის შემდეგ, როდესაც მიხეილ სირიელის მიხედვით, ერთმანეთს ალექსოზ ემირის ბალაქისა და ანტიოქიის სამთავროს არმიები დაუპირისპირდნენ. ისინი ოთხი თვე იდგნენ ერთ ადგილზე და რამდენადაც არც ერთ მხარეს არ სურდა თავისი პოზიციის დატოვება და მტერზე შეტევა, ამდენად ერთმანეთს ასევე ბრძოლის გარეშე დაშორდნენ.¹¹ ანა კომნენოსს აღწერილი აქვს მრავალი შემთხვევა, როდესაც ანალოგიური მიზეზით ბიზანტიელები და მათი მონინააღმდეგეები ბრძოლას არ იწყებდნენ, მაგალითად, პაჭანიკებთან ომის დროს, ბიზანტიელი მხედარმთავარი ტატიკიოსი სამი დღის განმავლობაში აწყობდა საბრძოლველად არმიას და ელოდებოდა მტრის შეტევას, მაგრამ პაჭანიკები ამას არ აკეთებდნენ იმის გამო, რომ ბიზანტიელთა მიერ დაკავებული რელიეფი მათი ცხენოსნების სამოქმედოთ არახელსაყრელი იყო.¹² ზუსტად იგივე ვითარებაა მოცემული ანა კომნენოსის იმ ცნობებშიც, სადაც იგი აღწერს რუსიისა და ანხილის ბრძოლებს პაჭანიკებთან და ყივჩალებთან, რომელთა დროსაც მონინააღმდეგეები ასევე უბრძოლველად დაშორდნენ ერთმანეთს.¹³

სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი ტაქტიკა, როდესაც არმიის მიერ სწორად დაკავებული პოზიციის გამო მისი მონინააღმდეგე უარს ამბობდა ბრძოლის გამართვაზე და უკან ბრუნდებოდა, პირველ რიგში, დამცველი მხარისთვის იყო ხელსაყრელი. როდესაც 990 წელს, დავით კურაპალატმა სწორად დაკავებული პოზიციის მეშვეობით აიძულა მუსლიმური კოალიცია უბრძოლველად დაეტოვებინა მისი ტერიტორიები, ამით ის დარჩა მოგებული, რადგან ადამიანური დანაკარგებისა და დიდი მატერიალური ზარალის გარეშე შეინარჩუნა დაკავებული ტერიტორიები (ე.ი. უსისხლოდ გაიმარჯვა ომში), ხოლო მონინააღმდეგემ ომი წააგო და დასახული მიზნების მიღწევის გარეშე იძულებული გახდა დაბრუნებოდა საწყის პოზიციებს. რასაკვირველია, მონინააღმდეგის იძულება, რომ მას უბრძოლველად დაეტოვებინა ბრძოლის ველი, დიდ სამხედრო მიღწევას წარმოადგენდა, მაგრამ ბევრად ეფექტური შედეგი დგებოდა, როდესაც ხერხდებოდა მონინააღმდეგისთვის არახელსაყრელ ადგილზე ბრძოლის გამართვა, ასეთ შემთხვევებში, უფრო მასშტაბური და მყარი შედეგები მიიღწეოდა. სწორედ ასეთ მასშტაბურ შედეგს მიაღწია იგივე დავით კურაპალატის არმიამ გაბრიელ ოჩოპინტრეს ძის მეთაურობით 998 წელს, როდესაც აიძულა მუსლიმური კოალიციის სარდალი ემირი მამლანი, მისთვის უაღრესად არახელსაყრელ ადგილზე მიეღო ბრძოლა, რომელიც მუსლიმების გამანადგურებელი დამარცხებით დამთავრდა.¹⁴ იგივე შედეგები დგებოდა თითქმის ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრძოლის გამართვა ერთ-ერთი მხარისთვის ხელსაყრელ ადგილში იმართებოდა, მაგალითებად შეიძლება მითითებული იქნეს დიდგორის,¹⁵ მონგისარდის,¹⁶ ჰატიჩის¹⁷ და სხვა ცნობილი

ბრძოლები, სადაც იმ არმიებმა, რომელებიც მათთვის არახელსაყრელ ადგილზე აიძულეს ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში, სასტიკი დამარცხება განიცადეს.

როგორც აღვნიშნეთ, უშუალოდ ბრძოლის დაწყების შემდეგ, მისი მართვა ძალიან რთული პროცესი ხდებოდა, რადგან თითქმის შეუძლებელი იყო მონი-ნაალმდეგესთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩართულ მეომრებამდე ახალი ბრძანებე-ბის დაყვანა (ბრძოლის გამაყრუებელ ხმაურში ხმოვანი სიგნალების სწორად გაგება საკმაოდ რთული, ხოლო დროშების მოძრაობის დანახვა საერთოდ შეუ-ძლებელი იყო) და მათი შესრულება, პრაქტიკულად, წარმოუდგენელი იყო, ამი-ტომ ბრძოლის მიმდინარეობის ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, რომელთა წინას-წარ გათვლაც შესაძლებელი იყო, ბრძოლის წინ უნდა მომხდარიყო. საბრძოლო გეგმის შედგენა და მისი დეტალების სხვადასხვა რანგის მეთაურებამდე დაყვანა, წარმატების მისაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო, მაგალითად, იოანე კინამოსის მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორი მანუელ კომნენოსი ბრძო-ლის წინ წერილობით ბრძანებებს ადგენდა, სადაც დეტალურად იყო განერილი თუ თითოეულ სამხედრო რაზმს საბრძოლო სიტუაციაში რა უნდა გაეკეთებინა,¹⁸ ანა კომნენოსს თავისი თხზულების არაერთ ეპიზოდში აქვს აღწერილი თუ როგორ გეგმავდა ბრძოლას ალექსი კომნენოსი და როგორც აძლევდა ინსტრუქციებს სამხედრო დანაყოფების მეთაურებს,¹⁹ გიიას ად-დინ ალი მიუთითებდა თემურ-ლენგის ბრძოლის წინა სამხედრო თათბირების შესახებ ინდოეთში ლაშქრობის დროს,²⁰ ხოლო ვალტერ გოტიეს ცნობებში აშკარად ჩანს დავით აღმაშენებლის მიერ შედგენილი საბრძოლო გეგმის დეტალები დიდგორის ბრძოლის წინ.²¹

ბრძოლის დაგეგმვისას, ნებისმიერი არმია იმ ტაქტიკური სქემების გამოყენ-ებას ცდილობდა, რომელთა ეფექტური შესრულებაც მისი შეიარაღების, არმიის შემადგენლობისა და მისთვის დამახასიათებელი ბრძოლის წარმოების მეთოდე-ბის შესაბამისად იყო შესაძლებელი. მაგალითად, როდესაც ალექსი კომნენოსს ცხენოსან არმიებთან უწევდა ბრძოლა, ის ყოველთვის აძლევდა ინსტრუქციას თავის მეომრებს, რომ პირველ რიგში მონიანალმდეგის ცხენები გაენადგურე-ბინათ.²² როდესაც ბიზანტიელები სავსე ბრძოლაში შეხვდნენ უნგრელთა არმი-ას, რომელიც მძიმე ცხენოსნების მჭიდრო წყობით იბრძოდა, ბიზანტიელმა სარდალმა ანდრონიკ კონტოსტეფანმა დავალება მისცა მსუბუქ ცხენოსან მოის-ართა რაზმებს, რომ თავს დასხმოდნენ მონიანალმდეგეს და როდესაც ის მათ დევ-ნას დაიწყებდა, უკანდახევა არა პირდაპირ საკუთარი პოზიციებისკენ, არამედ ბიზანტიელთა საბრძოლო წყობის წინ ირიბად დაეწყოთ, რათა მათი მდეურები ფართოდ გაშლილიყვნენ და საბრძოლო წყობის მჭიდრო რიგები დაერღვიათ, რის შემდეგაც ბიზანტიელთა ძირითად ძალები მონიანალმდეგეზე მასიური შეტევის დაწყების შესაძლებლობას მიიღებდნენ.²³

რასაკვირველია, ბრძოლის წინ ყველა დეტალის გათვალისწინება ვერ ხერხდე-ბოდა, ამიტომ ბრძოლის სასურველი მიმართულებით წარმართვისა და რიგ შემთხ-ვევებში მონიანალმდეგის მოულოდნელობებზე რეაგირებისთვის, ყოველთვის სასურველი იყო რეზერვის შექმნა, რომლის მეშვეობითაც მხედარმთავარს შეე-ძლებოდა ბრძოლის მიმდინარეობაზე ზემოქმედება. რეზერვი ნიშნავდა უშუალოდ მხედარმთავრის განკარგულებაში მყოფ სამხედრო რაზმს, რომელიც ბრძოლის დაწყების მომენტში ზურგში რჩებოდა და ბრძოლაში მაშინ ერთვებოდა, როდესაც ამას საჭიროდ მხედარმთავარი ჩათვლიდა. რეზერვის მეშვეობით შესაძლებელი იყო ბრძოლაში ჩაბმული მტრის წინააღმდეგ მოულოდნელი მანევრის შესრულება,

მაგალითად, ფლანგებზე შემოვლა და ზურგში დარტყმა, რაც, როგორც წესი, მონინალმდეგის დემორალიზებასა და დამარცხებას იწვევდა, ასეთი მანევარი განახორციელა შამქორის ბრძოლის დროს დავით სოსლანმა, როდესაც მის პირად რეზერვში დატოვილი რაზმით შემოუარა ბრძოლის ველს და ზურგში დაარტყა მტრის უფრო მრავალრიცხოვან არმიას, რითაც ბრძოლის ბედი გადაწყვიტა.²⁴

შუასაუკუნეებში სავლელ ბრძოლის წარმოების ზოგადი ტაქტიკური სქემა, არმიის სამ მთავარ ნაწილად, ცენტრითა და ფლანგებით განლაგებას გულისხმობდა, სადაც ცენტრი, როგორც წესი, ბრძოლის სამეთაურო პოზიციასა და საბრძოლო წყობის ყველაზე ძლიერ ნაწილს წარმოადგენდა. წერილობითი წყაროების მიხედვით, შუა საუკუნეების ბრძოლების უმრავლესობა სწორედ ასეთი საბრძოლო სქემით მიმდინარეობდა, ბრძოლის ველზე ცენტრს და ფლანგებს ქმნიდნენ არაბული,²⁵ სელჯუკური,²⁶ ხორეზმული,²⁷ ბიზანტიური,²⁸ ქართული,²⁹ ჯვაროსნული,³⁰ მონღოლური³¹ და სხვა არმიები. არმიის ამგვარი განლაგება არ გულისხმობდა იმას, რომ წყობის სამივე ნაწილი (ცენტრი და მარჯვენა და მარცხენა ფლანგები) ერთ მთლიან მასიურ მასას წარმოადგენდა, ძალიან ხშირად ცენტრი და ფლანგები ცალკეული ტაქტიკური ერთეულებით დგებოდა, რომლებიც დამოუკიდებლად იმართებოდნენ და ავტონომიური მოქმედება შეეძლოთ. მაგალითად, სავეს ბრძოლის აღწერისას ნიკიტა ხონიატი აღნიშნავდა, რომ ამ ბრძოლაში უნგრელთა სარდალმა თავისი არმიის ფლანგები ერთიან მასად განალაგა და არ დაჰყო ცალკეულ რაზმებად, რაც დიდი შეცდომა იყო და უნგრელებს ბრძოლის წაგებად დაუჯდათ.³² ბრძოლის მიმდინარეობის საბოლოო შედეგზე მრავალი ფაქტორი: მეომართა რაოდენობა, შეიარაღების ხარისხი, საბრძოლო სულისკვეთება და ა.შ. ახდენდა ზეგავლენას, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ბრძოლის სწორად დაგეგმვა, ბრძოლის ველის შერჩევა, სწორი საბრძოლო წყობის მიღება, რეზერვების ეფექტურად გამოყენება და სხვა მსგავსი გარემოებები, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, ბრძოლის სწორი ხელმძღვანელობა იყო, რასაც მხედარმთავართა პიროვნული ღირსებები განაპირობებდა.

ფეოდალური არმიების (განსხვავებით მომთაბარულისგან) ბრძოლის დამამთავრებელ ეტაპს ის მომენტი წარმოადგენდა, როდესაც მონინალმდეგის საბრძოლო წყობა იშლებოდა და მისი შემადგენელი რაზმები, თუ ცალკეული მეომრები, ბრძოლის ველიდან გასვლას ცდილობდნენ. ასეთ შემთხვევაში იწყებოდა გაქცეული მონინალმდეგის დევნა და დაქსაქსული ჯგუფების განადგურება, დევნა შეიძლებოდა საკმაოდ დიდ დისტანციაზე გაგრძელებულიყო, მაგრამ ალყით იშვიათად მთავრდებოდა. შუასაუკუნეებში, დამარცხებული და საბრძოლო წყობა დაკარგული მონინალმდეგის ალყაში მოქცევას ნაკლებად ცდილობდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში წინააღმდეგობის ხარისხი მკვეთრად მატულობდა და მას შეიძლებოდა ბრძოლის ბედი სანინალმდეგო მხარეს შეეტრიალებინა. მაგალითად, ვენეციელი კატერინო ძენო წერდა, რომ: „გაქცეულ მტერს ოქროთი უნდა მოუკირწყლო გზა და ვერცხლის ხიდები აუგო, რათა საბოლოოდ დაგთანხმდეს შენს სურვილზე, დაკარგოს მთელი ალტკინება და ბრძოლის უნარი.“³³ როდესაც ყარა-კიტაელებმა სელჯუკთა დიდი სულთანი სანჯარი დაამარცხეს სამარყანდის ბრძოლაში, მის მონინალმდეგეს მისი არმიის ნარჩენებისთვის ალყის შემორტმა შეეძლო, რაზედაც ყარა-კიტაელების სარდალმა გიურ-ხანმა უარი განაცხადა ამის გაკეთებაზე და თავისი ქმედება გაკვირვებულ ემირებს შემდეგნაირად აუხსნა: „ჩაუკეტო გზა მას ვინც უკან იხევს, ეს იმას ნიშნავს, რომ

აიძულო იგი ჩაებას თავგანწირულ ბრძოლაში. ის კი ვინც არ ზოგავს საკუთარ სიცოცხლეს და თავის დაცვისას არ ფიქრობს შედეგებზე, შეიძლება გამარჯვებული აღმოჩნდეს.³⁴ ზუსტად გიურ-ხანის მიერ აღწერილის მსგავსი სიტუაცია შეიქმნა, მაგალითად, მონღოლების მხრიდან ბუხარის ალყის დროს, როდესაც ქალაქის გარნიზონმა ალყის გარღვევა გადაწყვიტა და გამოვიდა ქალაქიდან. ხორეზმელი მეომრები მონღოლთა ალყაში მოექცნენ, მაგრამ ისე თავგანწირულად იბრძოდნენ, რომ თანდათანობით უპირატესობა მათ მხარეს გადაიხარა, რა დროსაც მონღოლთა სარდალმა გასცა ბრძანება, რომ ალყა ერთი მხრიდან გაეხსნათ, რის შემდეგაც ხორეზმელებმა ბრძოლას თავი ანებეს და გახსნილი მხრიდან გაქცევა დაიწყეს, რა დროსაც იოლად აღმოჩნდნენ განადგურებულნი.³⁵

ბრძოლაში დამარცხებული მხარისთვის ყველაზე რთული ეტაპი, ბრძოლის ველიდან გასვლა და გამარჯვებული მონინააღმდეგის დევნის თავიდან აცილება იყო. ასეთ შემთხვევებში სხვადასხვა ხერხებს იყენებდნენ, მაგალითად, ლევ დიაკონს აღწერილი აქვს, თუ როგორ აიცილა ბიზანტიელთა დევნა ბრძოლაში დამარცხებულმა ალექსოს არმიამ, რომლის ემირმაც ბრძოლის ველზე ოქროს მონეტები დააყრევინა და სანამ ბიზანტიელი მეომრები მათ კრიფავდნენ, არაბებმა თავს უშველეს.³⁶ ლევ დიაკონის აღწერილი შემთხვევა, რასაკვირველია, სტილიზებულია, მაგრამ გამარჯვებული მხარის ნადავლის ხელში ჩაგდების სურვილი, სინამდვილეში ძალიან ხშირად აძლევდა დამარცხებულ მხარეს ბრძოლის ველიდან გასვლის შესაძლებლობას. როდესაც ბრძოლის მონაწილე ერთი მხარე ბრძოლას წყვეტავდა და ბრძოლის ველიდან გასვლას იწყებდა, გამარჯვებული საკმაოდ ხშირად მტრის ალაღის ან ბანაკის გაძარცვას იწყებდა, რაც ხანდახან ძალიან ძვირად უჯდებოდათ, რადგან ძარცვაში გართულები დამარცხებულ მონინააღმდეგის ძალების გადაჯგუფებისა და კონტრშეტევის შესაძლებლობას აძლევდნენ, რა დროსაც უკვე თვითონ ხდებოდნენ დევნის ობიექტები. ბრძოლის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა, მხოლოდ სწორი ხელმძღვანელობისა და შესაფერისი დისციპლინის არსებობის შემთხვევაში ხდებოდა შესაძლებელი, მაგალითად, ზუსტად ასე გამოიყურებოდა დავით კურაპალატის არმია გაბრიელ ოჩოპინტრეს ძის მეთაურობით, როდესაც ემირ მამლანის დამარცხებისა და ბანაკში დიდი ალღის დატოვების შემდეგ, მათ გაქცეული მტრის დევნა გააგრძელეს და ალაღის აკრეფა მხოლოდ მტრის საბოლოო დამარცხების შემდეგ დაიწყეს.

სიმაგრეთა ალებისა და მათი დაცვის ტაქტიკა

შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებაში გამაგრებული ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეთა წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკას და მათ დაცვას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მაღალი საფორტიფიკაციო ღირსებების მქონე სიმაგრის ალება, ისევე როგორც მისი დაცვა, იყო უაღრესად რთული პროცესი და უმეტეს შემთხვევებში ხანგრძლივ დროს, დიდ მატერიალურ დანახარჯებსა და მნიშვნელოვან ადამიანურ დანაკარგებს მოითხოვდა, მაგრამ რამდენადაც მასშტაბური სამხედრო კამპანიების წარმოების დროს სიმაგრეთა ალების, ან მათი დაცვის გარეშე, არსებული ამოცანების შესრულება შეუძლებელი იყო, ამდენად ფეოდალური ეპოქის ნებისმიერი ქვეყნის არმიისთვის ბრძოლის ამ ფორმის წარმოების უნარი აუცილებლობა იყო.

სიმაგრეების ალების ტაქტიკა

ისევე როგორც საველე ბრძოლაში გამარჯვებისთვის, გამაგრებული ქალაქისა თუ ციხე-სიმაგრის ალების საუკეთესო ტაქტიკური საშუალება მოულოდნელობის ფაქტორის შექმნა იყო, რისი რამდენიმე მეთოდიც ვეფხისტყაოსანში, რუსთაველის გმირების მიერ ქაჯეთის ციხის ალების ეპიზოდშია მოცემული, როდესაც ტარიელი, ფრიდონი და ავთანდილი თათბირობენ ციხის ალების შესაძლებლობის შესახებ. ფრიდონი მზად იყო, რომ საბელის მეშვეობით გადაეღებოდა ციხის გაღვაწი და შიგნიდან გაეღო ჭიშკარი, ავთანდილი აპირებდა ვაჭარის სახით შესულიყო ქაჯეთის ციხეში, ჯორით შეეტანა იარაღი და ისე გაეღო ციხის კარები, ტარიელის გეგმით კი, ისინი სწრაფად და ერთდროულად უნდა დასხმოდნენ თავს ციხე-სიმაგრის სამ სხვადასხვა კარიბჭეს, სანამ მცველები მათ ჩაკეტვას მოასწრებდნენ.¹ მიუხედავად ქაჯეთის ციხის ალების ამ სამი სქემის განსხვავებისა, თითოეული მათგანი მოულოდნელობის ფაქტორზე იყო აგებული და სიმაგრეთა ალების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა და რეალობაშიც გამოიყენებოდა. წერილობითი წყაროების მრავალრიცხოვანი ცნობები არაერთგზის ადასტურებენ, რომ ძალიან ხშირად შუა საუკუნეების ეპოქაში სიმაგრეებს სწორედ ვეფხისტყაოსანში მოცემული მეთოდების მეშვეობით იღებდნენ, მაგალითად, თემურ-ლენგის მემატიანეებს დეტალურად აქვთ აღწერილი, თუ როგორ აიღო ბირთვისის ციხე თემურის არმიამ, რომელსაც მისი დაპყრობა შტურმით არ შეეძლო, ხოლო ალყის სანარმოებლად დრო არ ჰქონდა. ბირთვისის ციხე იყო აბსოლუტურად მიუვალი და მისი შტურმი, ან სააღყო მანქანებით დანგრევა, წარმოუდგენლად გამოიყურებოდა. ციხეში მოხვედრა შეუძლებოდა ერთადერთი საცალფეხო ბილიკით, რომელიც სამმაგი ჭიშკრის გავლით მიემართებოდა ციხის შიდა ტერიტორიებისკენ, სხვა ყველა მხრიდან, ციხეს ვერტიკალურად აღმართული გლუვი კლდეები აკრავდა, რომლებზედაც ასვლა ალპინისტური ტექნოლოგიის გარდა, სრულიად შეუძლებელი იყო.² თემურის მეომრებმა სწორედ ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით შეძლეს ციხეში მოხვედრა, რადგან კლდეების მიუვალობაში დარწმუნებულ გარნიზონს ეს ადგილები ყურადღების (ყარაულის) გარეშე ჰქონდა დატოვილი.³

ციხეთა ალების დროს, ალპინისტური ტექნოლოგიის გამოყენების შემთხვევებს, ბირთვისის გარდა, სხვა შემთხვევებშიც ვხვდებით. მაგალითად, 1205 წელს, მცირე აზიის ბიზანტიური ქალაქის პიგის ალყის დროს, ქალაქის მიუვალ კედელზე ჯვაროსნებმა „კლდეზე მცოცავი“ გააგზავნეს, რომელმაც კედელზე ასვლის შემდეგ, თოკის კიბე გამართა და ციხის ტერიტორიაზე მეომართა ჯგუფი გადაიყვანა.⁴ ან-ნასავის მიხედვით, ასევე ანალოგიურად აიღეს ჩრდილოეთ ერაყში მდებარე უსტუნავანდის ციხე მონღოლებმა, ამასთან ამ ციხის ან-ნასავისეული აღწერილობა ძალიან ნააგავს თემურ-ლენგის მემატიანეების მიერ ბირთვისის ციხის როგორც აღწერილობას, ასევე მისი ალების ტექნოლოგიას. ან-ნასავის სიტყვებით, ციხე ისე მალა მდებარეობდა, რომ არნივებს იქამდე აფრენა არ შეეძლოთ, ხოლო მიუვალი მდებარეობის გამო, კედლებს არ საჭიროებდა. ბირთვისის ციხის გარნიზონის მსგავსად, უსტუნავანდის მცველებსაც უყურადღებოდ ჰქონდათ დატოვილი ციხის მიუვალი ადგილები, რითაც მონღოლებმა ისარგებლეს და ამ მხრიდან კლდეზე მცოცავები გააგზავნეს, რომლებიც რკინის სოლების გამოყენებით ავიდნენ კლდეზე და შეაღწიეს ციხეში.⁵

სიმაგრეთა ალების „ალპინისტური“ („ფრიდონისეული“) მეთოდის მსგავსად, ასევე საკმაოდ გავრცელებული იყო „ავთანდილის“ მეთოდიც, სიმაგრეში შეღწევა ვაჭრების, ან სხვა მშვიდობიანი პროფესიების მქონე პიროვნებების სახით. ასეთი რამ, რასაკვირველია, იმ შემთხვევებში ხდებოდა, როდესაც გარნიზონის შეცდომაში შეყვანა ხერხდებოდა, რაც თავისთავად არ იყო იოლი საქმე. მაგალითად, ალ-ასირის მიხედვით, 929 წელს, ბიზანტიელებმა, რომლებსაც სურდათ მალათიას ალება, ქალაქში მუშებისა და ხელოსნების სახით 700 მეომრის შეგზავნა სცადეს, მაგრამ მათი მცდელობა გამუჟავნდა და მეომართა დაღუპვით დამთავრდა.⁶ მალათიის შემთხვევიდან განსხვავებით, ანალოგიური მცდელობა წარმატებული იყო ხართუხის ციხის შემთხვევაში, სადაც 1123 წელს 50-მა სომეხმა მეომარმა ხელოსნების სახით შეაღწია და გაათავისუფლა ამ ციხეში ტყვედ მყოფი იერუსალიმის მეფე ბალდუინ II.⁷ ასევე წარმატებით დამთავრდა სინოპზე თავდასხმა 1299 წელს, როდესაც სელჯუკებმა ქალაქი ასეთივე მეთოდით აიღეს.⁸

ვეფხისტყაოსანში აღწერილი სიმაგრის ალების სამი ხერხიდან, ყველაზე გავრცელებული, სწრაფი თავდასხმის („ტარიელის“) მეთოდი იყო, როდესაც სიმაგრეზე შეტევა ელვისებურად ხორციელდებოდა და გარნიზონი ველარ ასწრებდა ქალაქის (ან ციხის) კარიბჭის დახურვას. მაგალითად, აღნიშნულის კლასიკური მაგალითებია თამარ მეფის დროს ანისის ალება არდავილის ემირის მიერ, და ზაქარია მხარგრძელის საპასუხო ლაშქრობა არდავილში და მისი ანალოგიური გზით დაპყრობა.⁹ სიმაგრის ამ გზით ალება ურთულეს სამხედრო ოპერაციას წარმოადგენდა, რომლის დროსაც ღია კარიბჭეში შევარდნა, მხოლოდ მის დამამთავრებელ ეტაპს წარმოადგენდა, მანამდის კი საჭირო იყო სიმაგრემდე არსებულ დისტანციაზე ფარული მარშირება და მის სიახლოვეს ძალების კონცენტრირება, ამის შემდეგ კი, სანყის პოზიციაზე გასვლა და სიმაგრის ხილვადობის არეალის ან ძალიან სწრაფად დაფარვა, ან რაიმე შენიღბული სახით მისი გავლა, რათა გარნიზონს ან მოსახლეობას დროზე ადრე ვერ შეემჩნია თავდასხმის ფაქტი (ვეფხისტყაოსანში აღნიშნულია, რომ ტარიელის მეომრებმა მუზარადები უშუალოდ ციხის კედლების სიახლოვეს დაიხურეს, ე.ი. მანამდის ისინი შემტევი რაზმის შთაბეჭდილებას არ ტოვებდნენ, რაც ამ შემთხვევაში უკვე ლიტერატურული ხერხია და არა შესაძლო რეალობის ასახვა, რადგან მარტო მუზარადების დამალვით მეომრები თავისი განზრახვის შენიღბვას ვერ შეძლებდნენ). ისტორიანი და აზმანის ავტორს მითითებული აქვს, რომ არდავილის სულთანი მაშინ დაესხა თავს ანისს, როდესაც მხარგრძელები იქ არ იმყოფებოდნენ, ე.ი. ქალაქში უნდა ყოფილიყო მხოლოდ მცირე სამხედრო ძალა, რასაც შეიძლება საყარაულო სამსახურის შესუსტება გამოენვია. მუსლიმების არმიამ არდავილიდან ანისამდე ისე იარა, რომ გზაში არავის არაფერი ავნო (ე.ი. არ გამოიწვია მოსახლეობის პანიკა და იძულებითი მოძრაობა, შესაბამისად წინმსწრები ხმების გავრცელება), ხოლო ანისს ღამით მიუახლოვდა, როდესაც მისი გადაადგილება, სიფრთხილის ზომების დაცვის შემთხვევაში, ძნელად შესამჩნევი იქნებოდა. გამოდის, რომ არდავილის არმიის კონცენტრირება ანისთან შესატევ დისტანციაზე მოხდა ღამით, რაც ქალაქის (სავარაუდოდ) შესუსტებულმა დაცვამ ვერ შეამჩნია, გამთენიისას კი, როდესაც „ციხკარი მოეახლა და ჰკრეს ძელსა და განახუნეს კარნი ქალაქისანი, მყის მიეტევნეს კარსა ქალაქისასა, შეუტევეს ცხენი, და ვერ მოასწრეს კარნი, და შევიდეს ქალაქად.“¹⁰ ანალოგიური სიფრთხილის ზომები განახორციელა საქართველოს არმიამ არდავილზე საპასუხო ლაშქრობის დროს, რომელიც როგორც ჩანს, მობილურობის მიღწევის მიზნითა და დიდი არმიის გადაადგილებით

გამონწეული ხმაურის თავიდან არიდების მიზნით, შედარებით მცირე ძალებით განხორციელდა. ამ შემთხვევაშიც, ქალაქზე თავდასასხმელად (არდაველელთა მსგავსად) მოხერხებული დრო იქნა შერჩეული, მუსლიმთა ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაული („სჯულისა მათისა მარხვა“), რომლის დროსაც მოსახლეობის ყურადღება ამით იქნებოდა დაკავებული. ქართული არმიაც ღამით მიუახლოვდა არდავილს და გამთენიისას, როდესაც „ვითარ ხმა-ყო ქადაგმან ბილნისა ქადაგებისა მათისამან და გახშირდა მუყრთა ყვილი, ყოვლგნით ცხენით შემოუტივეს მხარგრძელთა, შეუხდეს და უომრად ხელთ იგდეს ქალაქი.“¹¹

ანისისა და არდავილის ალების შემთხვევებში განხორციელებული სიფრთხილის ზომები (დიდ დისტანციაზე ფარული გადაადგილება, ქალაქთან ღამით მიახლოება, თავდასხმის გათენებისას დაწყება) მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა, ქალაქებზე მომხდარიყო მოულოდნელი თავდასხმა და მათი მანამდის ალება, სანამ გარნიზონი და მოსახლეობა გონს მოვიდოდა და ორგანიზებულ თავდაცვას დაიწყებდა, რა დროსაც ოპერაციის ჩავარდნა თითქმის გარანტირებული იყო, რადგან ამ შემთხვევაში საჭირო გახდებოდა ალყის წარმოება, რისთვისაც არდავილის და საქართველოს არმიები მზად არ უნდა ყოფილიყვნენ. მოცემულ მომენტში, არც არდავილის და არც საქართველოს სამხედრო მიზანს, ტერიტორიების ოკუპაცია არ წარმოადგენდა, მუსლიმთა ამოცანა ელემენტარული სათარეშო რეიდის განხორციელება იყო მდიდარ ქალაქზე, როგორსაც იმ დროისთვის ანისი წარმოადგენდა, ქართველების კი, შურისძიება და საპასუხო სათარეშო რეიდის ორგანიზება, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ერთი არმია ალყის საწარმოებლად მზად არ იქნებოდა და იმ შემთხვევაში, თუ ანისისა და არდავილის მცველები მოასწრებდნენ ალაყაფის დახურვას, ორივე ოპერაცია მარცხით დამთავრდებოდა.

სიმაგრეებზე მოულოდნელი თავდასხმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი და მოტივაცია, ხანგრძლივი ალყის პერსპექტივის თავიდან აცილება იყო, მაგალითად, სწორედ ამით ხელმძღვანელობდა ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში 1382 წელს მოსკოვის ალებისას, რომლის ცხენოსნებიც ქალაქის ჭიშკარში მაშინ შევარდნენ, როდესაც ის რუსი ელჩების ქალაქიდან გამოსასვლელად გააღეს.¹² არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ ასევე ხანგრძლივი ალყის თავიდან აცილება იყო დავით აღმაშენებლის მიზანი სამშვილდის ალებასას, როდესაც მან იმით შექმნა მოულოდნელობის ფაქტორი, რომ თავად დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ხოლო მისმა სარდლებმა ფარულად მოუყარეს სამხედრო ძალებს თავი სამშვილდის სიახლოვეს და შემდეგ სწრაფი თავდასხმით აიღეს იგი (მემატიანის სიტყვით „უგრძნულად მოიპარეს“).¹³ სავარაუდოდ, დავითის არმიას სამშვილდე სწორედ გამთენიისას კარიბჭეზე მოულოდნელი თავდასხმით უნდა აეღო. სიმაგრეთა ალების ამ ეფექტური მეთოდის გამოყენების შიში გარნიზონების მხრიდან იმდენად დიდი იყო, რომ მაგალითად, 1401 წელს, თემურ-ლენგის მიერ დამასკოს ალყის დროს, როდესაც ქალაქში მყოფი არაბი (ბერბერი) მემატიანე იბნ-ხალდუნი თემურთან შესახვედრად მიდიოდა, გარნიზონმა მას კარიბჭე არ გაუღო და კალათაში ჩასმული, თოკებით დაუშვა გალავნიდან.¹⁴

მიუხედავად მოყვანილი მაგალითებისა, შუასაუკუნეებში სიმაგრეთა მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენებით ალება, ამ ტიპის ოპერაციის მომზადების ურთულესი ხასიათის გამო, საკმაოდ იშვიათად ხერხდებოდა, რის გამოც ხშირად მიმართავდნენ გარნიზონისა და მოსახლეობის (ზემოთ აღწერილ) დემორალიზების მეთოდებს (მფლობელთა სიკვდილით დასჯას, სიკვდილით მუქარას, ტერორს და ა.შ.). მართალია, სიმაგრეთა ალების ასეთი მეთოდები საკმაოდ მრავალფეროვანი

და რიგ შემთხვევებში შედეგიანიც იყო, შუასაუკუნეებში გამაგრებული ქალაქისა თუ ციხე-სიმაგრის დაპყრობის ძირითად საშუალებად, მაინც მისი ალყა რჩებოდა. ალყა შეიძლებოდა ყოფილი ხანმოკლეც და ძალიან ხანგრძლივიც, რაც მთლიანად იყო დამოკიდებული შემტევი არმიის შესაძლებლობებსა (რამდენად იყო იგი აღჭურვილი მის სანარმოებლად, რამდენი ხანი შეეძლო ერთ ადგილზე გაჩერება და ა.შ.) და სიმაგრის საერთო სიძლიერეზე. სიმაგრე, რომელსაც ჰყავდა მცირერიცხოვანი გარნიზონი და ახლო მომავალში გარედან დახმარებას ვერ მიიღებდა, მიუვალი მდებარეობისა და ძლიერი ფორტიფიკაციის არსებობის დროსაც კი, სწრაფი დაცემისთვის იყო განწირული, რაც მაგალითად, შესანიშნავად ჩანს, ალბიგონიური ომების შემთხვევაში, როდესაც სიმონ დე მონფორის ჯვაროსნული არმია, რომელიც სამხრეთ საფრანგეთში რელიგიურ ერეტიკოსებს, კატარებს ებრძოდა, ძირითადად მათ ხელში მყოფი ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების ალებით იყო დაკავებული. აღნიშნული კამპანია გაგრძელდა 9 წელი, რომლის დროსაც 45 სიმაგრის ალყა განხორციელდა. ჯვაროსნებმა ის გამაგრებული პუნქტები, რომლებიც კატარების შედარებით მცირე ძალებით იყო დაცული, საფორტიფიკაციო ძლიერების შემთხვევაშიც კი (როგორც იყო, მაგალითად, კერკასონი, სამხრეთ საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი სიმაგრე) ძალიან მალე, რამდენიმე დღის განმავლობაში აიღეს, ხოლო სიმაგრეებმა, სადაც დიდი გარნიზონების ფორმირება და თავდაცვის სწორი ორგანიზება მოხერხდა (მაგალითად, 1210 წ. მინერვი, 1212 წ. პენ-დაჯენაისი, 1217 წ. ტულუზა და ა.შ.) რამდენიმე თვიანი შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ და ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად, ტულუზის ალყისას) თავიც წარმატებით დაიცვეს.¹⁵

როდესაც მოულოდნელობის ფაქტორის მეშვეობით სიმაგრის ალება ვერ ხერხდებოდა, მაშინ მოალყეების წინაშე დგებოდა შტურმის განხორციელების ამოცანა, რისთვისაც მათ, პირველ რიგში, თხრილი უნდა გადაელახათ. როგორც უკვე იყო აღნიშნული, შუა საუკუნეების სიმაგრეები თავდაცვის რამდენიმე ბარიერით (თხრილით, გალავანით, ციტადელით) იყვნენ დაცულნი. იმისთვის, რომ შემტევ არმიას სიმაგრე აეღო, მას ეს ბარიერები უნდა დაეძლია. თხრილები იყო საკმაოდ ფართო და ღრმა, რისთვისაც შემტევი მხარისთვის აუცილებელი იყო მათი ამოვსება და გადასასვლელების გაკეთება, რაც საკმაოდ რთული საქმე იყო და საკმაოდ დიდი რაოდენობის სხვადასხვა სახის მყარ მასალას (ქვებს, მორებს და ა.შ.) საჭიროებდა, რომელთა მოპოვებაც ზოგჯერ პრობლემატური იყო. მაგალითად, ქალაქ ზეგმანის ალყის დროს, ბიზანტიელთა არმიამ თხრილი ქვებით და სხვადასხვა ნაგავით ამოავსო,¹⁶ ხოლო მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის არმიამ ადრიანოპოლის ალყის დროს, თხრილის ამოსავსებად დაღუპულ მეომართა ცხედრებიც გამოიყენა.¹⁷ თხრილის გადალახვა მხოლოდ მასზე გადასვლას არ ნიშნავდა, საჭირო იყო ასევე შტურმისთვის საჭირო აღჭურვილობის (კიბეების, სააღყო კოშკების, ტარანების და ა.შ.) გადატანა, რისთვისაც თხრილი არამარტო უნდა ამოვსებულიყო, არამედ მისი ზედაპირისთვის სიმყარეც უნდა მიეცათ, რათა მასზე სააღყო მანქანებსა და კოშკებს ემოდრავათ. ძალიან ხშირად, თხრილების ამოვსების გარეშე, სააღყო მანქანების „საცეცხლე პოზიციებზე“ გაეყვანა შეუძლებელი იყო, რადგან ეფექტური სროლის საწარმოებლად, მანქანები სწორედ თხრილის არეალში უნდა დამდგარიყვნენ, როგორც ეს იყო, მაგალითად, ტერმეზის ალყის დროს, როდესაც სელჯუკებმა ამოვსებულ თხრილზე კატაპულტები განალაგეს,¹⁸ ისევე როგორც მონღოლთა არმიამ ჯენდის ალყის დროს.¹⁹

თხრილის გადალახვის შემდეგ შესაძლებელი ხდებოდა შტურმის განხორციელება, რომლის დროსაც, პირველ რიგში, კარიბჭის შენგრევას ცდილობდნენ, რისთვისაც ტარანები გამოიყენებოდა. თუ კარიბჭესთან მიახლოვება ვერ ხერხდებოდა, მაშინ ტარანით გალავნის კედლების დანგრევას ცდილობდნენ, როგორც მაგალითად, ამას აკეთებდნენ ჯვაროსნები ნიკეის ალყის დროს, როდესაც რაიმუნდ ტულუზელის ბრძანებით აგებული საალყო კოშკით მიუახლოვდნენ ქალაქის კედლებს და ქვის წყობის დანგრევა დაიწყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოაღყებმა კედლის სქელი წყობიდან გამოღებული ქვების ნაცვლად, შიგ ხის ნაჭრები ჩაანყვეს და დანვეს, რის შედეგადაც კედელმა დეფორმაცია მიიღო და გადაიხარა, თუმცა არ დანგრეულა.²⁰ როდესაც კარიბჭის, ან კედლის შენგრევა ვერ ხერხდებოდა, მაშინ სიმაგრეში შეღწევას გალავნის გადალახვის გზით ცდილობდნენ, რისთვისაც საალყო კოშკებსა (ე.წ. „გელეპოლებს“) და კოხებს იყენებდნენ.²¹ მაგალითად, ზუსტად ასე აიღეს ჯვაროსნებმა მუსლიმური ქალაქი მარაბატ ან-ნუმანი 1099 წელს, როდესაც ალყის წარმოების დროს ააგეს გელეპოლი და მისი მეშვეობით შეაღწიეს სიმაგრეში,²² ისევე როგორც სელჯუკებმა ანისში 1072 წელს.²³

შტურმის წარუმატებლობის შემთხვევაში, შემტევები უკვე საალყო მანქანების მეშვეობით ცდილობდნენ გალავნის ცალკეული მონაკვეთების დანგრევას, რისთვისაც კედლების კონკრეტულ ადგილებზე კონცენტრირებულად აწარმოებდნენ „მასირებულ ცეცხლს“, რაც, ბუნებრივია, კატაპულტებისა და ქვის სხვა სატყორცნი მანქანების გარკვეულ რაოდენობას საჭიროებდა. მაგალითად, ჯვაროსნები აკრას ალყის დროს, სიმაგრის ერთი მონაკვეთის დანგრევას 13 საალყო მანქანის კონცენტრირებული „ცეცხლით“ ცდილობდნენ,²⁴ სალადინი კი კერაკის კედლების დანგრევის მცდლობისას 9 მანქანას იყენებდა.²⁵ იგივე სურათია ხლათის ალყის დროს, სადაც ჯალალ ად-დინის არმია 12 კატაპულტიდან უშენდა ქვებს ქალაქის კედლებს,²⁶ იოანე კომნენოსი შეიზარს 18 საალყო მანქანიდან ბომბავდა²⁷ და ა.შ. როდესაც საალყო მანქანების მეშვეობით გალავნის კედლების დაზიანება ხერხდებოდა, ამას ძალიან ხშირად, ალყაში მყოფების დანებება მოსდევდა თან, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 1012 წელს, შამქორის ალყის დროს, როდესაც ბაგრატ III-ის მეომრებმა საალყო მანქანებით („ფილაკავანებით“) „მცირედთა დღეთა დაღუნეს ზღუდენი შამქორისანი,“ რასაც ქალაქში გამაგრებული განძის ემირის დაუყოვნებელი კაპიტულაცია მოჰყვა.²⁸ იგივე შედეგი დადგა აგარაკის ციხის ალყის დროს 1177 წელს, სადაც ორბელთა აჯანყების მონაწილეები იყვნენ გამაგრებულნი. ციხის ალყა ორთვე-ნახევარი გრძელდებოდა და ციხეში მყოფები („კაცნი ბრძოლებში სახელმოხვეჭილნი“) მხოლოდ მას შემდეგ დანებდნენ გიორგი III-ს, როდესაც მისმა არმიამ საალყო მანქანებით „ზღუდეები და პალატები“ დაანგრია,²⁹ თუმცა ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გარნიზონი ციხადელიდან აგრძელებდა ბრძოლას.

რასაკვირველია, შუა საუკუნეების ძლიერი საფორტიფიკაციო სიმაგრეების არსებობისა და გარნიზონების შეუპოვარი წინააღმდეგობის პირობებში, შემტევები საკმაოდ ხშირად ვერ ახერხებდნენ ვერც წარმატებული შტურმის განხორციელებას და ვერც გალავნის კედლების დანგრევას, რა შემთხვევაშიც, სიმაგრის ალბის მომდევნო ეფექტურ საშუალებად კედლების მინირება რჩებოდა. მინირებისთვის საჭირო იყო გალავნის საკმაოდ მოშორებული წერტილიდან ფარული გვირაბის გათხრა და კედლების საძირკვლებამდე მიღწევა, რის შემდეგაც საძირკვლის წყობას შლიდნენ, კედლის ქვემოთ წარმოქმნილ სიცარიელეს ცეცხლგამჩენი მასალით ავსებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ.

კედლების ძირში გაჩენილი ხანძარი შლიდა ქვების შემაკავშირებელ დულაბს, რის შედეგადაც ქვის წყობა დაშლას იწყებდა და კედელი ინგრეოდა. მინირება სიმაგრის დაპყრობის უაღრესად ეფექტური საშუალება იყო, მაგრამ მის სისტემატიურ გამოყენებას ორი ძირითადი ფაქტორი უშლიდა ხელს, ჯერ ერთი, გვირაბი აუცილებლად ფარულად უნდა გათხრილიყო, რაც შესასრულებლად თავისთავად ძალიან რთულ ამოცანას წარმოადგენდა და მეორე, მისი გაყვანის შესაძლებლობა მთლიანად ნიადაგის შემადგენლობაზე იყო დამოკიდებული.³⁰ ბუნებრივია, რომ იმ ციხე-სიმაგრეების ძირში გვირაბის გაყვანა, რომლებიც კლდოვან რელიეფზე მდებარეობდნენ, შეუძლებელი იყო, სამაგიეროდ თითქმის ყოველთვის შესაძლებელი იყო ქალაქების მინირება მათი ადგილმდებარეობის გამო. მინირება საკმაოდ რთული საინჟინრო პროცედურა იყო და მისი შესრულება მხოლოდ მომზადებულ სპეციალისტებს (მესანგრეებს) შეეძლოთ. მინირებისთვის საჭირო გვირაბის სიგრძე, ხანდახან ორ-სამ ასეულ მეტრამდეც აღწევდა და, ბუნებრივია, ჩამოქცევის თავიდან ასაცილებლად უსაფრთხოების სპეციალურ ტექნოლოგიას საჭიროებდა, მაგალითად, უსამა იბნ-მუნკიზს აღწერილი აქვს მუსლიმების მიერ 1115 წელს გაყვანილი გვირაბი კაფარტაბის ციხესთან ანტიოქიის სამთავროში, რომელიც მან თავად დაათვალიერა. მისი აღწერილობის მიხედვით, გვირაბი გამაგრებული იყო ხის საყრდენებით და კოშკის საძირკვლის ძირში შედიოდა, რომელიც მუსლიმი მესანგრეების მიერ ააღებდა მასალით იყო ავსებული.³¹

მიუხედავად მინირების სირთულეებისა, სიმაგრეთა ალყის დროს მას ძალიან ხშირად იყენებდნენ, მაგალითად, მინირების მეშვეობით აიღო 974 წელს ნიკიფორ ფოკამ კაბადოკიის ქალაქი მოქსუეტო,³² ისევე როგორც ედესა მოსულის ათაბაგმა ზენგიმ 1144 წელს.³³ მინირებით აიღეს მამლუქებმა ჯვაროსნების უძლიერესი ციხე-სიმაგრეები, კრაკ დე-შევალიე და მარკაბი,³⁴ ხოლო მონღოლებმა ლორე.³⁵ მინირება გამოიყენა 1210 წელს საქართველოს არმიამ ზაქარია მხარგრძელის მეთაურობით ქალაქ ზანგანის ასაღებად, როდესაც „იწყეს თხრად ზღუდეთა: უწინარეს მარჯუენასა მხარსა მესხთა შეხურიტეს ზღუდე“,³⁶ ისევე როგორც 1258 წელს ბაღდადის ალყის დროს, როდესაც (მონღოლთა რიგებში მყოფმა) ქართულმა არმიის მეთაურებმა, დავით ულუს ბრძანებით, „შეთხარეს ზღუდესა შიგან.“³⁷ მეჰმედ II-ს არმიამ კონსტანტინოპოლის ალყის დროს ქალაქის კედლებისკენ 13 გვირაბი გათხარა მინირებისთვის³⁸ და ა.შ.

როდესაც სიმაგრეთა აღება აღნიშნული საშუალებებით ვერ ხერხდებოდა, ან სიმაგრე ძალიან ძლიერი იყო და მასზე პირდაპირ შეტევას მიზანშეწონილად არ თვლიდნენ, მაშინ იწყებოდა მისი ხანგრძლივი ალყა, რომლის დროსაც მოალყეების უპირველესი ამოცანა, სიმაგრის სრული იზოლირება იყო გარესამყაროდან, რაც სწორი ალყის წარმოებას ნიშნავდა და საკმაოდ დიდი ძალების გამოყენებას მოითხოვდა. სიმაგრეს, რომელიც არ იყო საიმედოდ იზოლირებული და მომარაგებისა და კომუნიკაციის ხაზებს ინარჩუნებდა, განუსაზღვრელი ვადით შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა. მაგალითად, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მიერ წარმოებული ანტიოქიის ალყის დროს (1097-1098 წწ.), რომელიც 9 თვეს გაგრძელდა, ჯვაროსნებმა ვერ შეძლეს ქალაქის სრული გარემოცვა, რის გამოც მუსლიმები ახერხებდნენ დაშხმარე ძალების შეყვანასა და სურსათის შეტანას ალყის ქვეშ მყოფ ქალაქში, რისი წყალობითაც წინააღმდეგობის უნარს ინარჩუნებდნენ, და რომ არა ერთ-ერთი კოშკის დამცველის ლალატი, რომლმაც ჯვაროსნები ქალაქის შიდა ტერიტორიაზე შეიყვანა, ანტიოქიის ალყა კიდევ გაგრძელდებოდა.³⁹ ანალოგიური ვითარება იყო მოგვიანებით (1089-1091 წწ.) მესამე ჯვაროს-

ნული ლაშქრობის პერიოდში, აკრას ალყის დროს, რომელიც საკმაოდ დიდხანს ინარჩუნებდა კომუნიკაციურ კავშირს (როგორც ზღვით, ასევე ხმელეთით) მუსლიმურ ტერიტორიებთან, რის გამოც მისი ალყა, მიუხედავად ჯვაროსანთა დიდი სამხედრო უპირატესობისა, ორ წელიწადს გაგრძელდა.⁴⁰

სწორი (სრული) ალყის წარმოება ძლიერი სიმაგრის ალების თითქმის აუცილებელი პირობა იყო, ასეთ შემთხვევაში შემტევი მხარე ვითარების აბსოლუტური ბატონ-პატრონი ხდებოდა, ხოლო დამცველი უიმედობასა და გაურკვევლობაში ვარდებოდა. მაგალითად, უკვე იყო აღნიშნული, რომ ხლათის ალყის დროს, როდესაც ჯალალად-დინის არმიამ ქალაქის სრული გარემოცვა შეძლო, მის ხელში ქალაქიდან გაგზავნილი დახმარების თხოვნის შემცველი წერილები ვარდებოდა, რაც მას საშუალებას აძლევდა სრული სურათი ჰქონოდა ალყაში მყოფთა მდგომარეობის შესახებ, მაშინ როდესაც ქალაქში მყოფები სრულ ვაკუუმში იყვნენ მოქცეულნი, რაც მათ სასონარკვეთას უფრო აძლიერებდა.⁴¹ გარდა ამისა, სრული ალყა ნიშნავდა იმას, რომ მოალყეები სიმაგრეში მყოფებს უკეთავენენ მომარაგების ყველა გზას, რაც ალყის გაჭიანურების შემთხვევაში, წარმატების გარანტია ხდებოდა.

სრული ალყის განხორციელებისთვის ცოცხალი ძალის დიდი უპირატესობა იყო საჭირო, როგორც მიჩნეულია, შემტევთა უპირატესობა არანაკლებ 5/1-თან უნდა ყოფილიყო,⁴² რაც მცირე ციხეებზე შეტევის პირობებში ადვილი, მაგრამ დიდი ქალაქების ალყისას, ძალიან ძნელად დასაცავი პირობა იყო. ქალაქებს ციხეებთან შედარებით დიდი ფართობი ეკავათ, რაც მათი გარესამყაროდან იზოლირების ამოცანას უკიდურესად ართულებდა. უკვე აღვნიშნეთ, რომ ანტიოქიის ალყის დროს, ჯვაროსანთა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა არმიამ ქალაქის სრული ბლოკირება ვერ შეძლო, ასევე ვერ მოხერხდა იერუსალიმის ბლოკირებაც.⁴³ იმ შემთხვევებში, როდესაც სიმაგრის სრული იზოლირება შეუძლებელი იყო, მოალყეები საკმაოდ ხშირად კონტრ-სიმაგრეებს აგებდნენ, რომლებიც სიმაგრეში შემავალ გზებს აკონტროლებდნენ და ამის საშუალებით მის იზოლირებას ახდენდნენ გარე სამყაროსთან. ბუნებრივია, რომ სიმაგრის აგება სავსე პირობებში უაღრესად რთული და ძვირად ღირებული საქმიანობა იყო, ამიტომ ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ იღებდნენ, როცა სიმაგრის ალების ყველა სხვა საშუალება ამონურული იყო, ხოლო მისი დაპყრობა სტრატეგიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. მაგალითად, სწორედ ასეთ სტრატეგიული აუცილებლობა იყო ბიზანტიის იმპერატორ ნიკიფორე ფოკასთვის ანტიოქიის ალება 969 წელს, როდესაც მან ქალაქის შტურმით ალება ვერ შეძლო, რის შემდეგაც მან ქალაქის წინ სიმაგრე ააგო და შიგ ძლიერი გარნიზონი განათავსა ხანგრძლივი ალყის საწარმოებლად.⁴⁴ ანალოგიურად მოიქცნენ მოგვიანებით (1097 წ.) ჯვაროსნები იმავე ანტიოქიისა და შემდეგ იერუსალიმის ალყის დროს, როდესაც ქალაქებში შემავალ გზებზე საალყო სიმაგრეები ააგეს.⁴⁵ ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობების ასალებად, საალყო (კონტრ) სიმაგრეებს სისტემატიურად იყენებდნენ მონღოლები, ან-ნასავის მიხედვით, ისინი ალყაში მოქცეული ციხის (ან ქალაქის) გარშემო მთლიან კედლებს ავლებდნენ და მოთმინებით ელოდებოდნენ გარნიზონის დანებებას.⁴⁶ საალყო ციხის აგება სიმაგრეთა ალების გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენდა საქართველოშიც, სადაც მაგალითად, X ს. შუახანებში, აფხაზთა მეფე გიორგი II-მ კახეთში, ლონობანის ციხის წინააღმდეგ ააგო კონტრ-ციხე (მატიანე ქართლისას მიხედვით „შურის ციხე“), ჩააყენა შიგ ძლიერი გარნიზონი და დაიწყო მისი ხანგრძლივი ალყა.⁴⁷ დიდი ქალაქების, ან კარგად უზრუნველყოფილი ძლიერი სიმაგრის

აღყა ამ ტაქტიკის გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება წლები გაგრძელდეს-
ლიყო, მაგალითად, ანისის მეფე სუმბატ I-ს (X ს. მინურულს) დვინის,⁴⁸ ხოლო 1302
წელს ოსმალებს ნიკეის ასაღებად, ორ-ორი წელი დასჭირდათ.⁴⁹

სიმაგრეების აღება საბრძოლო მოქმედებების ურთულესი ეტაპი იმითაც იყო,
რომ ალყის წარმოების დროს შემტევს ისევე ემუქრებოდა შიმშილის, ეპიდემიის,
მოქანცვისა და სხვა მსგავსი სახის საფრთხეები, როგორც ალყაში მყოფებს,⁵⁰ ამი-
ტომ ალყის მეშვეობით სიმაგრეთა აღება წარმატებით ორ ძირითად შემთხვევაში
მთავრდებოდა, როდესაც შემტევი არმია უზრუნველყოფილი იყო ალყის სანარ-
მოებელი ყველა რესურსით და შეეძლო დიდი ხნით ბრძოლის ველზე გაჩერება,
და როდესაც მისი უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის ხაზებს, ისევე როგორც
თავად მას, მონინალმდევის სავსე არმიისგან საფრთხე არ ემუქრებოდა. სხვა
შემთხვევებში, ძლიერი საფორტიფიკაციო სიმაგრეების აღება ძალიან ძნელი და
ამასთან, უაღრესად სარისკო საქმე იყო და იმის გამო, რომ ძლიერ სიმაგრეს თავ-
დაცვის უფრო მეტი საშუალება გააჩნდა, ვიდრე მოალყეს შეტევისა, ხშირად წარ-
უმატებლადაც მთავრდებოდა.

სიმაგრეთა დაცვის ტაქტიკა

ალყის წარმატებით მოგერიებისთვის, გარდა სიმაგრის საფორტიფიკაციო
ძლიერებისა, აუცილებელი იყო სამი ფაქტორი: სიმაგრის სიდიდის შესაფერისი
გარნიზონი, წყლის, სურსათ-სანოვაგისა და საბრძოლო იარაღის საკმარისი მარ-
აგი და გარედან დახმარების მიღების შესაძლებლობა. თუ შემტევ არმიას ხანგრ-
ძლივი ალყის წარმოება არ შეეძლო, მაშინ თავდაცვის წარმატებით დასრულები-
სთვის, ბრძოლისუნარიანი გარნიზონი და საჭირო მარაგების არსებობა სავსებით
საკმარისი ხდებოდა.

სიმაგრის მასშტაბებისა და გარნიზონის რაოდენობის სწორი შეფარდება,
თავდაცვითი ბრძოლის მეტად მნიშვნელოვანი პირობა იყო. ციხის დამცველები
ბრძოლას გალავნის კედლებისა და კოშკებზე არსებული ე.წ. საბრძოლო ბილიკი-
დან აწარმოებდნენ, რომლის დროსაც თავდაცვითი ბრძოლის მაქსიმალური
ეფექტი მაშინ მიიღწეოდა, როდესაც თითოეულ მეომარზე დაახლოებით 1,3 მეტრი
დასაცავი ფართობი მოდიოდა,⁵¹ რაც იმას ნიშნავს, რომ თუ სიმაგრის გარშემონ-
ერილობა, ვთქვათ, 1000 მეტრი (1 კმ.) იქნებოდა, მისი პერიმეტრის სრულფასო-
ვანი დაცვისთვის დაახლოებით 769 მეომარი იქნებოდა საჭირო, აუცილებელი
რეზერვის გათვალისწინებით კი, გარნიზონის სიდიდე დაახლოებით ათასს მიაღ-
წევდა. შტურმის დროს შეტევაზე გადმოსული მონინალმდევის მწყობრიდან
გამოსაყვანად ძირითადი საბრძოლო იარაღი მშვილდ-ისარი (რასაც რიგ ქვეყნებში
არბალეტიც ემატებოდა) იყო, რომლის ეფექტური მოქმედების რადიუსს საშუა-
ლოდ 100 მეტრი წარმოადგენდა, რის დაფარვასაც შემტევი მხარის მეომრები
(საბრძოლო აღჭურვილობის სიმძიმის, თოკების, კაუჭების, სააღყო კიბეების და
სხვა ინვენტარის სიმძიმის გათვალისწინებით) 1-2 წუთის განმავლობაში ახერხ-
ებდნენ, რა დროსაც სიმაგრის გალავანზე მდგომ (საშუალო კვალიფიკაციის) მეო-
მარს მინიმუმ 5-6 ისარის გაშვება უნდა მოესწრო.⁵² ბუნებრივია, სროლის ინტენ-
სივობა რაც უფრო მაღალი იქნებოდა, შემტევების დანაკარგები უფრო გაიზრდე-
ბოდა და მათ ნაკლები შანსი დარჩებოდათ გალავნის შტურმის დასაწყებად, მაგრამ
თუ სიმაგრის კედლებზე მდგომ თითოეულ მეომარს 1,3 მეტრზე მეტი საბრძოლო

ფართობი ექნებოდა დასაცავი, რასაკვირველია, სროლის ინტენსივობა და სიმჭიდროვე ამის შესაბამისად დაბლა დაინედა, რაც მტრის მეტ მეომარს მისცემდა გალავანთან მიახლოებისა და გალავანზე ასვლის ცდის შესაძლებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ძნელად ასაღები სიმაგრე, თუ მას, მის საბრძოლო ფართობთან შედარებით, მცირე გარნიზონი იცავდა, საკმაოდ მალე დაეცემოდა. გარნიზონის სიდიდე განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა მნიშვნელოვანი, როდესაც მტერი გელეპოლებისა თუ საალყო კიბეების მეშვეობით ახერხებდა გალავანზე ასვლას, ასეთ შემთხვევაში გარნიზონი ხელჩართულ ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო, სადაც ერთ მეომარს ორი, სამი და მეტი მეტრი ფართობის დაცვა (ე.ი. ერთდროულად რამდენიმე მონინალმდეგესთან ბრძოლა) ძალიან გაუჭირდებოდა. ამ ფაქტორიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გარნიზონის რაოდენობას სიმაგრის შესანარჩუნებლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნული მდგომარეობა, მაგალითად, შესანიშნავად აქვს მითითებული ქართლის მატიანის ავტორის 929 წლის უფლისციხის ალყის დროს, როდესაც აფხაზთა მეფე გიორგის არმია სიმაგრეს ვერ იღებდა იმის გამო, რომ გარნიზონი „მრავლად დგეს შიგნით.“⁵³ დიდი არმიის შეტევის შემთხვევაში, მცირერიცხოვანი გარნიზონით სიმაგრის შენარჩუნება, რაც არ უნდა მიუვალი ყოფილიყო იგი, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო, რაც ასევე იმის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა, რომ მცირე ზომების მქონე სიმაგრეს, სადაც დიდი გარნიზონი ვერ განთავსდებოდა, სამხედრო დანიშნულება ნაკლებად გააჩნდა.

გარნიზონის რაოდენობასთან ერთად, სიმაგრის დასაცავად აუცილებელი იყო დამხმარე პერსონალის გარკვეული რაოდენობა. დამხმარე პერსონალს უნდა უზრუნველყო მეომრებისთვის საბრძოლო მასალების (ქვების, ისრების, სათადარიგო იარაღისა და ა.შ.) მიწოდება, სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ხანძრების ჩაქრობა და ა.შ. როგორც წესი, ამ ფუნქციებს სიმაგრეში მცხოვრები არასამხედრო პირები და განსაკუთრებით ომის დროს იქ თავშეფარებული მოსახლეობა ასრულებდა, და რამდენადაც მტრის გამოჩენის დროს ადგილობრივი მოსახლეობა თავს ახლოს მდებარე სიმაგრეებს აფარებდა, ამდენად ალყაშემორტყმულ სიმაგრეებში დამხმარე პერსონალის ნაკლებობა (ხშირად განსხვავებით გარნიზონებისგან) თითქმის არასოდეს არ იგრძნობოდა.

გარნიზონის დაცვის პირველ ობიექტს თხრილი წარმოადგენდა, სადაც მონინალმდეგის შეკავება დისტანციური საბრძოლო საშუალებებითა და უფრო იშვიათად კონტრშეტევებით ხორციელდებოდა.⁵⁴ თხრილების დასაცავად დამატებით გამოიყენებოდა (როგორც თხრილის გაღმა, ასევე მის გამოღმა) მონყობილი სხვადასხვა პატარ-პატარა ხაფანგები, შენიღბული ორმოები, ტრომბოლები და ა.შ. მაგალითად, ხლათის ალყის დროს, ივანე მხარგრძელი სწორედ ასეთი ხაფანგის გამო ჩავარდა ტყვედ, როდესაც მისმა ცხენმა ფეხი პატარა ორმოში ჩადგა, ნაიქცა და პატრონი გადმოაგდო.⁵⁵ თხრილთან მონინალმდეგის შეკავებისთვის განსაკუთრებით ეფექტური იყო საალყო მანქანების გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც დიდ დისტანციებზე ცეცხლგამჩენი ნივთიერებების ტყორცნა და მონინალმდეგის ხის კონსტრუქციების დაზიანება იყო შესაძლებელი, როგორც ეს ხდებოდა, მაგალითად, კილიკიის სომხეთის ქალაქ ანავარზის ალყის დროს, როდესაც ალყაშემორტყმულები გავარვარებულ რკინის ნაჭრებს ესროდნენ ბიზანტიელთა საალყო მანქანებს და სიზუსტის შემთხვევაში წვაედნენ მათ.⁵⁶

ალყის გასაძლევად სატყორცნი მანქანების გამოყენება ეფექტურ და აუცილებელ საშუალებას წარმოადგენდა, მაგრამ მათი სიმაგრის შიგნით განლაგება მხოლოდ გამაგრებულ ქალაქებსა და გიგანტურ ციხე-სიმაგრეებში იყო შესაძლებელი (რაც კიდევ ერთი მითითებაა იმის შესახებ, რომ პატარა ზომის, მიუვალ ციხეებს დიდ არმიებთან ბრძოლის ფუნქცია ნაკლებად ჰქონდათ⁵⁷) და რაც მეტი იყო ასეთი მანქანების რაოდენობა, ანუ რაც უფრო დიდი იყო სიმაგრის ფართობი და გარნიზონის რაოდენობა, შეტევის მოგერიება მით უფრო წარმატებით ხდებოდა.⁵⁸

როდესაც შემტევი მხარე ახერხებდა თხრილის გადალახვასა და გალავანთან მიახლოვებას, ამ მომენტში დაცვის წარმატებით წარმოებისთვის გარნიზონის სიმრავლესა და მჭიდრო სროლის უნართან ერთად, დიდი მნიშვნელობა დამცველთა განკარგულებაში არსებულ საინჟინრო კონსტრუქციებს, განსაკუთრებით კი კაუჭიან ონინარებს ენიჭებოდათ. კაუჭების მეშვეობით ხდებოდა მოწინააღმდეგის სააღყო მანქანების უვნებელყოფა, მაგალითად, კაუჭით იჭერდნენ ტარანის წვერს და ზემოთ მისი აქაჩვით ანგრევდნენ კონსტრუქციას, კაუჭებითვე „ნადირობდნენ“ ცალკეულ მეომრებზეც.⁵⁹

სიმაგრის დაცვისას კრიტიკული მომენტი დგებოდა მაშინ როდესაც შემტევი მხარე ახერხებდა კედელში ნაპრალის გაკეთებას, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იყო კონტრშეტევის განხორციელება, მოწინააღმდეგის ნაპრალიდან განდევნა და მისი სასწრაფოდ ჩახერგვა. მაგალითად, ასეთი სიტუაცია შეიქმნა ასკალონის ალყის დროს 1153 წელს, როდესაც ჯვაროსნებმა შეძლეს ქალაქის გალავანში ნაპრალის შენგრევა, მაგრამ იმის გამო, რომ ტამპლიერებმა სხვა ჯვაროსან მეომრებს არ მისცეს ქალაქში შეჭრის საშუალება, რათა ნადავლი მხოლოდ მათ დარჩენოდათ, მუსლიმებმა მოახერხეს კონტრშეტევის განხორციელება, ტამპლიერთა მცირე რაზმის განადგურება და ნაპრალის შევსება.⁶⁰

ალყაშემორტყმულებისთვის განსაკუთრებით სახიფათო იყო მინირება. როდესაც შემტევე მხარეს გვირაბი გაჰყავდა, სიმაგრის დამცველთა უპირველესი ამოცანა ამ პროცესის დაფიქსირება იყო, რისთვისაც ხშირად იყენებდნენ წყლით სავსე ჭურჭლებს, რომლებსაც დგავდნენ კედლებზე და თუ მინისქვეშა დარტყმების ვიბრაციისგან წყალი რხევას დაიწყებდა, მაშინ უკვე გვირაბის მიმართულების დადგენას ცდილობდნენ, რის შემდეგაც კონტრგვირაბის გათხრას იწყებდნენ.⁶¹ თუ სიმაგრის დამცველები მოახერხებდნენ კონტრგვირაბის ზუსტად გაყვანას და მოწინააღმდეგესთან მინისქვეშ შეხვედრას, ეს თითქმის ყოველთვის მათი წარმატებით მთავრდებოდა. მაგალითად, ასეთი წარმატებული კონტრგვირაბი გათხარეს კონსტანტინოპოლის დამცველებმა 1453 წელს, როდესაც ისინი მინისქვეშ შეხვდნენ ოსმალთა არმიის შემადგენლობაში მყოფ სერბ მესანგრეებს და გაანადგურეს ისინი.⁶²

ყველა ალყის დროს სიმაგრის დამცველთა უმთავრესი პრობლემა გარნიზონის სურსათითა და წყლით მომარაგება იყო და ძალიან ხშირად ალყის ბედს ეს ფაქტორი წყვიტავდა. როდესაც სიმაგრეს ხანგრძლივი ალყა ემუქრებოდა, ცდილობდნენ სურსათის მაქსიმალური მარაგის შექმნას, ხოლო სიმაგრის არეალში ნათესებისა და საძოვრების განადგურებას, რათა მოალყეებს არ ესარგებლად. **DE VELITATIONE BELLICA** (О боевом сопровождении)-ს მიხედვით, სიმაგრის მიმდებარე ტერიტორიებზე საძოვრები უნდა გადაამწვარიყო, რათა მოალყეებს ფურაჟირებაზე ძალიან შორს ევლოთ და ძალები დაექსაქსათ,⁶³ რაც ალყაშემორტყმულებისთვის ეფექტური კონტრშეტევების შესაძლებლობას ქმნიდა, ხოლო შემტევე მხარეს

ერთ ადგილზე დიდხანს დგომას (ე.ი. ალყის წარმოებას) ურთულებდა. როდესაც შემტევი მხარე ხანგრძლივი ალყის წარმოებისთვის კარგად იყო მომზადებული, სიმაგრე ძალიან რთულ მდგომარეობაში ვარდებოდა და ასეთ შემთხვევებში გარნიზონი ხშირად ცდილობდა «ზედმეტი მჭამელების» თავიდან მოცილებას,⁶⁴ მაგალითად, ასე მოიქცა ხლათის გარნიზონი, როდესაც ჯალალ ად-დინის მიერ წარმოებული რამდენიმე თვის ალყის შემდეგ, ქალაქის მოსახლეობა ქალაქის გარეთ გამოუშვა და მათი ბედი მტრის ნებას მიაწოდო.⁶⁵ ანალოგიურად მოიქცნენ ები ასნლიანი ომის დროს, როდესაც სამოქალაქო მოსახლეობა გარეთ გამოუშვეს და მათზე «ზრუნვა» ინგლისელებს მიაწოდეს.⁶⁶

1295 წელს ხდება ბრძოლა ყაზანხანსა და ბაიდუ ხანს შორის. იღუპება 800 მეომარი. აბუ ბაქრი.

გვ.96.

დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობაში.

ნათესების განადურება.

ნაგებობის დანგრევა.

შენიშვნები და მითითებული ლიტერატურა

შესავალი

აუცილებელი წინასიტყვაობა ქართული ისტორიოგრაფიის მითების შესახებ.

1. თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლევა მიქიაშვილმა. თბილისი. 1983. გვ. 70.
2. ქართლ-კახეთის XVII-XVIII სს ქრონიკები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა, თბილისი, 1980, გვ. 48-52, 55-57, 59-65, 67-69, 71, 73, 77, 81-87, 90-91, 95-120, 122-125, 128-131, 133-135, 138-140, 143, 147, 155, 157-161, 178, 184-186, 197, 207, 210-213, 217.
3. ნ. ბერძენიშვილი. XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან. სის. II. გვ. 154. მისივე. საქართველო XVIII საუკუნეში. სის. II. გვ. 203-204. ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. თბილისი. 2005. გვ. 338. მ. ფუტყარაძე. „ლეკიანობა“ და აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფია. მიაეხს. 4. 1986. გვ. 71-83.
5. ლეკების სამხედრო რაზმების დაბალბრძოლისუნარიანობას მიუთითებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XVIII საუკუნეში. გვ. 203.
6. ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი. 1974. გვ. 71-72. ტაბ. 213-225. პ. ზაქარაია. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია. თბილისი. 2002. გვ. 522-523. ტაბ. 135-194.
- 7-9 (დედანში სქოლიო არ აღმოჩნდა, რედაქტორი)
10. ნ. ბერძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. სის. II. გვ. 29-31, 41. მ. ლორთქიფანიძე. ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი. მსკი. ნაკვ. 32. 1955. გვ. 71-72. შ. ბადრიძე. საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის მეფობაში. სინ. III. გვ. 314-315. გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბილისი. 1973. გვ. 78. მ. დუმბაძე. ვასალიტეტი საქართველოში XIII-XIV სს-ში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. თბილისი. 1986. გვ. 135. აღნიშნულის შესახებ გარკვეულწილად განსხვავებული აზრი ჰქონდა პროფ. შ. მესხიას, მისი მიხედვით, თამარის დროს ხელისუფლების ცენტრალიზაცია შენარჩუნებული იყო და მისი რღვევა მხოლოდ თამარის მეფობის ბოლო წელს, ათაბაგის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ დაიწყო. იხ. შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბილისი. 1979. გვ. 78.
11. (დედანში სქოლიო არ აღმოჩნდა, რედაქტორი)
12. გ. აკოფაშვილი. ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან XI-XII სს. საქართველოში. თბილისი. 1984. გვ. 106-107. აღნიშნული კონცეფციის შესახებ იხ. აგრეთვე: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის. სის. V. გვ. 163-164. ო. ცქიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. თსუა. 241. 1983. გვ. 255. ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. გვ. 241. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებებიც გამოითქმებოდა, მაგალითად, პროფ. ი. ანთელავას შეხედულება, რომ: „საქართველოს დაშლა წარმოადგენდა ერთიან ქართულ მონარქიაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განვითარების შედეგს, კანონზომიერ მოვლენას. ვფიქრობთ, საფუძველი არა გვაქვს ერთიანი მონარქიის დაშლა მხოლოდ საგარეო ფაქტორის მოქმედებას მივანეროთ, საგარეო ფაქტორმა მიმდინარე მოვლენებს სპეციფიკური სახე მისცა.“ ილ. ანთელავა. მონარქიის დაშლა და შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია. მიაეხს. 2. 1978. გვ. 168. „ზიზანტის დაცემისა და მაჰმადიანური გარემოცვის“ თემა ისტორიულ კვლევებში დღემდე გაბატონებულ კონცეფციად რჩება, იხ. მაგალითად, ე. გვენეტაძე. პოლიტიკური

- კრიზისი საქართველოში XV ს. II ნახევარში და ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლა. სძაო. 3. 2000. გვ. 86.
13. ვ. კოპალიანი. ბაგრატი მეოთხისა და ლიპარიტი ლიპარიტის-ძის ურთიერთობიდან. თსუშ. ტ. 45. 1951. გვ. 241. მისივე. ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან XI საუკუნის პირველ ნახევარში. თსუშ. ტ. 77. 1959. გვ. 12. მისივე. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XII საუკუნეთა მიჯნა). თსუშ. ტ. 125. 1968. გვ. 109. ჯ. სტეფანაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბილისი. 1974. გვ. 30-31. მ. ლორთქიფანიძე. შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. III. გვ. 174. მისივე. История Грузии XI-Начала XIII Века. Тбилиси. 1974. გვ. 67-69.
 14. მ. ლორთქიფანიძე. საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. სინ. III. გვ. 255.
 15. რიგი ქართველი ისტორიკოსები ევროპულ ქვეყნებთან საქართველოს მჭიდრო კონტაქტების არგუმენტად მიიჩნევენ იმ ფრაგმენტულ, მწირ და უმრავლეს შემთხვევებში ზღაპრულ ცნობებს საქართველოს (ისევე როგორც, მრავალისხევა, შუა საუკუნეების ევროპისთვის შორეული ქვეყნის) შესახებ, რომელიც XIII-XV სს. ევროპულ ქრონიკებში სხვადასხვა გზებით (ვაჭართა და მოგზაურთა ნაამბობიდან, სხვა ქრონიკებიდან, ლეგენდებიდან და ა.შ.) ხვდებოდა. მაგალითად, გ. კუტალია, ინგლისურ-ქართული ურთიერთობების დასაწყისად მიიჩნევდა ფრანცისკანელი ბერის, ბართლომეს (1190-1250 წწ) ქრონიკაში შესული ცნობას იმის შესახებ, რომ იბერიაში სამკურნალო მცენარეები იზრდება. მათგან პარიზელის მიერ იბერების დასახელებას სხვადასხვა ხალხების (ალანების, გოთების, ხაზარების, რუსების და ა.შ.) ჩამონათვალში და ფრენსის ბეკონის მიერ იბერებისა და ქართველების სხვადასხვა ხალხად მოხსენიებას (რასაკვირველია, ავტორს ბეკონის შეცდომა გასწორებული აქვს, მაგრამ ამ ცნობებით ინგლისთან ურთიერთობა როგორ დაიწყო არ აზუსტებს). იხ. გ. კუტალია. ინგლისურ-ქართული ურთიერთობის სათავეებთან. ქდნ. 9. თბილისი. 2002. გვ. 150. აკად. მ. ლორთქიფანიძის აზრით, „თავიდანვე ქართველთა დასავლურმა მენტალიტეტმა ც განსაზღვრა ქრისტიანობისაკენ მიდრეკილება“. იხ. მ. ლორთქიფანიძე. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პოლიტიკური მნიშვნელობა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის ფონზე. ქდნ. 3. თბილისი. 1996. გვ. 75. ამ ლოგიკით თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ აგრეთვე მონოფიზიტი სომხების, ეგვიპტელი კოპტების, სირიელი ნესტორიანელებისა და, უკიდურეს შემთხვევაში, მართლმადიდებელი რუსებისა და მრავალი სხვა ხალხის „დასავლური მენტალიტეტი“ რადგან „ქრისტიანობისკენ მიდრეკილება“ მათაც გააჩნდათ.
 16. ს. მარგვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. თბილისი. 2006. გვ. 104-113.
 17. ი. ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნსაცავებში. II. თბილისი. 1986. გვ. 18. დ. პიჭაძე. ლუდოკიო და ბოლონია და ქართველთა ელჩობა დასავლეთ ევროპაში. მიაეხს. 4. 1983. გვ. 49-69. Луис Хил Фернандес. Дипломатические Контакты Между Грузией и Испанией в XV-XVII вв. Мიაეხს 1. 1990. გვ. 139-148.
